სოსო მარგიშვილი

მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ

ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ

სიესტა
თბილისი
2006

რედაქტორი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი
იულონ გაგოშიძე

**კომპიუტერული
უზრუნველყოფა** გამომცემლობა **„სიესტა“**

ISBN 99940-881-9-X

©სოსო მარგიშვილი, 2006

ნაშრომი იბეჭდება თურქეთის მოქალაქე ქართველი ბიზნესმენის, თურქეთისა და საქართველოს დიდი პატრიოტის, ბატონ **საშაპათთინ ილდიზის (ბაუჟაძის)** სრული სპონსორობით, რისთვისაც ავტორი დიდ მადლობას უძღვნის მას.

ჩემს აუცილებელ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აგრეთვე, მადლობა გადავუხადო ადამიანთა იმ ფართო წრეს, რომელთაც სხვადასხვა სახის დახმარება გამიწიეს წინამდებარე ნაშრომის შექმნაში:

ნაშრომის რედაქტორს, ისტ. მეც. დოქტორს, ბ-ნ ი. გაგოშიძეს, ისტ. მეც. დოქტორს, პროფ. გ. ყიფიანს, ისტ. მეც. დოქტორს, ბ-ნ დ. ლომიტაშვილს, ბრიგადის გენერალ ვ. კაპანაძეს, საქართველოს კონსულებს ავსტრიასა და აშშ-ში, თ. კიკვიძესა და ზ. თინიკაშვილს. ჩემს მეგობრებს, დ. ჯალაღონიას, აკ. მიქაძეს, კ. დოლიძეს, ზ. დვალს, ალ. ვართანოვს, მ. წერეთელს, ირ. ბაქრაძეს და ნ. ნიკოლაძეს. საგანგებო მადლობა ჩემს პატარა ქალიშვილს ელენეს, ხელის არ შეშლისთვის, ხოლო მეუღლეს მხარდაჭერისთვის.

შინაარსი

- რედაქტორისგან 6
- ავტორის წინასიტყვაობა 8
თავი 1. გეო-პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიასა და წინა აზიაში XI საუკუნის II ნახევარში.
- სელჯუკთა ექსპანსიის წინა პერიოდი..... 10
- სელჯუკთა ექსპანსია. 11
- პოლიტიკურ ძალთა ბალანსი სელჯუკთა ექსპანსიის შემდგომ..... 15
- საქართველოს სამეფო სელჯუკთა ექსპანსიის პერიოდში. 16
თავი 2. ცვლილებები .გეო-პოლიტიკური ვითარებაში. ამიერკავკასია და წინა აზიის რეგიონები XI-XII საუკუნეების მიჯნაზე.
- ჯვაროსანთა შეტევა სელჯუკებზე. 22
- ბიზანტიელთა კონტრშეტევა სელჯუკებზე..... 24
- ფატიმიდთა კონტრშეტევა სელჯუკებზე. 25
- ისმაილიტების აჯანყება. 26
- სელჯუკთა იმპერიის შიდა დაპირისპირების პროცესი. 28
- პოლიტიკურ ძალთა ბალანსი XI-XII საუკუნეების მიჯნაზე. 30
- ჯიჰადი. მუსლიმთა პასუხი ქრისტიანების შეტევაზე..... 34
თავი 3. საქართველოს სამეფო. აქტიური პოლიტიკის დასაწყისი.
- ხარკის შეწყვეტა. 37
- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დასაწყისი. 41
- ბრძოლა თურქმენ მომთაბარეთა წინააღმდეგ. 44
თავი 4. საქართველოს სამეფო სელჯუკთა იმპერიის წინააღმდეგ.
- სამშვილდე—ომის დასაწყისი სელჯუკთა იმპერიასთან..... 50
- თრიალეთის ბრძოლა..... 54
- 1115-1120 წლების კამპანია..... 58
თავი 5. მუსლიმური კოალიცია დიდგორის ბრძოლის წინ.
- ჯიჰადი საქართველოს წინააღმდეგ. 62
- კოალიცია და მისი მხედართმთავრები. 65
- კოალიციის სამხედრო ძალის რაოდენობა. 73
- სელჯუკური არმიის ორგანიზაცია და საბრძოლო ტაქტიკა. 87

თავი 6. საქართველოს სამეფოს არმია დიდგორის ბრძოლის წინ.
- ყივჩაღ მეომართა რაოდენობა. 93
- მუდმივი არმიის საკითხი. 99
- ჯვაროსანი მეომრები და ქართული არმია. 104
- არმიის ორგანიზაცია, შემადგენლობა და რაოდენობა. 114
თავი 7. დიდგორის ბრძოლა ისტორიოგრაფიასა და წერილობით წყაროებში.
- დიდგორის ბრძოლა ისტორიოგრაფიაში. 122
- დიდგორის ბრძოლა წერილობით წყაროებში..... 127
თავი 8. დიდგორი—ომის კულმინაცია.
- ბრძოლა კოალიციის ერთიანობის წინააღმდეგ. 137
- ილ-ღაზის არმიის მარშრუტი საქართველოსკენ. 142
- მოწინააღმდეგეთა სტრატეგიული მიზნები. 151
- ბრძოლის ველი და ბრძოლის ხასიათი. 155
- ჩასაფრების ორგანიზება დიდგორის ქედზე. 159
- დიდგორის ბრძოლა. 165
თავი 9. ომის დასასრული სელჯუკებთან.
- თბილისის აღება. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დასასრული..... 170
- ლაშქრობა შირვანში და ზავი სელჯუკებთან. 173
- 1124 წლის კამპანია. ანისი—ახალი სტრატეგიული მიმართულება..... 177
თავი 10. ქართული სამხედრო ხელოვნება დავით აღმაშენებლის ხანაში.
- სამხედრო რეფორმა. 182
- შეიარაღება, მეომრები, არმია და ბრძოლის წარმოების მეთოდები. 186
- დავით აღმაშენებელი, თავისი ეპოქის დიდი მხედართმთავარი..... 194

რედაქტორისაგან

დიდგორის ომის 860-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ერთ საჯარო ლექციას დავესწარი 1981 წელს. ლექტორს, საკმაოდ ცნობილ ისტორიკოსს არ დაუშურებია მაღალფარდოვანი ეპითეტები დავით აღმაშენებლის, როგორც მხედართმთავრის გენიალურობის ნარმოსაჩენად. ამისთვის ხომ დიდგორის ომი უხვ მასალას იძლევა და ლექტორიც კარგად იყო მომზადებული. მას არ დავიწყებია არც მუსლიმთა სამას თუ ექვსას ათასიანი არმიის ხსენება, რომელსაც სულ 40000 ქართველი, 15000 ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ფრანგი მეომარი დაუპირისპირდა, არც იმის აღნიშვნა, დავით მეფის ბრძანებით ქართველებმა წინასწარ რომ ჩახერგეს უკან დასახევი გზა და ისიც მოგვითხრო, როგორ მიმართა დავით აღმაშენებელმა გამამხნევებელი სიტყვით თავის ლაშქარს, შემდეგ კი როგორ გამოიყენა გაბედული ტაქტიკური ხერხი და ბრძოლის დაწყების წინ როგორ გააგზავნა საომრად გამზადებულ თურქ-სელჯუკთა წყობისკენ 200 ქართველი ცხენოსანი, რომლებიც მუსლიმებს მოღალატეებად მიუჩნევიათ და დაუბრკოლებლად შეუშვიათ თავის წყობაში, სადაც ამ თავგანწირულ მხედრებს ხმლები უშიშვლებიათ და მტრის მეომრებს დარევიან, რასაც, ფაქტობრივად, გადაუწყვეტია კიდეც ბრძოლის ბედი: დაბნეული მტრის ფლანგებს საქართველოს ლაშქარმა ორი მხრიდან შეუტია და გამარჯვების სასწორი ქართველთა მხარეს გადაიხარა, მომხდურთა დიდმა ნაწილმა ბრძოლის ველს ზურგი შეაქცია და დამარცხებულმა თურქ-სელჯუკებმა დიდი ზარალი ნახეს. ბრძოლა სულ სამ საათს გაგრძელებულა. ასე იოლად დაამარცხა დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჯუკთა კოალიციური ლაშქარი, თუმცა, როგორც ლექტორმა აღნიშნა, ამ დამარცხებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ თრიალეთ-მანგლისსა და დიდგორში განლაგებულმა სელჯუკებმა, რომელთაც ხელთ ეპყრათ ყველა მნიშვნელოვანი სტრატეგიული მისადგომი, სრულყოფილად ვერ მოახერხეს თავისი დიდი რიცხობრივი უპირატესობის რეალიზება ბრძოლის ველის სივიწროვის გამო.

ჰოდა, მეც ლექციის შემდეგ ერთადერთი შეკითხვა დავუსვი ლექტორს: "კი, გავიგეთ, რომ დავით აღმაშენებელმა გენიალური მხედართმთავრული ნიჭი გამოავლინა და მრავალრიცხოვან მტერს გადამწყვეტი ბრძოლა ვიწროებში გაუმართა, მაგრამ თურქ-სელჯუკთა წინამძღოლი განა ჭკუასუსტი იყო, თავისი ნახევარმილიონიანი ლაშქარი დიდგორის ვიწროებში რომ შეიყვანა, თითქოს თბილისის მახლობლად გაშლილი ველები არ მოიძიებოდეს? ის ხომ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ თბილისის დასახმარებლად შემოვიდა საქართველოში?"

რამდენადმე დამაჯერებელი პასუხი ჩემს ამ შეკითხვაზე, სამწუხაროდ, ვერ მივიღე ვერც იმდღევანდელი ლექტორისაგან და ვერც დიდგორის ომის შესახებ არსებული სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომებიდან, რომლებიც საგანგებოდ ხელახლა გადავიკითხე.

სწორედ მაშინ აღმეძრა სურვილი, დამეწერა და გამომექვეყნებინა პატარა წერილი სათაურით: "რატომ მოხდა დიდგორის ომი დიდგორში?", რომელშიც მკითხველს შევახსენებდი, რომ XII საუკუნეში არ არსებობდა ინფორმაციის გადაცემის დღევანდელი საშუალებები და, შესაბამისად, დღევანდელთან შედარებით განუზომლად მცირე იყო ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე, არ ჰქონდათ არც დღევანდელი საჰაერო თუ სახმელეთო ტრანსპორტი და, შესაბამისად, სხვაგან გადიოდა იმდროინდელი ძირითადი სატრანსპორტო მაგისტრალები, სხვანაირი იყო მაშინ საბრძოლო იარაღიც და, შესაბამისად, სხვანაირი იყო სამხედრო ხელოვნება, სტრატეგია და ტაქტიკა... ამიტომ ისტორიკოსმა ყველაფერი ეს უნდა გაითვალისწინოს, როდესაც წარსულის მოვლენების რეკონსტრუირებას ცდილობს, მაგრამ ისიც უნდა ახსოვდეს, რომ ტექნიკისაგან განსხვავებით, რომელიც შეიცვალა, არ შეცვლილა თვით ადამი-

ანი, რომელიც დღესაც ისეთივეა, როგორიც იყო ძველად. და სწორედ ამიტომ ისტორიკოსები ვალდებულნი ვართ ყოველთვის ეჭვის თვალით შევხედოთ ადამიანისგან მიღებულ ინფორმაციას, მათ შორის, ცხადია, წერილობით ინფორმაციასაც (წერილობით ძეგლს, მატიანეს) და, სანამ მათ გამოვიყენებდეთ, კრიტიკულად უნდა შევაფასოთ იგი. არასდროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ წერილობითი ძეგლი ადამიანის დაწერილია, ადამიანი კი პიროვნებაა და ნებსით თუ უნებლიედ ყოველთვის სუბიექტურია ნებისმიერი მოვლენის აღწერისას, მით უმეტეს, თუ ამ მოვლენას დაპირისპირებული მხარეები ჰქმნიდა, როგორც ეს, თუნდაც, ომის შემთხვევაშია. გამარჯვებული მხარე სხვანაირად აღწერს ომს, დამარცხებული – სხვანაირად, ხოლო მესამე მხარე (რომელიც არასდროს არ არის მთლად ნეიტრალური) ორივესგან განსხვავებულ ვერსიას გვაწვდის ხოლმე (ამის თვალსაჩინო მაგალითებს ჩვენ სისტემატურად ვხვდებით ჩვენს ყოველდღიურობაში). ასე, რომ რამდენი აღმწერიც ჰყავს ამა თუ იმ ფაქტს, იმდენი განსხვავებული აღწერილობა არსებობს და, რადგანაც არცერთი მათგანი არ არის მთლიანად სანდო, მკვლევარ-ისტორიკოსის მოვალეობაა, გაერკვეს ამ, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ ცნობებში და ეცადოს აღადგინოს ობიექტური სინამდვილე. რაც შეეხება დიდგორის ომს, როგორც ჩანს, ეს სამუშაო მის გარშემო დღემდე არ იყო, ან მხოლოდ ნანილობრივ იყო შესრულებული და ომის პერიპეტიები მთლად ისეთი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ამას, თუნდაც, იმდღევანდელი ლექტორი გვიხატავდა.

მე კი მინდოდა მეჩვენებინა, თუ როგორ წარიმართა დიდგორის ომი სინამდვილეში და რატომ მოხდა იგი მაინც და მაინც დიდგორში. მინდოდა, მაგრამ ვერ შევძელი. სამუშაო გაცილებით უფრო რთული და შრომატევადი გამოდგა, ვიდრე მეგონა და ვერც დრო გამოვნახე მის შესასრულებლად.

ამ ცოტა ხნის წინ კი ჩემს ხელთ აღმოჩნდა სოლიდური წიგნის ხელნაწერი, რომელშიც ამოვიკითხე ამომწურავი პასუხები ყველა ზემოხსენებულ კითხვაზე, რომელიც თითქმის ოცდახუთი წელია, რაც მაწუხებს. კიდევ მეტი, ამ ნაშრომში ბევრი სხვა ისეთი კითხვაც არის პირველად დასმული და პასუხგაცემული, რომელიც სრულიად ახლებურ შუქს ჰფენს საქართველოს ისტორიის ოქროს ხანას, დიდი დავით აღმაშენებლის მეფობით რომ იწყება.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წიგნი დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ აქამდე არ დაწერილა. მისი ავტორი, რომელსაც დღემდე არქეოლოგად ვიცნობდით, ახლა შუასაუკუნეების ომებისა და სამხედრო ხელოვნების ისტორიის შესანიშნავ მცოდნედ მოგვევლინა. ძველი ქართული, აღმოსავლური და ევროპული წერილობითი წყაროების მონაცემთა ოსტატური ანალიზი ავტორს საშუალებას აძლევს წარმოადგინოს XI-XII საუკუნის საქართველოს რეალისტური სურათი წინააზიაში არსებული სიტუაციის ასევე რეალისტურად დახატულ ფონზე და არა ლამაზი სიტყვებით, არამედ ფაქტებით გვაჩვენოს, რომ დავით აღმაშენებელი მართლაც გენიალური პოლიტიკოსი და მხედართმთავარი იყო.

ხელნაწერი მე დიდი სიამოვნებით წავიკითხე და დარწმუნებული ვარ, რომ ეს წიგნი ასეთივე სიამოვნებას მიანიჭებს მკითხველთა ფართო აუდიტორიასაც, რომლის სამსჯავროზე გამოდის იგი.

იულონ გაგოშიძე
10.03.2006

"ყამთააღმწერელობა ჭეშმარიტის მეტყველება არს, და არა თუალ-ახმა ვისთვისმე"
ყამთააღმწერელი. XIV საუკუნე.

წინასიტყვაობა

დავით აღმაშენებლის მეფობა (1089-1125 წწ.) საქართველოს ისტორიის გამორჩეულ პერიოდს წარმოადგენს. ქართული სამეფოების გაერთიანების დასასრული და ერთიანი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბება. ძლიერი ცენტრალიზებული მმართველობის სისტემის შექმნა. მომთაბარე თურქმენთა განადგურება და მომთაბარეობის, როგორც მოვლენის მოსპობა. სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერიის დამარცხება და განდევნა სამხრეთ ამიერკავკასიის რიგი რეგიონებიდან. სამეფოს საზღვრების გაფართოება და გავლენის გავრცელება ამიერკავკასიის უმეტეს ტერიტორიებზე. ძლიერი, თვისობრივად ახალი არმიის შექმნა. რამდენიმე სამხედრო კამპანიასა და გენერალურ ბრძოლებში გამარჯვება. ეკონომიკის აღორძინება. ქვეყნის აღშენება. საქართველოს სახელისა და პრესტიჟის ამაღლება და შორს გატანა იმდროინდელ მსოფლიოში. ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ წარმატებებისა, რასაც საქართველოს სამეფომ მიაღწია დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში.

შეიძლება მთელი დაბეჯითებით ითქვას, რომ გარდა აღნიშნულისა, დავით აღმაშენებლის მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი შედეგი იყო ის, რომ მან თავის მემკვიდრეებს დაუტოვა ძლიერი სამეფო, სრულყოფილი ინსტიტუტებითა და ჩამოყალიბებული სტრატეგიით, რომლის მეშვეობითაც საქართველო საუკუნის განმავლობაში ამიერკავკასიის უძლიერეს სახელმწიფოსა და მთელი აღმოსავლური სამყაროსთვის ისეთ ანგარიშ გასაწევ ძალას წარმოადგენდა, რომლის წინააღმდეგაც გამოსვლას სახელმწიფოთა კოალიციის გარეშე, ვერავინ ბედავდა. დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი და შთამომავლებისთვის "მემკვიდრეობით" გადაცემული საქართველოს ისტორიის ეს ოქროს ხანა, (ალბათ) ყველაზე უკეთ დაახასიათა მონღოლთა აპოლოგეტმა, სპარსელმა მემატიანე ჯუვეინმა, რომელიც ზოგადად ქრისტიანობისა და კონკრეტულად საქართველოსადმი მტრულად განწყობილ ადამიანს წარმოადგენდა. როდესაც მონღოლთა მხრიდან დევნილმა ხორეზმის შაჰმა, ჯალალ ად-დინმა შესძლო წინა აზიის მთელი რიგი მუსლიმური სახელმწიფოების გაერთიანება და რუსუდანის დროინდელი საქართველოს დამარცხება, ჯუვეინმა თავის ქრონიკაში შემდეგი სიტყვები ჩაწერა: "Султан одержал победу над грузинами - народом, который по причине неприступности их крепостей и несокрушимости их твердынь, величия их богатств и доблести их воинов не знал превратностей судьбы и который могущественные короли и князья Сирии и Рума принимали как равных себе из за страха перед их неистовством в бою, более того, от которого они бежали, в бессилии и слабости."[1] ძალიან ძნელია უკეთესი სიტყვებითა და უფრო ზუსტად დაახასიათო დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი სამეფო, რომელიც ისე იდეალურად აწყობილ სახელმწიფო სისტემას წარმოადგენდა, რომ დავითის მემკვიდრეების მიერ დაშვებულმა რიგმა შეცდომებმა, დინასტიურმა კონფლიქტებმა, ფეოდალურმა სეპარატიზმმა თუ გარეშე მტრებმა საუკუნის განმავლობაში ვერაფერი დააკლო.

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობისა და მის მიერ შექმნილი სამეფოს უნიკალურობის გამო, ეს პერიოდი საქართველოს ისტორიის მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღებისა და შესწავლის მუდმივ საგანს წარმოადგენდა (და წარმოადგენს), რის შედეგადაც სხვადასხვა თაობის მკვლევართა მრავალრიცხოვან ნაშრომში თანდათან ჩამოყალიბდა დავით აღმაშენებლის ეპოქის ის სურათი, რომელიც დღეისთვის მიღებული და გადმოცემულია ამ პერიოდისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ გამოცემებში, თუმცა დავით აღმაშენებლის ეპოქის შესახებ არსებულ კონცეპტუალურ შეხედულებებში (ჩვენი აზრით) აშკარად შეიმჩნევა წინააღმდეგობები, რომლებიც ამ პერიოდის უფრო ღრმად შესწავლისა და ისტორიული სინამდვილის უკეთ გააზრების მიზნით, რასაკვირველია, ახსნას საჭიროებს.

დავით აღმაშენებლის ეპოქის მიღებული ქრონოლოგია, რიგი მომხდარი მოვლენების რეკონსტრუქცია და მათ შედეგად მიღებული დასკვნები, მთელ რიგ კითხვებს აჩენენ, მაგალითად: სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ახსნილი (ყოველ შემთხვევაში

დამაჯერებლად), თუ რატომ დატოვა უყურადღებოდ სელჯუკთა იმპერიამ საქართველოს სამეფოს მხრიდან ხარკის შეწყვეტა? როგორ მოხდა, რომ როდესაც დავით აღმაშენებელი საქართველოს ტერიტორიებზე ჩამოსახლებულ თუ სამომთაბაროდ შემოსულ თურქმენებს ებრძოდა და ანადგურებდა, სელჯუკთა იმპერია დამთლიანად სელჯუკთა სამყაროა მპროცესში არ ერეოდა და ნეიტრალურ მაყურებლად რჩებოდა? რატომ ითვლებოდნენ სამეცნიერო ლიტერატურაში სელჯუკები მომთაბარეებად, როდესაც ცხოვრების ეს ფორმა მათ დიდი ხნის დატოვებული ჰქონდათ და იმ დროისათვის სავსებით განვითარებულ (თუმცა აგრესიულ) სახელმწიფოებს ედგნენ სათავეში? რატომ იყო მიჩნეული დავით აღმაშენებელი ჯვაროსანთა მოკავშირედ და იერუსალიმის აღების მონაწილედ, როდესაც ამის შესახებ ჯვაროსნული ლაშქრობების მრავალრიცხოვანი ქრონიკები არაფერს არ იუწყებიან? როგორ მოახერხა დავით აღმაშენებელმა 220 ათასი ყივჩაღის საქართველოში გადმოყვანა და დასახლება, როდესაც ამ რაოდენობის მომთაბარეები თავის მშობლიურ სტეპებშიაც ვერ ახერხებდნენ კონსოლიდირებას? როგორ შეძლო საქართველოს მეფემ მათგან მუდმივი არმიის შექმნა, როდესაც მუდმივი არმიები იმ ეპოქაში არ არსებობდნენ? როგორ აღმოჩნდნენ ჯვაროსანი რაინდები დიდგორის ველზე, როდესაც იქ მოხვედრა მათ ფიზიკურად არ შეეძლოთ? როგორ შემოვიდა საქართველოში ილ-ღაზის 300 ათასიანი არმია, როდესაც ხალხის ასეთ მასას არათუ ერთად ბრძოლა, არამედ გადაადგილებაც კი არ შეეძლო? და ა.შ.

ბუნებრივია, ამ და სხვა უამრავ კითხვაზე პასუხის გაცემა ინტენსიურ კვლევა-ძიებას საჭიროებს. აუცილებელია წერილობითი წყაროების უფრო ღრმად შესწავლა, მათი მრავალმხრივ გააზრება და შეჯერება კარგად ცნობილ ფაქტებთან, დამატებითი მონაცემების მოძიება, ეპოქის მთლიანი შესწავლა არა მარტო საქართველოს, არამედ მისი გარემომცველი სამყაროს მასშტაბით, პარალელების გათვალისწინება, მომხდარ მოვლენათა მათ ბუნებრივ გარემოში განვითარების შესაძლებლობათა წარმოდგენა და ა.შ.

წინამდებარე ნაშრომი დასახელებულ კითხვებზე პასუხის გაცემის მცდელობაა. მიუხედავად იმისა, რომ არ გაგვაჩნია პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ ყველა არსებულ კითხვაზე პასუხის გაცემა შევძელით, ამის გაკეთებას ნამდვილად გულმოდგინედ შევეცადეთ. დარწმუნებული ვარ, ბევრი ჩემს მიერ გამოთქმული მოსაზრება და მიღებული დასკვნა საკამათო იქნება, რისთვისაც ყოველთვის მზად ვიქნები და თუ შესაძლო ოპონენტების შეხედულება იქნება უფრო დამაჯერებელი და ისტორიული თუ ლოგიკური არგუმენტაციით დადასტურებული, დიდი სიამოვნებითა და მადლობის გრძნობით დავეთანხმები მას.

როგორიც უნდა იყოს პროფესიონალი ისტორიკოსისა თუ რიგითი მკითხველის რეაქცია წარმოდგენილ ნაშრომზე, ერთი რამ ნამდვილად არ უნდა იქცეს კამათის საგნად: დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა იმსახურებს დაუსრულებელ სამეცნიერო ინტერესს, რადგან საქართველოს ამ მეფის გააზრებული პოლიტიკური თუ სამხედრო სტრატეგიის, დროული გადაწყვეტილებების მიღების სრულიად უნიკალური (არც ადრე, არც გვიან) უნარის, მოკავშირეებთან თუ მტრებთან მის დამოკიდებულების შესწავლას და დღევანდელობაში გათვალისწინებას, საქართველოსა და მისი მოქალაქეებისთვის დღესაც ისევე შეუძლია დიდი სამსახურის გაწევა, როგორც უწევდა დავით აღმაშენებლის მეფობის ბრწყინვალე ეპოქაში.

თავი I

გეო-პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიასა და წინა აზიაში XI საუკუნის II ნახევარში

სელჯუკთა ექსპანსიის წინა პერიოდი

მოირჭუნა ბაგრატ და განძლიერდა უფროს ყოველთა მეფეთა მის ქუეყანისათა.

მატიანე ქართლისა.

XI საუკუნის შუა ხანებისთვის, სამხრეთ-კავკასიის, მცირე აზიისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონების პოლიტიკურ ცხოვრებაში სრულიად ახალი ეთნოსის, სელჯუკების მოულოდნელმა გამოჩენამ[1] დაარღვია აღნიშნულ რეგიონებში არსებული ძალთა თანაფარდობა და პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების ბალანსი.

სელჯუკების გამოჩენამდე აღნიშნული რეგიონების პოლიტიკურ დომინანტებს ბიზანტიის იმპერია და არაბ აბასიდთა და ფატიმიდთა სახალიფოები წარმოადგენდნენ, მაგრამ ბიზანტიასა და არაბთა ხალიფატს შორის, VII საუკუნიდან გარდამავალი წარმატებით მიმდინარე დაპირისპირების შემდგომ, არსებული ვითარება ნელა, მაგრამ სტაბილურად იცვლებოდა.

XI საუკუნის შუახანებისთვის არაბთა ხალიფატი უკვე დაშლილ იმპერიას წარმოადგენდა, რომლის ნანილებზეც წარმოქმნილი იყო რამდენიმე დამოუკიდებელი მუსლიმური სახელმწიფო, რომელთაგანაც ორი, აბასიდებისა და ფატიმიდების სახალიფოები, მართალია, კვლავ უძლიერეს ქვეყნებად რჩებოდნენ, მაგრამ სრულ ჰეგემონობასა და „მსოფლიო ბატონობაზე" პრეტენზიას ვეღარ აცხადებდნენ, ისევე როგორც ბიზანტიის იმპერია, რომლის გავლენის სფეროებმა და საზღვრებმა, ძირითადათ ბასილი II-ს (976-1025 წწ.) იმპერატორობის ხანაში მიაღწია მაქსიმუმს (რუქა №1).[2]

ბიზანტიასა და არაბულ სამყაროს შორის გავლენის სფეროების ახალი გადანაწილების შემდეგ, XI საუკუნის შუახანებისთვის, არაბული საშიშროება საქართველოსთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. ასევე კლებულობდა საფრთხის ხარისხი ბიზანტიის იმპერიის მხრიდანაც, რომლის შეტევებისგან თავის დაცვა საქართველომ, გიორგი I-ს (1014-1027 წწ.) მეფობისას, საკმაო წარმატებით მოახერხა. XI საუკუნის 40-50-იან წლებში, ბიზანტიამ მოახდინა სომხური სახელმწიფოების (ანისის, ვასპურაკანის, უფრო ადრე ტარონის სამეფოების) ლიკვიდაცია, რის შემდეგაც მისი ექსპანსია შეჩერდა და საქართველოსა და ბიზანტიას შორის სტაბილურად იქნა შენარჩუნებულ გიორგი I-ს დროს ჩამოყალიბებული საზღვრები.[3]

შექმნილი გეო-პოლიტიკური ვითარება შესაძლებლობას იძლეოდა, სხვადასხვა ქართული სახელმწიფოების X საუკუნეში დაწყებული გაერთიანების პროცესის წარმატებით დასრულებისა და XI საუკუნის შუახანებისთვის, უკვე ცხადი იყო, რომ ერთიანი ქართული სამეფოს ფორმირება ფინალურ ფაზაში შედიოდა

და უახლოეს ხანებში მოხდებოდა არაბული ექსპანსიის უკანასკნელი ნაშთების, თბილისისა და დმანისის საემიროების ლიკვიდაცია, რითაც სამეფო, გარდა გაერთიანებისა, ამიერკავკასიის რეგიონში საბოლოოდ განაცხადებდა პრეტენზიას ძირითადი პოლიტიკური დომინანტის როლზე.

ისტორიული განვითარების კანონზომიერება მიუთითებდა, რომ ბაგრატ IV-ს (1027-1072 წწ.) მეფობა ისტორიული პროცესის ლოგიკური დასასრული უნდა გამხდარიყო, თითქოსდა აღარაფერი რჩებოდა ქართული სახელმწიფოების საბოლოო გაერთიანებამდე და ეს ასეც იქნებოდა, რომ არა სელჯუკთა მოულოდნელი გამოჩენა.

სელჯუკთა ექსპანსია

თურქ-სელჯუკები პირველები
იყვნენ იმ ხალხებს შორის,
რომელთაც დაასრულეს რომის
იმპერიის ნგრევა და განადგურება

ედვარდ გიბონი.

სელჯუკებისა და მათთან ერთად სხვა თურქული, ოღუზთა ტომების გაერთიანება, ჩამოყალიბდა შუა აზიის, დაახლოებით თანამედროვე ავღანეთისა და თურქმენეთის ტერიტორიებზე VII-VIII საუკუნეთა მიჯნისთვის. IX-X საუკუნეებიდან მათში გავრცელდა ისლამი.

XI საუკუნის დასაწყისისთვის სელჯუკების ხელისუფლების ქვეშ არსებული თურქულ ტომთა გაერთიანება იმდენად გაძლიერდა, რომ შევიდა კონფლიქტში იმ დროისთვის გაზნევანიდების უძლიერეს სახელმწიფოსთან, რაც თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ომის შემდეგ, მათი გამარჯვებით დამთავრდა. 1040 წ. სელჯუკთა სულთანმა თოღრულმა (1038-1063 წწ.) დანდანაკანის ბრძოლაში გაანადგურა გაზნევანიდების არმია, რითაც გზა გაეხსნა მათ ექსპანსიას ირანისა და ამიერკავკასია-წინა აზიისკენ.

შემოსევების პირველი ტალღა (სურ. 1) თოღრულის მეთაურობით, რომელმაც მოიცვა დასავლეთ ირანი, სამხრეთ კასპიისპირეთი, ერაყი, სომხეთ-აზერბაიჯანი და ანატოლიის აღმოსავლეთ რეგიონები, დაიწყო 1045 წელს და გაგრძელდა მის გარდაცვალებამდე (1063 წ.).

1045 წელს მათ დალაშქრეს ვანის ტბისა და ქალაქ ყარსის მიდამოები, 1047 წელს შეუტიეს ერზრუმს, 1049 წელს აიღეს და გაძარცვეს ქალაქი ანისი, 1051 წელს აიღეს ისპაჰანი, 1053 წელს განმეორებით ილაშქრეს ყარსის მიდამოებში, 1054 წლისთვის დაიპყრეს სამხრეთ აზერბაიჯანის ტერიტორიები ნახიჭევანის ჩათვლით და დაარბიეს განჯის საემირო. 1055 წელს აიღეს ბაღდადი და გაანადგურეს ერაყის ბუიდების სახელმწიფო. 1058 წელს აიღეს მცირე აზიისა და ახლო აღმოსავლეთის გზასაყარზე მდებარე მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ბიზანტიური ქალაქი მელიტენა (თან. მალათია), რითაც ხელსაყრელი პლაცდარმი მიიღეს ექსპანსიის გასაგრძელებლად როგორც მცირე აზიის, ასევე ახლო აღმოსავლეთის მიმართულებებით.

ბაღდადის დაკავების შემდგომ სულთანმა თოღრულმა, თავი რელიგიისა და აბასიდი ხალიფას დამცველად გამოაცხადა, რის სანაცვლოდაც ხალიფასგან

სურ. 1. კ. ჰუკი. სელჯუკი მეომრები

მიიღო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მაჰმადიანთა სახელმწიფოს მეთაურის ტიტული, რასაც სელჯუკთა ექსპანსია ჩვეულებრივი დაპყრობითი ომებიდან რელიგიურ საფუძვლებზე გადაჰყავდა და სუნიტი მუსლიმების თვალში, საღვთო ომის ხასიათს აძლევდა ურწმუნოთა წინააღმდეგ.

ამ პერიოდისთვის სელჯუკთა ლაშქრობები ერაყისა და სამხრეთ აზერბაიჯანის დასავლეთით, ჯერ კიდევ ატარებდა მარბიელ ხასიათს და ძირითად ამოცანად არა ტერიტორიებზე დამაგრებას, არამედ ნადავლის მოპოვებას ისახავდა მიზნად. მათი მთავარი მოწინააღმდეგე ამ მიმართულებაზე იყო ბიზანტიის იმპერია, რომლის პოტენციალსაც და სამხედრო ავტორიტეტს, სელჯუკები ექსპანსიის ადრეულ ეტაპზე ერიდებოდნენ და ბიზანტიის ტერიტორიების ოკუპაციას, იმ დროისთვის აქტიურად ჯერ არ ცდილობდნენ.[1]

სელჯუკთა ექსპანსიამ ამ მიმართულებით ეს ფორმა შეინარჩუნა შემოსევათა მეორე ტალღის დროსაც, სულთან ალფ-არსლანის (1063-1072 წწ.) მმართველობის პერიოდში, მანციკერტის ბრძოლამდე (1071 წ.). ამ პერიოდის განმავლობაში სელჯუკთა დაპყრობები ძირითადად მიმართული იყო შუა აზია-სამხრეთ კასპიისპირეთის ათვისებისკენ, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მათთვის, სამხრეთ კავკასიასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონებში ორჯერ (1063-64, 1067-68 წწ.) განეხორციელებინათ გრანდიოზული მარბიელი ლაშქრობები, რომელთა ერთ-ერთი მთავარი ობიექტი, საქართველოც გახდა.[2]

ექსპანსიის მესამე, დამამთავრებელი ფაზა განხორციელდა სულთან მალიქშაჰის (1072-1092 წწ.) მმართველობის პერიოდში, რომლის დროსაც დაპყრობილ იქნა სირია-პალესტინა და მცირე აზია.

სირიის მიმართულებით ფატიმიდთა ხალიფატის წინააღმდეგ, სელჯუკთა შეტევები დაიწყო 1072 წელს. სამი-ოთხი წლის განმავლობაში მათ დაიკავეს სირიის ჩრდილოეთ რეგიონები და განავრცეს დაპყრობები სამხრეთ სირიაში. 1076 წელს აიღეს დამასკო და განავითარეს შეტევა პალესტინისკენ, სადაც 1086 წელს აიღეს იერუსალიმი და რიგი სხვა ქალაქები. 1085 წელს მათ ხელში აღმოჩნდა ანტიოქიაც, რითაც მიიღეს უმოკლესი გადასასვლელები სირიიდან მცირე აზიაში,

კაბადოკიისა და ხმელთაშუაზღვის სამხრეთ სანაპირო ზოლის მიმართულებით.

ჩრდილო-სირიისა და პალესტინის რიგი ქალაქების დაპყრობის შემდგომ, სელჯუკებს ექსპანსია ფატიმიდების წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ემზადებოდნენ კაიროსა და ალექსანდრიის დასაპყრობად, აღარ გაუგრძელებიათ და ასეთი პარიტეტი, მათ შორის არსებული მტრული ურთიერთობის ფონზე, შენარჩუნებულ იქნა ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსანთა გამოჩენამდე.

სირია-პალესტინის დაპყრობისას უცნაურია ის ფაქტი, რომ სელჯუკებს არ გამოუჩენიათ არავითარი ინტერესი საპორტო ქალაქების (ბეირუთი, ტირი, სიდონი, ტრიპოლი, აკრა და ა. შ.) მიმართ, რომლებიც ჯვაროსანულ ლაშქრობებამდე ფატიმიდების ხელში რჩებოდა, საინტერესოა, რომ იგივე ფენომენი, რუმის სასულთნოშიც განმეორდა. რუმის სელჯუკები, რომელთაც დაიპყრეს მცირე აზიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ზღვის მიმართ აბსოლუტურად გულგრილნი დარჩნენ, რის გამოც სელჯუკური სახელმწიფოები არსებობის ბოლომდე, მხოლოდ სახმელეთო ქვეყნებს წარმოადგენდნენ. სელჯუკების მხრიდან საპორტო ქალაქების მნიშვნელობის შეუფასებლობამ, მოგვიანებით საკმაოდ ცუდი სამსახური გაუწია მათ.[3]

1075-76 წლებიდან, ელვისებურად წარიმართა მცირე აზიის დაპყრობის კამპანიაც, რაშიც მანციკერტის ბრძოლაში (1071 წ.), ბიზანტიელთა გამანადგურებელმა დამარცხებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი.

სხვადასხვა თურქულ-თურქმენული ტომების მარბიელი შემოსევები ბიზანტიის ტერიტორიებზე, მცირე აზიაში სელჯუკთა გამოჩენამდეც, საკმაოდ დიდი ხნის დაწყებული იყო. ბიზანტიის ხელისუფლებას მათ წინააღმდეგ, ჯერ კიდევ იმპერატორ ბასილ II-ს დროიდან, მძლავრი თავდაცვითი სისტემა ჰქონდა შექმნილი, რისი მეშვეობითაც იმპერია თურქულ-თურქმენული ტომების შემოსევებს მეტ-ნაკლები წარმატებით უმკლავდებოდა.

მცირე აზიაში სელჯუკთა გამოჩენა, ბიზანტიის ხელისუფლებამ თავდაპირველად ვერ შეაფასა, როგორც საფრთხის ახალი და ბევრად საშიში წყარო, მაგრამ მას შემდეგ, რაც მათმა სათარეშო ლაშქრობებმა მიიღო უაღრესად ინტენსიური, მასშტაბური და სტაბილური ხასიათი, რის წინააღმდეგაც იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრების თავდაცვის არსებული საგარნიზონო სისტემა არაეფექტური აღმოჩნდა, ბიზანტიის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, გენერალური ბრძოლის მეშვეობით ერთხელ და სამუდამოდ აღეკვეთა სელჯუკების აგრესიული რეიდები მათ ტერიტორიებზე. ამ მიზნით, იმპერატორმა რომან IV დიოგენმა (1068-1072 წწ.) მოახდინა რა იმპერიის სამხედრო პოტენციალის სრული მობილიზება, თავი მოუყარა უზარმაზარ არმიას (აღმოსავლური წყაროები მეომართა რაოდენობად 100 ათასიდან 700 ათასს ასახელებენ, რაც ფანტასტიკის სფეროა, რეალობაში რომან დიოგენს შეიძლებოდა ჰყოლოდა მაქსიმუმ 30-40 ათასი მეომარი)[4] და 1068 წლიდან დაიწყო სამხედრო კამპანია სელჯუკთა წინააღმდეგ.

მიუხედავად თავდაპირველი სამხედრო წარმატებებისა, როდესაც დიოგენმა თურქებისგან გაწმინდა ერზრუმისა და ვანის ტბის მიმდებარე რეგიონები და რამდენიმე ბრძოლაში დაამარცხა სელჯუკები, მოვლენები ბიზანტიელთათვის მაინც კატასტროფულად განვითარდა. 1071 წელს, ვანის ტბის ჩრდილოეთით მდებარე, ქ. მანციკერტთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში, ბიზანტიის არმია სასტიკად დამარცხდა, ხოლო თავად იმპერატორი ტყვედ ჩავარდა.[5]

სელჯუკების გამარჯვება მანციკერტთან არ იყო მხოლოდ დიდი სამხედრო

წარმატება. ამ ბრძოლის შედეგებმა, რომელმაც დაშალა ბიზანტიის სახელმწიფო მართვის მექანიზმი მცირე აზიაში, უდიდესი გავლენა იქონია ისტორიული პროცესების შემდგომ განვითარებაზე.

კონსტანტინოპოლში მანციკერტის კატასტროფას, ტყვედ ჩავარდნილი დიოგენის ნაცვლად სხვა იმპერატორის არჩევა და სამოქალაქო ომების ათწლიანი (1071-1081 წწ.) სერია მოჰყვა შედეგად, რის გამოც მთელ მცირე აზიაში მართვისა და თავდაცვის სახელმწიფო სისტემა სრულიად მოშლილი აღმოჩნდა. გარნიზონების გარეშე დარჩნენ ანატოლიის რიგი მსხვილი ქალაქები და მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები (გარნიზონები, რომლებიც რომან დიოგენის მიერ იყვნენ საველე არმიაში მობილიზებულნი მანციკერტთან განადგურდნენ, ახლების დასაკომპლექტებლად კი, რეგიონალური მმართველობის სისტემა, მანციკერტის შემდეგ გაჩაღებული სამოქალაქო ომის პირობებში, არაეფექტური აღმოჩნდა). ბიზანტიის ცენტრალურმა ხელისუფლებამ მთლიანად დაკარგა კონტროლი რეგიონებზე (ფემებზე), რამაც ხელი შეუწყო სეპარატისტული პროცესების განვითარებას მცირე აზიაში მცხოვრებ ადგილობრივ არისტოკრატიაში. შექმნილი ქაოსისა და ცენტრალური მართვის სისტემის დასუსტების შედეგად, დროის ძალიან მოკლე მონაკვეთში მცირე აზია აჯანყებებმა მოიცვა, 1073 წელს აჯანყდნენ ნორმანდიელი მოქირავნეები რუსელის მეთაურობით, რასაც მალე მოჰყვა სხვა აჯანყებებიც. ამ პროცესების შედეგად, წარმოიქმნა სხვადასხვა დამოუკიდებელი თუ ნახევრად დამოუკიდებელი სეპარატისტული ანკლავები, რომლებიც ხშირად თავად ეპატიჟებოდნენ სელჯუკებს მოკავშირეებად ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. ტრაპიზონის ფემაში თავი დამოუკიდებელ მმართველად გამოაცხადა გავრების გვარმა, 1078-1085 წლებში ადგილობრივი სომეხი არისტოკრატის, ვინმე ფილარეტ ვარაჯუნის ხელში აღმოჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი ბიზანტიური სასაზღვრო ქალაქები, როგორიც იყო მარაში, ანტიოქია და ედესა (თან. სანლიურფა). 1080 წლისთვის ჩრდილო კაბადოკიის მმართველად თავი გამოაცხადა რუბენიდების სომხურმა გვარმა და ა.შ.[6]

სეპარატისტული პროცესების განვითარების შედეგად დაიკარგა ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ ორგანიზებული კავშირი სხვადასხვა რეგიონებს შორის, რის გარეშეც რეგიონებს არ აღმოაჩნდათ წინააღმდეგობის გაწევის უნარი და მცირე აზია აბსოლუტურად დაუცველი აღმოჩნდა სელჯუკთა შემდგომი შეტევების წინაშე, რომელიც სელჯუკთა მხედართმთავრისა და შემდგომში რუმის პირველი სულთანის (1078-1085 წწ.), სულეიმანის მეთაურობით დაიწყო, დაახლოებით 1075-76 წლებისთვის. ეს ექსპანსია, განსხვავებით 1045-1071 წლების ლაშქრობებისგან, აღარ იყო სათარეშო ხასიათის და უკვე ტერიტორიების ოკუპაციას და მათზე მყარად დამკვიდრებას ისახავდა მიზნად.[7]

1078 წელს სულეიმანმა დაიკავა მცირე აზიის ერთ-ერთი ცენტრალური ოლქი ბითვინია მის მთავარ ქალაქ ნიკეასთან (თან. იზნიკი) ერთად და რუმის სასულთნოს შექმნა გამოაცხადა დედაქალაქით ნიკეაში, რომელიც კონსტანტინოპოლს სულ ასიოდე კილომეტრით იყო დაცილებული.

სელჯუკების შეტევების პარალელურად, მცირე აზია სხვა თურქული ტომების აგრესიის ობიექტიც გახდა. ხმელთაშუა ზღვაზე, მცირე აზიის უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქი სმირნა (თან. იზმირი), მიმდებარე კუნძულებთან (ლესბოსი, ქიოსი, სამოსი, როდოსი) და რეგიონის სხვა მნიშვნელოვან ქალაქებთან (ეფესო, სარდი) ერთად, დაიკავა თურქმა ემირმა ჩაკამ, რომელმაც შექმნა იზმირის მსხვი-

ლი მუსლიმური საემირო.

მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილში წარმოიქმნა დანიშმენდიდების ასევე საკმაოდ მსხვილი საემირო, რომლის ცენტრალური ქალაქებიც, სივასი, კესარია (თან. კაისერი), ტოკატი და მელისენა, აკონტროლებდნენ მნიშვნელოვან კომუნიკაციურ მაგისტრალებს აღმოსავლეთისკენ. გაჩნდნენ სხვა წვრილი საემიროებიც.

ამგვარად, სელჯუკთა მასირებული ექსპანსიის შედეგად, XI საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისისთვის, მცირე აზია თითქმის მთლიანად (გარდა ტრაპიზონის და სინოპის მცირე სანაპირო ზოლებისა) მათ ხელში აღმოჩნდა, სელჯუკები ამ პერიოდისთვის ბოსფორის სანაპიროებზეც კი იყვნენ გასული და პირდაპირ უყურებდნენ კონსტანტინოპოლს. 80-იანი წლების დასაწყისისთვის, ბიზანტიის ახალმა იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა (1081-1118 წწ.) შესძლო თურქების განდევნა ბოსფორიდან 40-50 კმ-ს სიღრმეში, მაგრამ შემდგომი წინსვლის გაგრძელება ვეღარ მოახერხა და სულეიმანთან გაფორმებული ზავის მიხედვით, მცირე აზია სელჯუკთა კანონიერ ტერიტორიად სცნო.[8]

მცირე აზიაში ექსპანსიის პარალელურად, გრძელდებოდა სელჯუკთა დამკვიდრება სამხრეთ კავკასიის ტერიტორიებზეც, სადაც მათ ერთმანეთის მიყოლებით დაიკავეს სომხური ტერიტორიები, ხოლო 70-იანი წლებისთვის, მიიერთეს განძის საემირო და სამხრეთ საქართველოს რიგი რეგიონები ცენტრით სამშვილდეში.[9]

პოლიტიკურ ძალთა ბალანსი სელჯუკთა ექსპანსიის შემდგომ

თოღრულ-ბეგმა რამდენიმე წლის განმავლობაში, თურქული სამხედრო ძალით, სპარსული ადმინისტრაციული სტრუქტურითა და არაბული მეცნიერების კულტურული ბრწყინვალებით, საფუძველი ჩაუყარა ძლიერ სახელმწიფოს.

პიერ ვიიმარი.

სელჯუკთა ექსპანსიის შემდგომ, ამიერკავკასიისა და წინა აზიის რეგიონებმა, განიცადეს პოლიტიკური ვითარების სრული სახე-ცვლილება და აბსოლუტურად ახალი კონფიგურაციით ჩამოყალიბდნენ (რუქა №2).

ამ ცვლილებების უმთავრესი შედეგი იყო ის, რომ აღნიშნულ რეგიონებიდან გაძევებული აღმოჩნდა ერთ-ერთი მთავარი დომინანტი ბიზანტიის იმპერია, ხოლო მეორე, არაბთა ხალიფატი, უკიდურესი სამხრეთით იქნა ლოკალიზებული. სელჯუკთა ხელთ აღმოჩნდა ირანი, თითქმის მთელი აზერბაიჯანი, ერაყი, სირია, პალესტინის მნიშვნელოვანი ნაწილი და მცირე აზია (რუქა № 2)

პოლიტიკური რუქიდან გაქრნენ რიგი სომხური, აზერბაიჯანული თუ არაბული სახელმწიფოები, რის შედეგადაც უზარმაზარ ტერიტორიებზე ერთადერთი დომინანტი, სელჯუკთა იმპერია აღმოჩნდა.

მომხდარ ცვლილებათა უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო ისიც, რომ დაირღვა აქამდის გაწონასწორებული ბალანსი ქრისტიანობასა და მაჰმადიანობას შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. მოცემული მომენტისთვის (XI საუკუნის 70-80-იანი წლები), აღნიშნულ რეგიონებში არსებული სახელმწიფოებიდან, ქრისტიანობას სახელმწიფო რელიგიის რანგში, ფაქტიურად, მხოლოდ საქართველო ინარჩუნებდა (თუ არ ჩავთვლით ბიზანტიურ ტრაპიზონსა და სინოპს. რაც შეეხება სომხურ

სახელმწიფოებს, იმ დროისთვის ისინი განადგურებულნი იყვნენ, ახალი კი კილიკიაში, ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული),[1] დანარჩენ რეგიონებში, ქრისტიანობა წარმოდგენილი იყო ცალკეული თემებისა თუ რელიგიური სექტების სახით, რაც პოლიტიკურ ვითარებასა და ძალთა გადანაწილებაზე არსებით ზეგავლენას ვერ ახდენდა, მაგრამ ინარჩუნებდა ენერგიას და რესტავრაციის სურვილს.

დაახლოებით ასეთ ახალ რეალობებთან უწევდათ შეგუება ამიერკავკასიისა და წინა აზიის აბორიგენ მოსახლეობას, რომელთაც ამ მდგომარეობაში ან უნდა მოეძებნათ გზები გადარჩენისთვის, ან შეგუებოდნენ შექმნილ ვითარებას, განეცადათ სახე-ცვლილება და საბოლოო ჯამში დაღუპულიყვნენ სელჯუკურ სამყაროსთან ასიმილაციის გზით. მოხდა ისე, რომ გადარჩენის პირველი შესაძლებლობა მათ თავად სელჯუკებისგან მიიღეს.

მოცემული რეგიონების ახალი დომინანტების წარმატება იმდენად მასშტაბური და ელვისებური იყო, რომ XI საუკუნის 80-იანი წლებისთვის რეალური მოწინააღმდეგე სამხრეთ კავკასიაში, მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, მათ პრაქტიკულად, აღარ დარჩათ. ამ გარემოებამ ცუდი სამსახური თავად სელჯუკებს გაუწია და მკვეთრად დააჩქარა წინააღმდეგობრივი პროცესების განვითარება მათი იმპერიის შიგნით, რის შედეგადაც სელჯუკთა იმპერია, ფაქტიურად, ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში აღმოჩნდა დაშლილი და ერთმანეთს დაპირისპირებული, თუმც ამ პერიოდისთვის, ეს ვითარება საგანგაშოდ ჯერ არ გამოიყურებოდა და ვიზუალურად სელჯუკთა ჰეგემონიას თითქოსდა არაფერი არ ემუქრებოდა.

საქართველოს სამეფო სელჯუკთა ექსპანსიის პერიოდში

საით გარბიხართ? მტერი
უმოწყალოა, სიკვდილი კი
მონობაზე იოლი.
რობერტ გვისკარი.

დაახლოებით ასეთი იყო გეო-პოლიტიკური ვითარება და საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა 1089 წლისთვის, როდესაც საქართველოში დავით აღმაშენებელი გამეფდა. მის გამეფებას წინ უძღოდა ხანგრძლივი ბრძოლა სელჯუკების წინააღმდეგ, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე პირველად 1063 წელს გამოჩნდნენ. ამ წელს, სელჯუკთა დიდმა სულთანმა ალფ-არსლანმა (1063-1072 წწ.) დალაშქრა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონები (მესხეთი, ჯავახეთი, ტაო, შავშეთი) და მიუხედავად იმისა, რომ ეს ლაშქრობა მარბიელი ხასიათის იყო და სელჯუკებს არ უცდიათ ტერიტორიების ოკუპაცია, უკვე აშკარა იყო, რომ საქართველოს წინაშე გამოჩნდა ძლიერი და დაუნდობელი მტერი, რომელიც არ დაკმაყოფილდებოდა ნადავლითა და ერთი მარბიელი ლაშქრობით.[1]

შემდგომ წლებში (1067-1083 წწ.), სელჯუკებმა რამდენჯერმე ილაშქრეს საქართველოში და სასტიკად ააოხრეს იგი. მიუხედავად ქართველ მეფეთა ცალკეული წარმატებებისა, საიდანაც აღსანიშნავია ბაგრატ IV-ს შეტევა განძის საემიროზე 1067 წელს, რაც ფაქტიურად, სელჯუკთა იმპერიაზე თავდასხმას უდრიდა[2] და გიორგი II-ს (1072-1089 წწ.) ბრწყინვალე გამარჯვება ფარცხისის ბრძოლაში, მალიქ-შაჰის არმიაზე 1074 წელს,[3] ცხადი იყო, რომ სამეფო შემოტევებს დიდხანს ვერ გაუძლებდა.ქვეყნის გადასარჩენად საჭირო იყო სელჯუკთა იმპერიასთან

კომპრომისისა და თანაცხოვრების გარკვეული ფორმის მოძებნა და ეს კომპრომისი გიორგი II-ს მიერ ვასალიტეტის აღიარებითა და ხარკის გადახდის ვალდებულების აღებით გამოიხატა 1083 წელს.[4]

ერთი შეხედვით საკმაოდ უცნაურად გამოიყურება ის ფაქტი, რომ თავისი ძლიერების ზენიტში, სელჯუკებმა უარი თქვეს საქართველოს სამეფოს (და მასთან ერთად, კახეთის სამთავროსა და დერბენდ-შირვანის) დაპყრობაზე და ყოველწლიური ხარკის მიღებით დაკმაყოფილდნენ. ის გარემოება, რომ სელჯუკებს მოცემული მომენტისთვის ძალუძდათ საქართველოს ოკუპაცია ასეთი ამოცანის სპეციალურად არსებობის პირობებში, არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს. საქართველო, სამხედრო შესაძლებლობებითა და რესურსებით, ვერ გაუწევდა დიდი ხნის წინააღმდეგობას სელჯუკთა უზარმაზარ პოტენციალს. ერთადერთი ლოგიკური მოტივაცია, რის გამოც სელჯუკებს უარი უნდა ეთქვათ საქართველოს დაპყრობაზე, უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ ამ დროისთვის ახალი ტერიტორიების შეყვანა იმპერიის შემადგენლობაში აღარ წარმოადგენდა სელჯუკთა სტრატეგიულ მიზანს, რის გამოც მათ საგარეო პოლიტიკაში მოხდა კარდინალური ცვლილებები.

ამიერკავკასიის სახელმწიფოებთან ვასალიტეტის გაფორმების პარალელურად, სელჯუკებმა შეაჩერეს ექსპანსია ფატიმიდური ეგვიპტის წინააღმდეგ, სადაც ბოლო დაპყრობილ ტერიტორიას იერუსალიმი წარმოადგენდა (1086წ) და დაიწყეს აქტიური სამშვიდობო მოლაპარაკებები ბიზანტიის იმპერიასთან, რომელსაც, პრაქტიკულად, უკან დაუბრუნეს თითქმის უკვე დაპყრობილი სინოპი.[5]

რასაკვირველია, სელჯუკთა მოულოდნელი სამშვიდობო პოლიტიკა არ შეიძლებოდა განპირობებული ყოფილიყო იმპერიის დიდი სულთნის, მალიქ-შაჰის „მშვიდობის სიყვარულით", ამ ცვლილებებს თავისი კონკრეტული მიზეზები ედო საფუძვლად.

სელჯუკთა დაპყრობით პოლიტიკას ჰქონდა ერთი დამახასიათებელი თვისება, რასაც პირობითად „სელჯუკური მარაო" შეიძლება ვუწოდოთ. მათ მიერ ტერიტორიების დაპყრობა და ათვისება ხდებოდა საკმაოდ მკაცრი თანმიმდევრობით და როგორი წარმატებულიც არ უნდა ყოფილიყო მათი მარბიელი ლაშქრობა შორეულ დისტანციებზე, თუ დარბეული ერთეული არ მდებარეობდა უკვე დაპყრობილისა და ათვისებულის გვერდით, ისინი მის შენარჩუნებას არ ცდილობდნენ. მაგალითად, როდესაც სელჯუკები 1047 წელს არბევდნენ ერზრუმს, მათ არ უცდიათ აქ დამკვიდრება იმის გამო, რომ ჯერ არ იყვნენ დამკვიდრებულნი ყარსსა და დვინში. ყარსი და დვინი მანამ არ აითვისეს, სანამ არ დამკვიდრდნენ ნახიჭევანსა და თავრიზში , ამ უკანასკნელებზე მანამ არ სცადეს დამკვიდრება, სანამ არ დაფუძნდნენ ისპაჰანში და ა.შ. იგივე ხდებოდა მცირე აზიაშიც, სადაც სელჯუკები, ექსპანსიის ადრეულ წლებშივე აღწევდნენ ანატოლიის ისეთ შორეულ ქალაქებს, როგორებიც იყო იკონია (თან. კონია), ლაოდიკია (თან. დენიზლი) და სხვა, მაგრამ არ ცდილობდნენ მათ შენარჩუნებას, სანამ დაპყრობების ტალღა თავისი თანმიმდევრობით არ მიადგა მათ. თვით მანციკერტის ბრძოლის შემდეგ, სელჯუკები რამდენიმე წელი არ იკავებდნენ მცირე აზიის ქალაქებს, მიუხედავად იმისა, რომ ამაში ხელს ვეღარავინ შეუშლიდა, თუმცა მოაწყვეს რამდენიმე მარბიელი ლაშქრობა ანატოლიის სიღრმეში და ბოსფორის ნაპირებამდეც კი მივიდნენ. ანუ, სელჯუკების მიერ ტერიტორიების დაპყრობა მიმდინარეობდა ერთგვარი მარაოს პრინციპით, რომელიც თანმიმდევრულად იშლებოდა და ფართოვდებო-

და სხვადასხვა მიმართულებებით. როგორც ჩანს, სელჯუკები აუცილებლობად თვლიდნენ (და, აშკარად, არცთუ უსაფუძვლოდ) ახლად დაკავებული ტერიტორიების სიახლოვეს მათი ადმინისტრაციული ინსტიტუტების არსებობას, რასაც ახლად დაპყრობილი ტერიტორიების ათვისება და სელჯუკთა მმართველობის სისტემაში შეყვანა უნდა გაეიოლებინა.

თუ თვალს გადავავლებთ სელჯუკების ექსპანსიის თანმიმდევრობას, უნდა დავინახოთ, რომ „სელჯუკური მარაოს" პრინციპის არსებობამ ხელი შეუწყო საქართველოს სამეფოს, ისევე როგორც იმ დროინდელ კახეთსა და დერბენდ-შირვანს, ხარკის გადახდის ფასად, მაგრამ მაინც დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ. მაგალითად, 1067 წელს ალფ-არსლანმა ქართლიც უპრობლემოდ დაიკავა და თბილისიც იოლად აიღო, მაგრამ ისინი სელჯუკთა უშუალო მმართველობაში არ შეუყვანია, რადგან „სელჯუკური მარაო" (ე.ი. მათ მიერ ათვისებული ტერიტორიები) ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იმყოფებოდა საქართველოს საზღვრებისგან. „სელჯუკური მარაო" მას მიადგა მაშინ, როდესაც სელჯუკთა დაპყრობითი პოტენციალი უკვე დაქვეითების გზაზე იდგა, ხოლო სელჯუკთა იმპერიის წინაშე ახალი ამოცანები იყო ჩამოყალიბებული იმპერიის საზღვრების მთლიანობისა და ცენტრალური ხელისუფლების ჰეგემონიის შენარჩუნების სახით უკვე დაპყრობილ ტერიტორიებზე.

რეალური მოტივი, რასაც მალიქ-შაჰი და მისი განთქმული ვეზირი ნიზამ ალმულკი უნდა დაერწმუნებინა დაპყრობითი ომების შეჩერებისა და სახელმწიფო პოლიტიკის კარდინალური ცვლილებების აუცილებლობაში, უნდა მდგომარეობდეს იმაში, რომ უზარმაზარი სამფლობელოების ადმინისტრირება შეუძლებელი ხდებოდა. ხოლო კონკრეტული მიზეზი, რასაც ეს გადაწყვეტილება უნდა გაემყარებინა, 80-იანი წლების დასაწყისისთვის სელჯუკთა დიდი იმპერიისა და რუმის სასულთნოს ურთიერთობაში გამოიკვეთა. რუმის სასულთნოში სეპარატისტული ტენდენციების გამომჟღავნება 80-იანი წლების დასაწყისისთვის დაიწყო, როდესაც რუმის სულთანი ფაქტიურად აღარ სცნობდა სელჯუკთა დიდი სულთნის ძალაუფლებას. ეს დაპირისპირება 1085 წლისთვის ღია ომში გადაიზარდა. მცირე აზიელ სელჯუკებს, რიგი მიზეზების (მათ შორის საზღვაო პოტენციალის არ ქონის) გამო, აღარ შეეძლოთ ექსპანსიის გაგრძელება დასავლეთით, ამიტომ საზღვრების გაფართოვება სირიის მიმართულებით დაიწყეს, როდესაც სომეხ რენეგატს, ფილარეტ ვარაჯუნს წაართვეს ანტიოქია და ექსპანსია ალეპოს მიმართულებით გააგრძელეს, სადაც სელჯუკთა დიდი სულთნის მიერ დანიშნული ემირი იჯდა. ალეპოს დაპყრობის მცდელობა იმპერიასთან ომს ნიშნავდა და სულეიმანის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ იქნა გაგზავნილი არმია, მალიქ-შაჰის ძმის, ტუტუშის მეთაურობით.[6]

რუმის სულთანი სულეიმანი, ტუტუშთან ბრძოლაში დამარცხდა და დაიღუპა კიდეც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს იყო უაღრესად საგანგაშო სიმპტომი იმპერიის ხელისუფლებისთვის, რომლისთვისაც ცხადი გახდა, რომ სელჯუკთა დაპყრობითი პოლიტიკა თავისი შესაძლებლობების ზღვარს მიადგა, რის შემდეგაც შესაბამისი ზომების მიუღებლობის შემთხვევაში, იმპერიის აქტიური რღვევა დაიწყებოდა (რაც გეომეტრიული პროგრესიით, განვითარდა კიდეც). საჭირო იყო ცვლილებების განხორციელება, დაპყრობითი ომების შეწყვეტისა და იმპერიის შიდა სახელმწიფოებრივი ინსტიტუციონალიზმის გაძლიერების გზით.[7]

ასეთ ვითარებაში, სელჯუკებისთვის ისე აქტუალური აღარ იყო ახალი მიწების

შეერთება და სწორედ ეს იყო მიზეზი იმ ვითარებისა, რომ გიორგი II-ს მხრიდან ხარკის გადახდის ვალდებულებას შემდგომ წლებში აღარ მოჰყვა მთელი სამეფოს ოკუპაცია, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, შადადიდების დროინდელ განძის საემიროს მიმართ, რომელმაც სელჯუკების მათ ტერიტორიებზე გამოჩენისთანავე იკისრა სახარკო ვალდებულება, მაგრამ 1175 წელს მაინც დაპყრობილი და იმპერიის ტერიტორიებს შეერთებული აღმოჩნდა.

ყოველივე აღნიშნულმა ხელი შეუწყო საქართველოს გადარჩენას, რაც მიუხედავად სახარკო ვალდებულებისა, რომელიც, როგორც ჩანს, ყოველწლიურად ფულადი თანხის გადახდასა და სელჯუკთა არმიაში მეომართა გარკვეული კონტიგენტის გაგზავნაში გამოიხატებოდა,[8] საქართველოს სამეფოსთვის შეზღუდულ, მაგრამ მაინც დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ნიშნავდა, ეს კი იმ ვითარებისთვის ნამდვილად დიდ მიღწევას წარმოადგენდა და შესაძლებლობას აძლევდა ქვეყანას შემდგომი განვითარებისთვის.

ვასალიტეტის აღიარების შემდეგ, ფაქტიურად, შეწყდა ორგანიზებული ექსპანსიისა და სამეფოს დარჩენილი ტერიტორიების ოკუპაციის უშუალო საფრთხე სელჯუკთა იმპერიის მხრიდან, მაგრამ საშიშროება ამით ბოლომდის არ მოხსნილა. თავისთავად, მუდმივი საფრთხის შემცველი იყო ის მძიმე საერთაშორისო ვითარება და ის მტრული გარემო, რომლითაც ქვეყანა აღმოჩნდა გარსშემორტყმული სამხრეთი საზღვრების მთელ სიგრძეზე, სადაც გაქრნენ ქრისტიანული სახელმწიფოები და „სოკოებივით" აღმოცენდნენ სელჯუკური საემიროები, რომლებიც მართალია ექვემდებარებოდნენ სელჯუკთა ცენტრალურ ხელისუფლებას, მაგრამ რეგიონალურ პოლიტიკაში პრაქტიკული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, რითაც მიუხედავად სელჯუკთა იმპერიასა და საქართველოს შორის არსებული ვასალიტეტისა, მუდმივი სამხედრო ექსპანსიის საფრთხეს ქმნიდნენ საქართველოსთვის.

სურ. 2. ა. მაკბრაიდი. თურქმენი მომთაბარე

საქართველოს უფრო დიდ საშიშროებას უქმნიდა სხვადასხვა თურქმენ მომთაბარე ტომთა პრობლემა, რომლებიც ყოველწლიურად იზამთრებდნენ საქართველოს სამხრეთ რეგიონების საძოვრებზე და ეწეოდნენ მომთაბარეთათვის დამახასიათებელ ძარცვა-გლეჯას, რაც ქვეყნას განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებდა. მომ-

თაბარეთა რეიდების შედეგად, საგანგაშო მაშტაბებს აღწევდა დანაკარგები მოსახლეობაში, ეკონომიკაში, ირღვეოდა მეურნეობის ნორმალური ციკლი, იცლებოდნენ სოფლები და მთელი რეგიონები. მომთაბარეთა პრობლემას ართულებდა ის გარემოებაც, რომ ისინი ყოველგვარი სახელმწიფო სისტემის გარეთ იდგნენ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებითა და სურვილებით მოქმედებდნენ, რის გამოც სელჯუკთა ადმინისტრაციასაც კი არ ძალუძდა მათი მოქმედებების რეგულირება.[9]

თურქმენ მომთაბარე ტომთა უმრავლესობა თავდაპირველად, სელჯუკთა ექსპანსიის საბრძოლო ავანგარდს წარმოადგენდა. მაგრამ მას შემდეგ რაც იმპერიის გაფართოვების პარალელურად, სელჯუკთა გაერთიანებაში შემავალ სხვადასხვა თურქულ მომთაბარულ ტომთა უმრავლესობამ საქალაქო ან სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების წესზე დაიწყო გადასვლა და მათ მიერ დაპყრობილ ქალაქებსა და სასოფლო-სამეურნეო რეგიონებში დასახლდა, თურქმენები თავისი ცხოვრების მომთაბარული წესით, წინააღმდეგობაში მოვიდნენ სახელმწიფო სისტემასთან.[10] ისინი არ ცნობდნენ არათუ საქართველოს ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს, არამედ თვით სელჯუკთა იმპერიისა და მისი ცალკეული საემიროების ცენტრალურ მმართველობას. თურქმენები სელჯუკური სამყაროს „ანარქისტები" იყვნენ და არ აღიარებდნენ დამოკიდებულებას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ, არ იხდიდნენ გადასახადებს და საძოვრებს განიხილავდნენ, როგორც საერთო-ტომობრივ საკუთრებას, რითაც დიდ პრობლემებს უქმნიდნენ სელჯუკთა მმართველობის სისტემას, რომელიც სავსებით ბუნებრივად (და შეიძლება ყოველგვარი ექსპანსიონისტური მოტივაციის გარეშეც) დაინტერესებული იყო, რათა ამგვარ მომთაბარე ტომებს საძოვრები მათი ტერიტორიების გარეთ ეპოვათ. შედეგად, თურქმენთა კონცენტრაცია ხდებოდა უზარმაზარი იმპერიის სასაზღვრო რეგიონებში მეზობელ სახელმწიფოებთან (მაო შორის საქართველოსთან), რომელთა საძოვარი მასივებიც მიმზიდველ ობიექტებს წარმოადგენდა მომთაბარე მესაქონლეობისთვის.[11]

თურქმენთა პრობლემას ართულებდა ის გარემოებაც, რომ ისინი პირველხარისხოვანი მეომრები (სურ. 2; ტაბ. I-4) იყვნენ და თავისი მობილური მსუბუქი ცხენოსანთა რაზმებით მარბიელი ლაშქრობებისთვის იდეალურ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ რეგიონის ნებისმიერი სახელმწიფო ცდილობდა მათ გამოყენებას და თურქმენები შესაფერისი გასამრჯელოს ფასად, დიდი სიამოვნებით უწევდნენ სამხედრო სამსახურს, როგორც მუსლიმურ, ასევე ქრისტიანულ ქვეყნებს ერთმანეთის წინააღმდეგ ომში. სელჯუკთა არმიების გარდა, ისინი ხშირად ჩნდებოდნენ როგორც ბიზანტიური, ასევე ჯვაროსნული არმიების შემადგენლობაშიც.[12]

XI საუკუნის მიწურულისთვის, საქართველოს ტერიტორიები ასეთი მომთაბარე ტომებისგან ავსებული აღმოჩნდა, რაც არანაკლებ საშიშ მოვლენას წარმოადგენდა ქვეყნისთვის, ვიდრე უშუალო მეზობლობა სელჯუკთა იმპერიასთან. მომთაბარეობა იყო სელჯუკური ექსპანსიისგან წარმოქმნილი ის ყველაზე დიდი საფრთხე, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრიობას თანმიმდევრული განადგურებითა და წალეკვით ემუქრებოდა. სწორედ ის წარმოადგენდა იმ ერთ-ერთ ყველაზე რთულ და მასშტაბურ პრობლემას, რომლის გადაჭრაზეც მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული იყო ქვეყნის განვითარება და მომავალი.[13]

საქართველოსთვის შექმნილ ამ უმძიმეს და უიმედო ვითარებაში, საიდანაც

გამოსავალი თითქოსდა არ სჩანდა, ქართულმა სახელმწიფოებრიობამ საოცარი სიცოცხლისა და ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნა. ქვეყნის პატრიოტული ძალები, რომლებიც არ აპირებდნენ მდგომარეობასთან შეგუებას, აშკარად უკმაყოფილო იყვნენ იმ ნიჰილისტური პოლიტიკით, რასაც მეფობის ბოლო წლებში გიორგი II ატარებდა და რადიკალურ ცვლილებებს მოითხოვდნენ.

პირველ რიგში, საჭირო იყო ახალი ლიდერი, რომელიც საერთო უიმედობის პირობებში შეძლებდა ქვეყნის მართვას და ასეთი ლიდერი საქართველომ მიიღო 1089 წელს დავით აღმაშენებლის სახით. ლიდერთან ერთად საჭირო იყო გლობალური ცვლილებები საქართველოს გარშემო არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში, რა პირობებშიც, ახალი ლიდერის ხელმძღვანელობით შესაძლებელი გახდებოდა ქვეყნის პოტენციალის გაზრდა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის რეალიზება. ასეთი ცვლილებები დაიწყო XI საუკუნის მიწურულს და მასთან ერთად დაიწყო დავით აღმაშენებლის ეპოქაც.

თავი II

ცვლილებები გეო-პოლიტიკურ ვითარებაში. ამიერკავკასია და წინა აზიის რეგიონები XI-XII საუკუნეების მიჯნაზე

ჯვაროსანთა შეტევა სელჯუკებზე

Deus Lo Volt (ასე სურს ღმერთს).
ჯვაროსანთა საბრძოლო შეძახილი.

1096 წლის ბოლოსთვის, კონსტანტინოპოლში შეგროვდა ჯვაროსანთა ოთხი არმია, რომელთა მიზანიც სელჯუკების მიერ დაკავებული მცირე აზიის გავლით, პალესტინაში ჩასვლა და ურწმუნოთა ხელში მყოფი იერუსალიმის განთავისუფლება იყო. ჯვაროსნული ლაშქრობა დაიწყო 1097 წლის გაზაფხულზე რუმის სასულთნოს დედაქალაქის ნიკეის ალყით, რომელიც აღების შემდეგ ბიზანტიას დაუბრუნდა (სურ. 3).[1]

I ჯვაროსნული ლაშქრობა სელჯუკებისთვის იყო აბსოლუტური მოულოდნელობა. იმ დროს, როდესაც ჯვაროსანთა არმიები ბოსფორის სრუტეზე გადადიოდნენ და ნიკეის ალყას იწყებდნენ, რუმის სულთანი ყილიჩ-არსლანი (1092-1107 წწ.) მისგან გამდგარი დანიშმენდიდების საემიროს დასასჯელად მიემართებოდა. მან მხოლოდ მას შემდეგ გააცნობიერა ჯვაროსანთაგან მომდინარე საფრთხის მასშტაბები, როდესაც მისი დედაქალაქი ყველა მხრიდან გარშემორტყმული აღმოჩნდა. სულთანი დაუყოვნებლივ დაბრუნდა ნიკეასთან მაგრამ უკვე გვიანი იყო, მან ვერც ქალაქის და ვერც მასში მყოფი საკუთარი ოჯახის შველა შესძლო, ქალაქიც დაეცა და სულთანის ოჯახიც ტყვეობაში აღმოჩნდა.[2]

წარმატება, არც ყილიჩ-არსლანის (სურ. 13.) და არც საერთო საფრთხის წინაშე მასთან გაერთიანებულ, დანიშმენდიდების საემიროს ერთობლივ ქმედებებს მოჰყოლია. მათ ვერ შესძლეს ჯვაროსანთა მარშის შეჩერება მცირე აზიაში და მათთან გამართულ რამდენიმე ბრძოლაში სასტიკადაც დამარცხდნენ.[3]

ასევე სავსებით მოულოდნელი აღმოჩნდა ჯვაროსანთა გამოჩენა სირიაში დამკვიდრებული სელჯუკი ემირებისთვისაც, რომლებიც ჯვაროსანთა გამოჩენის მომენტში, ასევე ურთიერთშორისი ბრძოლებით იყვნენ დაკავებულნი. ახალი საფრთხის წინაშე გაერთიანებულმა სელჯუკებმა, სცადეს თავდამსხმელთა განადგურება ანტიოქიასთან, რომელიც ჯვაროსანთა ალყაში იმყოფებოდა (1098წ), მაგრამ უშედეგოდ. ალეპოსა და მოსულის სელჯუკური არმიები, ანტიოქიის გადარჩენის მცდელობისას, თავად განადგურდნენ.[4]

ჯვაროსანთა წარმატება სირია-პალესტინაში იყო ისეთივე ელვისებური და თავბრუდამხვევი, როგორც თავის დროზე სელჯუკთა მიერ მცირე აზიის დაპყრობა. სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში (1098-99 წწ.), მათ დაარსეს ოთხი სახელმწიფო და თავისი ექსპანსიით ხელი შეუწყვეს მცირე სომხეთის (კილიკიის) სამეფოს ფორმირებასაც.

მართალია, ახლადშექმნილი ქრისტიანული სახელმწიფოები დიდი მასშტაბებით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ ეკავათ უაღრესად ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა მუსლიმურ გარემოცვაში და როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, საოცრად სიცოცხლის უნარიანებიც აღმოჩნდნენ.

ჯვაროსანთა სირია-პალესტინაში დამკვიდრებით, სელჯუკებმა საგრძნობი ტერიტორიები და რამდენიმე მსხვილი ქალაქი დაკარგეს. განსაკუთრებით მტკივნეული იყო მათთვის ანტიოქიის დაკარგვა და ედესის საგრაფოს შექმნა, რის შედეგადაც თურქების ხელში დარჩენილი სხვა მსხვილი ქალაქები და პირველ რიგში, ალეპო და დამასკო, სანახევროდ იზოლირებულნი აღმოჩნდნენ სელჯუკთა იმპერიის ცენტრებისგან.

სურ. 3. ი. ძისი. ჯვაროსნების გამარჯვება ყილიჩ-არსლანის არმიაზე ნიკეასთან

საკმაოდ ფართო ტერიტორიებსა და მნიშვნელოვან სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალებზე კონტროლის დაკარგვით, სელჯუკთა ბატონობას სირია-პალესტინაში სერიოზული საფრთხე შეექმნა. ჯვაროსანთა ხელში აღმოჩნდა ის სტრატეგიული მიმართულებები, რომლებსაც უზარმაზარი ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდათ აღნიშნულ რეგიონში არსებულ საემიროებისთვის. მათი დაკარგვით, მუსლიმები კარგავდნენ პირდაპირ კავშირს როგორც ხმელთაშუაზღვის სავაჭრო ცენტრებთან, ასევე მათთვის წმინდა ქალაქებთან (მექასა და მედინასთან), რაც აიძულებდა სელჯუკებს მუდმივი ომი ეწარმოებინათ ჯვაროსანთა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან და მათ წინააღმდეგ დაეკავებინათ მნიშვნელოვანი ძალები.

სელჯუკებისთვის ჯვაროსანთა მხრიდან მომდინარე საშიშროება არ ამოიწურებოდა სირია-პალესტინაში ქრისტიანული სახელმწიფოების შექმნით. ჯვაროსნული არმიების ექსპანსია აღმოსავლეთში, I ჯვაროსნული ლაშქრობისა და იერუსალიმის სამეფოს დაარსების შემდეგაც, სისტემატიური პერიოდულობით გრძელდებოდა. სელჯუკთათვის, განსაკუთრებით სახიფათო იყო, 1100-1102 წლებში განხორციელებული სამი მსხვილი ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელთა ერთ-ერთი მიზანიც, უკვე სელჯუკთა ბატონობის ცენტრების განადგურება იყო მცირე აზიაში. მიუსედავად იმისა, რომ ჯვაროსნებმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს (აიღეს ანკარა და მიუახლოვდნენ სივასს), მათი ლაშქრობები ამჯერად მარცხით დამთავრდა, რაც მხოლოდ რუმის სასულთნოს, დანიშმენდიდებისა და ალეპოს საემიროების ძალების მაქსიმალური მობილიზების შედეგად გახდა შესაძლებელი.[5]

ამ წარმატების მიუხედავად, სელჯუკებს უკვე კარგად ესმოდათ, რომ ჯვაროსნებიდან მომდინარე საფრთხე არ შემოიფარგლებოდა რამდენიმე კამპანიით და ეს მოძრაობა, თავისი კოლოსალური რეზერვებითა და რელიგიური ფანატიზმით, უდიდეს

და ამასთან, ხანგრძლივ საშიშროებას წარმოადგენდა სელჯუკთა ბატონობისთვის მცირე აზიასა და სირია-პალესტინაში. სელჯუკები უკვე იმასაც კარგად ხვდებოდნენ, რომ ჯვაროსნული საფრთხის პრობლემის გადაჭრა სელჯუკთა დაქსაქსული პოტენციალის გაერთიანების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ერთი-ორი წარმატებული ლაშქრობა ევროპელ ქრისტიანთა წინააღმდეგ სიტუაციას ვერ შეცვლიდა და რამდენადაც სელჯუკთა დაშლის გზაზე მდგარი დიდი იმპერიის რესტავრაცია, იმ მომენტისთვის უკვე შეუსრულებად პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა, ამდენად წინა პლანზე გამოვიდა გაერთიანების რელიგიური იდეა ჯიჰადი, რომელიც ავალდებულებდა ყველა მუსლიმს (სუნიტებს, რომლებსაც სელჯუკები მიეკუთვნებოდნენ) ეწარმოებინათ საღმრთო ომი ურწმუნოთა წინააღმდეგ.

ბიზანტიელთა კონტრშეტევა სელჯუკებზე

არ შეიძლება სამართლიანი ქებით
არ აღინიშნოს ალექსი კომნენოსის
სიმტკიცე და კეთილგონიერება,
რომელიც მამაცურად ებრძოდა
თავისი დროის უბედურებებს.
ედვარდ გიბონი.



სურ. 4. ა. მაკბრაიდი. ბიზანტიელი მეომრები

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც საკმაოდ მტკივნეული დარტყმა მიაყენა სელჯუკთა ძლიერებას, იყო უკვე საკმაოდ გაძლიერებული ბიზანტიის იმპერიის კონტრშეტევა, რომელიც I ჯვაროსნული ლაშქრობის პარალელურად დაიწყო მცირე აზიაში, სელჯუკთა ექსპანსიის შედეგად დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად.

თავდაპირველად, ბიზანტიელები ჯვაროსნებთან კოალიციაში მოქმედებდნენ და მათ ერთობლივი ძალებით აიღეს ნიკეა, მაგრამ ანტიოქიის ალყის დროს, მათ შორის თავი იჩინა უთანხმოებამ, რის შემდეგაც ბიზანტიელებმა დატოვეს კოალიცია და დამოუკიდებლად გააგრძელეს სამხედრო მოქმედებები სელჯუკთა წინააღმდეგ.[1]

1098 წელს, ბიზანტიის არმია გრძელი რეიდით, რომელიც დაიწყო ანატოლიის უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ აბიდოსიდან, დაეშვა ეგეოსის ზღვის სანაპირო ზოლის გაყოლებაზე და ერთი მეორეს მიყოლებით გაანთავისუფლა სელჯუკთა ხელში მყოფი ეგეოსის ზღვისპირა ოლქები, მათ შორის მსხვილი ქალაქები, სარდი, ეფესი და სმირნა. ამის პარალელურად, ბიზანტიის ფლოტმა განახორციელა ანალოგიური რეიდი ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, ლესბოსზე, ქიოსზე, სამოსზე და როდოსზე, სადაც გაანადგურა თურქული გარნიზონები და ეგეოსის ზღვაზე აღადგინა ბიზანტიის იმპერიის კონტროლი.[2]

1099 წელს, იზმირის საემიროს დამარცხების შემდეგ, ბიზანტიელებმა განავითარეს შეტევა როგორც ფრიგიის, ასევე შავი და ხმელთაშუაზღვის სანაპიროების მიმართულებით სადაც მათი მოწინააღმდეგეები რუმის სასულთნო და დანიშმენდიდების საემირო იყვნენ. მათ თანმიმდევრობით აიღეს ფრიგიის ქალაქები ფილადელფია (თან. ალაშეჰირი), ლაოდიკეა (თან. დენიზლი), პოლიბოტუსი (თან. ულუბორლუ) და ატალია (თან. ანტალია), რის შემდეგაც 1104 წლისთვის, მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის სამხრეთ სანაპირო ზოლი კილიკიის სომხეთამდე, ტარსისა (თან. ტარსუსი) და ადანას ჩათვლით, კვლავ ბიზანტიის ხელში აღმოჩნდა, ისევე როგორც სამხრეთ შავიზღვისპირეთი, სადაც ასევე დაკავებულ იქნა მთელი სანაპირო ზოლი და აღდგენილ იქნა სახმელეთო კავშირი სინოპთან და ტრაპიზონთან (რუქა №3).[3]

ამ კონტრშეტევებით, ბიზანტიამ დაიბრუნა საკმაოდ მნიშვნელოვანი ტერიტორიები, მაგრამ მეტის მიღწევა ამ ეტაპზე ვერ შესძლო, რის შემდეგაც რუმის სასულთნოსთან დამყარდა ერთგვარი პარიტეტი 1116 წლამდე. ამ წელს კი, ბიზანტიის იმპერატორმა ალექსი კომნენოსმა განაახლა შეტევები სელჯუკთა წინააღმდეგ და მიუახლოვდა რუმის დედაქალაქ, იკონიას (თან. კონია).

ალექსი კომნენოსის გარდაცვალების შემდეგ, 1118 წელს, მისმა მემკვიდრეებმა გააგრძელეს შეტევები სელჯუკებზე, რომელიც მირიოკეფალის ბრძოლამდე (1176 წ) ბიზანტიელთა მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობდა.[4]

მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის იმპერიამ ვერ შესძლო მცირე აზიის სრულად გაწმენდა სელჯუკებისგან, XII საუკუნის განმავლობაში იგი მაინც წარმოადგენდა ისეთ ანგარიშგასაწევ ძალას, რომელიც მუდმივ საფრთხეს უქმნიდა სელჯუკთა ბატონობას მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში და მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდა სელჯუკთა სახელმწიფოებს.

ფატიმიდთა კონტრშეტევა სელჯუკებზე

ისინი ვინც მისდევენ
აღმოსავლეთის ცრუ წეს-
ჩვეულებებს, მათ ენაზე სუნიტებად
იწოდებიან. ხოლო ისინი
ვინც ეგვიპტურ ტრადიციებს
ამჯობინებენ და როგორც ჩანს,
უფრო ჩვენი რწმენისკენ იხრებიან,
შიიტებად იწოდებიან.

ვილჰელმ ტირელი.

I ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში, შეტევათა მესამე ტალღა სელჯუკთა წინააღმდეგ, მართალია ყველაზე ხანმოკლე და სუსტი, მაგრამ მაინც საკმაოდ მტკივნეული სელჯუკთათვის, განახორციელა ფატიმიდურმა ეგვიპტემ, რომლის ხელისუფლებამაც, ჰქონდა რა ბუნდოვანი წარმოდგენა ჯვაროსანთა მიზნებზე, ისინი პოტენციურ მოკავშირეებად ჩათვალა და მცირე აზიაში ჯვაროსანთა გამოჩენისთანავე, დაიწყო სამხედრო მოქმედებები სელჯუკთა წინააღმდეგ.

ფატიმიდების არმიამ 1098 წელს უკან დაიბრუნა სელჯუკებისგან წართმეული იერუსალიმი, რამლა, რიგი სხვა უფრო მცირე ქალაქები და აღადგინა ფატიმიდთა

კონტროლი პალესტინის ტერიტორიებზე ბეირუთამდე. ეგვიპტელები გეგმავდნენ შეტევის განვითარებას დამასკო-ალეპოზეც და მოკავშირეობის და პალესტინაში გავლენის სფეროების გაყოფის თხოვნით მიმართეს ჯვაროსანთა ლიდერებს, რაზეც ბუნებრივია, უარი მიიღეს, რის შემდეგაც თავად გახდნენ ჯვაროსანთა ექსპანსიის ობიექტი.[1]

მომდევნო წელს (1099წ) იერუსალიმის დაკარგვამ, მუსლიმი მოსახლეობის ამოწყვეტამ და ასკალონის ბრძოლაში განცდილმა მარცხმა, აიძულა ეგვიპტელი ფატიმიდები შეეწყვიტათ ბრძოლა სელჯუკების წინააღმდეგ და მათში რელიგიურ საფუძველზე, მტრის ნაცვლად მოკავშირეები ეძებნათ ევროპიდან მოსული საერთო მტრის წინააღმდეგ (პირველი ასეთი კავშირი, თუმც წარუმატებელი, შედგა 1124 წელს, როდესაც ფატიმიდები და სელჯუკები ერთად იცავდნენ ქალაქ ტირს ჯვაროსნებისგან). მოგვიანებით ასეთმა კავშირმა, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ითამაშა, ჯვაროსანთა საბოლოოდ დამარცხებაში.[2]

ისმაილიტების აჯანყება

მე რომ სულთნისთვის სიკეთე არ მსურდეს, ხანჯალი, რომელიც მიწაშია ჩარჭობილი, მის ფაქიზ გულს განგმირავდა.

ჰასან ას-საბახი.

XI-XII საუკუნეთა მიჯნისთვის სელჯუკთა პრობლემები არ ამოიწურებოდა ჯვაროსნებით, ბიზანტიითა და ეგვიპტით, ამ დროისთვის, მათთვის არანაკლებ საშიშროებად იქცნენ ისმაილიტები, რომელთა რელიგიური ფანატიზმი, საბრძოლო შემართება და სუნიტების სიძულვილი, გადაულახავი სირთულე აღმოჩნდა სელჯუკთა იმპერიისთვის მთელი მისი არსებობის მანძილზე.[1]

ისმაილიტები შიიტური რელიგიის რადიკალურ ფრთას მიეკუთვნებოდნენ, მათი მოძღვრება რელიგიური მიზნების მისაღწევად ძალადობის ნებისმიერ ფორმას დასაშვებად მიიჩნევდა. იმ პირობებში, როდესაც სელჯუკების ექსპანსია პოლიტიკურ ძალაუფლებასთან ერთად, სუნიზმის ჰეგემონიასაც ამკვიდრებდა ისლამურ სამყაროში, ისმაილიტები მათ დაუძინებელ მტრებად გადაიქცნენ. მათი, როგორც დამოუკიდებელი რელიგიური სექტის, ფორმირება დაიწყო XI საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ისინი დარწმუნდნენ, რომ ფატიმიდური ეგვიპტის შიიტურ სახელმწიფოს არ ძალუძდა სელჯუკების (ე.ი. სუნიზმის) ექსპანსიის შეჩერება, გაემიჯნენ ფატიმიდებს და დაიწყეს დამოუკიდებელი მოქმედებები.[2]

ისმაილიტთა აქტივობის პერიოდი სელჯუკთა წინააღმდეგ მათი სულიერი ლიდერის ჰასან ას-საბახის (1190-1124 წწ.) იდეური ხელმძღვანელობით მალიქ-შაჰის მმართველობის ბოლო წლებს დაემთხვა, როდესაც მათ 1190-91 წლებში, აიღეს სამხრეთ კასპიისპირეთსა და აღმოსავლეთ ირანში (კუხისტანის ოლქში) მდებარე მიუდგომელი ციხე-სიმაგრეები ალამუთი და სანამკუხი, აქციეს ისინი თავისი მოძრაობის საყრდენ ცენტრებად და შეუდგნენ რელიგიური აგრესიის გავრცელებას ისლამურ სამყაროზე.[3]

ისმაილიტების ბრძოლის მეთოდები საკმაოდ მრავალფეროვანი იყო, ისინი ყველა საშუალებას იყენებდნენ, რაც კი მიზნის მიღწევაში დაეხმარებოდათ. ბრძო-

ლის ჩვეულებრივი სამხედრო მეთოდების გვერდით, მათ არსენალში იყო რელიგიური ქადაგება, მოსყიდვა, შანტაჟი, დაშინება და ა.შ. მაგრამ ყველაზე გამორჩეული ბრძოლის მეთოდი, რომელიც ისმაილიტებმა თანმიმდევრულ სისტემად აქციეს და რითაც ისინი ცნობილნი გახდნენ მთელ სამყაროში, იყო პოლიტიკური ტერორი ინდივიდუალური მკვლელობების გზით, რისი მეთოდიკაც მათ თითქმის „ხელოვნების" დონეზე აიყვანეს (სურ. 5).[4]

სურ. 5. გ. დორე. ასასინების თავდასხმა ინგლისის პრინც ედუარდზე

თავისი პირველი და ალბათ ყველაზე ცნობილი პოლიტიკური მკვლელობა, ისმაილიტებმა განახორციელეს 1092 წელს, როდესაც მოკლეს სელჯუკთა დიდი ვეზირი და სახელმწიფოებრივი სისტემის ფუძემდებელი, ნიზამ ალ-მულკი, რითაც განუზომლად დიდი დარტყმა მიაყენეს სელჯუკთა იმპერიას. ამ მკვლელობის შემდეგ, მალიქ-შაჰმა სცადა სექტის განადგურება, მაგრამ ალამუთი ვერ აიღო და თვითონაც მალე გარდაიცვალა.[5]

შემდგომი, 1092-1099 წლები, ისმაილიტების აჯანყების ყველაზე აქტიურ და წარმატებულ პერიოდად ითვლება. ამ წლებში, ისმაილიტებმა გააფართოვეს სამფლობელოები და გავლენის სფეროები სელჯუკთა იმპერიის მთელ რიგ ოლქებში, აიღეს და გამაგრდნენ სხვადასხვა ციხე-სიმაგრეებში (როგორი საოცარიც არ უნდა იყოს, ისმაილიტებმა დაიკავეს თვით სელჯუკთა იმპერიის დედაქალაქის, ისპაჰანის ციტადელი და საკმაოდ დიდ ხანს ინარჩუნებდნენ მას), ხელში ჩაიგდეს ცალკეული ქალაქებიც (მაგალითად, ერაყში მდებარე ქალაქი ტიკრიტი 1108 წლამდე მათ ხელში იყო), დაიწყეს მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალების კონტროლი და რიგ ადგილებში, გადასახადების აკრეფაც კი სუნიტი მოსახლეობისგან.[6]

ფაქტიურად, ისმაილიტებმა შექმნეს სახელმწიფო სახელმწიფოში, რომელსაც მართალია, არ გააჩნდა ერთიანი საზღვრები და ცალკეულ ანკლავებად იყო გაფანტული იმპერიის ტერიტორიებზე, მაგრამ რელიგიური ფანატიზმის საფუძველზე, საოცარ მონოლითურობას ინარჩუნებდა და სელჯუკთა ხელისუფლებისთვის, უდიდეს პრობლემად რჩებოდა.

სელჯუკებმა არაერთგზის სცადეს სექტის განადგურება, განსაკუთრებით მასშტაბური იყო 1107 და 1118 წლის სამხედრო კამპანიები, როდესაც სელჯუკთა არმია ცდილობდა ალამუთისა და ისმაილიტების სხვა ცენტრების განადგურებას, მაგრამ უშედეგოდ.[7] ისმაილიტები მათთვის დაუმარცხებელ მტრებად რჩებოდნენ და თავის წარმატებულ ტერორისტულ საქმიანობას მკაცრი თანმიმდევრობით ახორციელებდნენ, რითაც მუდმივ დაძაბულობაში ამყოფებდნენ სელჯუკთა იმპერიას.

სელჯუკთა იმპერიის შიდა დაპირისპირების პროცესი

სელჯუკთა დიდმა სულთნებმა სპარსეთის კულტურისა და ხელოვნებიდან ბევრი რამ გადაიღეს თავისი სამეფო კარისა და არმიისთვის, მაგრამ თურქთა ძირითადი მასა და განსაკუთრებით მომთაბარეები, სტეპების მძვინვარე ხასიათის მატარებლებად რჩებოდნენ.

ედვარდ გიბონი.

XI საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო სელჯუკთა იმპერიის რღვევის პროცესი, რამაც განაპირობა ახალი პოლიტიკური დომინანტების გამოჩენა სელჯუკთა სამყაროს შიგნითაც, რომელთა შორის დაპირისპირება არანაკლებ მწვავე იყო, ვიდრე მთლიანად სელჯუკებისა ჯვაროსნებთან, ან ისმაილიტებთან.

მთელი რიგი კანონზომიერებების გამო, დიდი იმპერიის დაშლის პროცესი ისევე ელვისებურად განვითარდა, როგორც მისი შექმნისა. სელჯუკებს, რომელთაც ეყოთ სამხედრო ძალა უზარმაზარი სივრცეების დასაკავებლად ინდოეთიდან კონსტანტინოპოლამდე, არ აღმოაჩნდათ ადმინისტრაციული რესურსი ამ ტერიტორიების ცენტრალიზებური მართვისთვის.

პირველი დიდი პრობლემა, რომელიც დაპყრობების პროცესში დადგა სელჯუკთა ხელისუფლების წინაშე, იყო მათი ძალაუფლების ქვეშ მოქცეული უზარმაზარი რეგიონების ცენტრალიზებული მართვისა და ადმინისტრირების საკითხი. სელჯუკთა იმპერია, რომელიც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ და განსხვავებული რელიგიების მატარებელ ერთა ერთგვარ კონგლომერატს წარმოადგენდა, სელჯუკთა მომთაბარული არისტოკრატიისთვის უაღრესად ძნელი სამართავი აღმოჩნდა. სელჯუკთა სამხედრო ლიდერები, რომლებიც შესანიშნავ სამხედრო მეთაურებს წარმოადგენდნენ, მმართველობით-სამოხელეო ასპარეზზე ადგილობრივ ირანულ-არაბულ ელიტასთან შედარებით, უნიჭო მოსწავლეები აღმოჩნდნენ და მიუხედავად იმისა, რომ დაპყრობების შემდგომ, ისინი ცდილობდნენ კავშირის მოძებნას და კონსოლიდაციას ადგილობრივ მოსახლეობასთან, დაპყრობილ ტერიტორიებზე მაინც უცხო სხეულებად და მხოლოდ იარაღის ძალით მოსულებად დარჩნენ.[1]

პრობლემას ვერ უშველა ნიზამ ალ-მულკის მიერ გატარებულმა რეფორმებმაც, რომლის ერთ-ერთი მთავარი იდეაც სელჯუკთა იმპერიის საგამგებლო ერთეულებად (იქტებად) დაყოფისა და სელჯუკი თუ არა სელჯუკი ემირებისთვის დროებით საგამგებლოდ გადაცემის შესახებ, პირიქით დამღუპველი აღმოჩნდა იმპერიის ერთიანობისთვის. იდეის არსი, ტერიტორიების მფლობელობის დროებითი ხასიათი, მდგომარეობდა იმაში, რომ სულთანს ემირის არალოიალობის, ან იქტას წარუმატებული მმართველობის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს შეეძლო საგამგებლო ტერიტორიის ჩამორთმევა მისთვის და უფრო შესაფერისი კანდიდატურისთვის გადაცემა. ფეოდალურ ერთეულზე მფლობელობის დროებითმა ხასიათმა, ემირების ცენტრალური ხელისუფლებისადმი არა ერთგულება, არამედ განდგომისა და სეპარატიზმის ტენდენცია გამოიწვია. ემირი რომელიც საგამგებლოდ იღებდა იქტას, უკვე მასში გამაგრებასა და გამტკიცებას იწყებდა და ცდი-

ლობდა სამხედრო ძალაზე დაყრდნობით შეენარჩუნებინა დროებით მიღებული საგამგებლო ტერიტორია, რაც სავსებით ბუნებრივად, მის დაპირისპირებას იწვევდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ამ ტენდენციამ, XI საუკუნის მიწურულისთვის (მალიქ-შაჰისა და ნიზამ ალ-მულკის სიკვდილის შემდგომ), ისეთი ფართო მასშტაბი მიიღო, რომ როგორც სულთანი, ასევე ემირები, იძულებულნი გახდნენ კომპრომისული ურთიერთობები დაემყარებინათ ერთმანეთთან, რათა თავიდან აეცილებინათ იმპერიის დაუყოვნებლივი დაშლა. კომპრომისის შედეგად, სულთანის ხელისუფლებასა და რეგიონალურ არისტოკრატიას შორის დამყარდა ისეთი ურთიერთობები, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება, გარკვეული მოვალეობების (გადასახადების აკრეფის, ჯარის მოგროვების და ა.შ.) შესრულების შემდეგ, საემიროს შიდა საქმეებში აღარ ერეოდა და იქტების მფლობელობის დროებითობას, მხოლოდ იურიდიული ფორმალობის კუთხით განიხილავდა.[2]

აღნიშნული ვითარება, რომელიც სავსებით ბუნებრივად ასუსტებდა ცენტრალურ ხელისუფლებას და აძლიერებდა რეგიონალურ არისტოკრატიას, განაპირობებდა სელჯუკთა იმპერიის რღვევისა და მისი შემადგენლობიდან, დამოუკიდებელი, თუ ნახევრად დამოუკიდებელი ერთეულების წარმოქმნის პროცესს. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რაც ჯერ კიდევ აიძულებდა სელჯუკურ არისტოკრატიას, ასე თუ ისე შეენარჩუნებინა ერთიანი სახე და ურთიერთშორისი კონსოლიდაციის უნარი, იყო ის გარემოება, რომ სელჯუკები ამიერკავკასიასა და წინა აზიაში, იყვნენ სრულიად უცხო ეთნიკური ელემენტი და კონსოლიდირების გარკვეული ხარისხის გარეშე დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნება ძალიან გაუჭირდებოდათ.

როგორც უკვე იყო აღნიშნული,სელჯუკთა იმპერიაში პირველი სირთულეები დაიწყო სულთან მალიქ-შაჰის მმართველობის შუა პერიოდში, როდესაც რუმის სასულთნოს დამაარსებელმა სულეიმანმა, თავი იმპერიისგან დამოუკიდებლად გამოაცხადა და თავისი სამფლობელოების გაფართოვება სელჯუკური სირიის მიმართულებით დაიწყო. აქ იგი 1085 წელს, ანტიოქიისთვის ბრძოლაში დაამარცხა სულთანის ძმამ, სირიის მმართველმა ტუტუშმა, რომელსაც თავის მხრივ, ასევე სულ მალე აღმოაჩნდა სეპარატისტული ტენდენციები და საბოლოო ჯამში, ისიც დაიღუპა თავის ძმისშვილ, სულთან ბერკ-იარუკთან (1094-1105 წწ.) ტახტისთვის ბრძოლაში 1095 წელს.[3]

ამ მოვლენების პარალელურად, იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას ხორასანში აუჯანყდა და დამოუკიდებლობა გამოაცხადა ალფ-არსლანის შვილმა, არსლან-არგუნმა. იგი 1097 წელს ხორასანის ტახტზე შესცვალა სულთან ბერკ-იარუკის ძმამ, სანჯარმა (1118-1157 წლებში, სელჯუკთა უკანასკნელი დიდი სულთანი), რომელიც ხორასანში თავად იყო სეპარატიზმის აღსაკვეთად გაგზავნილი.[4]

მალიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ, მის მემკვიდრეებს შორის ატეხილ ომს 1092-94 წლებში, შედეგად მოჰყვა ორხელისუფლებიანობის დამყარება სელჯუკთა იმპერიაში, რომლის ლიკვიდაციაც მალე მოხერხდა, მაგრამ უკვე 1099 წელს დაწყებულმა ახალმა სატახტო ომმა, სულთან ბერკ-იარუკსა და მის ძმა, აზერბაიჯანის გამგებელ მუჰამედ ტაპარს (სულთანი 1105-1118 წლებში) შორის 1104 წლისთვის, ფაქტიურად, ოფიციალურად გააფორმა იმპერიის დაშლა ოთხ მსხვილ ერთეულად. ეს ნაწილები იყო რუმი, რომელიც უკვე გამოყოფილი იყო იმპერიას, აზერბაიჯან-სირია-ერაყის ნაწილი, რომელიც მმართველობაში, სულთნის ტიტულის მემკვიდრეობასთან ერთად მიიღო მუჰამედმა, ირანი-ერაყის ნაწილი,

რომელსაც სელჯუკთა დიდი სულთნის სტატუსით მართავდა ბერკ-იარუკი და ხორასანი და შუა აზიის სხვა რეგიონები, რომელიც ეკუთვნოდა სანჯარს.[5]

იმპერიის მსხვილ ერთეულებად დაყოფის გვერდით, მიმდინარეობდა თვით ამ ერთეულების უფრო წვრილად დაქუცმაცების პროცესიც. მაგალითად, რუმის სულთანის დაღუპვისთანავე, სასულთნოსგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა დანიშმენდიდების საემირომ და კონფლიქტში შევიდა რუმელ სელჯუკებთან.[6] მსგავსი ტიპის დამოუკიდებელ, თუ ნახევრად დამოუკიდებელ ერთეულებად გაფორმდა სელჯუკთა მრავალი სხვა საემირო სირია-პალესტინასა და სამხრეთ კავკასიაში. ამ პროცესების გაღრმავებას ხელს უწყობდა, სელჯუკ მმართველებში ჯერ კიდევ მომთაბარეობიდან მომდინარე ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ცალკეული რეგიონების გამგებლებად, დინასტიის წევრები თუ ახლო ნათესავები ინიშნებოდნენ. ასეთი მმართველების პოლიტიკური ამბიციები კი ბევრად მეტი იყო, ვიდრე არადინასტიური წარმოშობის სახელმწიფო მოხელეებისა, რაც უმრავლეს შემთხვევებში, სეპარატისტულ პროცესებში იზრდებოდა (მოგვიანებით, ამ ტრადიციაზე უარი თქვეს თურქ-ოსმალებმა, თუმც ისინი მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ, ტახტზე ასული სულთანი ანადგურებდა თავისი ოჯახის მამაკაცურ ნაწილს).

სელჯუკთა იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფოები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რამაც ბუნებრივია, სელჯუკთა სამხედრო პოტენციალის დაშლა და დასუსტება გამოიწვია. მაგალითად, სელჯუკთა ირან-ერაყის სასულთნო, რომელიც კონფლიქტში იმყოფებოდა ხორასნის ძალიან ძლიერ სახელმწიფოსთან და რომელსაც ერაყელი სულთნები ყველაზე დიდ საშიშროებად თვლიდნენ საკუთარი ძალაუფლებისთვის, იძულებული იყო ყურადღებისა და თავისი ძალების ძირითადი კონცენტრაცია აქეთ გადაეტანა, ხოლო სხვა მიმართულებებზე (ჯვაროსნები, საქართველო) არსებულ საფრთხეთა უვნებელყოფა, იქ არსებულ საემიროებისთვის მიენდო.

პოლიტიკურ ძალთა ბალანსი XI-XII საუკუნეების მიჯნაზე

მხოლოდ დაპყრობათა სისწრაფითა
და მაშტაბებით, არ უნდა
ვიმსჯელოთ რომის იმპერიის
სიდიადეზე.

ედვარდ გიბონი.

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა, ბიზანტიელთა და ფატიმიდთა მიერ განხორციელებულმა კონტრშეტევებმა, ისმაილიტების აჯანყებამ და სელჯუკთა იმპერიის დაშლის პროცესმა, მკვეთრად შეცვალეს სელჯუკთა დაპყრობების შედეგად ჩამოყალიბებული პოლიტიკური სურათი და პოლიტიკურ ძალთა ბალანსი ამიერკავკასიასა და წინა აზიაში, XI-XII საუკუნეთა მიჯნისთვის (რუქა № 3).

სელჯუკების იმპერია, რომელიც XI საუკუნის 80--იანი წლებისთვის ერთადერთ პოლიტიკურ დომინანტს წარმოადგენდა მოცემულ რეგიონებში (რუქა №2), იმავე საუკუნის მიწურულისთვის, როგორც მათზე განხორციელებული შეტევებისა, ასევე თავად სელჯუკთა იმპერიაში განვითარებული შიდა დაპირისპირების პროცესების შედეგად, სანახევროდ დაშლილი აღმოჩნდა, რის გამოც რეგიონების

დომინანტთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა და მოწინააღმდეგე ძალთა განლაგებაც, სრულიად სხვა ფორმატით ჩამოყალიბდა (რუქა №3).

ჯვაროსნული ექსპანსიის შედეგად შექმნილმა პატარა, მაგრამ უაღრესად ბრძოლისუნარიანმა და დიდი ევროპული რეზერვების მქონე სახელმწიფოებმა ჩრდილოეთ სირიასა და პალესტინაში, შექმნისთანავე დაიწყეს მნიშვნელოვანი როლის შესრულება და ამ რეგიონებში არსებულ სელჯუკთა ძალების თავისკენ მიზიდვა, რის შედეგადაც აღმოსავლეთ მცირე აზიის (დანიშმენდიდების საემირო), სირიისა (დამასკოს, ალეპოს, მარდინის საემიროები) და ერაყის (მოსულის საათაბაგო) წამყვანი სელჯუკური საემიროების პოტენციალი, ძირითადათ, ჯვაროსნული ქვეყნების წინააღმდეგ იქნა კონცენტრირებული.

მცირე აზიაში, ბიზანტიის იმპერიის ძლიერების ნაწილობრივმა რეანიმაციამ და ჯვაროსნული ლაშქრობების პერმანენტულმა საფრთხემ, გამოიწვია მცირე აზიის სელჯუკთა მსხვილი სახელმწიფო ერთეულების (რუმის სასულთნო, ნაწილობრივ დანიშმენდიდების საამირო) ყურადღების გადატანა ბიზანტიის და ზოგადად დასავლეთის მიმართულებით, რამაც სელჯუკთა სტრატეგია მცირე აზიის რეგიონში ლოკალურ მნიშვნელობამდე დაიყვანა და სელჯუკთა სამყაროს ეს ძალიან ძლიერი და აგრესიული ძალა ჩამოაცილა იმპერიულ პოლიტიკას. ეს პირველ რიგში შეეხება რუმის სასულთნოს, რომელიც დავით აღმაშენებლის ეპოქაში მთლიანად მოწყდა სხვა რეგიონებს და ფაქტიურად, მცირე აზიაში აღმოჩნდა „ჩაკეტილი" (რუქა №3).

რთულ მდგომარეობაში იმყოფებოდა სელჯუკთა უმაღლესი, დიდი სულთნის ტიტულით აღჭურვილი ირან-ერაყის სასულთნოს ცენტრალური ხელისუფლება, მას ერთდროულად უწევდა, როგორც სეპარატისტული ტენდენციების მქონე მრავალრიცხოვანი ემირების კონტროლი, რომლებსაც დიდი გაჭირვებით ინარჩუნებდა საკუთარი ხელისუფლების ქვეშ, ასევე ისმაილიტების ტერორის წინააღმდეგ ბრძოლა და გაძლიერებული ხორასნის სასულთნოს გაზრდილი ინტერესების შეკავება, რომლის ენერგიული მმართველი სანჯარიც, პრეტენზიას აცხადებდა დიდი სულთანის ტიტულზე.[1]

აღნიშნული პროცესების შედეგად XI-XII საუკუნეთა მიჯნისთვის, რეგიონებში არსებული ძალები ახლებურად იქნენ გადანაწილებულ-დაბალანსებული, რის გამოც სელჯუკთა იმპერიის უზარმაზარი და ერთ დროს ერთიანი პოტენციალი, სხვადასხვა მიზიდულობის ვექტორებზე იქნა მიმართული და რეგიონების ახლად წარმოქმნილ დომინანტებთან დაპირისპირებული.

შექმნილი გეო-პოლიტიკური ვითარება უაღრესად ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა საქართველოს სამეფოსთვის და მუსლიმურ სამყაროსთან მიმართებაში, სწორი პოლიტიკისა და ეფექტური მმართველობის განხორციელების პირობებში, აძლევდა გარკვეულ სტრატეგიულ უპირატესობას ქართული სახელმწიფოების გაერთიანებისა და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების გეგმების სარეალიზაციოდ.

ძალთა დანაწილების ახალ სქემაში საქართველოს სამეფოსთვის საფრთხეები, ძირითადად სამხრეთ მიმართულებაზე იქნა კონცენტრირებული, სადაც განფენილი იყო სელჯუკთა იმპერიის შემადგენლობაში შემავალი მსხვილი სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული ერთეულები. დანარჩენი მიმართულებები შედარებით ნაკლებ საშიშროებას შეიცავდნენ, რაც საქართველოს სამეფოს სამოქმედო სტრატეგიის შემუშავებასა და წარმატებით განხორციელებას, უდავოდ ხელს

უწყობდა.

საქართველოს აღმოსავლეთით მდებარეობდნენ თბილისის საემირო, კახეთის სამთავრო და შირვან-დერბენდის საემიროები, რომლებიც არ შედიოდნენ სელჯუკთა უშუალო მფლობელობაში და მათთან მხოლოდ ხარკის გადახდის ვალდებულებით იყვნენ დაკავშირებულნი. აღნიშნული ერთეულების სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი საგრძნობლად ჩამორჩებოდა საქართველოსას და ისინი სამეფოს მიმართ აშკარა თავდაცვით მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, რის გამოც სერიოზული საფრთხის შექმნა ქვეყნისთვის მათ არ შეეძლოთ. პირიქით, ისინი თავად წარმოადგენდნენ გაძლიერების გზაზე დამდგარი საქართველოს სამეფოს სტრატეგიული ინტერესების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას.

ჩრდილოეთ მიმართულებაზე სამეფოს უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყო, როგორც კავკასიის ქედის ბუნებრივი ბარიერით, ასევე ქედს გაღმა განსახლებულ ალანებთან კეთილმეზობლური ურთიერთობით, რაც საქართველოს პოლიტიკური ჰეგემონიზაციის პირობებში, სამხედრო პოტენციალის შევსების მნიშვნელოვან წყაროსაც წარმოადგენდა.[2]

აღნიშნული პერიოდისთვის, ფაქტიურად, უსაფრთხო მიმართულებას წარმოადგენდა აგრეთვე სამხრეთ-დასავლეთიც, სადაც ბიზანტიის იმპერია ტრაპიზონის ფემის სახით ინარჩუნებდა მნიშვნელოვან საყრდენს სელჯუკთა მფლობელობის წინააღმდეგ. ტრაპიზონი საქართველოსთვის ქმნიდა ერთგვარ ბარიერს სელჯუკთა ძლიერი ერთეულების, რუმის სასულთნოსა და დანიშმენდიდების საემიროსთან, რომელთათვისაც საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში აშკარად არ წარმოადგენდა სტრატეგიული ინტერესის სფეროს. ასევე ნაკლებ საშიშროებას ქმნიდა სამეფოსთვის, ამ მიმართულებაზე არსებული ანისის, ყარსისა და ერზრუმის საემიროები.

ყარსისა და ანისის საემიროები, რომლებიც ერთგვარ დამოუკიდებელ მუსლიმურ ანკლავებს წარმოადგენდნენ, იმდენად პატარა და სუსტი წარმონაქმნები იყვნენ, რომ მათი ერთადერთი ამოცანა არსებობის შენარჩუნება იყო. რაც შეეხება ერზრუმის შედარებით დიდ ერთეულს, ის რუმის სასულთნოსა და დანიშმენდიდების გამუდმებული ექსპანსიის ქვეშ იმყოფებოდა და მათგან თავდასაცავად ხშირად ბიზანტიელთა დახმარებასაც იყენებდა. აშკარა ფაქტია, რომ დავით აღმაშენებლის ხანაში საქართველოს სამეფოს ამ საემიროების მხრიდან, რაიმე გართულება არ შეჰქმნია.[3]

საქართველოს სამეფოსთვის ძირითადი საფრთხე მომდინარეობდა მისი საზღვრების სამხრეთით განფენილი სელჯუკური საემიროებიდან, რომლებიც სელჯუკთა (ან უკვე ირან-ერაყის) იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ და როგორც ტერიტორიების სიდიდით, ასევე სამხედრო პოტენციალითაც გამოირჩეოდნენ.

ამ ერთეულებიდან საქართველოსთვის ყველაზე საშიში და ალბათ ყველაზე ძლიერიც, იყო განძის საემირო (აღმოსავლური წყაროების არანი), რომელიც შადადიდების დინასტიის დროინდელი (971-1075 წწ.) საემიროსგან განსხვავებით, სელჯუკთა იმპერიის ერთ-ერთ უმსხვილეს ერთეულს წარმოადგენდა და როგორც წესი, ერაყელი სულთნების ტახტის მემკვიდრეთა საგამგებლოდ ითვლებოდა.[4]

დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში განძა ძირითადად სელჯუკი პრინცების (მალიქების) მმართველობის ქვეშ იყო, რაც საქართველოს სამეფოსთვის, როგორ პარადოქსულადაც არ უნდა გამოიყურებოდეს, უარყოფით ფაქტორებთან

ერთად, დადებით მომენტებსაც შეიცავდა. პრინცების მმართველობა განძაში, ამ ფეოდალურ ერთეულს, რომლის ინტერესებიც მუდმივ წინააღმდეგობაში იმყოფებოდა საქართველოს სამეფოს ინტერესებთან, მაღალ პოლიტიკურ სტატუსს ანიჭებდა და მის სამხედრო-ეკონომიკური ძლიერების ზრდას ხელს უწყობდა. განძაში სელჯუკი პრინცების ყოფნა განაპირობებდა სხვადასხვა სელჯუკური ერთეულების კონცენტრირებასა და გაერთიანებას მათი ხელისუფლების ქვეშ, რაც რასაკვირველია, საქართველოსთვის დიდი პოტენციური საფრთხის შემცველი ფაქტორი იყო, მაგრამ იმავე დროს, რამდენადაც „განძელი პრინცები" მუდმივად იბრძოდნენ სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ სულთნის ტიტულის მოსაპოვებლად, ამდენად ეს პოტენციალი, უფრო პრინცების შიდა პოლიტიკური ამბიციების რეალიზებაში იხარჯებოდა, ვიდრე გარეშე მტრებთან ბრძოლაში, როგორსაც წარმოადგენდა საქართველო მათთვის.[5]

მეორე ერთეული, რომელიც ასევე მუდმივი საფრთხის წყაროს წარმოადგენდა საქართველოსთვის, იყო ხლათის საემირო, იგი განფენილი იყო ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით და საქართველოს სამხრეთით მდებარე ყოფილ სომხურ ტერიტორიებზე ექსპანსიისა და გაფართოების მუდმივ ტენდენციებს ამჟღავნებდა. ეს ტენდენცია ფიქსირებული იყო იმ დროინდელი ხლათის ემირების, სუკმენიდების ტიტულატურაშიც, რომლებმაც თავისი პრეტენზიების სადემონსტრაციოდ, შაჰ-არმენების სახელი მიიღეს.[6]

დავით აღმაშენებლის ხანაში ხლათის ემირები, განსხვავებით „განძელი პრინცებისგან," ნაკლებად ამჟღავნებდნენ დამოუკიდებლობის ტენდენციებს სელჯუკთა ცენტრალური ხელისუფლებისგან და რიგ შემთხვევებში მათი პოლიტიკის გამტარებლის, ხოლო ზოგჯერ აშკარად ნეიტრალურ პოზიციებზე გამოდიოდნენ. მაგალითად, თუ პირველი შაჰ-არმენი, ემირი სუკმენი, სელჯუკი სულთნების ენერგიული მოხელე იყო, რომელთა ბრძანებითაც იგი წლების განმავლობაში ებრძოდა ჯვაროსნებს და მათ წინააღმდეგ პირველი ჯიჰადის ერთ-ერთ ხელმძღვანელსაც წარმოადგენდა, მისი მემკვიდრე იბრაჰიმ ზახირ ად-დინი კი (შაჰ-არმენი 1112-1127 წლებში), აშკარად ნეიტრალური პოლიტიკის გატარებას ამჯობინებდა და მიმდინარე პროცესებში მაშინ იწყებდა აქტიურ ჩარევას, როდესაც საქმე უშუალოდ მის მფლობელურ ინტერესებს შეეხებოდა.[7]

სამაგიეროდ დიდი სამხედრო-პოლიტიკური აქტიურობით გამოირჩეოდა ბითლისისა და არზანის აჰდაბიანი ემირი, თუღან არსლან კუზიანი, რომელმაც 1118 წელს დაიპყრო ყოფილი სომხეთის ერთ-ერთი დიდი ქალაქი დვინი, რითაც საგრძნობლად დაუახლოვდა საქართველოს საზღვრებს. მისი სამხედრო-პოლიტიკური აქტივობა ფიქსირდება XI საუკუნის 40-იან წლებამდე, როდესაც იგი იბრძვის ხან ჯვაროსნების წინააღმდეგ, ხან კი აქტიურ მონაწილეობას იღებს სელჯუკთა შიდა ომებში. ბუნებრივია, რომ ასეთი ენერგიული და აგრესიული ემირის ხელში, ბითლის-დვინის საემირო უაღრესად დიდი საფრთხის წყარო იყო საქართველოსთვის.[8]

რასაკვირველია, საქართველოს მეზობელი საემიროების საქართველოს სამეფოს ძირითად მოწინააღმდეგეებად განხილვა არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენ სელჯუკურ სამყაროს და პირველ რიგში, ირან-ერაყის სასულთნოს ცენტრალურ ხელისუფლებას, დაკარგული ჰქონდა პოლიტიკური ინტერესი საქართველოს მიმართ და არ იყენებდა თავის პოტენციალს მის წინააღმდეგ, მაგრამ შექმნილი გეოპოლიტიკური სიტუაცია მას არ აძლევდა იმის შესაძლებლობას, რომ ძირითა-

დი ყურადღების ობიექტად მხოლოდ საქართველო ექცია. ამასთან, ეს არ ნიშნავდა იმასაც, რომ საქართველოს გარშემო კონცენტრირებული სელჯუკური საემიროების სამხედრო ძალა ნაკლები საშიშროება იყო ქვეყნისთვის. ამ საემიროთა პოტენციალი, საკმაოდ სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა და გაერთიანების შემთხვევაში, საქართველოს არსებობასაც კი შეიძლებოდა დამუქრებოდა.[9]

საქართველოსთვის სტრატეგიული უპირატესობის ფაქტორს ქმნიდა არა ძალთა თანაფარდობა (რომელიც უდავოდ სელჯუკთა მხარეს იყო), არამედ სელჯუკთა ჯერ კიდევ უზარმაზარი სამხედრო პოტენციალის კონცენტრირებულად გამოყენების შეუძლებლობა. დავით აღმაშენებლის საქართველოს წინაშე იდგა უკვე არა მალიქ-შაჰის დროინდელი სელჯუკთა დიდი იმპერია, როდესაც შესაძლებელი იყო ერთიან ინტერესს დაქვემდებარებული დიდი სამხედრო ძალების კონსოლიდირებულად მიმართვა ნებისმიერ ამოცანაზე, არამედ ინტერესთა კონფლიქტში მოყოლილი იმპერიის ნაწილები, რომლებიც აქტიურად ებრძოდნენ ერთმანეთს და ამ ბრძოლაში წარმატების მისაღწევად ნებისმიერ ძალას უკავშირდებოდნენ.

ჯიჰადი. მუსლიმთა პასუხი ქრისტიანების შეტევაზე

ღმერთი რომ ხალხის ერთ ნაწილს
მეორე ნაწილით არ აკავებდეს,
მონასტრებიც, ეკლესიებიც,
სინაგოგებიცა და მეჩეთებიც
განადგურდებოდნენ.

ყურანი. XXII. 41.

სელჯუკთა იმპერიის შიგნით არსებული ღრმა დეცენტრალიზაციის პირობებში, მუსლიმთათვის ძალთა კონსოლიდირება მათ წინაშე წარმოქმნილი საფრთხეების წინააღმდეგ თითქმის შეუძლებლად გამოიყურებოდა. სელჯუკი ემირები საკუთარი სამფლობელოებისა და ლოკალური სუვერენიტეტის შესანარჩუნებლად ნებისმიერ ნაბიჯზე მიდიოდნენ, აფორმებდნენ სამოკავშირეო შეთანხმებებს როგორც ჯვაროსნებთან, ასევე ბიზანტიელებთან. ქრისტიანულ არმიებთან ერთად არბევდნენ მეზობელ საემიროებს, ანადგურებდნენ მუსლიმურ დინასტიებს, იერთებდნენ მათ ტერიტორიებს. თვით ილ-ღაზიც კი, რომელიც 1119 წელს ანტიჯვაროსნული კოალიციის ლიდერი იყო, 1115 წელს, იმავე ჯვაროსანთა მოკავშირეს წარმოადგენდა სელჯუკი სულთანისა და მის მიერ გამოცხადებული ჯიჰადის წინააღმდეგ.[1]

მუსლიმებისთვის და პირველ რიგში, სელჯუკებისთვის, მდგომარეობა იყო უაღრესად საგანგაშო. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო არაორდინალური ცვლილებები, რაც გააერთიანებდა ისლამის სამყაროს არსებული საფრთხეების წინააღმდეგ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ასეთ არაორდინალურ ცვლილებად იქცა ჯიჰადი, საღვთო ომი ურწმუნოთა წინააღმდეგ.

ჯიჰადის იდეა თვით მუჰამედის მიერ იყო ჩადებული ისლამის მოძღვრებაში, რომელიც თავდაპირველად მიმართული იყო მრავალღმერთიანი წარმართებისა და არა ქრისტიანების წინააღმდეგ. მოგვიანებით, არაბთა დაპყრობების ხანაში, ჯიჰადმა შეიძინა საღვთო ომის ხასიათი საერთოდ ურწმუნოთა (არა მუსლიმთა) წინააღმდეგ და იქცა აგრესიულ მოძღვრებად. რამდენადაც ჯვაროსნულ ეპოქა-

მდე, ისლამური (არაბული, ხოლო მოგვიანებით თურქული) სამყარო მთლიანად შეტევით პოლიტიკას აწარმოებდა, ამდენად ჯიჰადიც შეტევითი ხასიათის იდეოლოგიას წარმოადგენდა, მაგრამ XII საუკუნის დასაწყისიდან ვითარება და ჯიჰადის ხასიათიც შეიცვალა.[2]

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა ისლამური სამყარო თავდაცვის პოზიციაში ჩააყენა. დასავლეთიდან წამოსული წმინდა საფლავის მუსლიმთაგან განთავისუფლების რელიგიური იდეა თავად იქცა აგრესიული, შეტევითი ხასიათის ქრისტიანულ „ჯიჰადად," რომელსაც არაბული ეპოქის ჯიჰადის მოძღვრება ვერ დაუპირისპირდებოდა, საჭირო იყო ახალი კონცეფცია.

ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა და მისმა თავდაპირველმა წარმატებებმა აიძულა ისლამის თეოლოგები, მოეხდინათ ჯიჰადის იდეოლოგიური ტრანსფორმაცია, რის შემდეგაც, XII საუკუნის დასაწყისისთვის, ჯიჰადი იქცა აღმოსავლეთში (ე.ი. ისლამის სამყაროში) ქრისტიანთა მფლობელობის საწინააღმდეგო იდეოლოგიად, რომელსაც გააჩნდა ორი უმთავრესი მიზანი, მოეხდინა ჭეშმარიტ მუსლიმთა (ე.ი. სუნიტთა) კონსოლიდაცია აგრესორების წინააღმდეგ და უზრუნველყო დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. ამ ამოცანებმა განსაზღვრა კიდეც მაშინდელი ჯიჰადის ერთგვარი „რეკონკისტული" ხასიათი, რომელიც (შეიძლება ითქვას, რომ) აგრესიული თავდაცვის იდეოლოგიად ჩამოყალიბდა ქრისტიანთა შეტევის წინააღმდეგ.

ჯიჰადის ორგანიზების პირველი მოწოდებები სირია-პალესტინაში ჯვაროსანთა გამოჩენისთანავე დაიწყო, როდესაც დამასკოს მთავარი ყადი ალ-ჰარავი, ჯვაროსანთა წინსვლის პარალელურად, ქადაგებდა ურწმუნოთა (ე.ი. ჯვაროსანთა) განდევნის აუცილებლობას, მაგრამ ამ მოწოდებებს დიდი წარმატება არ მოჰყოლია. იერუსალიმის ჯვაროსანების მიერ დაპყრობის შემდეგ, ალ-ჰარავი ჩავიდა ბაღდადში და მთავარი მეჩეთიდან მოუწოდა მუსლიმთა სულიერ მამას, აბასიდ ხალიფას, დახმარებოდა სირიელ თანამოძმეებს.[3]

ალ-ჰარავის მცდელობა კვლავ წარუმატებელი აღმოჩნდა. ბაღდადის ხალიფას არ ჰყავდა არმია სირია-პალესტინაში გასაგზავნად, მისი ლოცვები კი, სელჯუკთა იმპერიის დიდი სულთნის, ბერკ-იარუკისთვის (რომლის ხელშიც იყო რეალური პოლიტიკური ძალაუფლება და რომლის ხელისუფლების იურიდისქციის ქვეშაც ფორმალურად იმყოფებოდა სირია-პალესტინა), საკმარისი არგუმენტი არ გამოდგა სამხედრო კამპანიის ორგანიზებისთვის ჯვაროსანთა წინააღმდეგ. ანტიოქიასთან ბერკ-იარუკის სარდლის, კერბოგას კოალიციური არმიის დამარცხების მძიმე შედეგებისა[4] და საკუთარ ძმა, მუჰამედ ტაპართან ტახტისთვის მიმდინარე ომის გამო,[5] სელჯუკთა სულთანს სირია-პალესტინისთვის არც ეცალა და არც ახალი არმიის ფორმირება და გაგზავნა შეეძლო იქ, რის გამოც ჯვაროსნებთან ბრძოლის მთელი სიმძიმე სირია-პალესტინის ადგილობრივ ემირებზე გადავიდა, რომელთა ძალაც აშკარად არ იყო საკმარისი ჯვაროსანთა შესაჩერებლად და, მით უმეტეს, მათ განსადევნად.

შექმნილ ვითარებაში, სელჯუკთა მფლობელობის წინაშე გამოიკვეთა რეალური სტრატეგიული საფრთხე ჯვაროსნული ექსპანსიის გავრცელებისა სირია-პალესტინიდან ჩრდილოეთის და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებებზე, სადაც სელჯუკებთან ერთად თანაარსებობდნენ სხვადასხვა წვრილი სომხური ერთეულები (მარაში, მელიტენა და ა.შ.),[6] რაც ჯვაროსნებს გარკვეულ ბაზას უქმნიდა ამ მიმართულებებზე შეტევის გასავითარებლად.

მართალია, ჯვაროსანთა პირველი მცდელობები მარცხით დამთავრდა, როდესაც ანტიოქიის მთავარი ბოემუნდი ტყვედ ჩაუვარდა დანიშმენდიდების ემირს,[7] მაგრამ სელჯუკებისთვის რეალური საფრთხე სახეზე იყო, რომლის ლიკვიდირებაც განსაკუთრებული ზომების გატარებას საჭიროებდა, ასეთ საგანგებო ღონისძიებად იქცა ტრანსფორმირებული ჯიჰადის იდეოლოგია, რომლის ფორმირებაც საკმაოდ სწრაფად მოხდა XII საუკუნის პირველ ათწლეულში.

ახალი ჯიჰადის პირველი მოწოდება გამოჩნდა 1105 წელს დამასკოში, სადაც მუსლიმმა თეოლოგმა ალ-სულამიმ დაწერა ტრაქტატი „ჯიჰადის წიგნი" („კიტაბ ალ-ჯიჰადი"). მომდევნო წლებში, მსგავსი ტრაქტატები დაიწერა ალეპოსა და მოსულში (ანუ, იმ რეგიონებში, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიდნენ ჯვაროსნულ ექსპანსიას). სელჯუკთა იმპერიის ხელისუფლებამ, რომელსაც აღარ გააჩნდა პოლიტიკური შესაძლებლობები მუსლიმური პოტენციალის კონსოლიდირებისთვის, ჯიჰადის იდეა საკმაოდ სწორად შეაფასა და ოპერატიულადაც აიტაცა.[8]

სელჯუკი სულთანის, მუჰამედ I-ს (1105-1118 წწ.) ბრძანებით, საღვთო ომის პირველი სამხედრო გაერთიანება ჯვაროსანთა წინააღმდეგ შეიქმნა 1110 წელს, მოსულის ათაბაგის მაუდუდის მეთაურობით. იგი მიზნად ისახავდა სელჯუკთა ტერიტორიებზე ჯვაროსანთა ყველაზე ღრმად შეჭრილი ფორპოსტის, ედესის საგრაფოს განადგურებას. მართალია, საღვთო ომის ეს პირველი მცდელობა, 1115 წელს სასტიკი დამარცხებით დამთავრდა, როდესაც ანტიოქიის მთავარმა როჯერმა ჯიჰადის არმია გაანადგურა,[9] მაგრამ უკვე ცხადი იყო, რომ მუსლიმთა ხელში აღმოჩნდა უძლიერესი იარაღი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდებოდა სელჯუკთა ძალების კონსოლიდირება როგორც ნებისმიერ მონინააღმდეგესთან სამხედრო დაპირისპირებისას, ასევე ნებისმიერი პოლიტიკური ამოცანის შესასრულებლად რელიგიური საფარველის ქვეშ. ჯიჰადის მეორე მცდელობამ, ეს შეხედულება სავსებით დაადასტურა.

ჯვაროსანთა წინააღმდეგ მეორე საღვთო ომი გამოცხადდა 1119 წელს და მას სათავეში ჩაუდგა მარდინის ემირი, ნეჯმ ად-დინ ილ-ღაზი. ქამალ ად-დინი აღწერს იმ რიტუალს, როდესაც საღმრთო ომის სახელით მუსლიმმა ემირებმა ფიცი დადეს ილ-ღაზის წინაშე, სიცოცხლის ფასად მოეპოვებინათ გამარჯვება, რაც სრულიად ახალი რამ იყო ჯიჰადის კონცეფციაში. ეს კი ამ იდეოლოგიას, მეტ მიზანდასახულობასა და ბრძოლის უნარს ანიჭებდა ქრისტიანული მფლობელობის წინააღმდეგ აღმოსავლეთში.[10]

„ჯიჰადის მეორე ექსპერიმენტი" წარმატებით დამთავრდა და ილ-ღაზიმ „სისხლიან ველზე" გაანადგურა პირველ ჯიჰადზე გამარჯვებული როჯერ ანტიოქიელის არმია, რითაც მუსლიმურმა სამყარომ ირწმუნა რელიგიური ომის ძალა.[11] ამის შემდგომ, მუსლიმ ლიდერთა ხელში აღმოჩნდა იარაღი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი ხდებოდა ყველა იმ მიმართულებაზე, სადაც სელჯუკთა იმპერიის ხელისუფლებას, ჩვეულებრივი პოლიტიკური თუ სამხედრო მეთოდებით არ შეეძლო კრიზისის გადაწყვეტა. ისტორიულმა კანონზომიერებამ ისე განსაზღვრა, რომ ტრანსფორმირებული ჯიჰადის წარმატებული გამოჩენა და საქართველოს სელჯუკთათვის კრიზისულ პრობლემად ქცევა ერთმანეთს დაემთხვა, რის შემდეგაც ჯიჰადის მესამე ობიექტი საქართველო გახდა.

თავი III

საქართველოს სამეფო. აქტიური პოლიტიკის დასაწყისი

ხარკის შეწყვეტა

ბრძენი მშვიდობის დროს ემზადება ომისთვის.

პორაციუსი.

როგორც ზემოთ წარმოდგენილი თავებიდან ჩანდა, XI-XII საუკუნეთა მიჯნისთვის ამიერკავკასიასა და წინა აზიაში ჩამოყალიბებული ხელაყრელი გეო-პოლიტიკური ვითარება შესაძლებლობას აძლევდა საქართველოს სამეფოს დაეწყო აქტიური ქმედებები სელჯუკთა წინააღმდეგ. დავით აღმაშენებელმა, რომელმაც აბსოლუტურად სწორად შეაფასა შექმნილი მდგომარეობა, დაუყოვნებლივ დაიწყო ენერგიული მოქმედებები და, როგორც მიუთითებს მისი მემატიანე, ჯვაროსნების მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღების (ე. ი. 1099 წლის 15 ივლისის) შემდეგ, სელჯუკებს ხარკის გადახდა შეუწყვიტა.[1]

როგორი საკვირველიც არ უნდა იყოს, ხარკის შეწყვეტას სელჯუკთა მხრიდან არავითარი დამსჯელი ღონისძიება არ მოჰყოლია. ანუ დავითის მიერ ხარკის შეწყვეტამ და ვასალიტეტის უარყოფამ, სავსებით უპრობლემოდ ჩაიარა. ყოველ შემთხვევაში, როგორც ქართული, ასევე აღმოსავლური წერილობითი წყაროები სელჯუკთა მხრიდან რაიმე საპასუხო აქტივობაზე არაფერს იტყობინებიან.

იმისთვის რომ გავერკვეთ ამ ერთი შეხედვით საკმაოდ უცნაური მოვლენის არსში, ცოტა უფრო ღრმად უნდა შევხედოთ 1099 წლისთვის განვითარებული პოლიტიკური პროცესებისა და პოლიტიკურ ძალთა განლაგების სურათს (რუქა №3).

გიორგი II-ს დროინდელმა საქართველოს სამეფომ ხარკის გადახდის ვალდებულება აიღო მაშინდელ (1083 წლის), სელჯუკთა ჯერ კიდევ ერთიანი დიდი იმპერიის ცენტრალური ხელისუფლების წინაშე, რომელიც დავით აღმაშენებელის მიერ ხარკის შეწყვეტის მომენტისთვის, ფაქტიურად, აღარ არსებობდა. სელჯუკთა დიდი სულთნის, მალიქ-შაჰის ხელისუფლების სამართალმემკვიდრე იყო ირანერაყის იმპერიის სულთანი ბერკ-იარუკი, რომელის მოხარკესაც მოცემული მომენტისთვს საქართველო წარმოადგენდა. ბერკიარუკი, მალიქ-შაჰის მსგავსად, სელჯუკთა დიდი სულთნის ტიტულს ატარებდა, მაგრამ მისი სამფლობელოების მასშტაბი და სამხედრო შესაძლებლობები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მალიქ-შაჰის დროინდელი იმპერიისას და 1099 წელი, მისთვის განსაკუთრებით მძიმე პერიოდს წარმოადგენდა.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, მალიქ-შაჰის გარდაცვალების (1092ნ) შემდეგ, ბერკიარუკს რთული ბრძოლების გადატანამ მოუწია დინასტიის სხვა წევრებთან და სულთნის ხელისუფლება მხოლოდ 1095 წლის (ბიძის, ტუტუშის დამარცხების) შემდეგ განიმტკიცა, მაგრამ სტაბილურობა მისთვის დიდხანს არ გაგრძელებულა. 1098 წელს ბერკიარუკის იმპერიის ფარგლებში გამოჩნდნენ ჯვაროსნები, რომლებმაც აიღეს ანტიოქია და ედესა, რითაც აშკარა საფრთხე შეუქმნეს სელჯუკთა მფლობელობას არა მარტო ჩრდილო სირია-პალესტინაში, არამედ ერაყშიც, სადაც სელჯუკთა ძირითად დასაყრდენ ცენტრებს, მოსულსა და ბაღდადს, ანტიოქ-

სურ. 6. ჯ. ფილდი. ბრძოლა მუსლიმებთან

იასა და ედესაში გამაგრებული ჯვაროსნები პირდაპირ სტრატეგიულ საფრთხეს უქმნიდნენ. ამ ვითარებაში, ბერკიარუკის განკარგულებით ჯვაროსანთა წინააღმდეგ გამოვიდა მოსულის ემირი კერბოგა, რომლის სარდლობის ქვეშაც უზარმაზარმა არმიამ მოიყარა თავი. კერბოგას არმიის შემადგენლობაში შედიოდნენ სელჯუკთა იმპერიის სხვადასხვა რეგიონებში შეგროვილი მეომრები (დეილემელები სამხრეთ კასპიისპირეთიდან, ხორასნელები შუა აზიიდან, ერაყელი არაბები, ქურთები, მომთაბარე თურქმენები და ა.შ.) და სირია-პალესტინის ნახევრად დამოუკიდებელ საემიროთა ძალები.[2]

კერბოგას ლაშქრობით ბერკიარუკი აშკარად ორმაგი მიზნის მიღწევას ცდილობდა, ჯვაროსნების განდევნასა და სელჯუკთა იმპერიისგან სირია-პალესტინის ნახევრად გამდგარი ემირების (ტუტუშის შვილების, ალეპოსა და დამასკოს ემირების, რიდვანისა და დუკაკის, აგრეთვე ართუკიდების) იმპერიის შემადგენლობაში დაბრუნებას. ბერკიარუკის გეგმა ვერ განხორციელდა, 1098 წლის ივლისში ანტიოქიასთან კერბოგას არმია, რომელიც უშუალოდ ბრძოლის წინ სირიელმა ემირებმა მიატოვეს, ჯვაროსნებმა გაანადგურეს. ამ დამარცხებას სელჯუკთა იმპერიაში შოკის მსგავსი ეფექტი ჰქონდა, რადგან მსგავსი მაშტაბის სამხედრო კატასტროფა სელჯუკთა იმპერიას ჯერ არ ჰქონდა განცდილი.[3]

ამ დამარცხებამ ძალიან დაასუსტა სელჯუკთა იმპერიის ცენტრალური ხელისუფლება და ურთულესი პრობლემები შეუქმნა ბერკიარუკს. მას საბოლოოდ განუდგნენ სირია-პალესტინის საემიროები, ხოლო მომდევნო, 1099 წელს, აუჯანყდა უმცროსი ძმაც, აზერბაიჯან-არანის გამგებელი მუჰამედ ტაპარი, რომლის ხელშიც, მოცემული მომენტისთვის კონცენტრირებული იყო საქართველოს სამხრეთით განფენილი სელჯუკთა სამფლობელოების პოტენციალი, რითაც სელჯუკთა დიდი სულთნის ხელისუფლებამ კონტროლის დაკარგვა იმპერიის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებთან (სირია-პალესტინა) ერთად, ჩრდილოეთში, სამხრეთ-ამიერკავკასიაშიც (სომხეთ-აზერბაიჯანი) დაიწყო.[4]

ომი ბერკიარუკსა და მუჰამედ ტაპარს შორის, რომლის დროსაც საბრძოლო მოქმედებებმა მთელი დასავლეთ ირანი და სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიები მოიცვა, გარდამავალი წარმატებით ხუთ წელიწადს გაგრძელდა. ამ ომის მაშტაბსა და ინტენსივობაზე კარგად მიუთითებს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ხასიათის საბრძოლო მოქმედებების გვერდით, მოწინააღმდეგეთა შორის ხუთი გენ-

ერალური ბრძოლაც გაიმართა, რომელთაგანაც ორ ბრძოლაში მუჰამედ ტაპარმა, ხოლო სამში ბერკიარუკმა გაიმარჯვა. ტახტისთვის ატეხილი ამ გრანდიოზული ომის მაშტაბები იმის მაჩვენებელია, რომ სელჯუკთა ის სამხედრო პოტენციალი, რომელსაც უნდა აღედგინა მათი ჰეგემონობა საქართველოზე, მთლიანად ამ კონფლიქტში იყო ჩართული.[5]

ამგვარად, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, დავით აღმაშენებლის ნაბიჯის (ხარკის შეწყვეტის) შეფასება და იმის ახსნა, თუ რატომ დატოვეს უპასუხოდ ეს აქტი სელჯუკებმა, საკმაოდ ადვილი უნდა იყოს. სულთან ბერკიარუკს, რომელსაც სამართლებრივი ლოგიკით უნდა მოეთხოვა ხარკის გადახდის აღდგენა დავით აღმაშენებლისგან, საქართველოსთვის არც ეცალა და, ალბათ, არც სამხედრო ძალების გაგზავნა შეეძლო მის წინააღმდეგ, ბერკიარუკის სამხედრო პოტენციალი მთლიანად დაკავებული იყო ჯერ ჯვაროსნებთან, ხოლო შემდეგ მუჰამედ ტაპართან ბრძოლაში. ამასთან, მას მუდმივი საფრთხე ემუქრებოდა ხორასნის მმართველ სანჯარის (რომელიც მისი ნახევარი, ხოლო მუჰამედ ტაპარის ღვიძლი ძმა იყო და ამ უკანასკნელს უჭერდა მხარს) მხრიდან, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლებოდა გამოსულიყო მის წინააღმდეგ, რაც აიძულებდა ბერკიარუკს მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები დაეკავებინა აღმოსავლეთ ირანში. ყოველივე აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ბერკიარუკმა ცნო საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და უარი თქვა სამხედრო კონფრონტაციის გზით მალიქ-შაჰის დროინდელი მდგომარეობის აღდგენაზე, რისი რესურსიც მას შექმნილ ვითარებაში, აშკარად აღარ ჰქონდა. არ არის გამორიცხული, რომ დავით აღმაშენებელს ხარკის შეწყვეტისას, ბერკიარუკისა და მუჰამედ ტაპარს შორის არსებული დაპირისპირება პირდაპირ გამოეყენებინა. მუჰამედ ტაპარი, რომლის სამხედრო რესურსსაც ძირითადად საქართველოს სამხრეთით არსებული რეგიონები წარმოადგენდა, თავდაპირველად საკმაოდ მცირე ძალებით მოქმედებდა ბერკიარუკის წინააღმდეგ[6] და იგი აუცილებლად იქნებოდა დაინტერესებული საქართველოს სამხედრო პოტენციალის გამოყენებით ამ ომში, რაც სრულიად ბუნებრივად, ბერკიარუკის სრულიად საწინააღმდეგო ინტერესს ჩამოაყალიბებდა და იგი ეცდებოდა, რომ დავით აღმაშენებელი არ გამხდარიყო აჯანყებული სელჯუკი პრინცის მოკავშირე.

ბერკიარუკსა და მუჰამედ ტაპარს შორის მიმდინარე ომი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ჯვაროსნებთან ბრძოლაში დასუსტებული სელჯუკთა დიდი სულთანი რამდენჯერმე იდგა დამარცხების პირზე და ასეთ ვითარებაში, მუჰამედ ტაპარის მხარეს დამატებითი სამხედრო მოკავშირის გამოჩენა, როგორიც საქართველოს სამეფო შეიძლებოდა ყოფილიყო, ომის ბედს ალბათ ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყვეტდა. შესაძლოა, სწორედ ეს გარემოება იყო ის მოტივაცია, რის გამოც დავით აღმაშენებლის ნეიტრალიტეტის სანაცვლოდ, სელჯუკთა ირან-ერაყის სასულთნო საქართველოს სამეფოს მხრიდან ხარკის შეწყვეტას დათანხმდა და მისი სრული დამოუკიდებლობა ამით იურიდიულადაც აღიარა. წერილობით წყაროებში აღნიშნულის დამადასტურებელი ცნობები არ მოიპოვება, მაგრამ ხარკის შეწყვეტაზე სელჯუკთა სასულთნოს სრული უმოქმედობა, შესაძლოა, სწორედ ამის მაჩვენებელი იყოს. გარდა ამისა, მოვლენათა განვითარების ასეთი შესაძლებლობა საკმაოდ ლოგიკურ ახსნას აძლევს შემდგომ მომხდარ მოვლენებსაც, რომლის დროსაც საქართველოს სამეფო თავისუფლად მოქმედებდა მომთაბარე თურქმენების წინააღმდეგ და თითქმის უპრობლემოდ

შეიერთა კახეთი, სადაც მის მოწინააღმდეგედ მხოლოდ განძის საემირო, ანუ საგარაუდოდ, მუჰამედ ტაპარი გამოვიდა.

როგორც ვხედავთ, დავით აღმაშენებლის მიერ ხარკის შეწყვეტის მომენტი შერჩეული იყო იდეალურად, რისი განხორციელებაც შეუძლებელი იქნებოდა საეთაშორისო ვითარების დეტალური ცოდნისა და მოვლენათა განვითარების სწორი პროგნოზირების გარეშე, რაც თავის მხრივ, პირდაპირი მითითებაა დავით აღმაშენებლის დროინდელი სახელმწიფო აპარატის სრულყოფილ ფუნქციონირებაზე (ინფორმაციის მოპოვებაზე, ანალიზზე და ა.შ.). ეს კი შედეგი იყო, დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული იმ შიდა სახელმწიფოებრივი რეფორმებისა და ეფექტური სახელმწიფო აპარატის შექმნისა (მწიგნობართუხუცესის, მსტოვართა და სხვა ინსტიტუტები), რომელიც საქართველოს მეფემ ხარკის შეწყვეტამდე განახორციელა.[7]

ხარკის შეწყვეტის წარმატებით განხორციელებას უდავოდ შეუწყო ხელი იმ გარემოებამაც, რომ საქართველოსთვის სელჯუკური სამყაროს დანარჩენ ნაწილებსაც არ ეცალათ. მცირე აზიის რუმის სასულთნო და დანიშმენდიდების საემირო, ჯვაროსნებსა და ბიზანტიის იმპერიას ეომებოდნენ. სირია-პალესტინის საემიროებიც, ასევე ჯვაროსნებთან ომით იყვნენ დაკავებულნი. ამასთან, ამ სელჯუკურ ერთეულებს, პირველ რიგში, საქართველოსთან ახლოს მდებარე რუმის სასულთნოსა და დანიშმენდიდების საემიროს, რამდენადაც ისინი უკვე გამოყოფილნი იყვნენ სელჯუკთა იმპერიიდან, არ გააჩნდათ არავითარი სამართლებრივი მოტივაცია საქართველოსთან ურთიერთობებში ჩარევისა. ამასთან, შექმნილ გეო-პოლიტიკურ ვითარებაში ისინი საკუთარი სახელმწიფო ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ, რომელშიც საქართველოსთან კონფლიქტი და მოცემული მომენტისთვის დამატებითი მოწინააღმდეგის გაჩენა, მათ გეგმებში არანაირად არ შედიოდა.[8]

ყოველივე აღნიშნულის შედეგად, დავით აღმაშენებელმა შესძლო ამ უდიდესი აქტის (ხარკის შეწყვეტის) უომრად განხორციელება, რაც იმასთან ერთად, რომ საქართველოს სამეფო თავიდან იხსნიდა სელჯუკებისთვის თანხის გადახდისა და მეომართა გაგზავნის ვალდებულების სიმძიმეს, რაც დამოუკიდებლობის სრულ აღდგენას ნიშნავდა და დავით აღმაშენებლის განსაკუთრებულ (თუ დავითის მემატიანეს დავესეხსენებით, ნამდვილად „საკვირველ") სტრატეგიულ მიღწევასაც წარმოადგენდა.

საქართველოს სამეფოს მხრიდან სელჯუკებისთვის ხარკის შეწყვეტა იყო უდიდესი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობის მქონე აქტი გაძლიერების გზაზე მდგომი ქვეყნისთვის, რომელიც ახალ გეოპოლიტიკურ გარემოში წარმოადგენდა .დავით აღმაშენებლის პირველ ნაბიჯს, საქართველო-სელჯუკების ურთიერთობის გადაყვანისა სხვა პოლიტიკურ სიბრტყეში. ამ ნაბიჯის წარმატებამ განაპირობა დავით აღმაშენებლის შემდგომი გააქტიურებაც, როგორც ჩანს, სელჯუკთა მხრიდან სრულმა უმოქმედობამ აშკარად დაარწმუნა საქართველოს მეფე შემდგომი ქმედებების შესაძლებლობაში, რის შემდეგაც ქვეყნის ხელისუფლების წინაშე დადგა ორი გლობალური ამოცანა:

—**პირველი**: გაეგრძელებინა და დაესრულებინა ბაგრატ IV-ს დროს, სელჯუკთა გამოჩენით შეწყვეტილი ქვეყნის გაერთიანების პროცესი და ამის პარალელურად, დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორიები სამხრეთ საქართველოში.

—**მეორე**: როგორც პირველი ამოცანის შესრულების აუცილებელი პირობა,

აღეკვეთა თურქმენ მომთაბარეთა თარეში სამეფოს ტერიტორიებზე.

ორივე ამოცანის რეალიზაცია ადრე თუ გვიან სელჯუკთა სამყაროსთან ომს ნიშნავდა და ეს ომი რაც გვიან დაიწყებოდა, დავით აღმაშენებლს მეტი დრო და შესაძლებლობა ექნებოდა აღნიშნული ამოცანების საწყისი მიზნების შესასრულებლად. ამგვარად, ხარკის გადახდის შეწყვეტის შემდეგ, დავით აღმაშენებლის წინაშე იდგა ურთულესი სტრატეგიული პრობლემა: მას რაც შეიძლება დიდხანს უნდა შეენარჩუნებინა მშვიდობა სელჯუკთა იმპერიასთან და მათთან ომის დაწყებამდე უნდა მოეხდინა ქართული ტერიტორიების ნაწილობრივი გაერთიანება მაინც, რათა გაზრდილიყო ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი. ამასთან, კომუნიკაციებისა და უზრუნველყოფის ბაზების ნორმალური ფუნქციონირების მიზნით, ქვეყნის საზღვრებს შიგნით უნდა შეეზღუდა მომთაბარე თურქმენთა თარეში, რის გარეშეც მასშტაბური სამხედრო ოპერაციების განხორციელება, რაც სელჯუკებთან მომავლის ომის ეფექტურად წარმოების აუცილებელი პირობა იყო, შეუძლებელი იქნებოდა.

ამ ამოცანების შესრულების გარეშე, სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერიასთან ფართომასშტაბიანი ომის დაწყება უაღრესად სარისკო იქნებოდა და უფრო ავანტურას დაემსგავსებოდა, ვიდრე გააზრებულ სტრატეგიას. პრობლემას ისიც ართულებდა, რომ ორივე ამოცანის (ტერიტორიების გაერთიანება და მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება) შესრულება პირდაპირ იყო დაკავშირებული ერთმანეთთან და ორივე პარალელურ რეჟიმში უნდა გადაწყვეტილიყო, რაც, სრულიად ბუნებრივად, ამოცანათა სირთულის ხარისხს კიდევ უფრო ზრდიდა.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პროცესის დასაწყისი

როდესაც სახელმწიფოში არ არის ერთობა, ჯარის შეკრება შეუძლებელია; როდესაც ჯარში არ არის ერთობა, დაბანაკება შეუძლებელია; როდესაც ბანაკში არ არის ერთობა, ლაშქრობა და ბრძოლა შეუძლებელია; როდესაც ბრძოლაში არ არის ერთობა, გამარჯვება შეუძლებელია.

უ-ცზი.

დავით აღმაშენებლის მემატიანის მიხედვით, პირველი მიზანი, რაც დავით აღმაშენებელმა აღნიშნულ ამოცანათა რეჟიმში დაისახა შესასრულებლად, იყო კახეთის სამთავროს შემოერთება, რასაც რამდენიმე მოსაზრება უნდა ჰქონოდა საფუძვლად:

—კახეთი, განსხვავებით სამშვილდე-ქვემო ქართლის ტერიტორიებისა და დმანისის საემიროსგან, არ შედიოდა სელჯუკთა იმპერიის უშუალო მფლობელობაში, ხოლო თბილისის საემიროს მსგავსად, იქ არ იყო ძლიერი მუსლიმური ელემენტი, რის გამოც მის საქართველოსთან მიერთებას არ უნდა გამოეწვია გლობალური კონფლიქტი სელჯუკურ სამყაროსთან.

—კახეთში ძლიერი იყო საქართველოს ერთიან სამეფოსთან შეერთების ტენდენცია, რასაც ამ გადაწყვეტილების შესრულება უნდა გაეიოლებინა.[1]

—კახეთის შემოერთებით საქართველოს სამეფო იღებდა ხელსაყრელ სტრატეგიულ პოზიციას როგორც თბილისის წინააღმდეგ, რომელსაც იგი ფაქტიურად, ალყაში აქცევდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ასევე სხვა სელჯუკური ერთეულების, პირველ რიგში კი, განძის საემიროს წინააღმდეგაც, რომლის საზღვრებსაც იგი „ნახევარწრიულად" (ქვემო ქართლიდან და კახეთიდან) უშუალოდ მიუახლოვდებოდა, რაც სელჯუკთა იმპერიასთან მომავალ გარდაუვალ ომში, მაღალ სტრატეგიულ მნიშვნელობას შეიძენდა.

—კახეთის ერთიანი სამეფოს შემადგენლობაში ჩართვა, მკვეთრად გააძლიერებდა ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს და ადამიანური რესურსების მასშტაბებს, რაც სამეფოს სამხედრო შესაძლებლობების სწრაფ გაზრდას გამოიწვევდა.

განვითარებულ მოვლენათა თანმიმდევრობა ადასტურებს, რომ კახეთის შემოერთების პროცესი, ზუსტად აღნიშნული სქემის მიხედვით განვითარდა.

1103 წელს ქართულმა არმიამ დაიკავა ზედაზნის ციხე, რომელიც საქართველოს სამეფოს, კახეთის სამთავროსა და თბილისის საემიროს საზღვრების შეერთების ადგილას მდებარე, მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა. ზედაზნის დაკავების შემდეგ წელს, კახეთის სამთავრო ადგილობრივი ფეოდალების დახმარებით იქნა შემოერთებული. თუმც, კახეთში ყველა არ იყო განწყობილი საქართველოსთან გაერთიანების სასარგებლოდ, რასაც შედეგად მოჰყვა ერწუხის ბრძოლა, სადაც კახელთა მოკავშირედ განძის საემირო გამოვიდა.[2]

შეიძლება ითქვას, რომ კახეთის შეერთებას საქართველოს ერთიან სამეფოსთან, სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერია კვლავ საკმაოდ გასაკვირი სიმშვიდით შეხვდა, რაც სნორედ დავით აღმაშენებელსა და სელჯუკთა დიდი სულთნის, ბერკიარუკს შორის არსებული სავარაუდო შეთანხმებით შეიძლება აიხსნას.

ის ფაქტი, რომ ერწუხის ბრძოლაში დავით აღმაშენებელს კახეთისა და განძის საემიროს გაერთიანებული ძალები დაუპირისპირდნენ, ჩვენი აზრით, არ უნდა იქნას განხილული, როგორც სელჯუკთა იმპერიის ქმედება საქართველოს წინააღმდეგ. განძის საემირო, რომელიც მოცემული მომენტისთვის თავად იყო დაპირისპირებული იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ამ შემთხვევაში მოქმედებდა როგორც ლოკალური ერთეული ლოკალური ინტერესების შესაბამისად, რაც იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ იგი კახეთის საქართველოსთან შეერთებით კარგავდა ბუფერულ ზონას და ფართო სასაზღვრო შეხებაში შედიოდა საქართველოს სამეფოსთან, სავსებით ბუნებრივი იქნებოდა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კახეთის შემოერთებამდე დავით აღმაშენებელმა გააუქმა კლდეკარის ნახევრად სეპარატისტული საერისთაო და იგი სამეფო დომენად აქცია, რითაც ასევე პირდაპირ დაუახლოვა სამეფოს საზღვრები განძის საემიროს საზღვრებს, მაშინ განძელ ამირათა რეაქცია სრულიად გასაგები უნდა გახდეს. ისინი კარგად ხედავდნენ და აცნობიერებდნენ იმ სტრატეგიულ საშიშროებას, რაც საემიროს ჩრდილოეთ საზღვრებზე იქმნებოდა საქართველოს სამეფოს მხრიდან. შესანიშნავად ჩანდა, რომ დავით აღმაშენებელი იკავებდა სასტარტო პოზიციებს სელჯუკთა ექსპანსიის პერიოდში დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად, რაც გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ ეს ტერიტორიები ძირითადათ განძის საემიროს შემადგენლობაში შედიოდა, ახლო მომავალში სელჯუკებთან გარდაუვალ ომს ნიშნავდა.

კლდეკარის საერისთაოს გაუქმების პროცესში, რაც მხოლოდ საქართველოს სამეფოს შიდა საქმეს წარმოადგენდა, განძელ ემირებს არაფრით შეეძლოთ ჩარევა, მათ ამისთვის არ გააჩნდათ არავითარი საბაბი და იურიდიული მოტივაცია. ისე რომ ამ შემთხვევაში, ისინი იძულებულნი იქნებოდნენ დასჯერებოდნენ მხოლოდ მეთვალყურის როლს და იმის კონსტატირებას, თუ როგორ უახლოვდებოდა საქართველოს სამეფოს საზღვრები მათ სამფლობელოებს. რაც შეეხება კახეთის სამთავროს, აქ ვითარება განსხვავებული იყო. კახეთი წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულს (თანამედროვე ტერმინოლოგიით, საერთაშორისო სამართლის სუბიექტს), რომელსაც თავისი ურთიერთობები ჰქონდა როგორც განძის საემიროსთან, ასევე სხვებთან და შეეძლო გარეთ ეთხოვა დახმარება, რაც მან ერწუხის ომის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიიღო.

კახეთი ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის რეგიონი იყო განძის საემიროსთვის იმის მიუხედავად, სელჯუკები ბატონობდნენ მასზე თუ შადადიდები. განძის ემირები (ჯერ კიდევ სელჯუკების გამოჩენამდე) ყოველთვის ნერვიულად რეაგირებდნენ ქართველ მეფეთა მცდელობებზე, დაემყარებინათ ჰეგემონია კახეთზე, რაც გამოწვეული იყო არა განძაში მფლობელობის ხასიათით, არამედ კახეთის სტრატეგიული მნიშვნელობით განძის საემიროსთვის.[3]

რაც შეეხება სელჯუკთა იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას, ტახტისთვის მიმდინარე ბრძოლის პირობებში, მას იმპერიის ჩრდილოეთ საზღვრების გარეთ მიმდინარე პროცესებში ჩარევის არც სურვილი, არც დრო და არც ინტერესი არ უნდა ჰქონოდა. ამასთან, კახეთის საქართველოსთან მიერთება წარმოადგენდა ორ პატარა ქრისტიანულ სახელმწიფოს შორის ბრძოლას, რომელიც მიმდინარე მომენტისთვის არც ტერიტორიულ და არც რელიგიურ პრობლემებს არ უქმნიდა სელჯუკთა ბატონობას (აქ შეიძლება გავიხსენოთ ის ადრეული მაგალითი, როდესაც მალიქ-შაჰმა თავად გამოაყოლა სელჯუკთა არმია გიორგი II-ს კახეთის დასაპყრობად).[4] ერწუხის ბრძოლის პერიოდში, სელჯუკ სულთნებს აშკარად უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდათ გადასაწყვეტი, ვიდრე ეს მათთვის საქართველოს სამეფოს განძის საემიროსთან მიახლოვება იყო, მათთვის განძის საემიროს თავისი კონტროლის ქვეშ დაბრუნება უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა უნდა ყოფილიყო, ვიდრე დავით აღმაშენებლისთვის კახეთის შემოერთებაში ხელის შეშლა. ამას უნდა ნიშნავდეს ის გარემოებაც, რომ აღმოსავლური წყაროები (პირველ რიგში, ალ-ჰუსაინის, ალ-ასირისა და სხვა ავტორთა ე.წ. „მსოფლიო ისტორიები") რომლებიც საკმაოდ დეტალურად აღწერენ სელჯუკთა იმპერიაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს და განსაკუთრებით ომებს, ერთი სიტყვითაც კი არ იხსენიებენ ერწუხის ბრძოლას, განსხვავებით დიდგორის ბრძოლისა და შირვანში დავით აღმაშენებლის ლაშქრობისგან, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ერწუხის ბრძოლა არ განიხილებოდა როგორც სელჯუკურ სივრცეში მომხდარი მოვლენა და სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერიას მის მიმართ არანაირი ინტერესი არ გააჩნდა.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, ერთი რამ ფაქტია: დავით აღმაშენებელმა შემოიერთა კახეთი, რის აღსაკვეთადაც ერწუხის ბრძოლის შემდეგ, სელჯუკურ სამყაროს რეაქცია არ მოუხდენია, რასაც, ალბათ, ადგილი არ ექნებოდა იმ შემთხვევაში, სელჯუკთა იმპერიის მესვეურებს კახეთის საქართველოს ერთიან სამეფოსთან შეერთება თავისი ინტერესებისთვის ძალიან სახიფათო მოვლენად რომ ჩაეთვალათ.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ერწუხის ომში განძის საემირო მონაწილეობდა არა როგორც სელჯუკთა იმპერიის ნაწილი და იმპერიული პოლიტიკის რეალიზატორი, არამედ როგორც საქართველოს სამეფოს უშუალო მეზობელი სახელმწიფო ერთეული, რომელიც კარგად ხედავდა იმ საფრთხეს, რასაც მას უქმნიდა საქართველოს სამეფოს გაძლიერება და ადრეულ ეტაპზევე ცდილობდა მის შეჩერებას.

კახეთის შეერთება დავით აღმაშენებლის შესანიშნავი სტრატეგიის კიდევ ერთი მაგალითია, იგი კარგად აჩვენებს, თუ როგორ სწორად გეგმავდა სამოქმედო სტრატეგიას და როგორ სწორად არჩევდა მოქმედების დროს საქართველოს მეფე.

კახეთის შემოერთებით დავით აღმაშენებელმა დაიწყო ქართული სახელმწიფოების გაერთიანების პროცესი, რომელიც ბაგრატ IV-ს მეფობის ბოლო წლებში შეწყდა სელჯუკთა ექსპანსიის შედეგად. გაერთიანების პროცესის პირველ ეტაპს (კახეთის შემოერთებას) სელჯუკურ სამყაროსთან ომის დაწყება არ მოჰყოლია, თუმცა ცხადი იყო, რომ გაერთიანების შემდგომი ეტაპები (სამშვილდე-ქვემო ქართლი, თბილისისა და დმანისის საემიროები) ამას გარდაუვლად გამოიწვევდა. ეს გარემოება დავით აღმაშენებლის წინაშე, განსაკუთრებით მწვავედ სვამდა მომთაბარე თურქმენთა საკითხს, რომლებიც სელჯუკურ სამყაროსთან ფართომასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირების დროს ურთულეს პრობლემებს შეუქმნიდნენ საქართველოს სამეფოს უკვე სამხედრო თვალსაზრისითაც, რის გამოც სელჯუკებთან მასშტაბური ომის დაწყების წინ, აუცილებელი ხდებოდა, ამ პრობლემის თუნდაც ნაწილობრივი გადაწყვეტა.

ბრძოლა თურქმენ მომთაბარეთა წინააღმდეგ

როდესაც ხალხს აქვს ღირსების
გრძნობა, დიდი სახელმწიფოსთვის
ეს საკმარისია საბრძოლველად,
ხოლო მცირე სახელმწიფოსთვის
თავდასაცავად.

უ-ცზი.

მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლა დავით აღმაშენებელმა კახეთის შემოერთებამდე დაიწყო, რაც თურქმენთა პრობლემის გადაჭრის საერთო აუცილებლობასთან ერთად, კახეთის შემოერთებისთვის აუცილებელი კონკრეტული სტრატეგიული მოსაზრებითაც უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

დავითის მემატიანის ცნობით, საქართველოში თურქმენთა მომთაბარეობის ძირითადი რეგიონები იყო ავჭალა, დიღომი, მტკვრის ხეობა და იორი, რაც იმას ნიშნავს, რომ მომთაბარეთა დასახელებული სადგომები განფენილები იყვნენ საქართველოს სამეფოსა და კახეთის სამთავროს ტერიტორიებს შორის და როგორც ჩანს, გარკვეულ ბუფერულ ზონებსაც ქმნიდნენ კახეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის, რაც კახეთის შემოერთების პროცესში, ბუნებრივია, დიდ პრობლემებს შეუქმნიდა ქართულ არმიის უზრუნველყოფისა და კომუნიკაციის ხაზებს სამეფოს ძირითად ტერიტორიებთან. ამიტომ სრულიად ლოგიკური უნდა ყოფილიყო, რომ კახეთის წინააღმდეგ მასშტაბური სამხედრო ოპერაციების დაწყებამდე,

დავით აღმაშენებელს უნდა ეზრუნა ამ ბუფერული წინაღობების ლიკვიდაციაზე. შესაძლოა, სწორედ ეს ფაქტი იყოს ასახული დავითის მემატიანის იმ ცნობაში, რომლის მიხედვითაც ხარკის შეწყვეტის შემდეგ, თურქები ქართლში ველარ იზამთრებდნენ,[1] რაც იმის მინიშნებას შეიძლება წარმოადგენდეს, რომ საქართველოს მეფემ კახეთის შემოერთებამდე სწორედ ეს სადგომები გაანადგურა.

ქრონოლოგიურად ეს მოვლენა მოსდევს ხარკის შეწყვეტას და უშუალოდ წინ უსწრებს კახეთის შემოერთებისთვის ბრძოლას, რაც იმას ნიშნავს, რომ მომთაბარე თურქმენებზე პირველი შეტევა და მათგან ქართლის ზამთრის სადგომების განმენდა 1099 წლის შემდეგ, 1104 წლამდე უნდა მომხდარიყო. არ არის გამორიცხული, რომ მომთაბარეთა საწინააღმდეგო ეს პირველი კამპანია 1103 წელს განხორციელებულიყო და უშუალოდ ყოფილიყო დაკავშირებული ზედაზნის ციხის აღებასთან. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ზედაზენი იდეალურ სტრატეგიულ ადგილს წარმოადგენს ავჭალა-დიღმის და მტკვრის ხეობის ჩასაკეტად როგორც ქართლის, ასევე კახეთის მიმართულებით და თუ ზედაზენის ციხეში დავით აღმაშენებლის გარნიზონი ჩადგებოდა, ეს არამარტო აღუკვეთავდა ავჭალა-დიღომში დაზამთრების შესაძლებლობას მომთაბარეებს, არამედ ჩაკეტავდა კიდეც მტკვრის ხეობაზე გამავალ გზებს მომთაბარეთა სამოძრაოდ როგორც ქართლის, ასევე კახეთის შიდა რეგიონებისკენ ავჭალა-დიღომი-მცხეთის მიდამოებიდან.

თურქმენ მომთაბარეებთან საბრძოლველად დავით აღმაშენებელს საკმაო თავისუფლება გააჩნდა, რადგან მათ წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ოპერაციები საკუთრივ სამეფოს შიდა ტერიტორიებზე, ვერ გამოიწვევდა ომს სელჯუკებთან, რომლებსაც არავითარი სამართლებლივი მოტივაცია (და ალბათ არც სურვილი) არ ექნებოდათ, ფაქტიურად, კანონგარეშე მყოფ თურქმენთა დასაცავად, რომელთა გამოც მასშტაბურ ომს საქართველოს სამეფოსთან ისინი არ დაიწყებდნენ.[2]

აღნიშნულ პერიოდში მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლის ინტენსიურობაზე მიუთითებს სელჯუკთა ისტორიის ცნობილი მკვლევარის, თ. რაისის მიერ მოყვანილი ის ცნობა, რომლის მიხედვითაც, 1106-07 წლისთვის მომთაბარე თურქმენებმა, რომლებსაც ებრძოდა საქართველოს მეფე, დახმარება სთხოვეს რუმის სულთან ყილიჩ-არსლანს (1192-1107 წწ.), რომელიც იმ პერიოდში სირიაში სალაშქროდ იმყოფებოდა და მხოლოდ მცირე სამხედრო რაზმის გაგზავნა შესძ-

სურ. 7. ი. ძისი. ბრძოლა მომთაბარეებთან

ლო მათ დასახმარებლად დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ.[3]

ეს ცნობა მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. მისი მიხედვით, საქართველოს მეფე აგრძელებდა ბრძოლას მომთაბარეთა წინააღმდეგ კახეთის შემოერთების შემდეგაც (ე.ი. 1104-1107 და ალბათ მოგვიანო წლებშიც) და ანადგურებდა მათ სადგომებს არა მხოლოდ ავჭალის, დიღმისა და ივრის ზამთრის სადგომებზე, რომლებიც მან კახეთის შემოერთების წინ, 1104 წლამდე მოსპო, არამედ როგორც ჩანს, სამეფოს სხვა ადგილებში, ანუ ეწეოდა მასშტაბურ ომს მომთაბარეთა წინააღმდეგ სამეფოს მთელ ტერიტორიებზე.

უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ ცნობის მიხედვით, მომთაბარეებს სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერია არ ეხმარება. მომთაბარეები დახმარებას სთხოვენ რუმის სულთანს, რომელიც სუვერენული სახელმწიფოს მეთაურია და არ შედის სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერიის შემადგენლობაში. ის ფაქტი, რომ მომთაბარეები დასახმარებლად მიმართავენ ისეთ შედარებით შორეულ სელჯუკურ ერთეულს, როგორიც რუმის სასულთნოა, უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ახლოს მდებარე ერთეულები (განძის, ხლათის და სხვა საემიროები) მათ დახმარებას არ უწევენ. ე.ი. სელჯუკთა იმპერია დავით აღმაშენებლის ბრძოლას თურქმებთან არ განიხილავდა როგორც ბრძოლას მათ წინააღმდეგ და არ ერეოდა მასში, რაც სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია, რადგან საქართველოს მეფე (სელჯუკებისგან აღიარებული) თავისი ქვეყნის საზღვრებიდან აძევებდა მომთაბარეებს, რაც საქართველოს სუვერენულ უფლებას წარმოადგენდა და როგორც ჩანს, სელჯუკთა ხელისუფლება ამ უფლების რეალიზაციას სავსებით კანონიერ ქმედებად მიიჩნევდა დავით აღმაშენებლის მხრიდან.

აღნიშნული ცნობიდან ცხადია ისიც, რომ საქართველოს მეფის ბრძოლა მომთაბარეების წინააღმდეგ წარმატებულია და ისინი ამ ბრძოლაში აშკარად მარცხდებიან. სხვა შემთხვევაში მათ ყილიჩ-არსლანის დახმარება არ დასჭირდებოდათ.

მიუხედავად მომთაბარეებთან ბრძოლაში მიღწეული პირველი წარმატებებისა, ეს მხოლოდ ბრძოლის საწყისი ეტაპი იყო და მთელი სირთულე საქართველოს მეფეს, ჯერ კიდევ წინ ჰქონდა. თურქმენთა პრობლემის სამხედრო გზით გადაწყვეტა დროის ხანმოკლე მონაკვეთისთვის, ურთულეს და თითქმის შეუსრულებად ამოცანას წარმოადგენდა. მომთაბარეთა ცალკეული ტომები იყვნენ შედარებით მცირერიცხოვანნი და ფეოდალური არმიის ნაწილებთან პირისპირ შეხვედრისას წარმატების ნაკლები შანსი ჰქონდათ, მაგრამ ცხოვრების მომთაბარული წესი განაპირობებდა მათ მაღალ მობილურობას და სიცოცხლისუნარიანობას.

მომთაბარე მეომარს, რომელიც ფაქტიურად მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდა, ისევე როგორც ტომის დანარჩენ წევრებს, ადვილად შეეძლო რეაგირება წარმოქმნილ საშიშროებაზე. მომთაბარეთა ტომს, რომელიც არაფრით (სახლ-კარით, მეურნეობით, ვალდებულებით და ა.შ.) არ იყო დამაგრებული მიწაზე, ნებისმიერ დროს შეეძლო თავისი მოძრავი ქონებითა და საქონლით, მოხსნილიყო დროებითი სადგომიდან და გაცლოდა საფრთხეს, რასაც მათი განადგურების შესაძლებლობა მინიმუმამდე დაჰყავდა. ასეთი მობილურობის პირობებში მათ წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება მოულოდნელობის ფაქტორის შექმნა იყო, რაც სახელმწიფოს მხრიდანაც ასევე მაღალი მობილურობის ხარისხს მოითხოვდა, ეს კი ფეოდალური სისტემის, როგორც საკმაოდ მოუქნელი სამხედრო მექანიზმის არსებობისას, უაღრესად რთული განსახორციელებელი

იყო.

დავითის ისტორიკოსი დეტალურად აღწერს იმ შემთხვევებს, როდესაც მეფე ქართლიდან დასავლეთ საქართველოში გადადიოდა თითქოსდა დასაზამთრებლად და შემდეგ, მოულოდნელად ბრუნდებოდა უკან და თავს ესხმოდა მომთაბარეთა ზამთრის სადგომებს.[4] მიუხედავად ასეთი ტაქტიკის ეფექტურობისა, საბოლოო წარმატების მოტანა მას არ შეეძლო, რადგანაც მომთაბარეთა ფართო განსახლების პირობებში (როგორც ეს იყო თურქმენთა შემთხვევაში), ერთი განადგურებული ტომის ადგილს დაუყოვნებლივ მეორე იკავებდა, რაც მომთაბარეობასთან ბრძოლას დაუსრულებელ და მომქანცველ ხასიათს ანიჭებდა. ამ პროცესის შედეგი იყო ის, რომ მინიმალური ეფექტის ფონზე, დავით აღმაშენებელს გამუდმებით უნდა ეხარჯა უზარმაზარი რესურსები მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლისთვის, რაც საბოლოო ჯამში სახელმწიფოს უფრო დააზარალებდა ვიდრე მომთაბარეებს, რომელთათვისაც საძოვრებისთვის (ე.ი. არსებობისთვის) ბრძოლა და მუდმივი მოძრაობა ერთი ადგილიდან მეორეში ბუნებრივ მდგომარეობასა და ცხოვრების ჩვეულებრივ წესს წარმოადგენდა.[5]

ცნობილი ინგლისელი ისტორიკოსისა და მოაზროვნის, არნოლდ ტოინბის თეორიის მიხედვით, მომთაბარეობასთან მებრძოლი ცივილიზებული სახელმწიფო საკუთარი რესურსების ბოლომდე განადგურების თავიდან ასაცილებლად, ადრე თუ გვიან მიდის მომთაბარეობასთან ბრძოლის ბოლო შესაძლებლობამდე, გაანადგუროს მომთაბარეები ისევ მომთაბარეთა ხელით (სურ. 7).[6]

ეს ფენომენი ჩაისახა რომის იმპერიაში, როდესაც რომი ბარბაროსთა შემოტევების მოსაგერიებლად, იმავე ბარბაროსებისგან ქმნიდა სასაზღვრო დასახლებებს და მათგან აყალიბებდა სამხედრო რაზმებს.[7] ეს მოვლენა შუასაუკუნეების ეპოქაშიც საკმაოდ გავრცელებული იყო, ცნობილია არაერთი შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა სახელმწიფოები მომთაბარეობის პრობლემის გადაჭრას ამ გზით ცდილობდნენ. განსაკუთრებული გამოყენება მომთაბარეებს ბიზანტიის იმპერიაში ჰქონდათ, სადაც (IX-X სს-ში) ევროპის მიმართულებით დაძრული უნგრული მომთაბარე ტომების პირველივე ტალღა, იმპერატორმა ლევ VI-მ (870-912 წწ.) ბულგარეთის წინააღმდეგ ომში გამოიყენა.[8] ეს პრაქტიკა სხვა მომთაბარეთა (პაჭანიკების, ყივჩაღების) მიმართაც გაგრძელდა, რომელთაგანაც იმპერიის საზღვრების დაცვის მიზნით, მთელი რიგი სასაზღვრო დასახლებები იქმნებოდა.[9] ეს ტენდენცია, X-XI საუკუნეების ბიზანტიისთვის, სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილადაც იქცა.[10]

შექმნილი ვითარების ლოგიკიდან და პრობლემის არსიდან გამომდინარე, დავით აღმაშენებელიც ადრე თუ გვიან ამ გადაწყვეტილებამდე უნდა მისულიყო. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1110 წელს სამშვილდის აღებისა და სელჯუკებთან დიდი ომის დაწყების პარალელურად, მის წინაშე მომთაბარეთა პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით დადგა.

სელჯუკებთან მასშტაბური ომის პირობებში მომთაბარენი ბევრად საშიშნი ხდებოდნენ, რადგან ტერიტორიების გაფართოების პარალელურად, სამხრეთით გადაწეული სამეფოს საზღვრები უახლოვდებოდა მათ სხვა საზამთრო სადგომებსაც (რუსთავთან მტკვრის ხეობაში, არაქსზე და ა.შ.), რის გამოც მომთაბარეები სელჯუკთა ბუნებრივი მოკავშირეები ხდებოდნენ, რაც მათი პრობლემის გადაჭრის აუცილებლობას კიდევ უფრო აჩქარებდა.

რუსთავის აღების (1115 წ.) შემდგომ, 1116-1118 წლებისთვის, დავით აღმაშენე-

სურ. 8. ქ. ბიჯაკოვი, სლოვაკეთი. ყივჩაღი ცხენოსანი. კედლის მხატვრობა. XIII ს. ა. პალოცი — ხორვატის მიხედვით

ბლის მემატიანე იძლევა მტკვრის, ჭოროხისა და არაქსის ხეობებში მომთაბარეთა წინააღმდეგ ჩატარებული რამდენიმე კამპანიის აღწერილობას.[11] მიუხედავად იმისა, რომ ეს ლაშქრობები აშკარად წარმატებით დასრულდა, მეფე როგორც ჩანს, მაინც დარწმუნდა მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლის ამ მეთოდის, ფეოდალური არმიის ბაზაზე შექმნილი რაზმებით მომთაბარეთა წინააღმდეგ მასშტაბური ბრძოლის არაეფექტურობაში, რომელიც უზარმაზარ ხარჯებთან და ურთულეს ორგანიზაციულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული. ამის შემდეგ საქართველოს მეფემ ბრძოლის ტაქტიკა და ბრძოლის მეთოდი კარდინალურად შეცვალა, როდესაც 1118 წლიდან თურქმენ მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე, მთლიანად საქართველოში ამ წელს ჩამოსახლებულ ყივჩაღებზე გადაიტანა.

დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოში ყივჩაღების (სურ. 8, 25, 31) გადმოყვანა მნიშვნელოვანწილად თურქმენებთან წინააღმდეგ ბრძოლას რომ უნდა უკავშირდებოდეს, ამის თაობაზე არავითარი ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს. ყივჩაღები ამისთვის იდეალურ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. მსგავსი საბრძოლო ტაქტიკა, მობილურობა და ცხოვრების წესი, ის ეფექტური იარაღები იყო, რითაც ყივჩაღები შესძლებდნენ თურქმენთა პრობლემის გადაჭრას, საჭირო იყო მხოლოდ მოტივაცია, რის გამოც მათთან ბრძოლა ყივჩაღების ინტერესებში შევიდოდა. ასეთ მოტივაციად უნდა ქცეულიყო სამეფოს ტერიტორიებზე არსებული ის საძოვრები, სადაც თურქმენები მომთაბარეობდნენ და საზამთრო სადგომები ჰქონდათ მოწყობილი, მეფეს ამ საძოვრების გამოყენების უფლება ყივჩაღებისთვის უნდა გადაეცა. აქედან გამომდინარე, დავითის ისტორიკოსის ცნობა, ყივჩაღთა ოჯახების საქართველოში („მარჯვე" ადგილებში) დასახლების შესახებ, სწორედ ამ სასაძოვრე სივრცეების მათთვის გადაცემას უნდა ასახავდეს და არა სამეფოს ცენტრალურ, სამინათმოქმედო რაიონებში დასახლებას, სადაც მათი კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან გარდაუვალი იქნებოდა.[12] ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყივჩაღები უნდა განსახლებულიყვნენ საქართველოს სამხრეთ სასაზღვრო რაიონებში გაშლილ მდინარეთა ფართო ხეობებში და უნდა აეთვისებინათ ახლად

შემოერთებული ტერიტორიები (რუსთავთან მტკვრის ხეობა, ლორეს მიდამოები და ა.შ.), იქ სადაც მომთაბარე, ან ნახევრად მომთაბარე მესაქონლეობა იქნებოდა შესაძლებელი, რითაც ისინი შესანიშნავ ბუფერს შექმნიდნენ მუსლიმურ სამყაროსთან და ამავე დროს, სასიცოცხლო სივრცეს წაართმევდნენ თურქმენებს.

საძოვრების ყივჩაღთათვის გადაცემა საქართველოს მეფეს უამრავი პრობლემისგან ათავისუფლებდა, ამიერიდან იგი თავადაც რომ არ ჩარეულიყო თურქმენების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამას ყივჩაღები დამოუკიდებლადაც გააკეთებდნენ. გარდა ამისა, სახელმწიფო იღებდა დამატებით სამხედრო ძალას, რომლის გამოყენებაც მას მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლის გარდა, სხვა ამოცანების შესასრულებლადაც შეეძლო.

ძალზედ მნიშვნელოვანი იყო ის გარემოებაც, რომ ყივჩაღები ზუსტად ისეთივე საფრთხე ხდებოდნენ საქართველოს მეზობელი სელჯუკური საემიროებისთვის, რასაც საქართველოს სამეფოსთვის თურქმენები წარმოადგენდნენ. ამიერიდან სელჯუკთა საემიროები ყივჩაღთა მარბიელი რეიდების მუდმივი ობიექტები ხდებოდნენ, რაც მათთან ომის პირობებში, უაღრესად მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობის ფაქტორს წარმოადგენდა.

ამდენად, ყივჩაღთა გადმოსახლებით საქართველოს მეფე ერთდროულად წყვეტდა რამდენიმე პრობლემას, სადაც ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ სელჯუკებსა და მათ მოკავშირე თურქმენებს იგი უკვე მათივე იარაღით უპირისპირდებოდა.

თავი IV

საქართველოს სამეფო სელჯუკთა იმპერიის წინააღმდეგ

სამშვილდე—ომის დასაწყისი სელჯუკთა იმპერიასთან

კარგი მხედართმთავარი არა მარტო ხედავს გამარჯვების გზას, არამედ იცის როდის მოიპოვოს ის.
პოლიბიოსი.

1110 წელს დავით აღმაშენებელმა აიღო სამშვილდე, რიგი სხვა ციხე-სიმაგრეები და დაიკავა ტერიტორია, რომელიც სამშვილდის მიმდებარე "ქვეყანას" წარმოადგენდა.[1]

სამშვილდე ადმინისტრაციულად შედიოდა განძის საემიროში და სელჯუკთა უშუალო სამფლობელოს წარმოადგენდა. მისი აღება ირან-ერაყის სელჯუკთა იმპერიისთვის ომის გამოცხადებას ნიშნავდა.

სამშვილდის რეგიონს სელჯუკები თავის კანონიერ სამფლობელოდ განიხილავდნენ. ამის იურიდიული საფუძველი იყო მალიქ-შაჰსა და გიორგი II-ს შორის 1083 წელს გაფორმებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც საქართველოს სამეფომ (გიორგი II-მ) ეს ტერიტორიები სელჯუკთა საკუთრებად სცნო.

სამშვილდის რეგიონი სელჯუკებმა დაიპყრეს 1073 წელს და ეკავათ 37 წლის, ანუ თითქმის ერთი თაობის სიცოცხლის განმავლობაში, რაც გარდა გიორგი II-თან დადებული შეთანხმების ძალით ამ ტერიტორიების იურიდიული "დამაგრებისა," მათ გაუჩენდა ამ ტერიტორიების მფლობელობის "კანონიერების" შეგრძნებასაც, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში, სელჯუკებისთვის დავით აღმაშენებელი ხდებოდა აგრესორი და თავდამსხმელი.

ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ დავით აღმაშენებლის დროს ომი საქართველოს სამეფოსა და სელჯუკებს შორის დაიწყო ხარკის გადახდის შეწყვეტის შემდეგ. ამ ომის მნიშვნელოვან ეპიზოდად განიხილება აგრეთვე, როგორც კახეთის შემოერთება, ასევე ბრძოლა მომთაბარე თურქმენთა წინააღმდეგ[2], რაც არ უნდა შეეფერებოდეს ისტორიულ რეალობას.

ხარკის შეწყვეტას სელჯუკთა იმპერიამ სრული დუმილით (როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, დამოუკიდებლობის აღიარებით) უპასუხა, რისი მიზეზიც იმპერიის გარშემო არსებული გეო-პოლიტიკური ვითარების კარდინალური ცვლილება და სელჯუკთა საწინააღმდეგო იმ მრავალი კერის გაჩენა უნდა ყოფილიყო, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი წინა თავებში. სელჯუკთა იმპერიას ან აღარ ჰქონდა საქართველოზე ჰეგემონიის აღდგენის ძალა და რესურსი, ან მოცემულ ვითარებაში მისმა მესვეურებმა საქართველო ნაკლები მნიშვნელობის საფრთხედ ჩათვალეს და დავით აღმაშენებლის გააქტიურებაზე საპასუხო ზომები მომავლისთვის გადადეს (რითაც დაუშვეს დიდი სტრატეგიული შეცდომა). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სელჯუკთა ცენტრალურმა ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეაფასა ვერც საქართველოს სამეფოში მიმდინარე შიდა პროცესების (დავითის რეფორმების) მნიშვნელობა და ვერც საქართველოს ახალგაზრდა მეფის სახელმწიფოებრივი და მხედართმთავრული უნარი.

კახეთის შემოერთების მიმართ ასევე გვქონდა აღნიშნული, რომ ეს აქტი არ

წარმოადგენდა სელჯუკთა საწინააღმდეგო (ყოველ შემთხვევაში, სელჯუკთა ცენტრალური ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვან) ქმედებას და რომ ერწუხის ბრძოლის დროს, განძის საემირო მოქმედებდა როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი და არა როგორც იმპერიის ნაწილი. სხვაგვარად სავსებით გაუგებარი ხდება სელჯუკების სრული უმოქმედობა ერწუხის ბრძოლის შემდგომ წლებში. სელჯუკთა იმპერიას 1104-1110 წლებში არანაირი აქტიურობა არ გამოუჩენია საქართველოს მიმართ და რომ არა დავით აღმაშენებლის მიერ სამშვილდის აღება, შეიძლება არც შემდგომ წლებში გამოეჩინათ.

რაც შეეხება მომთაბარე თურქმენებს, მათთან ბრძოლა ასევე არ შეიძლება იქნეს განხილული სელჯუკთა იმპერიასთან ბრძოლის კონტექსტში, რადგან სელჯუკები, რომლებიც როგორც სამშვილდეს სცნობდნენ საკუთარ კანონიერ ტერიტორიად, ასევე აღიარებდნენ საქართველოს დანარჩენი რეგიონების კანონიერ კუთვნილებას საქართველოს სამეფოსადმი, რისი უდავო დადასტურებაც ის ფაქტია, რომ მალიქ-შაჰისა და გიორგი II-ს შორის გაფორმებული შეთანხმების შემდეგ საქართველოს წინააღმდეგ სელჯუკთა იმპერიის მიერ ორგანიზებული ლაშქრობა არ მოწყობილა.[3] შესაბამისად, მათ არ შეეძლოთ პრეტენზია განეცხადებინათ მომთაბარეთა ავტონომიური ქმედებების აღკვეთაზე მათ მიერ კანონიერად ცნობილი ტერიტორიების შიგნით, რაც დავით აღმაშენებელს აძლევდა მოქმედების სრულ თავისუფლებას მომთაბარეთა წინააღმდეგ სამეფოს ფარგლებში.[4]

ასე, რომ სელჯუკებთან ომის დაწყების თარიღად არა 1099 (ხარკის შეწყვეტა) ან 1104 (კახეთის შემოერთება) წლები უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც ამ აქტებს სელჯუკთა იმპერიამ ომით არ უპასუხა, არამედ 1110 წელი, ანუ სამშვილდის აღების თარიღი.

დავით აღმაშენებლის მემატიანის თანახმად, საქართველოს მეფემ სამშვილდის ასაღებად თავისი "საყვარელი" ტაქტიკური ხერხი, მოულოდნელობის ფაქტორი გამოიყენა, რომლის შესაქმნელადაც ის (როგორც ჩანს, გარკვეული სამხედრო ძალის თანხლებით) გადავიდა დასავლეთ საქართველოში, რითაც მოადუნა სამშვილდის გარნიზონის ყურადღება და შემდეგ მოულოდნელი თავდასხმით, რომელსაც გიორგი ჭყონდიდელი მეთაურობდა, აიღო სამშვილდის ციხე-სიმაგრე.

მეფის ტაქტიკა სავსებით გასაგები და უდავოდ სწორია. სამშვილდე არა მარტო ქვემო ქართლის, არამედ მთელი ამიერკავკასიის ერთ-ერთ უძლიერეს ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა და მისი შტურმით აღება თითქმის შეუძლებელი იყო.[5] რაც შეეხება ალყას, იგი გარნიზონის სურსათ-სანოვაგით უზრუნველყოფის შემთხვევაში, შეიძლებოდა თვეობით და წლობითაც გაგრძელებულიყო, ამისთვის საჭირო დროს კი, დავით აღმაშენებელს სელჯუკები ნამდვილად არ მისცემდნენ და სასწრაფოდ გამოაგზავნიდნენ დამხმარე არმიას, რის შემდეგაც საქართველოს მეფეს არახელსაყრელ ვითარებაში (ზურგში სელჯუკთა დაუმარცხებელი გარნიზონები, ხოლო წინ საველე არმია) მოუწევდა ომის გაგრძელება. სამშვილდის ელვისებური აღება იყო ერთადერთი შესაძლებლობა ორ ფრონტზე ბრძოლის თავიდან ასაცილებლად და ეს შესაძლებლობა დავით აღმაშენებელმა შესანიშნავად გამოიყენა.

სამწუხაროდ, ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი მითითება თუ სამხედრო თვალსაზრისით როგორ განხორციელდა ციხე-სიმაგრის აღება. მემატიანის სიტყვები, რომ "სიმარჯვით მოიპარეს სამშვილდე," მხოლოდ ზოგადი ვარაუდების საშუალებას იძლევა. ციხის "მოპარვა" (ე.ი. მოულოდნელი აღება) შეიძლებოდა განხ-

სურ. 9. ა. ჰუკი. ციხესიმაგრის ჭიშკარის შტურმი

ორციელებულიყო რამდენიმე გზით, მაგალითად, მის სიახლოვეს მომხდარიყო მეომართა გარკვეული კონტიგენტის ფარული კონცენტრაცია და ღია ჭიშკარში მოულოდნელი შევარდნით (სურ. 9.) ციხის დაპყრობა. ღამით ფარულად მიდგომოდნენ ციხის გალავნის ყველაზე უყურადღებოდ დატოვილ მონაკვეთს და მასზე გადასვლით აღმოჩენილნიყვნენ ციხის შიდა ტერიტორიაზე. ვაჭრების ან ხელოსნების სახით წინასწარ შეეგზავნათ მეომართა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც ციხეზე მოულოდნელი თავდასხმისას იზრუნებდნენ ჭიშკრის შიგნიდან გაღებაზე და ა.შ. რომელი ხერხი გამოიყენა დავით აღმაშენებელმა, ეს ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ერთი რამ უდავო ფაქტია, მან დასავლეთ საქართველოში გადასვლით შეძლო საერთო, ხოლო სამშვილდის სიახლოვეს მეომართა კონტიგენტის ფარული კონცენტრირებით, ლოკალური მოულოდნელობის ფაქტორების შექმნა, რითაც უზრუნველყო დასახული ამოცანის უნაკლოდ შესრულება.[6]

ის გარემოება, რომ საქართველოს მეფეს თავისი მხედართმთავრების წინაშე შეეძლო დაესვა ურთულესი სამხედრო ამოცანა, რაც მისი უშუალო მეთაურობის გარეშე შეიძლებოდა წარმატებით განხორციელებულიყო, მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს არმიას იმ დროისთვის უკვე მიღწეული ჰქონდა სამხედრო ორგანიზაციის მაღალი დონისთვის და იმყოფებოდა მზადყოფნაში მასშტაბური

სამხედრო ამოცანების შესასრულებლად, რაც სელჯუკების დაშლის პროცესში მყოფ, მაგრამ ჯერ კიდევ უზარმაზარი პოტენციალის მქონე იმპერიის წინააღმდეგ საომრად, აუცილებელ პირობას წარმოადგენდა.

გარდა არმიის აშკარად მაღალი საბრძოლო მზადყოფნისა, სამშვილდის აღებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს სელჯუკთა იმპერიასთან ომის დასაწყებად იდეალურად შერჩეული დრო, როდესაც იმპერიის მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები დაკავებულნი იყვნენ ჯვაროსანთა წინააღმდეგ ბრძოლით (როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, დრო იდეალურად იყო შერჩეული როგორც ხარკის შეწყვეტის, ასევე კახეთის შემოერთებისასაც, რაც იმას ნიშნავს, რომ დავით აღმაშენებლის ხელში მოულოდნელობის ფაქტორი, სისტემურ მეთოდად იყო ქცეული).

1110 წელს სელჯუკთა დიდმა სულთანმა მუჰამედ ტაპარმა გამოაცხადა პირველი ჯიჰადი ჯვაროსანთა წინააღმდეგ, რომლის ხელმძღვანელობაც მოსულის ათაბაგს, მაუდუდსა (იგი მოგვიანებით ალ-ბურსუკმა შეცვალა) და ხლათის ემირს, სუკმენ ალ-კუტბის დაავალა. ჯიჰადში მონაწილეობდნენ სხვა ემირებიც, მაგალითად დამასკოს ათაბაგი ტუგ-ტეგინი და მარდინის მფლობელი ნაჯმ ადდინ ილ-ღაზი, რომლებმაც მოგვიანებით დატოვეს ჯიჰადის კოალიცია და მის წინააღმდეგაც კი გაერთიანდნენ ჯვაროსნებთან.[7] ჯიჰადის მიზანი იყო სელჯუკთა სამფლობელოებში ღრმად შეჭრილი ედესის საგრაფოს ლიკვიდირება,[8] რისი მიღწევაც მუსლიმებმა ვერ მოახერხეს და ხუთ წლიანი ომის შედეგად, თავად აღმოჩნდნენ განადგურებულნი ანტიოქიის მთავარ როჯერის მიერ, რამაც მუსლიმურ სამყაროში დიდი შეშფოთება გამოიწვია.[9]

რასაკვირველია, საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტორს, ჯიჰადში ხლათის საემიროს, საქართველოს მეზობელი ძალიან ძლიერი ერთეულის მონაწილეობა წარმოადგენდა. სამშვილდისა და ქვემო ქართლისთვის ბრძოლაში, ამ მნიშვნელოვანი საემიროს კონცენტრირება სირიისკენ, უდავოდ ხელისშემწყობი გარემობა იყო დავით აღმაშენებლისთვის სელჯუკებთან ომის საწარმოებლად, მაგრამ ამის პარალელურად, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო პირველი ჯიჰადის კამპანიის ხანგრძლივობაც, რომლის დროსაც სელჯუკთა ყურადღებისა და პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი ჯვაროსნების წინააღმდეგ იყო მიმართული.

დავით აღმაშენებლის მემატიანის მიხედვით, სამშვილდის აღების შემდეგ სელჯუკებმა თავად მიატოვეს სომხითის სხვა ციხეები და მთლიანად დატოვეს რეგიონი. ამ ციხეებიდან მემატიანე ასახელებს ძერნას, რომლის ადგილმდებარეობაც უცნობია, ასევე უცნობია თუ რომელი სხვა ციხე-სიმაგრეები იქნა სელჯუკების მიერ მიტოვებული, მაგრამ სამშვილდის რეგიონი სამშვილდის აღებით, დავითის ხელში რომ გადავიდოდა, ეს უდავო ფაქტია.

სამშვილდის აღება არ იყო კახეთის (ე.ი. არასელჯუკური ტერიტორიის) შემოერთება ან მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარ საზღვრებს შიგნით, იგი სელჯუკთა ტერიტორიებზე თავდასხმასა და საქართველოს სამეფოსა და სელჯუკთა იმპერიას შორის არსებული საზღვრის დარღვევას ნიშნავდა, რაც საპასუხო ქმედების გარეშე არ შეიძლებოდა დარჩენილიყო. სელჯუკებმა, განსხვავებით ხარკის შეწყვეტისა და კახეთის შემოერთებისა, სამშვილდის დაკარგვაზე მოახდინეს ელვისებური რეაქცია და საქართველოში გამოგზავნეს დიდი არმია, რომლის საქართველოში შემოსვლასაც შედეგად მოჰყვა თრიალეთის ბრძოლა, რომელიც დიდგორის ერთგვარ პრელუდიას და სელჯუკთა იმპერიის პირველ დიდ სამხედრო მარცხს წარმოადგენდა დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში.

მან ვინც იცის როდის შეუძლია
ბრძოლა და როდის არა, ყოველთვის
გამარჯვებული იქნება.
სუნ-ძი.

თრიალეთის ბრძოლის შესახებ ძირითად ცნობებს იძლევა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი. მისი მიხედვით, სელჯუკთა 100 ათასიანი არმია საქართველოში შემოსულა მოულოდნელად, მეფე ამ დროს ნაჭარმაგევში იმყოფებოდა (სანადიროდ) მცირე, 1500 კაციანი რაზმით, მას სელჯუკთა შემოსვლა გაუგია საღამოს, როდესაც მტრის არმია უკვე თრიალეთთან იდგა. მეფე ამ 1500 მეომრის თანხლებით დაუყოვნებლივ დაიძრა მტრის წინააღმდეგ, ღამის განმავლობაში გაიარა მანძილი ნაჭარმაგევიდან თრიალეთამდე, დილით თავს დაესხა მათ და სასტიკად დაამარცხა.[1]

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ცნობა შეიცავს სრულიად დაუჯერებელ მონაცემებს მოწინააღმდეგეთა რაოდენობებისა და დავით აღმაშენებლის მიერ ერთ ღამეში განვლილი დისტანციის შესახებ, მოვლენათა დინამიკასა და ბრძოლის საერთო ხასიათს სწორად უნდა გადმოსცემდეს.[2]

თრიალეთის ბრძოლასვე უნდა ეხებოდეს არაბი ავტორების, იბნ-კალანისისა და ალ-ჰუსაინის ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც, სელჯუკთა დიდ სულთანს მუჰამედ ტაპარს დიდი არმია გაუგზავნია დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ მისი განძაზე თავდასხმის საპასუხოდ.[3]

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ დავით აღმაშენებელის მიერ სამშვილდის აღებას მოჰყვა სელჯუკთა არმიის საქართველოში შემოსვლა და თრიალეთის ბრძოლა, რის შემდეგაც დავითმა ილაშქრა განძის საემიროში და ააოხრა ქალაქ განძის მიდამოები, რის საპასუხოდაც მუჰამედ ტაპარმა მის წინააღმდეგ გამოაგზავნა არმია, რომელმაც აღმაშენებელი აიძულა დაეტოვებინა განძის საემირო.[4]

მოვლენათა ასეთი რეკონსტრუქცია არასწორი უნდა იყოს. სამშვილდის აღება და მისი მიმდებარე რეგიონის დაპყრობა, უკვე წარმოადგენდა განძის საემიროზე თავდასხმას, რომელსაც სელჯუკებმა სავსებით ლოგიკურად უპასუხეს თრიალეთის ბრძოლით (და რაც აისახა კიდეც, როგორც დავითის მემატიანის, ასევე იბნ-კალანისისა და ალ-ჰუსაინის ცნობებში). წარმოდგენილი რეკონსტრუქციით კი გამოდის, რომ მუჰამედ ტაპარს ერთი საბრძოლო სეზონის განმავლობაში ორჯერ გამოუგზავნია დიდი არმია დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ, რაც რასაკვირველია შეუძლებელი არა, მაგრამ საკმაოდ ძნელი შესასრულებელი იყო თუნდაც ლაშქრის თავმოყრისა და სამხედრო ორგანიზაციის თვალსაზრისით (და ეს იმ დროს, როდესაც სელჯუკების სხვა არმია, ინტენსიურ საბრძოლო კამპანიას აწარმოებდა ჯვაროსნების წინააღმდეგ სირიაში).[5] უფრო ლოგიკური უნდა იყოს თუ ვიფიქრებთ, რომ 1110 წლის სამხედრო კამპანია საქართველოს სამეფოსა და სელჯუკების იმპერიას შორის შემოიფარგლა ორი მასშტაბური ეპიზოდით, სამშვილდის აღებითა და თრიალეთის ბრძოლით.

თრიალეთის ბრძოლის აღწერისას დავით აღმაშენებლის მემატიანე, გარდა დაუჯერებელი ციფრებისა და თრიალეთამდე განვლილი მარშრუტის არარეალური სისწრაფისა, იძლევა კიდევ ერთ დაუჯერებელ ცნობას. მისი მიხედვით, სამშ-

ვილდის აღების შემდეგ და თრიალეთის ბრძოლის წინ, დავით აღმაშენებელი მხლებელთა მცირე ამალით სანადიროდ ყოფილა ნაჭარმაგევში, ხოლო მისი არმია სახლში ყოფილა გაშვებული (სხვა შემთხვევაში მეფე მხოლოდ 1500 მეომრით არ შეებრძოლებოდა სელჯუკებს), რაც არადამაჯერებელია.

აბსოლუტურად წარმოუდგენელად გამოიყურება საქართველოს მეფისგან, რომ სელჯუკებთან დიდი ომის დაწყების შემდეგ, არმია დაეშალა და თვითონ სანადიროდ წასულიყო ნაჭარმაგევში (შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ თავის დროზე სწორედ ასეთი "უდარდელობისა" და სტრატეგიული უნიჭობის გამო გადააყენეს ტახტიდან დავითის მამა, გიორგი II).[6] სამშვილდის აღების შემდეგ, დავით აღმაშენებელი სრულ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო თავის არმიასთან ერთად, რადგან ცხადზე ცხადი იყო, რომ სელჯუკები მათი ტერიტორიების ხელყოფას უპასუხოდ არ დატოვებდნენ. არ არის გამორიცხული, რომ სამშვილდის რეგიონის დაკავების შემდგომ, ქართულ არმიას შეტევა უფრო ღრმადაც განეხორციელებინა განძის საემიროს ტერიტორიებზე და სწორედ ეს მოვლენა ასახულიყო იბნ ალ-კალანისთან, როგორც ქალაქ განძის სანახების დარბევა.[7]

დავითის მემატიანის მიხედვით, საქართველოში შემოსული სელჯუკთა არმია 100 ათასი მეომრისგან შედგებოდა, რაც ასევე დაუჯერებელია. გარდა იმისა, რომ მოცემულ ეპოქაში ამ სიდიდის არმიები არ არსებობდნენ (ამ საკითხის შესახებ იხ. V თავის ქვეთავი "კოალიციის სამხედრო ძალის რაოდენობა" და VI თავის ქვეთავები "ყივჩაღ მეომართა რაოდენობა" და "არმიის ორგანიზაცია, შემადგენლობა და რაოდენობა"), მუჰამედ ტაპარს ისედაც არ შეეძლო მთელი თავისი ძალების თავმოყრა საქართველოს წინააღმდეგ (მით უმეტეს ორჯერ ერთი სეზონის განმავლობაში) ჯვაროსნებთან მიმდინარე წმინდა ომის გამო, სადაც დაკავებული იყო სელჯუკთა იმპერიის სულ ცოტა ორი მსხვილი საემიროს, მოსულისა და ხლათის სამხედრო ძალები. ე.ი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში შემოსული არმია, ძირითადათ განძის საემიროს, სამხრეთ აზერბაიჯანისა და დასავლეთ ირანის სელჯუკური ერთეულების მეომრებით უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული, რომელთა საერთო პოტენციალის გათვალისწინებითაც, სელჯუკთა არმია 100 ათასზე ბევრად ნაკლები სიდიდის იქნებოდა.[8]

სამშვილდის აღების საპასუხოდ შემოსულ სელჯუკთა მიზანი, ბუნებრივია, დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნება იქნებოდა, მაგრამ მათმა არმიამ გვერდი აუარა სამშვილდეს (ყოველ შემთხვევაში, წერილობითი წყაროებიდან ეს ასე სჩანს) და შევიდა თრიალეთის ქედზე, რაც გარეგნულად უცნაურად, მაგრამ რეალობაში სრულიად ლოგიკურ ქმედებად გამოიყურება.

როგორც აღვნიშნეთ, სამშვილდე თავისი დროის უძლიერეს ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა და მისი პირდაპირი შტურმით აღება ძალზედ რთული სამხედრო ოპერაცია იყო, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც გარნიზონი მომზადებული იქნებოდა მის დასაცავად (უნდა ვივარაუდოთ, რომ ახლად აღებულ სიმაგრეში ჩაყენებული ქართული გარნიზონი სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იქნებოდა, როგორც საბრძოლო სულისკვეთებით, ასევე სურსათ-სანოვაგის მარაგით). ასეთ შემთხვევაში სელჯუკებს რომ დაეწყოთ სამშვილდის ალყა, ისინი დადგებოდნენ ზურგში დავით აღმაშენებლის არმიის თავდასხმის საშიშროების წინაშე, რომლის დროსაც მათი დამარცხება თითქმის გარდაუვალი იქნებოდა. ამ ვითარებაში თავისთავად დგებოდა ამოცანა ჯერ დავით აღმაშენებლის საველე არმიის განადგურებისა, ხოლო შემდეგ სამშვილდის აღებისა, რაც ქართული არმიის დამ-

არცხების შემთხვევაში, ბევრად იოლ ამოცანად გადაიქცეოდა. ასე, რომ სამშვილდის გვერდის ავლა, სელჯუკთა არმიის სარდლობის მხრიდან უდავოდ სწორი გადაწყვეტილება იყო.

სურ. 10. გ. დორე. ბრძოლა მთებში

აღნიშნულიდან გამომდინარე, სელჯუკური არმიის თრიალეთის ქედზე შესვლასთან დაკავშირებით, რჩება ერთადერთი დასკვნის შესაძლებლობა, სელჯუკთა არმია მოძრაობდა იმ მიმართულებით, სადაც მას საქართველოს მეფე ეგულებოდა. რამდენადაც თრიალეთის მთებში ბრძოლა არახელსაყრელი იყო სელჯუკებისთვის, რადგან მთების პირობებში ისინი კარგავდნენ ყოველგვარ ტაქტიკურ უპირატესობას (ამის შესახებ იხ. V თავის ქვეთავი "სელჯუკური არმიის ორგანიზაცია და საბრძოლო ტაქტიკა"), ამდენად თრიალეთში ბრძოლა არაფრით უნდა შესულიყო მათ გეგმებში, რისი მიხედვითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სელჯუკთა არმია მოძრაობდა შიდა ქართლისკენ, სადაც იმ დროისთვის უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფე (ბუნებრივია არა სანადიროდ) მის არმიასთან ერთად. როგორც ჩანს, სელჯუკები ცდილობდნენ გასულიყვნენ შიდა ქართლის ვაკეზე და იქ შეხვედროდნენ დავით აღმაშენებელს, სადაც მასთან შებრძოლება მათთვის ბევრად ხელსაყრელი იქნებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სელჯუკმა სარდლებმა ამ ამოცანის შესასრულებლად უმოკლესი მარშრუტი შეარჩიეს მათი სამფლობელოებიდან შიდა ქართლისკენ.[9]

რასაკვირველია, დაზვერვის მეშვეობით (რომლის მნიშვნელობაც უფრო კარგად გამოჩნდა დიდგორის ბრძოლის დროს), დავით აღმაშენებლისთვის ცნობილი იქნებოდა სელჯუკთა არმიის მოძრაობის მარშრუტი თითქმის რეალურ დროში,[10] რის შედეგადაც, როგორც კი სელჯუკები მოძრაობას დაიწყებდნენ თრიალეთის მიმართულებით, მისთვის ცხადი უნდა გამხდარიყო მათი ჩანაფიქრი. აქედან გამომდინარე, თავის მხრივ დავით აღმაშენებელსაც უნდა მიეღო სავსებით სწორი და ლოგიკური გადაწყვეტილება შექმნილი ოპერატიული ვითარებისთვის: არ დაეშვა სელჯუკების შიდა ქართლის ვაკეზე გასვლა და იძულებული გაეხადა ისინი, ბრძოლა მიეღოთ მთის პირობებში, რისთვისაც მან აშკარად შემხვედრი მარში განახორციელა.

ამ ვითარებაში, მოწინააღმდეგეთათვის სტრატეგიული უპირატესობის ფაქტორს ქმნიდა არმიების გადაადგილების სისწრაფე და რომელი მხარეც ამას უკეთ განახორციელებდა, ბრძოლის გამართვისას უპირატესობასაც ის მიიღებდა. თუ დავით აღმაშენებელი შეძლებდა მოწინააღმდეგესთან მთის პირობებში შეხვედრას, ეს უპირატესობა მის მხარეზე იქნებოდა, ხოლო თუ სელჯუკები მოახ-

ერხებდნენ შიდა ქართლის ვაკეზე გასვლას, წარმატების მეტი შანსი უკვე მათ მხარეს გადაიხრებოდა.

როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელმა თრიალეთამდე მისასვლელად გამოიყენა ფორსირებული მარში[11] (რაც მისი მემატიანის ცნობაში ფანტასტიკურ სისწრაფეში გადაიზარდა) და მთის რელიეფზე "დაიჭირა" მოწინააღმდეგე, რომელსაც მან, თავისი აშკარად მოულოდნელი რეიდით, წარმატების შანსი არ დაუტოვა.

მიუხედავად იმისა რომ არაბი მემატიანეები, იბნ ალ-კალანისი და ალ-ჰუსაინი იტყობინებიან სულთნის არმიის გამარჯვების შესახებ, ეს ასე არ უნდა ყოფილიყო და ამის უმთავრესი არგუმენტი არის არა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა ქართველთა გამარჯვების შესახებ, არამედ ის ფაქტი, რომ სამშვილდეცა და მისი მიმდებარე რეგიონიც (ე.ი. განძის საემიროს ნაწილი), თრიალეთის ბრძოლის შემდეგ მყარად დარჩა დავით აღმაშენებლის ხელში, რაც იმას ნიშნავს, რომ სელჯუკებმა საქართველოში ლაშქრობის უმთავრესი ამოცანა ვერ შეასრულეს, ეს კი თრიალეთის ბრძოლაში გამარჯვებისას სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა.

რეალური მონაცემები საკუთრივ ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ ძალიან მცირეა. დავითის მემატიანე ამ ბრძოლას მოკლედ გადმოსცემს და ნაკლებად იძლევა მომხდარი ფაქტების აღწერილობას.[12] ერთადერთი (სამხედრო თვალსაზრისით ღირებული), რაც მისი ცნობებიდან შეიძლება მივიღოთ არის ის, რომ ქართული არმია მოწინააღმდეგეს თავს დასხმია გამთენიისას, ბანაკიდან გამოსვლის დროს, რომელიც ნებისმიერ არმიაზე თავდასასხმელად საუკეთესო მომენტს წარმოადგენდა, თუმცა ძალიან ძნელი განსახორციელებელი იყო მოწინააღმდეგის ბანაკამდე შეუმჩნევლად მიახლოვების სირთულის გამო. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელმა მოახერხა ამ რთული მანევრის შესრულება და მოულოდნელობის ფაქტორის გამოყენებით, შეძლო მოწინააღმდეგის დამარცხება.[13]

ამგვარად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სელჯუკების იმპერიასთან დაწყებული ომის პირველი ეტაპი დავით აღმაშენებლის სრული გამარჯვებით დამთავრდა. მან შეძლო ახლად დაკავებული ტერიტორიების შენარჩუნება და სელჯუკთა ძლიერი არმიის დამარცხება, რაც ამ მასშტაბური სამხედრო კამპანიის შემდგომი გაგრძელებისა და დასახული ამოცანების თანმიმდევრობით შესრულების შესაძლებლობას იძლეოდა.

1115-1120 წლების კამპანია

როდესაც მოულოდნელობა ეფექტურია, მისი შედეგი მოწინააღმდეგის რიგებში არეულობა და საბრძოლო სულის დაცემაა.

კლაუზევიცი.

ომში ყველაზე მთავარი სისწრაფეა.
სუნ-ძი.

1110 წლის შემდეგ განვითარებული მოვლენები ადასტურებენ, რომ თავისი მნიშვნელობით თრიალეთის ბრძოლა თითქმის არაფრით ჩამორჩებოდა დიდგორის ბრძოლას. ამ ბრძოლის შედეგებმა სელჯუკებს რამდენიმე წლით (1110-1120 წწ.) მოუსპო საქართველოს წინააღმდეგ მსხვილი ძალებით გამოსვლის შესაძლებლობა, რამაც დავით აღმაშენებელს მისცა ოპერატიული თავისუფლება და დასაბრუნებელ ტერიტორიებზე მოწინააღმდეგის დიდი ძალებისგან თავისუფალი სივრცე, რაც საქართველოს მეფემ შესანიშნავად გამოიყენა.

თრიალეთის ბრძოლიდან დიდგორის ბრძოლამდე (ე.ი. 11 წლის განმავლობაში), სელჯუკთა იმპერიის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ, რაიმე ორგანიზებული სამხედრო ქმედება არ ფიქსირდება, რასაც რამდენიმე მიზეზი უნდა ჰქონოდა საფუძვლად:

—თრიალეთის ბრძოლაში განადგურებული აღმოჩნდა განძის საემიროს, სამხრეთ აზერბაიჯანისა და დასავლეთ ირანის ერთეულებიდან გამოყვანილი არმია, რომლის პოტენციალის აღდგენასაც რამდენიმე წელი დასჭირდა.

—რიგი სელჯუკური ერთეულები ჩართული იყვნენ ჯვაროსნების წინააღმდეგ მიმდინარე წმინდა ომებში და ორ ფრონტზე ბრძოლა არ შეეძლოთ.

—1118-19 წლებში, საბოლოოდ დაიშალა სელჯუკთა დიდი იმპერია, რომლის ცალკეული ნაწილებიც დიდი სულთნის, მუჰამედ ტაპარის გარდაცვალების შემდეგ, 1118-21 წლებში, აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ[1].

—გაიზარდა საქართველოს სამეფოს სამხედრო პოტენციალი და ცალკეულ სელჯუკურ ერთეულებს ერთმანეთთან კონსოლიდაციის გარეშე არ ძალუძდათ მის წინააღმდეგ ბრძოლა, კონსოლიდაცია კი, სელჯუკთა სხვადასხვა ერთეულებს შორის მიმდინარე ბრძოლების გამო, ამ წლებში შეუძლებელი იყო.

თრიალეთის ბრძოლის შემდგომ, საქართველოს სამეფოსა და სელჯუკებს შორის დამყარდა ერთგვარი პარიტეტი. როგორც სელჯუკთა იმპერია, ასევე მასში შემავალი, საქართველოს მეზობელი მუსლიმური ერთეულები, აშკარად შეეგუენ საქართველოს მიერ სამშვილდის რეგიონის დაკავებას და მეტად აღარ უცდიათ მისი უკან დაბრუნება.

თავის მხრივ, 1110-1114 წლებში, რაიმე აქტიურობა აღარც დავით აღმაშენებლის მხრიდან იყო დაფიქსირებული (ყოველ შემთხვევაში, წერილობითი წყაროები ამის შესახებ სდუმან), რაც შეიძლება აიხსნას იმით, რომ საქართველოს მეფე იმაგრებდა ახლად შემოერთებულ რეგიონს, აძლიერებდა სამხედრო პოტენციალს და ელოდა შესაფერის მომენტს მოქმედებათა ახალი ეტაპის დასაწყებად.[2]

ეს მომენტი აშკარად დადგა 1115 წელს, როდესაც ჯვაროსნებმა, კერძოდ კი, ანტიოქიის მთავარმა როჯერმა, გაანადგურა სელჯუკთა იმპერიის არმია მოსულის ათაბაგის, ილ-ბურსუკის მეთაურობით, რომელიც 1110 წელს დაწყებულ წმინდა ომს აგრძელებდა ჯვაროსნების წინააღმდეგ. ეს დამარცხება იყო კატასტროფული მნიშვნელობის მოვლენა ისლამის სამყაროსა და, პირველ რიგში, სელჯუკთა იმპერიისთვის, რომელმაც ამ დამარცხებით საბოლოოდ დაკარგა სირია-პალესტინაზე ჰეგემონიის აღდგენის შესაძლებლობა, ხოლო ჯვაროსნებმა მიიღეს პერსპექტივა (რომელიც მათ ვერ გამოიყენეს) ალეპოს ხელში ჩაგდებისა და შემდგომი შეტევის განვითარებისა მუსლიმთა სამფლობელოებზე.[3]

სირიაში მიმდინარე მოვლენების პარალელურად, დავით აღმაშენებელმა განაახლა შეტევა განძის საემიროზე და 1115-1118 წლებში, ერთიმეორის მიყოლებით დაიკავა ქვემო ქართლისა და სომხითის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ციხესიმაგრეები, რუსთავი, აგარანი[4] და ლორე, რაც საკმაოდ დიდი ტერიტორიების სრული კონტროლის შესაძლებლობას იძლეოდა და ამ რეგიონების საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში დაბრუნებას ნიშნავდა. ამ ციხეების აღებით, ფაქტიურად, წყდებოდა თბილისის შემოერთების პრობლემაც, რაც უკვე მხოლოდ დროის საკითხს წარმოადგენდა.

როგორც ჩანს, თრიალეთთან მოპოვებული გამარჯვება იმდენად მასშტაბური იყო, რომ არათუ სელჯუკთა ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელსაც საქართველოსთან ომის გარდა მრავალი სხვა პრობლემაც აწუხებდა, არამედ განძის საემიროსაც კი, რომელიც უშუალოდ კარგავდა დავით აღმაშენებლის მიერ დაკავებულ ტერიტორიებს, აღარც უცდია მისი შეჩერება (წერილობითი წყაროების სრული დუმილი, მხოლოდ ამას უნდა ნიშნავდეს).

რუსთავისა და ლორეს დაკავების შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში შემდეგი სახის სტრატეგიული ვითარება შეიქმნა: თბილისის საემირო აღმოჩნდა სრულ გარემოცვაში, რაც ყოველგვარი სამხედრო მოქმედებების გარეშეც, მისი ლიკვიდაციის ტოლფასი მდგომარეობა იყო. თითქმის მთლიანად გარემოცული აღმოჩნდა დმანისის საემიროც, რომლის ლიკვიდაციაც თბილისის მსგავსად, მხოლოდ დროის საკითხს წარმოადგენდა. საქართველოს სამეფო ფართო ფრონტით გავიდა განძის საემიროს საზღვრებზე და ჩამოაჭრა მას მნიშვნელოვანი ტერიტორიები. მიუახლოვდა აგრეთვე ხლათისა და ბითლისის საემიროებსაც (რომლის შემადგენლობაშიც ამ დროისთვის შედიოდა დვინი), რომლებიც ამის გამო უშუალო სტრატეგიული საფრთხის ქვეშ აღმოჩნდნენ საქართველოს სამეფოს მხრიდან.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, საქართველოს მეფემ სამშვილდისა და რუსთავის (1115ნ) აღების შემდგომ, დაიწყო ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანიები თურქმენ მომთაბარეთა წინააღმდეგ, რაც შექმნილ ვითარებაში აბსოლუტურად სწორ სტრატეგიულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა. სელჯუკთა მხრიდან ორგანიზებული (ე.ი. სახელმწიფოებრივი) წინააღმდეგობის არ არსებობის პირობებში თურქმენ მომთაბარეთა საკითხი ყველაზე სერიოზულ სამხედრო საფრთხედ რჩებოდა საქართველოს სამეფოსთვის.

სამეფოს ტერიტორიებზე მომთაბარეთა პერმანენტული ყოფნა მუდმივ საშიშროებას უქმნიდა ქართული არმიის უზრუნველყოფის ბაზებსა და საკომუნიკაციო ცენტრებს, ართულებდა ახლად შემოერთებული რეგიონების ათვისებას, ქმნიდა სტრატეგიულ საფრთხეს (ქართული არმიის ზურგში მომთაბარეთა მოქმედების შესაძლებლობით) სელჯუკთა არმიების სამეფოს ტერიტორიებზე შემოსვლის

შემთხვევაში და ა.შ. სელჯუკთა იმპერიასთან მასშტაბურ ომში ჩაბმულ საქართველოს მეფეს, არაფრით შეეძლო ამ მდგომარეობის დაშვება. სტრატეგიული ვითარება თავად ითხოვდა თურქმენების პრობლემის დაუყოვნებლივ გადაჭრას უკვე არა მარტო სამეფოს შიდა ტერიტორიებზე, არამედ მის მოსაზღვრე რეგიონებშიც. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის მკვეთრი გააქტიურება ამ მიმართულებით (სამხედრო კამპანიები მომთაბარეთა წინააღმდეგ 1116-1121 წლებში: 1116 წ რუსთავი, 1117 წ ტაო, 1118 წ არაქსის ხეობა, 1119 წ ბოტორნა, 1120 წ აშორნია, 1121 წ ხუნანი)[5] და საქართველოში ყივჩაღთა გადმოყვანა, სწორედ ამ სტრატეგიული ამოცანის შესრულებას ისახავდა მიზნად. ის ფაქტი, რომ ყივჩაღთა საქართველოში გადმოსვლის შემდეგ (1118-19 წწ.), მომთაბარეთა საწინააღმდეგო რეიდების „გეოგრაფია" თანმიმდევრულად გაიზარდა და გაღრმავდა, მხოლოდ ერთს უნდა ნიშნავდეს, დავით აღმაშენებელი სპობდა მომთაბარეთა საყრდენ სადგომებს უკვე არა მხოლოდ სამეფოს ტერიტორიაზე, არამედ მის გარშემოც, რაც ამ საფრთხის თითქმის სრული ლიკვიდაციის მანიშნებელია დიდგორის ბრძოლის წინ.

სელჯუკთა დიდი იმპერიის სამართალმემკვიდრე, ირან-ერაყის იმპერია, საქართველოს სამეფოს გაძლიერებასა და გააქტიურებას უყურადღებოდ რომ არ დატოვებდა და დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ აუცილებლად გაატარებდა საპასუხო ღონისძიებებს, ეს ცხადზე ცხადი იყო. ამისთვის სელჯუკ სულთნებს რამდენიმე სერიოზული მიზეზი ჰქონდათ.

— დავით აღმაშენებლის მიერ, 1110-1120 წლებში ჩატარებულმა სამხედრო კამპანიებმა სელჯუკთა ბატონობას არა მარტო სამხრეთ საქართველოში, არამედ მთელ სამხრეთ ამიერკავკასიაშიც შეუქმნა საფრთხე, სადაც ადგილობრივ არათურქულ მოსახლეობას დავით აღმაშენებელში შეიძლებოდა დაენახა განმათავისუფლებელი (რაც ნაწილობრივ მოხდა კიდეც ანისის მაგალითზე 1124 წელს), რითაც სელჯუკების წინააღმდეგ ბრძოლას, შეიძლებოდა გრანდიოზული მასშტაბი მიეღო.[6]

— დავით აღმაშენებლის მიერ თბილისისა და დმანისის გარემოცვა დღე-დღეზე მათი დაპყრობის პერსპექტივით, დიდ ზიანს აყენებდა სელჯუკი სულთნების რელიგიურ პრესტიჟს, რომლებიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მუსლიმთა სულთნად და დამცველად ითვლებოდნენ.

— საქართველოს სამეფოს „მეტისმეტად" გაძლიერების შემთხვევაში, შესაძლოა ჩამოყალიბებულიყო გლობალური გეო-სტრატეგიული საფრთხე სელჯუკების წინააღმდეგ შეტევაზე გადასული სამი ქრისტიანული ძალის, ჯვაროსნების, ბიზანტიის იმპერიისა და საქართველოს შესაძლო კოორდინირებით. ასეთ შემთხვევაში სელჯუკთა ბატონობა არა მარტო სამხრეთ ამიერკავკასიაში, არამედ მთელ წინა აზიაში დადგებოდა საფრთხის ქვეშ და მათთვის კატასტროფულ შედეგებს მოიტანდა.[7]

აღნიშნულ მიზეზთა ერთობლიობა განაპირობებდა საქართველოს წინააღმდეგ გამოსვლის აუცილებლობას, მაგრამ იმ ვითარებაში, როდესაც ცალკეულ სელჯუკურ ერთეულებს აღარ შესწევდათ ძალა დამოუკიდებლად აღდგომოდნენ წინ საქართველოს გაძლიერებულ სამეფოს და აღეკვეთათ მისი აგრესია, საჭირო იყო არსებულ ძალთა (საქართველოს წინააღმდეგ) გარკვეული იდეის ქვეშ გაერთიანება. ასეთ ვითარებაში წინა პლანზე თავისთავად ჯიჰადის იდეა გამოვიდა, რომლის ოფიციალურ საბაბადაც როგორც ჩანს, ამიერკავკასიელ (თბილისელ,

დმანელ, განძელ) მუსლიმთა ის მრავალრიცხოვანი თხოვნა-მუდარები იქცა, რომლითაც ისინი მიმართავდნენ მაჰმადიანური სამყაროს სხვადასხვა ლიდერებს.[8]

ჯიჰადის იდეა, ილ-ღაზის ჯვაროსნებთან წარმატებული საღვთო ომის გამო, გასაკუთრებით პოპულარული სწორედ დიდგორის ბრძოლის წინა პერიოდში იყო. ანტიოქიის წარმატებულმა „ექსპერიმენტმა" აშკარად წაახალისა მუსლიმები იგივეს განმეორებისკენ საქართველოს მიმართაც, რის შემდეგაც, 1121 წლის დასაწყისისთვის, საღვთო ომის სახელით გადაწყდა კოალიციური ლაშქრობის მოწყობა საქართველოს წინააღმდეგ, რასაც ერთხელ და საბოლოოდ უნდა დაესვა წერტილი დავით აღმაშენებლის ძლიერებისა და „აგრესიისთვის."

საქართველოს წინააღმდეგ ჯიჰადის ხელმძღვანელად გამოცხადდა, იმდროინდელი მუსლიმური სამყაროს გმირი, მარდინის ემირი ილ-ღაზი, რომლის პოპულარობასა და საღვთო ომის წარმოების გამოცდილებას, ანტიოქიის მსგავსად უნდა უზრუნველყო ჯიჰადის წარმატება საქართველოშიც.

თავი V

მუსლიმური კოალიცია დიდგორის ბრძოლის წინ

ჯიჰადი საქართველოს წინააღმდეგ

თუ მტერი უტევს მუსლიმურ ქალაქს, რომლის გარნიზონიც უძლურია განდევნოს იგი, მაშინ მეზობელი მუსლიმური ტერიტორიების მოვალეობაა დაეხმაროს და შეუერთდეს მას. თუ ეს დახმარება არ არის საკმარისი, მაშინ ყველა ტერიტორიების მოვალეობაა მონაწილეობა მიიღონ ჯიჰადში მანამ, სანამ მეომართა რაოდენობა არ იქნება საკმარისი მტრის დასაძლევად.

ალ-გაზალი

(XII საუკუნის მუსლიმი თეოლოგი).

წერილობითი წყაროები საქართველოს წინააღმდეგ ჯიჰადის გამოცხადებას არ აღნიშნავენ, მაგრამ ამის უდავო დადასტურება საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში, თავად ილ-ღაზის მონაწილეობის ფაქტია.[1]

ილ-ღაზი მუსლიმური სამყაროს გმირი გახდა დიდგორის ბრძოლამდე ორი წლით ადრე, როდესაც საღვთო ომის სახელით შეკრებილმა მუსლიმთა კოალიციურმა ლაშქარმა მისი მხედართმთავრობით, 1119 წლის 28 ივნისს სასტიკად დაამარცხა ანტიოქიის მთავარის როჯერის არმია. ამ ბრძოლის შედეგებმა მუსლიმურ სამყაროში უზარმაზარი რეზონანსი გამოიწვია და ილ-ღაზი საღვთო ომის აღიარებულ ლიდერად აქცია. მან ბაღდადის ხალიფასგან ჯილდოდ მიიღო ძვირფასი ხალათი (რაც განსაკუთრებული სახის პატივი იყო) და მასთან ერთად, "რელიგიის (ალაჰის) დამცველის" საპატიო ტიტული, რაც ფაქტიურად, ილ-ღაზის მაჰმადიანური ჯიჰადის ხელმძღვანელად გამოცხადებას ნიშნავდა ქრისტიანობის წინააღმდეგ.[2]

ილ-ღაზი ჩრდილოეთ სირიის ერთ-ერთი უმსხვილეს ემირს წარმოადგენდა და მისი ინტერესები მთლიანად ამ რეგიონში იყო კონცენტრირებული. საქართველოს მიმართ მას არ გააჩნდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა რაიმე კონკრეტული მიზანი ტერიტორიის შეძენისა ან ნადავლის მოპოვებისა (ორივე შესაძლებლობა მას საკმაოდ ჰქონდა სირიაშიც). ერთადერთი მოტივაცია, რის გამოც მას საქართველოში შეიძლებოდა ელაშქრა, უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური.[3]

1120 წლისთვის ილ-ღაზი აწარმოებდა საკმაოდ წარმატებულ სამხედრო კამპანიას ჯვაროსანთა წინააღმდეგ, მაგრამ 1121 წლის დასაწყისში მან მოულოდნელი ზავი დადო იერუსალიმის მეფე (და იმავ დროულად, ანტიოქიის სამთავროს რეგენტ) ბალდუინ II-თან. ამ ზავის მიხედვით, ილ-ღაზიმ ჯვაროსნებს დაუთმო წინა წელს დაპყრობილი მთელი რიგი ტერიტორიები, რაც მისი სამხედრო უპირატესობის პირობებში, საკმაოდ უცნაურად გამოიყურებოდა. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ილ-ღაზი ასე შეიძლებოდა მოქცეულიყო, უნდა ყოფილიყო საქართველოში ლაშქრობის მომზადებისთვის საჭირო დროის მიღების აუცილებლობა.[4]

დავითის მემატიანის მიხედვით, საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობის ბრძანება სელჯუკთა სულთანს გაუცია, თუმცა მემატიანე სულთნის სახელს არ

მიუთითებს. იმ დროისთვის სელჯუკებს ორი სულთანი ჰყავდათ, დიდი სულთანი სანჯარი, რომელიც ხორასანში იჯდა და სელჯუკთა უმაღლეს ხელისუფლად ითვლებოდა და ირან-ერაყის სულთანი მაჰმუდი, რომელიც სანჯარის მემკვიდრეს წარმოადგენდა. ბრძანება ჯიჰადის ორგანიზებაზე ორივე მათგანს შეიძლებოდა გაეცა და ამისთვის ორივე მათგანს საკმაო მოტივაცია ექნებოდა.[5]

საქართველოზე ლაშქრობის ინიციატორად „ხორასნელ სულთანს" ასახელებენ ვალტერ გოტიე და მიხეილ სირიელი.[6] თუ ამ ხორასნელ სულთანში სანჯარს ვივარაუდებთ (რაც ალბათ ასეც უნდა იყოს),[7] მაშინ გამოდის, რომ ლაშქრობის ფორმალური ორგანიზატორი სელჯუკთა დიდი სულთანი ყოფილა. სანჯარს, უშუალო შეხება და ინტერესი საქართველოსთან არ ჰქონია, მაგრამ ცნობილია, რომ იგი განძის მალიქის, თავისი ძმისშვილის თოღრულის ინტერესების დამცველი იყო, ხოლო თოღრული (უფრო სწორად მისი ადმინისტრაციული აპარატი, რადგან თავად ამ დროისთვის მცირეწლოვანი ბავშვი იყო. ამის შესახებ იხ. ქვემოთ), წერილობით წყაროთა უმრავლესობის მიხედვით, საქართველოზე ლაშქრობის რეალური ინიციატორი ჩანს.[8] ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ფაქტორი სანჯარისთვის საქართველოზე ლაშქრობის ბრძანების გაცემის მოტივაცია გამხდარიყო ჭეშმარიტი მორწმუნეების მიმართ, რაც საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილ წმინდა ომს მეტ მასშტაბს მისცემდა და უფრო ფართო რელიგიურ საფუძველს შეუქმნიდა. შესაბამისად, ილ-ღაზისა და თოღრულის დროშების ქვეშ უფრო მეტი რაოდენობის მოხალისეები გაერთიანდებოდნენ, ვიდრე ეს სხვა შემთხვევაში შეიძლებოდა ყოფილიყო.

როგორც აღვნიშნეთ, აღმოსავლური (მუსლიმური) წყაროების მიხედვით, თოღრულმა დახმარებისთვის მიმართა ილ-ღაზის საქართველოს მეფე დავითის წინააღმდეგ წმინდა ომში, რომელიც ავიწროვებდა განძის საემიროს, რაზედაც ილ-ღაზის, როგორც ჯიჰადის აღიარებულ ლიდერს, უარის თქმა ალბათ არ შეეძლო.

საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო ლაშქრობის ორგანიზების შესახებ გადაწყვეტილება, რომ თოღრულისა და ილ-ღაზის მოლაპარაკების შედეგია, ეს აშკარა უნდა იყოს იმითაც, რომ საქართველოს საწინააღმდეგო კოალიციაში სელჯუკთა სხვა სახელმწიფო ერთეული არ მონაწილეობდა (ბითლისის საემიროს გარდა, რომელიც მარდინთან ერთად იგულისხმება), ამ სამი საემიროს სამხედრო ძალები კი, შეიძლებოდა არ ყოფილიყო საკმარისი დავით აღმაშენებელზე გარანტირებული სამხედრო გამარჯვების მოსაპოვებლად, რის გამოც რელიგიური ომების მოხალისეების, ე.წ. „Mutawwiun"-ების[9] მასიური შეგროვება, რაც მხოლოდ ჯიჰადის სახელით იყო შესაძლებელი, აუცილებელ ღონისძიებად გამოიყურებოდა. სწორედ ამ აუცილებლობით უნდა ყოფილიყო განპირობებული ჯიჰადის ორგანიზებაზე სელჯუკთა დიდი სულთნის ბრძანება, რითაც საემიროებში შეგროვილ „ჩვეულებრივ" მეომართა გვერდით, შესაძლებელი გახდებოდა მოხალისეთა ორგანიზებაც დამასკო-ალეპოდან სომხითის საემიროებამდე, როგორც ამას გვაუწყებს დავითის ისტორიკოსი.[10]

მუსლიმურ წყაროებში, საქართველოს წინააღმდეგ გამოცხადებული ლაშქრობის ორგანიზატორად, სელჯუკთა ცენტრალური ხელისუფლების მოუხსენიებლობა (როგორც უკვე იყო აღნიშნული, ლაშქრობის ორგანიზატორად სულთანს მხოლოდ ქრისტიანი ავტორები, დავითის მემატიანე, გოტიე და მიხეილ სირიელი ასახელებენ), შეიძლება გავიგოთ როგორც თავისთავად საგულისხმო ფაქ-

ტორი, რომელიც იმ დროისთვის (ანუ იმ პერიოდებისთვის, როდესაც ეს ქრონიკები იწერებოდა) ავტომატურად გასაგები იქნებოდა მკითხველისთვის. მაგალითად, 1110 წელს ჯვაროსნების წინააღმდეგ გამოცხადებული ჯიჰადის სელჯუკი სულთნების მიერ ორგანიზებას, ზოგი აღმოსავლური წყარო აღნიშნავს, ზოგი კი არა და თავისთავად გულისხმობს, რომ ამ მოვლენის სათავეში ცენტრალური ხელისუფლება იდგა. როგორც არ უნდა ყოფილიყო, ერთი რამ ნამდვილად ფაქტია, იმ დროისთვის საქართველოს წინააღმდეგ ჯიჰადის აუცილებლობა, ისლამური სამყაროსთვის ნამდვილად იდგა.

1120 წლისთვის, დავით აღმაშენებლის სამხედრო კამპანიების სამოქმედო არეალი გასცდა ქრისტიანულ (საქართველოს სამეფოს სელჯუკთა შემოსევებისას დაკარგულ და ყოფილ სომხურ სამეფოთა) ტერიტორიებს და ისლამის ტრადიციული გავრცელების არეალში შევიდა. ქართულმა არმიამ აპრილ-მაისში აიღო და გაძარცვა შირვანის ქალაქები, ყაბალა და შემახა, ნოემბერში არშარუნიქი (აშორნია) და სეგელმეჯი, ხოლო 1121 წლის მარტსა და მაისში დაარბია ხუნანი და ბარდავი.[11]

ეს რეიდები აღარ იყო მხოლოდ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისთვის ბრძოლა, ისინი უკვე ისლამური სამყაროს ტერიტორიებზე ღია შეტევებს წარმოადგენდნენ, რასაც არ შეიძლებოდა დიდი შეშფოთება არ გამოეწვია მუსლიმ მოსახლეობაში. რასაკვირველია, როგორც სამხრეთ ამიერკავკასიის მაჰმადიანური მოსახლეობისთვის, ასევე სელჯუკთა ცენტრალური თუ რეგიონალური ხელისუფლებისთვის, სრულიად მოუთმენელი უნდა ყოფილიყო ქრისტიანული არმიის ასეთი თავისუფალი და დაუსჯელი მოქმედება მაჰმადიანური სამფლობელოების სიღრმეში. ასეთი ვითარება, როდესაც საქართველოს მეზობელი საემიროების მოსახლეობის განწყობა და შიში ქართველთა (განსაკუთრებით ყივჩაღთა) მარბიელი ლაშქრობების წინაშე და სელჯუკ ხელისუფალთა პოლიტიკური ინტერესები, დავით აღმაშენებლის მიერ უკან დაბრუნებული ტერიტორიების ხელახალი ოკუპაციისა და საქართველოს გაძლიერების შესაჩერებლად, სრულად უნდა დამთხვეოდა ერთმანეთს, სელჯუკთა ხელისუფლებისთვის უნდა ყოფილიყო იდეალური მომენტი ჯიჰადის გამოსაცხადებლად და მუსლიმთა დაქსაქსული ძალების გასაერთიანებლად საქართველოს წინააღმდეგ, რომლის შეჩერებაც ერთი რომელიმე ცალკე აღებული საემიროს ძალებით უკვე შეუძლებელი იყო.

სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ის მოტივაცია, რომლის გამოყენებითაც ისლამურმა სამყარომ სელჯუკთა ცენტრალური ხელისუფლების სახით მოუხმო ჯიჰადის გმირსა და რელიგიის დამცველ ილ-ღაზის და მოუწოდა სელჯუკთა ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა ჭეშმარიტ მუსლიმს საქართველოს წინააღმდეგ საღვთო ომისკენ.

ისლამის პოზიციებიდან ამ წმინდა მოვალეობის შესასრულებლად, ილ-ღაზიმ თავისი ტერიტორიული ინტერესების საზიანოდ სასწრაფოდ დადო ზავი ჯვაროსნებთან და 1120 წლის მიწურულისთვის საქართველოში ლაშქრობისთვის მზადებას შეუდგა.

თუ არ იცი რომელ პორტში უნდა მიცურდე, ვერანაირი ზურგის ქარი ხელს ვერ შეგიწყობს.

სენეკა.

იბნ ალ-ასირის მიხედვით, ილ-ღაზი და საქართველოს მეზობელი სელჯუკი ემირები, რომელთა შორისაც, სხვადასხვა წერილობითი წყაროები ილ-ღაზის გარდა ასახელებენ, „არაბთა მეფე" დუბაისს, განძის გამგებელ მალიქ თოღრულს და ბითლისის ემირს, თუღან არსლან კუზიანს, მიმოწერის გზით შეთანხმებულან კოალიციის ორგანიზებაზე. ყველა პიროვნება, თავისი დროის ცნობილ მოღვაწეს წარმოადგენდა, ისინი ხშირად იხსენიებიან წერილობით წყაროებში, რისი მეშვეობითაც სრული შესაძლებლობა გვაქვს იმის შესაფასებლად, თუ ვინ დაუპირისპირდა დიდგორის ბრძოლაში დავით აღმაშენებელს.

ნეჯმ ად დინ ილ-ღაზი, მუსლიმურ სამყაროში საკმაოდ ცნობილი, თურქმენული წარმოშობის ართუკიდების დინასტიის წარმომადგენელი იყო. ეს დინასტია პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა XI საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც პირველი ართუკიდი, ილ-ღაზის მამა ართუკ იბნ აკსაბი, რომელიც სირიის გამგებელ ტუტუშის მხედართმთავარი იყო და თავი გამოიჩინა დიარბაქირისა (1084წ) და იერუსალიმის (1086წ) აღების დროს, დაინიშნა იერუსალიმის გამგებლად.[1]

ართუკის სიკვდილის (1094წ) შემდეგ, ილ-ღაზი და მისი ძმა სუკმენი, იერუსალიმის მმართველები არიან. 1095 წელიდან, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ სირია-პალესტინის სელჯუკ ხელისუფალთა შინა ომებში, რომლის დროსაც ილ-ღაზი დამასკოს საპყრობილეშიც აღმოჩნდა მცირე ხნით. 1098 წელს იერუსალიმს ალყა შემოარტყა ეგვიპტის არმიამ, რომლის სარდალმა ალ-აფდალმა, ილ-ღაზისა

სურ. 11. ილ-ღაზის ერთ-ერთი მთავარი ქალაქის, დიარბაქირის გალავანი

და სუკმენს ქალაქის ჩაბარება მოსთხოვა, რაზედაც ძმებმა უარით უპასუხეს, თუმცა ბრძოლა წააგეს და ტყვედ ჩავარდნენ.[2]

იერუსალიმის დაკარგვისა და ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ, სუკმენი და ილ-ღაზი დამკვიდრდნენ ჩრდილო სირიაში, სადაც მათ მფლობელობაში იყო ქალაქები მარდინი და ხისნი-კაიფა და სათავე დაუდეს ართუკიდების ორ სხვადასხვა შტოს (მცირე ხნით, ილ-ღაზი ბაღდადის შიჰნადაც იყო დანიშნული სულთან ბერკიარუკის მიერ).[3]

სირიაში ილ-ღაზის მიერ შექმნილი მარდინის ართუკიდების საემირო, ერთ-ერთ მსხვილ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა, რაც მთლიანად მისი ენერგიული მოღვაწეობის შედეგი იყო. ილ-ღაზიმ სხვადასხვა დროს საემიროს შემადგენლობაში შეიყვანა ისეთი დიდი ქალაქები, როგორიც იყო ნისიბინი, დიარბაქირი (სურ. 11) და მაიფარაკანი. მანვე დაამყარა კონტროლი ჯაზირას ვრცელ ოლქზეც, რომელიც მრავალრიცხოვან თურქმენ და ადგილობრივ ქურთ ტომთა საცხოვრებელ ტერიტორიას წარმოადგენდა. ილ-ღაზის საემიროს, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრებოდა მოსულის საათაბაგო, დასავლეთიდან ედესის ჯვაროსნული საგრაფო, ხოლო ჩრდილოეთიდან დანიშმენდიდებისა და ბითლისის საემიროები. მარდინი განსაკუთრებით გაძლიერდა 1117 წლის შემდეგ, როდესაც ილ-ღაზის მფლობელობაში გადავიდა სირიის ერთ-ერთი მსხვილი ქალაქი ალეპო (სურ. 12), რითაც აღნიშნული საემირო ანტიოქიის სამთავროს მეზობელიც გახდა



სურ. 12. ილ-ღაზის დროინდელი ალეპოს ციტადელი

და წრესავით შემოერტყა ჯვაროსანთა ტერიტორიებს სამხრეთიდანაც.[4]

1117 წლამდე ილ-ღაზი ჯვაროსნების მიმართ, ძირითადათ ლოიალურ და შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარ მეგობრულ დამოკიდებულებასაც ინარჩუნებდა. ისინი საკმაოდ ხშირად მოკავშირეებიც იყვნენ სელჯუკი სულთნისა და მოსულის ათაბაგების წინააღმდეგ. მაგალითად, 1110 წელს, ილ-ღაზი შევიდა პირველი ჯიჰადის კოალიციაში ჯვაროსნების წინააღმდეგ, მაგრამ ხლათის ემირთან კონფლიქტის გამო დატოვა იგი და 1115 წლისთვის, უკვე ჯვაროსნებთან გაერთიანდა იმავე ჯიჰადის წინააღმდეგ, თუმც ბრძოლებში მონაწილეობა არ მიუღია.[5]

1117 წლამდე, ილ-ღაზის ძალიან რთული ურთიერთობა ჰქონდა სულთნის ხელისუფლებასთან, რისი მიზეზიც მისი, როგორც მარდინის ემირის სეპარატისტული ტენდენციები და საემიროს ტერიტორიების ზრდა იყო. ამ ნიადაგზე ილ-ღაზის ხშირი კონფლიქტები ჰქონდა სულთანთან და სირიაში მისი ხელისუფლების წარმომადგენელთან, მოსულის ათაბაგებთან.[6] ასეთ დაპირისპირებას სამხედრო კონფლიქტებიც ახლდა თან, რომლის დროსაც ილ-ღაზი სიამოვნებით იყენებდა ჯვაროსანთა დახმარებას.

სიტუაცია შეიცვალა 1117 წლიდან, როდესაც ილ-ღაზის ხელში გადავიდა სირიის ერთ-ერთი უმსხვილესი ქალაქი ალეპო (სურ. 12), რომელიც ჯვაროსანთა ექსპანსიის ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენდა. ალეპოს გამო ილ-ღაზისა და ჯვაროსნების ინტერესები მკვეთრად შეეჯახა ერთმანეთს, რის შედეგადაც ილ-ღაზი უკვე ისლამის აქტიური მებრძოლი გახდა.

ალეპოს დაპატრონების შემდეგ (რომელიც მისმა მცხოვრებლებმა თავად გადასცეს ილ-ღაზის, რათა ჯვაროსნების ხელში არ ჩავარდნილიყო), ილ-ღაზისა და ჯვაროსნებს შორის დაიწყო ხანგრძლივი ომები, რომლის დროსაც ილ-ღაზიმ მოიპოვა დიდი ავტორიტეტი, როგორც უნარიანმა მხედართმთავარმა და საკმაოდ დიდ წარმატებებსაც მიაღწია. მისი სამხედრო ძლიერების წყარო, საემიროს ტერიტორიებზე (განსაკუთრებით, ჯაზირას ოლქში) განსახლებული მომთაბარე თურქმენთა ტომებისა და აბორიგენი ქურთი მოსახლეობის მოქირავნე მეომრები იყვნენ, მაგრამ რამდენადაც ილ-ღაზი მუდმივად განიცდიდა ფინანსურ პრობლემებს, ამდენად იგი მეომართა მსხვილი კონტიგენტების დაქირავებასა და მათი დიდი ხნით იარაღის ქვეშ შენარჩუნებას იშვიათად ახერხებდა.[7]

ილ-ღაზი ართუკიდებისთვის ტრადიციულ ღია მტრობაში იმყოფებოდა რუმის სასულთნოსთანაც, რასაც ცნობილი თურქოლოგის, თ. რაისის უკვე აღნიშნული ვერსიის თანახმად, რომელიც ალბათ ისტორიული კურიოზების კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს, დიდი სამსახური გაუწევია დავით აღმაშენებელისთვის.[8]

საქმე ისაა, რომ ართუკიდებმა თავისი პირველი სამფლობელოები ჩრდილოეთ სირიაში, სირიის მმართველ ტუტუშისგან, რომელთანაც ბრძოლაში დაიღუპა რუმის პირველი სულთანი სულეიმანი, იმ პირობით მიიღეს, რომ შეაკავებდნენ რუმელ სელჯუკთა ექსპანსიას მცირე აზიიდან სირია-პალესტინის მიმართულებით (იმ დროისთვის სელჯუკთა დიდი იმპერია და რუმის სასულთნო ერთმანეთის ღია მტრებს წარმოადგენდნენ). ართუკიდები ამ ფუნქციას ცენტრალური ხელისუფლების წინაშე დიდი მონდომებით ასრულებდნენ და რუმის სასულთნოს დაუძინებელ მტრებად გადაიქცნენ.

1106 წელს, რუმის ცნობილმა სულთანმა, ტუტუშთან დაღუპული სულეიმანის შვილმა ყილიჩ-არსლანმა (სურ. 13), დაიწყო სამხედრო მოქმედებები სირიელი სელჯუკების წინააღმდეგ. მანამდის იგი იდგა არჩევანის წინაშე, წასულიყო საქა-

სურ. 13. კ. პუკი. რუმის სულთანი ყილიჩ-არსლანი

რთველოში მომთაბარე თურქმენთა დასახმარებლად, რომელთაც საქართველოს მეფე ავიწროვებდა და რომლებმაც ყილიჩ-არსლანს სთხოვეს დახმარება,[9] თუ ეომა ართუკიდებისა და სხვა სელჯუკების წინააღმდეგ. რუმის სულთანმა საკუთარი ინტერესებისთვის ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვან ამოცანად ჩათვალა და დავით აღმაშენებლისგან შევიწროვებულ თურქმენებს მხოლოდ მცირე დამხმარე რაზმი გაუგზავნა, რითაც საქართველო აშკარად გადაურჩა დიდ საფრთხეს,[10] თვითონ კი, ძირითადი ძალებით ბრძოლა დაიწყო სირიაში, სადაც თავდაპირველად წარმატებებს მიაღწია, მაგრამ 1107 წელს, მოსულთან გამართულ ბრძოლაში მდინარის გადალახვისას დაიხრჩო.[11]

მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზოგიერთი აღმოსავლური წერილობითი წყარო, ასევე თანამედროვე მკვლევრებიც, ილ-ღაზის ჩვეულებრივ ლოთად მიიჩნევდნენ,[12] მისი წარმატებები პოლიტიკურ და სამხედრო ასპარეზზე აშკარა იყო. ისტორიულ ქრონიკებში აღწერილი იმ მრავალრიცხოვანი სამხედრო კამპანიების მიხედვით, რაც ჩაატარა ილ-ღაზიმ ჯვაროსნებისა თუ თანამორწმუნეების წინააღმდეგ, იგი იკვეთება როგორც გონიერი, ფრთხილი და ამავე დროს გაბედული მხედართმთავარი. თუმცა ამ კამპანიებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ ილ-ღაზი უშვებდა სტრატეგიული ხასიათის შეცდომებსაც, რის გამოც მან მაგალითად, ვერ ისარგებლა თავისი ყველაზე ცნობილი გამარჯვების შედეგებით „სისხლიან ველზე" და ვერ დაიპყრო ანტიოქია.[13]

თავისი მოღვაწეობის შედეგად ილ-ღაზიმ შექმნა ძალზე მყარი პოლიტიკური ერთეული, რომელიც დიდ როლს თამაშობდა მიმდინარე პროცესებში და მიუხედავად იმისა, რომ ილ-ღაზის ვერცერთმა მემკვიდრემ ვერ მიაღწია თავისი წინაპრის იმ სახელსა და დიდებას, რაც ილ-ღაზის ჰქონდა მუსლიმურ სამყაროში, მარდინის საემირომ მაინც იარსება XV საუკუნის დასაწყისამდე და პოლიტიკური რუქიდან, ამ რეგიონში მხოლოდ ოსმალების დამკვიდრების შემდეგ გაქრა.

დუბაის II ნურ ად-დაული. ისტორიული წყაროები კოალიციის მეორე მონაწილედ თითქმის ერთხმად ასახელებენ "არაბეთის მეფე დუბაის სადაკას ძეს", რომელიც აღმოსავლურ ქრონიკებისთვის კარგად ცნობილი არაბი ემირი, დუბაის ად-დაულია. მიუხედავად იმისა, რომ დუბაისს წერილობითი წყაროები არაბეთის მეფეს უწო-

დებდნენ, ეს ასე არ იყო. არაბეთის სამეფო და შესაბამისად, არაბეთის მეფის ტიტული, არ არსებობდა, დუბაისის ამ არარსებული ტიტულით მოხსენიება, აღნიშნავდა მისი და მისი საგვარეულოს უზომო პოპულარობასა და მაღალ მდგომარეობას მუსლიმურ, პირველ რიგში კი, არაბულ სამყაროში. სინამდვილეში დუბაისი იყო ერაყში, ბაღდადის სამხრეთით მდებარე ჰილის საემიროს მფლობელ მაზიადიდების არაბ ბედუინთა საგვარეულოს წარმომადგენელი, ჰილის ემირი 1108-1135 წლებში.[14]

მაზიადიდების საგვარეულო იმ მცირე არაბულ საგვარეულოებს მიეკუთვნებოდა, რომელთაც შეინარჩუნეს მაღალი მდგომარეობა სელჯუკთა ოკუპაციის პირობებშიც, თუმცა მათ ურთიერთობას სელჯუკებთან იოლი არ ერქვა. დუბაისის მამა სადაკა I ახლოს იყო ისმაილიტებთან, რომელთაც მას 1108 წელს გადასცეს ქალაქი ტიკრიტი. ტიკრიტის მიღებით სადაკა, ფაქტიურად, აუჯანყდა ერაყელ სელჯუკებს და მათთან ბრძოლაში დაიღუპა კიდეც.[15]

თავად დუბაისი, თავისი დროის ცნობილ და ამავე დროს, საკმაოდ კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენდა.[16] იგი აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, იყო აბასიდი ხალიფების მოწინააღმდეგე და მთელი თავისი ცხოვრება, ფაქტიურად, მათ წინააღმდეგ ბრძოლაში გაატარა. მან რამდენჯერმე სცადა ბაღდადის სამხედრო ძალით აღება, მაგრამ უშედეგოდ. სიცოცხლის ბოლო წლებში დუბაისი იყო მოსულის ცნობილი ათაბაგის, ზენგის მოკავშირე, რომელიც მან სულთან მასუდის (1133-1152 წწ.) მიერ დაგეგმილი მკვლელობისგან იხსნა, რის სამაგიეროდაც, სულთანმა 1135 წელს, თავად დუბაისი მოაკვლევინა.[17]

დიდგორის ომის წინა პერიოდში, ბაღდადის აღების მორიგი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, დუბაისი გაიქცა ერაყიდან და თავს ჩრდილო სირიას აფარებდა. აქ იგი დაუახლოვდა ილ-ღაზის, იქცა მის მოკავშირედ და ცოლად ილ-ღაზის ქალიშვილიც შეირთო.

წერილობითი წყაროებიდან გარკვევით ჩანს, რომ დუბაისის პოლიტიკური ინტერესები სირიაზეც ვრცელდებოდა, სადაც იგი იმედოვნებდა ალეპოს ხელში ჩაგდებას და იქ დამკვიდრებას. ქამალ ად-დინს მოაქვს უაღრესად საინტერესო ცნობა დუბაისის გეგმების შესახებ, რომლის მიხედვითაც იგი ილ-ღაზის სთავაზობდა დიდ ფინანსურ დახმარებას, რათა საქართველოს ლაშქრობიდან დაბრუნების შემდეგ დაექირავებინათ არმია ანტიოქიის დასაპყრობად ართუკიდებისთვის, რის სანაცვლოდაც ალეპო დუბაისის ხელში უნდა გადასულიყო.[18] ილ-ღაზი საქართველოში ლაშქრობის წინ დათანხმდა ამ წინადადებას (რაც თავის მხრივ, დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ დუბაისის მოკავშირეობაზე დათანხმების სურვილით უნდა ყოფილიყო განპირობებული), მაგრამ დიდგორთან დამარცხების შემდგომ გადაიფიქრა და დუბაისმა ალეპო ვერ მიიღო, რაც დუბაისსა და ართუკიდებს შორის მტრობის საბაბი გახდა და ილ-ღაზის სიკვდილის შემდეგ ომშიც გადაიზარდა. შემდგომი მოვლენები კი, უკვე ისტორიული კურიოზის „ჟანრში" განვითარდა.

ამ დროს (1123 წლისთვის), ილ-ღაზის მემკვიდრე თიმურ-ტაშთან ტყვეობაში იმყოფებოდა იერუსალიმის მეფე ბალდუინ II, რომელსაც თიმურ-ტაშმა განთავისუფლების ერთ-ერთ პირობად, დუბაისის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება მოსთხოვა, ბალდუინი დათანხმდა, მაგრამ ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ სიტყვა გატეხა და დუბაისის მოკავშირე გახდა ართუკიდების წინააღმდეგ ბრძოლაში. 1124 წელს, იერუსალიმის სამეფოსა და დუბაისის ბედუინების გაერთიანებულმა, ქრისტიანულ-მუსლიმურმა არმიამ (და ეს დიდგორის ომიდან სამი წლის შემდეგ), ალყა შემოარტყა ალეპოს და ქალაქი თითქმის აღებული ჰქონდათ, როცა მათ წინააღმდეგ

მოსულის ათაბაგი გამოვიდა და ალეპო დაცემას გადაარჩინა.[19]

მთელი ამ ისტორიიდან, შესანიშნავად მოჩანს დუბაისის საქართველოში ლაშქრობის მოტივაცია, ილ-ღაზისგან ალეპოს მიღების პერსპექტივა. თავის მხრივ დუბაისის კოალიციაში მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო ილ-ღაზისთვის, რადგან განსხვავებით ილ-ღაზისგან, დუბაისი თავისი დროის უმდიდრეს ადამიანს ნარმოადგებდა და მნიშვნელოვანი თანხების გაღება შეეძლო მეომართა დასაქირავებლად. ქამალ ად-დინის ცნობით, დუბაისს დიდგორის ველზე 300 ათასი დინარის ქონება დაუკარგავს,[20] თუ ამ თანხის სიდიდეს შევადარებთ იმ 10 ათას დინარს, რითაც დავით აღმაშენებელმა ყოველწლიურად დახარკა თბილისის საემირო, გასაგები გახდება დუბაისის დანაკარგის ასტრონომიული სიდიდე. საქართველოს მეფემ მარტო დუბაისის ქონებიდან მიიღო ის თანხა, რაც უნდა აეღო თბილისის საემიროსგან 30 წლის განმავლობაში. ქართული წყაროები იხსენიებენ დიდგორის ველზე ნაალაფარ დუბაისის კუთვნილ დიდი რაოდენობის ძვირფასეულობას, მათ შორის, გელათის მონასტერს შეწირულ, ძვირფასი თვლებით გაწყობილ ოქროს ყელსაბამს (მანიაკს).[21]

დუბაისთან, როგორც დიდგორის ბრძოლის შედეგად ყველაზე დაზარალებულ პირთან დაკავშირებული კურიოზი მდგომარეობს იმაშიც, რომ იგი ღრმად მორწმუნე შიიტი იყო და მისთვის ჯიჰადის იდეა არაფერს ნიშნავდა.[22] ანუ საქართველოში სალაშქროდ მისი ინტერესები არც პოლიტიკური და არც რელიგიური მოტივაციით არ შეიძლებოდა ყოფილიყო განპირობებული. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც იგი აქ წამოვიდა, იყო შეთანხმება ილ-ღაზისთან, საქართველოს მეფის დამარცხების შემდეგ, ანტიოქიის აღებისა და მისთვის ალეპოს გადაცემის შესახებ. დუბაისისთვის სამწუხაროდ, ეს გეგმები არ აღსრულდა, მან საქართველოში ლაშქრობის სანაცვლოდ ვერც ალეპო მიიღო, უზარმაზარი ქონებაც დაკარგა და ართუკიდებთან ომმაც მოუწია.

წერილობითი წყაროების ჩვენებათა მიხედვით, დუბაისი იყო უაღრესად მამაცი, რაინდული თვისებების მატარებელი პიროვნება, მაგრამ როგორც ჩანს, დიდი მხედართმთავრული ნიჭით არ გამოირჩეოდა, რაც მის მიერ განცდილი დამარცხებების რაოდენობითა და აგრეთვე იმ ფაქტით იკვეთება, რომ მან ვერც ერთი თავისი დაწყებული კამპანია ვერ მიიყვანა წარმატებულ დასასრულამდე, თუმცა ბრძოლას თავს არ ანებებდა და წარუმატებლობათა დაძლევას მუდამ ენერგიულად ცდილობდა, რაც მისი ხასიათის შეუპოვრობაზე უნდა მიუთითებდეს.[23]

თოღრულ რუქნ ად-დინი, ირან-ერაყის სულთან მაჰმუდის უმცროსი ძმა, არანისა და სამხრეთ აზერბაიჯანის გამგებელი, განძის მალიქი, 1132-1133 წლებში ირან-ერაყის სულთანი. წერილობით წყაროთა უმრავლესობა მას კოალიციის ერთ-ერთ ინიციატორად და მონაწილედ მოიხსენიებს, თუმც უშუალოდ დიდგორის ბრძოლის დროს, ზოგი ავტორის მიხედვით, იგი იქ არ ჩანს და, ალბათ, არც შეიძლება გამოჩენილიყო, რადგან დიდგორის ომის დროს 11 წლის ყმაწვილი იყო.[24] შესაბამისად, მისი სახელით მხოლოდ მის იმდროინდელ ათაბაგს, ქენ-თოღდის შეეძლო ემოქმედა.[25]

ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთიანი აზრი დიდგორის ბრძოლაში განძის საემიროს მონაწილეობის შესახებ არ არსებობს. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სულთან მაჰმუდთან დაპირისპირების გამო განძის საემირომ ვერ შეძლო ბრძოლაში მონაწილეობის მიღება, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ ამ გარემოებას არ შეეძლო ხელი შეეშალა განძის საემიროსთვის და ის დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობდა.[26]

ჩვენის აზრით, ასეთი დისკუსიის აუცილებლობა არ არსებობს, რადგან როგორც დიდგორის ბრძოლის უშუალოდ წინა პერიოდის მოვლენათა ანალიზი აჩვენებს, განძის საემიროს არმია დავით აღმაშენებელმა დიდგორის ბრძოლამდე ორი თვით ადრე გაანადგურა, რის გამოც განძის საემირო ვეღარ შეუერთდებოდა კოალიციას და ვერ მიიღებდა დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობას (ამ საკითხის შესახებ დეტალურად იხ. VII თავის ქვეთავი „ბრძოლა კოალიციის ერთიანობის წინააღმდეგ").

რაც შეეხება მალიქ თოღრულს, ბუნებრივია, რომ მისი დავით აღმაშენებელის მოწინააღმდეგე მხედართმთავართა რიცხვში განხილვა, არც მისი ასაკისა და არც განძის საემიროს არმიის დიდგორის ბრძოლაში არ ყოფნის გამო, არ შეგვიძლია.

თუღან არსლანი (სრული სახელია: შამს ად-დაულა თუღან-არსლან ალ-აჰდაბ იბნ ჰუსამ ად-დაულა თუმთურ-ტეგინი),[27] ბითლისისა და არზანის ემირი, აჰდაბიანთა საგვარეულოს წარმომადგენელი. აღნიშნული საემირო XI საუკუნის მიწურულს შექმნა თუღან არსლანის მამამ, ჰუსამ ად-დაულა თუმთურ-ტეგინმა, ხოლო გააფართოვა თუღან არსლანმა, რომელმაც 1118 წელს დაიპყრო დვინი და დაუახლოვდა საქართველოს საზღვრებს. დვინის დაპყრობის შემდეგ, ბითლის-დვინის მფლობელი აჰდაბიანების დინასტია ინტერესთა შეხებაში შევიდა საქართველოს სამეფოსთან, რომლის სტრატეგიულ გეგმებშიც, უკვე დავით აღმაშენებლის დროიდან, ანისთან ერთად, დვინის სელჯუკთა მფლობელობისგან განთავისუფლებაც აშკარად შედიოდა, რის გამოც თუღან არსლანს, საკმარისზე მეტი მოტივაცია უნდა ჰქონოდა კოალიციაში გაერთიანებისა და დავით აღმაშენებელის წინსვლის შეჩერებისთვის მისი სამფლობელოებისკენ.[28]

წერილობითი წყაროებიდან თითქოს ისე ჩანს, რომ თუღან-არსლანი ბოლო მომენტში არ შეერთებია კოალიციურ არმიას,[29] რაც დამაჯერებლად არ უნდა გამოიყურებოდეს (ამას, სრული კატეგორიულობითა და პერსონიფიცირებით, არც წერილობითი წყაროები აღნიშნავენ). თუღან-არსლანის საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში მონაწილეობის მთავარი არგუმენტი, შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ იმ პერიოდისთვის ის აშკარად ილ-ღაზის ერთგული მოკავშირეა. იგი 1119 წელს მასთან ერთად მონაწილეობდა „სისხლიანი ველის" ბრძოლაში ანტიოქიის მთავრის წინააღმდეგ. ქამალ ად-დინი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თუღან-არსლანს არ დაუტოვებია ილ-ღაზის გარშემო გაერთიანებული კოალიცია მას შემდეგაც, რაც მონაწილეთა დიდი ნაწილი როჯერზე გამარჯვების შემდეგ სახლებში გაბრუნდა, იგი ილ-ღაზისთან ერთად ბოლომდის აგრძელებდა საომარ კამპანიას ჯვაროსნების (ახლა უკვე იერუსალიმის მეფე ბალდუინის) წინააღმდეგ.[30]

გარდა ილ-ღაზის ერთგულებისა და რელიგიური მოტივაციისა, თუღან-არსლანისთვის საქართველოს წინააღმდეგ გამოცხადებული ჯიჰადი უნდა ყოფილიყო იდეალური საშუალება მისი სამფლობელოებისკენ მეთოდურად მომავალი მტრის შესაჩერებლად და საქართველოს მხრიდან მისი სამფლობელოებისთვის შექმნილი საფრთხის, ადრეულ ეტაპზევე აღსაკვეთად.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუღან-არსლანი აშკარად აგრესიულ მეომარ ემირთა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. წერილობით წყაროებში იგი დახასიათებულია, როგორც ძალიან გამბედავი და მამაცი მებრძოლი. ქამალ ად-დინის მიხედვით, „სისხლიან ველზე" გამარჯვებაში მან გადამწყვეტი როლი შეასრულა. ის ხელმძღვანელობდა ჯვაროსანთა ბანაკის გარემოცვას, საიდანაც უნდა ჩანდეს, რომ თუღან არსლანი არა მარტო მამაცი მეომარი, არამედ უნარიანი მხედართმთავარიც ყოფილა.

მოგვიანებით, თულან არსლანს წერილობით წყაროები იხსენიებენ 1136-1138 წლებს შორის მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, როგორც შირვანშაჰების მოკავშირეს, არანის ოლქის ერთ-ერთი მუსლიმი მფლობელის წინააღმდეგ ომში და აქაც თულან არსლანი წარმოჩენილია როგორც გამოჩენილი მეომარი.[31]

კოალიციის სხვა წევრები. გარდა აღნიშნულისა, კოალიციის შემადგენლობაში არ ჩანს საქართველოს მეზობელი სხვა სელჯუკური საემიროების მონაწილეობა, რაშიც მოულოდნელი არაფერი უნდა იყოს მიუხედავად კოალიციის შემადგენლობაში დავით აღმაშენებლის მემატიანის მინიშნებისა „ყოველთა სომხითის ამირებზე."[32]

კოალიციის პოტენციური წევრები, თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და საქართველოს მიმართ, ბუნებრივი ინტერესების გამო, შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ხლათის, ანისის, ყარსისა და ერზრუმის საემიროები, მაგრამ მათ მონაწილეობას დიდგორის ბრძოლაში არც ერთი ისტორიული წყარო არ მიუთითებს.

ხლათის საემირო, რომელიც მსხვილ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, თავისი ინტერესების რეალიზაციას, იმ დროისთვის ვანის ტბის ჩრდილო-დასავლეთით (ყოფილი სომხური სახელმწიფოების ტერიტორიებზე) ცდილობდა და საქართველოსთან ინტერესთა აქტიურ კონფლიქტში, ჯერ არ იყო შესული. ხლათის ემირთა „ნეიტრალიტეტი" დიდგორის ბრძოლის დროს, განპირობებული უნდა ყოფილიყო იმ გარემოებით, რომ დავით აღმაშენებელის პოლიტიკური ინტერესები იმ მომენტისთვის, მიმართული იყო უფრო სამხრეთ-აღმოსავლეთით, რაც ხლათის საემიროს ინტერესებს ჯერ არ ეხებოდა. მაგრამ მოგვიანებით, როგორც კი საქართველოს სამეფომ წინსვლა დაიწყო ანისისკენ, ხლათის ემირებიც გააქტიურდნენ და ჩაერთვნენ სამხედრო მოქმედებებში საქართველოს წინააღმდეგ.[33]

ასევე არ ჩანან კოალიციის შემადგენლობაში ანისის, ყარსისა და ერზრუმის საემიროები, რაც ასევე ბუნებრივი უნდა იყოს, რადგან როგორც გვქონდა აღნიშნული, ეს პოლიტიკური ერთეულები საკმაოდ სუსტი წარმონაქმნები იყვნენ და კოალიციაში მონაწილეობით და მათზე ბევრად ძლიერ საქართველოს სამეფოსთან ომის გამოცხადებით, თავს საფრთხეში ვერ ჩაიგდებდნენ.[34]

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ ერთეულთა სამხედრო პოტენციალი მთლიანად იქნებოდა გამოთიშული კოალიციას. ეჭვს გარეშეა, რომ როგორც ხლათის, ასევე დანარჩენი საემიროების ტერიტორიებიდან მოგროვდებოდნენ საკმაო რაოდენობის მოქირავნეები და რელიგიური მოხალისეები („Mutawwiun"-ები), რომლებიც შეუერთდებოდნენ ამ საემიროების ტერიტორიებზე გამავალ კოალიციურ არმიას.

ამგვარად, განხილულის საფუძველზე გამოდის, რომ საქართველოს საწინააღმდეგო კოალიციაში საღვთო ომის სახელით, სელჯუკთა იმპერიის სამი მსხვილი ერთეული, მარდინის, ბითლისისა და განძის საემიროები გაერთიანებულა. განძის საემირომ, რომელიც კოალიციის ორგანიზების ერთ-ერთი ინიციატორი იყო, საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა ვერ მიიღო. კოალიციურ არმიას, რომელსაც ხელმძღვანელობდა ისლამური სამყაროს სამი ცნობილი მხედართმთავარი, ილ-ღაზი, დუბაისი და თულან არსლანი, სამხრეთ ამიერკავკასიაში უნდა შეერთებოდნენ მოქირავნეთა და მოხალისეთა რაზმები, რაც განძის გამოკლებული სამხედრო პოტენციალის ნაწილობრივ კომპენსირებას მაინც მოახდენდა.

ჩვენის აზრით, ასეთი იყო იმ მუსლიმური კოალიციის შემადგენლობა, რომელიც დიდგორის ქედზე უნდა დაპირისპირებოდა ქართულ არმიას დავით აღმაშენებლის მეთაურობით.

კოალიციის სამხედრო ძალის რაოდენობა

დიდი არმია ყოველთვის
არაორგანიზებულია.

ევრიპიდე.

ისტორიული წყაროები დიდგორის ბრძოლის მონაწილე არმიათა შემადგენლობას სრულიად ფანტასტიკურ ციფრებში ასახელებენ, ეს პირველ რიგში შეეხება მაჰმადიანთა კოალიციურ ლაშქარს, რომლის სიდიდესაც ანტიოქიის კანცლერი ვალტერ გოტიე 600 ათასის, ხოლო მათე ურჰაელი 560 ათასის ფარგლებში მიუთითებენ. წინააღმდეგობრივია სმბატ სპარაპეტის მონაცემები, მისი მიხედვით კოალიციური არმიის სიდიდე 150 ათასი, ხოლო ბრძოლის ველზე დანაკარგები 400 ათასი მოკლული და 50 ათასი ტყვედ ჩავარდნილი მუსლიმი მეომარი ყოფილა. შედარებით მოკრძალებულია მიხეილ სირიელის ციფრი, 100 ათასი.[1] წარმოდგენილი ციფრები, თუნდაც უკანასკნელის „მოკრძალებულობის" მიუხედავად, იმდენად არარეალურია, რომ ამ თემის ანალიზი აბსოლუტურად ზედმეტი იქნებოდა, რომ არა ამ პერიოდის მთელ რიგ მკვლევართა „სერიოზული" დამოკიდებულება მათ მიმართ და დიდგორის ბრძოლის მონაწილე მეომართა სინამდვილესთან მიახლოვებული სიდიდის დადგენის სურვილი და აუცილებლობა.

თანამედროვე მსოფლიო ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია გარკვეულად ითვლება, რომ შუასაუკუნეების დროინდელი, როგორც ქრისტიანული, ასევე მაჰმადიანური არმიები არ გამოირჩეოდნენ დიდი მრავალრიცხოვნობით და საშუალოდ, ამა თუ იმ ქვეყნის სიდიდის, ეკონომიკური რესურსებისა და სახელმწიფო ორგანიზაციის განვითარების დონის გათვალისწინებით, საშუალოდ 4-5 ათასიდან, 10-15 ათასი მეომრის ფარგლებში მერყეობდნენ. ამასთან, 10-15 ათასი მეომრის ოდენობის არმიას სავსებით ძალუძდა ისეთი მაღალი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სამხედრო ამოცანების გადაჭრა, როგორიც იყო ქვეყნის დაპყრობა, ინტერვენციის მოგერიება, ოკუპირებული ტერიტორიების შენარჩუნება და ა.შ. მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორის, ლევ VI-ის სამხედრო ტრაქტატის მიხედვით (IX-X სს. მიჯნა), 5-12 ათასიან არმიას ძალუძდა სტრატეგიული კამპანიების წარმოება, ხოლო X საუკუნის შუახანების მეორე სამხედრო ტრაქტატი იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებზე თავდაცვითი ბრძოლებისთვის 5-6 ათას მეომარს სავსებით საკმარისად თვლიდა.[2]

უფრო დიდი ოდენობის არმიები, 20-25 ათასიდან 40-50 ათასამდე, ძალიან იშვიათად იკრიბებოდა და მათი დროებითი ორგანიზება იმ დროისთვის მხოლოდ ისეთ გიგანტურ სახელმწიფოებს, ან სახელმწიფოთა კოალიციას შეეძლო, როგორიც იყო, მაგალითად, ბიზანტიის იმპერია, ფატიმიდების ეგვიპტე, ან სალადინისა და სელჯუკების იმპერიები მათი ძლიერების ხანაში.[3]

XI-XII საუკუნეების არმიათა რაოდენობრივი მასშტაბები ძალიან კარგად ჩანს იმ პერიოდის ისეთ საეტაპო მოვლენებში, რომლებიც თანამედროვე ისტორიოგრაფიაში დეტალურად და დამაჯერებლადაა შესწავლილი. ასე მაგალითად:

-1096 წელს, კონსტანტინოპოლში შეკრებილი პირველი ჯვაროსანული ლაშქრობის კოალიციური არმიის სიდიდე 30-35 ათასი მეომრის ფარგლებში მერყეობდა და ამ ძალებით ჯვაროსნებმა შეძლეს მცირე აზიის მარშით გავლა, რუმის სასულთნოსა და დანიშმენდიდების საემიროს არმიების სამ დიდ ბრძოლაში დამარცხება, სირიისა და პალესტინის მნიშვნელოვანი ნაწილის დაპყრობა, რამდენიმე მსხვილი

ქალაქის შტურმით აღება და ოთხი სახელმწიფოებრივი ერთეულის (ედესისა და ტრიპოლის საგრაფოების, ანტიოქიის სამთავროსა და იერუსალიმის სამეფოს) დაარსება.[4]

-1099 წელს, იერუსალიმის დაკარგვის შემდგომ, ფატიმიდების ეგვიპტის მიერ ჯვაროსანთა წინააღმდეგ გაგზავნილი არმია ასკალონის ბრძოლაში 20-25 ათასს აღწევდა, მაშინ როდესაც ჯვაროსანთა არმია 10 ათასზე ოდნავ მეტ მეომარს შეადგენდა.[5]

-1119 წელს, მუსლიმურმა კოალიციამ ილ-ღაზის მეთაურობით, 40 ათასამდე მეომარი გამოიყვანა ანტიოქიის არმიის 3 ათას 700 მებრძოლის წინააღმდეგ.[6]

-1187 წელს, ჰატინის ბრძოლაში სალადინმა, ეგვიპტე-სირიის კოალიციური არმიის შემადგენლობაში, დაახლოებით, 20 ათასი მეომრის მობილიზება შეძლო, მაშინ როდესაც იერუსალიმის სამეფოს არმიამ, ფაქტიურად, ტოტალური მობილიზაციის შედეგად, 14-15 ათასი მეომარი შეადგინა და ეს იერუსალიმის სამეფოს ისტორიაში, ყველაზე მრავალრიცხოვან არმიას წარმოადგენდა.[7]

-1191 წელს, მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე ინგლისისა და საფრანგეთის არმიებში შემავალ მეომართა რაოდენობა, რომლებსაც უშუალოდ ამ ქვეყნების მონარქები, რიჩარდ ლომგული და ფილიპ-ავგუსტი მეთაურობდნენ, დაახლოებით 20 ათასს უტოლდებოდა, თითოეულში ათი ათასის ოდენობით, ხოლო გერმანიის იმპერატორ ფრიდრიხ ბარბაროსას არმია 20 ათას (ზოგი მონაცემით 30 ათას) მეომარს ითვლიდა, რაც ზოგი მკვლევარის აზრით, ბარბაროსას სარდლობის ქვეშ მყოფ ყველაზე დიდ არმიას წარმოადგენდა.[8]

-1204 წელს, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, კონსტანტინოპოლი 14 ათასმა ჯვაროსანმა აიღო და დააარსა კონსტანტინოპოლის ლათინური იმპერია.[9]

მსგავსი ანალოგების მოყვანა როგორც ევროპის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნების მაგალითებზე, უსასრულო რაოდენობით შეიძლება და ყოველი მათგანი იმის ილუსტრირებაა, რომ შუასაუკუნეების წერილობითი წყაროების ცნობები, 100, 200, 300 ათასი და ნახევარ მილიონიანი არმიების შესახებ, რიგ შემთხვევებში ძველ ავტორთა ფანტაზიისა და ტენდენციურობის ნაყოფია, რიგ შემთხვევებში კი, საუკუნეთა განმავლობაში ხელნაწერების გადაწერა-თარგმნის დროს დაშვებული შეცდომებისა. რასაკვირველია, არც რიჩარდ ლომგული, არც პირველი ჯვაროსნები და არც სხვა არავინ წავიდოდა რეალურ თვითმკვლელობაზე, მათ 10 და თუნდაც 30 ათასიან არმიებს, მუსლიმთა 100, 200, 300 ათასიანი ძალები რომ დაპირისპირებოდნენ. დასკვნა უბრალო და მარტივია, ამ სიდიდის არმიები მუსლიმებს არ ჰყავდათ.[10]

სავსებით ბუნებრივია, რომ როგორი სანდოც უნდა იყოს მთლიანობაში ისტორიული წყარო და როგორ სწორადაც უნდა აღწერდეს იგი მოვლენის ისტორიულ პერიპეტიებს, ციფრების პირდაპირ აღება მათგან მაინც არ შეიძლება. აღსაწერ მოვლენათა თანადროულ ისტორიულ ქრონიკათა ავტორებს უბრალოდ არ შეეძლოთ ზუსტად და ობიექტურად განესაზღვრათ ციფრები. ისინი ამ მონაცემებს იღებდნენ, ან ომების მონაწილეებისგან, ან მოვლენებთან ახლოს მდგომი პირებისგან, რომლებმაც ან თავად არ იცოდნენ ზუსტი ციფრები, ან დაინტერესებულნი იყვნენ მათი შემცირება—გაზვიადებით.[11] ის ფაქტი, რომ წერილობით წყაროებში არმიების სიდიდეები თითქმის გამონაკლისის გარეშე, მხოლოდ დამრგვალებულ ციფრებშია მოცემული, უკვე მათ უზუსტობაზე მიუთითებს, რაც იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა დიდ რაოდენობათა დათვლისა და აღრიცხვის არანაირი

საიმედო სისტემა, სავსებით ბუნებრივი იყო.

მეომართა რაოდენობა ითვლებოდა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ტერიტორიებში (მაგალითად, ევროპულ საგრაფოებში, ბიზანტიურ ფემებში, სელჯუკურ იქტებში, ქართულ საერისთავოებში და ა.შ.) არსებულ სამემკვიდრეო ან საგამგებლო ერთეულების რაოდენობის მიხედვით. ცნობილი იყო, რომ ამა თუ იმ ტერიტორიულ ერთეულს შეეძლო გამოეყვანა მეომართა გარკვეული რაოდენობა, მაგრამ რეალურად რამდენი გამოჰყავდათ ამ ერთეულებიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ამის დადგენა ძალიან ძნელი, თითქმის შეუძლებელიც იყო. გამოყვანილ მეომართა რაოდენობას განაპირობებდა ამ ერთეულის მფლობელის პირადი ინტერესები, რომლებიც ნებისმიერი გაწვევის მიმართ სრულიად სხვადასხვა შეიძლებოდა ყოფილიყო. ანუ, ერთი იყო სამობილიზაციო შესაძლებლობები და მეორე, რეალური რაოდენობები, რომლებსაც ყოველი გაწვევის დროს კრიბავდნენ და რომლის რაოდენობის გადამოწმებაც, საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა. ამისთვის შეიძლებოდა გამოეყენებინათ სამი საშუალება: რაოდენობები გარკვეულიყო სიებით, რაც ფეოდალურ ეპოქაში იშვიათად იყენებდნენ. ზეპირი მოხსენებებით, რომლებიც რეალური იყო თუ არა, მაინც უნდა დაეჯერებინათ და სამწყობრო დათვალიერებით, რაც ასევე მხოლოდ დაახლოებით წარმოდგენას იძლეოდა არმიის სიდიდეზე (განსაკუთრებით დიდი არმიების მოგროვების პირობებში). ამიტომ რიცხვები ყოველთვის იყო მიახლოებითი.

თუ ამას დავუმატებთ რაოდენობების შეგნებულად დამახინჯებას ასევე თითქმის ბუნებრივ ტენდენციებს (გაეზარდათ მოწინააღმდეგეთა რაოდენობა და შეემცირებინათ საკუთარი), ცხადი უნდა გახდეს, რომ ისტორიულ ქრონიკათა ავტორებს, სურვილის შემთხვევაშიც კი არ ჰქონდათ რეალური ციფრების მიღების შესაძლებლობა. ხოლო რაც შეეხება იმ ავტორებს, რომლებიც მოვლენებს დროის დისტანციიდან აღწერდნენ და ძველი ხელნაწერებით, ან შორეული გადმოცემებით სარგებლობდნენ, მათი ციფრები უმრავლეს შემთხვევებში, საერთოდ დაუჯერებელი და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ხდებოდა.

ციფრების მიღების ასეთი „შესაძლებლობების" პირობებში, ისტორიულ ქრონიკათა ავტორები ან საერთოდ არ ეხებოდნენ მათ, ან რაოდენობათა შეფასების ისეთი კრიტერიუმებით სარგებლობდნენ, როგორიც იყო „მცირე," „ბევრი," „ძალიან ბევრი," „ურიცხვი," „უთვალავი," „უზარმაზარი," „ქვიშასავით ბევრი" და ა.შ. რასაც უფრო შეფარდებითი მნიშვნელობა ჰქონდა ვიდრე ზუსტი რიცხობრივი. ამ გზით ისტორიულ წყაროთა ავტორები აღნიშნავდნენ როგორც ამა თუ იმ ბრძოლის ხასიათს, ასევე საკუთარ დამოკიდებულებას ამ ბრძოლებისადმი. ისინი ამ შეფასებების მეშვეობით, ზრდიდნენ როგორც გამარჯვების მნიშვნელობას, ასევე ამცირებდნენ მარცხის მაშტაბებს, რომლის დროსაც, მოწინააღმდეგის რაოდენობის გაზრდა, ხოლო საკუთარის შემცირება, კანონზომიერება ხდებოდა (ბუნებრივია, რომ მრავალრიცხოვან მტერზე მცირე ძალებით გამარჯვება უფრო საამაყოდ ითვლებოდა, ხოლო დამარცხება ნაკლებად სამარცხვინოდ).

ასეთი კანონზომიერების არსებობის პირობებში ზოგადი რაოდენობრივი შეფასებები კონკრეტული ასი ათასები ხდებოდა და გარკვეულ გარემოებებში (მაგ. ხელნაწერის გადაწერისას, ქრონიკის „შეკვეთისას", რაიმე იდეოლოგიური მიზნის მიღწევისას და ა.შ.) კიდევ უფრო იზრდებოდა და ასახვას პოულობდა ისტორიულ წყაროებში.

სამხედრო ისტორიის ცნობილმა მკვლევარმა ი. ვერბრუგენმა, ამ კანონზომ-

იერებას ისტორიოგრაფიის პრობლემა უწოდა,[12] რაც ნამდვილად ზუსტად ასახავს იმ უდიდეს სირთულეს, რასაც თანამედროვე ისტორიოგრაფია აწყდება ისტორიულ წყაროებში მოყვანილ ციფრებთან დაკავშირებით.

ისტორიულ წყაროებში დასახელებული არარეალური ციფრები ხშირად ხდება ისტორიული მოვლენისა თუ მთელი ისტორიული ეპოქის არასწორად (და ზოგჯერ ტენდენციურად) რეკონსტრუქციის საფუძველი, ამიტომ მიუხედავად იმისა, თუ რა ნდობის ხარისხით სარგებლობს ისტორიული წყარო, მისგან ციფრების პირდაპირ მიღება არ შეიძლება. არსებობს ციფრების რეალურობის დასაშვები გარკვეული ზღვარი, რომლის მისაღები ზომიერების დარღვევის შემთხვევაშიც, წყაროს ავტორიტეტულობის მიუხედავად, ამ ციფრების სინამდვილე აუცილებლად უნდა იქცეს სხვადასხვა კრიტიკული მეთოდოლოგიით შესწავლის საგნად. ნერილობითი წყარო შეიძლება ძალიან სწორედ გადმოსცემდეს ისტორიული პროცესის მიმდინარეობას, მაგრამ მის გვერდით იძლეოდეს მიუღებელ ციფრებს. ზუსტად ასეთი ვითარებაა დიდგორის ბრძოლის შემთხვევაში, სადაც ნერილობით წყაროთა უმრავლესობა მთლიანობაში გვაძლევს ამ ბრძოლის მიზეზების, მიმდინარეობისა და შედეგების რეალურ, ფაქტიურად, ერთგვარ სურათს (ის. VII თავის ქვეთავი, „ დიდგორის ბრძოლა ნერილობით წყაროებში"), რაც ამ წყაროთა განსხვავებული წარმომავლობის, ფრაგმენტულობისა და ბრძოლის შედეგების მიმართ განსხვავებული დამოკიდებულების მიუხედავად, ერთმანეთში დამაჯერებლად ჯერდება, მაგრამ იქ სადაც სახელდება კონკრეტული ციფრები, ისინი აშკარად მიუღებელი და ფანტასტიკურები ხდებიან.

უკვე იყო განხილული თუ რა რაოდენობებში წარმოადგენდნენ მუსლიმი ავტორები ბიზანტიის არმიას მანციკერტის ბრძოლის დროს (100 ათასიდან 700 ათასამდე), რომელიც სელჯუკებს თითქოსდა 15 ათასიანი არმიით დაუმარცხებიათ. ასეთი ტენდენცია მეტ-ნაკლებად, თითქმის ყველა ავტორისთვისაა დამახასიათებელი, მაგალითად, ლათინური ქრონიკები იუწყებიან, რომ 1097 წელს დორილეუმთან, ხოლო 1101 წელს რამლასთან, მუსლიმთა 360 და 200 ათასიანი არმიები იბრძოდნენ ჯვაროსანთა წინააღმდეგ. ამასთან ეს უკანასკნელი, ბალდუინ I-ს თითქოს 1300 მეომრით დაუმარცხებია,[13] რაც რასაკვირველია, ფიზიკურად იყო შეუძლებელი და ასეთი შეფარდებით არათუ ბრძოლის მოგება, არამედ მისი წარმოებაც კი წარმოუდგენელი იყო.

ანალოგიურ ტენდენციას, ლათინური და აღმოსავლური ქრონიკების მსგავსად, ამჟღავნებენ ქართული წყაროებიც, როდესაც ისინი იძლევიან მოწინააღმდეგეთა სამხედრო ძალების შეფარდების ამსახველ ციფრებს. მაგალითად, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა თრიალეთის ბრძოლის შესახებ, სადაც დავით აღმაშენებელმა, თითქოსდა 1500 მეომრით დაამარცხა სელჯუკთა 100 ათასიანი არმია, „ტყუპისცალივით" ჰგავს ცნობებს ბალდუინ I-ს გამარჯვების შესახებ 1300 მეომრით 200 ათასიან არმიაზე და სელჯუკთა წარმატებაზე 15 ათასი მეომრით ბიზანტიელთა 700 ათასიან არმიაზე. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევებში, საქმე გვაქვს იმ საერთო კანონზომიერებასთან, რაზედაც ზემოთ იყო საუბარი.

საინტერესოა ისიც, რომ ისტორიული ქრონიკები (როგორც ქრისტიანული ასევე მუსლიმური), როდესაც ისინი აღწერენ ასეთი წარმოუდგენელი შეფარდებებით გამართულ ბრძოლებს, როგორც წესი, მოპოვებულ გამარჯვებას ღმერთის ნებას მიაწერენ. ქრისტიანი ავტორები ბრძოლების აღწერილობას, ძალიან ხშირად თან ურთავდნენ „თვითმხილველთა" მონათხრობებს ზეციდან გამოჩენილი წმინდა

სურ. 14. გ. დორე. წმინდა მეომარი ეხმარება ჯვაროსნებს.

გიორგის, წმინდა თევდორეს თუ სხვა ღვთიურ მეომართა შესახებ, რომლებიც დაეხმარნენ გამარჯვებულ მხარეს ბრძოლის მოგებაში. რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ასეთ შემთხვევებში ძველი ავტორები ამით თითქოსდა თავიდან იცილებდნენ იმ კითხვებს, რომლებიც მათ მიერ დასახელებული ციფრებისას უნდა გასჩენოდათ ქრონიკების მკითხველებს (სურ. 14.).[14]

სინამდვილეში, იმდროინდელი ბრძოლები ბევრად ნაკლები ძალებით წარმოებდა. მაგალითად, როგორც ჰ. დელბრიუკს, ასევე ი. ვერბრუგენს, მოჰყავთ წერილობითი წყაროებიდან ამოკრეფილი და საგულდაგულოდ შეჯერებული მონაცემები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის არმიებით იბრძოდნენ ჯვაროსნები ახლო აღმოსავლეთში 1098-1125 წლებში (ანუ ზუსტად დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში):

თარიღი	ბრძოლის ადგილი	რაინდების რაოდ.	ქვეითების რაოდ.
1098	ანტიოქიის ტბა	700	———
1099	ასკალონი	1200	9000
1101	რამლა	260	900
1102	რამლა	200	———
1102	იაფე	200	———
1105	რამლა	700	2000
1119	ათარები	700	3000
1119	ჰაბი	700	———
1125	ნაზარეთი	1100	2000[15]

რასაკვირველია, ამ ციფრების დინამიკამ არ შეიძლება დატოვოს რაიმე ეჭვი იმის თაობაზე, თუ დაახლოებით რა სიდიდის ძალები უნდა დაპირისპირებოდნენ აღმოსავლეთში ჯვაროსნებს, რომელთაც ამ თითქოსდა ძალიან მცირე მასშტაბის არმიებით შეძლეს სირია-პალესტინაში დამკვიდრება. თუ შევხედავთ აღმოსავლური წყაროების იმ მონაცემებს, სადაც მათთვის ტენდენციურობის მოტივაცია მაქსიმალურად იყო შემცირებული, დავინახავთ თუ რა სიდიდის საველე არმიები გამოჰყავდათ სელჯუკ სულთნებსა და ემირებს, მათთვის სასიცოცხლოდ მნიშ-

ვნელოვანი პრობლემების გადასაწყვეტად.

მაგალითად, 1085 წელს, რუმის სულთანი სულეიმანი, 4000-იანი არმიის მეშვეობით ცდილობდა ისეთი დიდი ქალაქების დაპყრობას, როგორიც იყო ანტიოქია და ალეპო.[16] 1090 წელს, მალიქ-შაჰის ძმასთან, ტუტუშთან დაპირისპირებულმა ალეპოს ემირმა, ალ-სუნკურმა გამოიყვანა 6000-იანი არმია, საიდანაც 2500 მოკავშირეების მიერ იყო გამოგზავნილი.[17] 1101 წელს, რუმელი სელჯუკებისა და დანიშმენდიდების გაერთიანებულმა არმიამ 4000 მეომრის შემადგენლობით, დაამარცხა ბავარიელ და აქვიტანიელ ჯვაროსანთა არმია[18] და ა.შ.

მსხვილი მუსლიმური ერთეულების სამხედრო შესაძლებობათა მასშტაბებზე რეალური წარმოდგენის შექმნა, შესაძლებელია მაგალითად, ქამალ ად-დინის ცნობებიდან. ფანტასტიკურ ციფრებს ქამალ ად-დინი, სულ სამ შემთხვევაში ასახელებს (მალიქ-შაჰის არმია 400 ათასი მეომარი, ჯვაროსნების რაოდენობა, მათი გამოჩენის საწყის ეტაპზე, 320 ათასი მეომარი და სირიაში შესული ბიზანტიის საიმპერატორო არმია, 200 ათასი მეომარი), თითქმის ყველა სხვა შემთხვევაში, ქამალ ად-დინის ციფრები აშკარად რეალურია (მათ შორის, ჯვაროსნებისაც) და ძირითადათ, რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ათასში მერყეობს.[19]

დაახლოებით იგივეს თქმა შეიძლება ზოგიერთ სხვა ქრონიკაში დაცული რიგი მონაცემების მიმართაც. მაგალითად, ალ-კალანისი, როდესაც იძლევა ილ-ღაზის წინააღმდეგ გამოსული როჯერის არმიის აღწერილობას, რომელსაც იგი 20 ათასის რაოდენობით უთითებს (როგორც მიჩნეულია, სინამდვილეში იყო 3 700), აღნიშნავს, რომ ჯვაროსნების არმია „იყო ნამდვილად უზარმაზარი."[20] რასაკვირველია, 20 ათასიანი არმიის ასეთი შეფასება იმას უნდა ნიშნავდეს, რომ არმიათა ჩვეულებრივი სიდიდეები, ამაზე ნაკლები იყო.

იმ პირობებში როდესაც შეუძლებელია წერილობითი წყაროების ციფრების დაჯერება და სხვა წყაროებით გადამოწმება, ერთადერთი გზა კრიტიკული ანალიზისთვის, წარმოდგენილი სიდიდის არმიის რეალურ სამოქმედო გარემოში ფუნქციონირების შესაძლებლობის ანალიზის მეთოდი უნდა იყოს.

აღნიშნული მეთოდი, რომელიც ისტორიოგრაფიაში ჰანს დელბრიუკმა შემოიტანა, უაღრესად წარმატებული აღმოჩნდა. მისი დანერგვის, განვითარებისა და ისტორიულ კვლევებში აქტიურად გამოყენების შემდეგ, მეცნიერული ნაშრომებიდან ერთი მეორეს მიყოლებით გაქრნენ ჰეროდოტესეულ აქემენიდთა მილიონიანი არმიები, რომაული პერიოდის ასეულ ათასიან ბარბაროსთა ურდოები, ბიზანტიური ეპოქის არაბთა გრანდიოზული არმიები, შუასაუკუნეების ურიცხვი მომთაბარეები და ა.შ.

რასაკვირველია, როგორც არ შეიძლებოდა იმის დაჯერება, რომ აქემენიდთა 2 100 000-იანი არმია, რომელიც თავისი კოლონის სიგრძით დამასკოდან ბერლინამდე უნდა გაჭიმულიყო, ვერ შესძლებდა ვერც შეგროვებას, ვერც გადაადგილებასა და მით უმეტეს ვერც ბრძოლას, ისევე დაუჯერებელი უნდა ყოფილიყო ჯვაროსნული ომების მემატიანეთა ცნობები იმის შესახებ, რომ ჯვაროსანთა (თითქოსდა) 600 ათასიანი მასა, დორილეუმის ბრძოლის წინ, მოახერხებდა დროის ძალიან მოკლე მონაკვეთში მდინარის ვიწრო ხიდზე გადასვლას.[21] ეს ისევე შეუძლებელი იყო, როგორც 30 ათასი მეომრის მიერ ანტიოქიის ვიწრო ჭიშკრით, ქალაქის ერთ საათში დატოვება.[22]

საბედნიეროდ, ასეთ შეუსაბამობებს დასახელებულ ციფრებსა და აღწერილ მოვლენათა რეალიებს შორის, წერილობითი წყაროები, როგორც წესი, ყოველთ-

ვის უშვებენ, რაც დასახელებული ფანტასტიკური ციფრების კრიტიკული შესწავლისა და რეალობასთან მიახლოვებული მონაცემების დადგენის შესაძლებლობას იძლევა. სრულიად ბუნებრივი უნდა იყოს, რომ როდესაც წერილობითი წყარო უთითებს ასეულ ათასიან არმიას, ხოლო ამ არმიის მიერ გამოყენებული ბრძოლის ველი, ტერიტორიის პატარა მონაკვეთს წარმოადგენს, სადაც ათი ათასზე მეტ ადამიანს არ შეეძლებოდა მოქმედება, ფიქრს იმის შესახებ, თუ რომელი მონაცემი უნდა იყოს არასწორი, დიდი დრო არ უნდა დასჭირდეს.

როგორც იყო აღნიშნული, წერილობითი წყაროები საქართველოში შემოსული ილ-ღაზის არმიის სიდიდეს 100 ათასიდან 600 ათასამდე მიუთითებენ, ქართული ისტორიოგრაფია კი, რეალურ ციფრად 300 ათასს მიიჩნევს,[23] რაც არა თუ საკამათო, უბრალოდ მიუღებელი და წარმოუდგენელია: შუასაუკუნეებში ასეთი სიდიდის არმიები არ არსებობდნენ.

სურ. 15. ბერძნული არმია მარშის დროს. ძვ. წ. IV ს.
ჰ. კონოლის რეკონსტრუქცია

XII საუკუნეში, ისევე როგორც მთლიანად შუასაუკუნეების ეპოქაში, არ არსებობდა ხალხის დიდი მასების ორგანიზებულად მართვის ისეთი სისტემა, რომელიც შეძლებდა ასეულ ათასობით ადამიანის მოწესრიგებული, კოორდინირებული გადაადგილების უზრუნველყოფას დროსა და სივრცეში, როგორც დიდ, ასევე მცირე დისტანციებზე. ამისთვის არ იყო არც შესაბამისი კომუნიკაციური და არც სატრანსპორტო საშუალებები. მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ ნებისმიერი მაღალი ციფრი, ვთქვათ, 200 ათასი.

200 ათასი ადამიანის ერთიან მასად მოძრაობა შეუძლებელია, ასეთი მცდელობა ჭყლეტას და ქაოსს გამოიწვევს. ამიტომ ქაოსის თავიდან ასაცილებლად, პირველ რიგში, საჭირო გახდებოდა ამ მასის ადმინისტრაციული დაყოფა სხვადასხვა სიდიდის ორგანიზაციულ ერთეულებად (ათეულებად, ოცეულებად, ასეულებად და ა.შ.), შემდეგ ამ ერთეულების დალაგება კოლონებად, რომლებიც შეძლებდნენ გარკვეული თანმიმდევრობით მოძრაობას ერთი მიმართულებით. სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთი დანაწილება წარმოუდგენელია ამ ორგანიზაციული ერთეულების ხელმძღვანელთა, თანამედროვე ტერმინოლოგიით, ოფიცერთა კორპუსის გარეშე, რომლებიც უხელმძღვანელებდნენ მოწესრიგებულ გადაადგილებას და საჭირო დროს გასცემდნენ მოძრაობის თუ შეჩერების ბრძანებებს, რომელიც მათ თავის მხრივ კოლონის საერთო ხელმძღვანელობიდან უნდა მიეღოთ.

სამარშო კოლონებად დანაწილებული ასეთი სი-

დიდის არმია გადაადგილების (მარშის) პროცესში აუცილებლად ძალიან გრძელ დისტანციაზე გაიჭიმებოდა (სურ. 15-16). იმის გათვალისწინებით, რომ ერთი ადამიანის თავისუფალი გადაადგილებისთვის, მინიმუმ ერთი კვადრატული მეტრი თავისუფალი სივრცეა საჭირო, ხოლო იმდროინდელი გზების გამტარუნარიანობა, რომელიც საჭაპანე ტრანსპორტის სიფართეზე იყო მორგებული, ფრონტალურ რიგში, მაქსიმუმ, ექვს ადამიანს მისცემდა მოძრაობის საშუალებას (და ისიც არა ყველა მონაკვეთში). გამოვა, რომ მოძრაობის დროს, 200 ათასიანი არმია, თუ ის მარტო ქვეითი მებრძოლებისგან იქნებოდა დაკომპლექტებული, დაახლოებით, 34-40 კილომეტრის სიგრძეზე გაიჭიმებოდა.[24]

სურ. 16. რომაული არმია მარშის დროს. I ს. პ. კონოლის რეკონსტრუქცია

ეს დისტანცია მინიმუმ გასამმაგდებოდა და გაოთხმაგდებოდა, თუ არმიის შემადგენლობაში მესამედი ან ნახევარი ცხენოსანი მეომრები იქნებოდნენ. ცხენს თავისუფალი მოძრაობისთვის ოთხ-ხუთჯერ მეტი ფართობი სჭირდება, ვიდრე ქვეით ადამიანს, იმ დროინდელი არმიების მნიშვნელოვან ნაწილს კი, სწორედ კავალერია შეადგენდა. თუ ყოველივე ამას დავუმატებთ არმიის თანმხლები (აუცილებელი) არასაბრძოლო პერსონალის გარკვეულ რაოდენობას და საჭაპანე ტრანსპორტს (სურ. 17), რომლის სამოძრაო სივრცე ცხენისთვის აუცილებელ სივრცეზე ორჯერ მეტია. 200 ათასიან არმიაზე, თუ მინიმუმ 2000 საზიდარს (100 კაცზე ერთის ვარაუდით)[25] ვიანგარიშებთ, მივიღებთ რომ ამ სიდიდის არმია მარშის დროს, დაახლოებით 240-260 კილომეტრზე უნდა გაწელილიყო (ეს ციფრი დიდად არც მაშინ შემცირდება, თუ დავუშვებთ, რომ საზიდრების ნაცვლად მხოლოდ აქლემებსა და სხვა სასაპალნე ცხოველებს იყენებდნენ).[26]

ასეთ ვითარებაში, როგორ უნდა განხორციელებულიყო არმიის მართვა და ყოველი ბრძანების თითოეულ დანაყოფამდე დაყვანა, როდესაც ასეულ კილომეტრებზე გაჭიმული არმიის კოლონებამდე, შეჩერების ან წინსვლის ბრძანების მიღწევას, ორი-სამი დღე დასჭირდებოდა, სავსებით წარმოუდგენელია.[27] ან რა აზრი უნდა ჰქონოდა ისეთი არმიის შეგროვებას, რომლის საბრძოლოდ კონცენტრირებაც შეუძლებელი იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში არმიის სარდლობას, არათუ მარშის, არამედ ბრძოლის დროსაც უბრალოდ არ ეცოდინებოდა, თუ რომელი სამხედრო რაზმი როდის სად იმყოფებოდა. ასეთ შემთხვევაში, როგორ უნდა განხორციელებულიყო არამარტო მოძრავი კოლონის მართვა, არამედ მისი უზრუნველყოფა, დაბანაკება, ბრძოლის ველზე დისპოზიციის შერჩევა და რაზმების

სურ. 17. ი. ძისი. არმიის თანმხლები აღალი

განლაგება, არმიის ოპერატიული ხელმძღვანელობა ბრძოლის დროს და ა.შ. სრულიად შეუძლებელი იქნებოდა.[28]

რასაკვირველია, როცა კონკრეტული მარშრუტი ამის შესაძლებლობას იძლეოდა, სამარშო კოლონების სიგრძის შემცირების მიზნით, პარალელურ გზებზე ხდებოდა რამდენიმე კოლონად მოძრაობა, მაგრამ მთების პირობებში, ამის განხორციელება დიდი არმიისთვის, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო.

იმ დროისთვის ასეულ ათასობით მეომრის საველე არმიად ფორმირება და მოქმედებაში მოყვანა, რა ციფრებიც უნდა ეწეროთ ისტორიულ ქრონიკათა ავტორებს, თუნდაც მარტო ასეთი არმიის ოპერატიული მართვის შეუძლებლობიდან გამომდინარე (რომ არაფერი ვთქვათ მისი უზრუნველყოფის, დაბანაკების და სხვა სირთულეებზე), წარმოუდგენელი იყო. რომელიმე ქვეყანას, შესაძლოა, ჰქონოდა დიდი სამობილიზაციო რეზერვები, მაგრამ ხალხის ასეთი გიგანტური მასების ორგანიზებულ, ერთდროულ სამხედრო ძალად და ერთ საველე არმიად ფორმირება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის შეუსრულებად ამოცანას წარმოადგენდა.

დიდგორის ბრძოლასთან მიმართებაში საკითხი კონკრეტული კუთხით შეიძლება დაისვას. შეეძლო თუ არა საქართველოს ტერიტორიებზე 300 ათასი მეომრის ოდენობის არმიას მარშირება და საბრძოლო ოპერაციების ჩატარება, რაზედაც პასუხი ცალსახად უარყოფითია. შუასაუკუნეების საქართველოს გზათა სისტემა ამხელა არმიის ერთდროულ გადაადგილებას ვერ უზრუნველყოფდა. საქართველოში გზები (ისევე როგორც სხვა ქვეყნებში) მორგებული იყო იმდროინდელ ტრანსპორტზე, ანუ საზიდრებზე, ფორნებზე, ურმებზე და ა.შ., რაც გზის საშუალო სიფართოვეს, დაახლოებით, 4-5 მეტრამდე გულისხმობს. ამ გზების გამტარუნარიანობა 300 ათასი ადამიანისთვის იქნებოდა ძალიან დაბალი და ასეთი (თეორიული) კოლონა, რომელიც 400-500 კილომეტრზე უნდა გაჭიმულიყო, ვერა-

ნაირად შეძლებდა ვერც მიზანმიმართულ მარშირებას, ვერც ერთად თავმოყრასა და ვერც ბრძოლისთვის კონცენტრირებას.

უფრო მეტიც, ასეთი სიდიდის არმია ნებისმიერ მდინარეზე გადასვლისას, იმდროინდელი ხიდების დაბალი გამტარუნარიანობის გამო, ჭყლეტის საშიშროების წინაშე აღმოჩნდებოდა, ბრძოლის უნარსაც დაკარგავდა და წარმოქმნილი საცობების გამო ძალიან დიდი ხნით ერთ ადგილზე გაიჭედებოდა (ამ მხრივ სხვადასხვა წერილობით წყაროებში უამრავი მითითებაა დაცული, მათ შორის შესანიშნავ მაგალითს იძლევა თამარის პირველი ისტორიკოსი[29]).

XI-XII საუკუნეების ქართული ხიდები (დონდალო, რკონი, ბესლეთი, არტანუჯი და ა.შ. (სურ. 18-19)), რომლებიც სატრანსპორტო სისტემის საკვანძო ელემენტებს წარმოადგენდნენ, ასეულ ათასობით ადამიანისა და მათი თანმხლები საზიდრებისა თუ ცხოველების მოკლე დროში გატარებას (რაც მარშის აუცილებელი პირობაა), უბრალოდ, ვერ შეძლებდნენ. ხიდების სავალი ნაწილის სიგანე, რომელიც დაახლოებით 2-5 მეტრში მერყეობდა,[30] პირდაპირ მიუთითებს იმ გარემოებაზე (უფრო სწორად იმ ფაქტზე), რომ 300 ათასიანი არმიისთვის ნებისმიერი მდინარე და მათთან ერთად, ყოველი ხევი თუ მაღალი ქედი, იქნებოდა უზარმაზარი სირთულის წინაღობა, რომელთა გადალახვასაც ისინი ნაწილ-ნაწილ და დროის დიდ მონაკვეთში თუ შეძლებდნენ. საქართველო, როგორც მთაგორიანი ქვეყანა მრავალი მდინარითა და ხეობით,[31] დიდი თუ მცირე უღელტეხილით, ხალხის გიგანტური მასების ერთად მოძრაობისთვის უაღრესად რთულ რეგიონს წარმოადგენდა. ასე, რომ ილ-ღაზის არმია ყველა შემთხვევაში უნდა ყოფილიყო 300 ათასზე ბევრად ნაკლები. იმდენი, რამდენის მოგროვებაც მობილიზაციის მაშინდელ სისტემას შეეძლო და რამდენის მართვა და ერთ არმიად გადაადგილება მაშინდელი გზათა სისტემით იქნებოდა შესაძლებელი.

ისლამურ წყაროებში ილ-ღაზის არმიის სიდიდე 30 ათასი მეომრის რაოდენობაშია დასახელებული, რაც რიგი მკვლევრების მიერ უარყოფილია წყაროთა ტენდენციურობის მოტივით, ჩვენის აზრით კი, ეს სავსებით რეალური ციფრია.[32] რასაკვირველია, აბსოლუტური სიზუსტით იმის დადგენა, თუ რა ოდენობის არმიას მეთაურობდა საქართველოს სამეფოს წინააღმდეგ საომრად წამოსული ილ-ღაზი, შეუძლებელია, მაგრამ იმის გათვლა, თუ რა დაახლოებითი სიდიდის ძალებისთვის შეიძლებოდა მოეყარა მას თავი, სავსებით შესაძლებელი.



სურ. 18. დონდალოს ხიდი. XI-XII სს.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ილ-ღაზი მაპ-



სურ. 19. არტანუჯის ხიდი. XI-XII სს. გრ. უვაროვას ჩანახატი

მადიანურ სამყაროში განთქმული ემირი და აღიარებული მხედართმთავარი გახდა მას შემდეგ, რაც 1119 წლის 28 ივნისს, ალეპოს სიახლოვეს "სისხლიანი ველის" სახელით ცნობილ ბრძოლაში, გაანადგურა ანტიოქიის სამთავროს 3 ათას 700-იანი არმია, რომელსაც ანტიოქიის რეგენტი, როჯერი მეთაურობდა. ამ გამარჯვების გამო, ილ-ღაზიმ ბაღდადის ხალიფასგან ჯილდოდ მიიღო ძვირფასი ხალათი (რაც, როგორც აღვნიშნეთ, დიდ პატივს წარმოადგენდა) და მასთან ერთად "რელიგიის (ალაჰის) დამცველის" საპატიო ტიტული.[33] ამ ბრძოლისას, ილ-ღაზი სათავეში ედგა მარდინ-ალეპოს, დამასკოს, ბითლისის საამიროებისა და მოქირავნე თურქმენი მეომრებით დაკომპლექტებულ კოალიციურ არმიას.

თავისთავად, აღნიშნულ გამარჯვებას პატარა ქრისტიანული სამთავროს მცირერიცხოვან არმიაზე ომებითა და ბრძოლებით დატვირთულ ეპოქაში ასეთი რეზონანსი, თითქოს, არ უნდა გამოეწვია, მაგრამ საქმე ისაა, რომ "სისხლიან ველზე" მოპოვებული გამარჯვება ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების 23-ე წლისთავზე იყო სელჯუკთა პირველი სრული სამხედრო წარმატება ჯვაროსნების წინააღმდეგ ომში (როჯერი იყო ჯვაროსნული სახელმწიფოს პირველი ლიდერი,

რომელიც ბრძოლაში დაიღუპა). ანუ ის ფაქტი, რომ მათ მხოლოდ ჯვაროსნული ომების დაწყების 23-ე წელს მოახერხეს პირველი მასშტაბური სამხედრო გამარჯვების მოპოვება (რასაკვირველია, მათ ბრძოლები მანამდეც ჰქონდათ მოგებული, თუნდაც ანატოლიაში 1100-1102 წლებში, მაგრამ არა ასეთი სრული სახის), ელემენტარულად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ჯვაროსანთა, ერთი შეხედვით, ძალიან მცირერიცხოვანი არმიები, სელჯუკთათვის უაღრესად ანგარიშგასანევ და სერიოზულ ძალას წარმოადგენდა, რაც არაფრით იქნებოდა შესაძლებელი მათი მხრიდან დამთრგუნველი რაოდენობრივი უპირატესობის არსებობის შემთხვევაში.

ბუნებრივია, მუსლიმებს გააჩნდათ უპირატესობა როგორც ადამიანური რესურსების, ასევე მოქმედი არმიების სიდიდის თვალსაზრისით, რისი კომპენსირებაც ისლამური სამყაროს დაქსაქსულობითა და ჯვაროსანთა არმიების მაღალი ბრძოლისუნარიანობით ხდებოდა, მაგრამ ვერავითარ პირობებში, ვერანაირი ბრძოლისუნარიანობა ვერ მოახდენდა იმ ასმაგი და თუნდაც ოცმაგი რაოდენობრივი უპირატესობის კომპენსირებას, რასაც ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ დავიჯერებთ მათე ურჰაელისა და გოტიეს მსგავს მონაცემებს მუსლიმთა ნახევარმილიონიანი არმიების შესახებ. მსგავსი რამ არც ცალკეული ბრძოლების ანალიზისას და არც საერთო ისტორიული პროცესის მიმდინარეობისას არ შეიმჩნევა.

1119 წელს ანტიოქიის სამთავროს წინააღმდეგ ბრძოლის დროს, ილ-ღაზის სარდლობის ქვეშ 40 ათასამდე მეომარი იმყოფებოდა და ეს აშკარად იყო ყველაზე დიდი არმია, რომელსაც ილ-ღაზი ოდესმე მეთაურობდა. კოალიციური არმიის სიდიდედ 40 ათას მეომარს ქამალ ად-დინი მიუთითებს (თუმცა არსებობს მიხეილ სირიელის უფრო მცირე რიცხვიც, 7000)[34] და იქვე აღნიშნავს, რომ ეს არმია იყო უზარმაზარი. რასაკვირველია, თუ ალ-კალანისისთვის უკვე 20 ათასიანი არმია ითვლებოდა უზარმაზარად, ქამალ ად-დინისთვის 40 ათასი უფრო გრანდიოზული მაჩვენებელი უნდა გამხდარიყო.

40 ათასიანი არმიის განსაზღვრა, ქამალ ად-დინის მიერ, როგორც უზარმაზარისა (ისევე როგორც ალ-კალანისის 20 ათასი), იმის მაჩვენებელია, რომ ამ სიდიდის არმიები საემიროთა მსხვილი კოალიციისთვისაც კი გამონაკლისს წარმოადგენდა.

ამ არმიის შეგროვება სამი საემიროს (მარდინ-ალეპოს, დამასკოს, ბითლისის) ძალებითა და თურქმენ მომთაბარეთა დაქირავებით გახდა შესაძლებელი, მაგრამ ეს რომ არ იყო ჩვეულებრივი სიდიდის არმია, ამაზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ როჯერზე გამარჯვების მოპოვების შემდეგ, ის უმალ დაიშალა. ილ-ღაზიმ ვერ შესძლო ქირის გადახდა მომთაბარე მეომართა აშკარად დიდი (არასტანდარტული) რაოდენობისთვის, რის შემდეგაც მათ მიატოვეს ილ-ღაზი და შინ დაბრუნდნენ.[35]

ილ-ღაზის 1119 წლის კოალიცია არასტანდარტული სიდიდის არმიას რომ წარმოადგენდა, ეს მოგვიანო მოვლენებიდანაც კარგად უნდა ჩანდეს.

ილ-ღაზის სიკვდილიდან სამი წლის შემდეგ, 1125 წელს, ჯვაროსანთა წინააღმდეგ შეიქმნა ახალი კოალიცია მოსულისა და ალეპოს ათაბაგის, ილ-ბურსუკის მეთაურობით. ამ კოალიციის არმიის სიდიდე, რომლის შემადგენლობაშიც, ილ-ღაზის დროინდელი კოალიციის მსგავსად, მოსულისა და ალეპოს გარდა, დამასკოს, ჰომსის და შეიზარის საემიროებიც შედიოდნენ, მათე ურჰაელის მიხედვით, ასევე 40 ათასი ყოფილა,[36] რაც ნაკლებად დამაჯერებელია, რადგან მისი მოწინააღმდეგის, იერუსალიმის მეფე ბალდუინ II-ის არმიის სიდიდე, რითაც მან ეს კოალიცია დაამარცხა აზაზის ბრძოლაში, იყო 1100 რაინდი და 2000 ქვეითი მეომარი, ანუ

კიდევ უფრო ნაკლები იმ არმიაზე, რომლითაც ექვსი წლით ადრე, ანტიოქიის მთავარი როჯერი დაუპირისპირდა ილ-ღაზის კოალიციურ ლაშქარს.[37]

ბუნებრივია, რომ ასეთი ძალის მოწინააღმდეგის არსებობის პირობებში ილ-ბურსუკის კოალიციას, რომ ჰყოლოდა ილ-ღაზის სიდიდის არმია 40 ათასი მეომრის ოდენობით, მას უბრალოდ უნდა გადაეთელა ჯვაროსანთა 3 ათას კაციანი რაზმი ისე, როგორც ეს ილ-ღაზიმ გააკეთა იგივე სიდიდის არმიით 1119 წელს, მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. აზაზის ბრძოლაში თავად ილ-ბურსუკი აღმოჩნდა დამარცხებული ჯვაროსანთა 3 ათას კაციანი რაზმისგან, რაც მეომართა ისეთი შეფარდების პირობებში, როგორიც ილ-ღაზის გააჩნდა როჯერ ანტიოქიელთან, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა. ე.ი. გამოდის, რომ ილ-ბურსუკის კოალიციას, მიუხედავად იმისა, რომ მასში მეტი საემირო იყო გაერთიანებული, ვიდრე ილ-ღაზის კოალიციაში, უფრო მცირე არმია ჰყავდა, ვიდრე ილ-ღაზის, რაც თავის მხრივ იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ 40 ათასი მეომრის ერთ საველე არმიაში გაერთიანება, მუსლიმებისთვის ერთეულ შემთხვევებს წარმოადგენდა, სხვაგვარად ჯვაროსანთა მცირერიცხოვანი ძალები დიდი ხნის განადგურებულნი იქნებოდნენ, ისე როგორც განადგურებული აღმოჩნდა ანტიოქიის არმია.

განხილულიდან შესანიშნავად მოჩანს, რომ 1119 წელს ილ-ღაზიმ დროის მცირე მონაკვეთისთვის შეძლო ისეთი არასტანდარტული სიდიდის არმიის ფორმირება, რომელიც მისი რესურსებისა და შესაძლებლობების მასშტაბებს აშკარად აღემატებოდა, რის გამოც მისი არმია ძალიან სწრაფად დაიშალა. შეიძლება ითქვას, რომ ილ-ღაზის მხრიდან ეს იყო ავანტიურისტული და, ამავ დროს, ძალიან სარისკო ქმედება, რადგან მომთაბარე მეომართა ის რაოდენობა, რომლებიც ილ-ღაზიმ აშკარად მოტყუებით დაიქირავა, ადვილად შეიძლებოდა შემობრუნებულიყო მის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, მსგავსი ავანტიურა ილ-ღაზიმ 1120 წელსაც გაიმეორა, რაც უკვე საკმაოდ ცუდი შედეგით დამთავრდა მისთვის: მომთაბარე მეომრებმა მიატოვეს მისი არმიის რიგები და თავად ილ-ღაზის სამფლობელოები დაარბიეს.[38]

ქამალ ად-დინი საკმაოდ ფართოდ ეხება ილ-ღაზის საქართველოში ლაშქრობის საკითხსაც და აღნიშნავს, რომ ილ-ღაზი ქართველების წინააღმდეგ დუბაის იბნ სადაკასთან ერთად მრავალრიცხოვანი მეომრის თანხლებით გაემგზავრა. ამ შემთხვევაში, ქრონიკის ავტორი ილ-ღაზის არმიის რაოდენობის აღსანიშნავად არ იყენებს სიტყვა "უზარმაზარს", რაც მისთვის 40 ათასი და მეტია. არმიის რაოდენობას იგი საზღვრავს როგორც "მრავალრიცხოვანს," კონკრეტული ციფრის დასახელების გარეშე, რაც "უზარმაზარზე," ე.ი. 40 ათასზე ნაკლები უნდა იყოს.[39]

იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ილ-ღაზის 40 ათასიანი არმია იყო კოალიციური და შეკრებილი არამხოლოდ მარდინის საემიროში, ეს ნამდვილად ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენთვის უცნობია კოალიციური არმიის პროპორციული შემადგენლობა, მაგრამ კოალიციის წევრების რაოდენობისა და მათი სავარაუდო პოტენციალის გათვალისწინებით (განსაკუთრებით, დამასკოს საემიროსი, რომელიც ერთ-ერთ უმსხვილეს ერთეულს წარმოადგენდა არა მარტო სირიაში, არამედ საერთო სელჯუკურ სივრცეში), საკუთრივ ილ-ღაზის ძალები 10-15 ათასზე მეტი არ იქნებოდა.[40] ბუნებრივია ისიც, რომ ილ-ღაზი საქართველოში მთელ თავის სამხედრო ძალას ვერ წაიყვანდა, ვერც ეკონომიკური ფაქტორების და ვერც იმ არსებული პოტენციური საფრთხის გამო, რაც მის საემიროს მუდმივად ემუქრე-

ბოდა, როგორც ჯვაროსანთა, ასევე სხვა სელჯუკური ერთეულების (იგივე, მოსულის საათაბაგოსა და რუმის სასულთნოს) მხრიდან, რის გამოც იგი თავის სამფლობელოებს დაუცველს ვერ დატოვებდა.

ძალიან საინტერესო ცნობა აქვს დაცული აგრეთვე გოტიეს ილ-ღაზისა და მისი მოკავშირე დამასკოს ათაბაგის გაერთიანებული არმიის შესახებ, რომელიც 1115 წელს 10 ათასი მეომარი ყოფილა, რაც რეალობასთან საკმაოდ ახლოს მდგომი ციფრი უნდა იყოს.[41]

სირიაში ილ-ღაზის არმიის დაკომპლექტების ოთხი წყარო გააჩნდა. პირადი გვარდია (გულიამები), ალბათ სადღაც 1000-2000 მეომრის ფარგლებში,[42] რომელიც მას აუცილებლად საქართველოშიც თან ახლდებოდა; საემიროს „იქტებიდან" ფეოდალური ვალდებულებით გასაწვევი მეომრები, რომელთა დიდი რაოდენობით მობილიზებასაც ილ-ღაზი, აშკარად, ვერ შეძლებდა, რადგან მარდინის საემიროს „იქტების" მფლობელებს არც საფრთხე ემუქრებოდათ საქართველოდან და არც რაიმე ტერიტორიული ინტერესი შეიძლებოდა ჰქონოდათ მის მიმართ და რელიგიური აქტივისტები („Mutawwiun"-ები), რომელთა გარკვეული რაოდენობაც აუცილებლად გამოეხმაურებოდა წმინდა ომის მოწოდებას, მაგრამ მათი რიცხვიც არ უნდა ყოფილიყო ძალიან დიდი, რადგან იმ დროისთვის ჩრდილო სირიის (და ბუნებრივია, მარდინის საემიროს) მოსახლეობის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი ქრისტიანული (სომხურ-სირიული) რჩებოდა.[43] ასე რომ, ილ-ღაზისთვის არმიის შეკრების ძირითად წყაროდ მოქირავნეები (მსუბუქი ცხენოსანი მოისრეები) უნდა დარჩენილიყვნენ. მაგრამ როგორც უკვე ვნახეთ, ილ-ღაზიმ მოქირავნეთა მსხვილი კონტიგენტების შენარჩუნება 1119 წელს ორი-სამი თვითაც კი ვერ შეძლო, ორი-სამი თვე კი მარტო საქართველომდე მისვლას სჭირდებოდა, ამასთან, 1120 წელი აშკარა კონფლიქტით დაამთავრა მათთან, რის გამოც უსაზღვრო შესაძლებლობები ილ-ღაზის, რომლის ფინანსური პრობლემებიც ფართოდ იყო ცნობილი, არც მოქირავნეთა მიმართ ექნებოდა.

მეომართა დიდი რაოდენობით შეგროვება ილ-ღაზის ლაშქრობის მიზნის სიშორის გამოც გაუჭირდებოდა. როგორც რეგიონის მკვიდრი მოსახლეობისთვის, ასევე მომთაბარეებისთვისაც, საკმაოდ რთული იქნებოდა მინიმუმ 7-8 თვიან შორეულ ლაშქრობაში წასვლა და სამკვიდრო ადგილებიდან ამდენი ხნით მოწყვეტა.[44] მუსლიმი ხელისუფლების ერთ-ერთ ყველაზე დიდ სამხედრო სისუსტეს სწორედ ის გარემოება წარმოადგენდა, რომ მათ საველე პირობებში დიდი ხნით არმიის გაჩერება არ შეეძლოთ, რითაც შესანიშნავად სარგებლობდნენ ჯვაროსნები და ამ ფაქტორზე მთელი სამხედრო სტრატეგია ჰქონდათ აგებული.[45]

ილ-ღაზისთვის თავისი სამფლობელოების გარეთ მეომართა შეგროვების მნიშვნელოვანი წყარო საქართველომდე მისასვლელ გზაზე არსებული საემიროებიც უნდა ყოფილიყო, სადაც ის აუცილებლად შეეცდებოდა როგორც აქ განსახლებულ მომთაბარეთა დაქირავებას, ასევე რელიგიური აქტივისტების შეერთებას თავის არმიასთან.

თუ ჩვენ გამოვალთ მსხვილი სელჯუკური საემიროს სამხედრო შესაძლებლობათა საშუალო მაჩვენებლებიდან და მას დავუმატებთ ილ-ღაზისთან მყოფი დუბაისის ფინანსურ შესაძლებლობებს, არცთუ დიდი შეცდომის ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მარდინიდან დაძრული ილ-ღაზისა და დუბაისის გაერთიანებული ძალები, სადღაც 10-15 ათას მეომარს მიაღწევდა.[46]

ამ ციფრის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს ისიც, რომ ამ რაოდენობის

ლაშქარი დიდ დისტანციაზე მარშირებისთვის მოსახერხებელია. საქართველომდე გასავლელი მანძილისა (არაპირდაპირი გზით დაახ. 1000-1200 კმ.) და მარშისთვის საჭირო დროის (დღეში საშუალოდ 30-40 კმ)[47] გათვალიწინებით, მუსლიმთა არმიას საქართველოს საზღვრებამდე, მინიმუმ, 2 თვე დასჭირდებოდა, რაც ამ სიდიდის არმიის პირობებში ფურაჟირების პრობლემას ილ-ღაზის ნაკლებად შეუქმნიდა (ამ რაოდენობის არმიას შეეძლო აუცილებელი მარაგის გარკვეული რაოდენობის როგორც თან წაღება, ასევე გზაში შეძენაც),[48] რაც გიგანტური ("მათე ურჰაელი-სეული") არმიის პირობებში, შეუსრულებად ამოცანად იქცეოდა და ლაშქრობას ასეულ ათასიანი კოლონების არსებობის პირობებში ასეთ დისტანციაზე, ფაქტიურად, შეუძლებელს გახდიდა.[49]

საგრძნობი რაოდენობის არმიის მოგროვება უნდა შესძლებოდათ კოალიციის დანარჩენ მონაწილეებს, თოღრულსა და თუღან არსლანსაც, რომელთა მფლობელობაშიც საკმაოდ დიდი ტერიტორიები იყო მოქცეული. მაგრამ 10-15 ათას მეომარს არც მათი შესაძლებლობები გადააჭარბებდა, რეალობაში კი ალბათ უფრო ნაკლები, 10 ათასამდე იქნებოდა.[50] საქართველოს მიმდებარე საემიროებს რომ ჰყოლოდათ დიდი არმიები, მათ არც ილ-ღაზის დახმარება და არც ჯიჰადის ორგანიზება დასჭირდებოდათ დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ.

ასე, რომ თუ ვივარაუდებთ, რომ კოალიციას გზადაგზა შეიძლებოდა მოქირავნეთა და რელიგიურ მოხალისეთა რაზმებიც შეერთებოდნენ, მაშინ კოალიციური არმიის შეჯამებულ, სავარაუდო სიდიდედ (განძის საემიროს ჩათვლით), 30-40 ათასი მეომარი შეგვიძლია მივიღოთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული 300 ათასის ნაცვლად.[51]

მეომართა ასეთი რაოდენობა, იმ დროისთვის, გიგანტურ არმიას წარმოადგენდა, რომლის შეკრებაც მხოლოდ განსაკუთრებული ამოცანების არსებობის პირობებში თუ იყო შესაძლებელი, რაც გარკვევით უნდა აჩვენებდეს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა ისლამური სამყარო საქართველოს საკითხს და რა საფრთხეს უქმნიდა დავით აღმაშენებელი ამიერკავკასიაში სელჯუკთა ბატონობას.

სელჯუკური არმიის ორგანიზაცია და საბრძოლო ტაქტიკა

მოწინააღმდეგის შეფასებისას,
იგებენ მისი გეგმის ძლიერ და სუსტ
მხარეებს.

სუნ-ძი.

თუ რას წარმოადგენდა სელჯუკური არმია, კარგად გამოჩნდა მაშინ, როდესაც მათ გრიგალივით გადაუარეს შუა აზიას, ირანს, ახლო აღმოსავლეთსა და მცირე აზიას და გაანადგურეს აქ არსებული, მათზე ბევრად განვითარებული სახელმწიფოები.

სელჯუკთა სამხედრო ორგანიზაცია და საბრძოლო ტაქტიკა თავდაპირველად მთლიანად მომთაბარულს წარმოადგენდა, რაც ეყრდნობოდა მსუბუქი ცხენოსნების მობილურობასა და დისტანციური ბრძოლის უნარს. მაგრამ შუა აზიის განვითარებულ სახელმწიფოებთან სამხედრო კონტაქტში შესვლის შემდეგ სელჯუკებმა საკმაოდ სწრაფად აითვისეს სამხედრო ხელოვნების ის ელემენტები, რის გარეშეც დაპყრობითი ომების წარმოება და დაკავებული ტერიტორიების შენარჩუნება შეუძლებელი

იქნებოდა. რის შედეგად, XI საუკუნის დასაწყისიდან სელ-ჯუკთა არმიებში გამოჩნდნენ მძიმე ცხენოსნები, საინჟინრო ნაწილები, საალყო მანქანები, ქვეითთა კონტიგენტები და ა. შ. ამ სიახლეების პარალელურად, შენარჩუნებულ იქნა მომთაბარული ელემენტიც, რაც სელჯუკურ არმიას ერთიან კომპლექსში უაღრესად მაღალ მობილურობასა და ბრძოლისუნარიანობას ანიჭებდა.[1]



სურ. 20. თურქული მსუბუქი საბრძოლო შეიარაღება. ნ. ბუდაევის რეკონსტრუქცია

სელჯუკური არმიის ძირითად საჯარისო სახეობას ცხენოსანთა კონტიგენტები წარმოადგენდა, რომელიც ორ ნაწილად, მსუბუქ (მოისრეებად) და მძიმე (გულიამების) ცხენოსან რაზმებად, იყოფოდნენ.

მსუბუქი ცხენოსანი მოისრის (ტაბ. I-4) შეიარაღება, მშვილდ-ისარი და მახვილი იყო (ამ უკანასკნელს მეორეხარისხოვანი დანიშნულება ჰქონდა, რადგან მსუბუქ ცხენოსანთა ფუნქციებში ხელჩართული ბრძოლის წარმოება არ შედიოდა). ასევე მსუბუქი იყო ჩაცმულობაც. ისინი ატარებდნენ სელის ან ბამბის ქსოვილისგან შეკერილ ტანსაცმელს, რომელზედაც გულმკერდის დასაცავად იცმევდნენ დაპრესილი ბამბის, სელის, ან ტყავის უსახელო ქურთუკებს, შედარებით ნაკლები იყო ჯაჭვის პერანგის ან ლითონის ჯავშნის გამოყენება. ამგვარი ჩაცმულობა და შეიარაღება, მსუბუქ ცხენოსანს აძლევდა უაღრესად მაღალი მანევრირების უნარს, რასაც სელჯუკები დიდი ეფექტურობით იყენებდნენ.

მსუბუქ ცხენოსანთა რაზმები ძირითადათ მომთაბარე თურქმენი მეომრებისგან დგებოდა. სწორედ ამ კატეგორიის მეომრები წარმოადგენდნენ საქართველოს მოწინააღმდეგე მომთაბარე ტომთა ძირითად სამხედრო ძალას (სურ. 2, ტაბ. I-4.).

მძიმე ცხენოსნები (ტაბ. I-1, 3), ანუ გულიამები,[2] შეიარაღებულნი იყვნენ გრძელი შუბებით, ფარებით, მახვილებითა და ლახტებით (ტაბ. I-2). მათი თავდაცვითი საჭურველი შედგებოდა რკინის მუზარადისა და ჯაჭვის ნვრილი რგოლებიდან აწყობილი ნაჭრის კომბინაციისგან, რომელიც იცავდა თავს, კისრისა და სახის ქვედა ნაწილის ჩათვლით. გულიამები ატარებდნენ ლითონის (უპირატესად, რკინის) პატარა ბრტყელი ფირფიტებისგან შედგენილ მოკლე მკლავებიან, ჯავშანს, რომელიც ფარავდა ტანის ზედა ნაწილს.

ამგვარად შეიარაღებულ და დაცულ გულიამებს ძალუძდათ ხელჩართული ბრძოლის წარმოება, მოწინააღმდეგის მჭიდრო რიგებზე იერიშის მიტანა, დევნის განხორციელება და რიგი სხვა ფუნქციების შესრულება. მიუხედავად საკმაოდ *მძიმე* აღჭურვილობისა (რომელიც დასავლეთ ევროპულთან შედარებით მაინც *მსუბუქი* იყო), გულიამები ინარჩუნებდნენ მაღალ მობილურობასა და მანევრი-

რების უნარს, რითაც ისინი სელჯუკური არმიის ძირითად დამრტყმელ ძალას წარმოადგენდნენ.

გულიამების რიგები კომპლექტდებოდა ნაყიდი მონებისგან, ან ტყვედ ჩავარდნილი ახალგაზრდა მეომრებისგან (რომელთა რიგებშიც ძალიან ბევრი იყვნენ ყიჟჩაღები). მათგან დგებოდა სელჯუკი სულთნებისა და ემირების პირადი გვარდიები („ასკარები"), რითაც გულიამები სელჯუკური არმიის ორგანიზაციულ ბირთვსაც ქმნიდნენ. ისინი გამოირჩეოდნენ მაღალი დისციპლინითა და ბრძოლისუნარიანობით, რითაც ძალზე სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ ნებისმიერი მოწინააღმდეგისთვის.

სელჯუკთა არმიებში ქვეითთა ნაწილებს დამხმარე ფუნქციები გააჩნდათ. ისინი ძირითადად, გამოიყენებოდნენ ციხე-სიმაგრეთა ალყისას, ბანაკის გამართვისა და დაცვის დროს და სხვა სახის (ძირითადად, დამხმარე) ფუნქციების შესასრულებლად. XI საუკუნის შუახანებიდან ქვეითებში გამოიკვეთა „ნაფატინების" („ცეცხლის მსროლელები") ელიტარული ქვედანაყოფები, რომელთა ფუნქციაც მოწინააღმდეგის „დაბომბვა" იყო ნავთობის ნაერთებიდან გაკეთებული ცეცხლგამჩენი ნივთიერებებით.[3] მათ გარდა, ქვეითთა რიგებში იყვნენ მშვილდოსნები, შუბოსნები და სხვა ნაწილები.

ქვეითთა დანაყოფები კომპლექტდებოდნენ როგორც ფეოდალურ გაწვევას დაქვემდებარებული მოსახლეობიდან, ასევე მოქირავნეებისგან, თუმც სელჯუკურ არმიებში ქვეითებს (ტაბ. I-1) მაინც შეზღუდული ფუნქციები გააჩნდათ და არმიის ელიტად ცხენოსანი რაზმები რჩებოდნენ.

არმია დაყოფილი იყო სხადასხვა ორგანიზაციულ და ტაქტიკურ ერთეულებად. ქვეითებში უმცირეს ერთეულს 70 მეომრის შემადგენლობით, წარმოადგენდა „ჯარიდა", სამი „ჯარიდა" ქმნიდა „ჯამაას." ცხენოსანთა უმცირესი ქვედანაყოფი კი, „სარია", 20 მეომარს აერთიანებდა. ყოველ ტაქტიკურ დანაყოფს ჰქონდა საკუთარი სიმბოლოები (დროშა, ბაირაღი და ა.შ.) და ჰყავდა მესიგნალეები (მესაყვირეები, მედოლეები და სხვა).[4]

სელჯუკურ არმიას გააჩნდა ოფიცერთა რანგირების საკმაოდ სრულყოფილი სისტემა, სადაც მცირე ორგანიზაციულ ერთეულებს დაბალი რანგის ოფიცრები, „ჩაუშები" და „ვისაკ-ბაშები" მეთაურობდნენ. საშუალო სიდიდის ტაქტიკურ ერთეულებს საშუალო რანგის ოფიცრები, „ემირ კაბირი", „ემირ ჰაჯიბი," „ემირ ჯანდარი" და ჰეილ-ბაშები ედგნენ სათავეში. არმიის მაღალი რანგის ოფიცრებს კი, „ისფახ-სალარი," „სიპახ-სალარი," ხოლო უმაღლეს მხედართმთავრულ ჩინს, „ალ-ემირ ალ-ისფახსალარი" წარმოადგენდა. მომარაგების სფეროს ხელმძღვანელობდა „ხაზინდარი", პოლიციურ საქმეებს „შიჰნა" და ა.შ., რაც უზრუნველყოფდა არმიის ეფექტურ მართვას როგორც ბრძოლის, ასევე მარშირების დროს.

სელჯუკებს შექმნილი ჰქონდათ საბრძოლო მომზადებისა და დაწინაურების საკმაოდ ეფექტური სისტემა გულიამებისთვის (მონა-მეომრებისთვის). მათ, უმდაბლესი სამხედრო ჩინის „ვისაკ-ბაშის" მიღებამდე უნდა ემსახურათ რამდენიმე წელი და სრულყოფილებამდე აეთვისებინათ საბრძოლო ხელოვნება. შემდგომი წინსვლაც დროის გარკვეული შუალედების გასვლის შემდგომ ხდებოდა შესაძლებელი. ემირის რანგამდე მიღწევა მათ ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკამდე არ შეეძლოთ. ე. ი. ამ დონემდე მათ უნდა გაევლოთ სამხედრო სამსახურის ყველა საფეხური და მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ მაღალ სამხედრო ტიტულებამდე მიღწევა. ბუნებრივია, ასეთი სისტემა უზრუნველყოფდა პროფესიონალიზმის შესაბამის ხარისხს გულიამებში, რომლებიც სელჯუკური არმი-

ის სიამაყეს წარმოადგენდნენ.[5]

სურ. 21. ი. ძისი. სელჯუკი მსუბუქი ცხენოსნები ბრძოლის დროს

სელჯუკთა საბრძოლო ტაქტიკა ცხენოსანი რაზმების მაღალი მანევრირებისა და ბრძოლის უნარზე იყო აწყობილი. ბრძოლის ველზე სელჯუკთა არმია სამ ნაწილად, ცენტრად და მარჯვენა-მარცხენა ფრთებად ეწყობოდა. წყობის წინ პოზიციებს იკავებდნენ მსუბუქ ცხენოსანთა რაზმები, რომლებიც უახლოვდებოდნენ მოწინააღმდეგის რიგებს და 100-150 მეტრის დისტანციიდან იწყებდნენ მათ მასირებულ დაცხრილვას ისრებით. ამასთან, ცხენოსანი რაზმები ისეთი თანმიმდევრობით ეწყობოდნენ ერთმანეთის უკან, რომ როდესაც ერთი რაზმი დაამთავრებდა ისრების გაშვებას მტრისკენ, მას დაუყოვნებლივ მეორე ცვლიდა და ა.შ. რის შედეგადაც წარმოიქმნებოდა ისრების შეუწყვეტელი ტალღა, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა მოწინააღმდეგეს, განსაკუთრებით კი მათ ცხენებს (სურ. 22).

თუ მოწინააღმდეგე შეეცდებოდა სელჯუკთა მსუბუქ ცხენოსნებთან მიახლოებას და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმას, სელჯუკები უკან დახევას იწყებდნენ და თან ისრებით მდევარი მტრის დაცხრილვას აგრძელებდა (ცხენიდან სროლა, როგორც სახით წინ ასევე ზურგს უკან, სელჯუკ ცხენოსნებს, მომთაბარეთა უმრავლესობის მსგავსად, სრულყოფილებამდე ჰქონდათ ათვისებული (სურ. 21.)). ასეთი დევნა, როგორც წესი, იწვევდა მოწინააღმდეგის მწყობრის დაშლას და ამ მომენტისთვის მტრის დაშლილ რიგებზე შეტევას უკვე გულიამები იწყებდნენ, რომლებიც შედიოდნენ ხელჩართულ ბრძოლაში რიგებდარღვეულ მტერთან და ცალ-ცალკე ნაწილებად ანადგურებდნენ მათ.

სურ. 22. ი. ძისი. ევროპელი რაინდი მოკლული ცხენით

თუ მოწინააღმდეგე არ დაიწყებდა მსუბუქი ცხენოსნების დევნას და მჭიდროდ შეკრული რიგებით შეეცდებოდა სელჯუკთა არმიის ძირითად ნაწილთან მიახლოვებას ხელჩართულ ბრძოლაში ჩართვის მიზნით, ასეთ შემთხვევაში, მსუბუქი ცხენოსნები ცდილობდნენ უკვე ფლანგებიდან და ზურგიდან შემოევლოთ მოძრაობაში მყოფი მტრის წყობისთვის

და ამ ნაკლებად დაცული მხრიდან მიეყენებინათ მათთვის რაც შეიძლება დიდი ზიანი. ასეთ შემთხვევებში ხშირად ისეც ხდებოდა, რომ გულიამებთან და სელჯუკ ქვეითებთან მიახლოვებულ საბრძოლო წყობას, უკვე მეომართა რაოდენობა აღარ ჰყოფნიდა ხელჩართული ბრძოლისთვის, რა დროსაც მათი განადგურება გარდაუვალი იყო.

სელჯუკთა განსაკუთრებით „საყვარელ" ტაქტიკურ მეთოდს წარმოადგენდა მოჩვენებითი (ცრუ) უკანდახევა, რასაც ხშირად მოსდევდა შეცდომაში შეყვანილი მოწინააღმდეგის დევნა, რომელიც ამ შემთხვევაშიც არღვევდა საბრძოლო წყობას. მოწინააღმდეგე იშლებოდა დიდ დისტანციაზე და როგორც წესი, ცალ-ცალკე ჯგუფებად ექცეოდა ალყაში. ასეთი ჯგუფების განადგურება კი, სელჯუკთა კავალერიისთვის იოლი საქმე იყო. მაგალითად, სელჯუკთა ამ ტაქტიკური შესაძლებლობების შესახებ, ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნენოსი საგანგებოდ აფრთხილებდა ჯვაროსნული ლაშქრობის სამხედრო ლიდერებს.[6]

ბრძოლის ველზე ცრუ უკანდახევის განხორციელება და ცხენოსანთა რაზმების მაღალი მობილურობის შენარჩუნება საჭიროებდა ხელსაყრელ გეოგრაფიულ პირობებს. ცხენოსნებს (განსაკუთრებით მოისრეებს) თავისი ეფექტურობის გამოსავლენად და რთული მანევრების შესასრულებლად ესაჭიროებოდათ თავისუფალი სივრცე, სადაც ისინი მოახერხებდნენ როგორც უკანდახევის იმიტირებას, ასევე უსაფრთხო მანძილიდან დისტანციური ბრძოლის წარმოებას, ასეთ სივრცეებს კი გაშლილი ველები და ხეობებისგან თავისუფალი რელიეფები წარმოადგენდნენ.

მთიან რეგიონებში სელჯუკთა საბრძოლო ტაქტიკის ეფექტურობა კლებულობდა, რის გამოც ისინი ცდილობდნენ ბრძოლები მათთვის ხელსაყრელ, გაშლილ ადგილებში ენარმოებინათ, რაც მათი მოწინააღმდეგეების წინაშე საპირისპირო ამოცანას აყენებდა. სელჯუკურ არმიასთან მეომარ ნებისმიერ სამხედრო ძალას უნდა გადაეწყვიტა უმთავრესი ტაქტიკური ამოცანა: შეეზღუდა სელჯუკთა მობილურობა, მათი მსუბუქი ცხენოსნებისთვის არ მიეცა დისტანციური ბრძოლისა და მანევრირების შესაძლებლობა და იძულებული გაეხადა სელჯუკთა არმია, რაც შეიძლება სწრაფად ჩაბმულიყო ხელჩართულ ბრძოლაში, ეს კი ყველაზე კარგად მთების პირობებში ხორციელდებოდა.[7]

დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ სელჯუკები (ისევე როგორც მოგვიანო პერიოდების მონღოლები) სამხედრო გამარჯვებებს აღწევდნენ დამთრგუნველი რაოდენობრივი უპირატესობის ხარჯზე. სინამდვილეში ეს წარმატებები მიიღწეოდა არა სიმრავლით, არამედ ტაქტიკური უპირატესობითა და მაღალი მობილურობით.[8] სელჯუკები, სადაც თავისი ტაქტიკის გამოყენებას ახერხებდნენ, იქ იმარჯვებდნენ კიდეც (მაგალითად, იგივე მანციკერტის ბრძოლაში, სადაც ბიზანტიის არმია რაოდენობრივად აშკარად აღემატებოდა სელჯუკებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამანადგურებელი დამარცხება განიცადა), ხოლო სადაც ტაქტიკური უპირატესობის რეალიზება ვერ ხერხდებოდა და ბრძოლა მოწინააღმდეგის ჩანაფიქრის მიხედვით ხორციელდებოდა (რისი მიზეზიც, ბუნებრივია, მოწინააღმდეგის ქმედება უნდა ყოფილიყო), მარცხდებოდნენ.

სელჯუკურ არმიასთან ბრძოლაში ტაქტიკური უპირატესობის მიღება, მრავალი ფაქტორის ერთობლიობაზე იყო დამოკიდებული (ბრძოლის ადგილის შერჩევაზე, არმიის შემადგენლობაზე, ოპერატიული გადაწყვეტილების ხარისხსა და სისწრაფეზე, და ა.შ.), რასაც მოწინააღმდეგე არმიის სწორად მართვისა და ხელმძღ-

ვანელობის უნარი განაპირობებდა. ჯვაროსნებისა და სელჯუკების ხანგრძლივი დაპირისპირება აღნიშნულის უამრავ მაგალითს იძლევა, საიდანაც კარგად ჩანს, რომ რაოდენობრივი შეფარდების მიუხედავად, სელჯუკთა გამარჯვება თუ დამარცხება, თითქმის მთლიანად ამ გარემოებებზე იყო დამოკიდებული.[9]

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სელჯუკები იმარჯვებდნენ იქ, სადაც მათ ტაქტიკური უპირატესობების რეალიზების შესაძლებლობა ეძლეოდათ, ხოლო მარცხდებოდნენ, როდესაც ამ უპირატესობის გამოყენების საშუალებას არ აძლევდნენ მათი საერთო რაოდენობის მიუხედავად.[10]

სელჯუკთა გამოჩენისას, მათი საბრძოლო ტაქტიკა სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა ამიერკავკასიისა და წინა აზიის სახელმწიფოებისთვის, რომელთა არმიებიც სელჯუკთა შემოტევის საწყის პერიოდში ვერ უწევდნენ მათ ეფექტურ წინააღმდეგობას.

სელჯუკებმა ირანის დასავლეთით პირველი მარბიელი ლაშქრობა მოაწყეს 1016 წელს, როდესაც ისინი შემოიჭრნენ ვასპურაკანის სამეფოს ტერიტორიებზე. სელჯუკების მსუბუქი ცხენოსნების გამოჩენამ, შოკის ეფექტი მოახდინა ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომლის რიგებიდანაც შეკრებილმა მეომრებმა, უბრალოდ, არ იცოდნენ, თუ როგორ უნდა ებრძოლათ მათთვის ამ სრულიად უცხო საბრძოლო ტაქტიკის წინააღმდეგ.[11]

სელჯუკთა ბრძოლის წარმოების მეთოდების უპირატესობა ბიზანტიურ—ამიერკავკასიულ არმიებთან შედარებით, მათი გამოჩენის საწყის ეტაპზე იმდენად დიდი იყო, რომ X ს. 30-იან წლებში, ერთ-ერთი მარბიელი ლაშქრობიდან დაბრუნებულმა სელჯუკმა სარდალმა ჩაღრი-ბეგმა თავის ძმას, მომავალ დიდ სულთან თოღრულს მოახსენა, რომ იმ ქვეყნებში (იგულისხმება სამხრეთ ამიერკავკასია და აღმოსავლეთ ანატოლია), სადაც ის იყო, სელჯუკებს წინააღმდეგობას ვერავინ გაუწევსო.[12]

ჩაღრი-ბეგის სიტყვები არ იყო გადაჭარბება, ან საკუთარ შესაძლებლობათა გაზვიადება: თითქმის ყველა ბრძოლაში, რომლებიც სელჯუკებმა X ს. 20-70-იან წლებში ჩაატარეს ბიზანტიური, ქართული თუ სომხური არმიების წინააღმდეგ, მათი გამარჯვებით დასრულდა.[13]

ასეთი იყო ის არმია, რომელსაც დავით აღმაშენებელი დაუპირისპირდა. სელჯუკებთან ომში საქართველოს ბედი მთლიანად დამოკიდებული იყო ქართული არმიის ბრძოლისუნარიანობასა და მისი სწორი მართვისა და ხელმძღვანე-ლობისა და მხედართმთავრობის უნარზე. ამ პირობებში საქართველო მეფის წინაშე იდგა სამხედრო ხასიათის ორი უმთავრესი ამოცანა: მას უნდა მოეხდინა სელჯუკთა ტაქტიკური უპირატესობების ნეიტრალიზება არმიის ბრძოლისუნარიანობის გაზრდის გზით და უზრუნველყო რეორგანიზებული არმიის სწორი მეთაურობა, როგორც უმაღლეს მხედართმთავრულ, ასევე დაბალ სამეთაურო დონეებზეც. დავით აღმაშენებელმა ორივე ეს ურთულესი ამოცანა უნაკლოდ გადაწყვიტა, რამაც განაპირობა კიდეც საბოლოო წარმატება სელჯუკთა წინააღმდეგ ომში.

სელჯუკი მეომრები

1. ქვეითი მეომარი და მძიმედ შეიარაღებული გულიამი

2. სელჯუკთა საბრძოლო იარაღი

3. მძიმედ შეიარაღებული გულიამი

4. მსუბუქი ცხენოსანი მოისრე (მომთაბარე თურქმენი)

ჯვაროსნები.

1. რაინდი-ჰოსპიტალიერი.

2. რაინდი-ტამპლიერი.

3-5. ნორმანდიელი რაინდები.

დავით აღმაშენებლის ეპოქის ქართული საბრძოლო იარაღი

4. რკინის, ე.წ. ჯალალ ად-დინის მუზარადი მრავალ-ძალის მონასტრიდან.

3. ზოომორფული ლახტის თავი

5. სხვადასხვა ტიპის საბრძოლო ისრისპირები.

1-2. ორპირა მახვილები

6. გიგანტური არბალეტის ისრისპირი ?

7. შუბისა და ხელშუბის პირები

ყველა ნივთი გამოფენილია ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის შუასაუკუნეების ექსპოზიციაზე.

სვანეთში დაცულ დროშის ბუნიკზე გამოსახული წმინდა მეომრები

თავი VI

საქართველოს სამეფოს არმია დიდგორის ბრძოლის წინ
ყივჩაღ მეომართა რაოდენობა

როდესაც რაინდებმა დაინახეს ტყავებში ჩაცმული ყივჩაღები, არ შეშინებიათ მათი, თითქოს ისინი მხოლოდ და მხოლოდ ბიჭუნების ჯგუფი ყოფილიყვნენ. ყივჩაღები კი თავს დაესხნენ ფრანგებს და ბოლომდე გაანადგურეს ისინი. ამ პრძოლაში იმპერატორი დაიკარგა და ვეღარავინ გაიგო რა ბედი ენია მას. გაიქცა ვენეციის დოჟიც.

რობერ დე კლარი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულებების მიხედვით, დიდგორის ბრძოლის დროს დავით აღმაშენებლის არმია 55-დან 60-მდე ათასი მეომრისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, საიდანაც არმიის ბირთვს, 40 ათას მეომარს, საკუთრივ სამეფოს ქართული მოსახლეობიდან შეკრებილი ლაშქარი („სამეფოს სპა") და მეფის გვარდიის („მონასპის") 5000-იანი კორპუსი წარმოადგენდა. ამას ემატებოდა 15 ათასი ცხენოსანი ყივჩაღი, ყივჩაღთა 40 ათასიანი მუდმივი ჯარიდან (დარჩენილი 25 ათასი რეზერვად განიხილება), 500 (ზოგი მოსაზრებით 5000) ალანი მოქირავნე და 200 (ზოგი მოსაზრებით 100) „ფრანკი" რაინდი.[1] .

გამოდის, რომ დავით აღმაშენებელს იარაღის ქვეშ, ერთდროულად, 80-85 ათასიანი საველე არმია ჰყოლია. თუ აღნიშნულ ციფრს დავუმატებთ იმ საგარნიზონო, საპატრულო და სხვა მსგავსი სახის სამხედრო რაზმების სავარაუდო რაოდენობას, რომლებიც საველე არმიის შემადგენლობაში არ იქნებოდნენ ჩართულნი, მაშინ არმიის საერთო რაოდენობა 100 000-ს მიუახლოვდება, რაც დაუჯერებელია და მხოლოდ ფანტასტიკის სფეროს შეიძლება განეკუთვნებოდეს.

ისტორიულ კვლევებზე დაკვირვებისას რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ქართულ ისტორიოგრაფიას აღნიშნული ციფრების (60-80 ათასის) მიღებასა და მათი რეალობის დასაბუთებას, „აიძულებდა" ორი ძირითადი ფაქტორი. პირველი, ჯერ კიდევ ივანე ჯავახიშვილის დროიდან ისტორიული ფაქტის კატეგორიაში მიღებული შეხედულება დიდგორის ბრძოლის მონაწილე მუსლიმური კოალიციის შემადგენლობაში ასეულ ათასობით მეომრის ყოფნის შესახებ (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადი ციფრი 300 ათასია),[2] რაც მეორე მხარის განკარგულებაშიც საკმარისი ოდენობის ძალების ყოფნას ითხოვდა, და მეორე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა, საქართველოში 40-45 ათასი ყივჩაღი მეომრების გადმოყვანის შესახებ, რომელიც აპრიორულ ჭეშმარიტებადაა მიჩნეული.[3]

თუ მივიჩნევთ, რომ ილ-ღაზის კოალიციაში ნამდვილად იყო 600, 500, ან თუნდაც 300 ან 100 ათასი მეომარი, სავსებით ბუნებრივად დგება საკითხი საპასუხო, ამასთან გამარჯვებული ძალის რაოდენობის შესახებ, რომელიც ასეთ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო 5 ან 10 ათასი. ამ რაოდენობას, მოწინააღმდეგეს „ხელიც რომ არ გაენძრია", ფიზიკური ძალა არ ეყოფოდა ამხელა მასასთან საომრად. შესაბამისად, მუსლიმთა ასეთი რაოდენობა თავისთავად აყენებდა საკითხს ქართული არმიის

„ზომიერად აუცილებელი სიდიდის, არც ძალიან ბევრის, არც ძალიან ცოტას," შესახებ, რისი დადგენაც, წერილობით წყაროებში წარმოდგენილი ციფრებით ხდებოდა, საიდანაც ყველაზე მტკიცე არგუმენტად საქართველოში ყივჩაღთა გადმოსახლების შესახებ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა გამოიყურებოდა.

ისტორიოგრაფია „ვერაფერს უხერხებდა" (თუმცა არც ცდილობდა) დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ მითითებულ კონკრეტულ ციფრებს საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაღთა რაოდენობის შესახებ. რასაკვირველია, თუ მივიჩნევთ, რომ დავით მეფემ საქართველოში ნამდვილად გადმოასახლა ყივჩაღთა დიდი მასა და მათგან შექმნა 40 ათასიანი რეგულარული არმია, სავსებით ბუნებრივი იქნება ვიფიქროთ, რომ ადგილობრივი რესურსების დამატებით საქართველოს მეფის სამხედრო ძალები ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო, რის გამოც ყივჩაღთა მითითებული რაოდენობა იქცა ამოსავალ წერტილად არმიის საერთო რაოდენობის გასათვლელად. მაგრამ ერთია ისტორიული ცნობა და სულ სხვაა ისტორიული რეალობა.

ყივჩაღთა საქართველოში გადმოსახლების შესახებ ცნობის სანდოობა, როგორც მომხდარი ფაქტისა, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ქართული წყაროების გარდა, ამას ადასტურებს იმდროინდელი ვითარებაც, როდესაც საქართველოს მოკავშირენი სელჯუკების წინააღმდეგ, ძირითადად, კავკასიის ქედის გადაღმა მობინადრე ტომები იყვნენ, და მთელი რიგი სხვა ისტორიული ქრონიკები.[4] მაგრამ სრულიად სხვა საკითხია ის ციფრები, რასაც იძლევა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი და რაზედაც აგებულია მტკიცებულებანი იმდროინდელი ქართული არმიის სიდიდისა და რაოდენობის შესახებ.

წყაროს ცნობით, დავით აღმაშენებელს ჩამოუყვანია 40 ათასი ყივჩაღი მეომარი (ზოგი ინტერპრეტაციით, 45 ათასი),[5] მათი ოჯახის წევრების გათვალისწინებით კი, სულ 200-225 ათასი ადამიანი. აღნიშნული ციფრები, ჩვენის აზრით, ისევე დაუჯერებელი და არა რეალურია, როგორც ილ-ღაზის არმიის რაოდენობის განსაზღვრა 300 ათასი მეომრით.

იმისთვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რას ნიშნავს 200 ათასი მომთაბარე ყივჩაღის ერთ ორგანიზაციად ცხოვრება და ორგანიზებულად გადაადგილება სხვა ტერიტორიებზე, უნდა მოკლედ განვიხილოთ თუ რას წარმოადგენდა მომთაბარეთა ეს რაოდენობა, მათი ცხოვრების წესისა და ბუნებრივი რეალობების პირობებში.

მომთაბარეობა შეუძლებელია ცხენებისა და სხვა სახის საქონლის გარეშე. მომთაბარეთა 200 ათასიანი ტომს (ან ტომთა გაერთიანებას), 40-45 ათასი სრულასაკოვანი მამაკაცის (ე. ი. ცხენოსანი მეომრის) არსებობის პირობებში, უნდა ჰყოლოდა არანაკლებ 120 ათასიანი ცხენის რემა (თითოეულ მეომარზე მინიმუმ 3 ცხენის, საბრძოლო, სამარშო და სასაპალნეს გათვალისწინებით (სურ. 23-24)), თითოეულ ოჯახს უნდა ჰქონოდა არანაკლებ ერთი საზიდარი, ე.ი. მთლიანობაში

სურ. 23. მომთაბარე მეომრები სამარქაფო ცხენებით. XII ს. გამოსახულება

40-45 ათასი. თავის მხრივ საზიდართა ეს რაოდენობა საჭიროებდა 80-90 ათას სულ გამწევ პირუტყვს, მინიმუმ ორს ერთ საზიდარზე. მომთაბარე მესაქონლეობა კი, რასაც ეწეოდნენ ყივჩაღები, თითოეულ ოჯახში ნიშნავდა სულ ცოტა, ორი-სამი სული მეწველი საქონლის არსებობას, რაც მთლიანად, 80-120 ათასი სულის ფარგლებში მერყეობს.

ე.ი. 200 ათასიან მომთაბარეთა ტომს უნდა ჰყოლოდა, მინიმუმ 280-330 ათასი სული ცხენის რემა და სხვა სახის მსხვილი საქონლის ჯოგები, რასაც დაემატებოდა წვრილფეხა საქონლის გარკვეული რაოდენობაც, რომელთა გათვალისწინებითაც საერთო ციფრი დაახლოებით ნახევარ მილიონს მიაღწევდა (რაც ძალიან მინიმალურ მაჩვენებელს წარმოადგენს).[6] საქონლის ასეთი რაოდენობა, ბუნებრივია, ამ გრანდიოზული ციფრის შესაფერის, გიგანტური ფართობის მქონე საძოვრებს საჭიროებდა, ეს კი, ასეთი დიდი გაერთიანების კომპაქტურად არსებობას და ამის შესაბამისად, მათ მჭიდრო ორგანიზაციულ გაერთიანებასაც, ფაქტიურად, გამორიცხავდა.

მომთაბარეთა შორის საძოვრების განაწილების ბუნებრივი აუცილებლობა განაპირობებდა სხვადასხვა გვარებისა თუ ტომების ერთმანეთისგან საკმაოდ შორს ცხოვრების აუცილებლობასაც, სხვა შემთხვევაში, მათ სავარგულები არ ეყოფოდათ, რასაც გვარებსა და ტომებს შორის ბუნებრივი კონფლიქტები მოჰყვებოდა, რის თავიდან ასაცილებლადაც ერთი ორგანიზაციის (ტომის ან ტომთა გაერთიანების) ქვეშ გაერთიანებულ მომთაბარეთა ცალკეული ოჯახები თუ გვარები უნდა განსახლებულიყვნენ ისეთ გეოგრაფიულ სივრცეზე, სადაც მათ შორის აუცილებელი „სასაძოვრე" დისტანციაც და ერთმანეთთან კომუნიკაციის განხორციელების შესაძლებლობაც იქნებოდა დაცული.

კომუნიკაცია ერთ გაერთიანებაში მყოფ მომთაბარეთა შორის ნიშნავდა ცხენის სისწრაფის გამოყენებით, მაქსიმუმ ორი-სამი დღის განმავლობაში ინფორმაციის გაცვლის, გვარების (ან ტომების) ლიდერთა ერთად თავმოყრისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას. სხვა შემთხვევაში ყივჩაღები (ისევე როგორც სხვა მომთაბარეები) დაკარგავდნენ „მომთაბარეობის" უმთავრეს „უპირატესობას" — მობილურობასა და ყოფის „მომთაბარულ" ხასიათს, რა პირობებშიც ისინი ვერ შეძლებდნენ ვერც მოულოდნელი რეიდების მოწყობას მეზობელი ქვეყნების თუ სხვა მომთაბარეთა ტერიტორიებზე, ვერც ორგანიზებულ თავდაცვას და ვერც შეთანხმებულ გადაადგილებებს ახალი საძოვრების საძიებლად. ეს კი 200 ათასიანი ტომობრივი ორგანიზაციის ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ არსებობას, ბუნებრივია, შეუძლებელს ხდი-



სურ. 24. მონღოლური არმია მარშის დროს

და, რადგანაც ამ რაოდენობის ხალხი საძოვრების განაწილების პროცესში ისეთ დისტანციებზე გაიშლებოდა, რომ ერთმანეთს შორის „მომთაბარული" (ე.ი. მობილური) კომუნიკაციის განხორციელების შესაძლებლობას დაკარგავდა. ყოველივე ამის გამო, ერთიანი მმართველობის ქვეშ მყოფი გაერთიანება (ტომი, ან რამდენიმე ტომის კავშირი) რეალობაში იყო 200 ათასიან მასაზე ბევრად მცირერიცხოვანი, ხოლო სხვადასხვა გაერთიანებებს შორის კავშირი განსახლების საერთო არეალზე, იყო საკმაოდ სუსტი და პირობითი. შემთხვევითი არ არის, რომ იმდროინდელი რუსული წერილობითი წყაროები ყივჩაღთა მარბიელი არმიების სათავეში, ძალიან ხშირად, ათეულობით ყივჩაღთა „თავადის" (ე.ი. ტომის, ან რამდენიმე ტომის გაერთიანების მეთაურის) ერთდროულად ყოფნას მიუთითებენ.[7]

XI საუკუნის II ნახევარში ცენტრალური აზიიდან მიგრაციის შემდეგ, ყივჩაღთა სხვადასხვა ტომები განსახლდნენ სამხრეთ რუსეთის სტეპებში, ვოლგიდან დნეპრამდე (მათი ნაწილი წავიდა უფრო დასავლეთით და მიაღწია ბიზანტიის იმპერიას, უნგრეთს და სამხრეთ იტალიას). მათ შექმნეს რამდენიმე მსხვილი ტომობრივი (ვოლგის, სამხრეთ ვოლგის, დონის, დნეპრის, დერბენდის და სხვა) გაერთიანება, რომელთა შორისაც საერთო, ფაქტიურად, მხოლოდ ეთნოსი, ცხოვრების წესი და ეთნიკური სოლიდარობა იყო.[8]

ყივჩაღთა გაერთიანებებს არ შეუქმნიათ ცენტრალური მმართველობა და მოგვიანო პერიოდის მონღოლებისგან განსხვავებით, არასოდეს ჰყოლიათ ერთი მთავარი ხელისუფალი (ხანი).[9] შესაბამისად, არც ყივჩაღური არმიები იყო ისეთი მასშტაბური, როგორც მომთაბარეთა ურდოებია ზოგჯერ წარმოდგენილი სხვადასხვა წყაროებში, რადგან ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ ვერც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ყივჩაღთა სამხედრო ძალებიც ვერ გაერთიანდებოდნენ. ერთი მსხვილი ყივჩაღური გაერთიანების (დონის, დნეპრის და ა.შ.) მასშტაბი, ტერიტორიის ფართობით დაახლოებით საშუალო რუსული სამთავროს ფარგლებში შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. მოსახლეობის საერთო რაოდენობით კი, მათი არაკომპაქტური განსახლების პირობებში, ყივჩაღთა საერთო რაოდენობა იყო ბევრად მცირე.

XII-XIII საუკუნეებისთვის რუსული სამთავროების მოსახლეობა 5-6 მილიონს შეადგენდა, ხოლო ვოლგისპირეთიდან და დონიდან კარპატებამდე განსახლებულ მომთაბარეთა რიცხვი დაახლოებით მილიონ 100 ათასს. აქედან, ყივჩაღთა საერთო რაოდენობად 300-400, ან 500-600 ათასს ასახელებენ,[10] რის მიხედვითაც გამოდის, რომ ყივჩაღთა საერთო სამობილიზაციო შესაძლებლობა (ყოველი მეხუთის გათვალისწინებით) 60-80, ან 80-120 ათასი მეომარი უნდა ყოფილიყო. იმის გათვალისწინებით, რომ ყივჩაღურ ტომთა ძირითადი გართიანებების (ე.ი. ტომთა მსხვილი კავშირების) რაოდენობას 12-15-ს ფარგლებში ვარაუდობენ,[11] მივიღებთ რომ თითო გაერთიანებას (სრული მობილიზაციის პირობებში) შეეძლო გამოეყვანა 4-5-დან 8-10 ათასამდე მეომარი, ხოლო ამაზე დიდი ყივჩაღური არმია, მხოლოდ სხვადასხვა გაერთიანებების მოკავშირეობით შეიძლებოდა წარმოქმნილიყო, რასაც როგორც წესი, ხანმოკლე ხასიათი ჰქონდა.

საქმე რომ სავსებით რეალურ ციფრთან გვაქვს, ამას რუსული წერილობითი წყაროები უნდა ადასტურებდნენ, რომლებიც ყივჩაღ მეომართა რაოდენობას ძალიან იშვიათად უთითებენ გიგანტურ ციფრებში. მაგალითად, 1068 წელს, ჩერნიგოვის მთავარ სვიატოსლავს, 3 ათასი მეომრით დაუმარცხებია 12 ათასი ყივჩაღი.[12] 1093 წელს, კიევის მთავარი სვიატოპოლკი 800 კაციან რაზმს საკმარისად თვლიდა ყივჩაღური არმიის თავდასხმის მოსაგერიებლად.[13] ვლადიმირ

მონომახი თავის ანდერძში წერდა, რომ დაამარცხა ყივჩაღთა 8 ათასიანი არმია, საიდანაც 900 მომთაბარე ბრძოლაში დაიღუპა[14] და ა.შ.

სხვა მომთაბარული არმიების სიდიდეების გათვალისწინებთ, 10 ათასი მეომარი (რასაკვირველია იგულისხმება არა არითმეტიკული სიზუსტე, არამედ დაახლოებითი სიდიდე)[15] აშკარად ის მაქსიმუმია, რის გამოყვანასაც მომთაბარეთა ერთი მსხვილი გაერთიანებისთვის მომთაბარული ცხოვრების ორგანიზაციის არსებული დონე იძლეოდა.

მეტ-ნაკლებად ანალოგიური სურათია სხვა მომთაბარეებთან მიმართებაშიც. მაგალითად, ე.წ. „უნგრული ქრონიკა," X საუკუნისთვის ცენტრალურ ევროპაში განსახლებულ უნგრულ მომთაბარე ტომთა საბრძოლო შესაძლებლობებს ასე ახასიათებდა: უნგრელთა 108 ტომი გაერთიანებული იყო შვიდ მსხვილ ტომობრივ გაერთიანებაში. თითო გაერთიანებას გამოჰყავდა 30 857 მეომარი, რაც საერთო ჯამში, 216 ათასს შეადგენდა, თითო ტომზე 2000 მეომარს.[16] ამ მონაცემების მიხედვით, გამოდის რომ უნგრელ მომთაბარეთა საერთო რაოდენობა მილიონზე მეტი ყოფილა, რაც ფანტასტიკურ მაჩვენებლებადაა მიჩნეული. უნგრეთის ისტორიის მკვლევარები უნგრელთა საერთო რაოდენობას, 300-600 ათასის ფარგლებში ვარაუდობენ, რასაც მეომართა საერთო რაოდენობაც (ანუ სამობილიზაციო შესაძლებლობა) 60-120 ათასის ფარგლებში ჩამოჰყავს, საიდანაც გამოდის რომ უნგრელ მომთაბარე ტომთა ერთი მსხვილი გაერთიანების სამხედრო ძალა 8,500-17,000 მეომარს შორის უნდა ყოფილიყო (ანუ შეადგენდა იმის ნახევარს, რასაც უთითებს უნგრული ქრონიკა).[17]

მსგავსი სურათია მონღოლებთან მიმართებაშიც, რომელთა საერთო რაოდენობაც ჩინგიზ-ხანის გარდაცვალების მომენტისთვის 600 ათასს, ხოლო ამ რაოდენობიდან გამოყვანილ მეომართა რიცხვი, 130 ათასს უდრიდა (ე.ი. აქაც ყოველი მეხუთე).[18] განსხვავება ყივჩაღების სამხედრო ორგანიზაციასთან მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მონღოლებს ტომთა ცენტრალიზებული გაერთიანება გააჩნდათ და სამხედრო ძალას უფრო კონცენტრირებულად იყენებდნენ, ვიდრე ყივჩაღები და სხვა მომთაბარეები.[19]

ისტორიულ ქრონიკებზე დაყრდნობით, სამეცნიერო ლიტერატურაში ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა, რომ მომთაბარეთა არმიები იყო ისეთი უზარმაზარი ურდოები, რომელთა რაოდენობის განსაზღვრაც, საერთოდ შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა. სინამდვილეში, ეს „ურდოები", რომელთა შესახებ აშკარა შიშით წერდნენ სხვადასხვა დროის ავტორები, ძალიან იშვიათ შემთხვევებში წარმოადგენდნენ ორ-სამ და მეტ ათეულ ათასიან არმიებს, უმრავლეს შემთხვევებში კი, ბევრად ნაკლები რაოდენობის იყვნენ.

თავის დროზე, ჰ. დელბრიუკი თვლიდა, რომ მომთაბარული ტომების ერთ ორგანიზაციად გაერთიანება ძალიან იშვიათ შემთხვევებში იყო შესაძლებელი 60-70 ათასი ადამიანის ფარგლებში. ასეთი გაერთიანება ტომთა დიდ კავშირს წარმოადგენდა და მხოლოდ მას ძალუძდა მეომართა მაქსიმალური რაოდენობის, 10-15 ათასის, გამოყვანა ბრძოლის ველზე.[20] ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ეს თეორია სავსებით რეალურად გამოიყურება და მას თანამედროვე მკვლევართა უმრავლესობაც, მცირე კორექტივებით იზიარებს.[21]

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ყველაზე მაღალგანვითარებულმა მომთაბარულმა ცივილიზაციამ, ჩინგიზ-ხანის მონღოლურმა იმპერიამ, მსოფლიო მასშტაბის დაპყრობები ჩინეთიდან უნგრეთ-ავსტრიამდე 130 ათასიანი არმიით

განახორციელა (ამ რიცხვს პერიოდულად მოკავშირეთა, ან დაპყრობილი ქვეყნების მეომრებიც ემატებოდნენ, მაგრამ მათი რაოდენობა მონღოლებისას ბევრად არ აჭარბებდა).[22]

ჯვებესა და სუბუდაის ცნობილი 6000 კილომეტრიანი რეიდი, რომლის დროსაც მონღოლებმა რამდენიმე არმია (მათ შორის, ქართული და ყივჩაღურიც) დაამარცხეს, სულ 20 ათასი მეომრის მონაწილეობით შესრულდა.[23]

არმიის სიდიდე, რომლითაც მონღოლებმა დაიპყრეს რუსეთი და განახორციელეს რეიდები უნგრეთსა და პოლონეთში, არ აღემატებოდა 30-40 ათასს, ხოლო არმია, რომელმაც დაიპყრო ირანი, სამხრეთ კავკასია, მცირე აზია, ერაყი და სირია, ასევე 30-40 ათასი იყო (ყოველივე ეს იმასაც ნიშნავს, რომ არც მონღოლების მოწინააღმდეგეთა განკარგულებაში უნდა ყოფილიყო ასი და ორას ათასიანი არმიები).[24]

ჩვენთვის ცნობილი წერილობითი წყაროები, ერთად თავმოყრილ ყივჩაღ მეომართა მაქსიმალურ რაოდენობას, 40 ათასს, სამ შემთხვევაში უთითებენ. პირველად, 1091 წელს ლებურნეს ბრძოლაში (ანა კომნენოსი),[25] მეორედ საქართველოში გადმოსახლებისას (დავით აღმაშენებელის მემატიანე)[26] და მესამედ კალკის ბრძოლის დროს 1223 წელს (რუსული მატიანეები).[27]

ლებურნეს ბრძოლაში მონაწილე ყივჩაღთა არმიას, ორი სარდალი, ტუგორხანი და ბონიაკი მეთაურობდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს არმია, ტომთა ორი გაერთიანების (დონის და დნეპრის) მეომრებით იყო დაკომპლექტებული. რაც შეეხება კალკის ბრძოლას, აქ დონსა და დნეპრს შორის განსახლებულმა ტომებმა, პრაქტიკულად, მთელი თავისი ძალები გამოიყვანეს, მიუხედავად ამისა, ორივე შემთხვევაში ყივჩაღთა რეალური რაოდენობა საგრძნობლადაა წყაროების მიერ გაზრდილი.[28]

საქართველოში გადმოსახლებულ ყივჩაღთა ტომი, თუ ტომთა გაერთიანება, ათრაქა შარაღანის ძის (რუსული წყაროების ოტრაკი) მეთაურობით, აშკარად არ წარმოადგენდა არათუ რამდენიმე მსხვილი ყივჩაღური ტომის გაერთიანებას, არამედ ერთ მსხვილ გაერთიანებასაც კი. ოტრაკის ხელმძღვანელობით საქართველოში წამოვიდა ყივჩაღთა დონის ტომთა გაერთიანების ერთი ნაწილი, მეორე ნანილი კი, რომლის სათავეშიც ოტრაკის ძმა სირჩანი იდგა, დარჩა დონის სტეპებში. აქედან გარკვევით ჩანს, რომ ოტრაკი (ათრაქა შარაღანის ძე), თავის წინაპარ ტუგორხანისგან განსხვავებით (რომელიც 1091 წელს 20 ათასზე ნაკლებ მეომარს მეთაურობდა), არ იყო დონის ყივჩაღთა გაერთიანების ერთპიროვნული მმართველი და შესაბამისად, არ ექნებოდა მთელი გაერთიანების სხვა ტერიტორიებზე გადასახლების გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში დონის ყივჩაღთა საერთო რაოდენობის მხოლოდ გარკვეული ნაწილი წამოსულა.[29]

რამდენადაც ყივჩაღთა ერთი მსხვილი ტომობრივი გაერთიანების სამხედრო ძალა, მაქსიმუმ, 10 ათასი მეომრის ფარგლებში უნდა ყოფილიყო, გამოდის რომ ოტრაკს, საქართველოში ამ რიცხვის მხოლოდ ნაწილი შეიძლებოდა წამოეყვანა, რაც ბუნებრივია, არაფრით იქნებოდა 40 ათასი. ალბათ უფრო რეალური იქნება, თუ საქართველოში წამოსულ ყივჩაღ მეომართა რაოდენობას 5 ათასის, ხოლო ოჯახებიანად, სადღაც 25 ათასით ვივარაუდებთ, რაც სავსებით შესატყვისი ციფრი იქნებოდა ეპოქის მასშტაბებთან.

ის, რასაც ჩვენ აღვნიშნავთ ტერმინით "მუდმივი არმია," თავის ფესვებს პოულობს არა რაინდობასა და რაინდთა სამხედრო რაზმებში, არამედ XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე გამოჩენილ ქვეით მეომრებში.

პანს დელბრიუკი.

მეორე, რაც ყივჩაღებთან დაკავშირებით, იმავე ეპოქის რეალობებთან სრულ შეუსაბამობაში მოდიოდა და ასევე დიდ ზეგავლენას ახდენდა დიდგორის დროინდელი ქართული არმიის მიღებული სიდიდის განსაზღვრაზე, არის დავით აღმაშენებლის მემატიანის ცნობის თანამედროვე ინტერპრეტაცია, ყივჩაღი მეომრებისგან მუდმივი არმიის შექმნის შესახებ. ქართული ისტორიოგრაფია თვლის, რომ დავით აღმაშენებელმა გაატარა სამხედრო რეფორმა, რის შედეგადაც შექმნა ახალი ტიპის სამხედრო ორგანიზაცია მუდმივი ჯარის სახით (ე.ი. შექმნა რეგულარული არმია),[1] რაც მოცემულ ეპოქაში აბსოლუტურად შეუძლებელი იყო.

XI საუკუნეში მუდმივი არმიები, ამ ტერმინის კლასიკური მნიშვნელობით, არ არსებობდნენ (თუმც იყვნენ პროფესიონალი მეომრები). ფეოდალურ ეპოქაში მათი გამოჩენა დაიწყო მხოლოდ XV საუკუნიდან.[2]

განსაკუთრებით წარმოუდგენელი იყო მუდმივი არმიის შექმნა მომთაბარეებისგან. ასეთი ანალოგი ისტორიაში არ მოიძებნება და ნაკლებ დამაჯერებელი უნდა იყოს იმის მტკიცება, რომ ერთადერთი პრეცენდენტი საქართველოში არსებობდა.

მუდმივი არმია ნიშნავს დროის ხანგრძლივ მონაკვეთში იარაღით ხელში მყოფ მეომართა ერთობლიობას, რომელთა ერთადერთი მოვალეობაც სამხედრო სამსახურია. მეომრისთვის ასეთი სამსახურის მოტივაციას წარმოადგენს სახელმწიფოებრივი იდენტიფიკაციის შეგრძნება და სახელმწიფოს მხრიდან მისი იმ ოდენობის მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფა, რაც საკმარისი იქნებოდა მისი და მისი ოჯახის არსებობისთვის. სახელმწიფოს მოტივაცია მუდმივი არმიის ყოლისა, არის მეომრის მუდმივი მზადყოფნა, დისციპლინა და ნებისმიერი ბრძანების შესრულების უნარი, სახელმწიფოსთვის საჭირო ამოცანების გადაწყვეტისას დაღუპვის მაღალი რისკით.

ეს ფაქტორები მუდმივ არმიებს აძლევდა ნაციონალური არმიის კატეგორიას, რაც ორმხრივი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობისა და სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გარდა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის (საყაზარმო სისტემა, საბრძოლო-სასწავლო პროცესი, იარაღის გეგმაზომიერი წარმოება, სპეციალური მომსახურე პერსონალი და ა.შ.) და მასზე მორგებულ ეკონომიკურ სისტემასა და სახელმწიფო აპარატს მოითხოვდა.

მუდმივი არმიის არსებობა რეგულარული საგადასახადო სისტემის არსებობასაც საჭიროებდა. ასეთ შემთხვევაში უნდა დაწესებულიყო სპეციალური მუდმივი გადასახადი არმიის შესანახად, რაც დავით აღმაშენებლის ეპოქაში არსად ფიქსირდება.[3]

არმიის „მუდმივობა" არ ნიშნავდა მხოლოდ (თუნდაც პროფესიონალ) მეომართა დიდი ხნით სამხედრო სამსახურში ყოფნას, ამის უზრუნველყოფა სხვადასხვა

საშუალებებით (ქირით, იძულებით, მოკავშირეობით) იყო შესაძლებელი, რაც არ იყო დაკავშირებული სახელმწიფოებრივ მოწყობასთან. ასეთი „მუდმივი" არმიის შექმნა შეეძლო ნებისმიერ მონარქსა თუ ფეოდალს, რომელსაც ამისთვის საჭირო ეკონომიკური შესაძლებლობა, ან სხვა სახის უნარი გააჩნდა. აღნიშნულის კარგი მაგალითია დავით აღმაშენებლის თანამედროვე ესპანელი რაინდი ელ-სიდი, რომელმაც ერთგვარი „მუდმივი" არმიაც შექმნა და სახელმწიფოს მაგვარი ერთეულის დაარსებაც მოახერხა, რომელიც მისი სიკვდილისთანავე ლიკვიდირებულ იქნა.[4] ასეთივე „მუდმივი" არმიები იყო XIII-XIV საუკუნეების იტალიელ კონდოტიერთა სამხედრო კონტინგენტები (ე.წ. „დიდი კომპანიები"), რომლებიც მუდმივად სამხედრო სამსახურში მყოფნი, სტაბილური საკადრო შემადგენლობითა და მაღალი ბრძოლისუნარიანობით, გადადიოდნენ ერთი სახელმწიფოს სამსახურიდან მეორეში. შედარებით გვიანდელი ანალოგი იყო შვეიცარიელ ქვეითთა რაზმები და ა.შ.[5]

ელ-სიდის მსგავსი „მუდმივ-დროებითი" არმიებისგან თუ მოქირავნეთა პროფესიული სამხედრო რაზმებისგან განსხვავებით, მუდმივი (რეგულარული) არმია სახელმწიფო სისტემის ორგანულ და პოლიტიკური საზოგადოების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. მისი ხელოვნურად შექმნა და ეპოქისთვის გასწრება ისევე შეუძლებელი იყო, როგორი შეუძლებელიც აღმოჩნდა ელ-სიდის „ექსპერიმენტი". რეგულარული არმია სახელმწიფოებრიობის განვითარების თანმიმდევრული პროდუქტი, სახელმწიფო სისტემათა განვითარების გარკვეული საფეხურის შედეგია, რაც XI საუკუნეში უბრალოდ არ არსებობდა, რის გამოც არ არსებობდნენ არც მუდმივი არმიები.

რასაკვირველია, იმ ეპოქაში, როდესაც სახელმწიფოს შიდა რესურსების (ეთნიკურის, ეკონომიკურის, იდეოლოგიურის) ერთობლიობას არ შეეძლო მუდმივი არმიის შექმნის უზრუნველყოფა, როგორ შეიძლებოდა ეს ფუნქცია ეტვირთა და განეხორციელებინა მომთაბარეს, რომლის ფსიქოლოგია, ინტერესები და სამხედრო სამსახურის მოტივაცია იყო სრულიად განსხვავებული. გარდა ამისა, მომთაბარეები ვერც ფუნქციურად შეძლებდნენ ასეთი ამოცანის შესრულებას.

მუდმივი არმია თავისი დანიშნულებით არის ერთგვარი უნივერსალური სამხედრო ძალა, რომელიც მისი შემადგენელი ნაწილების სპეციფიკის მიხედვით ეწევა ყველანაირ სამხედრო სამსახურს, შეუძლია საველე არმიის, საგარნიზონო სამსახურის, დაცვითი, შეტევითი, საალყო, საყარაულო, სადაზვერვო და ა.შ. ფუნქციების, ანუ ყველა იმ სახის სამხედრო სამსახურის შესრულება, რაც სახელმწიფოს სჭირდება როგორც ომის, ასევე მშვიდობიანობის პერიოდში. არმიის შემადგენლობისა და კვალიფიკაციის ასეთი მრავალფეროვნება სწორედ ზემოთ აღნიშნული ინფრასტრუქტურის არსებობით მიიღწევა. მომთაბარულ (ამ შემთხვევაში, ყივჩაღურ) არმიას კი, ასეთი უნივერსალიზმი არ გააჩნდა. ის თავისი შეიარაღებისა და შემადგენლობის ხასიათით უფრო საველე არმიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, ვიდრე უნივერსალურ სამხედრო ორგანიზმს.[6]

ყივჩაღები (ისევე როგორც იმ დროის სხვა მომთაბარეები) ნაკლებად ეფექტურნი იყვნენ ხელჩართული ბრძოლისას, არამდგრადები ქვეითებისა და მძიმე კავალერიის შეტევისას, სრულიად უძლურები ციხე-სიმაგრეთა ალყისას, გამოუსადეგარნი საგარნიზონო სამსახურისთვის და ა.შ. სამაგიეროდ, მათ შეეძლოთ დისტანციური ბრძოლა, მანევრირება, მოწინააღმდეგის ტერიტორიებზე ელვისებური რეიდების მოწყობა, ჩასაფრების ორგანიზება, დევნის ეფექტური განხორციელე-

ბა და ა.შ. (სურ. 25), ანუ მათ გააჩნდათ როგორც საბრძოლო ღირსებები, ასევე ნაკლოვანებები, რაც ყივჩაღების გამოყენებას, როგორც დამოუკიდებელი სამხედრო ერთეულისას, შესაძლებელს ხდიდა მხოლოდ სპეციფიკური ამოცანების შესრულებისთვის. სხვა შემთხვევებში ის უნდა ჩართულიყო საერთო სამხედრო კომპლექსში, დანარჩენი შეიარაღებული სახეობების გვერდით. როგორც ცხენოსანი მოისრეები, ყივჩაღები ძალიან მაღალი საბრძოლო თვისებებით ხასიათდებოდნენ და მათ სამსახურზე იმდროინდელ მსოფლიოში უდიდესი მოთხოვნილება არსებობდა. ალბათ, ძალიან ძნელია მოიძებნოს სხვა ეთნოსი, რომლის მეომრებიც ისეთ დიდ გეოგრაფიულ არეალზე იქნებოდნენ გაფანტულნი, როგორც ყივჩაღები. ისინი მონაწილეობდნენ რუსული სამთავროების შინა ომებში, ბიზანტიელებთან ერთად ებრძოდნენ პაჭანიკებს, რუსებთან ერთად მონღოლებს, იყვნენ სელჯუკთა დამპყრობელი არმიების შემადგენლობაში, სელჯუკების წინააღმდეგ იბრძოდნენ ფატიმიდთა გვერდით, უნგრელებთან ერთად მონაწილეობდნენ მარბიელ რეიდებში ავსტრიის საჰერცოგოსა და ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიებზე, დამკვიდრებული იყვნენ ხორეზმში და მოქირავნეთა სახით წარმოდგენილნი იყვნენ თვით სამხრეთ იტალიელი ნორმანებისა და გერმანელი იმპერატორების არმიებში. არცთუ იშვიათი იყო, როდესაც მონათესავე ყივჩაღთა რაზმები სხვადასხვა არმიების შემადგენლობაში ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ და ბრძოლაში ანადგურებდნენ.[7]

საქართველოს მსგავსად, საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები ყივჩაღთა (ისევე როგორც სხვა მომთაბარეთა) მთელი ტომების დასახლებისა სხვა სახელმწიფოთა (ბიზანტია, კიევის რუსეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, ხორეზმი) ტერიტორიებზე ქვეშევრდომობის აღიარებით, სადაც ისინი მათ ბუნებრივ საქმიანობას, სამხედრო სამსახურს ეწეოდნენ.[8] მაგრამ მიუხედავად ყივჩაღთა სამხედრო ძალის ასეთი მასშტაბური გამოყენებისა, მათთვის მუდმივი არმიის ფუნქციების შესრულება არსად დაუკისრებიათ, რასაც ჰქონდა ორი ძირითადი მიზეზი: იმ დროს არც მუდმივი არმიები არსებობდნენ და არც ყივჩაღები შეეფერებოდნენ მუდმივი, ე.ი. უნივერსალური მეომრების როლს.

როგორ შეიძლებოდა მუდმივი არმიის ამოცანები შეესრულებინა ისეთ სამხედრო ძალას, რომლისთვისაც შეუძლებელი იქნებოდა დამოუკიდებლად ციხე-სიმაგრის შტურმით აღება, იგივე ციხე-სიმაგრეში საგარნიზონო სამსახურის განევა, მოწინააღმდეგის მძიმე კავალერიასთან დაპირისპირება, რომელსაც დაბალი დისციპლინისა და სახელმწიფოებრივი მოვალეობის შეგრძნების არქონის გამო, ადვილად შეეძლო ბრძოლის ველის მიტოვება, ან საერთოდ მოწინააღმდეგის მხარეს გადასვლა.[9]

თუ ყოველივე ამას გადავიტანთ დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოს რეალობებში, თავისთავად გაჩნდება კითხვა, თუ რატომ დასჭირდებოდა დავით აღმაშენებელს ისეთი მუდმივი არმია, რომელსაც დამოუკიდებლად არ შეეძლებოდა სამშვილდის, გიშის, ლორეს და სხვა მსგავსი ციხე-სიმაგრეების არც აღება და არც მათი დაცვა. ანუ, ისეთი სახის სამხედრო საქმიანობა, რაც ტერიტორიების შემოერთებისა და შენარჩუნებისთვის აუცილებელობას წარმოადგენდა. ასეთ „მუდმივ არმიას" არ შეეძლებოდა აგრეთვე სელჯუკთა მძიმე, გულიამების კავალერიასთან თანაბარი ბრძოლა, რომელიც ძირითადი დამრტყმელი ძალა იყო, როგორც დიდგორის ბრძოლის მონაწილე, ასევე სხვა სელჯუკური არმიების შემადგენლობაში, ამასთან მუდმივად იქნებოდა იმის საშიშროება, რომ მას ბრძო-

ლის ველი მიეტოვებინა. ე. ი. თუ დავიჯერებთ ქართულ ისტორიოგრაფიაში თითქმის აპრიორულ ჭეშმარიტებად მიღებულ შეხედულებას ყივჩაღთა მუდმივი არმიის შექმნის შესახებ, გამოდის რომ საქართველოს მეფეს „შეუქმნია მუდმივი არმია", რომელსაც მის წინაშე მდგომ ამოცანათა დიდი ნაწილის შესრულება არ შეეძლო.[10]

ესეც რომ არ ყოფილიყო, როგორ უნდა შეექმნა დავით აღმაშენებელს ყივჩაღებისგან მუდმივი არმია, როდესაც ამისთვის საჭირო სამხედრო დისციპლინის დონის მიღწევას მათ რიგებში, ალბათ ათეული წლები, ხოლო სახელმწიფოებრივი იდენტიფიკაციისა და მოვალეობის შეგრძნების გაჩენას (არაფერს ვამბობთ პატრიოტიზმზე) თაობები დასჭირდებოდა (საქართველოს რეალობაში, ყუბასარისა და აფრიდონის მაგალითზე, ეს ასეც იყო).

სურ. 25. ა. მაკბრაიდი. მსუბუქად შეიარაღებული ყივჩაღი ცხენოსანი

გარდა ამისა, ყივჩაღთა მომთაბარული მეურნეობა და ცხოვრების წესი (რასაც ისინი რამდენიმე წელიწადში ვერ შეიცვლიდნენ) მათი სამხედრო რაზმების „მუდმივი არმიის" კატეგორიაში გადაყვანას თავისთავად გამორიცხავდა. მომთაბარეობა ნიშნავს მესაქონლეობას (საქონლის ძოვებას, საძოვრიდან საძოვარზე გადარეკვას, ჯოგების დაცვას და ა.შ.), რაც ქალის შრომასთან შეუთავსებელია. ამის გამო, მომთაბარე მამაკაცი მყარად იყო მიბმული ოჯახზე, რომელიც მის გარეშე მეურნეობას ვერ მართავდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომთაბარე სალაშქროდ ან ოჯახთან ერთად უნდა გადაადგილებულიყო, ან მისი ლაშქრობის პერიოდი უნდა ყოფილიყო ხანმოკლე. ბუნებრივია, რომ არც ერთი ფაქტორი მუდმივი არმიის კონცეფციასთან თავსებადი არ არის.

დავით აღმაშენებელს არც უნდა დასჭირვებოდა ყივჩაღებისგან მუდმივი არმიის შექმნა. იმ ფუნქციებისთვის რასაც ყივჩაღები დიდი წარმატებით ასრულებდნენ, როდესაც ახორციელებდნენ ეფექტურ რეიდებს თურქმენების წინააღმდეგ სელჯუკთა ტერიტორიების სიღრმეში, მუდმივი ჯარის შექმნა საჭირო არ იყო. ამ ტიპის სამხედრო სამსახურისთვის სავსებით საკმარისი იქნებოდა ყივჩაღებისთვის თურქმენ მომთაბარეთაგან გამოთავისუფლებული საძოვრების გადაცემა, ან სულაც მათი რამდენიმე წლით დაქირავება. სავსებით შესაძლებელია, რომ საქართველოს მეფეს ყივჩაღთა მიმართ დაინტერესების ეს ორივე ფორმა გამოეყენებინა. ის ფაქტი, რომ ყივჩაღები ნამდვილად დარჩნენ საქართველოში და აითქვიფნენ ადგილობრივ მოსახლეობაში (საიდანაც გაჩნდა ტერმინი „ნაყივჩაღარი"), უნდა უთითებდეს იმ გარემოებაზე, რომ მათ (ან მათმა გარკვეულმა

ნაწილმა) ნამდვილად მიიღეს თურქმენ მომთაბარეთაგან გაწმენდილი საძოვრები, რითაც ისინი შევიდოდნენ ფეოდალურ (ვასალურ) ვალდებულებებში სამეფო ხელისუფლების წინაშე და ჩვეულებრივი ფეოდალური გაწვევის (ანუ ხანმოკლე ლაშქრობის) სისტემას დაექვემდებარებოდნენ.[11]

ხოლო ის ფაქტი, რომ ყივჩაღთა ნაწილი დაბრუნდა სამშობლოში (რასაც იპატიევის ქრონიკა საკმაოდ რომანტიული ფონით გადმოსცემს),[12] შეიძლება იმაზე მიუთითებდეს, რომ ეს იყო ყივჩაღთა ის ნაწილი, რომელიც არ დასახლებულა საქართველოს ტერიტორიებზე და რომელთაგანაც შესაძლოა მეფის გვარდია (მონასპა) დაკომპლექტდა მოქირავნეობის პრინციპით, ხოლო დავით აღმაშენებლის გარდაცვალების (ე.ი. „კონტრაქტის" დამთავრების) შემდეგ, დაბრუნდა დონის სტეპებში.

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ნამდვილად ფაქტია: დავით აღმაშენებლის შემდგომ, მიუხედავად იმისა რომ მისი მემკვიდრეები პერიოდულად იყენებდნენ მოქირავნე ყივჩაღთა სამსახურს, არავითარი მუდმივი ჯარი წერილობით წყაროებში არ იხსენიება. ე.ი. გამოდის, რომ რიგი მკვლევრები მუდმივ არმიას უწოდებენ 6-7 წლის განმავლობაში (1118 წლიდან 1125-მდე, ყივჩაღთა გადმოყვანიდან დავით აღმაშენებლის გარდაცვალებამდე) იარაღის ქვეშ მდგარ სამხედრო რაზმებს, რაც სერიოზულ არგუმენტად არაფრით შეიძლება ჩაითვალოს.[13]

ვფიქრობთ, რომ წარმოდგენილ მიზეზთა ერთობლიობის გამო, საქართველოში ყივჩაღთა სამხედრო რაზმების გადმოყვანა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული სამხედრო რეფორმა მუდმივი არმიის შექმნის მიზნით. თავისთავად ყივჩაღების გადმოყვანა და მათგან ერთგვარი სამხედრო დასახლებების შექმნა, იყო საკმაოდ ჩვეულებრივი, თითქმის ორდინალური მოვლენა იმდროინდელი ეპოქისთვის, რასაც სხვა ქვეყნებიც საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ. რაც შეეხება სამხედრო რეფორმას, ამ კონტექსტში ყივჩაღების გადმოსვლა უდავოდ წარმოადგენდა სამხედრო სფეროში გატარებული ცვლილებების ნაწილს და მას ამ კუთხით, ორი ძირითადი დანიშნულება ჰქონდა: ქართული არმიის საბრძოლო-ტაქტიკური შესაძლებლობები შეევსო ახალი ელემენტით (მსუბუქი ცხენოსანი მოისრეებით) და შეექმნა სამხედრო-სასაზღვრო დასახლებათა სისტემა მომთაბარე თურქმენების წინააღმდეგ.[14]

ვიფქრობთ ნათელია, რომ მიზეზთა მთელი კომპლექსიდან გამომდინარე, ყივჩაღები არ შეიძლებოდა გარდაქმნილიყვნენ მუდმივ არმიად, მათ მხოლოდ გარკვეული სამხედრო ფუნქციები დაეკისრებოდათ, რასაც წარმოადგენდა სასაზღვრო რაიონებში, მათი მეურნეობის სპეციფიკის ბუნებიდან გამომდინარე, მომთაბარე თურქმენთა წინააღმდეგ (ანუ საძოვრებისთვის) ბრძოლა, მეზობელი სელჯუკური საემიროების ტერიტორიების დარბევა (ანუ ნადავლისთვის ბრძოლა, რაც ასევე მომთაბარეობის ბუნებრივ საქმიანობას წარმოადგენდა)[15] და ტერიტორიების მიღების (და მათი ბუნებრივი საქმიანობის განხორციელების უფლების) სანაცვლოდ ფეოდალური ლაშქრის შემადგენლობაში მსუბუქ ცხენოსან მოისართა რაზმების გაგზავნა. ამ ამოცანების შესრულებისთვის ყივჩაღები იდეალური სამხედრო ძალა იყვნენ და დავით აღმაშენებლის პოლიტიკური ნაბიჯებიც (ოტრაკის ასულზე დაქორწინება, ალანებთან დიპლომატიური მისიის პირადად განხორციელება),[16] ამ ძალის გამოყენების აუცილებლობით იყო განპირობებული და არა მუდმივი არმიის შექმნის მიზნით.

თქვენ, მამასა და ქრისტიანული რელიგიის მეთაურს, ხომ არ მიგაჩნიათ სამართლიანად ჩამოხვიდეთ საქრისტიანოს დედაქალაქში და დაასრულოთ ომი, რომელიც თქვენი სახელით წარმოებული, თქვენი საკუთარი ომია? ჩვენ ვძლიეთ თურქებსა და წარმართებს, მაგრამ ვერ დავამარცხეთ ერეტიკოსები: ბერძნები და სომხები, სირიელები და იაკობიტელები..... ჩამოდი როგორც მამა და შენი სამფლობელოს მეთაური..... შენი უფლებამოსილებითა და ჩვენი ძალით ამოძირკვე და გაანადგურე ყველა ერესი, როგორიც არ უნდა იყოს იგი.

I ჯვაროსნული ლაშქრობის მეთაურთა წერილიდან რომის პაპისადმი. 1098 წ.

მართლმადიდებლები ისეთი ერეტიკოსები არიან, რომ თვით ღმერთსაც კი გული ერევა.

ბალდუინ I — კონსტანტინოპოლის ლათინი იმპერატორი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში აქსიომადაა აგრეთვე მიჩნეული, რომ დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობდნენ ჯვაროსანი მეომრები (სურ. 26, ტაბ II) და რომ სირია-პალესტინის ჯვაროსანთა სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის დამყარებული იყო მჭიდრო, სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეობის რანგში აყვანილი ურთიერთობა. ამ შეხედულების საფუძველს წარმოადგენს მათე ურჰაელთან და ვალტერ გოტიესთან დაცული ცნობები, დიდგორის ბრძოლის დროს საქართველოს არმიის შემადგენლობაში 100 თუ 200 „ფრანგი" მეომრის მონაწილეობის შესახებ.[1]

საქართველოსა და ჯვაროსნული სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეობის მაჩვენებლად მიჩნეულია აგრეთვე ის მჭიდრო რელიგიური თუ დიპლომატიური კონტაქტები, რომელიც საქართველოს გააჩნდა სირია-პალესტინასთან, ხოლო კონკრეტულ არგუმენტებად სახელდება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში ტამპლიერთა ორდენის რაინდების მოხსენიება,[2] პარიზში მოხვედრილი დავით აღმაშენებლის წმინდა ჯვრის ისტორია, რომელიც იერუსალიმის ლათინ პატრიარქს შეუძენია ქართველთა მეფე დავითის ქვრივისგან.[3] და „ის ფაქტი", რომ დავით აღმაშენებელი ხშირად უგზავნიდა საჩუქრებს იერუსალიმის მეფე ბალდუინ I-ს."[4]

ყველა დასახელებული გარემოება ადასტურებს არა საქართველოს სამეფოს სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეობას ჯვაროსანთა სახელმწიფოებთან, არამედ საქართველოს მჭიდრო რელიგიურ, სავაჭრო და დიპლომატიურ კონტაქტებს სირია-პალესტინასთან, მათ შორის, რასაკვირველია, ჯვაროსნებთანაც. რელიგიური, კომერციული და დიპლომატიური კავშირები თავისთავად არ უზრუნველყოფდნენ პოლიტიკურ სიახლოვესა და მოკავშირეობას. ამ ფაქტორებს შეიძლებოდა ხელი შეეწყო პოლიტიკური თანამშრომლობისთვის იმ შემთხვევაში, თუ ამის პოლიტიკური მოტივაცია (და პოლიტიკური ნება) იარსებებდა, ასეთი რამ კი, დავით აღმაშენებლის ხანაში არ შეიმჩნევა.

ქართული ეკლესია, ქრისტიანობის იმ ერთ-ერთ უძველეს მიმდინარეობას წარმოადგენდა, რომელიც სხვა კონფესიებთან ერთად ტრადიციულად დამკვიდრებული იყო სირია-პალესტინაში და, განსაკუთრებით, იერუსალიმში. იქ არსებული მთავარი ქართული სიწმინდე, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, ქრისტეს სახელთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ (თანამედროვე ტერმი-



სურ. 26. ჯვაროსანი (ტამპლიერი) რაინდები, XII ს. მინიატურა

ნოლოგიით, „პრესტიჟულ") ადგილას, ქალაქის გალავანს გარეთ, იქ მდებარეობდა, სადაც გადმოცემის თანახმად მოჭრეს ხე, რომლისგანაც გოლგოთის ჯვარი გააკეთეს.

ქართული ეკლესია-მონასტრები პალესტინაში ინტენსიურად ფუნქციონირებდნენ როგორც ჯვაროსნების გამოჩენამდე, ასევე მათი განდევნის შემდეგაც და სისტემატიური ურთიერთობები ჰქონდათ ადგილობრივ მუსლიმურ ხელისუფლებასთან (სალადინთან, მამლუქებთან, ოსმალებთან), რაც არ ნიშნავდა, რომ საქართველოს სამეფო უთუოდ სალადინის, მამლუქების ან ოსმალების პოლიტიკური მოკავშირე ყოფილიყო.[5]

წმინდა მიწაზე რელიგიური ურთიერთობები ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე იყო დარეგულირებული. ჯვაროსნებმა, მიუხედავად თავდაპირველი სისასტიკისა, ამ ურთიერთობებს საკმაოდ მალე აუღეს ალღო და სცადეს აღმოსავლეთის რელიგიურ „მოზაიკაზე" მორგება, რის აუცილებელ პირობასაც რელიგიური შემწყნარებლობა და აღმოსავლეთის ქრისტიანებთან ურთიერთობების დარეგულირება წარმოადგენდა, მაგრამ კათოლიკე ჯვაროსნები, მიზეზთა მთელი კომპლექსის გამო, აღმოსავლური სპეციფიკისთვის მაინც უცხო სხეულებად დარჩნენ.

ჯვაროსნების ურთიერთობა აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროსთან იყო ძალიან რთული და პერიოდულად მტრულიც. იერუსალიმის დაპყრობისას ჯვაროსნებმა მოახდინეს აქ არსებული სხვადასხვა ქრისტიანული ეკლესიების კონფისკაცია, თუმც მალე მიხვდნენ თავის შეცდომას და უკან დააბრუნეს ისინი. მაგრამ მიუხედავად ასეთი ნაბიჯებისა, კათოლიკე ჯვაროსნებმა ბოლომდის ვერ შეძლეს აღმოსავლელი ქრისტიანების თავის მოკავშირეებად ქცევა, რაც მათი საბოლოო დამარცხების ერთ-ერთი მიზეზიც გახდა.[6]

აღმოსავლეთის ქრისტიანებიდან ჯვაროსნები მეტ-ნაკლებად სტაბილურ ურთიერთობებს სომხებთან ინარჩუნებდნენ, რაც პირველ რიგში, ჯვაროსანთა და მცირე აზიაში მანციკერტის ბრძოლის შემდეგ წარმოქმნილი წვრილი სომხური ერთეულების პოლიტიკურ ინტერესთა დამთხვევის შედეგი იყო. სომხებს, რომლებსაც ორმხრივი, ბიზანტიურ-სელჯუკური ექსპანსიის შედეგად, დაკარგული ჰქონდათ სახელმწიფოებრიობა, ჯვაროსნული მოძრაობა ნამდვილ მხსნელად მოევლინა და შესაძლებლობა მისცა შეექმნა კილიკიის სომხეთის სამეფო, რომელიც

ჯვაროსნული ეპოქის დასრულების შემდეგ, საკმაოდ მალე გაქრა პოლიტიკური რუქიდან.[7]

ჯვაროსნების აღმოსავლეთის ქრისტიანულ სამყაროსთან დამოკიდებულების ხასიათის წარმოსადგენად ყველაზე სწორი მაგალითი, ალბათ მათი ბიზანტიურ სამყაროსთან ურთიერთობაა. ბიზანტიის იმპერია, თავისი ადგილმდებარეობით, ეკონომიკური ბაზითა და სამხედრო შესაძლებლობებით, ჯვაროსნებისთვის იდეალური მოკავშირე უნდა ყოფილიყო ისლამური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში, ისევე როგორც ჯვაროსნები ბიზანტიისთვის. ორმხრივი საჭიროება ასეთი მოკავშირეობისა სახეზე იყო და ამას როგორც ჯვაროსანთა ლიდერები, ასევე ბიზანტიელი იმპერატორებიც შესანიშნავად აცნობიერებდნენ, მაგრამ მათი მოკავშირეობა, მიუხედავად ენერგიული მცდელობებისა, ჯვაროსნული მოძრაობის დასაწყისშივე გამოირიცხა, რისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც, პოლიტიკურ ინტერესთა სხვაობა და რელიგიურ შეხედულებათა შეუთავსებლობა იყო.[8]

იგივე შეიძლება ითქვას საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობაზეც, სადაც პოლიტიკური მოკავშირეობის შესაძლებლობა კიდევ უფრო მცირე იყო, ვიდრე ბიზანტიასა და ჯვაროსნებს შორის. საქართველო, ისევე როგორც ბიზანტია, აღმოსავლური ქრისტიანული სამყაროს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და ის მთავარი წინააღმდეგობები (რელიგიური, მენტალური, ეთნიკური და ა.შ.), რაც არსებობდა ბიზანტიასა და ჯვაროსანთა შორის, იარსებებდა საქართველო—ჯვაროსნების ურთიერთობებშიც. რასაკვირველია, ჯვაროსნულმა მოძრაობამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მთელ აღმოსავლურ სამყაროსა და მათ შორის საქართველოზეც. მათმა გამოჩენამ, რადიკალურად შეცვალა პოლიტიკურ ძალთა ბალანსი სამხრეთ ამიერკავკასიასა და წინა აზიაში, რაც საქართველომ, ისევე როგორც ბიზანტიამ და სომხეთმა, სელჯუკთა წინააღმდეგ თავისი პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისთვის სრულად გამოიყენა, მაგრამ სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეობამდე საქმე არ მისულა.

გარდა პოლიტიკურ და რელიგიურ ინტერესთა სრულიად განსხვავებული ხასიათისა, საქართველოსა და ჯვაროსანთა სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეობის შეუძლებლობა მათი გეოგრაფიული მდებარეობითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული. ბიზანტიის იმპერიისა და კილიკიის სომხეთისგან განსხვავებით, რომლებთანაც ჯვაროსნებს უშუალო კომუნიკაციური სიახლოვე გააჩნდათ როგორც ზღვით, ასევე ხმელეთით, საქართველო მთლიანად მოწყვეტილი იყო სირია-პალესტინას. ის მრავალრიცხოვანი სელჯუკური საემიროები, რომლებიც საქართველოსა და ჯვაროსნულ სახელმწიფოებს შორის მდებარეობდნენ და საკმაოდ მყარად აცალკევებდნენ მათ ერთმანეთისგან, სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეობის რეალიზებას, სურვილის შემთხვევაშიც კი, შეუძლებელს თუ არა, ძალიან ძნელად შესასრულებელს ხდიდნენ.

რაც შეეხება სავაჭრო კონტაქტებს, რელიგიური ურთიერთობების მსგავსად, არც მათი არსებობა იყო დამოკიდებული პოლიტიკურ პროცესებზე და ისინიც თავისი გზით ვითარდებოდნენ. როგორც ანდალუზიელი მოგზაური იბნ ჯუბაირი აღნიშნავდა, „მეომრები დაკავებულნი იყვნენ თავისი ომით, ხალხი კი მშვიდობიანად ცხოვრობდა."[9]

რელიგიური შემწყნარებლობა ისლამის მოძღვრების ერთ-ერთ მთავარ ფუნდამენტს წარმოადგენდა.[10] მუსლიმები (გარდა ცალკეული არასტანდარტული შემთხვევებისა) არ ცდილობდნენ ქრისტიანების ან სხვა რომელიმე რელიგიის

სურ. 27. ა. ბაკრაიტი. იერუსალიმის მუსლიმი მოსახლეობის გაჟლეტა ჯვაროსნების მიერ ომარის მეჩეთში

წარმომადგენლების ძალადობრივ მოქცევას მათ სარწმუნოებაზე, რის შედეგადაც არაისლამურ რელიგიებს რწმენის თითქმის ისეთივე თავისუფლება გააჩნდათ მუსლიმთა პოლიტიკურ ერთეულებში, როგორიც თავად მათ. უდავო ფაქტად რჩება ის გარემოება, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისტორიის ეპიზოდურ გამონაკლისებს, როგორც ქრისტიანულ, ასევე სხვა სარწმუნოებებს, მუსლიმურ სამყაროში არსებობის პრობლემები არ შექმნიათ.[11] ქრისტიანული საპატრიარქოები თუ მრავალრიცხოვანი ეკლესია-მონასტრები (ბუნებრივია, მათ შორის, ქართულიც), ისევე ფუნქციონირებდნენ მუსლიმურ ტერიტორიებზე, როგორც მეჩეთები და მედრესეები.[12]

როგორც აღვნიშნეთ, ჯვაროსნებმა აღმოსავლეთში დამკვიდრება სისასტიკის დემონსტრირებით დაიწყეს, როდესაც ერთიანად ამოწყვიტეს იერუსალიმისა და მათ მიერ დაპყრობილი სხვა ქალაქების მუსლიმი მოსახლეობა (სურ. 27.),[13] მაგრამ რელიგიური შემწყნარებლობის ფაქტორის აუცილებლობა საკმაოდ მალე გააცნობიერეს, რის შემდეგადაც აღმოსავლეთის ქრისტიანობას, როგორც მუსლიმებისგან, ასევე კათოლიკებისგანაც ნაკლებად ექმნებოდათ საფრთხე.[14]

აღნიშნული გარემოება დავით აღმაშენებლის ხანაში (ისევე როგორც მომდევნო პერიოდებში) ქმნიდა საკმაო თავისუფლებას სხვადასხვა რელიგიური ცენტრების არსებობისთვის როგორც იერუსალიმში, ასევე სხვა ადგილებში და ბუნებრივია, რომ ამ თავისუფლებით საქართველოს სამეფოც ისევე სარგებლობდა, როგორც ბიზანტია თუ სხვა ქრისტიანული სახელმწიფოები,[15] რის გამოც იმ რელიგიური ხასიათის კონტაქტების განხილვა პოლიტიკურ მოვლენათა ჭრილში, რომლებიც მოცემულ პერიოდში უდავოდ ძალიან ინტენსიური იქნებოდა და ამ არგუმენტებით იმის დადასტურების მცდელობა, რომ საქართველოს სამეფოსა და ჯვაროს-

ნულ სახელმწიფოებს შორის არსებობდა მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური კონტაქტები, როგორც ამას ცდილობდა ზოგი მეცნიერი, რეალურ საფუძველს უნდა იყოს მოკლებული.[16]

პოლიტიკური მოკავშირეობის გარეშე სამხედრო თანამშრომლობაც შეუძლებელია. რამდენადაც დავით აღმაშენებლის ეპოქაში არ ფიქსირდება არავითარი პოლიტიკური სიახლოვე ჯვაროსანთა სახელმწიფოებთან, ამდენად ქართული არმიის შემადგენლობაში ჯვაროსანი რაინდების გამოჩენის ალბათობა ძალიან მცირე (პრაქტიკულად, ნულის ტოლი) უნდა ყოფილიყო.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ დავით აღმაშენებლის დროს დაწყებული მოკავშირეობა ჯვაროსნებთან გაგრძელდა გიორგი III და თამარის მეფობის ხანაშიც.[17] რუსუდანისა და ლაშა-გიორგის პერიოდებში ურთიერთობა ჯვაროსნებთან ნამდვილად თითქმის გადაიზარდა სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეობაში, რასაც თავისი ობიექტური საფუძვლები ჰქონდა,[18] მაგრამ გიორგი III და განსაკუთრებით თამარის დროს, ეს გამორიცხული უნდა ყოფილიყო.

სამეცნიერო ლიტერატურაში „თამარის ფიცის" სახელით ცნობილი თამარ მეფის წერილი სალადინისადმი, რომელიც 1185 წლით თარიღდება,[19] ჯვაროსნებთან თამარის შესაძლო მოკავშირეობის საკითხს სავსებით უნდა ხსნიდეს საკვლევი თემების რიგიდან. ამ მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტის შინაარსი, სადაც თამარ მეფე ფიცის სახით პირობას აძლევს სალადინს, რომ იგი (ე.ი. საქართველოს სამეფო) თავს არ დაესხმის სალადინის სამფლობელოებს და მისი მტრების მტერი იქნება, არ ტოვებს არავითარ ეჭვს იმის შესახებ, თუ რა პოლიტიკურ კურსს ატარებდა საქართველო ჯვაროსნული სახელმწიფოების მიმართ და როგორი იყო მისი „მოკავშირეობის" ხასიათი დასავლეთ ევროპელ კათოლიკებთან. უფრო მეტიც, არსებობს მტკიცე არგუმენტაცია იმისა, რომ თავისი მეფობის დასასრულს, თამარ მეფემ ომიც კი დაიწყო ჯვაროსნების წინააღმდეგ.

სურ. 28. გ. დორე.
ალექსი IV ანგელოსის მკვლელობა

როგორც ცნობილია, თამარ მეფის უშუალო ინიციატივითა და ქართული არმიის მონაწილეობით, 1204 წელს დაარსებული იქნა ტრაპიზონის იმპერია.[20] ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ამ აქტით თამარმა შექმნა საქართველოს მფარველობისა და გავლენის ქვეშ მყოფი ბუფერული სახელმწიფო.[21]

1204 წელს თამარ მეფის გეგმები უფრო ამბიციური და მასშტაბური უნდა ყოფილიყო, ვიდრე მხოლოდ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება. ჩვენი აზრით, თამარის მიზანს, არც მეტი არც ნაკლები, კომნენოსთა დინასტიის რესტავრაცია წარმოადგენდა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე, იმ დროს კონსტანტინოპოლში მჯდომ ანგელოსთა დინასტიის ნაცვლად.[22]

ანგელოსთა დინასტიის წინააღმდეგ ომი ჯვაროსნებთან ომსაც ნიშნავდა, რომლებიც ისააკ და ალექსი IV ანგელოსების მოკავშირეებს წარმოადგენდნენ. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის არმიამ 1203 ივლისში აიღო კონსტანტინოპოლი და საიმპერატორო ტახტი ისააკის ძმა ალექსი III ანგელოსისგან დაუბრუნა ისააკსა და ალექსი IV-ს.[23] 1204 წლის თებერვლის დასაწყისში, კონსტანტინოპოლის ტახტი დაიპყრო უზურპატორმა, ალექსი დუკამ (მეტსახელად მურზულფმა), რომელმაც მოინდომა ჯვაროსნების განდევნა ბიზანტიიდან, მაგრამ თავად აღმოჩნდა განდევნილი, რის შემდეგაც, 1204 წლის აპრილში, კონსტანტინოპოლი ჯვაროსნებმა მეორედ აიღეს და დააარსეს კონსტანტინოპოლის ლათინური იმპერია (სურ. 29.).[24]

ასეთი იყო ვითარება ბიზანტიაში, როდესაც თამარ მეფის გადაწყვეტილებით, ქართულ-ბერძნულმა არმიამ 1204 წლის აპრილში (ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების პარალელურად), დაიწყო საბრძოლო მოქმედებები ბიზანტიის ტერიტორიაზე. საბრძოლო მოქმედებების დაწყების დრო, მისი ხასიათი და არმიის მოძრაობის მარშრუტი, აშკარად მიუთითებს ლაშქრობის საბოლოო მიზანზე, კონსტანტინოპოლზე.

ქართულ-ბერძნული არმია (რომლის ძირითადი ნაწილიც თამარის მეომრებისგან იყო დაკომპლექტებული) ბიზანტიისკენ დაიძრა ორი მიმართულებით, სახმელეთო გზით ტრაპიზონ-სინოპის, ხოლო საზღვაო გზით, პაფლაგონია-ბითვინიისკენ.[25] სახმელეთო გზით წასულმა არმიამ ალექსი კომნენოსის მეთაურობით 2004 წლის ზაფხულის განმავლობაში დაიკავა შავი ზღვის სამხრეთ სანაპირო ზოლის მნიშვნელოვანი ნაწილი ტრაპიზონიდან სინოპამდე, ხოლო ამის პარალელურად დავით კომნენოსის მეთაურობით ზღვით გადასხმული მეორე არმიის ხელში აღმოჩნდა პაფლაგონია და ბითვინიის ჩრდილოეთ ნაწილი მათი ცენტრალური ციხე-სიმაგრეებით, ირაკლიით, ამასტრიით, კრომნით და კიტორით. შავი ზღვის სანაპირო ზოლის სიგრძე, რომელიც 1204 წლისთვის დაიკავა თამარისა და კომნენოსების არმიამ, 1000 კილომეტრს აჭარბებდა, რაც თითქმის ორჯერ მეტია 1214 წლის შემდგომი ტრაპიზონის იმპერიის კუთვნილ სანაპირო ზოლზე.[26]

სურ. 29. გ. დორე.
ჯვაროსნები კონსტანტინოპოლში

აღნიშნული ტერიტორიების დაკავებით კომნენოსები (ე.ი. თამარ მეფე), მჭიდროდ მიუახლოვდნენ ბოსფორის სრუტეს, რომელსაც მხოლოდ ნიკომედია და მისი ოლქი აშორებდათ. ნიკომედიის ხელში ჩაგდება უკვე 2005 წელს სცადა დავით

კომნენოსმა,[27] მაგრამ ამ დროისთვის ვითარება უკვე რადიკალურად იყო შეცვლილი, რის გამოც ეს მცდელობა მარცხით დამთავრდა.

კომნენოსებისა და თამარ მეფის ლაშქრობა ბიზანტიაში, რომლის ბაზაც მხოლოდ საქართველო იყო, არ შეიძლებოდა მომზადებულიყო ერთი-ორი თვის განმავლობაში, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გადაწყვეტილება კომნენოსთა დინასტიის რესტავრაციაზე და ლაშქრობის ორგანიზებაზე მიღებულ იქნა წინა წელს, ჯვაროსნების მიერ საიმპერატორო ტახტზე ისააკ და ალექსი IV ანგელოსების აღდგენის შემდეგ (2003 წლის აპრილის შემდგომ), რაც იმასაც ნიშნავს, რომ 2004 წლის აპრილისთვის სამხედრო მოქმედებების დაწყება დაგეგმილი იყო ანგელოსთა ბიზანტიისა და მათი მოკავშირე ჯვაროსნული არმიის წინააღმდეგ, მაგრამ აპრილიდან განვითარებულმა მოვლენებმა პროცესის დინამიკა სავსებით შეცვალა და ბიზანტიის ტერიტორიებზე შესულ ქართულ-ბერძნულ არმიას გზაზე ჯვაროსანთა ნაცვლად სხვა მოწინააღმდეგე გადაეღობა.[28]

ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ ბიზანტიაში მძლავრი ანტილათინური მოძრაობა გამოიწვია, რომელსაც სათავეში თეოდორ ლასკარისი ჩაუდგა. ლასკარისის მეთაურობით, 2004 წლის აპრილ-მაისში, კონსტანტინოპოლის დაკარგვის შემდგომ, დაარსდა ნიკეის იმპერია, სადაც კონცენტრირებული აღმოჩნდა ბიზანტიის იმპერიის მებრძოლი ნაწილი.[29]

ნიკეის იმპერიის დაარსება სრულიად მოულოდნელ და გაუთვალისწინებელ ფაქტორს წარმოადგენდა საქართველოს მეფის გეგმებისთვის. იგი გადაულახავ ბარიერად აღიმართა ქართულ-ბერძნული არმიის წინაშე, რომელიც ნიკეის იმპერიის ფორმირების პროცესში უკვე ახორციელებდა წარმატებულ მარშს კონსტანტინოპოლისკენ.

ნიკეის ფაქტორის გამოჩენის შემდეგ უკვე ცხადი იყო, რომ საქართველოს სამეფოს მიზნების ბოლომდის განხორციელება შეუძლებელი ხდებოდა, რის შემდეგაც თამარი აშკარად დაკმაყოფილდა ტრაპიზონის იმპერიის ფორმირებით, ხოლო დავით კომნენოსმა დამოუკიდებლად გააგრძელა ბრძოლა ნიკეის წინააღმდეგ, რომელიც საბოლოოდ (1214 წელს) მისი დამარცხებით დამთავრდა.[30]

რასაკვირველია იმ პირობებში, როდესაც თამარ მეფემ დაგეგმა და ფაქტიურად, დაიწყო კიდეც საბრძოლო მოქმედებები ჯვაროსანთა წინააღმდეგ, პოლიტიკურ მოკავშირეობაზე საუბარი ჯვაროსნებსა და საქართველოს შორის თამარის მეფობისას, არარეალური უნდა იყოს. მით უფრო მიუღებელი უნდა იყოს საუბარი ჯვაროსნებთან პოლიტიკურ მოკავშირეობაზე დავით აღმაშენებელის დროს, როდესაც ამისთვის არ არსებობდა არავითარი ობიექტური პირობები, ხოლო ის ისტორიული არგუმენტაცია, რასაც ამ კავშირის სასარგებლოდ მიუთითებენ, სუსტი და თითქმის ხელოვნურია.[31]

როგორც აღვნიშნეთ, დავითისა და ჯვაროსნების სამხედრო-პოლიტიკური „მოკავშირეობის" უმთავრეს მტკიცებულებად მიიჩნევა მათე ურჰაელისა და ვალტერ გოტიეს მიერ მოხსენიებული „ფრანგები," რომლებიც ქართულ ისტორიოგრაფიაში აქსიომატურად ჯვაროსნებთან არიან გაიგივებულნი, რაც, თავის მხრივ, რამდენიმე შემდგომი მცდარი დასკვნის საფუძველი გახდა საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობის შესახებ დავით აღმაშენებლის ხანაში.[32]

ასეთი ინტერპრეტაციის უმთავრეს არგუმენტს წარმოადგენს მეომართა ამ ჯგუფის „ფრანგებად" მოხსენიება, რის გამოც (თითქმის ავტომატურად) ისინი ჯვაროსნებად ითვლებიან. აღმოსავლური სამყარო „ფრანგებს" (უფრო ზუსტად, „ფრანკებს,"

სურ. 30. ა. მაკბრაიდი. ფრანკი მეომარი

არაბული შესატყვისი „FARANJ") უწოდებდა თითქმის ყველა დასავლეთ ევროპელს (ფრანგს, ინგლისელს, იტა-ლიელს, გერმანელსა და ა.შ.), მათ შორის ჯვაროსნებსა და არა ჯვაროსნებსაც, რითაც აღნიშნავდნენ მათ დასავლეთ ევროპელობას და არა „ჯვაროსნობას." დასავლეთ ევროპელის, როგორც ჯვაროსნის, ასევე არა ჯვაროსნის აღსანიშნავად, „ფრანკთან" ერთად სხვა ტერმინებიც, „ლათინი" და „კელტი" გამოიყენებოდა. მაგალითად, XI საუკუნის შუახანებისთვის ბიზანტიური წერილობითი წერილობითი წყაროები თუ იმპერიის ოფიციალური დოკუმენტაცია დასავლეთ ევროპელებს მხოლოდ ორი სახელით იხსენიებდა: ვარანგებად, რომელშიც გულისხმობდნენ ყველა სკანდინავიელს, და ფრანკებად ან ლათინებად, რომელშიც ყველა სხვა დასავლეთ ევროპელი ერთიანდებოდა.[33] მოგვიანებით დასავლეთ ევროპელის აღმნიშვნელად დამკვიდრდა კელტიც. ამ ტერმინს, ძირითადად, ანა კომნენოსი ხმარობდა (მის თხზულებაში დასავლეთ ევროპელის აღმნიშვნელად ტერმინი კელტი გამოყენებულია 196-ჯერ, ლათინი 101-ჯერ, ხოლო ფრანკი 34-ჯერ),[34] სხვა წყაროები კი (კეკავმენი, ნ. ვრიენოსი) დასავლეთ ევროპელებს უფრო მეტად ფრანკებად იხსენიებენ.[35]

ტერმინი „ფრანკი" და თავად ფრანკები (ე.ი. ზოგადად დასავლეთ ევროპელები), აღმოსავლურმა სამყარომ ჯვაროსნების გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე გაიცნო, როდესაც ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან წამოსულმა მოქირავნე მეომრებმა (სურ. 30.) X საუკუნის მიწურულიდან მასიურად დაიწყეს მოზღვავება აღმოსავლეთის ქვეყნებში. ასეთი ფრანკებით („ფრანგებით"), რომელთაც არავითარი კავშირი არ გააჩნდათ არც ჯვაროსნულ მოძრაობასთან და არც ჯვაროსანთა სახელმწიფოებთან და მხოლოდ ქვეყნიდან ქვეყანაში მოსიარულე, იღბლისა და სამხედრო სამსახურის მაძიებელ, ჩვეულებრივ მოქირავნეებს წარმოადგენდნენ, სავსე აღმოჩნდა მთელი რიგი ქვეყნები, პირველ რიგში კი, ბიზანტია.

ბიზანტიაში დასავლეთ ევროპელ მოქირავნეთა მასიური გამოყენება გამოიწვია იმპერიის ძველი სამხედრო-ორგანიზაციული (ფემური) სისტემის კრიზისმა, რომელიც ბასილი II-ის მმართველობის შემდეგ სწრაფად განვითარდა. ასეთ პირობებში მოქირავნეებმა სწრაფად შეავსეს არა მარტო მეომართა, არამედ ბიზანტიური არმიის მაღალი რანგის მეთაურთა რიგებიც და მნიშვნელოვანი როლის შესრულება დაიწყეს იმპერიის როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკურ ასპარეზზეც. წერილობითი წყაროების მიხედვით, XI საუკუნის შუახანებისთვის ბიზანტიურ არმიაში არანაკლებ 15 მაღალი რანგის „ფრანკი" მხედართმთავარი მსახურობდა,

ალექსი კომნენოსის დროს კი თორმეტი,[36] ხოლო რიგით „ფრანკ" მოქირავნეთა რიცხვი ათასობით იზომებოდა.

ბიზანტიაში (ისევე როგორც მთელ აღმოსავლეთში) მყოფ „ფრანკთა" ეროვნული შემადგენლობა იყო ძალიან ჭრელი. მაგალითად, ბასილი II-ს დროს, მოქირავნეთა მაღალი რანგის მეთაური იყო გერმანელი პეტრე, რომან დიოგენის არმიაში მსახურობდა იტალიელი რობერტ კრისპინი (რომელიც მანამდის ესპანეთსა და სიცილიაში იბრძოდა), ალექსი კომნენოსის თანამედროვეები იყვნენ ნორმანდიელი რუსელი, გერმანელი ოტონი, ფრანგი როჯერი და ა.შ. ყველა ეს მოქირავნე, მიუხედავად მათი ეროვნებისა, ბიზანტიელებისთვის „ფრანკები" იყვნენ და მათ ასეც იხსენიებდნენ (ფრანკი პეტრე, ფრანკი კრისპინი, ფრანკი რუსელი და ა.შ.).[37]

ფრანკი მოქირავნე მხედართმთავრები თავიანთ კონტინგენტებთან ერთად, სამხედრო სამსახურის გვერდით პერიოდულად დიდ პრობლემებსაც უქმნიდნენ ბიზანტიელებს. ისინი ერეოდნენ პოლიტიკურ პროცესებში, მონაწილეობდნენ შეთქმულებებში, ღიად გამოდიოდნენ ბიზანტიის ხელისუფლების წინააღმდეგ. იყო შემთხვევები, როდესაც ისინი (მაგ. რუსელი) ბიზანტიის ტერიტორიაზე სახელმწიფო ერთეულების დაარსებასაც კი ცდილობდნენ. რასაკვირველია, ყველა ასეთი შემთხვევა, მოქირავნეთა წინააღმდეგ ბრძოლით და ან მათი განადგურებით, ან ქვეყნის ტერიტორიებიდან განდევნით მთავრდებოდა, რის შემდეგაც ისინი უკვე სხვა ქვეყნებში ცდილობდნენ დამქირავებლების პოვნას.

ფრანკი მოქირავნეები არცთუ იშვიათად ჩნდებოდნენ მუსლიმთა სამსახურშიც,[38] რამაც მოგვიანო პერიოდებში (ჯვაროსნული ომების დროს) როგორც ჩანს, საკმაო პრობლემა შეუქმნა კათოლიკურ ხელისუფლებს, რის გამოც რომის კურია სხვადასხვა რელიგიური სასჯელებით ემუქრებოდა ამ კატეგორიის „ფრანკ" მეომრებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთში მოქირავნეთა ნაკადი არ შემცირებულა, სადაც ისინი სხვადასხვა არმიების შემადგენლობაში ყოველგვარი „სინდისის ქენჯნის" გარეშე, საკმაოდ ხშირად იბრძოდნენ თავისი თამამძმეების, ჯვაროსანი „ფრანკების" წინააღმდეგაც. მაგალითად, მოგვიანო ხანის ნიკეის იმპერიის არმიაში საკმაოდ ბევრი იყო მოქირავნე „ფრანკი," რომელთა მეშვეობითაც ნიკეის იმპერატორები უპირისპირდებოდნენ „ფრანკ" ჯვაროსნებს.[39]

ფრანკი მოქირავნეების მაღალ ბრძოლისუნარიანობაზე დიდი მოთხოვნილებისა და მათი სამოქმედო ფართო გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით, არ შეიძლება არსებობდეს რაიმეს ეჭვი იმის თაობაზე, რომ დასავლეთ ევროპელ მეომრებს საქართველოშიც ქირაობდნენ, რის შესახებაც წერილობით წყაროებშიცაა რიგი ცნობები დაცული. მაგალითად, ალ-ჰუსაინის მიხედვით, „ფრანკი" მოქირავნეები საქართველოს არმიის შემადგენლობაში ჯერ კიდევ 1068 წელს, ბაგრატ IV-სა და ალფ-არსლანის ომების დროს იბრძოდნენ და არმიის ყველაზე ბრძოლისუნარიან ძალასაც წარმოადგენდნენ.[40] ასევე ცნობილია მოქირავნე ვარანგების რაზმის გამოყენების შემთხვევაც.[41] ამ მაგალითებიდან კარგად უნდა ჩანდეს, რომ ქართულ არმიაში ფრანკებისა და ვარანგების დაქირავება, ისეთივე ჩვეულებრივი და სტანდარტული მოვლენა უნდა ყოფილიყო, როგორც ყივჩაღების ან ალანების გამოყენება, განსხვავება შესაძლოა ყოფილიყო მათი დაქირავების ინტენსივობაში. ყივჩაღები და ალანები, როგორც საქართველოს მეზობლად მცხოვრები ხალხები, უფრო ხელმისაწვდომი იქნებოდნენ ქართველი მეფეებისთვის.

ბიზანტიური თუ სომხური წერილობითი წყაროების მიხედვით, ფრანკი მოქირავნეები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იყვნენ კონცენტრირებულნი აღ-

მოსავლეთ ანატოლიისა და სომხეთის ტერიტორიებზე XI საუკუნის შუახანებისთვის, სელჯუკების შემოსევებისას მანციკერტის ბრძოლამდე, რომლის დროსაც მათი კონტაქტი და დაკავშირება საქართველოს სამეფოსთან, სრულიად ბუნებრივი იქნებოდა. ფრანკებს მცირე აზიაში სელჯუკთა ექსპანსიის შემდეგაც ექნებოდათ თავისუფალი კომუნიკაციის შესაძლებლობა საქართველოს სამეფოსთან როგორც სინოპ-ტრაპიზონის რეგიონების, ასევე შავი ზღვის მეშვეობით, რასაც ვერ ვიტყვით ჯვაროსან ფრანკებზე, რომელთა სახელმწიფოებიც დავით აღმაშენებლის ხანაში მუსლიმური ერთეულებით იყვნენ იზოლირებულნი საქართველოსგან და მათი სამხედრო რაზმების ფიზიკური მოხვედრა საქართველოში შეუძლებელი თუ არა, უაღრესად ძნელი იქნებოდა. სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოსა და სირია-პალესტინას შორის მდებარე სელჯუკთა საემიროები არ გაატარებდნენ საქართველოსკენ მიმავალ ჯვაროსანთა მცირერიცხოვან რაზმს (ისევე როგორც ქართულ არმიას სირია-პალესტინის მიმართულებით) და უბრალოდ გაანადგურებდნენ მას. შემოვლითი გზა კი (ხმელთაშუაზღვისა და ბიზანტიის ტერიტორიების გავლით), იმდენად შორი და ძვირი იქნებოდა, რომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაამართლებდა ამ (მხედველობაში გვაქვს დიდგორის ბრძოლაში მონაწილე 200 ფრანკი მეომარი) სიმბოლურ ჟესტს, მას სინამდვილეშიც რომ ჰქონოდა ადგილი.

ეს გარემოებებიც რომ არა, ჯვაროსნებს 1121 წლისთვის ისედაც არ შეეძლოთ მეომართა გამოგზავნა საქართველოში. დიდგორის ბრძოლის წინა, 1119-1120 წლები, მათთვის უმძიმეს პერიოდს წარმოადგენდა. სისხლიან ველზე ილ-ღაზისთან დამარცხების შემდეგ ჯვაროსნულმა სახელმწიფოებმა უაღრესად რთული, ორწლიანი თავდაცვითი სამხედრო კამპანია ჩაატარეს სელჯუკების წინააღმდეგ, რომლის დროსაც ოთხივე ჯვაროსნულ სახელმწიფოში მობილიზებულ მეომართა საერთო რაოდენობა ოდნავ აჭარბებდა 3000-ს და სამხედრო ძალის, თუნდაც პატარა რაზმის ასეთ შორეულ დისტანციაზე გადასროლა, მათ უბრალოდ არ შეეძლოთ. მით უმეტეს ილ-ღაზის წინააღმდეგ, რომლის საქართველოში წასვლაც, ძალიან დიდი შეღავათი იყო ჯვაროსნებისთვის.[42]

უფრო მეტიც, ჯვაროსნები აშკარად იმდენად იყვნენ დაინტერესებულნი ილ-ღაზის საქართველოში გამგზავრებით, რომ იერუსალიმის მეფე ბალდუინ II, ფაქტიურად, მისი ერთგვარი მოკავშირეც კი გამოვიდა ლაშქრობის მომზადებაში, ხოლო ილ-ღაზის საქართველოში ყოფნის პერიოდში მკაცრად იცავდა მასთან დადებული ზავის პირობებს მათ შორის ნეიტრალიტეტის შესახებ. ამ ვითარებაში საქართველოში 200 კაციანი რაზმის გასაგზავნად მას არც მოტივაცია ექნებოდა, არც ინტერესი და არც შესაძლებლობა. ამასთან, ჯვაროსნულ სახელმწიფოებს იგი არ დააყენებდა დამატებითი საფრთხის ქვეშ საქართველოს დახმარებისთვის, რომელიც მას არანაირ პრაქტიკულ შედეგს არ აძლევდა, განსხვავებით ილ-ღაზისთან დადებული ზავისა, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევდა თავისი რესურსები სხვა პრობლემების გადასაწყვეტად გამოეყენებინა.[43] ჯვაროსნები არანაირად იქნებოდნენ დაინტერესებულნი საქართველოში ილ-ღაზის კამპანიის სწრაფი დამთავრებით და ამას ხელს არ შეუწყობდნენ.[44]

ასე, რომ დიდგორის ბრძოლის მონაწილე „ფრანგები", ისტორიული რეალობით, ვითარების ლოგიკითა, თუ წერილობითი წყაროების ჩვენებებით, ჩვეულებრივი დასავლეთ ევროპელი მოქირავნეები უნდა ყოფილიყვნენ და არა ჯვაროსანი რაინდები, რის გამოც, ვფიქრობთ, შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ დასკვნას, რომლის მიხედვითაც „წყაროების (მათე ურჰაელი,

გოტიე) მონაცემები და თვით ჯვაროსნებისა და საქართველოს ურთიერთობის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები უეჭველს ხდიან ჯვაროსნების მონაწილეობას დიდგორის ბრძოლაში."[45]

ჯვაროსნები არც დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობდნენ და არც დავით აღმაშენებლის მოკავშირეებს წარმოადგენდნენ სელჯუკთა წინააღმდეგ ომში.[46]

არმიის ორგანიზაცია, შემადგენლობა და რაოდენობა

როდესაც ლაპარაკობენ და ერთმანეთის არ ესმით, ამზადებენ გონგებსა და ბარაბნებს. როდესაც ერთმანეთს ვერ ხედავენ, ამზადებენ დროშებსა და შტანდარტებს. გონგები, ბარაბნები, დროშები და შტანდარტები აერთიანებენ მეომრების ყურებსა და თვალებს.
სუნ-ძი.

ამგვარად, თუ ჩვენ „გავთავისუფლდებით" დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის 40 ათასიანი ციფრის „სიმძიმისგან" და ქართული ისტორიოგრაფიის აპრიორული დასკვნებისგან, ყივჩაღთა 40 ათასიანი მუდმივი არმიის არსებობისა და დიდგორის ბრძოლაში ჯვაროსანი რაინდების მონაწილეობის შესახებ, იმდროინდელი ქართული არმიის ორგანიზაციის, შემადგენლობისა და რაოდენობის განსაზღვრა სულ სხვა, ეპოქის დროინდელი მასშტაბებით შეგვეძლება.

მუდმივი არმიების არ არსებობის პირობებში, როდესაც სახელმწიფოს არ ჰქონდა გარანტირებული შესაძლებლობა სასურველი რაოდენობის საველე არმიის ნებისმიერ დროს გამოყვანის, მუდმივი საგარნიზონო სამსახურის წარმოებისა და სხვა სახის სამხედრო სამსახურის გაწევისა, სახელმწიფოსთვის აუცილებელი სამხედრო ფუნქციების შესრულება სამი კომპონენტის გამოყენებით ხდებოდა.

ეს კომპონენტები იყო ფეოდალური ლაშქარი, რომლის შეკრება და გამოყენება მხოლოდ გარკვეული პერიოდულობით იყო შესაძლებელი; მეფის პირადი გვარდია, რომელიც მუდმივად იარაღის ქვეშ იდგა, მაგრამ მისი რაოდენობა იყო შეზღუდული და მოქირავნეები, რომელთა რაოდენობა და სამსახურის ხანგრძლივობა მთლიანად დამქირავებლის ფინანსურ შესაძლებლობებზე იყო დამოკიდებული.

ეს იყო სამხედრო ორგანიზაციის ძირითადი ფორმა (გარკვეული ვარიაციებით) იმდროინდელ ფეოდალურ სამყაროში და ასეთი კომპლექტაციის მქონე არმია გააჩნდა საქართველოსაც.

ფეოდალური არმია (ქართული წყაროების „სამეფო სპა"). დავით აღმაშენებლის არმია იყო ფეოდალური ეპოქის ტიპიური პროდუქტი, სადაც სამხედრო სამსახური მხოლოდ მაღალი სოციალური ფენების (ქართული წყაროების ერისთავნი, აზნაურნი, ტაძრეულნი და მსახურნი)[1] მოვალეობა, უფლება და პრეროგატივა იყო. რამდენადაც ფეოდალური არმია გროვდებოდა ფეოდალურ-ტერიტორიალურ ერთეულებში მცხოვრები, მაღალი სოციალური ფენებიდან და არა გლეხობიდან, ამდენად ტერიტორიული ერთეულების შესაძლო რაოდენობიდან გამომდინარე, ადამიანური რესურსები სამხედრო სამსახურისთვის გარკვეულ ფარგლებში იქნებოდა მოქცეული.

სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით არც სამეფო და არც ფეოდალური დომენების ზუსტი რაოდენობა, რაც არსებული სამობილიზაციო შესაძლებლობების დაახლოებითი გათვლის საშუალებას მოგვცემდა, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა იმ მასშტაბის, რომ 60-100 ათასიანი ძალის მობილიზება შესაძლებელი გამხდარიყო. ქართული წერილობითი წყაროების არაერთგზისი მითითებები, რომ „მეფემ მოუწოდა ერისთავთა და აზნაურთა", აჩვენებს იმას, რომ საქართველო-ში არმიის შეკრება ისეთივე სტანდარტებით ხდებოდა, რაც დამახასიათებელი იყო ზოგადად ფეოდალური სისტემებისთვის. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენთვის უცნობია სამობილიზაციო რესურსების მასშტაბები ამ გზით კონკრეტული (ამ შემთხვევაში, დიდგორის) ბრძოლის დროს გამოყვანილი არმიის რაოდენობის ზუსტად გარკვევა ძალიან ძნელია (ალბათ, შეუძლებელიც), მით უმეტეს, რომ ფეოდალური არმია ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სხვადასხვა სიდიდის იქნებოდა, რასაც მრავალი ფაქტორი განაპირობებდა (მეფის ხელისუფლების სიძლიერე, ცალკეულ ფეოდალთა ინტერესები ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, არმიის შეკრებისთვის საჭირო დროის მოცულობა, შეკრების პერიოდი და ა.შ.).[2]

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილიყო ფეოდალური არმიის რაოდენობის მეტნაკლები სტაბილურობა, საჭირო იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლება, რომლის არსებობის პირობებშიც ნებისმიერი ფეოდალური ერთეული იძულებული იქნებოდა გამოეყვანა მეომართა შედარებით მაქსიმალური რაოდენობა. დავით აღმაშენებლის დროს ასეთი მდგომარეობა აშკარად მიღწეული იყო (და სწორედ ეს წარმოადგენდა სამხედრო რეფორმის მთავარ არსს და მიღწევას და არა თითქოსდა მუდმივი არმიის შექმნა), რაც იმას ნიშნავს, რომ მეფეს ექნებოდა შესაძლებლობა მაქსიმალურად ესარგებლა სამეფოს სამობილიზაციო რესურსებით, მაგრამ იმ პირობებში, როდესაც არ გაგვაჩნია დაახლოებითი ციფრიც კი სამობილიზაციო რესურსების ოდენობაზე, უმჯობესია, ისევ მოცემული ეპოქის პარალელებს მივმართოთ და მათზე დაყრდნობით შევეცადოთ დიდგორის ბრძოლის მონაწილე ქართული ფეოდალური არმიის დაახლოებითი სიდიდის განსაზღვრას.

—დავით აღმაშენებელის თანამედროვე ბიზანტიის იმპერიის სამობილიზაციო შესაძლებლობები ძალიან მაღალი, რამდენიმე ასეული ათასი ადამიანი იყო. მიუხედავად ამისა, ბიზანტიის იმდროინდელმა იმპერატორმა, ალექსი კომნენოსმა ვერც ერთხელ შესძლო 20 ათასიანზე მეტი რაოდენობის მქონე საველე არმიის ბრძოლის ველზე გაყვანა, ხოლო X-XII საუკუნეების განმავლობაში ბიზანტიის იმპერიის საველე არმიის სიდიდე არასოდეს აჭარბებდა 30 ათასს.[3]

—სახელმწიფოებრივი მასშტაბების, ფეოდალურ-ტერიტორიული ერთეულების (თურქული „იქტების") და საერთო ადამიანური რესურსების (მომთაბარეთა ჩათვლით) რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე მაღალი სამობილიზაციო რესურსები გააჩნდათ სელჯუკებს (როგორც იყო აღნიშნული, ქამალ ადდინი, სულთან მალიქ-შაჰის ინდოეთიდან კონსტანტინოპოლამდე განფენილი იმპერიის შესაძლებლობებს 400 ათასში მიუთითებდა),[4] მაგრამ მიუხედავად ამისა, როგორც ეს უკვე იყო განხილული (იხ. II თავის ქვეთავი, „პოლიტიკურ ძალთა ბალანსი XI-XII საუკუნეების მიჯნაზე." შენ. 8), სელჯუკური არმიები არ იყვნენ ისეთი გრანდიოზული მასშტაბების, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობდნენ რიგი ისტორიული წყაროები. რასაკვირველია, არაფრით შეიძლება „ურიცხვი არმიის სტატუსი" მიეცეს ყილიჩ-არსლანის 10 ათასიან არმიას,[5] ალეპოს საემიროს 5 ათას მეომარს,[6] ხუთი საემიროს 12 ათასიან კოალიციას,[7] ან კიდევ სალადინის 20 ათას

მებრძოლს.[8]

—კიდევ უფრო დაბალი იყო დასავლეთ ევროპულ სახელმწიფოთა არმიების მასშტაბები, სადაც ერთად თავმოყრილი სამი, ოთხი და ხუთი ათასი მეომარი, უკვე შთამბეჭდავ არმიას წარმოადგენდა. მაგალითად, XI საუკუნის ბოლო მეოთხედის ინგლისის სამეფოს (გაერთიანებული ინგლის-ნორმანდიის) სამობილიზაციო შესაძლებლობა 6 ათასი რაინდი (ქვეით მეომრებთან ერთად დაახლოებით 20-25 ათასი) იყო, რა პირობებშიც ვერც ინგლისის მეფე ვილჰელმ დამპყრობელი (1066-1087 წწ.) და ვერც მისი მემკვიდრეები ახერხებდნენ 10 ათასიანზე უფრო დიდი არმიის შეკრებას.[9] უფრო მცირეა ციფრები იმ ძალებისა, რითაც ნორმანებმა დაიპყრეს სიცილია. როჯერ სიცილიელს კუნძულზე გადასვლისას თან ახლდა 160 რაინდი, რომელთა რაოდენობაც მოგვიანებით 700-მდე გაიზარდა. ხოლო ნორმანთა მაქსიმალური ძლიერების ხანაში, როდესაც ნორმანი ჰერცოგი, რობერტ გვისკარი ცდილობდა ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიების დაპყრობას ბალკანეთში, მისი არმიის სიდიდე 15 ათას მეომარს უახლოვდებოდა.[10]

აღნიშნული მაგალითებისა და იმ საერთო ფონის გათვალისწინებით, თუ რა სიდიდის სამხედრო ძალები მონაწილეობდნენ იმდროინდელ ეპოქალურ მოვლენებში, საქართველოს სამეფოს საველე არმიის სიდიდის განსაზღვრა 60 (ხოლო მთლიანად, 80-100) ათასი მეომრის ფარგლებში, აბსოლუტურად მიუღებელია. ეპოქის მასშტაბები, იმის მიუხედავად, რა ციფრებსაც არ უნდა იძლეოდნენ სხვადასხვა დროის ისტორიულ ქრონიკათა ავტორები, იმის მტკიცებას, რომ საქართველოს სიდიდის მქონე ქვეყანას შეეძლო 60, 80 და უფრო მეტ ათასიანი არმიის შეკრება, დაუჯერებელს ხდის. იმ დროს, როდესაც დავით აღმაშენებლის თანამედროვე გიგანტი სახელმწიფოები, მიუხედავად უდიდესი სამობილიზაციო შესაძლებლობებისა, ვერ ახერხებდნენ 20-30 ათასიანზე უფრო დიდი საველე არმიების ორგანიზებას, საქართველოს მეფეს, რომლის განკარგულებაშიც ბიზანტიისა თუ სელჯუკების იმპერიებთან შედარებით ბევრად ნაკლები რესურსი იყო, ასეთი სიდიდის არმია არ ეყოლებოდა. საქართველო არ შეიძლებოდა ყოფილიყო ეპოქის მასშტაბებიდან ამოვარდნილი, ქართველ მეფეებს რომ შესძლებოდათ ამხელა სამხედრო ძალის მოგროვება, საქართველოს ადგილი პოლიტიკურ რუქაზე დღეისთვის, შეიძლება სულ სხვა სახით ყოფილიყო წარმოდგენილი.

არმიის სიდიდე მთლიანად დამოკიდებული იყო ქვეყნის სოციალურ სისტემაზე და არა მოსახლეობის საერთო რიცხვზე.[11] მაგალითად, ინგლის-ნორმანდიის გაერთიანებული სამეფოს სამობილიზაციო შესაძლებლობები, სამეფოს 1,5-2,0 მილიონი მოსახლეობის არსებობის პირობებში, იყო 20-25 ათასი მეომარი,[12] ხოლო ბიზანტიის იმპერიის 19 მილიონიან მოსახლეობაზე,[13] მისი ძლიერების ზენიტშიც კი, როგორც იყო აღნიშნული, მხოლოდ 120-140 ათასი მეომარი მოდიოდა, რის მიხედვითაც გამოდის, რომ ფეოდალურ სისტემაში, მოსახლეობის საერთო რაოდენობის მხოლოდ 1,0 პროცენტი შეიძლებოდა ყოფილიყო სამხედრო ვალდებული, საიდანაც მეომართა სრული მობილიზება, პრაქტიკულად, არასოდეს ხდებოდა და რეალურად, კონკრეტულ შემთხვევებში, მხოლოდ მოსახლეობის 1 პროცენტზე ნაკლები დგებოდა იარაღის ქვეშ.

როგორც ზემოთ აღნიშნული (ბიზანტიის, სელჯუკების, ინგლისის და ა.შ.) მაგალითები აჩვენებენ, თვით ძლიერი მონარქებისა და მყარი ცენტრალური ხელისუფლების არსებობის პირობებშიც კი თითქმის არასდროს ხდებოდა სამობილიზაციო რესურსის 30-40 %-ზე მეტი მაჩვენებლის რეალიზება, რაც იმას ნიშნავს, რომ

სამხედრო ვალდებულთა რაოდენობა, როგორც წესი, თითქმის ყოველთვის ორი-სამჯერ აჭარბებდა რეალურად იარაღის ქვეშ მყოფთა რაოდენობას.[14]

დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ჩვენთვის უცნობია, სამაგიეროდ, ცნობილია მონღოლთა აღწერის შედეგები XIII საუკუნის შუა ხანებისთვის, რომლის მიხედვითაც, საქართველოს სამეფოს უნდა ჰყოლოდა 4,5-5,0 მილიონი მოსახლეობა და მონღოლური სამხედრო ორგანიზაციის სტანდარტების მიხედვით, 90 ათასიანი სამობილიზაციო რესურსი. თუ ჩვენ ამ მაჩვენებლებს გამოვაკლებთ დავით აღმაშენებლის მემკვიდრეების მიერ სამეფოსთვის შემატებულ ტერიტორიებსა და ამ ტერიტორიების მოსახლეობის სავარაუდო ციფრს, დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს მოსახლეობის შესაძლო რაოდენობად, შეცდომის არცთუ ისე დიდი ალბათობით, დაახლოებით, 3 მილიონს მივიღებთ.[15]

სამი მილიონი მოსახლეობისა და ფეოდალური სისტემის არსებობის პირობებში, საქართველოს სამობილიზაციო რესურსი 1,0 პროცენტიანი მაჩვენებლის მიხედვით, დაახლოებით 30 ათასი მეომარი უნდა ყოფილიყო, ხოლო რეალურად შეკრებილი არმიის სიდიდეს, ყველა კანონზომიერების გათვალისწინებით მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში შეიძლებოდა მიეღწია, დახლოებით, 15-20 ათასისთვის.

ჩვენის აზრით, ეს ციფრები, რომლებიც სავსებით შეეფერებიან ეპოქის მასშტაბებს, წარმოადგენდნენ კიდეც დავით აღმაშენებლის ძირითად სამხედრო შესაძლებლობას სელჯუკთა წინააღმდეგ ომში, რასაც დაემატებოდა გვარდიისა და მოქირავნეთა გარკვეული სიდიდის კონტიგენტები.

გვარდია (ქართული წყაროების „მონასპა"). გვარდიული სამხედრო ნაწილების ისტორიის სათავე ადრე ანტიკურ პერიოდშია, როდესაც გამოჩნდნენ აქემენიდი მეფეების „უკვდავები"[16] და ალექსანდრე მაკედონელის „ჰეტეირები,"[17] როგორც მონარქთა პირად განკარგულებაში მყოფი, პირველი კლასიკური გვარდიული კონტიგენტები. მოგვიანებით შეიქმნა რომაული პრეტორიანული გვარდია, რომელიც უკვდავებისა და ჰეტეირებისგან განსხვავებით, არა რეალურ საბრძოლო დანაყოფს, არამედ ერთგვარ ძალაუფლების სიმბოლოს წარმოადგენდა რომის იმპერატორებისთვის.[18]

რომის იმპერიის დაშლის შემდეგ გვარდიული ნაწილების რეანიმაციის პროცესი დაიწყო მუსლიმურ ქვეყნებში IX საუკუნის დასაწყისისთვის, როდესაც პირველი გვარდიული დანაყოფი თურქი მომთაბარე მეომრებისგან შექმნეს აბასიდმა ხალიფებმა. დროის მოკლე მონაკვეთში გვარდიული ნაწილების შექმნის ტრადიცია მთელ მუსლიმურ სამყაროში გავრცელდა, რის შედეგადაც გაჩნდნენ სელჯუკთა გულიამების, ფატიმიდ-აიუბიდთა მამლუქების, ხოლო მოგვიანებით ოსმალების იანიჩართა ცნობილი გვარდიები.[19]

შუასაუკუნეების დროინდელი აღმოსავლური ტიპის გვარდიული ნაწილები, თითქმის გამონაკლისის გარეშე, მონა-მეომრებისგან იყვნენ დაკომპლექტებულნი, რომელთა მაღალი ბრძოლისუნარიანობაც, სწავლებისა და სამხედრო მომზადების მრავალწლიანი სისტემით მიიღწეოდა. გვარდიული კონტინგენტების ღირებულება, გარდა მაღალი საბრძოლო პოტენციალისა, მათ მუდმივ სამხედრო სამსახურშიც გამოიხატებოდა, რასაც ფეოდალური გაწვევის სამხედრო ორგანიზაციის არსებობის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდა. ისინი წარმოადგენდნენ იმდროინდელი არმიების ბირთვს და მათ სიუზერენთა ძირითად

დასაყრდენ სამხედრო ძალას შიდა პოლიტიკურ პროცესებში.

სხვადასხვა ქვეყნების გვარდიულ ნაწილებს გააჩნდათ ერთი საერთო კანონზომიერებაც: დაკომპლექტების მსგავსი სისტემა და შენახვის დიდი ხარჯები (ამ კატეგორიის მეომრები სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე იმყოფებოდნენ და ყოველთვიური გასამრჯელოც ეძლეოდათ), რაც მათ რიცხობრივ რაოდენობას გარკვეულ ფარგლებში აქცევდა და არ იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ ისინი ჩანაცვლებოდნენ ფეოდალურ არმიებს. მაგალითად, ასეთი მცდელობა იყო აბასიდი ხალიფების თურქული გვარდიის მიმართ, რომელიც თავდაპირველად 4000 მეომარს შეადგენდა, ხოლო IX-X საუკუნეების მანძილზე რამდენიმე ათეულ ათასამდე გაიზარდა, რის შემდეგაც ხალიფატის ერთიანობასა და ხალიფების ერთპიროვნულ ძალაუფლებას თავად მან შეუქმნა საფრთხე. XI საუკუნის II ნახევარში აბასიდების თურქული გვარდია ისევ 4000 მეომრის ოდენობაზე იყო ჩამოსული.[20]

XI-XII საუკუნეებისთვის გვარდიული ნაწილების რიცხობრივი რაოდენობა ერთგვარ „სტანდარტიზაციას" იყო დაქვემდებარებული, რომლის მიხედვითაც მათი სიდიდე 3-5 ათასს მხოლოდ ისეთ დიდ და ძლიერ სახელმწიფოებში აღწევდა, როგორებიც იყვნენ აბასიდთა და ფატიმიდთა ხალიფატები და სელჯუკების იმპერია. სხვადასხვა საემიროების გვარდიული ნაწილების რიცხობრივი რაოდენობები კი რამდენიმე ასეულიდან 2000-მდე მერყეობდა.[21]

IX-X საუკუნეებიდან გვარდიული ნაწილების შექმნის ტრადიციამ გავრცელება დაიწყო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში, პირველ რიგში, ბიზანტიის იმპერიაში, სადაც ჩამოყალიბდა „ვარანგების" ცნობილი გვარდია. მუსლიმური სამხედრო კონტინგენტებისგან განსხვავებით, „ქრისტიანული" გვარდიები მოქირავნეებით იყო დაკომპლექტებული. მაგალითად, იგივე ვარანგების გვარდია მხოლოდ სკანდინავიელი და სლავი მეომრებისგან შედგებოდა.[22]

დასავლეთ ევროპაში, პირველი გვარდიული კონტინგენტი საფრანგეთში გამოჩნდა, როდესაც ჯვაროსნული ლაშქრობიდან დაბრუნებულმა მეფე ფილიპე-ავგუსტმა (შესაძლოა, აღმოსავლური შთაბეჭდილებების გავლენით) შექმნა ასეთი სამხედრო დანაყოფი. მოგვიანებით ეს ტრადიცია გავრცელდა სხვა ევროპულ სახელმწიფოებშიც.[23]

საერთო „მუსლიმურ" და „ქრისტიანულ" გვარდიებს შორის იყო მათი მცირერიცხოვნობა, მაღალი ბრძოლისუნარიანობა და შენახვის სიძვირე.

შუა საუკუნეების როგორც მუსლიმურ, ასევე ქრისტიანულ სამყაროებში, გვარდიული ნაწილების გავრცელება და პოპულარობა ძირითადად განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ მუდმივი არმიების არარსებობის პირობებში ნაწილობრივი კომპენსირება მაინც მომხდარიყო სამხედრო ძალაზე იმ არსებული მოთხოვნილებისა, რისი დაკმაყოფილების შესაძლებლობაც არსებულ ფეოდალურ სისტემას არ გააჩნდა. ამის გამო, გვარდია იყო იმდენად არა სიუზერენის პირადი დაცვის რაზმი (თუმც, ისინი ამ ფუნქციასაც ასრულებდნენ), არამედ ცენტრალური ხელისუფლების საყრდენი ინსტიტუტი და მუდმივად მის განკარგულებაში მყოფი მნიშვნელოვანი სამხედრო კონტინგენტი, რომელსაც ძალუძდა მნიშვნელოვანი სამხედრო ამოცანების შესრულება როგორც გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე შიდა სახელმწიფოებრივი დაპირისპირებებისას.

იმდროინდელ გვარდიულ ნაწილებს, მათი სახელმწიფოებრივი თუ რელიგიური კუთვნილების მიუხედავად, ჰქონდათ ერთი საერთო კანონზომიერებაც, ისინი

ძირითადად უცხოელი მეომრებით კომპლექტდებოდნენ, რისი მიზეზიც შემდეგი იყო: უცხოელ მეომარს არ ჰქონდა შიდა სახელმწიფოებრივ სიტუაციებში მონაწილეობის მოტივაცია, რაც სტაბილური ანაზღაურების პირობებში უზრუნველყოფდა მის ერთგულ სამსახურს დამქირავებელი სიუზერენისადმი. ამასთან, ფეოდალურ გაწვევას დაქვემდებარებული ადგილობრივი მეომრის გვარდიელის კატეგორიაში გადაყვანა, საკმაოდ რთული პროცედურა იყო. მეომარი, რომელსაც ომის, ან მშვიდობის დროს განსაზღვრული პერიოდულობით უნდა ემსახურა არმიაში, დამატებითი მოტივაციის გარეშე არ იყო დაინტერესებული ხანგრძლივი სამხედრო სამსახურით, რის გამოც გვარდიელები (ე.ი. მუდმივად სამსახურში მყოფი მეომრები), თითქმის ყველგან უცხოელები იყვნენ. ამ ლოგიკით, დავით აღმაშენებლისთვის ყივჩაღები, თითქოსდა იდეალური კონტინგენტი იქნებოდნენ გვარდიის დასაკომპლექტებლად დაეს, შეიძლება, ასეც ყოფილიყო. როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობა, ასევე ოტრაკისა და ყივჩაღთა ერთი ნაწილის მეფის სიკვდილის შემდეგ დონის სტეპებში დაბრუნება, ასეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, ნამდვილად იძლევა.[24]



სურ. 31. ა. მაკბრაიდი. მძიმედ შეიარაღებული ყივჩაღი მეომარი

თუ ყივჩაღები ნამდვილად შედიოდნენ მეფის გვარდიაში, მაშინ ისინი მძიმედ შეიარაღებული მეომრები უნდა ყოფილიყვნენ და არა მსუბუქი ცხენოსანი მოისრეები (სურ.), რომლებიც ყივჩაღური არმიის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ. გვარდიას („მონასპას") აუცილებლად უნდა ჰქონოდა როგორც დისტანციური, ასევე ხელჩართული ბრძოლის წარმოების უნარიც, რაც სწორედ მძიმედ შეიარაღებული მეომრების უნარი იყო (სურ. 31.).

დავით აღმაშენებლის განკარგულებაში გვარდიული კონტინგენტის არსებობა არავითარ ეჭვს არ შეიძლება იწვევდეს. ყველა ზემოთ აღნიშნული გარემოება (პირადი სამხედრო ძალის ყოლის აუცილებლობა შიდა პოლიტიკური პროცესების მართვისთვის არმიის ბირთვის შექმნა და ა.შ.), მისთვის საკმარისზე მეტი არგუმენტი იქნებოდა გვარდიის შესაქმნელად, რაც საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში სავსებით შესაძლებელი უნდა ყოფილ-

იყო, მაგრამ მისი რაოდენობის საკითხი (5 000 მეომარი), შეიძლება გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებდეს.

5 ათასი მეომარი გვარდიისთვის საკმაოდ მაღალი ციფრია და მათი შენახვა დიდ ფინანსურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ბაღდადის ხალიფების თურქი გვარდიელის ყოველთვიური გასამრჯელო საშუალოდ 5 დინარს შეადგენდა.[25] თუ ამ ციფრს მექანიკურად გადმოვიტანთ საქართველოში, მაშინ გამოვა, რომ დავით აღმაშენებელს 5000-იანი გვარდიის შესანახად (მარტო გასამრჯელოს სახით) წელიწადში 300 ათასი დინარი დასჭირდებოდა. რამდენად შეძლებდა საქართველოს მეფე გვარდიელთათვის ასეთი თანხების გადახდას (შედარებისთვის შეიძლება აღინიშნოს, რომ თბილისის საემიროსათვის დაკისრებული ყოველწლიური ხარკის ოდენობა 10 ათას დინარს შეადგენდა, ხოლო ბიზანტიის იმპერია მანციკერტის ბრძოლის შემდეგ ზუსტად 300 ათას დინარს უხდიდა სელჯუკებს[26]), ეს შეიძლება დამატებითი კვლევის საგანი იყოს. მაგრამ მაინც მიგვაჩნია, რომ „მონასპის" რაოდენობა უნდა ყოფილიყო 5000-ზე საგრძნობლად ნაკლები.

მოქირავნეები (ქართული წყაროების „როქის სპა"). მოქირავნეობა იმდროინდელ მსოფლიოში ფართოდ იყო გავრცელებული. მოქირავნეთა კონტინგენტებს იყენებდა ყველა, ვისაც ამის შესაძლებლობა გააჩნდა. განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო ეს მოვლენა ბიზანტიის იმპერიისთვის, რომლის შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან ნაწილსაც მოქირავნეები წარმოადგენდნენ.[27]

მოქირავნეები არ იყვნენ ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური საზოგადოების ნაწილი, რის გამოც მათ გამოყენებას ჰქონდა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. დადებით მხარეს, გარდა მოქირავნეთა პროფესიული ბრძოლისუნარიანობისა, წარმოადგენდა ის, რომ მათი მეშვეობით სახელმწიფო თავიდან იცილებდა დიდ დანაკარგებს საკუთარ ადამიანურ რესურსებში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ომებით დატვირთულ ეპოქაში. მაგრამ მოქირავნეობის დიდი მინუსი იყო დაქირავებულ მეომართა არასაიმედოობა, რაც ნებისმიერი სახელმწიფოსთვის საკმაოდ დიდ რისკ-ფაქტორს შეიცავდა.

მოქირავნეთა არმიას ამა თუ იმ მიზეზით, ნებისმიერ დროს შეეძლო ეღალატა დამქირავებელი სახელმწიფოსთვის. მაგალითად, ბიზანტიის იმპერიის ისტორია სავსეა ასეთი მაგალითებით.[28] მიუხედავად ასეთი საშიშროებისა, მოქმედ სამხედრო ძალაზე დიდი მოთხოვნილების პირობებში, მოქირავნეობა მრავალი სახელმწიფოსთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, რჩებოდა არმიის დაკომპლექტების მნიშვნელოვან წყაროდ.

ქართულ წერილობით წყაროებში მოიპოვება საკმარისი მონაცემები იმის შესახებ, რომ საქართველოს მეფეები გარკვეული ინტენსივობით იყენებდნენ მოქირავნეთა სამსახურს, მაგრამ ის ვითარება, რომ მოქირავნეები ქართული არმიის შევსების მასშტაბურ წყაროს წარმოადგენდნენ, თითქოს არ ფიქსირდება, რაც პირველ რიგში, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ქართველ მეფეებს ბიზანტიელი იმპერატორებისგან განსხვავებით, არ ჰქონდათ მოქირავნეთა მასშტაბური სამსახურისთვის აუცილებელი ფინანსები და, შეიძლება, არც თვლიდნენ გამართლებულად მათ ფართოდ გამოყენებას.

საქართველოს სამეფოს არმიის შემადგენლობაში მოქირავნეების სტატუსით, ძირითადად ჩრდილო კავკასიაში განსახლებული ტომების (პირველ რიგში, ალანებისა და ყივჩაღების) მეომრები შედიოდნენ. თუმც იმის სავარაუდოდ, რომ

მათი რაოდენობა დიდ რიცხვებს აღწევდა, საფუძველი არ გაგვაჩნია.[29] ასეთი ვითარებაა დიდგორის ბრძოლის დროსაც, სადაც დავით აღმაშენებლის არმიის რიგებში, ყივჩაღების გვერდით ალანთა მცირერიცხოვანი რაზმიც ჩანს (სურ. 32.), რომელთა გამოჩენაც ქართული არმიის რიგებში ჩვეულებრივი მოვლენა იყო.[30]

როგორც უკვე იყო აღნიშნული, დიდგორის ველზე დასავლეთ ევროპელ მეომარ-მოქირავნეთა მცირერიცხოვანი რაზმიც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

ამგვარად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთ განხილულს, მივიღებთ რომ დავით აღმაშენებლის არმია შედგებოდა ფეოდალური ლაშქრისგან, მეფის პირადი გვარდიისა და მოქირავნეთა კონტიგენტებისგან, რის გათვალისწინებითაც მისი საერთო რაოდენობა დიდგორის ბრძოლის დროს, შეიძლებოდა ყოფილიყო მაქსიმუმ 20-25 ათასი მეომარი (15-20 ათასი ფეოდალური ლაშქარი, რამდენიმე ათასი გვარდია და მოქირავნეები), საიდანაც გარკვეული ნაწილი (ალბათ, 5-7 ათასი) სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-სიმაგრეებისა და სხვა პუნქტების დასაცავად, საპატრულოდ, კომუნიკაციების უზრუნველსაყოფად და ა.შ. იქნებოდა გამოყოფილი, ხოლო საველე არმიის სიდიდე, რითაც დავით აღმაშენებელი უნდა დაპირისპირებოდა მუსლიმური კოალიციის 30 ათასიან არმიას, მაქსიმუმ 15-18 ათასი მეომარის ფარგლებში უნდა ყოფილიყო მოქცეული.[31]

სურ. 32. ალანი მეომრები

თავი VII

დიდგორის ბრძოლა ისტორიოგრაფიასა და წერილობით წყაროებში

დიდგორის ბრძოლა ქართულ ისტორიოგრაფიაში

ყველა ეპოქასა და ყოველ
საზოგადოებაში ისტორიის
შესწავლა და გააზრება,
ექვემდებარება მოცემული დროისა
და ადგილის გაბატონებულ
ტენდენციებს.

არნოლდ ტოინბი.

საქართველოს ისტორიაში დიდგორის ბრძოლა უდიდეს გამარჯვებათა რიცხვს მიეკუთვნება, ამიტომ სრულიად ბუნებრივია ის ინტერესი, რასაც მის მიმართ იჩენდნენ სხვადასხვა თაობის ისტორიკოსები თუ საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. დიდგორის ბრძოლის გარშემო არსებობს უზარმაზარი ლიტერატურა, სადაც წარმოდგენილია ბრძოლის რეკონსტრუქციის არაერთი ვარიანტი. რეკონსტრუქციის ძირითადი ვერსიები, რომლებიც ფართოდაა გაზიარებული და მიღებული, ეკუთვნით პროფ. შ. მესხიასა და ივ. შაიშმელაშვილს,[1] იგი შეჯერებული სახით ასე გამოიყურება:

მუსლიმური კოალიცია 300 ათასი მეომრის შემადგენლობით შემოვიდა საქართველოში და გაიშალა თრიალეთ-მანგლის-დიდგორის რაიონში, საიდანაც მათ უნდოდათ მცხეთისკენ გასვლა, დავით აღმაშენებელის არმიის განადგურება და შემდეგ თბილისის დაკავება. დავით აღმაშენებელმა მოწინააღმდეგეს დაუპირისპირა 56 ათასი მეომარი. მისი არმია შევიდა ნიჩბისის ხევში და დაბანაკდა „ორ მთას შუა დაბურულ ტყეში." მეფემ ჩახერგა ხეობიდან გასასვლელები, რითაც საკუთარი თავისა და არმიის წინაშე დასვა ამოცანა, ან გაემარჯვათ, ან დახოცილიყვნენ. 12 აგვისტოს გამთენიისას მოწინააღმდეგეები განლაგდნენ ერთმანეთის პირისპირ. კოალიციურმა არმიამ 200 ათასი მეომრის შემადგენლობით დაიკავა დიდგორის ქედის 5 კილომეტრიანი ზოლი (100 ათასი მეომარი როგორც რეზერვი, მანგლისთან იყო დაბანაკებული), რიგების 150-180 მეტრიანი სიღრმით, ხოლო ქართული არმია განლაგდა ნიჩბისის წყლის სათავეებში, კოშკა-ყელის ქედსა და ნიჩბისის სერის ზემო მონაკვეთს შორის. ამის შემდეგ საქართველოს მეფემ სიტყვით მიმართა მეომრებს, გაამხნევა ისინი და მოუწოდა მტრის განადგურებისკენ. ბრძოლა დაიწყო 200 ქართველმა მხედარმა, რომლებიც წყნარად მიუახლოვდნენ მტერს, რის გამოც ისინი მათ მხარეზე გადასულებად მიიჩნიეს და თავის რიგებში შეუშვეს, მათ კი მოულოდნელად შეუტიეს მტერს. ამ შეტევამ ისეთი დაბნეულობა და არეულობა გამოიწვია მუსლიმთა რიგებში, რომ მათ ვეღარ გაუძლეს ქართული არმიის მარჯვენა ფრთის მასირებულ შეტევას თავის მარცხენა ფრთაზე, რომელიც 200 მეომრის თავდასხმიდან 10-15 წუთში დაიწყო და წაილეკნენ. ამის შემდეგ ქართულმა არმიამ შეტევა განავითარა დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ (ე.ი. სელჯუკთა მარჯვენა ფრთაზე), რომელმაც ასევე ვერ გაუძლო შეტევას და პანიკურად გაიქცა. ბრძოლა გაგრძელდა სამი საათი, რომლის დროსაც მტრის

არმია თითქმის მთლიანად განადგურდა და დაკარგა თავისი შემადგენლობის 90%, ხოლო თავში დაჭრილი ილ-ღაზი, რამდენიმე მეომრის თანხლებით გაიქცა ბრძოლის ველიდან და მარდინში ჩასული, მალე ჭრილობებისგან გარდაიცვალა.[2]

ბრძოლის ასეთი რეკონსტრუქცია ხელოვნური და არარეალურია, იგი არ ჯდება არც ისტორიულ რეალობებში, არც ბრძოლების წარმოების იმდროინდელ მეთოდებში და არც მეომართა რაოდენობრივ მასშტაბებში. ასეთი რამ არ შეიძლებოდა მომხდარიყო შემდეგი ძირითადი მიზეზების გამო:

—**კონცენტრირების შეუძლებლობა.** მოწინააღმდეგეები მოცემულ დროში (გამთენიისას) ვერ შესძლებდნენ მითითებული რაოდენობით ბრძოლის ველზე კონცენტრირებას. მუსლიმთა 200 ათასი მეომარი, ბუნებრივია, ერთბაშად ვერ შევიდოდა დიდგორის ქედზე, ისინი უნდა შესულიყვნენ კოლონებად დაწყობილნი და დაეკავებინათ პოზიციები ერთმანეთის თანმიმდევრობით. უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ერთ კოლონად დაწყობილი 200 ათასიანი არმია (100 ათასი ცხენოსანი, 100 ათასი ქვეითი) მოძრაობაში 137-150 კილომეტრზე უნდა გაჭიმულიყო,[3] რის გამოც ასეთი სიდიდის არმია დიდგორის ქედზე გამთენიისას თავმოყრას ვერ მოახერხებდა. კონცენტრირების მცდელობისას, როდესაც პირველი დანაყოფები დაიწყებდნენ ქედზე შესვლასა და პოზიციების დაკავებას, კოლონის შემადგენელი ბოლო ნაწილები, ამას მხოლოდ 27-30 საათის შემდეგ შეძლებდნენ. კონცენტრირება ვერ მოხერხდებოდა იმ შემთხვევაშიც, მუსლიმთა არმიას რამდენიმე კოლონად რომ ემოძრავა პარალელურ გზებზე, რომელთა რაოდენობაც აქ ძალიან ცოტაა. დიდგორის მიდამოებში, მაქსიმუმ, სამი ასეთი კოლონა შეიძლებოდა წარმოქმნილიყო (მოხის-ნაოხარის მხრიდან, შამთადან და დრედან დიდგორის ქედისკენ),[4] ასეთ შემთხვევაშიც გადაადგილების დრო მხოლოდ სამჯერ შემცირდებოდა და თითქმის მთელ დღეს დაიკავებდა. იგივე გავრცელდება ქართულ არმიაზეც, რომელიც, მართალია, მუსლიმებთან შედარებით ოთხჯერ ნაკლებ რაოდენობაშია მითითებული (56 000), მაგრამ გადაადგილებისთვის საჭირო დრო მასაც დასჭირდებოდა.

—**განლაგების შეუძლებლობა.** მუსლიმთა 200 ათასიანი არმია ვერაფრით განლაგდებოდა მოცემული საბრძოლო წყობით, დიდგორის ქედზე შესვლა და კონცენტრირებაც რომ მოეხერხებინათ. ივ. შაიშმელაშვილის მიხედვით, მათ დაუკავებიათ 5 კილომეტრი სიგანის ფრონტი 150-180 მეტრის სიღრმით, სადაც მუსლიმთა არმია დაწყობილა ორ რიგად, თითოეულ რიგში განლაგებულა 825 რაზმი, თითო რაზმში 100 მებრძოლის ოდენობით. ყოველი რაზმი ფრონტში ქმნიდა ოთხ რიგს, სიღრმეში კი 25 მწკრივს, რის მიხედვითაც ქვეითთა რაზმის სიღრმე 25, ხოლო ცხენოსნებისა 80 მეტრს შეადგენდა.[5] ე. ი. კოლიციურ არმიას მიუღია უაღრესად მჭიდრო წყობა, რასაც სელჯუკები როგორც წესი არ აკეთებდნენ. მათ თავისი ცხენოსანი რაზმები მოუწყვიათ ვიწრო (ოთხ კაციანი) ფრონტითა და ღრმა რიგებით და განულაგებიათ ისინი ერთმანეთის გვერდით ძალიან მჭიდროდ, რის შემდეგაც წყობის სიღრმემ 50 რიგი შეადგინა. ასეთი სიღრმე კი (არათუ სელჯუკ ცხენოსნებს, რომელთაც ეფექტური მოქმედებისთვის გაფანტული წყობა და თავისუფალი სივრცე სჭირდებოდათ), ბერძნულ-მაკედონურ ფალანგებსაც არ ჰქონიათ.[6] გამოდის, რომ ილ-ღაზისა და სხვა სელჯუკ მხედართმთავრებს თავად გაუწირავთ გასანადგურებლად თავისი მეომრები, წაურთმევიათ მათთვის მანევრისა და მოქმედების შესაძლებლობა და თავისი მსუბუქი ცხენოსნები (რომლებიც ნებისმიერი სელჯუკური არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო) უაღრესად მჭიდრო და ღრმა

წყობით დაუყენებიათ სასიკვდილო დარტყმის ქვეშ ქართული მძიმე კავალერიისა თუ ქვეითების შეტევის წინაშე, რომლის დროსაც ისინი სრულიად უძლურები იქნებოდნენ, რადგან ვერც გაშლას შესძლებდნენ და ვერც ეფექტური ხელჩართული ბრძოლის წარმოებას. ასეთ პირობებში, სელჯუკთა მსუბუქი კავალერია მხოლოდ ცოცხალი სამიზნე იქნებოდა როგორც ცხენოსანი, ასევე ქვეითი შუბოსნებისათვის, რომელთა შეტევის დროსაც მათი ნებისმიერი გადაადგილების თუ გადაჯგუფების მცდელობა მხოლოდ ჭყლეტასა და ქაოსს გამოიწვევდა. რასაკვირველია, თუ არ ვიფიქრებთ, რომ სელჯუკებს თავად უნდოდათ ამ ბრძოლის წაგება, ისინი ამ განლაგების მიღებას არ ეცდებოდნენ.

—**დანაკარგების მასშტაბის შეუძლებლობა.** მუსლიმთა მხრიდან საბრძოლო დანაკარგების მითითებული რაოდენობა, 90%, უბრალოდ დაუჯერებელია. შუასაუკუნეებში, როდესაც მტრის განადგურება ფიზიკურ (კუნთის) ძალაზე იყო დამოკიდებული, ამ რაოდენობის მეომრები ბრძოლებში არ იღუპებოდნენ.[7] რასაკვირველია, ამ პერიოდში ხდებოდა მოწინააღმდეგის ძალების დიდი რაოდენობით განადგურება და ტყვედ აყვანა, მაგრამ ამის აუცილებელი პირობა ყოველთვის ალყა და თითქმის ყოველთვის დიდი რიცხობრივი უპირატესობა იყო.[8] რომც დავუშვათ, რომ დიდგორის ბრძოლის დროს ნამდვილად არსებობდა მითითებული შეფარდება (300 ათასი 56 ათასის წინააღმდეგ), რომლის დროსაც მცირერიცხოვანმა არმიამ დაამარცხა მრავალრიცხოვანი მოწინააღმდეგე (რაც თეორიულად, რასაკვირველია, შესაძლებელი იყო), ის მოწინააღმდეგის სრულ ფიზიკურ განადგურებას მაინც ვერ შეძლებდა თუნდაც იმიტომ, რომ მტრის ყოველ მეომართან ფიზიკურ კონტაქტში ვერ შევიდოდა, ხოლო საერთო ალყის არ არსებობის პირობებში, დამარცხებული არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი ყოველთვის ახერხებდა ბრძოლის ველიდან გასვლას და სიცოცხლის გადარჩენას.[9]

—**5 კილომეტრიანი ფრონტის შეუძლებლობა.** ასეთი სიდიდის ფრონტის ხაზი XIX და განსაკუთრებით, XX საუკუნეების ომებისთვისაა დამახასიათებელი. შუასაუკუნეებში ამხელა ფრონტის ხაზები არ იქმნებოდა, იმ დროინდელი არმიები მჭიდრო წყობებით შეტაკების დროს, საშუალოდ, 500-600 მეტრი სიგანის ზოლს ქმნიდნენ. ფრონტის ხაზი ძალიან იშვიათ შემთხვევებში აღწევდა კილომეტრს, ან ცოტა ამაზე მეტს. დიდგორის ბრძოლის დროს, ნამდვილად რომ არსებულიყო მითითებული შეფარდება და ასეთი სიდიდის ფრონტის ხაზი, ქართულ არმიას წარმატების ძალიან მცირე შანსი ექნებოდა. 150-180 მ სიღრმეში 50 მწკრივად განლაგებული და 5 კილომეტრიან ფრონტზე გაშლილი 200 ათასი მეომრის წყობა (როგორც იყო აღნიშნული, სწორედ ასე უთითებენ მკვლევარები) ოთხჯერ მცირერიცხოვანი ქართული არმიისთვის უაღრესად ძნელი გასარღვევი უნდა ყოფილიყო. იმ ლოგიკიდან გამომდინარე, რომ მუსლიმებს ეკავათ 5 კილომეტრიანი ფრონტი, დავით აღმაშენებლის არმიასაც, დაახლოებით, ასეთივე ხაზი უნდა დაეკავებინა, რადგან საწინააღმდეგო შემთხვევაში ფლანგებიდან გარშემოვლისა და ალყაში მოქცევის საშიშროების წინაშე დადგებოდა. 5 კილომეტრი ფრონტის ხაზზე გაშლის შემთხვევაში კი ქართული არმია, ბუნებრივია, ვერ შექმნიდა ღრმა მწკრივებს (ივ. შაიშმელაშვილი მიუთითებდა, რომ ქართულ არმიას დაკავებული ჰქონდა 6-7 კვ. კილომეტრი, ე. ი. მისი განლაგების სიღრმე უფრო დიდი იყო, ვიდრე ფრონტის ხაზი ე.ი. გამოდის, რომ ქართულ არმიას უფრო დიდი ფართობის ტერიტორია ეკავა, ვიდრე ოთხჯერ მასზე მრავალრიცხოვან მუსლიმურ არმიას რაც ძალიან ძნელი წარმოსადგენია), რომელიც მუსლიმებთან შედა-

რებით ოთხჯერ ნაკლები იქნებოდა, ე.ი. ფრონტის ყველა მონაკვეთზე (თუ ძალებს თანაბრად გადავანაწილებთ) ყოველ 25 ქართველ მეომარზე 100 მუსლიმი, ანუ ერთ ქართველ მეომარზე ოთხი მუსლიმი მოვიდოდა, ასეთი შეფარდებით როგორ უნდა წაელეკა ქართულ არმიას მუსლიმთა ღრმა წყობა, ძნელი წარმოსადგენია. თუ საქართველოს მეფე შეეცდებოდა უპირატესობის შექმნას ფრონტის რომელიმე უბანზე, ეს მას სხვა მონაკვეთების ხარჯზე უნდა მოეხდინა და ეს უბნები დაესუსტებინა, რაც სელჯუკთა გამოცდილ მხედართმთავრებს მხედველობიდან, ალბათ, არ გამორჩებოდათ და დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალის ყოლის პირობებში, აუცილებლად დაიწყებდნენ შეტევებს ამ მიმართულებებით. მოკლედ რომ ვთქვათ, იმ დისპოზიციასა და ძალთა იმ შეფარდებაში, რომელიც დიდგორის ბრძოლის ავტორებს აქვთ მოცემული, ქართული არმიის წარმატების შანსი ძალიან მცირე უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგან დავით აღმაშენებელმა გაიმარჯვა მოწინააღმდეგეზე, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დიდგორის ბრძოლა სრულიად განსხვავებულ ვითარებაში და ძალთა განსხვავებული შეფარდებითაა მომხდარი.

—**200 მეომრის საკითხი.** წარმოდგენილი რეკონსტრუქციით გამოდის, რომ ბრძოლის ბედი, ფაქტიურად, 200 მეომრის თავგანწირულ შეტევას გადაუწყვეტია. როგორ შეიძლებოდა 200 ადამიანის ქმედებას ისეთი მასშტაბური ზეგავლენა მოეხდინა 200 ათასიანი ხალხის მასაზე და ისინი ისე დაბნეულიყვნენ და არეულიყვნენ, რომ წინააღმდეგობა ვეღარ გაეწიათ მათზე ბევრად მცირერიცხოვანი მოწინააღმდეგის შეტევისთვის? 200 მეომრის შეტევა 5 კილომეტრიან ფრონტზე გაჭიმულ 200 ათასიანი არმიის უმეტესი ნაწილისთვის, პრაქტიკულად, შეუმჩნეველი ქმედება იქნებოდა. მტრის წყობისკენ მოძრავი 200 ცხენოსანი ერთ რიგში რომ გაშლილიყო, 220-250 მეტრის ფრონტს დაიკავებდა და მის გადაადგილებას მოწინააღმდეგის 5 კილომეტრიანი ფრონტის დიდი ნაწილი, უბრალოდ, ვერ შეამჩნევდა, მაგრამ მეომართა ეს ჯგუფი ასეც ვერ გაიშლებოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში მათი განზრახვა, მოულოდნელად შეეტიათ მტრის რიგებისთვის, დასაწყისშივე გამჟღავნდებოდა (ცხენოსანთა ერთ რიგად გაშლილი მწკრივი საბრძოლო წყობაა) და მტერთან მიახლოების შესაძლებლობას მათ არავინ მისცემდა. ისინი მოწინააღმდეგის რიგებამდე კოლონად დაწყობილნი უნდა მისულიყვნენ (მხოლოდ ასე შეიძლებოდა მიეღო ისინი მტერს მათ მხარეზე გადასულებად) და შემდეგ დაეწყოთ ბრძოლა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ისინი ვერ შეძლებდნენ საბრძოლო წყობის სწრაფად გაშლას და ასეთი მცდელობისას ელვისებურად ალყაში აღმოჩნდებოდნენ. დიდი ეფექტი მათ შეტევას არც მაშინ ექნებოდა, მოწინააღმდეგესთან 100-150 (ან უფრო ნაკლებ) მეტრზე მიახლოებულებს რომ დაეწყოთ დისტანციური შეტევა (ისრების დაშენა), მოწინააღმდეგე ამას უპასუხებდა მასირებული და ბევრად მჭიდრო სროლით, რომლის დროსაც ამ მეომრებს წარმატების არავითარი შანსი ასევე არ დარჩებოდათ.[10] ასე, რომ როგორც არ უნდა შევხედოთ ამ ეპიზოდს, მისი რეალურობა აღწერილ ვითარებაში საეჭვოა. ასეთი შეფარდებისა და განლაგების (ანუ ერთმანეთის წინ კლასიკურად, წესიერი საბრძოლო წყობით გაშლილი არმიების) პირობებში, მსგავს შეტევას სინამდვილეშიც რომ ჰქონოდა ადგილი, იგი ვერავითარ შედეგს ვერ მოიტანდა და მამაცურ, მაგრამ უშედეგო ავანტიურად დარჩებოდა.

—**სხვა შეუსაბამობები.** არ შეიძლება არ აღინიშნოს დიდგორის ბრძოლის მიღებულ რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული ისეთი საკითხები, როგორიცაა

დავით აღმაშენებლის მიერ ხერგილის გაკეთება, სიტყვით მიმართვა მეომრებისადმი და ილ-ღაზის დაჭრა.

აბსოლუტურად ყველა გამოცემაში, რომელიც დიდგორის ბრძოლას ეხება, მითითებულია, რომ საქართველოს მეფემ საკუთარი არმიის უკანდახევის თავიდან აცილების მიზნით, ჩახერგა ნიჩბისის ხეობიდან გამავალი გზები, რაც დიდგორის ბრძოლის მოგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობად ითვლება[11] სინამდვილეში კი ამ „ფაქტიდან" გამოდის, რომ საქართველოს მეფე საკუთარ არმიას არ ენდობოდა და თვლიდა, რომ ის შეიძლება ბრძოლის ველიდან გაქცეულიყო. არმია, რომელიც ბრძოლის ველიდან გამქცევია, ხერგილის არსებობის თუ არ არსებობის მიუხედავად, მაინც გაიქცევა. გზებზე გაკეთებულ ხერგილს შეეძლო დაებრკოლებინა წესიერი სამარშო წყობით მიმავალი საარმიო კოლონა, შეეფერხებინა რაიმე სამხედრო მანევრი, მაგრამ პანიკური შიშით შეპრობილ დეზორგანიზებულ სამხედრო რაზმებსა, თუ ცალკეულ მეომრებს, იგი ვერ დააკავებდა. ხერგილი, თუ ის მართლა გაკეთდა, შეიძლებოდა გაკეთებულიყო მოწინააღმდეგის რაზმების ქართული არმიის ზურგში გასვლის თავიდან აცილების მიზნით და არა საკუთარი არმიის შესაკავებლად ბრძოლის ველზე.

ომების ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც მხედართმთავრები შეგნებულად სპობდნენ უკანდახევის გზებს (წვავდნენ ფლოტს, ანგრევდნენ ხიდებსა და ა.შ.), რითაც ბრძოლას გადამწყვეტ ხასიათს აძლევდნენ, მაგრამ დავით აღმაშენებლისთვის დიდგორის ბრძოლის დროს ამის აუცილებლობას არ უნდა ეარსება. მიუხედავად დიდგორის ბრძოლის უზარმაზარი მნიშვნელობისა და მისი მოგების აუცილებლობისა, ასეთი ამოცანა (ან გამარჯვება ან სიკვდილი) დავით აღმაშენებლის წინაშე მაინც არ უნდა მდგარიყო. ქართული არმია იმყოფებოდა საკუთარ ტერიტორიებზე და ბრძოლაში რომც დამარცხებულიყო, ეს მთელი ომის წაგებას ჯერ კიდევ არ ნიშნავდა. რესურსებისა და გამოუყენებელი სამობილიზაციო შესაძლებლობის არსებობის პირობებში, საქართველოს მეფეს დიდგორთან წაგებული ომის შემთხვევაშიც კი, უდავოდ, შეეძლო ბრძოლის გაგრძელება (თუნდაც პარტიზანული მეთოდებით), რაც მისთვის უკანდახევის შესაძლებლობის მოსპობის აუცილებლობას დღის წესრიგში არ დააყენებდა.

ასევე არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა დიდგორის ბრძოლის წინ, მეფის მიერ მეომრებისადმი წარმოთქმულ სიტყვას, რომელსაც ვალტერ გოტიეს ქრონიკა იძლევა და რომელიც ქართული მჭევრმეტყველების ნიმუშად და დავით აღმაშენებლისა და ლეგენდარული იოანე პრესვიტერის იგივეობის ერთ-ერთ არგუმენტადაც მიიჩნევა.[12] როგორც იყო მითითებული, ისტორიოგრაფიაში მიღებული შეხედულებებით, დიდგორის ბრძოლის მონაწილე ქართული არმია 56 ათასი მეომრისგან შედგებოდა და ბრძოლის წინ 6-7 კილომეტრზე იყო გაშლილი. როგორ შეძლებდა ამ პირობებში საქართველოს მეფე, ყველა მეომრის (თუნდაც მათი ნაწილის) გასაგონად წარმოეთქვა სიტყვა, უბრალოდ გაუგებარი და წარმოუდგენელია. ასეთ მცდელობას ადგილიც რომ ჰქონოდა, მისი ხმის სმენადობის არეში, ყველაზე დიდი, რამდენიმე ასეული ადამიანი მოქცეულიყო. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბრძოლის ველზე სამხედრო რაზმების განლაგებისას გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის ხმოვანი ინსტრუმენტები (ბუკ-ნაღარები, ბარაბნები და ა.შ.), რაც ცხენების ფლოქვის ხმასთან, ჭიხვინთან, მეომრების შეძახილებთან თუ ადამიანთა დიდი მასების თავმოყრის შედეგად წარმოქმნილ ბუნებრივ ხმაურთან ერთად, ისეთ გამაყრუებელ ღრიანცელს წარმოქმნიდა, რომ ერთი ადამია-

ნის ხმის გაგონება არათუ ათეულ ათასობით მეომარს, არამედ საკმაოდ ახლოს მდგომ ადამიანებსაც გაუჭირდებოდათ. სინამდვილეში გოტიე ლაპარაკობს არა ბრძოლის წინ მეომრებისადმი მიმართულ სიტყვაზე, არამედ დავით აღმაშენებლის საბრძოლო გეგმაზე, რომელიც მას (როგორც ეს ჩანს გოტიეს ტექსტიდან, ამის შესახებ იხ. მომდევნო ქვეთავში) მეომრებისთვის (ალბათ მეთაურებისთვის) ბრძოლამდე საკმაო ხნით ადრე უნდა გაეცნო. ერთადერთ შესაძლებლობას მეომრებისადმი „სიტყვით მიმართვისა" წარმოადგენდა ბრძოლის წინა საბრძოლო წყობის ჩამოვლა და სხვადასხვა დანაყოფებისადმი გამამხნევებელი (მოწოდებითი) ხანმოკლე სიტყვით მიმართვა, მაგრამ ეს შესაძლებელი იყო გაშლილ ველზე წესიერი საბრძოლო წყობით მდგომი არმიის მიმართ, დიდგორის ქედზე კი, ქართული არმია (როგორც ამას ქვემოთ დავინახავთ) იდგა ჩასაფრებაში და ამ დისპოზიციაში არმიისადმი საერთო სიტყვით მიმართვა (ე.ი. საბრძოლო წყობის ჩამოვლა) შეუძლებელი იქნებოდა.

იმავე ვალტერ გოტიეზე დაყრდნობით, ისტორიოგრაფიაში ითვლება, რომ დიდგორის ბრძოლის დროს, მუსლიმური კოალიციის მთავარსარდალი ილ-ღაზი თავში მძიმედ დაიჭრა და სამშობლოში დაბრუნებული ამ ჭრილობებისგან გარდაიცვალა.[13] ილ-ღაზიმ დიდგორის ბრძოლა 12 აგვისტოს წააგო, ხოლო 13 ნოემბერს, იგი ახალი არმიის სათავეში უკვე ალეპოსთან იდგა და საკუთარი შვილის, სულეიმანის აჯანყებას აქრობდა,[14] რაც მისი (როგორც მინიმუმ, მძიმედ) დაჭრის შესაძლებლობას გამორიცხავს. ესეც რომ არ ყოფილიყო, როგორ შესძლებდა თავში დაჭრილი ადამიანი ათასზე მეტი კილომეტრის გავლას და მარდინში დაბრუნებას, საკმაოდ ძნელი წარმოსადგენია. აღმოსავლური წყაროები (და მათთან ერთად გოტიეც) ერთხმად მიუთითებენ, რომ ილ-ღაზი გარდაიცვალა რაღაც შინაგანი დაავადებისგან (რომელიც ბევრი საკვების თუ ხილის მიღების შემდეგ დაემართა)[15] და არა თავში მიღებული ჭრილობისგან. იმის გათვალისწინებით, რომ დიდგორში დამარცხებიდან გარდაცვალებამდე (1122 წლის ნოემბერი), ილ-ღაზიმ მოასწრო სულეიმანის აჯანყების ჩახშობა და ჯვაროსნების წინააღმდეგ აქტიური სამხედრო კამპანიის ჩატარება,[16] ეს ცნობა უფრო რეალურად უნდა გამოიყურებოდეს, ვიდრე მისი დიდგორში მიღებული ჭრილობებისგან გარდაცვალება.

დიდგორის ბრძოლა წერილობით წყაროებში

როჯერ ანტიოქიელის კანცლერმა
გოტიემ, უაღრესად ღირებული
ჩანაწერები დაგვიტოვა.
ჰანს დელბრიუკი.

დიდგორის ბრძოლის რეკონსტრუქციისთვის, რასაკვირველია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წერილობითი წყაროების ცნობებს, რომლებიც შეიძლება ორ პირობით ჯგუფად დაიყოს. პირველი (დავით აღმაშენებლის მემატიანე,[1] ვალტერ გოტიე,[2] მათე ურჰაელი,[3] ალ-ფარიკი,[4] ალ-ასირი,[5] მიხეილ სირიელი,[6] ალ-ჯაუზი,[7] ქამალ ად-დინი,[8] ალ-კალანისი,[9]), რომელიც შეიცავს სხვადასხვა ხასიათის მონაცემებს ბრძოლის მიმდინარეობის შესახებ და მეორე (საკმაოდ მრავალრიცხოვანი სომხური და აღმოსავლური წყაროები)[10], რომლებიც იხსენიებენ ამ ბრძოლას და მხოლოდ ქართველთა გამარჯვების ფაქტის კონსტატირებას ახდენენ.

ბუნებრივია, რომ დიდგორის ბრძოლის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით რეალური ღირებულების მქონე წყაროთა პირველი ჯგუფია, რომელიც, თავის მხრივ, ასევე შეიძლება დაიყოს პირობით კატეგორიებად. პირველი, ბრძოლის თანამედროვე წყაროები (დავით აღმაშენებლის მემატიანე და ვალტერ გოტიე). მეორე, წყაროები, რომლებიც რამდენიმე ათეული წლით იყვნენ დაშორებული დიდგორის ბრძოლას (ალ-ფარიკი, მათე ურჰაელი და მიხეილ სირიელი) და მესამე, მოგვიანო, ძირითადად XIII ს. I ნახევრის წყაროები (ალ-ასირი, ალ-ჯაუზი, ქამალ ად-დინი, ალ-კალანისი).

დავით აღმაშენებლის მემატიანე დიდგორის ბრძოლის თანამედროვე (არ არის გამორიცხული მონაწილეც) იყო,[11] რისი მიხედვითაც მისი ცნობები ყველაზე სანდო და ღირებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ მან ბრძოლის აღწერას რატომღაც „თავი აარიდა" („ენა ვერ შემძლებელ არს მოთხრობად ზედამიწევნით ყოველსავე") და უაღრესად ლაკონიური მითითებებით შემოიფარგლა. დავითის მემატიანის ცნობებიდან ბრძოლის სრული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია, თუმცა მასში არის (სამხედრო თვალსაზრისით) ღირებული მონაცემები, პირველ რიგში, ის ცნობა, რომლის მიხედვითაც მუსლიმთა არმია მოსულა თრიალეთს, მანგლისს და დიდგორს, რაც სხვა წყაროებთან შეჯერების შედეგად იძლევა ილ-ღაზის არმიის რეალური მარშრუტის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას. ღირებულია, აგრეთვე, მემატიანის მითითება იმ ნადავლის შესახებ, რაც ილ-ღაზის არმიას დარჩა ბრძოლის ველზე, რაც შესაძლებლობას იძლევა შევიქმნათ გარკვეული წარმოდგენა მუსლიმური არმიის თანმხლები აღალისა და საერთოდ სამარშო კოლონის შედგენილობის შესახებ. საყურადღებოა ნადავლის ჩამონათვალში საალყო მანქანების მითითება, რითაც შეგვიძლია ვივარაუდოთ ილ-ღაზის კონკრეტული სამხედრო ამოცანების ხასიათი და ა.შ. სხვა ცნობები კი (მუსლიმთა არმიის ზღვის ქვიშასთან შედარება, ბრძოლაში წმინდა გიორგის გამოჩენა და ა.შ.), ბრძოლის სურათის შესასწავლად არაფრის მომცემია.[12]

დიდგორის ბრძოლის მეორე თანამედროვეა ანტიოქიის სამთავროს კანცლერი ვალტერ გოტიე, რომელსაც ეკუთვნის დიდგორის ბრძოლის ყველაზე ფართო აღწერილობა. რამდენადაც ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდგორის ბრძოლის რეკონსტრუქცია, ძირითადად, გოტიეს ცნობების მიხედვით ხდებოდა, ამდენად მიზანშეწონილად მიგვაჩნია უფრო ღრმად შევჩერდეთ გოტიეს პიროვნებისა და მისი ცნობების ღირებულების საკითხზე.

გოტიეს კალამს ეკუთვნის პატარა ისტორიული ქრონიკა „ანტიოქიის ომები" (Bella Antiochena), რომელიც მოიცავს პერიოდს 1115 წლიდან 1122, ილ-ღაზის გარდაცვალების წლამდე. ქრონიკა შედგება ორი ნაწილისგან, პირველი დაიწერა 1115 წელს და მასში აღწერილია ანტიოქიის არმიის გამარჯვება მოსულის ემირ ილ-ბურსუკის (ჯიჰადის) კოალიციაზე. ქრონიკის მეორე ნაწილი გოტიემ დაწერა რამდენიმე ეტაპად 1119-1122 წლებში და მასში აღწერილია ანტიოქიის მთავარ როჯერის დამარცხება და დაღუპვა ილ-ღაზის კოალიციასთან ბრძოლაში, იმავე, 1119 წელს გამართული ბრძოლა ბალდუინ II-სა და ილ-ღაზის შორის, რომელიც უშედეგოდ (არც ერთი მხარის გამარჯვებით) დამთავრდა და რომელსაც გოტიე ჯვაროსანთა წარმატებად აცხადებდა. შემდეგ მოთხრობილია „სისხლიან ველზე" ტყვედ ჩავარდნილ ლათინ მეომართა გაჟლეტის ამბავი მუსლიმების მიერ, რასაც მოსდევს დიდგორის ბრძოლის აღწერილობა, სადაც ავტორი დაუფარავ აღტაცებას გამოხატავს ილ-ღაზის სასტიკი დამარცხების გამო; ქრონიკის ბოლო ეპიზო-

დია ილ-ღაზის გარდაცვალების ამბავი.[13]

გოტიეს ქრონიკა ჯვაროსნული ეპოქის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ითვლება. მის ცნობებს ჯერ კიდევ XII საუკუნეში იყენებდა გოტიეს უმცროსი თანამედროვე, იერუსალიმის სამეფოს მემატიანე ვილჰელმ ტირელი. გოტიეს ქრონიკას, როგორც ისტორიულ წყაროს მაღალ შეფასებას აძლევდნენ ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ ჰანს დელბრიუკი და სტივენ რანსიმენი.[14] „ანტიოქიის ომები" რამდენჯერმე იქნა გამოცემული XIX საუკუნეში (კლასიკურ გამოცემებად ითვლება 1853 წელს ჟაკ პოლ მინიეს (Migne) მიერ შედგენილ ლათინურ წყაროთა ფუნდამენტალური კრებულში, „Patrologia Latina," შესული ტექსტი. რობერტ რიანტის 1895 წელს შედგენილი კრებულის, „Recueil des Historiens des Croisades"-ს V ტომში დაბეჭდილი ქრონიკა, რომლის ტექსტის დადგენისთვისაც გოტიეს ყველა არსებული ხელნაწერი იქნა გამოყენებული, და 1896 წლის ჰაინრიხ ჰეგენმაიერის ცალკე გამოცემა გერმანულ ენაზე), უახლოესი გამოცემა კი, შესაბამისი გამოკვლევითა და მეცნიერული კომენტარებით, განახორციელა ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტმა 1999 წელს.[15]

ქართულ ენაზე ვალტერ გოტიეს ცნობები დიდგორის ბრძოლის შესახებ, თარგმნა და გამოაქვეყნა ზ. ავალიშვილმა 1927 წელს და მას შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს თარგმანი ითვლება ერთ-ერთ ძირითად წყაროდ დიდგორის ბრძოლის აღსადგენად.[16]

გოტიეს ცნობების ზ. ავალიშვილისეული თარგმანი შესრულებულია საკმაოდ მაღალ დონეზე, თუმცა მისი ინგლისურ თარგმანთან შედარება მაინც გვიჩვენებს მცირე რაოდენობის, მაგრამ საკმაოდ არსებით განსხვავებებს, რაც დიდგორის ბრძოლის (აქამდე არსებულთან შედარებით) განსხვავებული რეკონსტრუქციის შესაძლებლობას იძლევა.[17]

გოტიე საკმაოდ რეალურად აღწერს ბრძოლის ხასიათსა და მსვლელობას (მისივე სიტყვებით მას ინფორმაცია დიდგორში მყოფი მეომრებისგან მიუღია), მაგრამ აშკარაა, რომ მისი მონათხრობი გადატვირთულია მხატვრული პასაჟებით და სრულიად დაუჯერებელი ფანტასტიკური ციფრებით, რომელთა რეალობად მიღება, ელემენტარულად, არ შეიძლება. გოტიეს ცნობების ობიექტურობის შესაფასებლად, მასში ასახული რეალური ფაქტებისა და გამონაგონის გამოსაცალკევებლად, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თავად გოტიეს პიროვნებას და მის პირად დამოკიდებულებას მომხდარი მოვლენებისადმი.

როგორც ცნობილია, გოტიე იყო ანტიოქიის კანცლერი, ანტიოქიის მთავარ როჯერ სალერნოელთან დაახლოებული პირი. ანტიოქიას იმ პერიოდში მართავდნენ სამხრეთ იტალიელი ნორმანები, რომლებიც ჯვაროსანთა შორის განსაკუთრებული აგრესიულობითა და ენერგიულობით გამოირჩეოდნენ მუსლიმების მიმართ. ნორმანთა რაინდული წრის წარმომადგენელი იყო ვალტერ გოტიეც.[18]

ნორმანთა მონაწილეობა ჯვაროსნული ლაშქრობების პირველ ეტაპზე იყო საკმაოდ წარმატებული. ჯვაროსან ნორმანთა პირველი თაობის ლიდერმა, ტარენტის ჰერცოგმა ბოემუნდმა დაარსა ანტიოქიის სამთავრო. მისმა მემკვიდრე ტანკრედმა სამთავროს საზღვრები საგრძნობლად გააფართოვა და თავისი გავლენა გაავრცელა ისეთ მსხვილ სელჯუკურ ერთეულზე, როგორიც იყო ალეპოს საემირო, რომელიც ტანკრედის მოხარკე გახდა. ანტიოქიის შემდეგი მთავარი როჯერი თავდაპირველად ასევე წარმატებით აგრძელებდა წინამორბედების პოლიტიკას. მან (როგორც არაერთგზის იყო უკვე აღნიშნული) სასტიკად დაამარცხა

სელჯუკთა კოალიცია მოსულის ემირის მეთაურობით, რის შემდეგაც ვითარება ისე გამოიყურებოდა, რომ ჯვაროსნების და პირველ რიგში, ნორმანების შემდგომ წარმატებებს, ხელს ვეღარავინ შეუშლიდა, დღე-დღეზე მათ ხელში უნდა ჩავარდნილიყო ალეპოც, მაგრამ ამ სიტუაციაში ნორმანების წინააღმდეგ გამოვიდა ილ-ღაზი, რომელმაც „სისხლიან ველზე" გამანადგურებელი მარცხი აგემა ანტიოქიის (ე. ი. ნორმანულ) არმიას, სადაც ანტიოქიის მთავარ როჯერთან ერთად, ნორმან რაინდთა მთელი ნაღები დაიღუპა, ხოლო ვალტერ გოტიე, რომელიც ასევე მონაწილეობდა ამ ბრძოლაში, ტყვედ ჩავარდა.[19]

სურ. 33. გ. დორე.
ილ-ღაზი ათავისუფლებს გოტიეს

ნორმანები არ იყვნენ ჩვეულებრივი ჯვაროსნები (ტაბ. II-4, 5.), ისინი წარმოადგენდნენ ეთნიკური ნიშნით გაერთიანებულ ერთგვარ რაინდულ კასტას, რომლებიც როგორც ვიკინგების ჩამომავლები, არ ითქვიფებოდნენ სხვა ევროპელებში, მათ ჰქონდათ გამორჩეული ფსიქოლოგია, რომელიც სამხედრო გამარჯვებების თითქმის ერთსაუკუნოვან უწყვეტ ციკლზე იყო დაფუძნებული. მცირერიცხოვან ნორმანთა მიერ ინგლისის, სამხრეთ იტალიის და სიცილიის დაპყრობებმა, წარმატებულმა შეტევებმა ბიზანტიის იმპერიაზე და ანტიოქიის სამთავროს შექმნამ ჩამოაყალიბა ნორმანი რაინდისა (ტაბ.) და ძლევამოსილი მეომრის გამოკვეთილი ტიპი და ფსიქოლოგია, რომელიც სამხედრო გამარჯვებების სწრაფვითა და დამარცხებასთან შეუგუებლობის ნიშნით ხასიათდებოდა. ეს ფსიქოლოგია დამახასიათებელი იყო ყველა ნორმანისთვის და, ბუნებრივია, გოტიესათვისაც, რაც მის ქრონიკაშიც კარგად იკითხება.[20]

ნორმანებისთვის „სისხლიან ველზე" დამარცხება იყო სრული მოულოდნელობა და ნიშნავდა ნორმანთა „ეპოქის" დასასრულს ახლო აღმოსავლეთში. ასეთი სრული და შოკის მომგვრელი მარცხი მათ ჯერ განცდილი არ ჰქონდათ, ამის პირდაპირი მიზეზი კი მარდინის ემირი ილ-ღაზი იყო, რომელიც ამ მომენტიდან გადაიქცა „სისხლიან ველს" გადარჩენილი ნორმანების სიძულვილისა და შურისძიებაზე ოცნების უმთავრეს ობიექტად. ამ საერთო „ნორმანული" განწყობის მატარებელი იყო გოტიეც, რომლის პირად დამოკიდებულებასაც ილ-ღაზის მიმართ ემატებოდა მისი ტყვეობაში ყოფნის პერიოდის განცდებიც, რომლის დროსაც ილ-ღაზიმ ტყვეთა მიმართ უჩვეულო სისასტიკე გამოიჩინა. გოტიე დიდი ემოციურობით აღნერს ილ-ღაზის მიერ ნორმან ტყვეთა გაჟლეტის სცენას უშუალოდ ბრძოლის შემდეგ, ამ ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილ და ალეპოს საპყრობილეში გადაყვანილ ტყვეთა ბედის საკითხს, თავის ქრონიკაში იგი კვლავ არაერთხელ უბრუნდება და

აღნიშნავს, რომ მცირე ჯგუფის გარდა, რომელთა შორის გოტიეც იმყოფებოდა, ყველა მათგანი სასტიკი წამებით იქნა მოკლული ალეპოს ქუჩებში (მათი ნაწილი ცოცხალ სამიზნეებად გამოიყენეს ისრით სროლაში), თუმცა ბევრი მათგანი საგრძნობ გამოსასყიდს სთავაზობდა სიცოცხლის სანაცვლოდ. გოტიე ყველა ამ სისასტიკის არამარტო უშუალო თვითმხილველი, არამედ ერთგვარი მსხვერპლიც იყო. იგი თავად შეიძლებოდა გამხდარიყო წამებით სიკვდილის ობიექტი,[21] ამიტომ ადვილი წარმოსადგენია გოტიეს დამოკიდებულება და გრძნობები ილ-ღაზის მიმართ, რომლის ტყვეობასაც მან მართალია თავი დააღწია (არსებობს გუსტავ დორეს ცნობილი გრაფიკული ჩანახატი, „ილ-ღაზი ათავისუფლებს გოტიეს" (სურ. 33.), მაგრამ დარჩენილ დღეებს მასზე, როგორც პიროვნებაზე, რომელმაც დაანგრია გოტიეს „სამყარო," შურისძიების ოცნებაში რომ გაატარებდა, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია. სწორედ ამ განწყობით იყო გამოწვეული ის აღტაცება, რაც გოტიემ თავის ქრონიკაში გამოხატა ბალდუინ II-სა და ილ-ღაზის ბრძოლის გამო, რომელიც როგორც აღვნიშნეთ, უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ გოტიემ ჯვაროსანთა დიდ გამარჯვებად გამოაცხადა.[22] ილ-ღაზის სიძულვილი გოტიეს ქრონიკის ერთ-ერთი მთავარი ხაზია და როგორც ქრონიკის გამომცემლები აღნიშნავენ, გოტიემ მხოლოდ იმიტომ მიიყვანა თავისი ქრონიკა 1122 წლამდე, რომ ილ-ღაზის სიკვდილის ამბავი მოეთხრო და ამით შურისგების გარდაუვალობა ეჩვენებინა.[23] იგივე მიზნითაა მოთხრობილი დიდგორის ბრძოლის ამბავიც.

იმ ვითარებაში, როდესაც „სისხლიან ველზე" დამარცხების სანაცვლოდ, ჯვაროსნების მხრიდან არ ჩანდა ძალა, რომელიც ილ-ღაზიზე ნორმანთა შურისძიებას აღასრულებდა, გამოჩნდა დავით აღმაშენებელი, რომელმაც მათი (ნორმანების) დაუძინებელი მტერი ილ-ღაზი სასტიკად დაამარცხა დიდგორის ბრძოლაში. ანტიოქიაში მყოფ, ტყვეობიდან ახლად განთავისუფლებულ ვალტერ გოტიესათვის, დიდგორის გამარჯვება ციური მანანის ტოლფასი საჩუქარი იქნებოდა. ალ?ათ, ადვილი წარმოსადგენია ის ეიფორია და სიხარული, რაც დაეუფლებოდა გოტიეს ამ ამბის გაგებისას. როგორც ჩანს, მისი აღტაცება (ნებით თუ უნებლიედ) მის ქრონიკაზეც აისახა, სადაც მან დიდგორის ბრძოლა აღწერა როგორც ილ-ღაზისთვის ღმერთის მხრიდან გამოტანილი სასჯელი ქრისტიანობის (ალბათ უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ნორმანების) მიმართ ჩადენილი ბოროტებისთვის. ეჭვს გარეშეა, რომ გოტიესთვის ამ შემთხვევაში მთავარი იყო არა დიდგორის ბრძოლის ისტორიული რეალობის დაფიქსირება (საქართველო მას, აშკარად, ნაკლებად აინტერესებდა), არამედ მისი დაუძინებელი მტრის, ილ-ღაზის დამარცხებისა და მისი არმიის განადგურების რაც შეიძლება გრანდიოზულ მასშტაბებში დემონსტრირება.

როგორც აღვნიშნეთ, გოტიეს ცნობაში აბსოლუტურად დაუჯერებელია ციფრები, პირველ რიგში კი იმის მითითება, რომ ილ-ღაზის ჰყავდა 600 ათასი მეომარი. ვის, მაგრამ თავად გოტიეს ძალიან კარგად მოეხსენებოდა იმ დროინდელი არმიების მასშტაბები, რაც მისი ქრონიკის სხვა ცნობებიდანაც შესანიშნავად მოჩანს. მაგალითად, იმავე ილ-ღაზის არმიას 1115 წლისთვის, მის მოკავშირე დამასკოს ათაბაგთან ერთად კოალიციაში, გოტიე 10 ათასი (რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთრივ ილ-ღაზის არმია ამის ნახევარი, დაახლოებით, 5 ათასი უნდა ყოფილიყო), ხოლო ანტიოქიის არმიას 2000 მეომრის ოდენობით მიუთითებდა, ასეთივე ზომიერია იგი სხვა არმიათა სიდიდეების დასახელებისას,[24] მაგრამ ილ-ღაზის ანტიოქიის მტრად გადაქცევის შემდეგ, გოტიეს ობიექტურობის ხარისხი მკვეთრად

იცვლება, რის შედეგადაც ილ-ღაზის არმიის „სიდიდე," მისდამი გოტიეს „სიძულვილის მატების პროპორციულად იზრდება". როდესაც ილ-ღაზი ანტიოქიის მოკავშირეა 1115 წელს, მისი არმია დამასკოს ძალებთან ერთად 10 ათასი მეომარია, როდესაც იგი, როგორც მტერი დაუპირისპირდა ანტიოქიის მთავარს „სისხლიან ველზე", მისი არმია 100 ათასი „გახდა" (ანტიოქიისა კი 3700),[25] ხოლო როდესაც ილ-ღაზი საქართველოში წავიდა, მისი მეომრების რაოდენობა უკვე 600 ათასამდე „გაიზარდა."[26]

როგორც აღვნიშნეთ, დავით აღმაშენებელის მიერ ილ-ღაზის დამარცხებას, გოტიე ღმერთის სასჯელად განიხილავს. ამ შემთხვევაში ციფრი 600 ათასი უნდა ამძაფრებდეს ზეციური სასჯელის გარდაუვალობას ილ-ღაზის მიმართ, რომელსაც შურისგებისგან (გოტიეს აზრით) ვერანაირი მრავალრიცხოვანი არმია ვერ იხსნიდა.

ყოველივე აღნიშნულის გამო, გოტიეს ცნობების გამოყენებისას მისგან ყველანაირი ციფრები და მათთან ერთად ის ერთგვარი „მხატვრული" ელემენტებიც უნდა გამოირიცხოს, რითაც ის უხვად „ალამაზებს" თავის მონათხრობს დიდგორის ბრძოლის შესახებ. რასაკვირველია, პირველ რიგში, ეს ეხება ღმერთის მიერ მუსლიმი მეომრების „დაბრმავების ფაქტს," დავით აღმაშენებლის მიერ ბრძოლის ველზე თითქოსდა „ექსპრომტად" წარმოთქმულ სიტყვას, ხერგილების მოწყობასა[27] და ილ-ღაზის თავში დაჭრას.[28]

აღნიშნული მომენტების გარეშე გოტიეს ცნობები სავსებით რეალურია და პირველხარისხოვან, ერთგვარ სამხედრო ხასიათის წყაროსაც წარმოადგენს. როგორც ჩანს, გოტიემ მართლაც „მთელი სერიოზულობით" გამოჰკითხა დიდგორის ბრძოლის მონაწილეებს, რის შედეგადაც მის მონათხრობში გაჩნდა სამხედრო ხასიათის ისეთი „პროფესიული" ნიუანსები, რაც სხვა ავტორებთან მხოლოდ ირიბად შეიძლება ვივარაუდოთ და რომლებიც ბრძოლის საკმაოდ დეტალური რეკონსტრუქციის შესაძლებლობას იძლევიან.[29]

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც გოტიეს მონათხრობი მიუთითებს, არის ის გარემოება, რომ დიდგორის ბრძოლა იყო არა კლასიკური სახის სამხედრო დაპირისპირება, არამედ ჩასაფრებითი ხასიათის ბრძოლა, რომლის დროსაც საბრძოლო პოზიციებზე წინასწარ განლაგებულმა ქართულმა არმიამ აიძულა მოწინააღმდეგე პირდაპირ მარშიდან ჩაბმულიყო ბრძოლაში მისთვის არახელსაყრელ ადგილზე (იხ. შენ. 17). ეს უაღრესად საყურადღებო ფაქტორი კარგად ჩანს სხვა ავტორთა (ალ-ფარიკი, ალ-ასირი, მიხეილ სირიელი, ქამალ ად-დინი, ალ-კალანისი. მათ შესახებ იხ. ქვემოთ) მონათხრობიდანაც, მაგრამ გოტიეს ცნობები მათგან (გარდა ალ-ფარიკისა) თავისი დეტალურობით აშკარად გამოირჩევა. მაგალითად, აქ შეფასებულია ქართული არმიის პოზიციის უპირატესობა სამხედრო თვალსაზრისით (არმია ჩასაფრებულია ორ მთას შუა, ხოლო მის მცირე ნაწილს უკავია ის ველი, სადაც, როგორც ჩანს, გადიოდა მუსლიმთა კოლონების გზა). აღნიშნულია საბრძოლო არეალის სივიწროვე, რის გამოც ჩასაფრება აქ ეფექტურად განხორციელდებოდა. აშკარად ჩანს, რომ არმიის მცირე ნაწილი (გოტიესეული ფრანკები) ველზე, ე.ი. სავალ გზაზე არიან განლაგებული, მტრისთვის ხილვად პოზიციაზე დგანან და მათ ამოცანას მოწინააღმდეგის პროვოცირება წარმოადგენს ბრძოლაში ჩასაბმელად, ხოლო დიდი ნაწილი („ქრისტიანები და მიდიელები") მთებსა და ტყეებში არიან ჩასაფრებულნი. ასეთი განლაგება წინასწარაა დაგეგმილი და მომზადებული: გოტიეს მიხედ-

ვით, დავით აღმაშენებელი თავად აღნიშნავს ამ პოზიციის სიძლიერესა და უპირატესობას. აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ ამ მიდამოებში მოძრაობა საკმაოდ რისკის შემცველი იყო თავისი მრავალრიცხოვნობის იმედზე მყოფ მუსლიმთა კოლონისთვის (არეალის სივიწროვის გამო) და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, გოტიეს შესანიშნავად აქვს აღწერილი ქართული არმიის ჩასაფრების დისპოზიცია და მოულოდნელი თავდასხმის ეფექტი ილ-ღაზის არმიის სამარშო კოლონაზე, რისი მიხედვითაც (რასაკვირველია, სხვა ავტორთა ცნობებისა და დიდგორის რელიეფის თავისებურებათა გათვალისწინებით) დიდგორის ბრძოლის რეალური, საერთო სურათის აღდგენა სავსებით შესაძლებელია.

ავტორთა იმ ჯგუფიდან, რომლებიც ქრონოლოგიურად ახლო დისტანციიდან წერდნენ დიდგორის ბრძოლის შესახებ (ალ-ფარიკი, მათე ურჰაელი და მიხეილ სირიელი), ყველაზე ღირებული, უდავოდ, ალ-ფარიკის ცნობებია, რომლის წყაროც თავად მეფე დემეტრე I უნდა ყოფილიყო. ალ-ფარიკის ცნობები დიდგორის ბრძოლის შესახებ მოკლე, მაგრამ უაღრესად ინფორმატიულია. იგი იძლევა ილ-ღაზის არმიის ზუსტ მარშრუტს საქართველოსკენ, რასაც დიდგორის ბრძოლის რეკონსტრუქციისთვის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, ასახელებს ბრძოლის მონაწილეებს, მიუთითებს ბრძოლის ადგილს (რომელიც მას პირადად ჰქონდა ნანახი)[30] და, რაც მთავარია, აღნიშნავს უაღრესად მნიშვნელოვან ნიუანსებს ქართული არმიის განლაგებისა და ბრძოლის ხასიათის შესახებ. მის მიხედვით, დავით აღმაშენებელი მეთაურობდა ქართული არმიის დასავლეთის ფრთას, ხოლო დემეტრე (რომელიც აღმოსავლეთის ფრთის მეთაურია) თავისი რაზმებით იმყოფებოდა მაღალ მთაზე, საიდანაც ის თავს დაესხა ამ მთის ძირში მყოფ მუსლიმებს. ამ აღწერილობაში პირდაპირ ჩანს ბრძოლის არასტანდარტული ხასიათი (ქართულ არმიას არ ჰყავს ცენტრი, ე.ი. მის საბრძოლო წყობას არ აქვს კლასიკური ფორმა), ხოლო დავით აღმაშენებლის მოქმედება (შეტევა დასავლეთიდან) და დემეტრეს განლაგება (მთის სიმაღლეზე) აშკარა მითითებაა ჩასაფრებით ბრძოლაზე, სადაც მუსლიმთა არმიას მთებიდან თავს ესხმიან მაშინ, როდესაც ის მთის ძირში (ე.ი. მთის ძირში გამავალ გზაზე) გადის, ე.ი. მოძრაობს სამარშო კოლონით.[31]

საკმაოდ ადვილია ახლო მსგავსებების დანახვა გოტიესა და ალ-ფარიკის ცნობებს შორის. ორივეს მიხედვით ქართული არმია ორ ნაწილად იყო გაყოფილი (გოტიეს „ფრანკები" დგანან ველზე, როდესაც „ქრისტიანები და მიდიელები" იმყოფებიან ორ მთას შუა, ხოლო ალ-ფარიკის მიხედვით, დავითის „ნაწილი" დასავლეთით დგას, დემეტრე კი აღმოსავლეთით და განლაგებულია მთაზე). ორივეს მიხედვით, თავდასხმა ხდება მუსლიმთა სამარშო კოლონაზე მაშინ, როდესაც კოლონა მოძრაობაში იმყოფება (გოტიეს მიხედვით ველზე (გზაზე) მოძრავი მუსლიმები ხედავენ და თავს ესხმიან ღიად მდგომ „ფრანკებს", რის შემდეგაც მთებს შორის ჩასაფრებაში მყოფი „ქრისტიანებისა და მიდიელების" თავდასხმის ობიექტები ხდებიან. ხოლო, ალ-ფარიკის მიხედვით, დემეტრე თავს ესხმის მუსლიმებს მაშინ, როდესაც ისინი იმ მთის ძირში გადიან, სადაც დემეტრეა ჩასაფრებული, დავითი კი დასავლეთიდან უტევს). ორივეს მიხედვით, თავდასხმა აშკარად მოულოდნელია მუსლიმებისთვის, რის გამოც ისინი სწრაფად მარცხდებიან და ა.შ. ჩვენი აზრით, ეს მსგავსებები, რომლებიც ბრძოლის საერთო ხასიათსა და მსვლელობასაც საკმაოდ ნათლად გამოხატავენ და მთელ რიგ დეტალებსაც გარკვევით მიუთითებენ, განპირობებული უნდა ყოფილიყო იმ გარემოებით, რომ ორივე ავტორს (რომ-

ლებსაც დიდი პირადი სამხედრო გამოცდილება გააჩნდათ) ინფორმაცია დიდგორის ბრძოლის შესახებ ბრძოლის უშუალო მონაწილეებისგან ჰქონდათ მიღებული, რაც ორივე წყაროს მაღალ ისტორიულ (უფრო სწორად, სამხედრო-ისტორიულ) ღირებულებას ანიჭებს.

ბრძოლის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით, აშკარად, ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს მათე ურჰაელი, რომელიც ისტორიოგრაფიაში დიდგორის ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ ითვლება. ამ უნდობლობას, პირველ რიგში, განაპირობებს მათე ურჰაელის მიერ დასახელებული ციფრები, რომელთაც (გოტიეს ციფრებთან ერთად) არაფერი საერთო არ შეიძლება ჰქონდეთ სინამდვილესთან. დიდგორის ბრძოლის ანალოგიურად, მათე ურჰაელი მუსლიმთა სამხედრო ძალების ოდენობას სხვა ბრძოლების აღწერისასაც ხშირად მიუთითებს სრულიად ფანტასტიკურ რაოდენობებში, მაგალითად, კერბოგას არმიის სიდიდეს ანტიოქიის ბრძოლის დროს, იგი (ჰეროდოტეს ტრადიციებში) მილიონ ასი ათასი მეომრის ფარგლებში ასახელებდა, რაც „ციფრების გაზვიადების ეპოქაშიც" კი გამორჩეულ ფანტაზიას წარმოადგენდა და რეალობად, რასაკვირველია, არავის არ მიუჩნევია.[32]

მათე ურჰაელის ქრონიკაზე დაკვირვებისას თვალში საცემია ერთი გარემოება, მისი ცნობები (რომლებიც მთლიანობაში პირველხარისხოვან წყაროს წარმოადგენენ) აშკარად ზუსტი და დეტალურია, როდესაც თხრობა შეეხება თავისი მშობლიური ქალაქის, ურჰას (ედესის) ისტორიას, აქ იგი ყველაფერს (მათ შორის ციფრებსაც) საკმაოდ რეალურად და ისტორიული თანმიმდევრობით გადმოსცემს, მაგრამ როგორც კი მისი თხრობის თემა სცილდება ედესას, (შეიძლება ითქვას, რომ გეოგრაფიული და ქრონოლოგიური დაშორების თანმიმდევრულად), ფაქტების აღწერილობა მოკლე და ბუნდოვანი, ხოლო ციფრები (ხშირ შემთხვევაში) დაუჯერებელნი ხდებიან. მათე ურჰაელის ცნობებში დიდგორის ბრძოლის შესახებ მიუღებელია როგორც დასახელებული ციფრები (560 ათასი მუსლიმური, ხოლო 56 ათასი ქართული არმიისთვის), ასევე მუსლიმური არმიის საქართველოში შემოსვლის მარშრუტიც, რომელსაც იგი განძის მხრიდან მიუთითებს (ხოლო გასვლას, ანუ გაქცევას, ანისის მიმართულებით უჩვენებს). რაც შეეხება საკუთრივ ბრძოლის აღწერას, სამხედრო თვალსაზრისით მასში ღირებული არაფერია, გარდა იმ მითითებებისა, რომლის მიხედვითაც ბრძოლა მთებში მომხდარა, ხოლო დამარცხების შემდეგ მუსლიმურ არმიას უკან, ანისის მიმართულებით დაუხევია,[33] საიდანაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისინი საქართველოში შემოსვლითაც ამ მიმართულებიდან უნდა შემოსულიყვნენ (რასაც სხვა წყაროები თითქმის ერთხმად აღნიშნავენ).

ძალიან მოკლეა მიხეილ სირიელის ცნობა, რომელსაც იგი თავისი ქრონიკის თხრობის საერთო კონტექსტში იძლევა. იმის მიუხედავად, რომ სირიელის ციფრი ილ-ღაზის არმიის შესახებ (100 ათასი) მიუღებელი და დაუჯერებელია, მისი მითითება (გოტიეს მსგავსად) ხორასნელ სულთანზე ძალიან მნიშვნელოვანია და ლაშქრობის ორგანიზაციისა და მიზეზების შესახებ, საყურადღებო ინფორმაციის შემცველია. განსაკუთრებით ღირებულია ის ფაქტი, რომ მიხეილ სირიელი ძალიან მოკლედ და ლაკონიურად აღნიშნავს დიდგორის ბრძოლის ჩასაფრებით ხასიათს. მის მიხედვით დავით აღმაშენებელს დაუკავებია ვიწრობები და ისე გაუნადგურებია მუსლიმთა არმია.[34]

ავტორთა მესამე ჯგუფიდან (ალ-ასირი, ალ-ჯაუზი, ქამალ ად-დინი, ალ-კა-

ლანისი). რომლებიც თავის ქრონიკებს დიდგორის ბრძოლიდან საუკუნის შემდეგ წერდნენ, ყველაზე ფართო ალ-ასირის ცნობებია. უაღრესად ღირებულია ალ-ასირის მიერ კოალიციის მონაწილეთა ჩამონათვალი. ძალიან საინტერესო მითითება აქვს დაცული მას ლაშქრობის ორგანიზების თაობაზე, რომლის მიხედვითაც მუსლიმი ემირები მიმოწერის მეშვეობით შეთანხმებულან საქართველოს წინააღმდეგ კოალიციის შექმნაზე, რაც შესაძლებლობას იძლევა გარკვეული წარმოდგენა შევიქმნათ საქართველოში ლაშქრობის იდეის გაჩენისა და მისი ორგანიზების დროის შესახებ. ასევე აშკარად ღირებული და რეალურია ალ-ასირის ციფრები (4000 დაღუპული და ტყვედ ჩავარდნილი მუსლიმი მეომრის შესახებ), მაგრამ თავად ბრძოლის აღწერილობა ძალიან მოკლეა, თუმცა შეიცავს საყურადღებო მითითებებს. სწორედ ალ-ასირთანაა დაცული ცნობა 200 ყივჩაღი მეომრის დაუჯერებელი რეიდის თაობაზე, რომელსაც (მისი მიხედვით) თითქოს გადაუწყვეტია ბრძოლის ბედი (რის გამოც დიდგორის ბრძოლის ეს ეპიზოდი ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული, თუმც უსაფუძვლო ყურადღების საგანი გახდა[35]). რასაკვირველია, 200 მეომარს არ შეეძლო გადაეწყვიტა ისეთი მასშტაბური ბრძოლის ბედი, როგორიც იყო დიდგორი,[36] მაგრამ ეს ეპიზოდი, რომ ბრძოლის საერთო სქემის ერთი მნიშვნელოვანი დეტალია (თუმც წერილობით წყაროში არასწორად ასახული), ეს ცხადი უნდა იყოს. ყივჩაღთა ეს რეიდი სხვა არაფერია, თუ არა მოწინააღმდეგის პროვოცირება (გოტიეს ფრანკების მსგავსად) და მისი ჩასაფრებაში შეტყუება, რისი მიხედვითაც, მიუხედავად იმისა, რომ ალ-ასირი პირდაპირ მიუთითებს ბრძოლის კლასიკურ ხასიათზე (იგი აღნიშნავს, რომ არმიები ერთმანეთის პირდაპირ გამწკრივდნენო), თავისდა უნებურად მაინც მიუთითებს დიდგორში მომხდარ ჩასაფრებაზე, რომელიც კიდევ უფრო გარკვევით ჩანს ყივჩაღების რეიდის მომდევნო ეპიზოდში, სადაც აღწერილია ის არეულობა და ჭყლეტა, რომელიც მუსლიმ მეომართა შორის წარმოიქმნა მოულოდნელი შეტევის გამო, რაც სწორედ კოლონებად მოძრაობისას წარმოქმნილ არეულობას წააგავს.[37]

ძალიან მოკლე, მაგრამ ჩვენი აზრით, ძალზე ღირებულია ალ-ჯაუზის ცნობები დიდგორის ბრძოლის შესახებ. სულ რამდენიმე ფრაზაში ალ-ჯაუზი ახერხებს დაასახელოს ბრძოლის მიზეზი (თბილისის შევიწროვება დავითის მხრიდან), კოალიციის ორგანიზატორები, ბრძოლის ადგილი (თბილისიდან ნახევარი დღის სავალზე), ბრძოლის აშკარად ჩასაფრებითი ხასიათი (დავით მეფე მთებიდან დაესხა მტერს) და შედეგი, ილ-ღაზის არმიის სასტიკი დამარცხება. აქვეა დაცული ძალიან საყურადღებო მითითებები იმის შესახებ თუ საით მოძრაობდა მუსლიმების არმია (თბილისის კარისკენ) და რომ მისი მოკავშირეები ბრძოლის ველზე მოსულნი არ იყვნენ.[38]

ასევე მოკლე და ინფორმატიულია ალ-კალანისისა და ქამალ ად-დინის თითქმის ერთმანეთის იდენტური ცნობები, რომელთა მიხედვითაც ილ-ღაზი საქართველოში მიიწვია განძის მალიქმა თოღრულმა. ორივე ავტორი ასევე ერთხმად მიუთითებს, რომ ილ-ღაზის არმია დამარცხდა ჩასაფრებით ბრძოლაში, სადაც ისინი დავით აღმაშენებელმა შეიტყუა.[39]

როგორც ვხედავთ, დიდგორის ბრძოლის შესახებ არსებული წერილობითი წყაროები თითქმის ერთხმად მიუთითებენ ბრძოლის ჩასაფრებით ხასიათზე, თუმცა ამას სხვადასხვა კონტექსითა და ფორმით აკეთებენ, რაც ამ უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნის ღირებულებას არაფრით უნდა ცვლიდეს. როგორც ჩანს, დიდგორში მუსლიმური არმიის განადგურების შემდეგ აღმოსავლეთის ქვეყნებში

ამ კატასტროფული მარცხის შესახებ დამკვიდრდა ის ძირითადი ვერსია, რომლის მიხედვითაც მუსლიმური არმია შეტყუებულ და დამარცხებულ იქნა ჩასაფრებით ბრძოლაში, რაც მთელი რიგი დამატებითი გარემოებების (ქართული არმიის გამოყენებული ტაქტიკის ხასიათი, მისი უპირატესობა მთების პირობებში სელჯუკურ არმიებთან შედარებით და ა.შ.) გათვალისწინებითაც, სავსებით უნდა შეეფერებოდეს რეალობას.

ჩვენი აზრით, ეს არის ძალზედ მნიშვნელოვანი და ძირითადი დასკვნა წერილობითი წყაროების ცნობებიდან, რომლის საფუძველზეც, ბრძოლის წარმოების იმდროინდელი მეთოდებისა და დიდგორის მიდამოების რელიეფის თავისებურებათა გათვალისწინებით, ბრძოლის ისტორიული სურათის რეკონსტრუქცია სავსებით შესაძლებელია.

თავი VIII

დიდგორი — ომის კულმინაცია
ბრძოლა კოალიციის ერთიანობის წინააღმდეგ

სისწრაფით მოწინააღმდეგის ბევრი
ჩანაფიქრის აღკვეთა შეიძლება.

კლაუზევიცი.

დიდგორის ბრძოლა მოხდა 12 აგვისტოს[1], რაც იმას ნიშნავს, რომ ილ-ღაზის არმიამ მარდინიდან საქართველოს მიმართულებით მოძრაობა დაიწყო სადღაც ორი თვით ადრე, ივნისის დასაწყისში.[2]

ივნისშივე დავით აღმაშენებელმა განახორციელა ღრმა რეიდი განძის საემიროს ტერიტორიების სიღრმეში და ბარდავთან გაანადგურა მომთაბარეთა სადგომი.[3] ჩვენის აზრით, ამ ორ მოვლენას შორის პირდაპირი და მნიშვნელოვანი კავშირი უნდა არსებობდეს.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, 1121 წლის დასაწყისში, ილ-ღაზიმ სასწრაფო ზავი დადო ჯვაროსნებთან და საქართველოში ლაშქრობის სამზადისს შეუდგა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოზე ლაშქრობის გადაწყვეტილების მომზადება და მიღება, სადღაც 1120 წლის შემოდგომაზე მომხდარა.[4]

ალ-ასირი მიუთითებს, რომ საქართველოს მეზობელი საემიროები მიმოწერის გზით შეთანხმებულან საქართველოში ლაშქრობაზე.[5] ამ ცნობაში ასახული უნდა იყოს სწორედ 1120 წლის შემოდგომის პერიოდი, როდესაც ემირები წერილების მეშვეობით ატყობინებდნენ ერთმანეთს თავისი გადაწყვეტილებების შესახებ. 1121 წლის დასაწყისისთვის შეთანხმების პროცესი აშკარად დამთავრდა და ამის გამო ილ-ღაზიმ დადო ზავი ჯვაროსნებთან. ე.ი. ამ დროისთვის საქართველოში ლაშქრობის შესახებ გადაწყვეტილება უკვე შემდგარი იყო, რაც, ბუნებრივია, ცნობილი იქნებოდა როგორც განძის, ასევე თბილისის საემიროებშიც, რომელთა თხოვნითაც მოხდა ლაშქრობის ორგანიზება.

ამ დროისთვის თბილისის საემირო დავით აღმაშენებლის ფაქტიურ ალყაში იმყოფებოდა. იგი მისი მოხარკე ქალაქი იყო, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ქალაქის მმართველ წრეებთან საქართველოს სამეფოს ადმინისტრაციული აპარატს მჭიდრო კონტაქტები უნდა ჰქონოდა და დარწმუნებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქალაქში ინფორმატორთა ქსელიც ექნებოდა ორგანიზებული. ალბათ, არ შეიძლება რაიმე ეჭვის შეტანა იმაში, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაციები, რომლებიც აღწევდნენ თბილისის საემიროს, ცნობილი ხდებოდა დავით აღმაშენებლისთვის.[6] აქედან გამომდინარე, დამაჯერებლად შეიძლება იმის ვარაუდი, რომ მუსლიმთა გადაწყვეტილება საქართველოში წმინდა ომის ორგანიზებაზე დავით აღმაშენებლისთვის უკვე 1121 წლის დასაწყისშივე გახდებოდა ცნობილი.

ამ ინფორმაციის მიღებისას პირველი, რასაც აუცილებლად გააკეთებდა საქართველოს მეფე, იქნებოდა მსტოვრების (ვაჭრების, ელჩების, ხელოსნების და ა.შ. სახით) დიდი რაოდენობით გაგზავნა სხვადასხვა საემიროებში (მათ შორის მარდინშიც), საიდანაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაზუსტდებოდა როგორც მუსლიმური არმიების შეგროვების ძირითადი რეგიონები, ასევე დაგეგმილი ლაშქრობის ზოგადი მიზნები.[7]

იმის გამო, რომ დიდი არმიის საიდუმლოდ ფორმირება შეუძლებელია, რადგან ინფორმაციას მეომართა შეგროვების ადგილისა და დროის შესახებ ათასობით ადამიანი იგებდა, საკმაოდ ადვილი დასადგენი იქნებოდა კოალიციური არმიების მოძრაობის დაწყების პერიოდი. ასეთი ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში, ადვილად განისაზღვრებოდა როგორც მუსლიმური არმიების საქართველოს საზღვრებამდე მოსასვლელი დრო, ასევე მათი მარშრუტებიც, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მეფისთვის ჯერ კიდევ კოალიციური ლაშქრობის დაწყებამდის იქნებოდა ცნობილი, როგორც მოწინააღმდეგის ზოგადი ჩანაფიქრი, ასევე სამხედრო გეგმის მთელი რიგი დეტალები, რაც დავით აღმაშენებელს უკვე საწყის ეტაპზე აძლევდა სტრატეგიულ უპირატესობას, რომელიც ვითარების სწორი შეფასების, სწორი დაგეგმარებისა და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში, ტაქტიკურ უპირატესობადაც უნდა ქცეულიყო. მოვლენათა განვითარების თანმიმდევრობა აჩვენებს, რომ საქართველოს მეფემ ეს ამოცანა ნამდვილად ბრწყინვალედ შეასრულა.

ჩვენთვის ცნობილია ის, რაც ასევე ცნობილი უნდა ყოფილიყო დავით აღმაშენებლისთვის. კოალიციის ფორმირება ხდებოდა ორ ძირითად რეგიონში, განძასა და მარდინში, რომლებიც განსაზღვრულ დროს უნდა შეერთებოდნენ ერთმანეთს საქართველოს მეფის წინააღმდეგ. ამ ინფორმაციის ფლობა დავით აღმაშენებლისთვის ნიშნავდა პირველი ამოცანის ფორმირებას, არ დაეშვა მოწინააღმდეგეთა ძალების მსხვილ დაჯგუფებებად კონცენტრირება და მით უმეტეს, ერთმანეთთან შეერთება, რაც საქართველოს სამეფოსთვის შეიძლება დამღუპველი ყოფილიყო. ამ ამოცანის შესრულება მარდინის საემიროს მიმართ, მისი სიშორის გამო, შეუძლებელი იყო, სამაგიეროდ განძის საემირო საქართველოს გვერდით, საკმაოდ ახლოს მდებარეობდა და მის ტერიტორიებზე მოსახვედრად ბუფერული ერთეულების გავლა საჭირო არ იყო.[8]

განძის ემირებისთვის, ისევე როგორც ილ-ღაზისთვის, არმიის ფორმირების მნიშვნელოვან წყაროს მომთაბარეები წარმოადგენდნენ, რომლებიც განძის საემიროს ტერიტორიებზე, ძირითადად, მტკვრის ხეობის გასწვრივ მომთაბარეობდნენ. ქართული წყაროებიდან ჩვენთვის ცნობილია მათი მსხვილი სადგომები, ხუნანი და ბარდავი, საიდანაც ისინი (როცა ამის გაკეთება შეეძლოთ) შემოდიოდნენ საქართველოს ტერიტორიებზე.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, განძის საემიროს სამხედრო შესაძლებლობები არ უნდა ყოფილიყო გრანდიოზული, მაგრამ მომთაბარე მეომართა გარკვეული რაოდენობის დამატების შემდეგ ის აშკარად ანგარიშგასაწევი ძალა ხდებოდა, რაც კარგად ჩანს თუნდაც იქიდან, რომ განძის სამხედრო პოტენციალზე დაყრდნობით სელჯუკი პრინცები სისტემატიურად იბრძოდნენ სულთნის ტიტულისთვის და თამამად უპირისპირდებოდნენ ირან-ერაყის არმიებს.

დავით აღმაშენებლის მემატიანის ცნობით, 1121 წელს დიდგორის ბრძოლამდე საქართველოს მეფემ ორჯერ ილაშქრა განძის საემიროს ტერიტორიებზე მომთაბარეთა წინააღმდეგ, პირველად ხუნანში, მეორედ კი ბარდავში.[9]

ხუნანში ლაშქრობა მარტში განხორციელდა და წარმატების უზრუნველსაყოფად, დავით აღმაშენებელს უაღრესად რთული ორგანიზაციული ღონისძიებების (აფხაზეთიდან მოულოდნელი დაბრუნება, ლიხის ქედზე გამავალი გზის თოვლისგან გათავისუფლება, არმიის ზამთარში გაწვევა და ა.შ.) გატარება მოუხდა, რაც ამ ლაშქრობის მაღალი მნიშვნელობით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ივნის-

ში კი, იგი უკვე ბარდავში იყო.

ბარდავში ლაშქრობასთან დაკავშირებულია რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი (მაგალითად, ლაშქრობის მარშრუტი, რომელიც აშკარად კახეთ-ჰერეთის მხრიდანაა შესრულებული, მტკვრის ფორსირება საბრძოლო მდგომარეობაში და სხვა),[10] მაგრამ ამ შემთხვევაში, ყველაზე საინტერესო ლაშქრობის დროა.

ქართული არმიის თავდასხმა ბარდავზე ხდება იმ დროს, როდესაც ილ-ღაზის არმია უკვე გზაში, ხოლო განძის საემირო არმიის შეგროვების პროცესში უნდა იმყოფებოდეს. დიდგორის ბრძოლა მოხდა 12 აგვისტოს, ე.ი. სადღაც, ივლისის ბოლოს ილ-ღაზი საქართველოს საზღვრებს მიადგა, რაც იმას ნიშნავს, რომ ილ-ღაზი მარდინიდან სადღაც ივნისის დასაწყისში დაიძრა. ილ-ღაზისა და განძის საემიროს არმიების შეერთების დაგეგმილ ადგილს, წყაროთა ნაწილი თბილისის მიდამოებს მიუთითებს (ამ საკითხზე იხ. შემდეგი ქვეთავი), სადამდისაც განძის არმიას დაახლოებით ორ კვირამდე უნდა დაჭირვებოდა, ე. ი. განძელები საქართველოსკენ, სადღაც, ივლისის შუა რიცხვებისთვის უნდა დაძრულიყვნენ. არმიის ფორმირებისთვის ორი-სამი კვირა მაინც იყო საჭირო, ასე, რომ ივნისის ბოლოსთვის განძის არმია ფორმირების (შეგროვების) პროცესში იყო და დავით აღმაშენებელი ბარდავს თავს დაესხა ზუსტად მაშინ, როდესაც არმია გროვდებოდა და ემზადებოდა საქართველოზე სალაშქროდ.

არმიის შეგროვება ხდებოდა შემდეგნაირად. სხვადასხვა რანგის ხელისუფლებს თუ მომთაბარე ტომების მეთაურებს წინასწარ ეგზავნებოდათ თავმოყრის დრო და თავმოყრის ადგილი, სადაც მზადდებოდა ბანაკი და საჭირო რაოდენობის პროდუქტები თუ სხვა აუცილებელი ინვენტარი. ყველა გაწვეულის ბანაკში მოსვლა, ბუნებრივია, ერთ დღეში ვერ ხერხდებოდა, რის გამოც ბანაკი გარკვეული ხანი აგრძელებდა ფუნქციონირებას, სანამ არმიის ხელმძღვანელობა არ მიიღებდა გადაწყვეტილებას მისი დატოვებისა და ლაშქრობის დაწყების შესახებ.[11] ე.ი. თუ განძის არმია შეგროვებას დაიწყებდა სადღაც ივნისის მეორე ნახევარში, იგი მარშისთვის მზად ივლისის შუა რიცხვებამდე უნდა ყოფილიყო. ხოლო ბრძანება საქართველოსკენ ლაშქრობის შესახებ, სადაც იგი ილ-ღაზის არმიას უნდა შეერთებოდა, სწორედ ივლისის შუა რიცხვებში უნდა მიეღო. დავით აღმაშენებლის თავდასხმას ბარდავზე კი, მისი მემატიანე ზუსტად ივნისში მიუთითებს, რაც არ უნდა ტოვებდეს ეჭვს იმის შესახებ, რომ ეს იყო მუსლიმური კოალიციის წინააღმდეგ განხორციელებული აქცია.

ბარდავზე თავდასხმა არ იყო ჩვეულებრივი რეიდი მომთაბარეთა წინააღმდეგ, იგი კოალიციის ჩასაშლელად კარგად დაგეგმილ სამხედრო ოპერაციას წარმოადგენდა, რაზედაც რიგი სხვა გარემოებებიც მიუთითებენ.

რასაკვირველია, არალოგიკური უნდა იყოს თუ ვიფიქრებთ, რომ დავით აღმაშენებელი თავს დაესხა მომთაბარეთა ჩვეულებრივ სადგომს ბარდავთან და ამ დროს განძის საემიროს რომელიღაც სხვა პუნქტში ხდებოდა საქართველოს საწინააღმდეგო არმიის თავმოყრა, რომელიც განძის ტერიტორიებზე ქართული არმიის გამოჩენისთანავე მის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყო, რაც არ მომხდარა. ჩვენი აზრით, დასკვნა უნდა იყოს ერთადერთი: დავით აღმაშენებელი მოულოდნელად თავს დაესხა სწორედ იმ ბანაკს, სადაც საქართველოს საწინააღმდეგო ლაშქრის შეგროვება ხდებოდა და სადაც უკვე უნდა ყოფილიყო შეგროვილი მეომართა მნიშვნელოვანი რაოდენობა. ის გარემოება, რომ ბარდავზე თავდასხმის შემდეგ დავით აღმაშენებელმა უპრობლემოდ (დავითის მემატია-

ნის სიტყვით „ნებიერად") დატოვა განძის საემიროს ტერიტორიები, ასევე იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მოწინააღმდეგის ძირითადი ძალები სწორედ ბარდავში იყვნენ თავმოყრილი, რომელთა განადგურების შემდეგაც განძის ემირებს (მოცემული მომენტისთვის) უბრალოდ აღარ დარჩათ სამხედრო ძალა ქართულ არმიასთან დასაპირისპირებლად, სხვა მოწინააღმდეგის არყოლის პირობებში კი დავით აღმაშენებელი სწორედ რომ „ნებიერად" (ე.ი. უსაფრთხოდ) დატოვებდა საემიროს ტეროტორიებს, რომელიც გარკვეული ხანი მას საფრთხეს ვეღარ შეუქმნიდა.

არც იმის ვარაუდი იქნებოდა ლოგიკური, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოსკენ მოემართებოდა ილ-ღაზის არმია, დავით აღმაშენებლს მასთან შეხვედრის მზადების ნაცვლად, მომთაბარეთა წინააღმდეგ „რიგითი" რეიდების ჩატარება დაეწყო და ამასთან, არმია მტრული ტერიტორიების ისეთ სიღრმეში შეეყვანა, საიდანაც უკან დაბრუნება შეიძლება არც ისე იოლი ყოფილიყო. აშკარაა, რომ ბარდავში ლაშქრობის მიზანი იყო ბევრად მნიშვნელოვანი, ვიდრე მომთაბარეთა ერთი სადგომის განადგურება და ასეთი მიზანი შექმნილ ვითარებაში მხოლოდ ერთადერთი, განძის არმიის დამარცხება და ილ-ღაზის მოკავშირის გარეშე დატოვება შეიძლებოდა ყოფილიყო.

ამ დასკვნას უნდა ადასტურებდეს მათე ურჰაელის ცნობა დიდგორის ბრძოლის წინ საქართველოში ემირ ჰაზის ლაშქრობისა და მისი განადგურების შესახებ. მის მიხედვით, დიდგორის ბრძოლამდე საქართველოს ტერიტორიები დაურბევია ვინმე „ამირა ჰაზის განძაკის ქვეყნიდან," რომელიც შემდეგ წასულა და დაბანაკებულა „თავის ადგილას." დავით აღმაშენებელმა როცა შეიტყო ეს ამბავი, მოულოდნელად თავს დაესხა მათ, „გაჟლიტა მათგან 30 000 კაცი, ყველა მათი ცოლი და შვილი, ხოლო მათი უთვალავი ცხვრის ფარა გამორეკა მრავალ და ურიცხვ ალაფთან ერთად."[12]

ამ ცნობაში ძალიან ბევრი რამ იყრის თავს, რაც კოალიციის წინააღმდეგ დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ბრძოლის წინ ჩატარებულ პრევენციულ რეიდზე უნდა მიუთითებდეს. აქ დასახელებული ამირ ჰაზი აშკარად მომთაბარეთა მეთაურია,[13] მაგრამ უჩვეულოა მომთაბარეთა რაოდენობა. ერთ ტომს ამდენი მეომარი არ შეიძლებოდა ჰყოლოდა,[14] ე.ი. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში, ამირ ჰაზი რამდენიმე ტომის გაერთიანების ლიდერი უნდა ყოფილიყო, მომთაბარეები კი მაშინ ერთიანდებოდნენ, როდესაც ლაშქრობისთვის ემზადებოდნენ. ამ გაერთიანების განადგურება მოხდა განძის საემიროს ტერიტორიაზე, სადაც ისინი ასევე ერთად იმყოფებოდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი თავის სადგომებზე არ იყვნენ, რომლებიც ერთმანეთისგან საკმაო მანძილით იქნებოდნენ დაშორებული. იმის მითითება, რომ დავით აღმაშენებელმა მათი ერთად განადგურება მოახერხა, უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი ერთად იყვნენ თავმოყრილი, ასეთი თავმოყრის ადგილი კი მხოლოდ ლაშქრობის საწყისი ბანაკი შეიძლებოდა ყოფილიყო.

მათე ურჰაელის მიხედვით, განადგურებას გადარჩენილი მომთაბარეები ილ-ღაზისთან წასულან. „მიაღწიეს არპაკელთა მხარეს კარმიანის ქვეყანაში ამირა ხაზიმდე (ილ-ღაზიმდე ს.მ.), რომელიც იყო არდუხის ძე და საშინელი ტირილით მოუთხრეს მას თავიანთი განწყვეტის შესახებ." ამის შემდეგ, ილ-ღაზი საქართველოსკენ დაძრულა.[15]

ივნისში განადგურებული მომთაბარეები ვერაფრით გახდებოდნენ ილ-ღაზის საქართველოში ლაშქრობის მიზეზი (როგორც ამას მათე ურჰაელი მიუთითებს), ილ-ღაზი ივნისიდან 12 აგვისტომდე გადაწყვეტილების მიღებას, სალაშქროდ

მომზადებასა და საქართველომდე არსებული დისტანციის დაფარვას ვერ მოასწრებდა, ამ დროისთვის მისი ლაშქრობა უკვე დაწყებული იყო და იგი გზაში იმყოფებოდა. უფრო ლოგიკური უნდა იყოს თუ ვიფიქრებთ, რომ ბარდავის თავდასხმას გადარჩენილებმა უბრალოდ შეატყობინეს ილ-ღაზის თავისი დამარცხებისა და განძის საემიროს კოალიციიდან გამოთიშვის ამბავი და შეუერთდნენ მის არმიას.

ამგვარად, ყველა საფუძველი უნდა გაგვაჩნდეს დიდგორის ბრძოლის წინა მოვლენათა შემდეგნაირი რეკონსტრუქციისთვის. დავით აღმაშენებლმა, რომელიც ფლობდა წინმსწრებ ინფორმაციას კოალიციის ორგანიზებისა და მარშრუტების შესახებ, ილ-ღაზის საქართველოს ტერიტორიებამდე მოღწევამდის განახორციელა ღრმა პრევენციული რეიდი განძის საემიროს ტერიტორიაზე და გაანადგურა ფორმირების პროცესში მყოფი განძის არმია, რომელშიც ყველა სხვა სეპარატისტული არმიის მსგავსად, მომთაბარეთა დიდი რაოდენობა იყო წარმოდგენილი. ასეთი დარტყმის შემდეგ განძის საემიროს, რომელსაც იმავ დროს გარკვეულებული ურთიერთობა ჰქონდა სულთნის ხელისუფლებასთან და სამხედრო საფრთხე მისი მხრიდანაც ემუქრებოდა, აღარ დარჩა იმის რესურსი, რომ მონაწილეობა მიეღო საქართველოზე ლაშქრობაში და გამოეთიშა კოალიციას, რის შედეგადაც დავით აღმაშენებლის წინაშე დარჩა მხოლოდ მარდინ-ბითლისის არმია, ილ-ღაზის, დუბაისისა და (ალბათ) თუღან-არსლანის მეთაურობით.

ილ-ღაზი და კოალიციის სხვა ხელმძღვანელები, განძის არმიის გაანადგურების ამბავს თავისი მარშრუტის სადღაც შუა მონაკვეთში შეიტყობდნენ, როდესაც ლაშქრობის შეჩერება ძალიან გვიანი უნდა ყოფილიყო.[16] ამასთან, კოალიციის ძირითად სამხედრო ძალას სწორედ ილ-ღაზის და არა განძის საემიროს არმია წარმოადგენდა და მისმა გამოთიშვამ კოალიციის შემადგენლობიდან ლაქრობის ჩაშლა არ გამოიწვია.

არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი იმის თაობაზე, რომ განძის გამოკლება კოალიციის შემადგენლობიდან დიდგორის ბრძოლის წინ, დავით აღმაშენებლის დიდი წარმატება იყო. მას ჰქონდა უზარმაზარი სამხედრო მნიშვნელობა პირველ რიგში იმით, რომ საქართველოს მოწინააღმდეგეთა რიგებს აკლდებოდა სერიოზული სამხედრო ძალა, რითაც საქართველოს მეფე თავიდან იცილებდა ორ არმიის წინააღმდეგ მოქმედების სირთულეს, რაც განსაკუთრებით სახიფათო იქნებოდა თავდაცვის ორგანიზებისთვის.

განძის არმიის განადგურებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებიდან საფრთხის ლიკვიდაციის შემდეგ, დავით აღმაშენებლის უმთავრესი ამოცანად ილ-ღაზის არმიის მარშრუტზე თვალის დევნება და მასთან გადამწყვეტი ბრძოლის შესახებ გადაწყვეტილების მიღება რჩებოდა.

ილ-ღაზის არმიის მარშრუტი საქართველოსკენ

ვისაც დიდი არმია ჰყავს, ის გაშლილ ადგილში ცდილობს განლაგებას, ვისაც მცირე, ის ვიწრობებში.

უ-ც ზი.

საქართველოში შემოსული ილ-ღაზის არმიის მიზნების, დიდგორში ბრძოლის მიზეზებისა და კამპანიის საერთო სურათის სწორად აღსადგენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის ზუსტად დადგენას, თუ საიდან შემოვიდა, რა მიმართულებით და საით მოძრაობდა მუსლიმური არმია საქართველოს ტერიტორიებზე.

ილ-ღაზის არმიის მოძრაობის შესახებ წერილობითი წყაროები იძლევიან ფრაგმენტულ და ერთი შეხედვით ერთმანეთისგან განსხვავებულ მონაცემებს.

მათე ურჰაელის მიხედვით, ილ-ღაზი მისულა განძამდე, საიდანაც მალიქ თოღრულთან ერთად შევიდა „ქართველთა ქვეყანაში თბილისის მხარეს მთის (მიმართულებით), რომელსაც ეწოდება დეკორი".[1] ეს დეკორი იდენტიფიცირებულია დიდგორთან.[2]

ალ-ფარიკის მიხედვით ილ-ღაზი ჩავიდა ერზრუმში, შემდეგ ყარსში და აქედან თრიალეთში. შემდგომი ტექსტიდან ისე ჩანს, რომ სადღაც დიდგორამდე ილ-ღაზს შეერთებიან განძიდან და დვინიდან წამოსული თოღრული და თუღან-არსლანი.[3]

საქართველოში შემოსვლის მოკლე ვერსიას იძლევა ალ-ასირი, მისი ტექსტიდან ისე გამოდის, რომ კოალიცია საქართველოს გარეთ შეგროვილა და მისულა თბილი!ოთან (საიდან არ უთითებს).[4]

მარშრუტის განსხვავებულ სქემას იძლევა ალ-ჯაუზი, რომლის მიხედვითაც, კოალიციის სხვადასხვა ნანილების შეკრება დათქმული იყო თბილისის კართან. პირველი საქართველოში შევიდა ილ-ღაზი, რომელიც დადგა თბილისიდან ნახევარი დღის სავალ გზაზე. სადაც მას თავს დაესხა დავით მეფე, კოალიციის სხვა მონაწილეები კი, ამ დროს არ იყვნენ მოსულნი შეკრების ადგილას.[5]

დავით აღმაშენებლის მემატიანე არ უთითებს მუსლიმთა შემოსვლის მარშრუტს, მაგრამ მკაფიოდ აღნიშნავს მათი თავმოყრის რაიონს, თრიალეთ-მანგლის-დიდგორს.[6]

როგორც ვხედავთ, წერილობითი წყაროები იძლევიან კოალიციის მარშრუტის შემდეგ ძირითად სქემებს:

1) თავმოყრის პუნქტი განძა. აქედან მარშრუტი განძა-დიდგორი (მათე ურჰაელი).

2) თავმოყრის პუნქტი თრიალეთ-მანგლი!ა-დიდგორი, მარშრუტების დაუსახელებლად (დავით აღმაშენებლის მემატიანე).

3) თავმოყრის პუნქტი სადღაც დიდგორამდე, აქამდის სამი მარშრუტი, ერზრუმი-დიდგორი; დვინი-დიდგორი; განძა-დიდგორი (ალ-ფარიკი, ალ-ასირი).

4) თავმოყრის პუნქტი თბილისი, მარშრუტების დაუსახელებლად (ალ-ჯაუზი).

— **თავმოყრის პუნქტი განძა, მარშრუტი განძა-დიდგორი.**

იმის გათვალისწინებით, რომ განძის საემირო კოალიციის ინიციატორი იყო და მდებარეობდა საქართველოში შემომავალ, უაღრესად მოხერხებულ მტკვრის ხეობის გზაზე, საქართველოში შემოსასვლელად ყველაზე რეალურ მარშრუტად

შეიძლებოდა მიგვეჩნია, რომ არა მარშრუტის ბოლო პუნქტი, დიდგორი. მუსლიმთა განძიდან შემოსვლის შემთხვევაში, აბსოლუტურად გაუგებარი ხდება მათი გამოჩენა დიდგორ-მანგლისში, რომელიც არც ლაშქრობის სტრატეგიულ მიზნად და არც ამ მიზნისკენ მიმავალ გზის მონაკვეთად შეიძლება ჩაითვალოს.

განძიდან მომავალი არმია მტკვრის ხეობის გაყოლებით, პირდაპირ მიადგებოდა თბილისს. იმისთვის, რომ მუსლიმები აღმოჩენილიყვნენ დიდგორთან, მათ ან თბილისამდე უნდა გადაეხვიათ ალგეთის ხეობაზე, ან თბილისის შემდეგ, ვერეს ან დილმის ხეობებზე. მაგრამ რატომ განახორციელებდა სელჯუკური არმია, როგორც სტრატეგიული, ასევე ტაქტიკური თვალსაზრისით ასეთ უმიზნო მანევრს, გაუგებარიცაა და არადამაჯერებელიც.

დიდგორში ასვლის შემთხვევაში, ილ-ღაზისა და სხვა მხედართმთავრებს შეიძლებოდა ჰქონოდათ სამი მიზანი:

—მანგლის-დიდგორის გავლით გასულიყვნენ სხვა მიმართულებაზე (რაც პირველ რიგში, შიდა ქართლი შეიძლებოდა ყოფილიყო).

—აქედან დაეწყოთ დავით აღმაშენებლის მიერ დაკავებული ქვემო ქართლის ტერიტორიების დაპყრობა.

—გაენადგურებინათ აქ მდგომი საქართველოს სამეფოს არმია.

თუ კოალიციის მიზანი იყო შიდა ქართლში გასვლა, იგი დიდგორის მთებში კი არ უნდა ასულიყო (სადაც მოძრაობაცა და ბრძოლაც უფრო რთული იქნებოდა, ვიდრე მტკვრის გაშლილ ხეობაში), არამედ ბოლომდე უნდა აჰყოლოდა მტკვრის ხეობის იოლად სავალ გზას და მცხეთის გავლით გასულიყო შიდა ქართლის ვაკეზე, საიდანაც მას ექნებოდა თავისუფალი ოპერატიული სივრცე სხვადასხვა მიმართულებით (ნაჭარმაგევისკენ, ქსნისა და ლიახვის ხეობებისკენ, კახეთისკენ, დასავლეთ საქართველოსკენ და ა.შ.) საბრძოლო მოქმედებების გასავითარებლად. ამასთან, ამ რეგიონის გაშლილ სივრცეებში გასვლით, მუსლიმური არმია მიიღებდა სრულ შესაძლებლობას თავისი ცხენოსანი რაზმების მაღალი ეფექტით გამოყენებისა.[7]

თუ კოალიციის მიზანი იყო სამშვილდისა და დავით აღმაშენებლის მიერ, 1110-1118 წლებში დაკავებული სხვა რეგიონების გათავისუფლება ქართველებისგან, მაშინ მათი დიდგორში ასვლა იქნებოდა სრულიად ულოგიკო, რადგან ასეთ შემთხვევაში მათ ეს მანევრი (მარცხენა მიმართულებაზე გადახვევა მტკვრის ხეობიდან), ან ალგეთის ხეობამდე სამხრეთით, ხრამის ხეობით უნდა შეესრულებინათ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ალგეთის ხეობიდან ფარცხისის მიდამოებში ჩაეხვიათ სამხრეთით და გასულიყვნენ სამშვილდეში (თუმცა ასეთი მანევრიც, სამხრეთიდან მომავალი დიდი არმიისთვის, ასევე ყოველგვარ ლოგიკას იქნებოდა მოკლებული).

ხოლო თუ მიზანი იყო დიდგორში თავმოყრილი ქართული არმიის განადგურება, ამისთვის ისინი მთებში კი არ უნდა ასულიყვნენ, რაც მათთვის თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა (როგორც ეს იყო 1110 წელს თრიალეთის ბრძოლაში დამარცხებული არმიისთვის), არამედ უნდა დამდგარიყვნენ სტრატეგიულად მომგებიან ადგილზე და დაეწყოთ სამეფოს ტერიტორიების აოხრება, რაც ადრე თუ გვიან აიძულებდა დავით აღმაშენებელს დაეტოვებინა მისთვის ხელსაყრელი პოზიცია და თვითონ ეძებნა ბრძოლა დაბლობებში, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ბაგრატ IV-სა და განძის ემირის, ფადლონის ომის დროს, 1069 წელს.[8]

მიუხედავად იმისა, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო კოალიციის სტრატეგიული

მიზანი საქართველოში განძიდან შემოსვლისას, არც ერთ შემთხვევაში მანგლის-დიდგორი მათ მარშრუტში არ უნდა მოხვედრილიყო. მაგრამ რადგან მუსლიმთა არმია მაინც აღმოჩნდა ამ რეგიონში, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი ქვეყანაში ან სხვა მარშრუტით შემოვიდნენ, ან განძიდან მომავალებს რაღაცამ აიძულა აერჩიათ ეს აშკარად ულოგიკო და მათთვის არახელსაყრელი მიმართულება.

ერთადერთი ვარიანტი რის გამოც განძიდან თბილისისკენ მიმავალ არმიას შეიძლებოდა გადაეხვია მტკვრის ხეობიდან მარცხნივ, შესაძლოა ყოფილიყო დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული რაიმე მანევრი, რაც აიძულებდა ილ-ღაზის შეეცვალა მოძრაობის მიმართულება. ამ ვერსიას თითქოს ზუსტად შეესიტყვება ალ-კალანისისა და ქამალ ად-დინის ცნობები, ილ-ღაზის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, რომლის (თავისუფალი ინტერპრეტაციის) მიხედვით: თოღრულმა სთხოვა დახმარება ილ-ღაზის ქართველებისა და მათი მეფის, დავითის წინააღმდეგ, ილ-ღაზი და დუბაისი მრავალრიცხოვანი მეომრის თანხლებით წავიდნენ საქართველოში, სადაც მათ პირველ ბრძოლაში დაამარცხეს ქართველები და შეყვნენ მათ ხეობაში, ქართველები კი ამ ხეობაში თავს დაესხნენ მათ და დაამარცხეს, ხოლო დევნისას ბევრი მუსლიმი დახოცეს და დაატყვევეს.[9]

ამ ცნობების (რომელიც მთლიანობაში საკმაოდ მწყობრი და ლოგიკური თხრობის შთაბეჭდილებას ტოვებს) მიხედვით გამოდის, რომ დავით აღმაშენებელი, ან თავს დაესხა, ან მოახდინა თავდასხმის იმიტაცია მტკვრის ხეობაზე მიმავალი ილ-ღაზის არმიის სამარშო კოლონაზე, შემდეგ დაიხია უკან და თან გაიყოლია მუსლიმები დიდგორისკენ, სადაც მას ჩასაფრება ჰქონდა მოწყობილი.

მარშრუტისა და ბრძოლის ასეთი ინტერპრეტაციის შემთხვევაში თავისთავად დგება საკითხი იმის შესახებ, შესაძლებელი იყო თუ არა მტრის არმიის „ატყუება" მტკვრის ხეობიდან მანგლის-დიდგორში და ასეთ შემთხვევაში, სად შეიძლებოდა მომხდარიყო სამარშო კოლონაზე თავდასხმა.

მტკვრის ხეობიდან დიდგორისკენ ასვლა შესაძლებელია სამი მარშრუტით, ალგეთის, ვერეს და დიღმის ხეობებით. ე.ი. იმისთვის, რომ სელჯუკებს დაეწყოთ ქართული არმიის დევნა, თავდასხმა მათზე ამ ხეობების მტკვრის ხეობასთან შეერთების ადგილას უნდა მომხდარიყო. ალგეთის ხეობა ასეთი თავდასხმისთვის აშკარად შეუფერებელია, რადგან მანგლის-დიდგორიდან საკმაოდ შორს მდებარეობს (დაახ. 60-70 კმ.) და მოწინააღმდეგის სასურველ ადგილამდე ასატყუებლად ისეთი დიდი დისტანციაა, სადაც მსგავსი მანევრის განხორციელების შესაძლებლობა ნაკლებად რეალურია. რჩება ვერეს და დიღმის ხეობები, რომლებიც შედარებით ახლოს არიან მანგლის-დიდგორთან (დაახ. 20-30 კმ), მაგრამ დევნის განსახორციელებლად ასევე საკმაოდ რთულ და გრძელ მონაკვეთებს წარმოადგენდნენ. თუ დავით აღმაშენებელი თავს დაესხმებოდა ილ-ღაზის არმიას ვერეს ან დიღმის ხეობების მტკვრის ხეობასთან შეერთების ადგილას და შემდეგ დაიწყებდა უკანდახევას მანგლის-დიდგორის მიმართულებით, მუსლიმურ არმიას სურვილის შემთხვევაშიც კი დევნის განხორციელება გაუჭირდებოდა, რადგან აღმავალი ხეობების ვიწრო გზებზე მათი ცხენოსანი რაზმები ვერც გაშლას შეძლებდნენ და ვერც სწრაფად გადაადგილებას, რაც დევნისთვის აუცილებელი პირობაა.[10] ამასთან, ვერეს ან დიღმის ვიწრო ხეობებში შესული ცხენოსნები სრულიად მოკლებულნი იქნებოდნენ ტაქტიკურ უპირატესობებს, ხოლო მარშისა და ბრძოლის შემდეგ, არც მათი ცხენები იქნებოდნენ ისეთ კონდიციაში, რომ მთებში ამავალი ხეობების გზებზე 20-30 კილომეტრიანი დევნის განხორციელება შესძლებოდათ.[11]

უფრო ლოგიკური იქნება იმის დაშვება, რომ მოვლენები ასე არ განვითარებულა და კოალიციური არმია საქართველოში შემოვიდა არა განძის, არამედ სხვა მიმართულებიდან, მით უმეტეს, რომ წერილობითი წყაროები და მათ შორის, ალკალანისისა და ქამალ ად-დინის მოყვანილი ცნობებიც, მოვლენათა სხვაგვარი რეკონსტრუქციის სრულ შესაძლებლობას იძლევიან.

—თავმოყრის პუნქტი თრიალეთ-მანგლის-დიდგორი.

მუსლიმური კოალიციის თავმოყრის პუნქტად თრიალეთ-მანგლის-დიდგორის მიჩნევა, აბსოლუტურად ლოგიკას მოკლებული იქნებოდა სხვადასხვა მარშრუტებით მოძრავი კოალიციური არმიებისთვის.

იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ დიდი არმიის ერთად მოძრაობა დაკავშირებული იყო მარშირების და უზრუნველყოფის სირთულეებთან (რაც უფრო დიდი იყო არმია, მით უფრო რთულდებოდა მისი გადაადგილება და მომარაგება), სავსებით სწორი და სტრატეგიულად გამართლებული იქნებოდა, რომ კოალიციის მონაწილეებს საქართველოში შემოსასვლელად სხვადასხვა მარშრუტი აერჩიათ და უშუალოდ სამხედრო კამპანიის დაწყების წინ, საქართველოს ტერიტორიაზე ან მის სიახლოვეს, განსაზღვრულ დროს მოგროვილიყვნენ წინასწარ დათქმულ ადგილზე (რაც სამხედრო ხელოვნებაში ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო, მაგალითად, ზუსტად ასე მოიქცნენ I ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე არმიები, რომლებიც შეერთდნენ კონსტანტინოპოლში, ანუ უშუალოდ სელჯუკთა საზღვრების სიახლოვეს და მერე დაიწყეს ერთობლივი მოქმედებები მტრის ტერიტორიაზე), მაგრამ ამ შემთხვევაში, სრულიად მიუღებლი ხდება თავმოყრის ადგილად, თრიალეთ-მანგლის-დიდგორის არჩევა.

XII საუკუნეში არსებული ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციების განვითარების დონე არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ დიდი დისტანციებიდან წამოსულ არმიებს ემოძრავათ ისე ჰარმონიულად, რომ ერთი, ორი, ან თუნდაც სამი დღის სიზუსტით შეხვედროდნენ ერთმანეთს დათქმულ ადგილზე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ არმია, რომელიც პირველი მივიდოდა თავმოყრის რაიონში, აუცილებლად უნდა დაბანაკებულიყო და დალოდებოდა მოკავშირეებს, ლოდინი კი შეიძლება რამდენიმე კვირას გაგრძელებულიყო.[12]

რამდენიმე დღით და მით უმეტეს რამდენიმე კვირით დაბანაკება, გულისხმობს სტაციონარული სამხედრო ბანაკის გამართვას (კარვების გაშლას, თავდაცვითი თხრილისა და მესერის შემოვლებას, საგუშაგოების ორგანიზებას და ა.შ.) თავშეყრის ადგილზე. ეს კი, საველე (ანუ, სამარშო, ერთი ღამის) ბანაკის მოწყობისგან განსხვავებით, მთელ რიგ სტანდარტულ მოთხოვნებთან იყო დაკავშირებული.

ბანაკი უნდა დამდგარიყო ისეთ სივრცეზე, სადაც მტრის შეუმჩნეველი მოახლოება ძნელი იქნებოდა, მისი არეალი თავისუფალი უნდა ყოფილიყო მთებისგან, ტყეებისგან და ხეობებისგან, იგი დაცული უნდა ყოფილიყო ბლოკირების საშიშროებიდან (რაც სწორედ მთიან, ხეობიან რელიეფშია ადვილი განსახორციელებელი), ბანაკისთვის აუცილებელი იყო ისეთი ადგილის შერჩევა, სადაც მისი საკვებითა და სხვა აუცილებელით უზრუნველყოფა რთული არ იქნებოდა (თრიალეთის ქედი, როგორც მთიანი რეგიონი, სასოფლო პროდუქტების სიუხვით არ იყო გამორჩეული), ადვილი უნდა ყოფილიყო მიმდებარე რეგიონების დაზვერვის წარმოება, ფურაჟირება. ბანაკი უნდა განთავსებულიყო აუცილებლად მდინარეს სიახლოვეს, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მრავალრიცხოვანი ცხენებისა და სხვა ცხოველების დარწყულება და ა.შ. ეს ყველაფერი იმ დროისთვის სამხედრო

საქმის თეორიის დონეზე იყო აყვანილი და მის პრინციპებს საკმაოდ მკაცრადაც იცავდნენ. მაგალითად, ბიზანტიაში, გარდა იმ მრავალრიცხოვანი სამხედრო ტრაქტატებისა, სადაც ბანაკის მნიშვნელობასა და გამართვის ტექნოლოგიაზეა საუბარი, ცალკე სპეციალური ტრაქტატებიც კი არსებობდა ბანაკის ადგილის შერჩევისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.[13]

მუსლიმთა კოალიციური არმია (ე.ი. ძირითადად ცხენოსანი რაზმები) თრიალეთ-მანგლის-დიდგორში რომ დაბანაკებულიყო, თავდასხმის შემთხვევაში სავსებით მოკლებული იქნებოდა მანევრის შესაძლებლობასა და აქტიური თავდაცვის უნარს. ამ მიდამოების რელიეფის თავისებურებების გამო ძალიან ძნელი იქნებოდა როგორც გამაგრებული ბანაკის კომპაქტურად მოწყობა და მისი საიმედოდ დაცვა, ასევე ბანაკის უზრუნველყოფა სურსათ-სანოვაგით და ყოველივე სხვა აუცილებელით.მანგლის-დიდგორის მიდამოები ვერ შესძლებდა მუსლიმური არმიის მარშის შედეგად შეთხელებული მარაგების შევსებას აცილებელი პროდუქტებით, რის გამოც საჭირო გახდებოდა ბანაკის უზრუნველყოფა მიმდებარე რეგიონების ხარჯზე, რაც ფურაჟირებისთვის გაგზავნილი რაზმების მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო, ეს კი ძალიან ძნელი იქნებოდა მთა-გორიანი .რელიეფის პირობებში, სადაც არსებული მრავალრიცხოვანი ხეობები იდეალურ ადგილებს წარმოადგენდნენ ასეთი რაზმების გასანადგურებლად.ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუსლიმებს თრიალეთ-მანგლის-დიდგორში რომ ბანაკი მოეწყოთ (რაც აუცილებელი იქნებოდა ამ რეგიონის არმიის თავმოყრის ადგილად არჩევის შემთხვევაში) და დიდი ხნით გაჩერებულიყვნენ იქ, დავით აღმაშენებელს უპრობლემოდ შეეძლებოდა მათი ბლოკირება საკმაოდ მცირე ძალებით, რის გამოც არც ილ-ღაზი და არც ერთი სხვა მხედართმთავარი, ასეთ ადგილში ერთ ღამეზე მეტ ხანს არმიას არ გააჩერებდა, ანუ მოაწყობდა მხოლოდ საველე, მარშირებისთვის აუცილებელ ერთი ღამის ბანაკს და არა სტაციონარულს, რაც მათთვის დაღუპვის ტოლფასი იქნებოდა.

ყოველივე აღნიშნული იძლევა იმის საფუძველს, რომ თრიალეთ-მანგლის-დიდგორი ჩავთვალოთ არა კოალიციური არმიის თავშეყრის ადგილად, არამედ მისი მარშრუტის ერთ მონაკვეთად დანიშნულების ადგილისკენ, რაც თავისთავად აყენებს ილ-ღაზის საქართველოში შემოსვლის პუნქტის დაზუსტების აუცილებლობის საკითხს.

—თავმოყრის პუნქტი სადღაც დიდგორამდე, აქამდის სამი მარშრუტი, ერზრუმი-დიდგორი; დვინი-დიდგორი; განძა-დიდგორი.

სამეცნიერო ლიტერატურაში ილ-ღაზის საქართველოში შემოსვლის მარშრუტად, ჯავახეთ-თრიალეთზე გამავალი ძველი ისტორიული გზაა მიჩნეული,[14] რაც იმას ნიშნავს, რომ მუსლიმთა არმია საქართველოში ყარსის გავლით შემოსულა, როგორც ამას მიუთითებდა ალ-ფარიკი. ასეთ შემთხვევაში მათი აღმოჩენა თრიალეთ-მანგლის-დიდგორში სავსებით გასაგები და ლოგიკურია, მაგრამ დგება საკითხი, თუ სად უნდა მომხდარიყო კოალიციური არმიების შეერთება.

როგორც აღვნიშნეთ, ალ-ფარიკისა და ალ-ასირის მიხედვით, მოკავშირეების (ილ-ღაზისა და თუღან-არსლანის, შესაძლოა განძის არმიის ნარჩენებისაც) შეერთება, სადღაც დიდგორამდე უნდა მომხდარიყო. ალ-ფარიკის ტექსტიდან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ შეერთების შემდეგ („И двигались войска до тех пор, пока между ними и Тифлисом не остались горы на полдня пути.") მუსლიმურმა არმიებმა გარკვეული ხანი (რამდენიმე დღე?) იარეს სანამ დიდგორს მიაღწევდ-

ნენ და თბილისამდე ნახევარი დღის სავალი დარჩებოდა, თუ მათ რამდენიმე დღე დიდგორამდე იარეს, ე.ი. გამოდის, რომ კოალიციის თავმოყრა სადღაც საქართველოს საზღვრების სიახლოვეს მომხდარა. სავარაუდოდ ყარსის რეგიონში.

როგორც ალ-ფარიკი, ასევე ალ-ასირი მიუთითებენ, რომ ილ-ღაზის (საქართველოში შემოსვლის წინ) შეუერთდნენ თოღრული და თუღან არსლანი. თოღრულის (განძის საემიროს) შესახებ უკვე იყო აღნიშნული, რომ დავით აღმაშენებლის პრევენციის შედეგად იგი კოალიციას უნდა გამოთიშულიყო, თუმცა ბარდავის თავდასხმას გადარჩენილ მეომართა ნაშთები (როგორც მიუთითებდა მათე ურჰაელი), სავსებით შესაძლებელია ილ-ღაზის არმიას ნამდვილად შეერთებოდნენ. რაც შეეხება ბითლისის ემირ თუღან არსლანს, მისთვის ილ-ღაზის მსგავსად ბევრად მოხერხებული იქნებოდა საქართველოში ყარსის მარშრუტით შემოსვლა. ბითლისის საემირო მდებარეობდა მარდინ-ყარსს შორის და უფრო ლოგიკური იქნებოდა თუღან არსლანსა და ილ-ღაზის ემოძრავათ ამ მიმართულებით ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სხვადასხვა მარშრუტებით და ყარსთან გაერთიანებულიყვნენ.[15]

თუ განხილულის საფუძველზე, ილ-ღაზის საქართველოში შემოსვლის საწყის წერტილად ყარსს მივიჩნევთ, საიდანაც ის თრიალეთ-მანგლის-დიდგორში აღმოჩნდა, მაშინ თავისთავად დგება საკითხი, თუ საით მოძრაობდა კოალიციური არმია და რომელი გეოგრაფიული პუნქტი იყო მისი მარშის (და არა ლაშქრობის) საბოლოო მიზანი. ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის დადგენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა მთლიანად დიდგორის ბრძოლის არსში გასარკვევად.

— თავმოყრის პუნქტი თბილისი.

ალ-ჯაუზის მიხედვით, კოალიციის თავმოყრა თბილისის კართან იყო დანიშნული. საქართველოში პირველი ილ-ღაზი (სავარაუდოდ, თუღან არსლანთან ერთად) შემოსულა. როდესაც იგი იმყოფებოდა თბილისიდან ნახევარი დღის სავალზე, მას თავს დაესხა დავით აღმაშენებელი და დაამარცხა. ამ დროს, კოალიციის სხვა მონაწილეები (მხარეების ლაშქრები) საქართველოში შემოსულები არ იყვნენ. ქართულ ისტორიოგრაფიაში, ეს ცნობა კატეგორიულადაა უარყოფილი იმ მოტივით, რომ ამით ალ-ჯაუზის უნდოდა მუსლიმთა დიდი მარცხის მნიშვნელობის დაკნინება.[16]

თავისთავად ილ-ღაზის, როგორც ჯიჰადის აღიარებული სამხედრო ლიდერის სასტიკი დამარცხების ფაქტი საქართველოში სხვა ემირებთან ერთად, თუ მათ გარეშე, უკვე უდიდესი მნიშვნელობის და რეზონანსის მქონე ფაქტი იქნებოდა მთელ ამიერკავკასიასა და წინა აზიაში და როგორც არ უნდა „შეელამაზებინა" ეს ფაქტი ვინმეს, ჯიჰადის მარცხი ყველა შემთხვევაში სახეზე იყო და აღმოსავლური ქრონიკები ამას არც მალავენ.[17] ძნელი სათქმელია „რა უნდოდა" ალ-ჯაუზის, როდესაც იგი წერდა თავის ცნობას დიდგორის ბრძოლის შესახებ, მაგრამ ეს ცნობა, რომ ძალიან რეალურის შთაბეჭდილებას ტოვებს და ამავე დროს, სხვა წყაროებზე უკეთ (შეიძლება ითქვას, დავით აღმაშენებელის მემატიანეზეც კი) რომ წარმოაჩენს დავით აღმაშენებლის სტრატეგიულ ნიჭსა და მხედართმთავრობის უნარს, ეს განვითარებულ მოვლენათა ანალიზით სავსებით ცხადია.[18]

ალ-ჯაუზის „მხარეების ლაშქრებში," რომლებიც არ იყვნენ მოსულნი თბილისის კართან, უდავოდ განძის საემირო უნდა იგულისხმებოდეს, რადგან კოალიციის წევრი სხვა ერთეულები (მარდინი და ბითლისი) არ იყვნენ საქართველოს მეზობელ მხარეთა ლაშქარი, ისინი ძალიან შორიდან იყვნენ მოსულნი. როგორც უკვე

გვქონდა აღნიშნული, განძის საემირო თბილისის კართან ვერ მოვიდოდა, ისე რომ ალ-ჯაუზის ცნობა (მიუხედავად იმისა, მან იცოდა თუ არა დავით აღმაშენებლის ინტერვენციის შესახებ) არავითარ წინააღმდეგობებს არ უნდა შეიცავდეს, განძის ინფორმია საქართველოში ნამდვილად არ შემოსულა და ვერც შემოვიდოდა, იგი დავით აღმაშენებელის მიერ იყო განადგურებული. მაგრამ ამ ცნობაში მთავარი ინფორმაცია, რომ იგი კოალიციის თავმოყრის ადგილად თბილისის კარს ასახელებს, რაც ილ-ღაზის არმიის პირველი დანიშნულების პუნქტი უნდა ყოფილიყო საქართველოში.

ყარსიდან წამოსული ილ-ღაზის არმიის ჯავახეთ-თრიალეთზე მარშირების მიზანი თბილისთან გასვლა რომ უნდა ყოფილიყო, ამას ალ-ჯაუზის ცნობის გარდა, თავად მუსლიმთა არმიის მოძრაობის მარშრუტიც მიუთითებს. ყარსიდან წამოსულ ილ-ღაზის არ გადაუხვევია ახალქალაქ-ახალციხისკენ, ე.ი. არ წავიდა მესხეთში დასავლეთ საქართველოში გადასვლის პერსპექტივით, ისევე როგორც არ წასულა ბორჯომ-ბაკურიანისკენ, არ აურჩევია მარშრუტად თრიალეთიდან შიდა ქართლში ჩამავალი ძამის, ატენის, თეძმის ხეობები. არ წამოსულა სამხრეთით ხრამის ან ალგეთის ხეობებით და ა.შ., რაც ნიშნავს იმას, რომ მისი მოძრაობის ვექტორი მიმართული იყო თბილისის მიდამოებისკენ (რუქა №4-5).

სურ. 34. გ. დორე. მარში მთებში

პროფ. შ. მესხიასა და რიგი სხვა მკვლევარების მიხედვით, მანგლის-დიდგორთან მოსული ილ-ღაზის მარშრუტის მიზანი მცხეთის მონაკვეთით შიდა ქართლში გასვლა იყო, სადაც ისინი შეძლებდნენ დავითის ლაშქრის გარემოცვას და გამარჯვების შემდეგ, მცხეთის გარშემოვლით თბილისთან დაბრუნებას, რომლის ხელში ჩაგდებაც, მუსლიმთა ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა.[19] ასეთი რეკონსტრუქცია წინააღმდეგობრივია. ჯერ ერთი, კოალიცია მოდიოდა თბილისის საემიროს დასახმარებლად და არა მის ხელში ჩასაგდებად, ხოლო მეორე, დიდგორიდან თბილისთან გასვლა ბევრად იოლი და მარტივი იყო დიღმისა და ვერეს ხეობებით, ვიდრე მცხეთის შემოვლით, რაც მუსლიმთა მარშრუტს საკმაოდ დააგრძელებდა. სრულიად გაუგებარი იქნებოდა თუ მსხვილი არმია ხანგრძლივი მარშის შემდეგ, ' ეკმაოდ დიდ წრეს გააკებდა მცხეთაზე და ისე მივიდოდა თბილისთან.

რაც შეეხება იმ მოსაზრებას, რომ მუსლიმებს ჯერ უნდოდათ შიდა ქართლში დავითის არმიის გარემოცვა, ესეც ნაკლებ დამაჯერებელია, რადგან მარშირების შემდეგ უფრო ლოგიკური იქნებოდა კოალიციური არმია დამდგარიყო ბანაკად, აღედგინა ძალა, წესრიგში მოეყვანა აღჭურვილობა და ა.შ. რასაც თბილისის მიდამოებში (ე.ი. მოკავშირის ტერიტორიაზე) უფრო მშვიდად გააკეთებდა, ვიდრე მცხეთასთან (ე.ი. უკვე მტრის ტერიტორიებზე) და ალბათ არც დავით აღმაშენებელი არ დაელოდებოდა სელჯუკებს საბრძოლველად მათთვის ხელსაყრელ ადგილას.

მოსაზრება ილ-ღაზის არმიის მცხეთის მიმართულებით მოძრაობის შესახებ, ისტორიოგრაფიაში ძირითადად მიღებულია ქართლის ცხოვრების იმ ცნობებზე დაყრდნობით, რომელთა მიხედვითაც ჯერ დავით კურაპალატმა და შემდეგ ბაგრატ III-მ ამ მარშრუტის გამოყენებით ილაშქრეს კახეთში.[20] მართლაც, დიდგორამდე ორივე ქართველი მეფის არმიამ გაიარა დაახლოებით ის გზა რაც ილ-ღაზიმ, ისინი ჯავახეთისა და თრიალეთის გავლით გადავიდნენ მცხეთის ხიდზე, კარსნის ხევის გავლით (ე.ი. გაიარეს მანგლისიცა და დიდგორიც), სადაც ძველი გზა გადიოდა[21]

ილ-ღაზის მარშრუტის ანალოგად ამ ცნობების გამოყენებისას ყურადღების გარეშე რჩებოდა ორი გარემოება. პირველი, ორივე ქართველი მეფის მიზანი იყო თიანეთი, სადაც მცხეთაზე გავლით უფრო მოხერხებული იყო ასვლა, ვიდრე თბილისის მიდამოების გავლით და მეორე, დიღმისა და ვერეს ხეობები თბილისის საემიროს ტერიტორიები იყო, რომელთა გამოყენებაც როგორც დავით კურაპალატისთვისთვის, ასევე ბაგრატ III-თვის, საემიროსთან იმ მომენტში არსებული ზავის დარღვევა იქნებოდა.

წერილობითი წყაროები გარკვევით მიუთითებენ, რომ მანგლისის მიდამოები იყო ერთგვარი გზაგასაყარი, საიდანაც გზები გადადიოდა როგორც მცხეთა-შიდა ქართლში, ასევე თბილისსა და ქვემო ქართლში,[22] აქამდე მოსულ არმიას შემდგომი მარშრუტი უნდა აერჩია იმის მიხედვით, თუ რომელი მიმართულება იყო მისი ლაშქრობის მიზანი. ილ-ღაზის მიზანი კი, სწორედ თბილისი უნდა ყოფილიყო მთელი რიგი მიზეზების გამო.

საქართველოში შემოსული ილ-ღაზის უზარმაზარი არმიისთვის (არა მათე ურჰაელისა და გოტიეს მასშტაბებით, ან ისტორიოგრაფიაში მიღებული ციფრით), საკმაოდ ძნელი იქნებოდა პირდაპირ მარშიდან საბრძოლო მოქმედებების დაწყება დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ. დიდ დისტანციებზე მარშირებისას არმია ყოველთვის განიცდის სხვადასხვა სახის დანაკარგებს

(დეზერტირობა, ცალკეული რაზმების კოლონიდან ჩამორჩენა, ტრანსპორტის დაზიანება, აღჭურვილობისა და ცხენების აკაზმულობის წყობიდან გამოსვლა, სურსათის მარაგის შემცირება, საბრძოლო განწყობის დაქვეითება ხანგრძლივი მარშის დაღლილობისგან და ა.შ.),[23] რის გამოც დანიშნულების ქვეყნამდე მიღწევის შემდეგ არათუ სასურველი, არამედ აუცილებელიც იყო არმიის დასვენება, აღჭურვილობის წესრიგში მოყვანა და საჭირო მარაგების შევსება. კოალიციური არმიისთვის ყოველივე ამის გასაკეთებლად საუკეთესო ადგილი თბილისის ტერიტორიები იყო.

თბილისის მიდამოები, კონკრეტულად კი დიღმის, საბურთალოს ან დიდუბე-ისნის ველები, დიდი არმიის ბაზირებისთვის იდეალური რელიეფის მქონე ადგილებს წარმოადგენდნენ. აქ ძალიან ადვილი იყო როგორც ბანაკის (ასევე ბანაკების) გამართვა, ასევე მისი დაცვა. ამ მიდამოების გაშლილი სივრცე შესაფერისი არეალი იყო სელჯუკთა კავალერიის სამოქმედოდ, ხოლო მდინარე მტკვარი — ბუნებრივი ბარიერი ბანაკის ერთი ფლანგის დასაცავად და, ამავ დროს, წყლის უზარმაზარი რეზერვუარი არმიის თანმხლები მრავალრიცხოვანი ცხენების რემებისა და სხვა საქონლის დასარწყულებლად. აქ საკმაოდ ადვილი იქნებოდა ბანაკთან მისასვლელი გზების დაცვა და მათი თვალთვალი, რაც მოულოდნელი თავდასხმის შესაძლებლობას გამორიცხავდა და ა.შ.

გარდა ამისა, ამ მიდამოებს სამხედრო ბანაკის მოსაწყობად ჰქონდა დამატებითი უზარმაზარი უპირატესობა იმ პირობებში, როდესაც ბანაკის ზურგს იცავდა მოკავშირე ქალაქი (თბილისი), საიდანაც შესაძლებელი იყო, როგორც არმიის მომარაგება, ასევე საფრთხის შემთხვევაში დახმარების მიღება და თავის შეფარებაც; შემდგომი სამხედრო ოპერაციებიც მშვიდად, ფორს-მაჟორის გარეშე დაიგეგმებოდა. ამ მიდამოების სტრატეგიული უპირატესობა აშკარა იყო, ის თბილისის საემიროს საკუთრება იყო და ზედ ეკვროდა საქართველოს სამეფოს საზღვრებს (მცხეთა-ზედაზნის მიდამოებს), აქედან გადიოდა როგორც შიდა და ქვემო ქართლის, ასევე კახეთისკენ მიმავალი გზები, რომელთა კონტროლიც კოალიციურ არმიას აძლევდა ოპერატიულ მოქმედებათა თავისუფლებას, სხვადასხვა მიმართულებების დიდი არჩევანით.

ამგვარად, ალბათ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ილ-ღაზის კოალიციური არმიის მარშრუტი მიმართული იყო არა მცხეთის, არამედ თბილისისკენ, რომელიც იყო არა თავმოყრის (მათ თავი ყარსთან მოიყარეს, ხოლო განძის არმია, რომელიც თბილისთან უნდა მოსულიყო, განადგურებული იყო და ილ-ღაზიმ ამის შესახებ იცოდა), არამედ საქართველოს სამეფოს წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებათა დაწყების საწყისი პუნქტი, სადაც მოხვედრა მანგლის-დიდგორის რაიონში მოსულ ილ-ღაზის არმიას ორი გზით, ვერეს ან დიღმის ხეობების გავლით შეეძლო.

თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთ განხილულს, მივიღებთ საქართველოსკენ წამოსული კოალიციური არმიის გადაადგილების შემდეგ სურათს: 1121 წლის ივნისის დასაწყისში, მარდინიდან საქართველოსკენ საკმაოდ დიდი არმიით დაიძრნენ ილ-ღაზი და დუბაისი. ისინი მივიდნენ ჯერ ერზრუმში, შემდეგ კი ყარსში,[24] სადაც მათ შეუერთდა თუღან არსლანი (და შესაძლოა განძის არმიის გადარჩენილი ნაწილი). აქედან, კოალიციური არმია, ჯავახეთის გავლით შემოვიდა თრიალეთში და მიადგა მანგლის-დიდგორს, საიდანაც ის თბილისის მიდამოებში აპირებდა გასვლას, რაშიც მას ხელი დავით აღმაშენებელმა შეუშალა (რუქა №4-5).

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ სხვადასხვა წერილობით წყაროებში გა-

ფანტული ფრაგმენტული ცნობები, რომლებიც ცალკ-ცალკე აღებული წინააღმ-დეგობრივია, ილ-ღაზის მარშრუტისა და მიზნის ასეთი რეკონსტრუქციის შემთხ-ვევაში სავსებით გასაგები და ლოგიკურნი ხდებიან და ავსებენ ერთმანეთს. ასე მაგალითად, ალ-ფარიკისა და ალ-ასირის მიხედვით, კოალიცია შეგროვდა საქა-რთველოს გარეთ. ალ-ფარიკი, ალ-ასირი და ალ-ჯაუზი მიუთითებენ რომ ილ-ღაზი მიემართებოდა თბილისისკენ, დავითის მემატიანე აღნიშნავს, რომ მუსლიმთა მარშრუტი გადიოდა თრიალეთ-მანგლის-დიდგორზე, მათე ურჰაელი მიუთითებს, რომ ბრძოლა მოხდა დიდგორთან (რასაც თამარის პირველი ისტორიკოსიც ადას-ტურებს), ალ-ფარიკისა და ალ-ჯაუზის მიხედვით ბრძოლა თბილისამდე ნახევარი დღის სავალზეა მომხდარი, რაც მოცემულ მარშრუტზე დიდგორის მდებარეო-ბას შეეფერება და ა.შ. ანუ ყველაფერი აჩვენებს როგორც ილ-ღაზის ყარსიდან შემოსვლას, ჯავახეთ-თრიალეთის გზის გამოყენებასა და თბილისისკენ მოძრაო-ბას, ასევე ბრძოლის დაახლოებით ადგილსაც.

მოწინააღმდეგეთა სტრატეგიული მიზნები

ომში ყველაზე მთავარია შეაფასო მოწინააღმდეგის მხედართმთავარი, განსაზღვრო მისი შესაძლებლობები და ამის მიხედვით ააგო ტაქტიკა. ასეთ შემთხვევაში გამარჯვების მიღწევა დიდი ძალდატანების გარეშე შეიძლება.

უ-ცზი.

მუსლიმთა კოალიციის გეგმები. ნებისმიერ სამხედრო კამპანიას აქვს თავისი მიზანი, რომლის ცოდნის შემთხვევაშიც არმიის ყოველი მოძრაობა თუ მოქმედე-ბა, ადვილად გასაგები ხდება. იმისთვის, რომ გარკვევით გავაცნობიეროთ, თუ რატომ აირჩია ილ-ღაზიმ თავისი ლაშქრობის მარშრუტად ჯავახეთ-თრიალეთი და რატომ ცდილობდა თბილისამდის მისვლას, უნდა შევეცადოთ მისი ლაშქრო-ბის მიზნების დადგენას, რაც იმ კითხვის პასუხიც იქნება, თუ რატომ და როგორ მოხდა დიდგორის ბრძოლა.

არც ერთი წერილობითი წყარო, ვალტერ გოტიეს გარდა, ნათლად და გარკვე-ვით არ ასახელებს, თუ კონკრეტულად რისთვის შეიქმნა კოალიცია და რა მთა-ვარი სტრატეგიული მიზნისთვის უნდა მიეღწია მას საქართველოში.

ელემენტარული ლოგიკით სტრატეგიული ამოცანა შეიძლებოდა ყოფილიყო სამი სხვადასხვა სახის:

—საქართველოს სამეფოს ოკუპაცია და მისი მიერთება სელჯუკთა სამფლო-ბელოებისადმი.

—დავით აღმაშენებლის მიერ დაკავებული ტერიტორიების (სამშვილდის და ა.შ.) უკან დაბრუნება და თბილისისა და სხვა მუსლიმური რეგიონების გათავი-სუფლება საქართველოს ზეწოლისგან (ანუ, მალიქ-შაჰის დროინდელი სტატუს-ქვოს აღდგენა ხარკის გადახდით, ან მის გარეშე).

—დავით აღმაშენებლის გაძლიერებისა და შემდგომი წინსვლის შეჩერება.

ამ ამოცანებიდან, ალბათ, პირდაპირ უნდა გამოვრიცხოთ მესამე ვარიანტი,

რადგან მუსლიმთა მხრიდან განხორციელებულ მასშტაბურ ღონისძიებებს (ჯიჰადის გამოცხადება, კოალიციის შექმნა ისეთ შორეულ რეგიონებში, როგორიც მარდინია, ჯარის შეგროვება და ა.შ.), აშკარად იმაზე მეტი მიზანი უნდა ჰქონოდა, ვიდრე ეს მხოლოდ დავითის შეჩერება შეიძლებოდა ყოფილიყო.

ნაკლებად მისაღებია ის ვარიანტიც, რომ კოალიციის მიზანი საქართველოს ოკუპაცია იყო. 1121 წლისთვის, სელჯუკთა ექსპანსია ყველა მიმართულებით შეჩერებული იყო და ისინი ამ დროისთვის, მხოლოდ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ცდილობდნენ და არა ახლის დაპყრობას. თავად იმდროინდელი ჯიჰადის იდეაც სწორედ ამას (ტერიტორიების უკან დაბრუნებას, ერთგვარ მუსლიმურ რეკონკისტას) ემსახურებოდა და არა ახალი ექსპანსიის ორგანიზებას. შესაბამისად, საქართველოს წინააღმდეგ გამოცხადებული წმინდა ომი მიმართული უნდა ყოფილიყო არა საქართველოს „კანონიერი" (ე. ი. სელჯუკთა მხრიდან დაუპყრობელი და საქართველოს სამეფოს კუთვნილად ცნობილი, ანუ დასავლეთ საქართველოს) ტერიტორიების დასაკავებლად, არამედ მათი „კანონიერი" (ე.ი. სელჯუკთა მიერ მალიქ-შაჰის დროს დაპყრობილი აღმოსავლეთ საქართველოს) ტერიტორიების დასაბრუნებლად. ასე რომ რჩება მეორე ვარიანტი.

საქართველოს წინააღმდეგ მუსლიმური ჯიჰადის მთავარი სტრატეგიული მიზნის, სამშვილდე-ლორეს ტერიტორიების დაბრუნებისა და თბილისისა და განძის საემიროს საქართველოს სამეფოს ზეწოლისგან განთავისუფლების რეალობას პირდაპირ უნდა ადასტურებდეს გოტიეს ცნობა, რომლის მიხედვითაც ილ-ღაზისა და მისი მოკავშირეების მიზანი ან დავით აღმაშენებლის განადგურება (პირდაპირი ფიზიკური მნიშვნელობით), ან მისთვის ტერიტორიების ჩამორთმევა იყო (ილ-ღაზიმ „გადაწყვიტა წასულიყო დავით მეფის წინააღმდეგ იბერიაში ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად, რათა ერთხელ და საბოლოოდ ის ყოფილიყო მოკლული ან სამფლობელოებჩამორთმეული."[1]). ამ ამოცანის ორმაგი ხასიათი კარგად აჩვენებს, რომ მუსლიმთა მთავარი მიზანი არა დავით მეფის განადგურება (თუმცა ამასაც სიამოვნებით გააკეთებდნენ), არამედ მისთვის ტერიტორიების ჩამორთმევაა, რაშიც აღმოსავლეთ საქართველო უნდა იგულისხმებოდეს, რასაც სხვა წერილობითი წყაროების ჩვენებებიც არაპირდაპირ უნდა ადასტურებდნენ. წყაროთა ერთი ნაწილი (დავით აღმაშენებლის მემატიანე, ალ-ფარიკი და ალ-ჯაუზი) კოალიციის შექმნის მიზეზად თბილისელ, განძელ და დმანელ მუსლიმთა თხოვნას, ხოლო მეორე ნაწილი (მათე ურჰაელი, ალ-ასირი, ალ-კალანისი, ქამალ ად-დინი) ქართველთა აგრესიას განძის საემიროს მიმართ ასახელებენ, რაც არსობრივად ერთი და იგივეა. ე.ი. ლაშქრობის ძირითადი მიზეზი და, შესაბამისად, მიზანიც თბილისი, განძა, დმანისის წინაშე წარმოქმნილი საფრთხე და მისი უვნებელყოფაა. ამასვე უნდა ადასტურებდეს ილ-ღაზის არმიის მოძრაობის მიმართულებაც თბილისისკენ და წერილობითი წყაროების ის ჩვენებებიც, სადაც თითქმის ყველგან თბილისის ფაქტორი რაიმე ნიშნით ფიგურირებს. ეს კი იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სამხედრო კამპანიის საწყის ეტაპზე ძირითადი სამხედრო მოქმედებები სწორედ თბილისსა და მის მიდამოებში იყო დაგეგმილი და არა დასავლეთ საქართველოში, რაც მთლიანი სამეფოს ოკუპაციისთვის აუცილებელი პირობა იქნებოდა. ის ფაქტი, რომ სამხედრო მოქმედებები თბილისის რეგიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე იყო დაგეგმილი, პირდაპირ მიუთითებს მუსლიმთა მიზნებზე, რომლებიც ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: თბილისის საემიროს ქართველთა ალყიდან განთავისუფლება, სამშვილდე-ლორეს განძის საემიროში და-

ბრუნება და საქართველოს სამეფოს საზღვრების შეზღუდვა 1110, ან 1099 წლის პოზიციებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება მუსლიმთა საწყისი სამხედრო გეგმის (რომელიც დავით აღმაშენებელმა განძაში პრევენციით ნაწილობრივ ჩაშალა, მაგრამ ამით გეგმის არსი არ შეცვლილა) წარმოდგენა, რომელიც ასე გამოიყურება: კოალიციური არმია ორი ძირითადი მიმართულებიდან, ყარსიდან და განძიდან, გეგმავდა საქართველოში შემოსვლას და თბილისის მიდამოებში დაბანაკებას. საქართველოს სამეფოს საზღვართან (მცხეთა-ზედაზნის მონაკვეთთან) კონცენტრირებული არმია სტრატეგიულ საფრთხეს შეუქმნიდა სხვადასხვა რეგიონებს. მუსლიმები თბილისის მიდამოებიდან ერთდროულად დაემუქრებოდნენ როგორც კახეთსა და შიდა ქართლს, ასევე სამშვილდესა და სომხითს. ასეთი დისპოზიციიდან მათ შეეძლოთ ერთდროული მარბიელი ლაშქრობების ორგანიზება სხვადასხვა მიმართულები.

სამხედრო თვალსაზრისით ასეთი სტრატეგიული ამოცანა პირველ ეტაპზე არა ტერიტორიების დაკავებასა და ციხე-სიმაგრეთა აღებას გულისხმობდა, არამედ მოწინააღმდეგის იძულებას, მისთვის არახელსაყრელ პირობებში ბრძოლის (ან ბრძოლების) მიღებისა მისი ცოცხალი ძალის განადგურების მიზნით, რაც როგორც ერთბაშად (ე.ი. გენერალური ბრძოლით), ასევე თანმიმდევრულად (ე.ი. მარბიელი ლაშქრობებით) შეიძლებოდა განხორციელებულიყო. ცოცხალი ძალის განადგურება გამოიწვევდა წინააღმდეგობის პოტენციალის დაცემას, რის შემდეგაც, ანუ კამპანიის მეორე ეტაპზე, ტერიტორიებისა და ციხე-სიმაგრეების აღებაც მარტივი ამოცანა გახდებოდა.[2] ხოლო ილ-ღაზი ციხე-სიმაგრეების (ალბათ სამშვილდის და სხვა სიმაგრეების) აღებასაც რომ აპირებდა, ეს კარგად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ მას თან საალყო მანქანებიც მოჰქონდა აღალში.[3]

მუსლიმთა თბილისის მიდამოებში დაბანაკების შემთხვევაში, დავით აღმაშენებელი თუ შეეცდებოდა თავდაცვის ორგანიზებას რეგიონების დასაცავად, მას უნდა დაექსაქსა თავისი ძალები და გაენაწილებინა სხვადასხვა მიმართულებებზე (ანუ „ედევნა" სელჯუკთა მობილური რაზმებისთვის), რაც მას სტრატეგიულად წამგებიან პოზიციაში ჩააყენებდა, ხოლო თუ შეეცდებოდა გენერალური ბრძოლის გამართვას, თბილისის მიდამოები იდეალური ადგილი იქნებოდა მუსლიმთათვის, სადაც ისინი უპრობლემოდ შესძლებდნენ ტაქტიკური უპირატესობების გამოყენებას.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუსლიმთა ძალები თუ მოახერხებდნენ კონცენტრირებას თბილისის სიახლოვეს, ეს იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს მეფე აღმოჩნდებოდა უაღრესად რთულ მდგომარეობაში, რომლის დროსაც მას დარჩებოდა სამი არჩევანი:

— გაემართა გენერალური ბრძოლა არახელსაყრელ ადგილზე, ან აერჩია ომის პარტიზანული მეთოდები. ორივე შემთხვევაში, მის მოწინააღმდეგეს აშკარა ტაქტიკური უპირატესობა ექნებოდა, წარმატების დიდი პერსპექტივით (პარტიზანული ტაქტიკა მოგვიანებით გამოიყენა გიორგი VII-მ თემურ-ლენგის წინააღმდეგ).

—უარი ეთქვა აქტიურ საბრძოლო მოქმედებებზე, გახიზნულიყო უსაფრთხო ადგილას, შეენარჩუნებინა სამხედრო ძალა, შეგუებოდა რეგიონების აოხრებას და დალოდებოდა საომარი სეზონის დამთავრებას (ასე მოიქცა ბაგრატ IV ალფ-არსლანის 1068 წლის შემოსევისას).

—მოწინააღმდეგისთვის შეეთავაზებინა ზავი და უარი ეთქვა დაბრუნებულ

ტერიტორიებსა და სამეფოს გაერთიანების პერსპექტივაზე (როგორც მოიქცა გიორგი II მალიქ-შაჰის პერიოდში).

მოვლენათა ამ სამი ვარიანტიდან ნებისმიერის განვითარება, დავით აღმაშენებლის პოლიტიკის კრახსა და თითქმის უკვე მიღწეულ მიზნებზე უარის თქმას ნიშნავდა, მაგრამ ქვეყნისთვის საბედნიეროდ (და მუსლიმთა საუბედუროდ), დავით აღმაშენებელი არაორდინალური პიროვნება იყო, (იგი არ იყო არც გიორგი VII, არც ბაგრატ IV და არც გიორგი II) მას გააჩნდა სრულიად უნიკალური უნარი ეპოვა გამოსავალი ნებისმიერ სიტუაციაში და მიეღო ოპტიმალური გადაწყვეტილებები, რაც მან განახორციელა კიდეც დიდგორის მიდამოებში.

საქართველოს სამეფოს გეგმები. მოწინააღმდეგის ასეთი სტრატეგიული მიზნების არსებობის პირობებში (საწყის ბაზად ექცია თბილისის მიდამოები და იქ მოეხდინა ძალების კონცენტრაცია), თავისთავად ცხადი ხდება დავით აღმაშენებლის წინაშე მდგომი უმთავრესი ამოცანა: კამპანიის საწყის ეტაპზე, მას არ უნდა დაეშვა მუსლიმური არმიების შეერთება თბილისთან, ასევე არ მიეცა ილ-ღაზისთვის თბილისთან დაბანაკების შესაძლებლობა და ცალკ-ცალკე გაენადგურებინა როგორც განძის, ასევე ილ-ღაზის არმია.

როგორც ვნახეთ, ამ სტრატეგიული ამოცანის პირველი ნაწილი განძის მიმართ, დავით აღმაშენებელმა წარმატებით განახორციელა, რის შემდეგაც მის წინაშე დადგა მეორე ამოცანა, არ დაეშვა ილ-ღაზის არმიის გასვლა საწყის პლაცდარმზე (ე.ი. თბილისის მიდამოებში), რისთვისაც საჭირო იყო მუსლიმების იძულება მათთვის არახელსაყრელ პირობებში ბრძოლის გამართვაზე.

ამ ამოცანის შესრულება, პირველ რიგში, გულისხმობდა ინფორმაციის მიღების აუცილებლობას მუსლიმთა მოძრაობისა და საქართველოში შემოსვლის მარშრუტთა შესახებ, რასაც, როგორც ჩანს, დავით აღმაშენებლის სადაზვერვო სამსახურმა (მსტოვართა ინსტიტუტმა) წარმატებით გაართვა თავი.

მოწინააღმდეგის არმიის საქართველოს ტერიტორიებზე შემოსვლის შემდეგ, აუცილებელი გახდებოდა მათი გადაადგილების მთელ მარშრუტზე მუდმივი თვალთვალის დაწესება (თანამედროვე ტერმინოლოგიით, საჯარისო დაზვერვის წარმოება), რათა მტრის მოძრაობის მიმართულების მიხედვით შესაძლებელი გამხდარიყო მარშრუტის მიზნისა და სტრატეგიული ამოცანის (ანუ, მტრის ჩანაფიქრის) საბოლოოდ დაზუსტება. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ დავით აღმაშენებლის მსტოვრებმა ეს ამოცანაც წარმატებით შეასრულეს.

იმის გამო, რომ განძის არმია უკვე განადგურებული იყო და თბილისის მიდამოებში ის მისვლას ველარ მოახერხებდა, არ იყო გამორიცხული ილ-ღაზის სამოქმედო გეგმა შეეცვალა და თბილისის ნაცვლად სხვა მიმართულებით დაეწყო მოძრაობა. ამიტომ, საქართველოში შემოსვლის შემდეგ, სანამ ილ-ღაზის მოძრაობის მიმართულებაზე რჩებოდა მარშრუტის შეცვლის შესაძლებლობა (ახალქალაქ-ახალციხის, ბორჯომის ხეობის, შიდა ქართლის და სხვა მიმართულებებზე), დავით აღმაშენებელი არ იქნებოდა ბოლომდის დარწმუნებული მის კონკრეტულ ჩანაფიქრში, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლებოდა შეცვლილიყო. ილ-ღაზი რომ თავდაპირველი გეგმის შესაბამისად მოქმედებდა, ეს საქართველოს მეფისთვის საბოლოოდ ცხადი გახდებოდა მხოლოდ მტრის სამარშო კოლონების მანგლისთან დაბანაკების შემდეგ, როდესაც მუსლიმური არმიის წინ, მხოლოდ დიღმის ველზე ჩამავალი ვერეს და დიღომის ხეობის გზები დარჩებოდა (*რუქა №4-5*).

ამ მომენტში, საქართველოს მეფეს აღარ შეიძლებოდა ეჭვი შეეპარვოდა იმაში, თუ საით მიემართებოდა მოწინააღმდეგის არმია და რა ჩანაფიქრი გააჩნდა მის სარდლობას, რაც იმას ნიშნავს, რომ მას დაუყოვნებლივ უნდა მიეღო გადაწყვეტილება კონკრეტული მოქმედებების შესახებ, რათა არ მიეცა მოწინააღმდეგისთვის თბილისთან გასვლისა და იქ დაბანაკების სტრატეგიული ჩანაფიქრის რეალიზების შესაძლებლობა.

ასე, რომ სანამ ილ-ღაზი მოძრაობდა ჯავახეთ-თრიალეთზე, დავით აღმაშენებლის ამოცანა მოწინააღმდეგის მოძრაობაზე თვალყურის დევნება და ამის შესაბამისად, საკუთარი არმიის გადაადგილების მარშრუტის განსაზღვრა უნდა ყოფილიყო. ამ დროს ქართულ არმიას უნდა ემოძრავა მოწინააღმდეგესთან ერთგვარ პარალელურ რეჟიმში, რათა დაეკეტა შესაძლო მიმართულებები და არ მიეცა მისთვის მთებიდან დაბლობებში გასვლის საშუალება (მაგალითად, სანამ არსებობდა ილ-ღაზის ახალქალაქ-ბორჯომის მიმართულებაზე გასვლის შესაძლებლობა, არმიას ეს მიმართულება უნდა ჰქონოდა ბლოკირებული და ა.შ.). ხოლო მას შემდეგ რაც საბოლოოდ დაზუსტდებოდა ილ-ღაზის სტრატეგიული მიზანი, თბილისის მიდამოებში გასვლა და დაბანაკება, მთავარი ამოცანა ამის არდაშვება და მოწინააღმდეგის მთების პირობებში განადგურება გახდებოდა (რუქა №4-5).

დიდგორში ბრძოლის გამართვის გადაწყვეტილების მიღება დავით აღმაშენებელს დროის ძალიან მოკლე მონაკვეთში მოუწევდა. როგორც აღვნიშნეთ, მას იგი შეიძლებოდა მიეღო მხოლოდ მას შემდეგ, რაც მუსლიმური არმია მიადგებოდა მანგლისის მიდამოებს და დაიწყებდა დაბანაკებას, ანუ ერთი საღამოს განმავლობაში. შეიძლება ითქვას, რომ დავით აღმაშენებლისთვის მთელი მისი მეფობის მანძილზე, ეს იქნებოდა ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომლის სისწორესა და შესრულების ხარისხზე დამოკიდებული იყო საქართველოს სამეფოს ბედი და მომავალი.

მიუხედავად გადაწყვეტილების მისაღებად და, შესაბამისად, ბრძოლის გეგმის შესადგენად არსებული დროის სიმცირისა, არც გადაწყვეტილების სისწორეს და არც ბრძოლის გეგმას ეს არ დატყობია, რაც იმას ნიშნავს, რომ დიდგორის ველზე ილ-ღაზისა და მის კოალიციურ არმიას დავით აღმაშენებელისა და ქართული არმიის სახით დისციპლინირებული და ბრძოლისუნარიანი არმია დაუპირისპირდა თავისი დროის ერთ-ერთი საუკეთესო მხედართმთავრის მეთაურობით.

ბრძოლის ველი და ბრძოლის ხასიათი

უდიდესი მხედართმთავრული მეცნიერება შედგება უნარისგან შეაფასოს მოწინააღმდეგე, ორგანიზება გაუკეთოს გამარჯვებას ადგილმდებარეობის თავისებურებებისა და დისტანციის გათვალისწინებით.

სუნ-ძი.

შეიძლება უცნაურად გამოიყურებოდეს, მაგრამ ბრძოლის ველის ზუსტი ლოკალიზება საკმაოდ რთული საქმეა. დიდგორს მომხდარი ბრძოლის ადგილად იხსენიებს თამარ მეფის მემატიანე, როდესაც იძლევა ცნობას „მთა დიდგორიდან" გაქცეული დუბაისის შესახებ.[1] „მთა დეკორს", რომელიც დიდგორთანაა იდენტიფიცი-

რებული, ასახელებს მათე ურჰაელი.[2] დიდგორს (მანგლისთან და თრიალეთთან ერთად) მიუთითებს დავით აღმაშენებლის მემატიანე.[3] დანარჩენი ავტორები კი ბრძოლის ადგილს სახელის გარეშე აღნიშნავენ, მათი მიხედვით, ბრძოლა მომხდარა თბილისამდე ნახევარი დღის სავალზე მდებარე მთიან, ხეობიან ადგილში, რისი [illegible]ციითაც კონკრეტული პუნქტის ლოკალიზება შეუძლებელია, თუმცა ასეთი [illegible]ითება ზოგადად დიდგორის მიდამოებს სავსებით ეთანხმება.[4]

ჩვენის აზრით, ბრძოლის ზუსტი, ერთი კონკრეტული ადგილის ლოკალიზება არ არის საჭირო, რადგან ამ მიდამოებში ერთ ადგილას დაჯგუფებული ორი არმიის კომპაქტური ბრძოლის გამართვა არ იყო შესაძლებელი და ასეთი ხასიათის ბრძოლა აქ ვერ მოხდებოდა. დიდგორის მიდამოებში არ არის ისეთი ადგილები, სადაც ორი დიდი არმია შეძლებდა წესიერი საბრძოლო წყობით (ე.ი. ცენტრითა და ფლანგებით) გაშლას და ბრძოლის გამართვას. დიდგორის ქედის გარშემო არსებული რელიეფი, ვიწრო ხეობიან და ფერდობებიან მონაკვეთში, ამის საშუალებას არაფრით იძლევა.[5]

დიდგორის მიდამოების რელიეფის თავისებურებები, პრაქტიკულად, უშვებს ერთადერთ შესაძლებლობას, მომხდარიყო ჩასაფრებითი ბრძოლის ორგანიზება სამარშო კოლონით მოძრავი მუსლიმური არმიის წინააღმდეგ (რაც სავსებით ეთანხმება წერილობითი წყაროების ჩვენებებს), ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრძოლის ადგილი არ შეიძლება ყოფილიყო ერთი კომპაქტური მონაკვეთი, იგი უნდა მომხდარიყო სამარშო კოლონის გაშლის გარკვეულ სიგრძეზე, ე. ი. დიდგორის მიდამოებში და არა მარტო კონკრეტულად დიდგორის ქედთან, რომელიც ბრძოლის მხოლოდ ერთი, საწყისი მონაკვეთი უნდა ყოფილიყო.

დიდგორის ბრძოლის საერთო არეალის ლოკალიზების, ბრძოლის ხასიათისა და მსვლელობის სრული დინამიკის წარმოსადგენად უნდა შევეცადოთ განვითარებული მოვლენების რეკონსტრუქციას მათი დასაწყისიდან ბოლომდე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიული სიზუსტით ბრძოლის რეკონსტრუქცია ალბათ შეუძლებელია. წარმოდგენილი მცდელობის მიზანი ბრძოლის არეალის დაახლოებითი განსაზღვრის, ბრძოლის საერთო ხასიათისა და იმ ტაქტიკური ქმედებების აღდგენაა, რომლის მეშვეობითაც ქართულმა არმიამ მოიპოვა ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო გამარჯვება საქართველოს ისტორიაში და არა ბრძოლის მიმდინარეობის ყოველი ეპიზოდის დოკუმენტური ფიქსირება, რაც, ალბათ, არსებული მონაცემებით შეუძლებელიცაა.

კოალიციური არმიის ძირითადი ძალები ილ-ღაზის მეთაურობით საქართველოს საზღვრებს მოადგა, სადღაც, ივლისის ბოლოს — აგვისტოს დასაწყისში და გაემართა თბილისისკენ. სელჯუკთა სარდლობის, ისევე როგორც დავით აღმაშენებლის წინაშე პირველი ამოცანა ტერიტორიების დაზვერვა, ქართული არმიის კონცენტრაციის ადგილის (ან ადგილების) აღმოჩენა და სამარშო კოლონის დანიშნულების ადგილზე უვნებლად მიყვანა უნდა ყოფილიყო (ე.ი. თბილისთან).

სამხედრო კოლონის მარშირების უზრუნველყოფა მთლიანად იყო დამოკიდებული ადგილმდებარეობის ცოდნასა და მოწინააღმდეგის შესაძლო მოქმედებათა შესახებ ინფორმაციის მოპოვების უნარზე, ანუ სადაზვერვო სამსახურის ეფექტურობაზე. არც ერთი არმია მარშის დროს არ წავიდოდა იმ მიმართულებით, სადაც მას შეიძლებოდა მტრის ჩასაფრება დახვედროდა. ასეთ შემთხვევებში მხედართმთავრები ან ცვლიდნენ მოძრაობის მიმართულებას, ან თავდაცვის მიზნით დგებოდნენ სამხედრო ბანაკად, ან მტრის ტერიტორიების აოხრებას იწყებდნენ

მათი საფარიდან გამოტყუების მიზნით, და ან იქით უწყობდნენ ჩასაფრებაში მდგომ მტერს რაიმე ტაქტიკურ მოულოდნელობას. მაგრამ ყოველივე ამისთვის საჭირო იყო ინფორმაცია, რომელიც მზვერავებს უნდა მოეპოვებინათ.[6]

კოლონებს მარშირების პროცესში წინ უძღოდნენ მზვერავი რაზმები, რომლებიც მინიმუმ ერთი დღის სავალზე სწავლობდნენ გასავლელ მარშრუტს და თუ ის მოწინააღმდეგის ძალებისგან თავისუფალი აღმოჩნდებოდა, მაშინ სამარშო კოლონები გზას გააგრძელებდნენ, თუ არა, მოპოვებული ინფორმაციის ხასიათის მიხედვით მიიღებდნენ შემდგომი ქმედებების გადაწყვეტილებას. კოლონის მოძრაობის დროს, ფლანგებიდან უსაფრთხოების მიზნით ხორციელდებოდა სიღრმისეული დაზვერვაც სხვადასხვა მიმართულებებით (როგორც წესი, სამოძრაო დისტანციის რადიუსზე). ილ-ღაზის არმიას ადგილმდებარეობის ცოდნის პრობლემა ნამდვილად არ ექნებოდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ მუსლიმები აგვისტოს შუა რიცხვებისთვის აშკარად უზრუნველად მივიდნენ დიდგორის მიდამოებთან, უნდა ნიშნავდეს იმას, რომ დავით აღმაშენებლის მხრიდან მათ მოძრაობაზე მუდმივი თვალთვალის პირობებში, უშუალოდ ბრძოლის წინ, მათ ვერ შეძლეს ვერც ქართული არმიის განლაგების აღმოჩენა და ვერც რაიმე საფრთხის დანახვა მანგლის-დიდგორის მიდამოებში.

როგორც უკვე იყო აღნიშნული (თავი V. „კოალიციის სამხედრო ძალის რაოდენობა"), კოალიციური არმიების საერთო სიდიდე 40 ათასი მეომარი უნდა ყოფილიყო, საიდანაც განძის არმია, დაახლოებით 10 ათასის ოდენობით, ადრევე გამოეთიშა მუსლიმთა გაერთიანებას. ე.ი. ილ-ღაზი საქართველოში დაახლოებით 30 ათასიანი არმიით უნდა შემოსულიყო. ამ სიდიდის არმია, რომლის დიდი ნაწილიც ცხენოსანთა რაზმები იყო, გაიჭიმებოდა დაახლოებით 26-28 კილომეტრზე,[7] რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც მუსლიმური არმიის ავანგარდი მანგლისს გასცდებოდა, მისი არიერგარდი, სადღაც, მანგლისსა და წალკას შორის იქნებოდა მოქცეული, რაც ასეთ შემთხვევაში სავსებით შეესიტყვება ქართული წყაროს ჩვენებას, რომლის მიხედვითაც, მუსლიმურ არმიას „აუვსია" თრიალეთ-მანგლის-დიდგორი, რაც სავსებით სწორი მითითებაა, რადგან მარშირებისას ამ სიდიდის არმია ზუსტად ამ მონაკვეთზე (თრიალეთ-მანგლის-დიდგორი) გაიშლებოდა. ეს ვითარება აბსოლუტურ თანხვედრაში მოდის ალ-ფარიკისა და ალ-ჯაუზის ცნობასთან, რომლის მიხედვით ილ-ღაზის არმიას ნახევარი დღის სავალი ჰქონდა დარჩენილი თბილისამდე, როდესაც მას თავს დავით აღმაშენებელი დაესხა. მანგლის-დიდგორის მონაკვეთიდან თბილისის (დიღომ-საბურთალოს) ველებამდე 20-25 კილომეტრია, რაც ნორმალური მარშის პირობებში, ილ-ღაზის არმიას ერთ გადასვლელ დღეში უნდა დაეფარა.

ამ ვითარებაში, როდესაც ჩვენ ვიცით ილ-ღაზის არმიის მოძრაობის მიზანი (თბილისის მიდამოები), არმიის სამარშო კოლონის სავარაუდო სიგრძე, მისი გაშლის მონაკვეთი დიდგორის ბრძოლის წინ და მარშირების მიზნამდე დარჩენილი დისტანციის სიდიდე, ბრძოლის ველისა და ხასიათის (ისევე როგორც ბრძოლის მსვლელობის) სავარაუდო რეკონსტრუქცია, დიდ სირთულეს აღარ უნდა წარმოადგენდეს.

სამარშო კოლონები მოძრაობდნენ შემდეგი სისტემით: საველე ბანაკში ღამის გასათევად მდგომი არმია მარშისთვის მზადებას იწყებდა მზის ამოსვლისთანავე (აგვისტოს პერიოდში ეს დაახლოებით დილის 6 საათია). მეომართა ნაწილი იწყებდა ბანაკის დემონტაჟს (კარვების აშლას, აღალზე მათ დატვირთვას და ა.შ.),

ნაწილი იცავდა მათ, ხოლო დარჩენილები ეწყობოდნენ კოლონებად, ქმნიდნენ ავანგარდს და იწყებდნენ მარშირებას. როდესაც ავანგარდი თანდათან სცილდებოდა დაბანაკების ადგილს, დანარჩენი სამხედრო რაზმებიც (ბანაკის აშლის პარალელურად) ეწყობოდნენ კოლონებად და თანმიმდევრულად, რიგისა და წესრიგის დაცვით, მიჰყვებოდნენ წინ წასულ რაზმებს. იმისთვის, რომ (ილ-ღაზის 30 ათასიანი არმიის შემთხვევაში) ბანაკიდან ბოლო რაზმები გამოსულიყვნენ და ჩამდგარიყვნენ კოლონის საერთო რიგში, კოლონა უკვე გაშლილი უნდა ყოფილიყო მთელ სიგრძეზე, ანუ ავანგარდს გავლილი უნდა ჰქონოდა 26-28 კილომეტრი. რაც იმას ნიშნავს, რომ ბანაკის დატოვება, რომელიც დაიწყებოდა დაახლოებით დილის 6 საათზე, დამთავრდებოდა სადღაც 5-6 საათის განმავლობაში (ე.ი. შუადღისთვის, როდესაც პირველად წასული რაზმები დაფარავდნენ აღნიშნულ დისტანციას), რის შემდეგაც იწყებოდა უკვე ახალი დაბანაკების პროცესი. დასაბანაკებლად შერჩეულ ადგილზე (რომელსაც წინ გაგზავნილი მზვერავები და სპეციალური საინჟინრო რაზმები არჩევდნენ) პირველები მიდიოდნენ კოლონის თავში მიმავალი რაზმები, რომლებიც იწყებდნენ ადგილის დაცვასა და ბანაკის გამართვას, დანარჩენი რაზმები კი, შესაბამისი თანმიმდევრობით მოდიოდნენ ახალი ბანაკის ადგილზე. ამგვარი სისტემით, ნორმალური გზებისა და სამარშო დისციპლინის პირობებში, ამხელა არმიას შეეძლო გადაელახა დღეში საშუალოდ 20-30 კილომეტრი (სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით, ეს მანძილი შეიძლება ნაკლები, ან პირიქით მეტი ყოფილიყო), რომლის დროსაც არმია თავმოყრილი იმყოფებოდა დილით და საღამოს, დღის განმავლობაში კი, გაშლილი იყო სამარშო კოლონებად, ამასთან, 20-30 ათასიანი არმიის სამარშო კოლონის გაშლის სიგრძე ყოველთვის აჭარბებდა ერთი დღის გადასასვლელის სიგრძეს,[8] რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც ავანგარდი ძველ ბანაკს ტოვებდა დილის 6 საათისთვის, აღწევდა ახალი ბანაკის ადგილს სადღაც შუა დღის შემდეგ და იწყებდა ბანაკის გამართვას, არიერგარდის რაზმები ამ დროისთვის ან ჯერ კიდევ ძველ ბანაკში იმყოფებოდნენ, ან მოძრაობა ახალი დაწყებული ჰქონდათ. როდესაც ისინი საღამოსთვის, დაახლოებით 18 საათისთვის (ანუ შუადღიდან, როდესაც არიერგარდი ტოვებდა ძველ ბანაკს, 6 საათის გასვლის შემდეგ) მიდიოდნენ ახალი დაბანაკების ადგილზე, ბანაკის გამართვა წინ წასული რაზმების მიერ უკვე დამთავრებული უნდა ყოფილიყო, რის შემდეგაც არმია, მრავალრიცხოვანი ცხოველის მოვლა-დაბინავებისა და აღალის მიხედვის შემდეგ ისვენებდა. მეორე დღეს კი იგივე ციკლი მეორდებოდა სანამ სამარშო კოლონა არ მიაღწევდა დანიშნულების ადგილს.[9]

თუ ჩვენ გამოვალთ დავით აღმაშენებლის მემატიანის ცნობიდან, რომ ილ-ღაზის არმიას „ავსებული" ჰქონდა თრიალეთ-მანგლის-დიდგორი," მაშინ გამოდის, რომ აქ საუბარია მუსლიმთა სამარშო კოლონაზე, რომელიც მოძრაობაში გაჭიმული იყო თრიალეთიდან (დაახლოებით თანამედროვე წალკის ტერიტორიები) დიდგორის მიდამოებამდე, როდესაც მას მართლაც ავსებული ექნებოდა ეს მონაკვეთი (უფრო სწორად ამ დისტანციაზე მდებარე გზა). ამ შემთხვევაში, თუ მუსლიმური არმიის მარშზე გაშლის ბოლო წერტილად ავიღებთ წალკის (ე. ი. თრიალეთის) რეგიონის რომელიმე (მანგლისის მიმართულებაზე მდებარე) ნებისმიერ პუნქტს (ვთქვათ, ბეშთაშენს, ბარეთის ტბას ან რომელიმე სხვას), გამოვა რომ მანძილი მანგლის-დიდგორის მიდამოებამდე სადღაც 30 კილომეტრი იქნება, ანუ ილ-ღაზის 30 ათასიანი არმიის სამარშო კოლონად გაშლის თითქმის ზუსტი სიგრძე, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ დავითის მემატიანე საკმაოდ სწორ ცნობას იძლევა და

მიგვითითებს ილ-ღაზის არმიის სამარშო დისლოკაციაზე დიდგორის ბრძოლის წინ (რუქა №4-5).[10]

იგივე შეიძლება ითქვას ალ-ფარიკისა და ალ-ჯაუზის ცნობაზეც, რომლის მიხედვითაც მუსლიმთა არმიას ნახევარი დღის სავალი ჰქონდა დარჩენილი თბილისამდე, როცა მათ ქართული არმია დაესხა თავს. თუ ილ-ღაზის არმიის სამარშო კოლონის ავანგარდი დავით აღმაშენებლის თავდასხმამდე გასული იყო დიდგორის მიდამოებში, საიდანაც მტკვრის ხეობამდე (თბილისის მიდამოებამდე) 20-25 კილომეტრია, მაშინ გამოდის, რომ თბილისამდე ნამდვილად ნახევარი დღის (ანუ ერთი გადასასვლელი) იყო დარჩენილი, რითაც აღნიშნული წყაროები (დავითის მემატიანე, ალ-ფარიკი და ალ-ჯაუზი) სავსებით ეთანხმებიან და ავსებენ ერთმანეთს.

აქ ალბათ უკვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც დავითის მემატიანე, ასევე ალ-ფარიკი და ალ-ჯაუზიც, დიდგორის ბრძოლის წინ (ქართული არმიის თავდასხმამდე) მიუთითებენ მუსლიმთა არმიის სამარშო კოლონით მოძრაობაზე, რომელიც გაშლილი იყო თრიალეთიდან-დიდგორამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული არმია თავს დაესხა მოძრაობაში მყოფ სამარშო კოლონას („დაიჭირა" იგი მარშირებისას) და აიძულა მისთვის უაღრესად არახელსაყრელ პირობებში მიეღო ბრძოლა. გამოდის, რომ დიდგორის ბრძოლას ჰქონდა არა კლასიკური სახე, როდესაც ბრძოლის ველზე გასული არმიები იღებდნენ წესიერ საბრძოლო წყობას, დგებოდნენ ერთმანეთის პირისპირ და ისე ებრძოდნენ ერთმანეთს, არამედ ჩასაფრებითი ხასიათი. ბრძოლა მოხდა იმ მომენტში, როდესაც ილ-ღაზის არმია მოძრაობდა თრიალეთ-მანგლის-დიდგორის მიდამოებში და გაშლილი იყო დაახლოებით 26-28 კილომეტრზე. ე.ი. ბრძოლა მუსლიმებისთვის იყო მოულოდნელი და, შესაბამისად, დავით აღმაშენებლის არმიის თავდასხმისას ისინი ბრძოლისთვის აბსოლუტურად მოუმზადებლები უნდა ყოფილიყვნენ (რუქა №4-5).[11]

დიდი არმიების დაპირისპირების პირობებში, მოულოდნელი თავდასხმის განხორციელება მოწინააღმდეგეზე იყო უაღრესად რთულად შესასრულებელი ოპერაცია. ასეთი რამ საკმაოდ იშვიათად ხერხდებოდა და, როგორც წესი, მოწინააღმდეგის განადგურებით მთავრდებოდა. ათასობით მეომრის ფარული გადაადგილება და განლაგება ჩასაფრების ადგილზე, ისევე როგორც ჩასაფრებითი ოპერაციის უნაკლოდ განხორციელება მხედართმთავრისგან სამხედრო ტაქტიკის სრულყოფილ ფლობას, ხოლო მეომრებისგან დისციპლინისა და ბრძოლისუნარიანობის ძალიან მაღალ დონეს მოითხოვდა. თუ დიდგორის ბრძოლის შედეგებით ვიმსჯელებთ, საქართველოს იმ დროისთვის ერთიც ჰქონდა და მეორეც.

ჩასაფრების ორგანიზება დიდგორის ქედზე

მცირე რაზმი, რომელიც
წარმატებით აირჩევს პოზიციას
მთებში, შეიძენს დიდ ძალას.
კლაუზევიცი.

იმისთვის, რომ სწორად წარმოვიდგინოთ თუ როგორ წარიმართა დიდგორის ბრძოლა და როგორ იქნა განადგურებული ისლამური ჯიჰადის გმირის, ილ-ღაზის მრავალრიცხოვანი არმია, უნდა შევეცადოთ რამდენიმე საკვანძო მომენტის დად-

გენას, რომლებიც როგორც ჩასაფრების, ასევე ბრძოლის მსვლელობის მეტ-ნაკ-ლებად სრულ სურათს მოგვცემენ. ეს მომენტებია: მუსლიმური არმიის მარშრუტი მანგლის-დიდგორიდან თბილისის მიდამოებამდე. მუსლიმური არმიის ბანაკის ადგილ-მდებარეობა დიდგორის ბრძოლის წინ. ქართული არმიის ბანაკი და ჩასა-ფრების ორგანიზება. მოწინააღმდეგეთა ძალების განლაგება ბრძოლის წინ.[1]

—მუსლიმური არმიის მარშრუტი მანგლის-დიდგორიდან თბილისის მიდამ-ოებამდე.

მანგლისის მიდამოებიდან მუსლიმურ არმიას თბილისისკენ წასვლა ორი გზით, დილომისა და ვერეს ხეობებით შეეძლო (რუქა №4-5), საიდანაც მუსლიმებს ვერეს ხეობა უნდა აერჩიათ ორი ძირითადი მიზეზის გამო:

—ვერეს ხეობა დიდი არმიის სამოძრაოდ უფრო მოხერხებულია. აქ შედარებით ნაკლებია ვიწრო ადგილები და გზების ვიზუალური კონტროლიც უფრო ადვილია, ვიდრე დილმის ხეობაში (განსაკუთრებით, მის საწყის ნაწილში).[2]

—მუსლიმები დილმის ხეობისკენ რომ წასულიყვნენ, მათი კოლონის ავან-გარდის წინ მიმავალი მზვერავი რაზმები დიდგორის მიდამოებში განლაგებულ ქართულ არმიას ადვილად აღმოაჩენდნენ, რის შემდეგადაც ჩასაფრების იდეა ჩაიშლებოდა და ბრძოლა სრულიად განსხვავებულ ხასიათს მიიღებდა.[3]

მანგლისიდან ვერეს ხეობისკენ დაძრული მუსლიმები მოხისის გავლით უნდა გასულიყვნენ შამთა-დრეს მიდამოებში, აქედან ჩაეხვიათ ღვევისკენ, ხელმარ-ჯვნივ დაეტოვებინათ ორბეთ-ახალი ზირბითი და წასულიყვნენ ბეთანიის მიმარ-თულებით. ამ მარშრუტით მოძრაობისას, დიდგორის ქედი რჩებოდა კოალიციური არმიისგან ხელმარცხნივ, დაახლოებით, 4-5 კილომეტრზე (რუქა №4-5). მანგლი-სის შემდეგ პირველი გზასაყარი (მარცხნივ დიდგორისკენ გზა აღმავალია, ხოლო მარჯვნივ ვერეს ხეობისკენ დაღმავალი) სოფ. მოხისის მიდამოებშია, სწორედ აქედან უნდა დაშვებულიყო მუსლიმთა კოლონა ვერეს ხეობისკენ, რაც უდავოდ სწორი გადაწყვეტილება იქნებოდა იმის გამო, რომ მათი სამარშო კოლონის სიდი-დისა და მრავალრიცხოვანი აღალის პირობებში,[4] დაღმავალი და უფრო ფართო გზა ბევრად მოხერხებული იქნებოდა, ვიდრე დიდგორ-დილმის ხეობისკენ მიმა-ვალი აღმავალი და ვიწრო გზა (რუქა №4-5).

—მუსლიმური არმიის ბანაკის ადგილ-მდებარეობა დიდგორის ბრძოლის წინ.

სავსებით ბუნებრივია, რომ თბილისისკენ მარშის დაწყების წინ, მუსლიმურ არმიას ღამე თრიალეთ-მანგლისის მიდამოებში უნდა გაეთენებინა. თუ ჩვენ გამოვალთ ალ-ფარიკისა და ალ-ჯაუზის ცნობებიდან, რომ ბრძოლის მომენტში ილ-ღაზის არმიას ნახევარი დღის სავალი ჰქონდა დარჩენილი თბილისამდე, მაშინ გამოდის რომ მას სამხედრო ბანაკი სადღაც მანგლისამდე ჰქონია გამართული. თუ ბრძოლის ადგილიდან, ე.ი. მანგლისის შემდეგი ტერიტორიებიდან, ნახევარი დღის სავალი იყო დარჩენილი, ე.ი. ნახევარი დღე ილ-ღაზის არმიას უკვე უვლია სანამ აქამდე მოვიდოდა, შესაბამისად მისი წინა დღის (11-12 აგვისტოს ღამის) ბანაკი მანგლისამდე უნდა ყოფილიყო.

სავარაუდო ბანაკის ადგილმდებარეობა შეიძლება კიდევ უფრო დავიწროვდეს იმის გათვალისწინებით, რომ ბანაკის გამართვას კონკრეტული პირობები სჭირდ-ებოდა. როგორც უკვე იყო აღნიშნული, იგი უნდა დამდგარიყო გაშლილ სივრცეზე მთებისა და ტყეებისგან მოშორებით. უნდა ყოფილიყო აუცილებლად მდინარის ან წყლის სხვა საცავის სიახლოვეს და ასეთი ადგილი, არანაკლებ 4 კვ. კილომე-

ტრი ფართობის მქონე უნდა ყოფილიყო,[5] რისი მოძებნაც მანგლისის მიდამოებში და განსაკუთრებით მის აღმოსავლეთით შეუძლებელია. ამ მიმართულებაზე რელიეფი მთლიანად მთა-გორიანია, რაც ბანაკის გამართვისთვის აღნიშნულ საჭირო მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებდა. მანგლისთან ყველაზე ახლოს არსებული, ბანაკისთვის ხელსაყრელი ადგილი, მხოლოდ მისგან სამხრეთ-დასავლეთით, სოფ. შეხვეტილას სამხრეთითა და ახალსოფელ-ზირბითის დასავლეთით მდებარე ზეგანია, რომელიც დიდი სამხედრო ბანაკისთვის აუცილებელ ყველა ამ პირობას აკმაყოფილებს. ეს ადგილი 3-4 კილომეტრითაა დაცილებული (თანამედროვე) მანგლისს და შეცდომის ნაკლები ალბათობით შეიძლება იმის ვარაუდი, რომ სელჯუკთა საველე ბანაკი 11-12 აგვისტოს ღამეს, სწორედ აქ უნდა ყოფილიყო გამართული (რუქა №4-5).

—ქართული არმიის ბანაკი და ჩასაფრების ორგანიზება.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, მუსლიმთა მოძრაობის პარალელურად, ქართულ არმიას მასთან ერთად ერთგვარ პარალელურ რეჟიმში უნდა ემოძრავა და დაეკეტა ის შესაძლო მიმართულებები, რომლებიც შეიძლებოდა ილ-ღაზის გამოეყენებინა მარშრუტის შეცვლის შემთხვევაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დავით აღმაშენებელს არ უნდა დაეშვა მუსლიმთა არმიის გასვლა მთებიდან დაბლობში, რისთვისაც მუსლიმების მოძრაობის პარალელურად, მას ბლოკირებული უნდა ჰქონოდა იმ ხეობათა გასასვლელები, რომლებიც კოალიციური არმიის მოძრაობის მარშრუტზე მდებარეობდნენ. ამ სტრატეგიული აუცილებლობის მიხედვით, რასაც საქართველოს მეფე აუცილებლად დაიცავდა, ქართული არმიის ბანაკი 11-12 აგვისტოს ღამეს, სადღაც კავთისხევსა და ძეგვს შორის უნდა ყოფილიყო განლაგებული (რუქა №4-5).

არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი იმის თაობაზე, რომ მოწინააღმდეგეებს ერთმანეთის ბანაკების ადგილმდებარეობა ეცოდინებოდათ. ორივე მხარის მზვერავებს, რომლებიც უხვად იქნებოდნენ გაფანტულნი თრიალეთის ქედის მრავალრიცხოვან სიმაღლეებსა და მთათა მწვერვალებზე, დღის განმავლობაში არ შეიძლებოდა მხედველობის არედან გამოჰპარვოდათ დიდი არმიის გადაადგილების შედეგად წარმოქმნილი მტვრის ღრუბლები, ხოლო ღამით ვერ შეემჩნიათ ბანაკებში დანთებული მრავალრიცხოვანი კოცონი.

არაფრით შეიძლება იმის ვარაუდი, რომ ქართული არმია შეიძლებოდა დაბანაკებულიყო დიდგორში, ხოლო მუსლიმებს შეტევა დაეწყოთ მთებში ჩამჯდარი და გამაგრებული ქართული არმიის წინააღმდეგ. პირიქით, თუ ქართული არმია დღისით დაბანაკდებოდა დიდგორში, რაც აუცილებლად ცნობილი გახდებოდა მუსლიმებისთვის, ისინი (მანგლისამდე მდებარე) ბანაკიდან არ მოიხსნებოდნენ და არავითარ შემთხვევაში არ დაიწყებდნენ თვითმკვლელობის ტოლფას შეტევას აღმავალ მთებში. 12 აგვისტომდე დიდგორის მიდამოებში ქართული არმიის გამოჩენის შემთხვევაში, მუსლიმები არც მარშირებას არ გააგრძელებდნენ მანგლისიდან აღმოსავლეთით თბილისისკენ, რადგან ასეთ შემთხვევაში მათ გაშლილ კოლონას ქართული არმია ფლანგებზე თავდასხმით დაემუქრებოდა (რაც სინამდვილეში მოხდა კიდეც). მუსლიმი მხედართმთავრები რომ არ ყოფილიყვნენ დარწმუნებულნი მარშის უსაფრთხოებაში, გასავლელ მარშრუტზე ისინი ბანაკს (ე.ი. ხელსაყრელ საბრძოლო პოზიციას) არავითარ შემთხვევაში არ დატოვებედნენ და მიიღებდნენ ვითარების შესაფერის სხვა გადაწყვეტილებას.[6] მთებში გენერალური ბრძოლის გამართვა ლაშქრობის საწყის ეტაპზე არაფრით შეიძლება ყოფილიყო

სელჯუკთა მიზანი, მაგრამ რამდენადაც 12 აგვისტოს დილით მათ მაინც დაიწყეს გადაადგილება თბილისის მიმართულებით, რასაც მათი ბრძოლაში ჩაბმა მოჰყვა, ამდენად გამოდის, რომ დავით აღმაშენებელმა მოწინააღმდეგისგან ფარულად მაინც მოახერხა თავისი არმიის განლაგება საბრძოლო პოზიციებზე დიდგორის ქედზე და შეძლო მოულოდნელი თავდასხმის განხორციელება მტრის სამარშო კოლონაზე.

რამდენადაც ქართული არმია 11 აგვისტოს არ შეიძლებოდა ყოფილიყო დიდგორის მიდამოებში, რადგან დღის განმავლობაში მუსლიმთა მზვერავები ადვილად აღმოაჩენდნენ მის იქ ყოფნას, ხოლო 12 აგვისტოს ის მაინც იქ აღმოჩნდა, უნდა ნიშნავდეს ერთს: არმიამ პოზიციები დიდგორის მიდამოებში დაიკავა ღამით (რუქა №4) და შეძლო ამ მანევრის მუსლიმთაგან ფარულად განხორციელება, რაც, ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო ის გადამწყვეტი მომენტი, რამაც განაპირობა ქართული არმიის შემდგომი წარმატება.

15 ათასიანი არმიის (როგორადაც ჩვენ დავითის არმია მიგვაჩნია) ფარული გადაადგილება და საბრძოლო პოზიციების დაკავება მტრის ძალების ახლოს ყოფნის პირობებში თუნდაც ღამით, ურთულესი და ძნელად შესასრულებელი მანევრია. არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი, რომ მის განსახორციელებლად საქართველოს მეფე მთელ რიგ სპეციალურ ღონისძიებებს გამოიყენებდა, რომელთაგანაც ყველაზე ლოგიკურია იმის ფიქრი, რომ დავით აღმაშენებელი ბანაკში დატოვებდა მეომართა გარკვეულ რაოდენობას, რომლებიც მთელი ღამის განმავლობაში შეინარჩუნებდნენ არმიის რიცხვის შესატყვის მრავალრიცხოვან ანთებულ კოცონებს, მოქმედ საგუშაგოებს, მოახდენდნენ საგუშაგოთა შორის ხმამაღალი გადაძახილების იმიტაციას და ა.შ. რითაც შექმნიდნენ ადგილზე მდგომი ბანაკის შთაბეჭდილებას მტრის მზვერავების შეცდომაში შესაყვანად.[7] ხოლო იმ დროს, როდესაც მუსლიმთა მხედართმთავრებს ექნებოდათ ინფორმაცია, რომ ქართული არმია ბანაკად იდგა მათგან უსაფრთხო დისტანციაზე, ამ დროს საქართველოს მეფე დიდგორის მიმართულებით მეომრებს გადაიყვანდა პატარ-პატარა ჯგუფებად და დაიწყებდა მათ საბრძოლო პოზიციებზე განლაგებას, რისთვისაც 5-6 საათი სავსებით საკმარისი იქნებოდა. ჩვენის აზრით, ის ფაქტი, რომ ქართული არმია 12 აგვისტოს დიდგორის ქედზე აღმოჩნდა, მხოლოდ ასეთი ახსნის შესაძლებლობას ტოვებს.

– მოწინააღმდეგეთა ძალების განლაგება ბრძოლის წინ.

მთის პირობებში მოწყობილ ჩასაფრებებში ძალიან მაღალი მნიშვნელობა ენიჭებოდათ ქვეით მეომრებს, რომლებსაც შეეძლოთ დაეკავებინათ ნებისმიერი პოზიცია და ემოქმედათ თითქმის ყველანაირ პირობებში (მთის ქედზე, ფერდობებზე, ხევებში და ა.შ.), განსხვავებით ცხენოსნებისგან, რომელთა მოქმედების თავისუფლებაც მთა-გორიან რელიეფში საკმაოდ შეზღუდული იყო. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართული არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეითი მეომრები (შუბოსნები და მოისრეები) უნდა ყოფილიყვნენ და სწორედ მათ უნდა დაეკავებინათ ძირითადი პოზიციები დიდგორის ქედზე მოწყობილ ჩასაფრებაში.

ჩასაფრების კონკრეტული სახისა და ზუსტი ადგილების განსაზღვრა, რასაკვირველია, ძალიან ძნელი, პრაქტიკულად, შეუძლებელიცაა. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჩასაფრების საერთო სქემა და ვივარაუდოთ, რომ რამდენადაც მოწინააღმდეგის სამარშო კოლონას მანგლისიდან უნდა ემოძრავა ვერეს ხეობის მიმართულებით მოხისი-შამთა-დრე-ღვევის ხაზზე (რუქა №5), ამ-

დენად ყველაზე ლოგიკური იქნებოდა ქვეითი მეომრების ჩასაფრება მონყობილიყო დიდგორის ქედის სამხრეთ კალთებზე, მდინარე ვერეს რომელიმე (შამთას, დრეს, ან ღვევის) შენაკადზე, რომლებიც დიდგორის ქედიდან იღებენ სათავეს და უერთდებიან ვერეს. ჩვენი აზრით, ყველაზე მოხერხებული ასეთი ჩასაფრებისთვის იქნებოდა ღვევის შენაკადი და ძირითადი ჩასაფრება სწორედ ამ შენაკადის სათავეებთან, დიდგორის ქედის სამხრეთ კალთაზე უნდა გამართულიყო. ამ შენაკადს დიდგორის ქედიდან მოუყვება (როგორც ჩანს) საკმაოდ ძველი გზა, რომლის გარშემო სიმაღლეებზეც უნდა განლაგებულიყვნენ ქვეით მეომართა რაზმებიც (რუქა №5). აქვე უნდა განლაგებულიყო ცხენოსანთა მცირე რაზმიც, რომელიც განახორციელებდა პირველ თავდასხმას მოწინააღმდეგის კოლონაზე და შეიტყუებდა მათ ქვეითთა ჩასაფრებაში.

რაც შეეხება ცხენოსანთა ძირითად ძალებს, მათი თავმოყრა მდინარე ვერეს ვიწრო შენაკადებში არ იქნებოდა მიზანშენონილი, რადგან ისინი აქ დაკარგავდნენ გაშლისა და მოწინააღმდეგეზე მასირებული შეტევის შესაძლებლობას და მხოლოდ ვიწრო ფრონტით შეძლებდნენ მოქმედებას, რაც მოწინააღმდეგის რიცხვმრავალი კოლონის დასამარცხებლად საკმარისი არ იქნებოდა და ასეთ შემთხვევაში ბრძოლას შეიძლება განსხვავებული სახე მიეღო. ყველაზე ლოგიკური გადაწყვეტილება ცხენოსანთა რაზმების გამოყენებისა იქნებოდა მათი კონცენტრირება ნიჩბისის წყლის სათავეებთან, ქვეითების ჩასაფრების უკან, დიდგორის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე (რუქა №5), სადაც ისინი გარკვეულ დროს მოწინააღმდეგისთვის შეუმჩნეველები დარჩებოდნენ და საიდანაც ბრძოლის დაწყების პარალელურად, შეძლებდნენ მუსლიმთა კოლონის მარცხენა ფლანგზე გასვლას, დიდგორიდან მანგლისისკენ მიმავალი გზის გამოყენებით, ნაოხარ-მოხისის მიმართულებით და მასირებული შეტევის განხორციელებას ფართო ფრონტით დაღმავალ ქედზე, რაც თავის მხრივ, მათ შეტევას განსაკუთრებულ (კინეტიკურ) ძალას მიანიჭებდა (ცხენოსან რაზმებს შეტევის საწყის პოზიციებამდე უნდა გაევლოთ დაახლოებით 5-7 კილომეტრი, რასაც ისინი საშუალო ჩორთით 20-30 წუთში დაფარავდნენ, ხოლო საწყისი პოზიციიდან მტრის კოლონებამდე დაახლოებით 2 კილომეტრის სიგრძის დაღმავალი ფერდობი დარჩებოდა, რასაც სიმაღლიდან დაშვებული ცხენოსნები, ბუნებრივია, ბევრად სწრაფად გაივლიდნენ და გაშლილი რიგებითა და ფართო ფრონტით, შეძლებდნენ კოლონის მარცხენა ფლანგზე მასირებული შეტევის განხორციელებას. მთელი ამ მანევრისთვის, საკმარისი იქნებოდა დაახლოებით 40-45 წუთი).

თუ შევეცდებით ამ დისპოზიციის მორგებას წერილობითი წყაროების ცნობებზე, ძნელი არ იქნება იმის დანახვა, რომ იგი პირველ რიგში, სავსებით შეეფერება ალ-ფარიკის მიერ გადმოცემულ სურათს, რომლის მიხედვითაც „Царь Давуд выступил с западной стороны, а его сын Димитрий обрушился на них с вершины горы, когда они находились у подножия ее. И там они сошлись в крупном бою"[8] (რუქა №5). ამ ცნობის მიხედვით, დავით აღმაშენებელი სწორედ დემეტრეს პოზიციებიდან დასავლეთით მომქმედი ცხენოსანი რაზმების სათავეში ჩანს, ხოლო თავად დემეტრეს პოზიციას სავსებით შეეფერება ქვეითთა ზემოთ აღწერილი ჩასაფრება, რომელიც ნამდვილად მთის სიმაღლეებიდან დაატყდებოდა თავს მოწინააღმდეგეს (რუქა №№5-8).

ჩვენის აზრით, ასევე შეესატყვისება იგი ქართული არმიის დისპოზიციის გოტიესეული აღწერილობაც, რომლის მიხედვითაც ქართველ მეომართა ერთი

დიდი ნაწილი განლაგდა ორ მთას შუა (ჩადგა ჩასაფრებაში), ხოლო მეორე, მცირე ნაწილმა დაიკავა მუსლიმთა კოლონის გასავლელი გზა.[9] აქაც, ისევე როგორც ალ-ფარიკთან, ორ მთას შუა მდგომ მეომრებში ცხენოსანთა დაჯგუფება შეგვიძლია დავინახოთ დავით აღმაშენებლის მეთაურობით, ხოლო გზაზე (ამ შემთხვევაში გზასთან) განლაგებულ ნაწილში, დემეტრე (რუქა №№5-8).

რაც შეეხება ილ-ღაზის არმიას, მისი განლაგება (სამარშოდ გაშლილი კოლონებით) დიდგორის ბრძოლის წინ, ყველა ლოგიკით იქნებოდა იმდენად არახელსაყრელი, რომ მისი გამარჯვების შანსი ამ ბრძოლაში, თავიდანვე ნულის ტოლი უნდა ყოფილიყო. როგორც უკვე იყო აღნიშნული, მუსლიმთა უმთავრეს შეცდომას წარმოადგენდა ის, რომ მათ ყურადღებიდან გამოეპარათ ქართული არმიის ფარული გასვლა დიდგორის მიდამოებში და საბრძოლო პოზიციების დაკავება. 12 აგვისტოს გზის უსაფრთხოებაში დარწმუნებული ილ-ღაზის არმია მოძრაობდა ჩვეულებრივი სამარშო კოლონით და აბსოლუტურად არ იმყოფებოდა მზადყოფნაში ბრძოლის მისაღებად. ილ-ღაზის კოლონას ბრძოლის წინ „სტანდარტული" სამარშო განლაგება უნდა ჰქონოდა (რუქა №5).

არმიას მარშირების დროს, დიდი დისტანციით წინ უძღოდნენ მზერავი რაზმები, რომლებიც ამოწმებდნენ გასავლელი გზის მონაკვეთის უსაფრთხოებას.[10] უშუალოდ სამარშო კოლონას სათავეში ედგა ავანგარდი, რომელიც 30 ათასიანი არმიის შემთხვევაში, დაახლოებით 5 ათასი მეომრისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. ავანგარდის შემდეგ მოდიოდა არმიის ძირითადი ნაწილი აღალითურთ. აქვე იმყოფებოდნენ მხედართმთავრები მათი პირადი რაზმებით. კოლონის ბოლო შედგებოდა არიერგარდისგან, რომელიც ასევე დაახლოებით 5 ათასი მეომრისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი.

გამომდინარე იმ ვარაუდიდან, რომ ილ-ღაზის არმიას ღამე შეხვეტილა-ახალსოფლის სიახლოვეს უნდა გაეთენებინა, მათ სამარშო წყობას დიდგორის ბრძოლის წინ შემდეგი განლაგება ექნებოდა. კოლონაზე თავდასხმის სავარაუდო ადგილსა (სოფ. ღვევის მიდამოებს) და სავარაუდო ბანაკის (შეხვეტილას სამხრეთით) მდებარეობას შორის მანძილი, დაახლოებით 20-22 კილომეტრია, რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც მუსლიმთა კოლონის ავანგარდი მიაღწევდა ღვევის მიდამოებს, არიერგარდი ჯერ კიდევ ბანაკის ტერიტორიაზე იქნებოდა, ხოლო კოლონის შუა ნაწილი, მხედართმთავრებსა და აღალის ნაწილთან ერთად, სადღაც მანგლისიდან მოხისის მიდამოებამდე უნდა ყოფილიყო მოქცეული (რუქა №5). რამდენადაც ალგეთის ნაპირიდან ღვევამდე 12-14 კილომეტრია, ამდენად, ალგეთის მარცხენა ნაპირზე, მოწინააღმდეგის დაახლოებით 15 ათასი მეომარი უნდა ყოფილიყო ამ მომენტისთვის გადმოსული.[11] აქ არის ერთი ძალიან საყურადღებო გარემოებაც, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან როლს ითამაშებდა დიდგორის ბრძოლის მსვლელობაში. მანგლისიდან გამოსულ ილ-ღაზის არმიას, უნდა გადაელახა მდინარე ალგეთი და მის მარცხენა ნაპირზე მდებარე საკმაოდ მაღალი ქედის ავლით, გასულიყო მოხისის მიდამოებში. რასაკვირველია, ჩვეულებრივ სამარშო პირობებში ეს არ იყო ძალიან რთული წინაღობა, მაგრამ ბრძოლის მსვლელობისას იგი ფაქტიურად ორად გაჰყოფდა მუსლიმურ არმიას და იმ ნაწილს, რომელიც ჯერ კიდევ მანგლისის მხარეს იმყოფებოდა, გაურთულებდა ბრძოლის ველამდე ოპერატიულად მიღწევის შესაძლებლობას. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბრძოლის დაწყებისთვის, კოლონის შუაში მყოფი აღალი, იმ მომენტისთვის კოლონის გაშლის მიხედვით, სწორედ მოხისის მიდამოებსა და ალგეთის გადასასვლელთან უნდა

ყოფილიყო კონცენტრირებული, რაც კოლონის მანგლისის მხარეს დარჩენილი რაზმების მხრიდან, მდინარის სწრაფად გადალახვის მცდელობისას, საცობს წარმოქმნიდა, მაშინ ალგეთის მარჯვენა ნაპირზე მყოფი მუსლიმთა რაზმებისთვის, ბრძოლის ველზე დროულად მოღწევა, თითქმის შეუსრულებადი ამოცანა გახდებოდა. ე.ი. ქართული არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში მუსლიმთა არმიის მხოლოდ ნახევარს შეეძლო მიეღო მონაწილეობა (რუქა №5). რაც, რასაკვირველია, დავით აღმაშენებელის ტაქტიკური ქმედებების უდიდესი შედეგი იყო.[12]

წარმოდგენილი დისპოზიციით გამოდის შემდეგი: დავით აღმაშენებელმა შეძლო ბრძოლის ველის შერჩევა და ბრძოლის პირობების მოწინააღმდეგისთვის თავსმოხვევა. შექმნილი დისპოზიციით მან მიიღო როგორც საერთო რიცხობრივი უპირატესობა, რადგან ბრძოლის დაწყებისას მოწინააღმდეგის არმიის ნაწილი ალგეთს გაღმა იმყოფებოდა და ბრძოლაში ჩაბმა არ შეეძლო, ასევე ლოკალური უპირატესობა, რადგან ალგეთის მარცხენა ნაპირზე გადასული მოწინააღმდეგე, რომელთანაც საბრძოლო კონტაქტში უნდა შესულიყო ქართული არმია, იმყოფებოდა კოლონებად გაშლილი დაახლოებით 12-14 კილომეტრზე (ალგეთის ნაპირიდან სოფ. ღვევამდე) და მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში, საბრძოლო წყობის მიღება და კოლონის გრძელ დისტანციაზე გაშლილი ნაწილების ერთად კონცენტრირება ძალიან გაუჭირდებოდა, განსხვავებით ქართული არმიისგან, რომელიც თავის შეტევებს კონცენტრირებული რაზმებით განახორციელებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბრძოლის ლოკალურ მონაკვეთებში ქართულ არმიას რიცხობრივი უპირატესობაც ექნებოდა. ყველა ეს გარემოება, რომელიც შექმნილი იყო დავით აღმაშენებელის გეგმის სწორად განხორციელების შედეგად, ქმნიდა ყველა წინაპირობას მუსლიმების კოალიციურ არმიაზე გადამწყვეტი გამარჯვების მოსაპოვებლად (რუქა №5).

დიდგორის ბრძოლა

მოწინააღმდეგეს საჭიროა თავს
დაესხა მაშინ, როდესაც მდინარეზე
მხოლოდ მისი ნაწილია გადმოსული.
უ-ც ზი.

ჩაუკეტო გზა მას ვინც უკან იხევს,
ეს იმას ნიშნავს, რომ აიძულო იგი
ჩაებას თავგანწირულ ბრძოლაში.
ის კი, ვინც არ ზოგავს საკუთარ
სიცოცხლეს და თავის დაცვისას
არ ფიქრობს შედეგებზე, შეიძლება
გამარჯვებული აღმოჩნდეს.
გიურ-ხანი. XII საუკუნის თურქი
მხედართმთავარი.

როგორც წარმოდგენილი სურათიდან ჩანდა, 12 აგვისტოს დილით, როდესაც ილ-ღაზის არმია მანგლისის მიდამოებიდან მოხისი-შამთა-დრე-ღვევის გავლით, მარშით მიემართებოდა ვერეს ხეობისკენ, ქართული არმიის ქვეითი ნაწილები იმყოფებოდნენ ჩასაფრებაში სოფ. ღვევის ჩრდილოეთით, მდ. ვერეს შენაკადის

დიდგორის ქედთან შეერთების ადგილას, დიდგორის ქედის სამხრეთ კალთებზე და მონინააღმდეგის კოლონის გადაადგილების მარშრუტს დაცილებულები იყვნენ, დაახლოებით, 2-3 კილომეტრის დისტანციით. ხოლო ცხენოსანი რაზმები თავმოყრილნი იყვნენ ნიჩბისის წყლის სათავეებთან და ელოდნენ ბრძოლის დაწყებას შესატევ პოზიციაზე გასასვლელად (რუქა №5).

ალ-კალანისისა და ქამალ ად-დინის (უკვე აღნიშნული ცნობის) მიხედვით, ქართველებს მუსლიმები ხეობაში შეუტყუებიათ და იქ დასხმიან მათ თავს.[1] ეს ცნობა სავსებით შეეფერება იმ დისპოზიციას, რომელშიც მონინააღმდეგეები იმყოფებოდნენ ბრძოლის დაწყების წინ. მუსლიმების შეტყუება უნდა მომხდარიყო სოფ. ღვევის მიდამოებიდან დიდგორისკენ მიმავალ ვერეს იმ შენაკადზე, სადაც ქართული არმიის ჩასაფრება იყო მოწყობილი. ამისთვის აუცილებელი იქნებოდა მონინააღმდეგის პროვოცირება საჭირო მიმართულებით დევნის განსახორციელებლად, რაც პატარა, მობილური ცხენოსანი რაზმის მეშვეობით შეიძლებოდა შესრულებულიყო (რუქა №6).

ალ-კალანისი და ქამალ ად-დინი აღნიშნავენ, რომ მუსლიმებმა ჯერ დაამარცხეს ქართველები და მერე შეყვნენ მათ ხეობაში, რაც პირდაპირი და ამასთან ძალიან ლოგიკური მითითებაა წარმოდგენილი სიტუაციისთვის. მტრის დიდგორის ქედისკენ გატყუება და ჩასაფრებაში შეყვანა, სწორედ მსგავსი მანევრის განხორციელებით უნდა მომხდარიყო. ორივე მუსლიმი ავტორის მითითებას ილ-ღაზის არმიის ჩასაფრებაში შეტყუების შესახებ ადასტურებენ და ჩასაფრების ეპიზოდს საკმაოდ დეტალურადაც აღწერენ გოტიე და ალ-ასირი.

გოტიეს მიხედვით დავით აღმაშენებელს იმ გზაზე, სადაც მუსლიმთა კოლონას უნდა გაევლო, „ფრანკების" რაზმი დაუყენებია, ხოლო არმიის ძირითადი ნაწილი გზის სიახლოვეს მდებარე ორ მთას შორის განულაგებია. ფრანკებთან პირველი შეტაკების შემდეგ, რომელიც რასაკვირველია, ავანგარდთან უნდა მომხდარიყო, მონინააღმდეგეს არმიის ძირითადი ძალებიც დასხმიან თავს.[2] ოდნავ განსხვავებულია ალ-ასირის ცნობა, რომლის მიხედვითაც მტერს ყივჩაღთა 200 კაციანი რაზმი მიუახლოვდა და მოულოდნელად დაესხა თავს, რის შემდეგაც ბრძოლაში ძირითადი ძალებიც ჩაერთვნენ.[3]

აღნიშნულ ცნობებზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ თუ როგორ განხორციელდა ყოველივე ეს.

ვერეს ხეობისკენ მიმავალ მტრის კოლონის ავანგარდს, სადღაც სოფ. ღვევის მიდამოებში თავს დაესხა, გზის სიახლოვეს წინასწარ ჩასაფრებული ქართველ ცხენოსანთა მცირერიცხოვანი რაზმი,[4] რომელიც ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ უკუიქცა დიდგორის ქედისკენ მდ. ვერეს შენაკადზე გამავალი გზით, იქით სადაც მოწყობილი იყო ქვეითთა ჩასაფრება (რუქა №6). დევნის დისტანცია შეადგენდა 2-3 კილომეტრს, რასაც გაქცეულები და მადევარები მაქსიმუმ 10 წუთში დაფარავდნენ, რის შემდეგაც დევნის განმახორციელებელი მუსლიმთა რაზმი ქვეითი მეომრების სრულ ალყაში აღმოჩნდებოდა, რომელთა წინააღმდეგაც, ვიწრო ხეობის პირობებში, მათ წარმატების არავითარი შანსი არ ექნებოდათ (რუქა №7-8). თავის მხრივ ქვეით მეომრებს, რომლებიც ყველა ლოგიკით გზის გარშემო არსებულ, გზიდან 300-500 მეტრის სიმაღლეზე განფენილ ქედების თხემზე იქნებოდნენ განლაგებულნი, გზამდე დასაშვებად და მტრის ცხენოსნებისთვის უკანდასახევი გზის გადასაჭრელად დათვლილი წუთები დასჭირდებოდათ, რის შემდეგაც მუსლიმთა მდევარი რაზმი სრულ ალყაში აღმოჩნდებოდა და მისი განადგურება რო-

სურ. 35. გ. დორე. თავდასხმა ავანგარდზე

გორც დისტანციური ბრძოლის საშუალებებით (ისრებით, ხელშუბებით, დაგორებული ქვებით და ა.შ.), ასევე ჩასაფრების თავსა და ბოლოში თავდასხმითა და ხელჩართული ბრძოლით, საკმაოდ მოკლე ხანში მოხდებოდა (რუქა №8).[5]

მთავარი შედეგი, რაც უნდა მოჰყოლოდა ამ ჩასაფრებას, იქნებოდა არა მტრის დიდი რაოდენობით ცოცხალი ძალის განადგურება (ბუნებრივია, მოწინააღმდეგე მხოლოდ ავანგარდის ძალების ნაწილით განახორციელებდა ამ დევნას), არამედ სამარშო კოლონებში გაურკვევლობისა და არეულობის შეტანა, რასაც შემდგომი, ძირითადი დარტყმის წარმატება უნდა უზრუნველყო.

ეჭვს გარეშეა, რომ მოწინააღმდეგის ავანგარდზე თავდასხმას, სანამ მოხდებოდა ვითარებაში გარკვევა, მთლიანი კოლონის გადაადგილების მთელ სიგრძეზე შეჩერება უნდა გამოეწვია. ავანგარდზე თავდასხმა მოწინააღმდეგის მხოლოდ მცირე ძალების დევნას გამოიწვევდა, რაც თავისთავად არ შეიძლებოდა გამხდარიყო მუსლიმური არმიის დამარცხებისა და განადგურების საფუძველი. მთავარი შედეგი, რასაც ეს ჩასაფრება მოიტანდა, იქნებოდა მუსლიმ მხედართმთავართა გარკვეული ხნის დაბნეულობა და, შესაბამისად, მოგებული დრო ძირითადი ძალების შესატევ პოზიციაზე გასაყვანად (რუქა №7).

სანამ მიმდინარეობდა ქართველ ცხენოსანთა რაზმის დევნა, მუსლიმთა ავანგარდის ნაწილის ჩასაფრებაში შეტყუება და მისი განადგურება, რასაც მთლიანობაში 30-50 წუთზე მეტი არ დასჭირდებოდა, მუსლიმ მხედართმთავრებს არ შეიძლებოდა რომ სწორი წარმოდგენა ჰქონოდათ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა რეალობაში. ერთადერთი, რაც მათ შეიძლებოდა მოცემულ მომენტში გაეკეთებინათ, იქნებოდა ან დამხმარე ძალის გაგზავნა ჩასაფრების ადგილზე, ან მაცნეებისა, რეალური ინფორმაციის მოსატანად ოპერატიულ ვითარებაზე სწორი წარმოდგენის შესაქმნელად. სხვა ვერავითარ ბრძანებას შექმნილ ვითარებაში ილ-ღაზი, უბრალოდ, ვერ გასცემდა. იგი ჯერ-ჯერობით ვერ ხედავდა შეტევაზე წამოსულ მტერს, მის წინააღმდეგ თავდაცვაზე ან კონტრშეტევაზე რომ გადასულიყო. მან არ იცოდა მოწინააღ-

მდეგის ძირითადი ძალების ადგილმდებარეობა, ამის შესაბამისად წინსვლა ან უკან დახევა რომ ებრძანებინა, ანუ არ ფლობდა ოპერატიულ ვითარებას. ერთადერთი რაც მას მოცემული მომენტისთვის შეიძლებოდა სცოდნოდა, იქნებოდა ის, რომ ავანგარდზე მოხდა თავდასხმა, თუმცა თავდასხმის მასშტაბებსა და მოწინააღმდეგის ძალებსა და საშუალებებზეც მოცემული მომენტისთვის მას ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ექნებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავანგარდზე თავდასხმიდან გარკვეული ხნის განმავლობაში მუსლიმთა სარდლობა იქნებოდა გაურკვევლობაში და ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებდა ეფექტურ და სწორ გადაწყვეტილებას. რასაკვირველია, ეს მდგომარეობა არ გაგრძელდებოდა დიდხანს და რაღაც დროის შემდეგ მუსლიმები გაერკვეოდნენ შექმნილ ვითარებაში, რის შემდეგაც შესაბამის გადაწყვეტილებებსაც მიიღებდნენ, მაგრამ ამის შესაძლებლობა დავით აღმაშენებელმა მათ აღარ დაუტოვა.

სავსებით აშკარაა, რომ მოულოდნელობის ფაქტორი, რომელიც დავით აღმაშენებელმა ჯერ დიდგორის ქედის მიდამოებში არმიის ფარული განლაგებით, ხოლო შემდეგ სოფ. ღვევთან მუსლიმთა ავანგარდზე უეცარი თავდასხმით შექმნა, მან ბოლომდის სრული ეფექტურობით გამოიყენა. იმის პარალელურად, როდესაც დაიწყო ავანგარდზე თავდასხმა, მუსლიმთა ჩასაფრებაში შეტყუება და მათი განადგურება, რასაც, როგორც აღვნიშნეთ, დაახლოებით 30-50 წუთი დასჭირდებოდა, დავით აღმაშენებელმა დაიწყო ცხენოსანთა რაზმების გამოყვანა ნიჩბისისწყლის სათავეებიდან მოხის-ნაოხარის მიმართულებით შეტევის საწყის პოზიციებზე (ტაბ. №8). ამ მომენტისთვის ძალიან ადვილი წარმოსადგენია ის შოკი და დაბნეულობა, რასაც ქართველი ცხენოსნების ქედზე (ანუ ილ-ღაზის კოლონის მარცხენა ფლანგზე) გამოჩენა გამოიწვევდა მუსლიმთა რიგებში.

ცხენოსნების გამოსვლით მოხის-ნაოხარის მიდამოებში ილ-ღაზი, ფაქტიურად, გამოუვალ ვითარებაში აღმოჩნდებოდა. მისი არმია ალგეთის მარცხენა ნაპირზე გაშლილი იყო სამარშო წყობით დაახლოებით 12-14 კილომეტრზე. არმიის ნახევარი იმყოფებოდა მანგლისის დასავლეთით, ალგეთს გაღმა და ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას ვერაფრით შესძლებდა. ავანგარდი იმყოფებოდა სოფ. ღვევის მიდამოებში, მისი ნაწილი განადგურებული იყო ჩასაფრებაში, ხოლო ნაწილი (ალბათ) გაფანტული და ასევე დაბნეული (რუქა №5). ილ-ღაზისა და სხვა მხედარმთავრების გვერდით რჩებოდა სამარშო კოლონის შუა ნაწილი მრავალრიცხოვან აღალთან ერთად, რომელიც გაშლილი უნდა ყოფილიყო სადღაც 8-10 კილომეტრზე (ალგეთის კალაპოტსა და შამთა-დრეს შორის) და რომლის საბრძოლოდ გადაწყობასაც საკმაოდ დიდი დრო დასჭირდებოდა, ასეთი დრო კი, ილ-ღაზის, უბრალოდ, აღარ ჰქონდა.

დიდგორ-მანგლისის გზაზე (მოხის-ნაოხარის ზემოთ) გამოსულ ქართული არმიის ცხენოსანთა რაზმებს, შეტევის გასავითარებლად და მოწინააღმდეგის კოლონამდე მისაღწევად დაღმავალ ფერდობზე, დაახლოებით 2 კილომეტრი დისტანციის დაფარვა სჭირდებოდათ, რასაც ისინი 10 წუთზე ნაკლებ დროში მოახერხებდნენ, 10 წუთი კი ილ-ღაზისთვის ვითარების აღსაქმელად, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად და შესასრულებლად ძალიან ცოტა დრო იქნებოდა (რუქა №6-7). ანუ ქართული ცხენოსანი რაზმების შესატევ პოზიციაში გამოჩენის მომენტისთვის მუსლიმები მას ვერაფერ ეფექტურს ვერ დაუპირისპირებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ცხენოსნები საკმაოდ ფართო ფრონტით (დაახლოებით 1-1,5 კმ-ით) შეძლებდნენ კოლონის დაუცველ ფლანგზე შეტევას, რაც

აუცილებლად, კოლონის გარღვევას და ცალკეულ ნაწილებად დაშლას გამოიწვევდა (რუქა №8).

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, სამარშო კოლონები ცხენოსანთა ოთხი რიგისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი. როდესაც ქართული ცხენოსანთა რაზმები გამოჩნდებოდნენ შესატევ პოზიციებზე, ერთადერთი რასაც მუსლიმები მათ მოახლოვებამდე შეძლებდნენ, იქნებოდა კოლონის რიგების ფრონტის სახით შებრუნება შემტევებისკენ, რის შედეგადაც მიღებულ საბრძოლო წყობაში ოთხი სიღრმისეული მწკრივი წარმოიქმნებოდა, რაც, რასაკვირველია, წყობის მჭიდრო სიღრმეს ვერ შექმნიდა და სიმაღლიდან წამოსულ შემტევთა ძლიერ დარტყმას ვერ გაუძლებდა.

ცხენოსნების შეტევის შეჩერება ვერც დისტანციური ბრძოლით მოხერხდებოდა. მოისართა გამოყენება იქნებოდა სრულიად უშედეგო, რადგან როდესაც შემტევები ისრის ეფექტურ სასროლ მანძილზე (100-200 ნაბიჯი) მოაღწევდნენ, დარჩენილ დისტანციას („სიჩქარე აკრეფილები") ისე სწრაფად დაფარავდნენ, რომ მოისრეები მხოლოდ ერთი ან მაქსიმუმ ორი ზალპის გაშვებას თუ მოასწრებდნენ, რითაც შემტევ ცხენოსნებს დიდ ზიანს ვერ მიაყენებდნენ და ვერც მათ წინსვლას შეაჩერებდნენ.

ცხენოსანთა ასეთი შეტევის წინააღმდეგ ყველაზე ეფექტურია ქვეით შუბოსანთა მჭიდრო წყობა, რომლის ორგანიზებაც 10 წუთის განმავლობაში 8-10 კილომეტრზე გაშლილი კოლონის არსებობისას შეუძლებელი იქნებოდა.

შედეგი ასეთი შეტევისა იქნებოდა მხოლოდ ერთი: მუსლიმთა სამარშო კოლონის რამდენიმე ნაწილად გაპობა, მონინააღმდეგის მეომრების უსისტემოდ ერთმანეთში არევა, ჭყლეტვისა და ქაოსის წარმოქმნა და ლოკალური ალყის კერების გაჩენა, რომლის დროსაც რაიმე ორგანიზებული წინააღმდეგობის მცდელობაც კი სრულიად უშედეგო იქნებოდა (რუქა №8). ამას დაემატებოდა ავანგარდის განადგურების შემდეგ ჩასაფრებაში მყოფ სამხედრო რაზმების შეტევა ღვევიდან შამთა-დრეს მიმართულებით ძირითად კოლონაზე, რაც მუსლიმ მეომართა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის უკვე მასშტაბური ალყის საშიშროებას შექმნიდა და მათ რიგებში პანიკას გამოიწვევდა. ასეთ ვითარებაში, როდესაც წინააღმდეგობის ორგანიზება და თავდაცვის ხაზების შექმნა შეუძლებელი იქნებოდა, კოალიციურ არმია სავსებით დაკარგავდა მართვის უნარს და მას დარჩებოდა მხოლოდ ერთი არჩევანი, ბრძოლის ველიდან გაქცევა, რაც, როგორც ამაზე ყველა წერილობითი წყარო მიუთითებს, მოხდა კიდეც (რუქა №8).

ალგეთის მარცხენა ნაპირზე გადმოსული მუსლიმური კოალიციის არმიის ნაწილის განადგურების პროცესში, პანიკა მანგლისის მხარეს დარჩენილ ნაწილშიც უნდა გავრცელებულიყო, რაც გამოიწვევდა მათ მასიურ გაქცევას და ქართული არმიის მიერ დევნის ოპერაციის განხორციელებას, რაც ისევე თანმიმდევრულად და გააზრებულად უნდა ჩატარებულიყო, როგორც ჩატარდა მთავარი ბრძოლა.[6]

დიდგორის ბრძოლა არ უნდა გაგრძელებულიყო ძალიან დიდხანს და დავით აღმაშენებლის მემატიანის მითითება იმის შესახებ, რომ „პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა," ზოგადად, სავსებით სწორად უნდა ასახავდეს ბრძოლის ხანმოკლე ხასიათს.

ამიერკავკასია და წინა აზია სელჯუკთა ექსპანსიის წინა პერიოდში. XI ს. შუახანები

რუკა № 1

ამიერკავკასია და წინა აზია სელჯუკთა ექსპანსიის შემდგომ პერიოდში. XI ს. 80-90-იანი წლები.
დავით აღმაშენებლის გამეფების პერიოდი

რუკა № 2



ამიერკავკასია და წინა აზია I ჯვაროსნული ლაშქრობისა და სელჯუკებზე ბიზანტიის კონტრშეტევის შემდეგ. XI-XII სს. მიჯნა (დავით აღმაშენებლის მიერ სელჯუკებისთვის ხარკის შეწყვეტის პერიოდი)



დიდგორის ბრძოლა. ოპერატიული ვითარება 11-12 აგვისტოს.

რუკა № 4



1. მოწინააღმდეგეთა მიახლოვება მანგლის-დიდგორთან და დაბანაკება.
2. ქართული არმიის მიერ პოზიციების დაკავება დიდგორში 11-12 აგვისტოს ღამეს.
3. კოალიციური არმიის მარშის დაწყება ვერეს ხეობისკენ 12 აგვისტოს დილით.
4. დიღმის ველი. კოალიციური არმიის მოძრაობის მიზანი.



1. მუსლიმთა კოლონის ნაწილი ალგეთამდე. ბანაკიდან გამოსვლისას. გაშლის სიგრძე 10-12 კმ.
2. მუსლიმთა კოლონის ალგეთის მარცხენა ნაპირზე გადასული ნაწილი. გაშლის სიგრძე 12-14 კმ. დაახლოებით 15 000 მეომარი.

დიდგორის ბრძოლა. I ეტაპი. თავდასხმა ავანგარდზე.



დიდგორის ბრძოლა. II ეტაპი. ავანგარდის შეტყუება ჩასაფრებაში და ცხენოსნების გასვლა საბრძოლო პოზიციაზე.

რუკა № 7




ცხენოსანთა ძირითადი რაზმების შეტევა
მუსლიმთა კოლონის შფოთგებზე (ლაჯეთი)
N
შეტევის განუთარება მუსლიმთა
კოლონაზე ავანგარდის
განადგურების შემდეგ

თავი IX

ომის დასასრული სელჯუკებთან

თბილისის აღება. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დასასრული

. . . . . იმარჯვებენ თუ იციან როდის შეიძლება ბრძოლა და როდესაც არა; იმარჯვებენ როდესაც შეუძლიათ დიდი და მცირე ძალების გამოყენება; იმარჯვებენ იქ სადაც მდიდრებს და ღარიბებს აქვთ ერთი და იგივე სურვილი; იმარჯვებენ მაშინ, როდესაც თვითონ ფრთხილობენ და ელოდებიან მონინააღმდეგის გაუფრთხილებელ ქმედებას; იმარჯვებენ ისინი, ვისაც ყავს ნიჭიერი მხედართმთავარი.

სუნ-ძი.

დიდგორის ბრძოლის პირველი დიდი შედეგი, იყო მოქმედების სრული თავისუფლება თბილისის საემიროს წინააღმდეგ, რომლის სამფლობელოებიც უკვე მხოლოდ ქალაქ თბილისითა და მის გარშემო არსებული ტერიტორიის ვიწრო ზოლით შემოიფარგლებოდა.[1]

თბილისის აღებას, საქართველოს სამეფო ჯერ კიდევ ბაგრატ IV-ს მეფობის პერიოდში ცდილობდა აქტიურად და რამდენჯერმე ქალაქის დაკავებაც შეძლო, თუმცა მთელი რიგი შიდა თუ გარე პოლიტიკური ფაქტორების გამო, შენარჩუნება ვერ მოახერხა.[2] არ არის გამორიცხული, რომ თბილისის საემიროს ლიკვიდაციაში ბაგრატ IV-თვის პოლიტიკურ სირთულეებთან ერთად, სამხედრო რესურსების უკმარისობასაც შეეშალა ხელი, რაც სწორედ პოლიტიკური სირთულეებიდან გამომდინარეობდა[3] რაც შეეხება დავით აღმაშენებელს, 1122 წლისთვის, მას თბილისის დაბრუნებისთვის ყველა ხელისშემშლელი პოლიტიკური თუ სამხედრო ფაქტორი გადაჭრილი ჰქონდა: განადგურებული იყო შიდა ფეოდალური ოპოზიცია. დაკავებული იყო ქალაქ თბილისის გარშემო არსებული ციხე-სიმაგრეთა სისტემა. კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა ქალაქთან მისასვლელი ყველა გზა. ბლოკირებული იყო თბილისის ძირითადი მოკავშირე, განძის საემირო, რომელსაც დამოუკიდებლად აღარ ძალუძდა საქართველოს სამეფოსთან სამხედრო დაპირისპირება. ისლამური სამყაროს მხრიდან ახლო მომავლისთვის ლიკვიდირებული იყო საქართველოს საწინააღმდეგო კოალიციის ფორმირების საშიშროება და ა.შ. დარჩენილი იყო მხოლოდ საკუთრივ ქალაქის ასაღებად საჭირო სამხედრო ოპერაცია, რომლის განხორციელებაც საქართველოს მეფემ დიდგორის ბრძოლის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო.[4]

წერილობითი წყაროების თითქმის ერთსულოვანი ჩვენებების მიხედვით, დავით აღმაშენებელი ქალაქის მოსახლეობას სასტიკად გაუსწორდა, სიკვდილით დასაჯა 500 კაცი, ხოლო მისმა მეომრებმა მოქალაქეები სამი დღე ძარცვეს.[5]

დავით აღმაშენებლის ასეთი სისასტიკე ადვილი ასახსნელია. შუასაუკუნეებში არსებობდა (თუ შეიძლება ასე ეწოდოს) ერთგვარი "სამხედრო კანონის" დაუწერელი კოდექსი, რომელსაც ჩინეთ-მონღოლეთიდან დაწყებული, საფრანგეთ-ინგლისით დამთავრებული, ყველა იცავდა და აღიარებდა. ქალაქი, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა მის ასაღებად მიმდგარ არმიას და ბრძოლით იქნებოდა

დაპყრობილი, სამ დღიან ძარცვას და შესაძლო დანგრევასაც ექვემდებარებოდა. ხოლო ქალაქი, რომელიც ბრძოლის გარეშე ჩაბარდებოდა, ხელშეუხებლობის იმუნიტეტს იღებდა და უვნებელი რჩებოდა.[6]

დავით აღმაშენებელის მხრიდან ქალაქის გაძარცვა და სიკვდილით დასჯის გამოყენება არა მისი სასტიკი ბუნების, არამედ იმის მაჩვენებელია, რომ თბილისმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია მას, რის გამოც მოექცა ამ კანონის მოქმედების ქვეშ. სიკვდილით დასჯილი 500 თბილისელი, აშკარად, მეომრები იყვნენ (სომეხი მემატიანე ვარდანი მიუთითებდა, რომ ისინი იყვნენ განიარაღებულნი, რაც მათი მეომრობის მაჩვენებელი უნდა იყოს[7]), რომელთაც როგორც ჩანს, სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ქართულ არმიას და ალბათ ბევრი მეომრის სიცოცხლეც იმსხვერპლეს, რის გამოც სიკვდილით დაისაჯნენ. დიდგორის ბრძოლის შედეგი აშკარად არ აღმოჩნდა "გაკვეთილი" თბილისის საემიროს ხელისუფალთათვის, რომელთაც უიმედო მდგომარეობაში მყოფებმა, მაინც წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტეს. ეს გადაწყვეტილება დაფუძნებული უნდა ყოფილიყო თბილისის გალავნისა და ციხე-სიმაგრის სიმტკიცესა და ქალაქის მაღალ თავდაცვითუნარიანობაზე, რომელსაც სხვადასხვა წერილობითი წყაროები ხაზგასმით აღნიშნავენ.

X საუკუნის რიგი აღმოსავლური წყაროები მიუთითებენ, რომ თბილისი იყო დიდი და კარგად გამაგრებული ქალაქი, რომელსაც გარსშემოვლებული ჰქონდა ორმაგი გალავანი (სურ. 36). მოგვიანებით, გალავნის სიმტკიცეს, აღნიშნავდა ალ-ჰუსაინიც.[8]



სურ. 36. შუა საუკუნეების თბილისის გამაგრების სისტემა. ვ. ცინცაძის რეკონსტრუქცია

თბილისის საფორტიფიკაციო სისტემის ძლიერებაზე მიუთითებენ ქართული წყაროების ცნობებიც. მაგალითად, 1037 წელს, როდესაც ბაგრატ IV ცდილობდა ქალაქის დაპყრობას, მას გალავნის შტურმზე არც უფიქრია და მისი აღება ალყით სცადა, რომელიც ორ წელიწადს გაგრძელდა და უშედეგოდ დამთავრდა, ხოლო 1068 წელს, თბილისის განძის საემიროს მფლობელობაში ყოფნის დროს მან ქალაქი განძის ემირის სიცოცხლის სანაცვლოდ აიღო, რომელიც ძელზე გასვა და ამ გზით აიძულა გარნიზონი შეეწყვიტა წინააღმდეგობა.[9] ასევე არ უფიქრიათ თბილისის ბრძოლით აღება ლიპარიტ ბაღვაშსა და ივანე აბაზაძეს 1032 წელს, როდესაც მათ ქალაქიდან გამოიტყუეს თბილისის ამირა და შეიპყრეს.[10] ჯალალ ად-დინმა 1225 წელს თბილისის აღება გარნიზონის არაქართული ნაწილის ღალატის შემდგომ მოახერხა, რომლებმაც ხვარაზმელებს ქალაქის გალავნის კარი გაუღეს.[11]

შუასაუკუნეებისთვის ორწლიანი ალყის გაძლება საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა და ქალაქის ძალიან მაღალ თავდაცვითუნარიანობაზე მიუთითებს.[12] ამასთან, წერილობითი წყაროების ცნობები აჩვენებენ, რომ გალავნის გადალახვა და ქვედა ქალაქის (თანამედროვე მეიდან-აბანოთუბანი) დაკავება არ იყო საკმარისი ქალაქის დასაპყრობად; რჩებოდა კიდევ ისანი, რომელიც სრულიად დამოუკიდებელ საფორტიფიკაციო სისტემას წარმოადგენდა და ქალაქის დანარჩენ ნაწილთან ხიდით იყო დაკავშირებული. როდესაც 1045 წელს, თბილისის მოქალაქეებმა ბაგრატ IV-ს ქალაქი ჩააბარეს, თბილისელების გარკვეული ნაწილი ისანში გამაგრდა და მათი წინააღმდეგობის დასაძლევად ისნის ალყის დაწყება გახდა საჭირო.[13] იგივე სურათია ჯალალ ად-დინის დროსაც. როდესაც ხვარაზმელებმა ქვედა ქალაქი აიღეს, გარნიზონი ისანში გამაგრდა.[14]

როგორც აღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, თბილისი ძალიან ძლიერ ციხე-ქალაქს წარმოადგენდა და დიდგორის ბრძოლის შემდეგაც კი მისი აღება სრულიადაც არ იყო იოლი სამხედრო ამოცანა.

წერილობითი წყაროები იმასაც აჩვენებენ, რომ თბილისი საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქი ყოფილა. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ იმდროინდელი ახლო აღმოსავლეთის ცენტრალური ქალაქების მოსახლეობის რაოდენობას (იერუსალიმი 70 ათასამდე, დამასკო 50-55 ათასი, ალეპო 50-60 ათასი, ედესა 36-36 ათასი და ა.შ.[15]), თბილისში, როგორც საკმაოდ დიდ ქალაქში, არა ნაკლებ 20-30 ათასიანი მოსახლეობა შეიძლება ვივარაუდოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალაქის დაცვისას, თბილისს შეეძლებოდა მინიმუმ 2-3 ათასიანი გარნიზონის ფორმირება, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქების ალყის დროს მის დაცვაში ფაქტიურად მთელი მოსახლეობა იღებდა მონაწილეობას, ნათელი გახდება, თუ რა რთული სამხედრო ოპერაციის ჩატარება იქნებოდა საჭირო მის ასაღებად.

რასაკვირველია, იმ პირობებში, როდესაც თბილისს აღარ ჰქონდა კომუნიკაციის შესაძლებლობა ისლამურ სამყაროსთან და როდესაც მისი პოტენციური მოკავშირეები დამარცხებულები იყვნენ და აღარ შეეძლოთ მისი დახმარება, ხანგრძლივი (რამდენიმეწლიანი) წინააღმდეგობის გაწევის პერსპექტივა მას აღარ გააჩნდა, მაგრამ დიდი ხნის ალყას, როდესაც ქართული არმიის ძირითადი ძალები აქ იქნებოდნენ დაკავებულნი, შეიძლებოდა გამოეწვია დავით აღმაშენებელის სხვა გეგმების (შირვანის კამპანიის დამთავრება, ანისის ახალ მიმართულებაზე მოქმედებების დაწყება, დმანისის შემოერთება და ა.შ.) შეფერხება, ან საერთოდ ჩაშლაც კი, რისი დაშვებაც საქართველოს მეფეს არ შეეძლო. ანუ, რადაც უნდა

დაჯდომოდა, მას ქალაქი აუცილებლად სწრაფად უნდა აეღო და გაეგრძელებინა დასახული გეგმების შემდგომი რეალიზება.

წერილობითი წყაროებიდან მთლად გარკვევით არ იკვეთება თბილისის აღების სამხედრო ოპერაციის დეტალები. დავით აღმაშენებლის მემატიანე მხოლოდ მოკლედ აღნიშნავს, რომ მეფემ ქალაქი "პირველსავე ომსა" (ანუ, პირველივე შტურმით) აიღო. ალ-ფარიკის ცნობაც დაახლოებით ასეთივე შინაარსისა: მისი მიხედვით მეფე "მახვილით დაეუფლა" ქალაქს და ცეცხლს მისცა, ხოლო ალ-ასირი თბილისის ალყას მიუთითებს.[16] როგორც არ უნდა ყოფილიყო, ერთი რამ აშკარა უნდა იყოს: დავით აღმაშენებელს ქალაქის აღება, როგორც ჩანს, საკმაო ძალისხმევისა და დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდა, რაც მის გადაწყვეტილებას ქალაქის დასჯის შესახებ კიდევ უფრო გაამყარებდა.

თბილისის აღებით დავით აღმაშენებელმა შეასრულა მეფობის დასაწყისში დასმული უმთავრესი სტრატეგიული ამოცანა, დაესრულებინა სელჯუკთა გამოჩენით შეწყვეტილი ქვეყნის გაერთიანების პროცესი (რჩებოდა დმანისი, მაგრამ მისი შემოერთების საკითხი თბილისის მერე უკვე აშკარა იყო),[17] რის შემდეგაც სავსებით ბუნებრივად დადგა ამოცანა სელჯუკთა იმპერიასთან ურთიერთობის დარეგულირებისა, რომელსაც უნდა ეცნო საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენის ფაქტი და აღარ განეცხადებინა პრეტენზია ქართულ ტერიტორიებზე. ამის შესაძლებლობა დავით აღმაშენებელს სულ მალე მიეცა.

ლაშქრობა შირვანში და ზავი სელჯუკებთან

ომი არ უნდა დაიწყო თუ არ იცი რას
მიაღწევ მისი მეშვეობით.
კლაუზევიცი.

1123 წლის მაისში, სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერიის სულთანი მაჰმუდი არმიით შემოვიდა შირვანში, რომელიც ჯერ კიდევ 1120 წლისთვის მოექცა საქართველოს სამეფოს გავლენის ქვეშ,[1] დაიკავა ქალაქი შემახა და შეიპყრო საქართველოს ყმადნაფიცი შირვანშაჰი.[2]

ამ მომენტიდან (დავით აღმაშენებლის მემატიანის მონათხრობის მიხედვით) იწყება საკმაოდ უცნაური ისტორია, რომელიც სხვადასხვა ბუნებრივ კითხვებს აჩენს. სულთანმა შემახადან დავითს გამოუგზავნა შემდეგი შეტყობინება: "შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა; ხოლო მე ესე რა შარვანშა შევიპყარ ხელთა და ხარაჯასა ვითხოვ; შენ თუ გენებოს, ძღვენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე."[3]

ამ შეტყობინების მიღების შემდეგ, დავითმა შეყარა არმია და გაილაშქრა სელჯუკების წინააღმდეგ. ქართველი და ყივჩაღი მეომრების სიმრავლით შეშინებული სულთანი ქალაქში ჩაიკეტა, ხოლო მისი არმია ბანაკად დადგა (როგორც ჩანს) ქალაქის სიახლოვეს.[4]

მემატიანის სიტყვით, სულთანმა "არღა ძღუენი ანუ ომნი ითხოვნა, არამედ გზა სამლტოლვარო, ფრიად რამე სიმდაბლით და არა სულტანურად, შეიწრებულმან შიმშილითა და წყურვილითა." ე.ი. ამ ცნობით გამოდის, რომ დავით აღმაშენებელს სულთანი ალყაში მოუქცევია, რომელიც მრავალი დღის შიმშილისა და წყურვი-

ლის გამო მხოლოდ მშვიდობიან გზას ითხოვდა. როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელმა არ მისცა გზა სულთანს და მას შემდეგ, რაც ქართულმა არმიამ მის დასახმარებლად მომავალი რანის ათაბაგი დაამარცხა, იგი ქალაქიდან გაიპარა.[5]

ვითარების ასეთი აღწერა არარეალური და წინააღმდეგობრივია. სულთანი შემახაში ჩავიდა მაისის თვეში (ვივარაუდოთ, რომ დასაწყისში). ამის შემდეგ მან დავით აღმაშენებელს შეტყობინება გაუგზავნა, რასაც ბუნებრივია გარკვეული დრო (ავიღოთ ერთი კვირა) დასჭირდებოდა. შეტყობინების მიღების შემდეგ, დავითმა არმია შეყარა (რასაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ათი დღე მაინც უნდოდა) და თავადაც შემახაში ჩავიდა (რასაც ასევე მინიმუმ ერთი-ორი კვირა დასჭირდებოდა), ე.ი. დავით აღმაშენებელი ვერაფრით მოახერხებდა შირვანში ჩასვლასა და სულთნის ალყაში მოქცევას მაისის ბოლო რიცხვებზე ადრე. მემატიანის მიხედვით კი, დავითი საქართველოში მაისშივე დაბრუნებულა (სულთნის გაქცევის შემდეგ), სადაც "მცირედთა დღეთა განისუენა" და ივნისში ისევ შირვანში გაბრუნდა, სადაც აიღო გულისტანი.[6]

ბუნებრივია, რომ ამდენი მოვლენა, რაც საკმაოდ ხანგრძლივ გადაადგილებებს საჭიროებდა, მაისის განმავლობაში ვერ მოხდებოდა და როდისღა აღმოჩნდებოდა სელჯუკი სულთანი მრავალდღიან ალყაში, "შიმშილისა და წყურვილის გამო" შეჭირვებული, აბსოლუტურად გაუგებარია. ამის გარდა, ამ მონათხრობში, კიდევ ბევრი სხვა წინააღმდეგობა არსებობს.

მაგალითად ის, თუ როგორ მოაქცევდა მჭიდრო ალყაში ქართული არმია ქალაქ შემახასა და მის სიახლოვეს გაშლილ სელჯუკთა სამხედრო ბანაკს ერთდროულად.[7] თუ სულთანი ისე იყო გარშემორტყმული, რომ შიმშილი და წყურვილი ტანჯავდა (ე.ი. ქალაქში ვერც ვერავინ შედიოდა და ვერც ვერავინ გამოდიოდა), როგორღა გაიპარა იგი იქიდან. თუ დავით აღმაშენებელი ივნისში ისევ შირვანში უნდა დაბრუნებულიყო, მაისში რატომღა წამოვიდა საქართველოში.[8] და ა.შ.

"სულთნის გაპარვის" შემდეგ, სამხედრო მოქმედებები საქართველოს სამეფოსა და სელჯუკებს შორის აღარ გაგრძელებულა. პირიქით, სულთანი მაჰმუდი ხშირად "წარმოავლენდის მოციქულთა ძღუენითა დამშვიდებად პირსა მისსა, რამეთუ წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვირად საპოვნელნი, და ეძიებნ მშვიდობასა და სიყუარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა."[9]

შირვანის ამ ეპიზოდს აღწერენ მუსლიმი ავტორებიც. მათი მიხედვით, დავით აღმაშენებელს ნამდვილად მრავალრიცხოვანი არმია ჰყოლია და სულთანი ნამდვილად ქალაქში ჩაკეტილა, რის შემდეგაც ქართულ არმიაში, ქართველ და ყივჩაღ მეომრებს შორის მომხდარა განხეთქილება, რაც მათ შორის ბრძოლაში გადაზრდილა. ამის შემდეგ სულთანი (როგორც გამარჯვებული) დაბრუნებულა სამშობლოში.[10]

ძნელი არ არის იმის დანახვა რომ ეს მონათხრობიც (ისევე როგორც დავითის მემატიანისა) წინააღმდეგობრივი და არარეალურია. მთავარი კითხვა, რომელიც აქ ჩნდება არის ის, რომ თუ ქართული არმიის ორმა ნაწილმა ერთმანეთი გაანადგურა, რატომღა გაბრუნდა შირვანიდან უკან სულთანი მაჰმუდი, რატომ არ სცადა შინაბრძოლით დასუსტებული მოწინააღმდეგის დამარცხება, მისი დევნა, ან სულაც საქართველოს საზღვრებში შემოჭრა და იმ ამოცანების რეალიზება, რისთვისაც მან შირვანში ილაშქრა.

დავითის მემატიანის ცნობაში არის კიდევ ერთი საინტერესო ეპოზოდი, რო-

მელიც ასევე კონკრეტულ კითხვებს ბადებს. მის მიხედვით, როდესაც ქართული არმია შემახასთან მივიდა და სულთანი ქალაქში ჩაიკეტა, ხოლო მისი არმია ბანაკში გამაგრდა (ბანაკს შემოავლო თხრილი და მესერი) და თავდაცვით პოზიციაში დადგა, "ცნა რა ესე მეფემან, არღარა ჯერ უჩნდა ზედა-მისვლა მლტოლვარისა, არამედ დავარდა მიწისა ზედა და მადლობა შეწირა ღმერთისა სახიერისა და კაცთ-მოყვარისა, და ადგილობანს დადგა."[11] აქ ცოტა გაუგებარია რისთვის შეწირა მადლობა ღმერთს დავით აღმაშენებელმა. თუ სელჯუკთა არმიამ უარი თქვა ბრძოლაზე და გაცლა ამჯობინა (რაც ნამდვილად "სამადლობელო" მოვლენა იქნებოდა), მაშინ ის არც შემახაში არ უნდა გამაგრებულიყო და არც სამხედრო ბანაკში, არამედ უნდა დაეტოვებინა შირვანის ტერიტორია და ეს ქვეყანა უპირობოდ დაეთმო საქართველოს მეფისთვის. ხოლო თუ ის ქალაქსა და სამხედრო ბანაკში გამაგრდა, ეს იმას ნიშნავს, რომ სულთანმა მხოლოდ გაშლილ ველის ბრძოლაზე თქვა უარი და თავდაცვითი პოზიცია აირჩია, რაც არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავდა შირვანის დატოვებას და უპირობო გაქცევას. ქართული არმია შირვანში აშკარად ძლიერი იყო სელჯუკურზე, რის გამოც ეს უკანასკნელი მას ღია ბრძოლაში არ დაუპირისპირდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ დავით აღმაშენებელს ორი გამაგრებული პუნქტის (ქალაქისა და ბანაკის) აღება ისე უპრობლემოდ შეძლებოდა, რომ ამის გამო ღმერთისთვის განსაკუთრებული მადლობა შეეწირა.

შირვანის ეპიზოდის ორივე, როგორც ქართულ, ასევე მუსლიმურ ვერსიას, აქვს ერთი საერთო, რომლის მიხედვითაც ბრძოლა ქართულ არმიასა და სელჯუკებს შორის არ შემდგარა. მაგრამ ორივე წყარო, ამ არშემდგარი ბრძოლის გამარჯვებულად, საკუთარი მხარის გამოცხადებას ცდილობს, რაც საკმაოდ უცნაურად გამოიყურება და უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ისინი რაღაცას ბოლომდე არ (ან ვერ) ამბობენ და მომხდარი მოვლენების "შელამაზებას", საკუთარი ვერსიებით ცდილობენ (ქართული წყარო სულთნის ალყაში მოქცევით, "შიმშილით" და "გაპარვით," ხოლო მუსლიმური — ქართველ და ყივჩაღ მეომრებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტით). სინამდვილეში, საქმე ბევრად მარტივად უნდა ყოფილიყო.

თრიალეთის და დიდგორის ბრძოლების გამოცდილებამ, როგორც ჩანს, დაარწმუნა სელჯუკი ხელისუფლები, რომ საქართველოს მთა-გორიან რელიეფზე, საქართველოს გაძლიერებულ არმიასთან მათ წარმატების შანსი აღარ გააჩნდათ, ამიტომ ისინი საქართველოს გაერთიანებასა და თბილისის, როგორც უკიდურესი მუსლიმური ფორპოსტის საქართველოს შემადგენლობაში შესვლას უნდა შეჰგუებოდნენ და შეეგუენ კიდეც. მაგრამ სხვა საქმე იყო შირვანი.

იმ შეტყობინებით, რომელიც სულთანმა მაჰმუდმა შემახადან გამოუგზავნა დავით აღმაშენებელს, აშკარად ჩანს, რომ სელჯუკებს აღარ ჰქონდათ რაიმე პრეტენზია თბილისზე, ან საქართველოს მიერ უკან დაბრუნებულ რომელიმე სხვა ტერიტორიაზე. ისინი ამ შეტყობინებით დავით აღმაშენებლისგან სხვა არაფერს ითხოვდნენ გარდა შირვანისა, რითაც სულთანი მაჰმუდი პირდაპირ სთავაზობდა საქართველოს მეფეს გავლენის სფეროების გაყოფას შემდეგი პირობით: თბილისი საქართველოს, შირვანი კი სელჯუკებს. ამ მოთხოვნის ძირითადი საფუძველი სელჯუკებისთვის უნდა ყოფილიყო იმის რწმენა, რომ გაშლილ ველებზე ქართული არმია ვერ დაუპირისპირდებოდა მათ. სწორედ ამ გარემოებით უნდა ყოფილიყო განპირობებული სულთან მაჰმუდის ის ამაყი ტონი, რითაც მან მიმართა დავით აღმაშენებელს "თუ გენებოს, ძღვენი ჯეროვანი გამოგზავნე, და თუ გინდა

სამალავთათ გამოვედ და მნახე." რაც დაახლოებით ნიშნავდა შემდეგს, თუ გინდა ძღვენი (საჩუქარი) გამომიგზავნე და შირვანი მე დამანებე, ე.ი. ამ პირობით ზავი დავდოთო, თუ არა გამოდი და შირვანის ბედი და ზავის პირობები შირვანში (ე.ი. სელჯუკებისთვის ხელსაყრელ საბრძოლო პირობებში) გადავწყვიტოთო.

როგორც ჩანს, სელჯუკი სულთანი იმედოვნებდა, რომ დავით აღმაშენებელი ამ გამოწვევას არ მიიღებდა და მათ შორის ტერიტორიების გაყოფა (თბილისი შირვანის სანაცვლოდ) მისი სქემით მოხდებოდა, მაგრამ საქართველოს მეფე აშკარად არ დააკმაყოფილა ამ პირობებმა, მან გამოწვევა მიიღო და თავისი არმიით, სადაც წამყვანი როლი აშკარად ყივჩაღთა ცხენოსან რაზმებს უნდა ჰქონოდათ, მაჰმუდის წინაშე საკმაოდ სწრაფად (რამდენადაც ამის საშუალებას არმიის შეკრებისა და შირვანამდე გადაადგილების დრო მისცემდა) აღმოჩნდა.

ცხადია, რომ საქართველოს არმიის ბრძოლისუნარიანობა გამოდგა ის არგუმენტი, რამაც მაჰმუდს უარი ათქმევინა ღია ბრძოლაზე (ეს როგორც ქართული, ასევე მუსლიმური წყაროებიდანაც კარგად ჩანს) და ქალაქის კედლებს მიღმა გამაგრდა. თავის მხრივ, არც დავით აღმაშენებელისთვის უნდა ყოფილიყო იოლი გამაგრებული ქალაქის აღება და სელჯუკი სულთნის არმიის ადვილად დამარცხება, რის შედეგადაც მოწინააღმდეგეები აღმოჩნდნენ ერთგვარი სტრატეგიული დაპირისპირების მდგომარეობაში, რომლის დროსაც უპირატესობა იმ მხარეს უნდა მიეღო, რომელსაც მეტი მოთმინების შესაძლებლობა და უნარი ექნებოდა (ანუ წააგებდა ის, ვისაც პირველს უმტყუნებდა ნერვები და დაიწყებდა მოწინააღმდეგეზე შეტევას).

როგორც ჩანს, ეს მდგომარეობა მომგებიანი უფრო საქართველოს მეფისთვის იყო, რომელსაც აშკარად მეტ ხანს შეეძლო ძალების შირვანში დაკავება. მაჰმუდს კი, რომლის საქართველოსთან შედარებით ვრცელი იმპერიის სხვადასხვა ნაწილებს მუდმივი ყურადღება სჭირდებოდა, ასეთი დრო არ აღმოაჩნდა, მას ან უნდა დაეთმო შირვანი, ან შებრძოლებოდა დავით აღმაშენებლის არმიას. სულთანმა პირველი შესაძლებლობა არჩია რის შემდეგაც, როგორც ჩანს, მხარეთა შორის ზავი საკმაოდ სწრაფად დაიდო (რის გამოც სწორედ რომ მადლობა უნდა შეეწირა დავით აღმაშენებელს ღმერთისთვის). მიუხედავად იმისა, რომ ამ ზავის შესახებ არანაირი პირდაპირი ისტორიული მონაცემი არ გაგვაჩნია, მის რეალობაში არათუ ეჭვის შეტანა შეიძლება, არამედ მის პირობებზე მსჯელობაც კი უნდა იყოს შესაძლებელი. სულთანმა თბილისთან ერთად, შირვანიც დაუთმო საქართველოს მეფეს და ამით, დავით აღმაშენებლის მიერ სელჯუკების წინააღმდეგ მრავალწლიანი ბრძოლით მიღწეული შედეგები, რეალობად აღიარა. სწორედ ეს გარემოება უნდა იყოს ასახული დავით აღმაშენებლის მემატიანის იმ ცნობაში, რომლის მიხედვითაც, სულთანი "არცაღა თვით ძუელად ქონებულთა ქალაქთა და ქუეყანათა ჰგონებდა თვისად ქონებად."[12] სულთანის ძველად ნაქონი ქალაქები და ქვეყნები კი, პირველ რიგში სწორედ თბილისი და შირვანი უნდა ყოფილიყო.

ყოველივე აღნიშნულიდან გამოდის, რომ დავით აღმაშენებელსა და ირანერაყის სელჯუკთა (ჯერ კიდევ) იმპერიას შორის მოხდა ტერიტორიებისა და გავლენის სფეროების გაყოფა, სადაც შირვანი და მის ჩრდილოეთით მდებარე დერბენდი საქართველოს გავლენის სფეროდ იქნა მიჩნეული, ისევე როგორც დმანისი და ჩრდილოეთ სომხეთის ტერიტორიები (რაც შემდგომი წლის კამპანიისას გარკვევით გამოიკვეთა). დავით აღმაშენებელმა და სულთანმა მაჰმუდმა ყოველივე ეს, როგორც ჩანს, საზავო პირობებით გააფორმეს, რის შემდეგაც საქართ-

ველოსა და სელჯუკების იმპერიას შორის ურთიერთობა ჩვეულებრივ დიპლომატიურ ფორმებში გადავიდა, რაც დავითის მემატიანის (უკვე მოყვანილ) ცნობაშიც აისახა, რომლის მიხედვითაც, სულთანი "წარმოავლენდის მოციქულთა ძღუენითა დამშვიდებად პირსა მისსა, რამეთუ წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვირად საპოვნელნი, და ეძიებნ მშვიდობასა და სიყუარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა."[13] როგორც ჩანს, დადებული ზავის ერთ-ერთი პირობა და სულთნის მოთხოვნა იყო ყივჩაღთა სასაზღვრო თავდასხმების (მარბიელი რეიდების) შეწყვეტა სელჯუკების ტერიტორიებზე, რაც გარკვევით უნდა აჩვენებდეს, რომ ყივჩაღთა დასახლებების სახით სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლის როგორ ეფექტურ საშუალებას მიაგნო დავით აღმაშენებელმა და როგორ გამოიყენა მათივე ტრადიციული ტაქტიკა (მარბიელი რეიდები) მათსავე წინააღმდეგ. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ, შესაძლებელია, შირვანში ყოფნის დროს რაიმე კონფლიქტი ყივჩაღებთან, თუ მას მართლა ჰქონდა ადგილი, შესაძლოა სწორედ ამ რეიდების აკრძალვასთან ყოფილიყო დაკავშირებული.

რაც შეეხება შირვანიდან დავით აღმაშენებლის უცნაურ წამოსვლას და შემდეგ თვეში ისევ უკან დაბრუნებას (გულისტანის ასაღებად), ეს, შეიძლება, შირვანელ (და საერთოდ) მუსლიმთა თვალში სულთან მაჰმუდის "სახის შესანახად" შესრულებულიყო და შემდგარი ზავის ერთ-ერთი პირობა ყოფილიყო (შირვანის მიღების შემდეგ დავით აღმაშენებელი ასეთ "უმნიშვნელო" თხოვნაზე, უარს ნამდვილად ვერ იტყოდა). ასე იყო თუ სხვაგვარად, ფაქტი ერთია, ბრძოლა ქართულ არმიასა და სელჯუკებს შორის ნამდვილად არ შემდგარა და შირვანი საქართველოს სამეფოს გავლენის სფეროში დარჩა, სამხედრო დაპირისპირება კი სელჯუკებთან არც შემდგომ წელს არ გაგრძელებულა, მიუხედავად საქართველოს სამეფოს უპრეცენდენტო სამხედრო აქტიურობისა. მომდევნო წელს (მიღებული ქრონოლოგიით) დავით აღმაშენებელმა ძალიან ფართო სამხედრო კამპანია ჩაატარა, რომლის გეოგრაფიულმა არეალმაც სამხრეთ-დასავლეთის (ტაო-კლარჯეთ-ანისის) მიმართულებასთან ერთად, მოიცვა შირვან-დერბენდი და ჩრდილოეთ სომხეთიც. სწორედ ეს ტერიტორიები უნდა ყოფილიყო ის რეგიონები, რომლებიც სელჯუკებთან დადებული ზავის მიხედვით საქართველოს სამეფოს გავლენის სფეროებად იქნა ცნობილი და რომელთა მფლობელობაზეც სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერია ოფიციალურად უარს აცხადებდა საქართველოს სამეფოს სასარგებლოდ.[14]

1124 წლის კამპანია. ანისი. ახალი სტრატეგიული მიმართულება

მას ვისაც ომის წარმოება შეუძლია
ორჯერ გაწვევას არ ახდენს და
სამჯერ აღალს არ ტვირთავს.
სუნ-ძი.

დავით აღმაშენებლის მემატიანის მიხედვით, 1123 წლის ივნისიდან 1124 მარტამდე, დავით აღმაშენებელს სამხედრო კამპანია აღარ ჩაუტარებია და ამ რვა თვის განმავლობაში, მთლიანად შიდასახელმწიფოებრივი საქმეების მოგვარებით იყო დაკავებული. შემდეგ კი დაიწყო ახალი და თავისი მეფობის მანძილზე

ყველაზე ინტენსიური სამხედრო კამპანიის განხორციელება, რომელმაც უჩვეულოდ დიდი გეოგრაფიული არეალი მოიცვა.

დავით აღმაშენებლის მემატიანის მიხედვით, ამ სამხედრო კამპანიის თანმიმდევრობა შემდეგია: 1124 წლის მარტში საქართველოს მეფემ აიღო დმანისი, აპრილში ილაშქრა დერბენდში და აიღო ციხეები ღასანი და ხოზაონდი. მაისში ილაშქრა ჩრდილო სომხეთში და აიღო ციხეები გაგი, ტერონაკალი, ქავაზინი, ნორბედი, მანასგომი და ტალინჯაქარი. ივნისში დაიწყო ლაშქრობა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, გაიარა ჯავახეთი, კოლა, კარნიფორი, ბასიანი და მივიდა სპერამდის. ამ მარშრუტზე დავით აღმაშენებელმა გაანადგურა მომთაბარეები, აგრეთვე აიღო და გადაწვა ქალაქი ოლთისი. აქედან იგი დაბრუნდა თრიალეთში, სადაც მას ეახლნენ ანისის წარმომადგენლები და სთხოვეს ქალაქის განთავისუფლება. საქართველოს მეფემ სამ დღეში შეჰყარა 60 ათასი მხედარი და გაილაშქრა ანისში, რომლის აღების შემდეგაც დაბრუნდა ქართლში და აქედან ილაშქრა შირვანში, სადაც აიღო ქალაქი შემახა, ციხე ბივრიტი და დაიკავა მთელი შირვანი.[1]

პირველი გარემოება, რაც ამ სამხედრო კამპანიასთან დაკავშირებითაა აღსანიშნავი, არის მოქმედების სრული თავისუფლება. არსად ჩანს, რომ ამ ოთხ სხვადასხვა მიმართულებაზე (დერბენდი, ჩრდილო სომხეთი, ტაო, შირვანი) ქართულ არმიას რაიმე ორგანიზებული წინააღმდეგობა ხვდებოდეს, რასაც დავითის მემატიანე სელჯუკთა სულთნის შიშით ხსნის („თვით სულტანი მუნ, სადა იყო, ძრწოდა შიშისაგან მისისა"), სინამდვილეში კი, მოქმედების ასეთი თავისუფლება სწორედ იმ ზავის პირობებით უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი, რომელიც დავით აღმაშენებელსა და სულთან მაჰმუდს შორის შირვანში დაიდო 1123 წლის მაისში გავლენის სფეროების გაყოფის თაობაზე. მაგრამ მიუხედავად იმისა, მოქმედების როგორი თავისუფლებაც უნდა ჰქონოდა საქართველოს მეფეს, აღნერილი მოვლენები მაინც გაზვიადებულად და არარეალურად გამოიყურება. მის მიხედვით, დავით აღმაშენებელმა ოთხ სხვადასხვა მიმართულებაზე ჩაატარა ექვსი ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი სამხედრო კამპანია (დმანისის აღება. დერბენდში ლაშქრობა. ჩრდილო სომხეთის მთელი რიგი სიმაგრეების დაპყრობა. ტაო-სპერში ლაშქრობა. ანისის აღება და შირვანის საბოლოო დამორჩილება), რაც ერთი საომარი სეზონისთვის აშკარად ძალიან ბევრია.[2]

ექვსივე სამხედრო კამპანია დამოუკიდებელ ორგანიზებასა და მომზადებას (სურსათის მარაგის დამზადებას, სააღალე ტრანსპორტის ორგანიზებას, გზების დაზვერვას, გარნიზონების დატოვებას, ადმინისტრაციების შექმნას და ა.შ.) საჭიროებდა, რაც არ იყო იოლი და ელვისებურად გადასაწყვეტი ამოცანა (როგორც ამას, მაგალითად, დავითის მემატიანე წარმოადგენს ანისზე ლაშქრობის მომზადების შემთხვევაში),[3] მაგრამ ყველაზე საეჭვო, მაინც იმ აღებული ქალაქებისა და ციხე-სიმაგრეების რაოდენობაა, რომლებსაც მემატიანე ამ ლაშქრობების დროს ასახელებს. მის მიხედვით დავით აღმაშენებელს აუღია ოთხი ქალაქი (დმანისი, ოლთისი, ანისი და შემახა) და ცხრა ციხე-სიმაგრე (ღასანი, ხოზაონდი, გაგი, ტერონაკალი, ქავაზინი, ნორბედი, მანასგომი, ტალინჯაქარი, ბივრიტი), ე.ი. სულ 13 გამაგრებული და გარნიზონებით დაცული პუნქტი, რომლებიც ერთმანეთს ასეულობით კილომეტრით იყო დაცილებული.

ყველაზე მინიმალური გათვლით, ქართულ არმიას ამ ოთხი ქალაქისა და ცხრა ციხის დასაკავებლად, სულ ცოტა 2500 კილომეტრი უნდა დაეფარა, რასაც სამარ-

შო კოლონის 30 კილომეტრით მოძრაობის პირობებში, თუ ის ერთ ღამეზე მეტს ერთ ადგილას არ გაათენებდა და მის გადაადგილებას არსად შეაფერხებდა რაიმე გაუთვალისწინებელი გარემოება (უამინდობა, მდინარეებისა და სხვა ბუნებრივი წინაღობების გადალახვის დროს წარმოქმნილი სირთულეები, სამარშო დისციპლინის დარღვევის შემთხვევები და ა.შ.), 83 დღე, ე.ი. სამი თვე მოუნდებოდა.

რომც ვივარაუდოთ, რომ ყველა ეს სიმაგრე დავით აღმაშენებელს უბრძოლველად დანებდებოდა, ყველა მათგანის დაკავებას გარკვეული დრო მაინც დასჭირდებოდა. გამაგრებული ქალაქისა და ციხე-სიმაგრის დაკავება მათი ჩაბარების შემთხვევაში, ნიშნავდა ამ სიმაგრეებთან არმიის ფიზიკურ მისვლას, გარნიზონთან ან მოსახლეობასთან შეთანხმებას ჩაბარების პირობებზე, საკუთარი ადმინისტრაციის დანიშვნას, გარნიზონის დატოვებას და შემდგომი უსაფრთხოების რიგი ზომების გატარებას, რის შემდეგაც არმიას შეეძლო დაეტოვებინა მოცემული პუნქტი და სხვა მიმართულებით გადაენაცვლა. ყოველივე ამას საქართველოს მეფე, თუ თითოეულ გამაგრებულ პუნქტთან საშუალოდ ერთ კვირას დაჰყოფდა, მაშინ 13 დაკავებული პუნქტის შემთხვევაში 91 დღეს, ანუ ასევე სამ თვეს მოანდომებდა.

მემატიანის მიერ დასახელებული ქალაქებიდან და ციხეებიდან, დავით აღმაშენებელს ყველა უბრძოლველად არ ჩაბარებია, სულ ცოტა ოლთისმა და ანისმა მას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს,[4] რაც იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგობების კერებთან, რომელთა რაოდენობაც ალბათ ორზე მეტი იქნებოდა, ქართულ არმიას იმაზე მეტი დრო უნდა დაეკარგა, ვიდრე ციხე-სიმაგრეთა მშვიდობიანი აღებისას. თუ ყოველივე აღნიშნულს იმასაც დავუმატებთ, რომ მემატიანისვე მითითებით, დავით აღმაშენებელი (ე.ი. ქართული არმია) ლაშქრობებს შორის მცირე ხნით დასვენებებსაც ასწრებდა,[5] მაშინ მივიღებთ, რომ დასახელებული ლაშქრობების წარმოდგენილი თანმიმდევრობა მოცემულ დროში არარეალურია.

თავისთავად ეს ლაშქრობები, როგორც შემდგარი ფაქტები, არავითარ ეჭვს არ იწვევენ,[6] საეჭვო მხოლოდ მემატიანის მიერ დასახელებული ვადებია, რომელთა განმავლობაშიც ექვსი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ლაშქრობა ოთხ სხვადასხვა მიმართულებაზე, ფიზიკურად ვერ განხორციელდებოდა, ამიტომ უფრო ლოგიკური უნდა იყოს თუ ვიფიქრებთ, რომ აქ გაერთიანებულია ორი წლის სამხედრო კამპანიები და გადმოცემულია ერთი (დავით აღმაშენებლის სიცოცხლის ბოლო) წლის განმავლობაში მომხდარი მოვლენების სახით.

ჩვენი აზრით, ყველაზე ლოგიკური იქნებოდა, შირვანისა და დერბენდის ლაშქრობები და ჩრდილო-სომხეთის ციხე-სიმაგრეების დაკავება, 1123 წლის მაისში, სულთან მაჰმუდთან დადებული ზავის შემდეგ, წლის მეორე ნახევარში განხორციელებულიყო (რასაც ისიც შეუწყობდა ხელს, რომ ამ დროისთვის ყველა სამხედრო რესურსი აღმოსავლეთსკენ იქნებოდა კონცენტრირებული სულთანთან დაპირისპირების გამო), ხოლო ტაოში ლაშქრობა და ანისის აღება, 1124 წელს. ასეთი თანმიმდევრობა, როდესაც საქართველო მეფე არა გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, არამედ თავად ირჩევდა სამხედრო მოქმედებების მიმართულებებს, იქნებოდა ბევრად რაციონალური და თანმიმდევრული, ვიდრე ერთი საბრძოლო სეზონის განმავლობაში ერთი და იგივე მიმართულებაზე რამდენჯერმე წასვლა, რაც არაფრით ჯდება დავით აღმაშენებლის დახვეწილი სტრატეგიის ლოგიკაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი (ლაშქრობათა ქრონოლოგიის გარკვევა) ძალიან მნიშვნელოვანია (და ცალკე კვლევას საჭიროებს), მთავარი ყოველივე აქე-

დან არის ის, რომ დავითის მემატიანე ჩამოთვლილი ლაშქრობებისას იძლევა სრულიად ახალ, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებას, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთით ამოცანების (თბილისის, დმანისისა და ჩრდილო სომხეთის შემოერთება. შირვან-დერბენდზე გავლენის დამყარება. სელჯუკების ირან-ერაყის იმპერიასთან ზავის დადება და მიღწეული შედეგების მათი მხრიდან დე-იურედ ცნობა) შესრულების შემდეგ, დავით აღმაშენებელმა ახალი ამოცანები დასახა შესასრულებლად სამეფოს წინაშე. ვფიქრობთ, რომ ამ ახალი სტრატეგიული გეგმის დაზუსტება, არ უნდა იყოს რთული საქმე.

ზემოთ (II თავში) უკვე იყო აღნიშნული, რომ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით განფენილი იყვნენ სელჯუკთა ექსპანსიის პერიოდში წარმოქმნილი მუსლიმური საემიროები, რომლებიც აკონტროლებდნენ წინა აზიის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-საქარავნო და სამხედრო-სტრატეგიულ მაგისტრალებს, რომელთაგანაც საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ყარსი-ერზრუმისა და ყარსი-ანისი-დვინის მონაკვეთები იყო.[7] ეს ტერიტორიები მოქცეული იყო საკმაოდ სუსტი ერთეულების, ყარსის, ანისისა და ერზრუმის საემიროების ხელში, რომლებიც საკუთარი ძალებით ვერ დაუპირისპირდებოდნენ საქართველოს უკვე ძალიან ძლიერ სამეფოს, მაგრამ ამ ტერიტორიებზე პრეტენზიებს ისეთი ძლიერი ერთეულებიც აცხადებდნენ, როგორიც იყვნენ ხლათისა და დანიშმენდიდების საემიროები (ეს უკანასკნელი მოგვიანებით რუმის სასულთნომ შეცვალა), რომლებთანაც სამხედრო დაპირისპირება ამ მაგისტრალების ხელში ჩაგდების მცდელობისას, გარდაუვალი იქნებოდა.[8] სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერიასთან მოგებული ომისა და სულთან მაჰმუდთან დადებული ხელსაყრელი ზავის შემდეგ, დავით აღმაშენებელს შეეძლო მთელი თავისი ყურადღება აქეთ გადაეტანა და აუცილე-



სურ. 37. ა. პუკი. ციხე-სიმაგრის ალყა

ბლობის შემთხვევაში, მთელი თავისი სამხედრო რესურსები ამ საემიროების წინააღმდეგ გადაესროლა, რის გამოც მან ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დაინყო სამხედრო მოქმედებები.

ამ მიმართულებით, პირველ სამხედრო ოპერაციას წარმოადგენდა ლაშქრობა ტაოში სპერამდის, რომელიც დავითის მემატიანის მიხედვით, მიზნად მომთაბარე თურქმენების განადგურებას ისახავდა.[9] მომთაბარეების განადგურება სავსებით ლოგიკური ამოცანა იქნებოდა, მაგრამ დავით აღმაშენებელს სხვა ამოცანებიც უნდა ჰქონოდა დასახული. დავითის მემატიანე მიუთითებს, რომ ქართულმა არმიამ გადაწვა ოლთისი,[10] რაც არაფრით ჯდება მომთაბარეებთან ბრძოლის კონტექსტში. იმ დროისთვის ოლთისი საკმაოდ მოზრდილი, კარგად გამაგრებული ქალაქი იყო, რომლის მომთაბარეთა ხელში ყოფნაც გამორიცხულია. ასე რომ, აშკარა უნდა იყოს, რომ ამ ლაშქრობით დავით აღმაშენებელმა დარტმა მიაყენა ის მუსლიმურ საემიროს (სავარაუდოდ ყარსს), რომლის ხელშიც 1124 წლისთვის ეს ქალაქი უნდა ყოფილიყო.[11] შესაძლებელია ეს ლაშქრობა ანისის აღების წინ წარმოადგენდა ერთგვარ დაზვერვით ოპერაციასა და ძალების მოსინჯვას მოწინააღმდეგის შესაძლო რეაქციის შესწავლის მიზნით. ყველა შემთხვევაში ლაშქრობის შედეგები იყო დამაკმაყოფილებელი და მას დაუყოვნებლივ მოჰყვა ანისის აღების ოპერაცია (რომელსაც დავითის მემატიანე, მართალია, საკმაოდ დაუჯერებელ კონტექსტში გადმოგვცემს,[12] მაგრამ მომხდარ ფაქტს სწორად ასახავს), რითაც დავით აღმაშენებელმა დაიწყო ახალი გრანდიოზული გეგმის განხორციელება, რომლის შემდეგი ეტაპებიც, აშკარად ყარსი, დვინი და ალბათ ერზრუმი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საქართველოს მეფის გარდაცვალების გამო ეს გეგმა ვერ განხორციელდა.

თავისი განუხორციელებელი სტრატეგიული გეგმა დავით აღმაშენებელმა ერთგვარ მემკვიდრეობად დაუტოვა თავის შთამომავლებს, რომლებმაც მისი განხორციელება თამარის მეფობამდის (ე. ი. ორი თაობის განმავლობაში) ვერ შეძლეს. დემეტრეს მეფობის დასაწყისში არათუ ყარსი ან დვინი შემოუერთდა საქართველოს, არამედ ანისიც დაიკარგა.[13] გიორგი III ხანგრძლივ, გარდამავალი წარმატების მქონე ბრძოლას აწარმოებდა ამ გეგმის რეალიზებისთვის და მიუხედავად დიდი მონდომებისა და შეუპოვრობისა, მისი სრული სახით განხორციელება მაინც ვერ შეძლო.[14] საბოლოოდ აღნიშნული გეგმის რეალიზება მოხდა თამარის მეფობაში, როდესაც ბასიანის 1202 წლის ბრძოლაში[15] მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად,[16] ყარსის, ანისისა და დვინის რეგიონები მყარად აღმოჩნდნენ საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში.[17] მთელი დამაჯერებლობით შეიძლება იმის ვარაუდი, რომ დავით აღმაშენებლის სტრატეგიული გეგმის რეალიზება ყარსი-ანისი-დვინის რეგიონებზე ჰეგემონიის დამყარებისა, გახდა საფუძველი თამარ მეფის იმ ამბიციური, „მსოფლიო პოლიტიკის" მნიშვნელობის პროექტისა, რომელიც კონსტანტინოპოლის ტახტზე კომნენოსების დინასტიის რესტავრაციასა და ბიზანტიის იმპერიაზე საქართველოს სამეფოს გავლენის დამყარებას ისახავდა მიზნად და რომელსაც გარემოებათა მოულოდნელი დამთხვევების წყალობით, მხოლოდ ტრაპიზონის იმპერიის შექმნა მოჰყვა შედეგად.

თავი X

ქართული სამხედრო ხელოვნება დავით აღმაშენებლის ხანაში

სამხედრო რეფორმა

ძალიან ცოტა იბადება მამაცად,
უმრავლესობა ასეთი ხდება
დისციპლინის ძალით.

ვეგეციუსი.

სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოს ერთიანობის აღდგენა, ამიერკავკასიის უძლიერეს სახელმწიფოდ ქცევა, მრავალრიცხოვანი ბრძოლების მოგება და ხანგრძლივი სამხედრო კამპანიების წარმოება შეუძლებელი იყო ძლიერი სამხედრო ძალის გარეშე. დავით აღმაშენებლის მიერ დასახული ამოცანების რეალიზება საჭიროებდა ბრძოლისუნარიან არმიას, რომელსაც შეეძლებოდა პოლიტიკური მიზნების სამხედრო უზრუნველყოფა.

დავით აღმაშენებლის გამეფების პერიოდში ქართული არმია განადგურებული და დემორალიზებული, ხოლო სამხედრო ორგანიზაცია და ლაშქრის შეკრების სისტემა მოშლილი იყო. მეფობის საწყის ეტაპზე შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ მცირე სამხედრო რაზმების შეგროვება, რაც, რასაკვირველია, დავით აღმაშენებლის მასშტაბური გეგმების უზრუნველსაყოფად არ იყო საკმარისი. ამდენად, საქართველოს მეფის წინაშე ტახტზე ასვლისთანავე იდგა ამოცანა სამხედრო ორგანიზაციისა და ლაშქრის შეკრების სისტემის აღდგენისა, რისი განხორციელებაც სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზების გარეშე შეუძლებელი იყო.

იმ პირობებში, როდესაც ძლიერ ფეოდალებს სამეფოს შიგნით შეეძლოთ ეწარმოებინათ ავტონომიური პოლიტიკა და არ დამორჩილებოდნენ მეფის ხელისუფლებას, როგორც ამას აკეთებდა, მაგალითად, ბაღვაშების საგვარეულო, იმას ნიშნავდა, რომ მეომართა ის რაოდენობა, რომლებიც ცხოვრობდნენ ასეთ ფეოდალთა სამმართველო ტერიტორიებზე, მიუწვდომელი და გამოუყენებელნი რჩებოდნენ სახელმწიფოსთვის და ხშირად მის წინააღმდეგაც მოქმედებდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ საერისთაოთა ტერიტორიულ მასშტაბებს, თუნდაც მხოლოდ ბაღვაშთა სამფლობელოების მაგალითზე, ცხადი გახდება, თუ რა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა რჩებოდა გამოუყენებელი საერთო საქვეყნო ინტერესების გარეთ.[1]

შუასაუკუნეების სამხედრო ორგანიზაციის უმთავრესი ელემენტის, ფეოდალური ლაშქრის გაწვევის სისტემის ფუნქციონირება მთლიანად იყო დამოკიდებული მეფის (ცენტრალურ) და ფეოდალების (რეგიონალურ) ხელისუფლებებს შორის მოწესრიგებულ ურთიერთობებზე. რამდენად ეფექტურადაც იყო ეს ურთიერთობები დარეგულირებული, იმდენად ეფექტურად ხდებოდა ფეოდალური ლაშქრის ორგანიზებაც. აქედან გამომდინარე, დავით აღმაშენებელის მიერ ცენტრალური ხელისუფლების გასაძლიერებლად გატარებული ის მასშტაბური ღონისძიებები (ფეოდალური სეპარატიზმის აღკვეთა, საეკლესიო რეფორმა, სახელმწიფო მმართველობის აპარატის სრულყოფა), რასაც ადგილი ჰქონდა მისი მეფობის პირველ პერიოდში, სამხედრო რეფორმის მნიშვნელოვან ნაწილადაც შეგვიძლია განვიხილოთ.[2] ანუ ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელმა გააუქმა ბაღვაშების საერისთაო და სხვა ფეოდალებიც მტკიცედ დაუქვემდებარა ცენტრალურ ხელისუფლებას,

იმასაც ნიშნავდა, რომ ამ ღონისძიებების შედეგად სამეფოს არმიაში ფეოდალური ლაშქრის გაწვევის დროს მეომართა რიცხვიც მკვეთრად გაიზრდებოდა და ლაშქრის ორგანიზებაც სტაბილურ და საიმედო მექანიზმად ჩამოყალიბდებოდა.

რასაკვირველია, გაწვევის სისტემის აღდგენა სამხედრო რეფორმის მხოლოდ ერთი ნაწილი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამასთან, მეომართა რაოდენობის გაზრდა თავისთავად არ ნიშნავდა არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. ამის მიღწევისთვის საჭირო იყო მთელი რიგი სხვა ღონისძიებების (არმიის იერარქიული სისტემის სრულყოფა, სამხედრო რაზმების ფორმირება შეიარაღებისა და ტაქტიკური დანიშნულების მიხედვით, მომარაგებისა და უზრუნველყოფის მოწესრიგება, დისციპლინის დამყარება და ა.შ.) გატარებაც, რომელთა შესახებ, სამწუხაროდ, თითქმის არავითარი წერილობითი ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ იმ მწირი მითითებებითაც კი, რასაც დავით აღმაშენებლის მემატიანე იძლევა („ლაშქრობათა მეცადინობანი," „მხედართა განწესებანი," „სპათა დაწყობანი" და ა. შ.)[3] და ომებში მიღწეული შედეგებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მეფეს არმიის სამხედრო-ორგანიზაციული რეფორმა წარმატებით ჩაუტარებია.

დავით აღმაშენებლს ყველა ეს ღონისძიება, მეფობის პირველ ათ წელიწადში, 1099 წლამდე უნდა განეხორციელებინა, სხვა შემთხვევაში, იმ აქტიური პოლიტიკის (1099 წ. ხარკის შეწყვეტა. 1103 წ. ბრძოლის დაწყება მომთაბარეების წინააღმდეგ. 1104 წ. კახეთის შემოერთება) გატარება, რომელიც საქართველოს მეფემ 1099 წლიდან დაიწყო, შეუძლებელი გახდებოდა.

ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად სამხედრო რეფორმების კონტექსტში უნდა განვიხილოთ აგრეთვე ის გრანდიოზული სამშენებლო სამუშაოები, რაც დავით აღმაშენებელმა ჩაატარა სატრანსპორტო კომუნიკაციების გასაუმჯობესებლად. მისი მემატიანის მიხედვით, მან „რაოდენნი ხიდნი (აღაშენა) მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილ ყვნა," რის შემდეგაც არმიის გადაადგილების სისწრაფე ისე გაზრდილა, რომ „თვისთა სამეფოთასა სიმრავლითა სპათათა და სიმალითა სლვისათა ვერ ადვილად მიემთხუეოდიან მოჩივარნი და დაჭირებულნი და მიმძლავრებულნი."[4]

გამართული საგზაო კომუნიკაციების ქსელის არსებობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო არმიის მობილურობისა და, შესაბამისად, სამხედრო წარმატებების მისაღწევად. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც აუცილებელი იყო სამეფოს ტერიტორიებიდან მომთაბარეთა ტომების განდევნა და მომთაბარეობის, როგორც მოვლენის, მოსპობა. შეიძლება მთელი დაბეჯითებით ითქვას, რომ შესაბამისი კომუნიკაციების არარსებობის პირობებში მომთაბარეთა პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი იქნებოდა.

მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლა თხოულობდა აგრეთვე მცირე რაოდენობის, მაგრამ მაღალი მობილურობის მქონე სამხედრო რაზმების არსებობას. როგორც იყო აღნიშნული, მომთაბარეთა ცალკეულ ტომებს, რომელთა სადგომებსაც თანმიმდევრულად ანადგურებდა დავით აღმაშენებელი მთელი თავისი მეფობის მანძილზე, არ ჰყავდათ ისე დიდი რაოდენობის მეომრები, რომ მათ წინააღმდეგ ფეოდალური გაწვევის სისტემას ემოქმედა. ასეთი მეთოდი, თავად სამეფოსთვის იქნებოდა ნამგებიანი. ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციის შიგნით საჭირო იყო მობილური რაზმების სისტემის შექმნა, რომელთა იარაღის ქვეშ დაყენებაც ხშირად და სწრაფად იქნებოდა შესაძლებელი განსხვავებით ფეოდალური ლაშქრისგან, რომლის შეკრებას დროც და რესურსებიც მეტი დასჭირდებოდა. ამასთან, დიდი

ზომის არმია შედარებით მოუქნელი (და შესაბამისად არაეფექტური) იქნებოდა მომთაბარეთა სამხედრო რაზმების წინააღმდეგ.

ჩვენთვის უცნობია, თუ როგორი ორგანიზაციული ფორმით გადაჭრა დავით აღმაშენებელმა ეს პრობლემა (შესაძლებელია, მან შექმნა გარკვეული რეგიონალური რეაგირების სისტემა, როდესაც მცირერიცხოვანი მობილური რაზმების ფორმირება რეგიონებს დაევალებოდათ მომთაბარეთა მიგრირების ტერიტორიების მიხედვით), მაგრამ მან იგი რომ მოაგვარა, ეს ფაქტი უნდა იყოს. სხვაგვარად აბსოლუტურად შეუძლებელი იქნებოდა იმ ელვისებური რეიდების განხორციელება, რომელსაც საქართველოს მეფე თითქმის ყოველწლიურად ასრულებდა სამეფოს სხვადასხვა კუთხესა და მიმდებარე რეგიონებში. ფეოდალურ არმიას მეომართა დიდი რაოდენობის, შეკრების დიდი დროისა და დიდი აღალის თან ტარების აუცილებლობის პირობებში ასეთი ამოცანების შესრულება არ შეეძლო.

დადგენილ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ XII საუკუნის დასაწყისისთვის, დავით აღმაშენებელმა სამხედრო სფეროს რეფორმირებით აშკარად მიაღწია ორ დიდ შედეგს: მას შეეძლო მობილური (მცირე სიდიდის) სამხედრო რაზმების ინტენსიური გამოყენება დროის ხანგრძლივ მონაკვეთში, რაც აუცილებელი პირობა იყო მომთაბარეების წინააღმდეგ საბრძოლველად და შეეძლო მასშტაბური ფეოდალური ლაშქრის ორგანიზება მსხვილი საომარი კამპანიების ჩასატარებლად, ისეთის როგორიც იყო, მაგალითად, კახეთის შემოერთება.

აქ, ალბათ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამხედრო სფეროს ათწლიანი რეფორმირების შედეგად დავით აღმაშენებელმა მოახერხა არამარტო სამხედრო ორგანიზაციის მოშლილი სისტემის (ფეოდალური ლაშქრის გაწვევის) აღდგენა, არამედ მისი გაუმჯობესებაც და სამხედრო ორგანიზაციაში სიახლის, მცირერიცხოვანი მობილური რაზმების გამოყენების ელემენტის შემოტანაც, რომელთა მეშვეობითაც იგი ყივჩაღების გადმოყვანამდე ებრძოდა მომთაბარეობას.

ფეოდალური ლაშქრის გაწვევის აღდგენა და მობილური სამხედრო რაზმების ფორმირება საგზაო-სატრანსპორტო კომუნიკაციების სისტემის გაუმჯობესებასთან ერთად სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმ ამოცანების გადასაჭრელად (კახეთის შემოერთებისა და მომთაბარეთა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის დაწყებისთვის), რაც დავით აღმაშენებლის წინ იდგა XII საუკუნის დასაწყისში, მაგრამ სელჯუკებთან დიდი ომის წარმოებისა და მომთაბარეობის ბოლომდე მოსპობის აუცილებლობის პირობებში ეს საკმარისი აღარ იყო და სამხედრო ორგანიზაცია ახალ ნოვაციებსა და სრულყოფას საჭიროებდა.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, სელჯუკური არმიის მაღალ ბრძოლისუნარიანობას მისი მაღალი მობილურობა განაპირობებდა, რაც მიღწეული იყო მსუბუქი ცხენოსანი მოისრეებისა და მძიმე შუბოსანი კავალერიის ურთიერთმოქმედების უნარით. ქრისტიანული არმიები, რომელთა ბრძოლისუნარიანობაც ძირითადად დამყარებული იყო მძიმე ცხენოსნების მასირებულ შეტევაზე, მობილურობითა და დისტანციური ბრძოლის წარმოების შესაძლებლობით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ სელჯუკთა არმიებს, რაც ამ უკანასკნელთა სამხედრო წარმატებების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

ქართული სამხედრო ხელოვნება ყალიბდებოდა იმ ქვეყნებთან ურთიერთობებში, რომლებთანაც მას უწევდა ომების წარმოება და დამოკიდებულების სამხ-

ედრო გზით გარკვევა. შესაბამისად, საქართველოში მკვიდრდებოდა სამხედრო ტაქტიკისა და ბრძოლის წარმოების ის მეთოდები, რომელთა გამოყენებაც ამ ქვეყნების არმიებთან საბრძოლველად იყო საჭირო. სელჯუკთა სამხედრო ტაქტიკა და ბრძოლის წარმოების მეთოდები, როგორც უკვე იყო აღნიშნული, საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნებისთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა, შესაბამისად, გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ სელჯუკთა ტაქტიკური უპირატესობა, აუცილებლად განეიტრალებულიყო. ამის განხორციელებას კი სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა გზით შეეცადნენ.[5]

მობილური ტაქტიკისა და დისტანციური ბრძოლის მეთოდის წინააღმდეგ, საქართველოს სამეფო უკვე XII საუკუნის დასაწყისში დააგროვებდა საკმაო გამოცდილებას, როდესაც დავით აღმაშენებელი სისტემატიურ ბრძოლებს ანარმოებდა მომთაბარეების (ე.ი. მსუბუქი ცხენოსანი მოისრეების) წინააღმდეგ, მაგრამ ერთი იყო მომთაბარეთა პატარა სამხედრო რაზმებთან ბრძოლა და მეორე — სელჯუკთა ფეოდალურ არმიასთან დაპირისპირება.

მომთაბარეთა ცალკეულ ტომებს არ ჰყავდათ მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტები, მათი რაზმები რამდენიმე ასეული მეომრისგან შედგებოდა და ძალიან იშვიათად შეიძლებოდა მიეღწია რამდენიმე ათასისთვის. ისინი ძირითადად მოქმედებდნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებელ პატარა მობილურ ჯგუფებად, რაც მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ასევე მობილურ, არცთუ მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალის არსებობას საჭიროებდა. მომთაბარეები ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ პირისპირ შეხვედრა ორგანიზებულ სამხედრო დანაყოფებთან და სათარეშო რეიდები დაუცველ ტერიტორიებზე განეხორციელებინათ, რაც მათთან ბრძოლას, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, მომქანცველ და სპეციფიკურ ხასიათს ანიჭებდა.

განსხვავებული სურათი იყო სელჯუკური არმიების შემთხვევაში, რომელთა რიგებშიც მსუბუქი ცხენოსნების რანგში კონცენტრირებული მრავალრიცხოვანი მომთაბარე მეომრები, მძიმე ცხენოსნებთან (გულიამებთან) ერთად ქმნიდნენ იმ ბრძოლისუნარიან ძალას, რომელიც ტაქტიკური უპირატესობის პირობებში თავად ეძებდა შეხვედრას მონინააღმდეგესთან და, როგორც წესი, მასშტაბურ საბრძოლო ოპერაციებს ატარებდა. სელჯუკებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ მობილურობასა და დისტანციური ბრძოლის უნარში და ბრძოლის წარმოების ის მეთოდები, რასაც არსებული შეიარაღებისა და ტაქტიკის ბაზაზე იყენებდა ქართული არმია, აშკარად არასაკმარისი და არაეფექტური იყო მათი უპირატესობის გასანეიტრალებლად.[6] ასეთ სამხედრო ძალასთან საბრძოლველად საჭირო იყო ისეთი სიახლეები, რაც ამ უპირატესობებს გაანეიტრალებდა და მათთან ბრძოლას ეფექტურს გახდიდა. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით დავით აღმაშენებელმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა,[7] რის შედეგადაც მისი მეფობის პირველ ნახევარში, ქართული არმია უკვე თამამად უპირისპირებოდა სელჯუკებს საქართველოს ტერიტორიებზე (ე.ი. მთაგორიან რელიეფზე) და დიდ სამხედრო წარმატებებსაც აღწევდა, რისი საუკეთესო არგუმენტიც თრიალეთისა და დიდგორის ბრძოლებია. მაგრამ ის ცვლილებები, რაც საკმარისი იყო მთიან რელიეფში წარმატების მისაღწევად, ვერ უზრუნველყოფდა ბრძოლის ეფექტურობას გაშლილ რელიეფზე, რომელიც სელჯუკთა მსუბუქი ცხენოსნებისთვის იდეალურ საბრძოლო არეალს წარმოადგენდა. ამ განსხვავების გასანეიტრალებლად საჭირო იყო არაორდინალური ცვლილებები არმიის შემადგენლობასა და შეიარაღებაში, რადაც იქცა ყივ-

ჩაღთა სამხედრო რაზმების გადმოყვანა და მათი ჩართვა ქართული ფეოდალური არმიის შემადგენლობასა და ტაქტიკურ სქემაში, როგორც სამხედრო ორგანიზაციის ორგანული სამხედრო ელემენტი.

უკვე არაერთგზის იყო აღნიშნული, რომ ყივჩაღთა მსუბუქი ცხენოსანი რაზმების ფეოდალური არმიის სამხედრო ორგანიზაციაში ჩართვით დავით აღმაშენებელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა (მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლის, სასაზღვრო რეგიონების დაცვის, მეზობელი მტრული ერთეულების წინააღმდეგ ეფექტური სამხედრო ძალის შექმნის და ა.შ.) ერთდროულად გადაჭრა, რომელთაგანაც ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქართული არმიის მობილურობისა და დისტანციური ბრძოლის უნარის ამაღლება, რითაც ქართული არმია საბრძოლო-ტაქტიკური შესაძლებლობებით გაუთანაბრდა (და შესაძლოა გადააჭარბა კიდეც) სელჯუკური არმიების ბრძოლისუნარიანობას, რისი პირდაპირი შედეგიც იყო დავით აღმაშენებლის ღია დაპირისპირება სელჯუკი სულთნის მაჰმუდის არმიასთან შირვანის გაშლილ ტერიტორიებზე 1123 წლის მაისში. ყივჩაღთა მობილური, მსუბუქი ცხენოსანი რაზმების ელემენტის შემოტანით ქართული არმია იძენდა უნარს ნებისმიერ პირობებში ებრძოლა თავის სელჯუკ მოწინააღმდეგეებთან და შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ შირვანის ლაშქრობისას ქართული არმიის რიგებში სწორედ ყივჩაღები იყვნენ დიდი რაოდენობით წარმოდგენილნი. იგივე სურათი იყო უფრო ადრე, ბარდავში განხორციელებული რეიდისას, სადაც არმია, აშკარად, ასევე ყივჩაღი მეომრებით იყო ძირითადად დაკომპლექტებული.

განხილულიდან გამომდინარე, არ უნდა შევცდეთ იმ დასკვნაში, რომ ყივჩაღთა საქართველოში ჩამოყვანა და ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციის სისტემაში ჩართვა (და არა მუდმივი ჯარის შექმნა) იყო დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული სამხედრო რეფორმის ბოლო მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მეფემ შეძლო მის წინაშე არსებული სამხედრო ხასიათის ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული სამხედრო რეფორმა არ იყო რაიმე ერთჯერადი აქტი. იგი ხორციელდებოდა დროის დინამიკაში წარმოქმნილი ამოცანებისა და კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

შეიარაღება, მეომრები, არმია და ბრძოლის წარმოების მეთოდები

ომი სახელმწიფოსთვის უდიდესი
საქმეა, ეს არის სიცოცხლისა
და სიკვდილის საფუძველი,
არსებობისა და დაღუპვის გზა.
სუნ-ძი.

შუასაუკუნეების ქართული საბრძოლო შეიარაღების, ალბათ, ყველაზე სრულ ჩამონათვალს იძლევა გიორგი ბრწყინვალეს დროინდელი „ხელმწიფის კარის გარიგება," სადაც 10-ე ქვეთავში (ამირსპასალარის სახელო) მოცემულია შეიარაღების კომპლექტი: „ერთის ტანსაცმელის აბჯრის მეტი, სხვაი ყველა აბჯარი, რაზომიცა თანა აქვს: ჯაჭვი, მუზარადი, ხმალი, ქაფა,[1] საბარკული, მშვილდ-კარ-

პაჭი, ლახტი, შუბი, სრულიად ყოველივე უნაგირი მოჭედილი და ხამი, აკაზმულობა, რაც ზედ აბია, და რაც საცხენე ჯავშანი, მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელსაბამი მოჭედილი, კანჯრის კუდი და ამისთანა ყველა, დიდი დროშა, დაბარჩამნი ორნი თავგარდაჭედილნი, ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბი სეფე ალმითა, ესე ყოველნი მნათობნი, მოჭედილნი ვერცხლითა და სპილენძიანი."[2]

ჩამონათვალში აშკარად თვალში საცემია ფარის მოუხსენიებლობა, რომელიც იმდროინდელი შეიარაღების აუცილებელი ელემენტი იყო, თუმცა სხვა ისტორიული წყარო (XIII საუკუნის „წესი და განგება მეფეთ კურთხევისა"), რომელიც ასევე იძლევა საბრძოლო შეიარაღების ჩამონათვალს, ფარს ასახელებს შუბის, ხმლისა და ლახტის გვერდით.[3]

ამ ორი ჩამონათვალის ურთიერთშეჯერებით ფაქტიურად ვიღებთ შუასაუკუნეების დროინდელი ქართველი მძიმე ცხენოსნის საბრძოლო შეიარაღების სრულ კომპლექტს, საიდანაც უნდა ამოვიღოთ მშვილდ-ისარი, როგორც მძიმე შეიარაღებასთან შეუთავსებელი საბრძოლო ელემენტი.[4] აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართველი მძიმე ცხენოსნის აღჭურვილობა შემდეგ სახეს მიიღებს: მძიმე ცხენოსანი დაცული იყო მუზარადით, ჯაჭვის პერანგით (სამხრეულებთან და საბარკულებთან ერთად) და ფარით. საბრძოლო იარაღს კი შეადგენდა, შუბი, ხმალი და ლახტი (სურ. 38-39.).[5]

სურ. 38. ნმ. გიორგი საბრძოლო კომპლექტით, საკაოს ხატი, XI ს. მინურული

რაც შეეხება ცხენებს, როგორც ჩანს, მათ დასაცავად ლითონის ჯავშანი არ გამოიყენებოდა, ხოლო „ხელმწიფის კარის გარიგებაში დასახელებული „საცხენე ჯავშანი," (მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელსაბამი მოჭედილი, კანჯრის კუდი) უფრო აკაზმულობის გასალამაზებელი დეტალები იყო, ვიდრე დამცავი ელემენტები.

შუასაუკუნეების ქართველი მძიმე ცხენოსნის (ასევე ქვეითის) შეიარაღებასა და გარეგნულ იერ-სახეზე, საკმაოდ ნათელ წარმოდგენას იძლევა წმინდა მეომრების გამოსახულებები, X—XIII საუკუნეების ქართულ ჭედურ და ფერწერულ ხატებსა და ფრესკებზე გამოსახული, რომლებიც, ბუნებრივია, ეპოქის სტილსა და შინაარს გამოხატავენ (ტაბ. IV; სურ. 38-39.).[6] ამ გამოსახულებების მიხედვით ქართველი

მეომრები ხმარობდნენ ორი ტიპის ჯავშანს, ლითონის ფირფიტებისგან შედგენილ ე.წ. ქერცლისებურ ჯავშანს და ლითონის რგოლებისგან „ნაქსოვ" ჯაჭვის პერანგს. ორივე სახეობა წარმოდგენილია ორ, გრძელ და მოკლე ვარიანტში. მოკლე ჯავშანი, ფარავდა გულ-მკერდსა და ზურგს მენჯამდე, ხოლო გრძელი ჩადიოდა თითქმის მუხლებამდე (სურ. 39, 41.).[7]

სურ. 39. ნმ. გიორგი სრული საბრძოლო კომპლექტით, 1010-1020 წწ. ერმიტაჟში დაცული ქართული ხატი

მუზარადის ძირითად ტიპს, როგორც ჩანს, ე.წ. კონუსისებური მუზარადი წარმოადგენდა (ტაბ. III), რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ მსოფლიოში (დასავლეთ ევროპაში, ბიზანტიაში, ისლამურ სამყაროში). ამ ტიპის მუზარადების უპირატესობას ის წარმოადგენდა, რომ იგი ისხლეტდა მასზე მოხვედრილ იარაღს და დაცვის საკმაოდ საიმედო საშუალება იყო.[8]

თითქმის ყველა შემთხვევაში, დამცავი საჭურვლის აუცილებელი ატრიბუტია ფარი, რომელიც სხვადასხვა გამოსახულებებზე ფორმათა საკმაო მრავალფეროვნებას ამჟღავნებს. იკვეთება ოთხი ძირითადი სახეობა: დიდი ზომის ნახევრად ოვალური (ე.ნ. ნორმანდიული), საშუალო ზომის ოვალური, დიდი და საშუალო ზომის მრგვალი ფარები(სურ. 39-41.).[9]

X—XIII საუკუნეების საკმაოდ მრავალრიცხოვან გამოსახულებებში, უპირატესად წარმოდგენილია „ხმლის" ერთი ზოგადი ტიპი, დიდი ზომის, ორპირა საჩეხი მახვილი, რომლის შემორჩენილი ეგზემპლარების (ტაბ. III) მიხედვით, იგი საკმაოდ მძიმე, მასიური და ძლიერი იარაღი ყოფილა.[10] გრძელი, ორპირა მახვილებით არიან შეიარაღებულნი აგრეთვე საქართველოს მეფეები, დემეტრე და ლაშა-გიორგი, მაცხვარიშის, ბეთანიისა და ბერთუბნის ფრესკებზე.[11]

ხატებსა და ფრესკებზე გამოსახული წმინდა მეომრების ძირითადი საბრძოლო იარაღი შუბია, რაც სავსებით შეეფერება იმდროინდელი შეიარაღების ხასიათს, სადაც შუბი, როგორც მძიმე ცხენოსნების, ასევე მძიმე ქვეითების ძირითად საბრძოლო საშუალებას წარმოადგენდა (სურ. 39, 41).

გამოსახულებებზე არც ერთ შემთხვევაში არ ჩანს ლახტის მსგავსი იარაღი და ცხენის დამცავი აღჭურვილობა. ლახტის არარსებობა ადვილი ასახსნელი უნდა იყოს, რადგან ამ იარაღს მახვილთან და შუბთან შედარებით, მაინც მეორადი დანიშნულება გააჩნდა და ამასთან მეომრები მას ძირითადად არა სხეულზე, არამედ ცხენის აკაზმულობაზე დამაგრებულს ატარებდნენ, რის გამოც ლახტის გამოსახვა ხატებსა და ფრესკებზე, ერთგვარად „არაკომპოზიციური" უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება ცხენის დამცავ საჭურველს, ის, როგორც ჩანს, არ გამოიყენებოდა და ამიტომ არც გამოსახულებებში ხვდებოდა.



სურ. 40. „ნორმანდიული“ ტიპის ფარის გამოსახულება ბოჭორმის ხატიდან. XI ს. დასაწყისი

მართალია, ლახტი გამოსახულებებში არ გვხვდება, მაგრამ ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმში დაცულია დმანისში მოპოვებული შესანიშნავი ეგზემპლარი, რომელიც ე.წ. ზოომორფული ლახტისთავების ტიპს მიეკუთვნება და პანტერას მსგავსი ცხოველის თავის გამოსახულებას წარმოადგენს (ტაბ. III). ზოომორფულთავიანი ლახტი ტიპიური სელჯუკური იარაღი იყო (სურ. 45.) და მას წარჩინებული, მაღალი სოციალური სტატუსის მქონე მეომრები ატარებდნენ, რითაც ასეთი ლახტი ერთგვარ „სამეთაურო“ იარაღის ტიპს წარმოადგენდა.[12]

ამგვარად, წერილობითი წყაროების ცნობების, ისტორიული პორტრეტებისა და არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით, ქართველი მძიმე ცხენოსნის შეიარაღება შემდეგნაირად გამოიყურებოდა. მხედარი დაცული იყო კონუსისებური მუზარადით, გრძელი ან მოკლე ფირფიტოვანი ჯავშნით ან ჯაჭვის პერანგითა და ფარით. შეტევით საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა შუბი (საძგერებელი), მახვილი (საჩეხი) და ლახტი (სახეთქი). სამივე სახეობის იარაღის ბრძოლაში გამოყენება შესაძლებელი იყო ფართან ერთად, რაც მძიმე ცხენოსანს მაღალ ბრძოლისუნარიანობას ანიჭებდა.

შეიარაღების ხასიათითა და საჭურვლის „სიმძიმით,“ ქართველი მძიმე ცხენოსანი საგრძნობლად განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპელი რაინდისგან და მსგავსებას უფრო აღმოსავლური სახელმწიფოების ანალოგიური კატეგორიის მეომრებთან, ბიზანტიელ მძიმე ცხენოსნებთან და სელჯუკ გულიამებთან პოულობდა, რაც, ალბათ, სავსებით ბუნებრივია იმის გათვალისწინებით, რომ საუკუნეთა განმავლობაში ქართველი მძიმე ცხენოსნების შეიარაღების ფორმირება სწორედ აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობებში ხდებოდა.[13]



სურ. 41. ქვეითი მეომრის გამოსახულება ჩუკულის ეკლესიის ხის კარზე, XI ს.

მძიმე ცხენოსნები შუასაუკუნეების ქართული არმიის წამყვან ძალას წარმოადგენდნენ. წერილობითი წყაროების სხვადასხვა (პირდაპირი თუ ირიბი) ცნობები გარკვევით აჩვენებენ, რომ მეომართა ძირითადი მასა სწორედ ამ ტიპის ცხენოსნები იყო. თუმცა არმიაში ცხენოსანთა სხვა სახეობებიც შედიოდნენ.

პირველ რიგში ეს იყო მსუბუქ ცხენოსან მოისართა რაზმები, რომელთა გამოყენებასაც ალანების სახით დავით აღმაშენებლამდე ეპიზოდური სახე ჰქონდა, ხოლო დავით აღმაშენებლის ეპოქაში სისტემა-

ტიური ხასიათი მიიღო ყივჩაღების გამოჩენით. როგორც უკვე არაერთგზის იყო აღნიშნული, არმიის შემადგენლობაში ამ სახეობის რაზმების გამოჩენა განაპირობა მომთაბარეობის პრობლემამ და სელჯუკთა იმპერიასთან სამხედრო დაპირისპირების აუცილებლობამ.[14]



სურ. 42. მშვილდოსნები. ჯრუჭის ოთხთავის მინიატურა

გარდა ცხენოსანი მოისრეებისა, ქართულ არმიაში შეგვიძლია ვივარაუდოთ მსუბუქი ცხენოსნების მეორე კატეგორიის, ხელშუბოსნების დანაყოფების არსებობაც. ყოველ შემთხვევაში, წერილობით წყაროებში ჰოროლის (ხელშუბის) საკმაოდ ხშირი მოხსენიება და არქეოლოგიურ მასალებში მათი ფიგურირება (ტაბ. III),[15] ამის საფუძველს უნდა იძლეოდეს. ამ კატეგორიის მსუბუქი ცხენოსნების ძირითადი შეიარაღება ხელშუბი და მახვილი უნდა ყოფილიყო.

არმიის გარკვეული ნაწილი შედგებოდა ქვეითი მეომრებისგან, სადაც ორი ძირითადი სახეობის, შუბოსნებისა და მოისრეების გამოყოფაა შესაძლებელი. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ქართული არმიის შემადგენლობაში (ბაგრატ IV-ს დროს) შაქელ (კახელ) ქვეითებს, როგორც არმიის ყველაზე ბრძოლისუნარიან ძალას ფრანკ მოქირავნეებთან ერთად მიუთითებდა ალ-ჰუსაინი.[16] როგორც ჩანს, ქვეით მეომართა ძირითადი ნაწილი შუბოსნები უნდა ყოფილიყვნენ. მაგალითად, „ხელმწიფის კარის გარიგება" ასახელებს მეფის თანმხლებ 700 შუბოსანს.[17] შუბოსნებს იხსენიებს აგრეთვე „ძეგლი ერისთავთაც".[18] თამარის პირველი ისტორიკოსი იხსენიებს წათს, რომელიც ალებარდის მსგავსი იარაღია და მისი გამოყენება მხოლოდ ქვეით მეომარს შეეძლო.[19] ქვეითი შუბოსნების სპეციალურ სახეობათა არსებობა სავსებით ლოგიკური და გამართლებული უნდა ყოფილიყო, რადგან საქართველოს სამეფოს სამხედრო დაპირისპირება ძირითადად უხდებოდა ცხენოსან არმიებთან, რომელთა წინააღმდეგაც მთაგორიან რელიეფში, ქვეითი შუბოსნები განსაკუთრებით ეფექტურები იყვნენ,[20] ისევე როგორც ქვეითი მოისრეები, რომელთა ცალკე სახეობადაც არსებობა, როგორც



სურ. 43. მშვილდოსნები. XI ს. იკვის ნმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა

წერილობითი წყაროებიდან, სხვადასხვა გამოსახულებებიდან (სურ. 42-43) და ისრისპირების აღმოჩენების მრავალი შემთხვევიდან (ტაბ. III) აშკარად იკვეთება.[21] აღნიშნულის შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ არმიაში შემავალი ქვეითი მეომრები ორ ძირითად ნაწილად, მძიმე შუბოსნებად (სურ. 41.) და მსუბუქ მოისრეებად (სურ. 42-43) იყოფოდნენ.

არავითარი ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს საინჟინრო ნაწილების არსებობის შესახებაც, რომელთა გარეშეც ციხე-სიმაგრეთა ალყა და შტურმი, უბრალოდ, შეუძლებელი იქნებოდა. ქართული წერილობითი წყაროები ძალიან ხშირად მიუთითებენ საალყო მანქანის (სურ. 44.), ფილაკავანის გამოყენების შემთხვევებს, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა „ზღუდეების დალეწვა."[22] სამწუხაროდ, ფილაკავანის აღწერილობა, ან ჩანახატი არ შემონახულა, რის გამოც ქართული საალყო მანქანების ტიპებისა და სახეობების დადგენა, ჯერ-ჯერობით შეუძლებელია.[23]

არის ცნობა, რის მიხედვითაც საინჟინრო სახეობებში ერთგვარ მესანგრეთა არსებობაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომელთა მოვალეობაც ციხე-სიმაგრეთა კედლების ქვეშ თხრილების გაყვანა და ამ გზით მათი დანგრევა იყო.[24]

არმიაში არსებობდა მესიგნალეთა სპეციალური დანაყოფები, რომელთა ინსტრუმენტების მეშვეობითაც (სპერმური, ბუკი, ქოსი, წინწილი, ნაღარა და სხვა)[25] ხდებოდა არმიის მართვა მარშისა თუ ომის დროს. ამის შესახებ, როგორც ქართული ასევე აღმოსავლური წერილობითი წყაროები არაერთგზის მიუთითებენ.[26]





სურ. 44. საალყო მანქანები. გიგანტური არბალეტი და კატაპულტა (ონაგრი)

მარშირებისა თუ ბრძოლების დროს, ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტი იყო დროშები, რომლებიც ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენდნენ მეომართა სამარშო კოლონებად მოწესრიგებული გადაადგილებისა თუ ბრძოლის ველზე ორგანიზებული კონცენტრირებისთვის. არმიის მთავარი სიმბოლო იყო სეფე დროშა, რომელიც მეფესთან მუდმივად (მარშის თუ ბრძოლის დროს) იმყოფებოდა.[27] თუ მეფე ლაშქრობაში არ მონაწილეობდა, მაშინ სეფე დროშა ამირსპასალარს ბარდებოდა და ისე უძღოდა არმიას წინ.[28] სტეფანოზ ორბელიანის მიხედვით, სამეფო დროშა თეთრ-წითელი ფერის ყოფილა.[29] სეფე დროშის გვერდით, როგორც ჩანს, ყველა ტაქტიკურ-ადმინისტრაციულ დანაყოფს (მაგალითად, სამცხის, ჰერეთის, სომხითის სპას და ა.შ.), საკუთარი დროშა გააჩნდა,[30] რაც მათი გადაადგილებისას სამარშო წესრიგის დაცვას გააიოლებდა. ლაშქრობაში სამეფო არმიას ყოველთვის თან ახლდა ძელიცხოველი, რომელიც სპეციალურ ჯვარისმტვირთველს მიჰქონდა და რომელსაც, როგორც ჩანს, მეომართა

სპეციალური დანაყოფიც იცავდა.[31]

სამწუხაროდ, თითქმის არაფერია ცნობილი სამარშო კოლონების წყობის შესახებ. სხვადასხვა ცნობებიდან ცხადი ხდება, რომ არმიას წინ უძღოდა ავანგარდი (მეწინავე დროშა), ხოლო იცავდა არიერგარდი (უკანმავალი). გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ავანგარდს სამცხელი მეომრები აკომპლექტებდნენ, თუმცა სხვა ერთეულების ადგილი და თანმიმდევრობა სრულიად უცნობია.[32]

ასევე თითქმის არ გაგვაჩნია ცნობები სამარშო თუ სტაციონარული სამხედრო ბანაკების შესახებ, მაგრამ დავითის მემატიანესთან მოხსენიებული სპეციფიკური ტერმინები „ხანდაკი" (თხრილი) და „სხრტე" (წამახული სარი)," უნდა გვიჩვენებდეს, რომ ქართული არმია სამხედრო ბანაკს კლასიკური სქემით, თხრილისა და წამახული სარების (სხრტების) მესერის გარშემოვლებით მართავდა.[33]

სასაპალნე ცხოველების გავრცელებული სახეობები იყო აქლემი, ცხენი და ჯორი, რომელთა ლაშქრობების დროს გამოყენების არაერთი მითითებაა შემონახული წერილობით წყაროებში. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ აღალის შედგენისას გამოიყენებდნენ საზიდრებსაც, რადგან ფილაკავანებს (საალყო მანქანებს) და სხვა მძიმე აღჭურვილობას, სასაპალნე ცხოველები ვერ ზიდავდნენ.

ძალიან ცოტაა ცნობილი სამხედრო იერარქიის სისტემაზე. ვიცით, რომ მეფე იყო უმაღლესი მთავარსარდალი, რომლის არყოფნის შემთხვევაშიც ამ ფუნქციას ამირსპასალარი ასრულებდა. ცნობილია, რომ არსებობდნენ სპასალარები, ალბათ რეგიონალური ლაშქრების (სამცხის, ქართლის, კახეთის და ა.შ.) სარდლები,[34] მაგრამ სრულიად უცნობია საშუალო და დაბალი რგოლების სამეთაურო იერარქია, წერილობითი წყაროები მხოლოდ მაღალი რანგის პირებს (ამირსპასალარებს, სპასალარებს) იხსენიებენ და არც ერთ შემთხვევაში არ მიუთითებენ უფრო დაბალი რანგის მეთაურებს, რაც არმიის როგორც ტაქტიკური, ასევე საერთო ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული სისტემის სრულად წარმოდგენას, შეუძლებელს ხდის.

ჩვენთვის ასევე თითქმის უცნობია თუ რა ტაქტიკური ერთეულებისგან შედგებოდა არმია. როგორც უკვე იყო აღნიშნული (იხ. ზემოთ. შენ. 29), სტეფანოზ ორბელიანი მიუთითებდა ათას კაციან დანაყოფზე საკუთარი დროშით, რაც აშკარად ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანებული ტაქტიკური ერთეულია, მაგრამ შემდგომი დიფერენცირება მონაცემთა არარსებობის გამო,



სურ. 45. ა. მაკბრაიდი. ტიპიური სელჯუკური ლახტის თავი

შეუძლებელია. მხოლოდ ვარაუდის დონეზე შეიძლება იმის დაშვება, რომ შემდგომი მცირე საბრძოლო ერთეულები ასეულები და ათეულები შეიძლებოდა ყოფილიყო, რაც აღმოსავლურ არმიებში ორგანიზაციის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა, თუმცა, რასაკვირველია, არც სხვა სიდიდის დანაყოფების არსებობა გამოირიცხება.

მრავალრიცხოვან ომებში ქართული არმია ბრძოლის წარმოების სხვადასხვა მეთოდებსა და ტაქტიკურ სქემებს იყენებდა. როდესაც არმიის სიდიდე და მასში შემავალ საბრძოლო სახეობათა სახეობანი განაპირობებდნენ ბრძოლისუნარიანობისა და მანევრირების თანაბარ შესაძლებლობას მოწინააღმდეგესთან, მაშინ ქართული არმია ღიად უპირისპირდებოდა მათ ნებისმიერ პირობებში, მათ შორის გაშლილ სივრცეებში, რომლის დროსაც, უნდა ვივარაუდოთ, იყენებდნენ კლასიკურ საბრძოლო წყობას ცენტრითა და ფლანგებით.

ხოლო თუ მოწინააღმდეგეს საგრძნობი რაოდენობრივი უპირატესობა გააჩნდა, მაშინ ქართველი მხედართმთავრები მათთვის ხელსაყრელ პირობებში (როგორც წესი, მთებში) ამჯობინებდნენ ბრძოლას და ცდილობდნენ მოწინააღმდეგისთვის ბრძოლის წარმოების საკუთარი სქემა მოეხვიათ თავზე და თავად შეერჩიათ ბრძოლის ადგილი, რასაც თუ თრიალეთისა და დიდგორის მაგალითებით ვიმსჯელებთ, საკმაო წარმატებით ახერხებდნენ.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოულოდნელობის ფაქტორის შექმნას მტერზე თავდასასხმელად, რომლის შესაქმნელადაც სხვადასხვა მეთოდებს იყენებდნენ (დეზინფორმაციას, ცრუ მანევრებს და ა.შ.).

საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე და ომის პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დაზვერვის წარმოებას და წინმსწრები თუ ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებას მოწინააღმდეგის გეგმებისა თუ მოქმედებების შესახებ, რომელთა საფუძველზეც დგებოდა საკუთარი მოქმედებების გეგმა.

ციხე-სიმაგრეთა თუ ქალაქების აღების დროს, ხანგრძლივ ალყასა და შტურმს, აშკარად ამჯობინებდნენ მის დაპყრობას მოულოდნელობის ფაქტორის გამოყენებით, მაგრამ როდესაც ეს არ ხერხდებოდა, ან დრო არ აძლევდათ სხვაგვარი ქმედების შესაძლებლობას, არც ალყასა და შტურმზე ამბობდნენ უარს. განვითარებული იყო ციხეთა აღების საინჟინრო მეთოდები, კედლების „საარტილერიო დაბომბვა" საალყო მანქანებით, გვირაბების გაყვანის მეშვეობით კედლების დანგრევა და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დავით აღმაშენებლის (ისევე როგორც მისი მემკვიდრეების) დროინდელი ქართული არმია სამობილიზაციო სისტემით, ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული მოწყობით, შეიარაღებით, ტაქტიკური შესაძლებლობებითა და ბრძოლისუნარიობით, არაფრით ჩამოუვარდებოდა იმ დროინდელი მსოფლიოს მოწინავე სამხედრო ძალებს და რიგ შემთხვევებში, სხვადასხვა მაჩვენებლებით, აღემატებოდა კიდეც ბევრ მათგანს და სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი საფუძველი დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს დიდი სამხედრო თუ პოლიტიკური წარმატებებისა.

მხედართმთავარში ჩვეულებრივ მხოლოდ სიმამაცეს ხედავენ, მაგრამ სიმამაცე მხოლოდ მხედართმთავრის ერთი თვისებაა. უბრალოდ მამაცი ადამიანი დაუფიქრებლად ჩაებმება ბრძოლაში, ხოლო ის ვინც დაუფიქრებლად იწყებს ბრძოლას დ ვერ ხედავს სად არის სარგებელი, მხედართმთავრობისთვის უვარგისია.

უ-ცზი.

მხედართმთავარი სახელმწიფოსთვის იგივეა, რაც სამაგრები საზიდარისთვის: თუ სამაგრები მჭიდროდაა მორგებული, სახელმწიფო ძლიერია, ხოლო თუ სუსტად, სახელმწიფოც აუცილებლად სუსტია.

სუნ-ძი.

—დავით აღმაშენებელი როგორც ინდივიდუალური მებრძოლი.

მიუხედავად იმისა რომ დავით აღმაშენებლის მემატიანე, საქართველოს მეფის დიდ სახელმწიფოებრივ და მხედართმთავრული თვისებების აღნიშვნასთან ერთად, მუდმივად ცდილობს ხაზი გაუსვას დავითის, როგორც ინდივიდუალური მებრძოლის პირად სიმამაცესა და გამბედაობას, დავით აღმაშენებელის მთავარი (სამხედრო) ღირსება უპირველეს ყოვლისა, მისი მხედართმთავრობის უნარი იყო, რაც გამომდინარეობდა არა ინდივიდუალური სიმამაციდან, არამედ მისი სტრატეგიული აზროვნებიდან და სწორი ტაქტიკური ხედვიდან, თუმცა საქართველოს მეფეს პირადი სიმამაცეც აშკარად არ აკლდა.

თავისთავად, როდესაც სახელმწიფო მოღვაწე იღებს გადაწყვეტილებას დაუპირისპირდეს ისეთ ძალას, როგორიც დავით აღმაშენებლის დროს იყო სელჯუკების ირან-ერაყის იმპერია, ეს უკვე მის უდიდეს (როგორც პირად, ასევე სახელმწიფოებრივ) სიმამაცესა და გამბედაობაზე მიუთითებს. როდესაც სამხედრო მოღვაწე ხელმძღვანელობს ისეთ მასშტაბურ ბრძოლებს, როგორიც იყო თრიალეთი და დიდგორი, ესეც ასევე მისი სიმამაცისა და გამბედაობის მაჩვენებელია და აქ იმის დამატება, თუ როგორ შეეძლო მეფეს რიგითი მეომარივით პირველ რიგებში ბრძოლა, ან როგორ დაუპირისპირდა „უსაჭურვლოდ, მარტო ხრმლით" ასამდე მტრის მებრძოლს თბილისთან,[1] მის მხედართმთავრულ თვისებებს ნამდვილად ბევრს არაფერს უნდა მატებდეს, პირიქით, შეიძლება აკლებდეს კიდეც.

შუასაუკუნეებში მხედართმთავრის მონაწილეობას ხელჩართულ ბრძოლაში მაღალი მორალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა მეომრებისთვის, მაგრამ როდესაც ერთმანეთს დიდი ძალები უპირისპირდებოდნენ და მხედარმთავრის წინაშე ბრძოლის ტაქტიკური ხელმძღვანელობის აუცილებლობა დგებოდა, ამ შემთხვევებში, წინა რიგებში ბრძოლა მხედარმთავრის არა ღირსება, არამედ დიდი ნაკლი ხდებოდა.[2]

თუ ჩვენ დავიჯერებთ დავითის მემატიანის მონათხრობს ერწუხის ბრძოლის შესახებ, სადაც წინა რიგებში მებრძოლ მეფეს სამი ცხენი მოუკლეს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ბრძოლაში იმდენად მცირე ძალები მონაწილეობდნენ ორივე მხრიდან, რომ მის ტაქტიკურ ხელმძღვანელობას (სხვადასხვა მანევრების ჩატარებას, რეზერვის გამოყენებას, ძალების გადაჯგუფებასა და ა.შ.) აზრი არ ჰქონდა და ბრძოლის ბედი მხოლოდ მეომართა მარტივ შეტაკებას უნდა გადაეწყვიტა, სადაც მეფის უშუალოდ ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობა, რასაც (მეომართა სიმცირის გამო) ყველა მებრძოლი დაინახავდა და გააცნობიერებდა, ნამდვილად მნიშვნელოვანი იქნებოდა და, შეიძლება, ბრძოლის ბედიც გადაეწყვიტა. ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, დავით აღმაშენებლის ბრძოლაში ჩართვა სავსებით სწორი იქნებოდა და ეს საქციელი არა პირადი სიმამაცის დემონსტრირების მიზნით, არამედ ტაქტიკური მოსაზრებით (პირადი მაგალითით საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების, მეომართა შეტევაზე გაყოლიების და სხვა მსგავსი სურვილით) იქნებოდა განპირობებული.[3] ასეთ შემთხვევაში, ერწუხის ბრძოლის სურათი სავსებით რეალური შეიძლება იყოს, მაგრამ იგი არაფრით ჯდება მემატიანის მიერ გადმოცემულ საერთო კონტექსტში, რომლის მიხედვითაც, დავითმა ერწუხს, სადაც მის წინააღმდეგ „ურიცხუნი სპანი" იდგნენ, „ქმნნა წყობანი დიდნი."[4] გამოდის, რომ დავით აღმაშენებელმა არ უხელმძღვანელა ამ დიდ წყობებს და რიგითი მეომარივით ჩაერთო ბრძოლაში, რაც ნაკლებად დასაჯერებელია თრიალეთისა და დიდგორის ბრძოლების მომგები მეფისგან.

სინამდვილეში ყველაფერი შეიძლება უფრო მარტივად ყოფილიყო. დავითის მემატიანე აჭარბებს ამ ბრძოლის მასშტაბებს და მასში მონაწილე მეომრების რაოდენობას გაზვიადებული სახით გადმოგვცემს, ხოლო თავად ბრძოლის მსვლელობას საკმაოდ ზუსტად. ასე, რომ საქართველოს მეფეს „არაფერი არ უნდა შეშლოდა", იგი სათავეში ჩაუდგა თავის მცირერიცხოვან მეომრებს იმის გამო, რომ ბრძოლის ტაქტიკური ხელმძღვანელობის აუცილებლობა არ არსებობდა და მცირე ძალებით დაპირისპირებულ მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლის ბედი მეომართა პირად სიმამაცესა და საბრძოლო სულისკვეთებას უნდა გადაეწყვიტა, რომლის ასამაღლებლადაც წინა ხაზზე მებრძოლ მეომართა შორის მეფის გამოჩენა საუკეთესო საშუალება იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ქმედება დიდი რისკის შემცველი იყო მეფის სიცოცხლისთვის, რომლის დაღუპვის შემთხვევაშიც შედეგები ძალიან მძიმე იქნებოდა სამეფოსთვის, როგორც ჩანს, დავით აღმაშენებელი მაინც შეგნებულად მიდიოდა ასეთ ნაბიჯზე, რადგან სამხედრო მოქმედებების დაწყების ადრეულ ეტაპებზე, ქართულ არმიას აშკარად სჭირდებოდა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება და საკუთარი შესაძლებლობების რწმენის გაზრდა, რაც მხოლოდ სამხედრო გამარჯვებების გზით მიიღწეოდა. ხოლო ბრძოლაში მეფის უშუალო მონაწილეობა რიგითი მეომრების გვერდით მცირე მაშტაბიან ბრძოლაში, გამარჯვების მიღწევის საუკეთესო საშუალება იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეფე აშკარად ხასიათდებოდა გამორჩეული პირადი მეომრული თვისებებით, მისი უმთავრესი სამხედრო ღირსებები, მაინც სტრატეგიული აზროვნება და სამხედრო ტაქტიკის სრულყოფილებამდე ცოდნა იყო, რაც მისი სამხედრო მოღვაწეობის ელემენტარული ანალიზითაც კი, ნათლად იკვეთება.

—დავით აღმაშენებელი, როგორც სამხედრო სტრატეგი.

შექმნილი ვითარების ხედვის უნარი, ძალთა არსებული შეფარდების რეალ-

ური შეფასება, მოვლენათა განვითარების სწორი პროგნოზირება და ყოველივე ამაზე საკუთარი ქმედებების აგება დიდი სტრატეგიის აუცილებელი კანონებია და დავით აღმაშენებლის ყველა გადაწყვეტილება თუ კონკრეტული ქმედება ამ კანონებს იყო დაქვემდებარებული.

სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ ომი შენი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად უნდა დაიწყო მაშინ, როდესაც ამის ხელისშემწყობი ობიექტური პირობები არსებობს და შენს ხელთ არსებული რესურსები და შესაძლებლობები საკმარისია მის საწარმოებლად. ამ თვალსაზრისით, დავით აღმაშენებლის სამხედრო პოლიტიკა და მისი განვითარების დინამიურობა პირდაპირ აჩვენებს, რომ საქართველოს მეფე არ დგამდა მოუფიქრებელ, ავანტიურასთან მიახლოვებულ ისეთი მაღალი რისკის შემცველ ნაბიჯებს, რასაც მისი გეგმების ჩაშლა და უკუშედეგები შეიძლებოდა გამოეწვია.

ის ტახტზე ასვლიდან ათი წლის განმავლობაში აგრძელებდა ხარკის გადახდას სელჯუკებისთვის, რადგან ქვეყანა ამისთვის ჯერ მზად არ იყო, მაგრამ როდესაც მან ხარკი შეუწყვიტა სელჯუკთა იმპერიას, იმ დროისთვის შესანიშნავად ჰქონდა გათვალისწინებული ყველა ის საგარეო თუ საშინაო ფაქტორი (ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, შიდა ფეოდალური ოპოზიციის დამარცხება, ჯვაროსნების გამოჩენა, ბიზანტიელთა გააქტიურება, სელჯუკთა იმპერიის შიდა დაპირისპირება და ა.შ.) რის შედეგადაც ქვეყნის. რესურსებიც მკვეთრად გაიზარდა და სელჯუკთა იმპერიაც კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რის გამოც მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს მხრიდან ხარკის შეწყვეტაზე იგი ვერ მოახდენდა მკვეთრ რეაქციას. როდესაც დავით აღმაშენებელმა მომთაბარეების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო, ადრეულ ეტაპზე იგი მათ განდევნას მხოლოდ სამეფოს ტერიტორიებიდან ახდენდა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ, საიდანაც ისინი ყოველწლიურად შემოდიოდნენ საქართველოში, მათი სადგომების მოსპობას (როგორც ამას აკეთებდა მოგვიანო პერიოდებში) არ ცდილობდა, რათა სელჯუკებთან ნაადრევი სამხედრო კონფლიქტი არ გამოეწვია. თვით კახეთის დაკავების შემდეგაც, რომლის დროსაც საქართველოს მეფეს სამხედრო ძალით დაუპირისპირდა განძის საემირო, მან კონფლიქტი განძასთან (ისევე როგორც მთლიანად სელჯუკთა იმპერიასთან) არ გააგრძელა და აშკარა მშვიდობა 1110 წლამდე შეინარჩუნა, სანამ უფრო მასშტაბური ომის საწარმოებლად საკუთარი რესურსები საკმარისად, ხოლო საერთაშორისო ვითარება ხელსაყრელად არ ჩათვალა.

სტრატეგიული ვითარების შეუფასებლობასა და გაუთვალისწინებლობას, საქართველოს სამეფოსთვის არაერთხელ მოუტანია უბედურება დავით აღმაშენებლის წინამორბედების, ბაგრატ IV-სა და გიორგი II-ს დროს, რისი მიზეზიც ამ მეფეების მიერ მათი მეფობის ხანაში შექმნილი სიტუაციისა და სელჯუკთა უზარმაზარი სამხედრო პოტენციალის შეუფასებლობა იყო, რაც სტრატეგიული ხასიათის იმ ტიპის შეცდომებს წარმოადგენდა, რომლებსაც დავით აღმაშენებელი ნამდვილად არ უშვებდა.

ბაგრატ IV-მ და გიორგი II-მ აშკარად ვერ განსაზღვრეს იმ საფრთხის მასშტაბურობა, რაც ამიერკავკასიასა და წინა აზიისთვის სელჯუკთა გამოჩენას მოსდევდა თან, რამაც მათი მხრიდან გამოიწვია სტრატეგიული ხასიათის შეცდომები სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, სელჯუკები საქართველოს ტერიტორიაზე

პირველად 1063 წელს შემოვიდნენ. მაშინ მათ აიღეს ახალქალაქი და ააოხრეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. ეს იყო სელჯუკთა მასშტაბური, მაგრამ მაინც რიგითი მარბიელი ლაშქრობა, რის გამოც დაზავების პირობებიც საკმაოდ „რბილი" აღმოჩნდა. სულთანმა ალფ-არსლანმა მოითხოვა ერთჯერადი ხარკი ბაგრატისგან და მისი დისშვილის (რომელიც ამავე დროს, ტაშირის მეფის კვირიკეს ძმისშვილი იყო) ცოლად შერთვა. ბაგრატს საკმაოდ სერიოზული ბრძოლა დასჭირდა ტაშირის სამეფოსთან ზავის პირობების შესასრულებლად, რის შემდეგაც სელჯუკებთან რამდენიმე წლიანი მშვიდობა დამყარდა.

ზავის ასეთი საკმაოდ იოლი პირობები გამომდინარეობდა იმ ვითარებიდან, რომ სელჯუკები იმ დროისთვის (XI საუკუნის 60-იანი წლები), ჯერ ჯიდევ ჩრდილოეთ ირანსა და სამხრეთ აზერბაიჯანს „ითვისებდნენ," რის გამოც „სელჯუკური მარაო" ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიებიდან და მისი ოკუპაცია სელჯუკთა გეგმებში არ შედიოდა, მაგრამ საერთო საშიშროება ქვეყნისგან არც ისე შორს იყო და ნებისმიერ გაუფრთხილებელ ქმედებას მისი პროვოცირება შეიძლებოდა გამოეწვია საქართველოს წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში ბაგრატ IV-მ აშკარად გადაჭარბებით შეაფასა როგორც სელჯუკებთან დადებული ზავის სიმყარე, ასევე საკუთარი შესაძლებლობები და 1067 წელს განძის საემიროს წინააღმდეგ ჩატარებული ექსპედიციის დროს ისე ღრმად შევიდა მუსლიმურ ტერიტორიებზე, რომ ბარდავიც ააოხრა. ეს აქცია ალფ-არსლანმა სელჯუკებზე თავდასხმად შეაფასა და დაუყოვნებლივ მოაწყო საპასუხო ლაშქრობა საქართველოში.[5]

აღნიშნული შემოსევა, რომელიც განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა საქართველოსთვის, მთლიანად ბაგრატ IV-ს სტრატეგიული შეცდომისა და საქართველოს გარშემო არსებული ვითარების შეუფასებლობის შედეგი იყო, რასაც ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ სელჯუკებს არც ამ შემთხვევაში უცდიათ საქართველოს ოკუპაცია და სრული სამხედრო უპირატესობის პირობებში მხოლოდ ქვეყნის აოხრებით (ანუ სამაგიეროს გადახდით) დაკმაყოფილდნენ.

საქართველოს სელჯუკთა ოკუპაციის საფრთხე პირდაპირ დაემუქრა 70-იან წლებში, გიორგი II-ს მეფობის დროს. ამ დროისთვის მათ დაიპყრეს განძა, მის (როგორც განძის, ასევე მთლიანად არანის ოლქის) გამგებლად დანიშნეს ცნობილი ემირი საუტეგინი და უშუალოდ დაუმეზობლდნენ საქართველოს. საუტეგინმა დაუყოვნებლივ დაიწყო ექსპანსიის განვითარება როგორც დერბენდ-შირვანის, ასევე საქართველოს მიმართულებით.[6]

საქართველოს ტერიტორიებზე შემოსული საუტეგინი გიორგი II-მ სასტიკად დაამარცხა 1073 წელს ფარცხისთან და ამის შემდეგ, როგორც ჩანს, საქმე მოთავებულად ჩათვალა. ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ სელჯუკთა ახალი (გარდაუვალი) შეტევების მოსაგერიებლად სამეფოს მთელი ძალების კონსოლიდაცია სამხრეთის მიმართულებაზე მოეხდინა, საქართველოს მეფემ ბიზანტიელებისგან მიტოვებული ოლქების დაკავება დაიწყო სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, რისი ათვისებისა და შენარჩუნების რესურსიც გიორგი II-ს დროინდელ საქართველოს აშკარად არ ჰქონდა.

გიორგი II-ს სტრატეგიული შეცდომა სახეზეა. სამეფო, რომელიც შექმნილ ვითარებაში ვიწრო ფრონტით სამხრეთით თავდაცვაზე უნდა გადასულიყო და დაეცვა ფარცხისის ბრძოლაში მოპოვებული წარმატება, მან ფართო ფრონტით სამხრეთ-დასავლეთით შეტევაზე გადაიყვანა და შედეგიც შესაბამისი მიიღო:

სამხრეთიც (სამშვილდე-სომხითი) დაკარგა და სამხრეთ-დასავლეთით შემოერთებული ოლქებიც. ამასთან, იძულებული გახდა სელჯუკთა წინაშე ხარკის გადახდა ეკისრა.

როგორც ბაგრატ IV, ასევე გიორგი II, შესანიშნავი ტაქტიკოსი მხედართმთავრები იყვნენ, რასაც მათ მიერ მოგებული კონკრეტული ბრძოლების მოკლე ანალიზიც მოწმობს. მაგრამ მათ მიერ დაშვებულმა სტრატეგიული ხასიათის შეცდომებმა, ბრწყინვალედ მოგებული ცალკეული ბრძოლების მიუხედავად, საკმაოდ დიდი ზიანი მოუტანა ქვეყანას.

თავისი უშუალო წინაპრებისგან განსხვავებით, დავით აღმაშენებლის სამხედრო პოლიტიკა მთლიანად შექმნილი ვითარებისა და არსებული შესაძლებლობების თანხვედრის სტრატეგიულ ხედვას ემყარებოდა. როგორც აღვნიშნეთ, მისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე, სანამ საქართველოს მეფეს არ გააჩნდა საკმარისი რესურსები სელჯუკებთან მასშტაბური დაპირისპირებისთვის, მან ისე გადაწყვიტა მის წინაშე მდგომი ამოცანები (ხარკის შეწყვეტა, კახეთის შემოერთება, მომთაბარეთა განდევნის დაწყება), რომ სელჯუკთა ძლიერ იმპერიასთან სამხედრო კონფლიქტში არ შესულა, მაგრამ როგორც კი ქვეყანა ამისთვის მზად აღმოჩნდა (სამობილიზაციო სისტემის აღდგენის, არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლების, კახეთის რესურსების ათვისების, სატრანსპორტო-კომუნიკაციური სისტემის გაუმჯობესების შემდეგ) და საერთაშორისო ვითარებაც (სელჯუკთა იმპერიის წმინდა ომი ჯვაროსანთა წინააღმდეგ) ხელსაყრელი გახდა აქტიური სამხედრო პოლიტიკის საწარმოებლად, მას არ დაუყოვნებია და ელვისებურად გადავიდა მოქმედებებზე.

დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე სტრატეგიული ხედვის მაჩვენებელია ის გარემოებაც, რომ სელჯუკებთან ომის მანძილზე მან შეძლო ერთი ფრონტის შენარჩუნება ისლამურ სამყაროსთან და საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე დანიშმენდიდებისა და ხლათის ძლიერ საემიროებთან ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა, რაც მას განძა-შირვანის მიმართულებაზე მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევდა ზურგში დარტყმის საშიშროების გარეშე. მაგრამ როგორც კი დასრულდა სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერიასთან ომი და სულთან მაჰმუდთან ზავი დაიდო, მისი აქტიურობა უკვე სამხრეთ-დასავლეთ (ანისის) მიმართულებაზე განვითარდა, სადაც არსებული ზავის პირობებში სამხედრო დაპირისპირებისას ხლათის ან დანიშმენდიდების საემიროსთან (რასაც აუცილებლად ექნებოდა ადგილი ეს კამპანია დავით აღმაშენებლის გარდაცვალებას რომ არ შეეწყვიტა), მას უკვე სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერიის მხრიდან ჰქონდა ზურგი თავისუფალი.

იგივე ბაგრატ IV-გან განსხვავებით, დავით აღმაშენებლის სწორი და ეფექტური სტრატეგიის შესანიშნავი მაგალითია თბილისის აღება და საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შემოყვანა, რაც XI საუკუნის სიგრძეზე, ქართული სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა და ქართველი მეფეები, პირველ რიგში, ბაგრატ IV და დავით აღმაშენებელი, თავიანთ ძირითად ამოცანად სწორედ მის შესრულებას ისახავდნენ.

თავისი ხანგრძლივი მეფობის (1027-1072 წწ.) მანძილზე, ბაგრატ IV-ს მცდელობა არ დაუკლია თბილისის უკან დასაბრუნებლად, რისთვისაც იგი როგორც დიპლომატიას, ასევე სამხედრო მეთოდებსაც იყენებდა. როგორი შიდა თუ გარე სიტუაცია არ უნდა შექმნილიყო ბაგრატ IV-ს წინაშე, მისი ყურადღება და აქტიურობა მაინც თბილისისკენ იყო კონცენტრირებული, მაგრამ მიუხედავად ამი-

სა, მან ამ ამოცანის შესრულება ვერ შესძლო. როგორც უკვე იყო აღნიშნული, თბილისი რამდენჯერმე აღმოჩნდა ბაგრატის ხელში, მაგრამ იმის გამო, რომ არ იყო ლიკვიდირებული მისი შენარჩუნებისთვის აუცილებელი შიდა თუ გარე ხელისშემშლელი ფაქტორები (არ იყო აღკვეთილი შიდა ფეოდალური ოპოზიცია, არ იყო შემოერთებული კახეთი, ბოლომდის ვერ აღიკვეთა განძის საემიროს აქტიურობა, რასაც ემატებოდა გარეშე, ჯერ ბიზანტიური, ხოლო შემდეგ სელჯუკთა ფაქტორები და ა.შ.), მისი სამეფოს შემადგენლობაში შემოყვანა, ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა. ძნელი არ უნდა იყოს, რომ ბაგრატ IV-ს წარუმატებლობის ძირითად მიზეზად, მიუხედავად მისი შეუპოვრობისა და მონდომებისა, თბლისისათვის ბრძოლის არასწორი სტრატეგია და არათანმიმდევრულობა დავინახოთ, რაც ქვეყნისთვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას, საბოლოო ჯამში შეუძლებელს ხდიდა.

ისევე როგორც ბაგრატ IV-თვის, თბილისის დაბრუნება დავით აღმაშენებლისთვისაც, მეფობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა, მაგრამ მისი სტრატეგია იყო სრულიად განსხვავებული. იგი დიდი ხნის განმავლობაში არ აკეთებდა პირდაპირ მცდელობას თბილისის ასაღებად, თუმცა თანმიმდევრულად ქმნიდა პირობებს ამ პრობლემის ერთხელ და საბოლოოდ გადასაწყვეტად. ბაღვაშთა საერისთაოს ლიკვიდირება, კახეთის შემოერთება, განძის საემიროს განდევნა ქვემო ქართლ-სომხითიდან, რუსთავისა და რიგი სხვა ციხეების აღება, საემიროს ბლოკირებას ნიშნავდა ისლამური სამყაროდან, რომლის დროსაც თბილისთან დამაკავშირებელ საქარავნო გზებზე სრული კონტროლის დამყარების პირობებში, თბილისის საემიროს არსებობა საქართველოს მეფის ნებაზე ხდებოდა დამოკიდებული. დავით აღმაშენებელს არც ამ სიტუაციაში უცდია ქალაქის აღება, რადგან მიუხედავად მისი ბლოკირებისა, პირდაპირი შეტევის შემთხვევაში ძალიან მაღალი იქნებოდა თბილისის დასახმარებლად ისლამური კოალიციის ორგანიზების ალბათობა, რაც დავით აღმაშენებელს ორ ფრონტზე ბრძოლის საშიშროების წინაშე დააყენებდა. არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი იმის თაობაზე, რომ უკვე სამშვილდისა და განსაკუთრებით რუსთავის აღების შემდგომ სამხედრო თვალსაზრისით თბილისის დაპყრობა არ იქნებოდა გადაულახავი ამოცანა, მაგრამ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს მეფე ამ ნაბიჯზე ჯერ არ მიდიოდა. ვითარება რადიკალურად შეიცვალა დიდგორის ბრძოლის შემდეგ, როდესაც მუსლიმური სამყაროს ის პოტენციალი, რომელსაც ისლამური თბილისი ქართული საფრთხისგან უნდა ეხსნა, განადგურებული აღმოჩნდა. ამ საშიშროების ლიკვიდირების შემდეგ დავით აღმაშენებელს აღარ დაუყოვნებია ამ ოთხსაუკუნოვანი პრობლემის გადაწყვეტა და როგორც უკვე იყო აღნიშნული, მან ბრძოლით აიღო თბილისი და შეუერთა იგი საქართველოს გაერთიანებულ სამეფოს.

როგორც თბილისის შემოერთების, ისე ნებისმიერი სხვა მაგალითი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დავით აღმაშენებლის პოლიტიკას მუდმივ ხაზად გასდევდა სტრატეგიის უმთავრესი პრინციპი: მოიპოვო უპირატესობა გადამწყვეტ დროს გადამწყვეტ ადგილას. ალბათ არ შევცდებით იმის დასკვნაში, რომ საქართველოს მეფის ამ გამოკვეთილმა ღირსებამ ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა იმ წარმატებებში, რასაც საქართველოს სამეფომ მიაღწია მისი ხელმძღვანელობით.

—დავით აღმაშენებლი, როგორც ტაქტიკოსი მხედართმთავარი.

ნებისმიერი, თუნდაც უნაკლო სტრატეგიული ჩანაფიქრი უშედეგოა, თუ იგი ტაქტიკური სრულყოფილებით არ ხორციელდება. დავით აღმაშენებლის შემთხ-

ვევაში ჩვენს წინაშეა სამხედრო ხელოვნების ამ ორი უმთავრესი ელემენტის იდეალური ურთიერთშერწყმის მაგალითი ერთ პიროვნებაში და სწორედ ეს ფაქტორი წარმოადგენს იმ მთავარ ღირსებას, რომელიც დავით აღმაშენებელს თავისი დროის დიდი მხედართმთავრების გვერდით აყენებს.

დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში, განსაკუთრებით კი მის პირველ პერიოდში საქართველოს სამეფოს ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ ამოცანას მომთაბარეთა სადგომების მოსპობა და მათი მარბიელი რეიდების აღკვეთა წარმოადგენდა, რაც (როგორც უკვე იყო განხილული III თავში) ურთულეს სამხედრო ამოცანათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა და მათი პრობლემის გადაჭრა, მხოლოდ სამხედრო გზით იყო შესაძლებელი. საქართველოს მსგავსად, აღნიშნული პრობლემა იდგა რიგი სხვა ქვეყნების და პირველ რიგში, ბიზანტიის იმპერიის წინაშე, რომლის სამხედრო მესვეურებმაც მომთაბარეთა წინააღმდეგ, სრულიად მცდარი ტაქტიკური სქემა დაამუშავეს.

ბიზანტიელთა სამხედრო თეორიის მიხედვით, მომთაბარეთა მარბიელი რაზმების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა მომხდარიყო არა მათი რეიდების საწყის ეტაპზე, როდესაც მათი მეომრები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდნენ, არამედ რეიდის ბოლოს, როდესაც გრძელი მარშებითა და წვრილი შეტაკებებით დაქანცულ და ამასთან, ალაფითა და ტყვეებით დატვირთული მომთაბარეთა რაზმებს დაკარგული ექნებოდათ მობილურობა და ბრძოლისუნარიანობა. ამის განსახორციელებლად ბიზანტიური გარნიზონები ხელს არ უშლიდნენ მარბიელ რაზმებს შესულიყვნენ იმპერიის ტერიტორიების სიღრმეში და მხოლოდ მისი დატოვებისას ცდილობდნენ მათთან ბრძოლის გამართვას. მიუხედავად ბიზანტიელთა პერიოდული წარმატებებისა, ასეთმა ტაქტიკამ მათთვის დამღუპველი შედეგები მოიტანა, რის შედეგადაც მცირე აზიის მთელი რიგი რეგიონები ჯერ კიდევ სელჯუკების გამოჩენამდე აღმოჩნდა აოხრებული და თავდაცვის უნარდაკარგული.

ბიზანტიელთაგან განსხვავებით, დავით აღმაშენებლის მიერ მომთაბარეთა წინააღმდეგ შემუშავებული ტაქტიკა (მცირერიცხოვანი რაზმებით მათი გარემოცვა და სწრაფი განადგურება სამეფოს ტერიტორიებზე გამოჩენისთანავე) აღმოჩნდა ერთადერთი ეფექტური საშუალება მომთაბარეობის წინააღმდეგ პირველი წარმატებების მისაღწევად, რომელმაც უდიდესი სირთულეების მიუხედავად, შედეგი ამ ტაქტიკის გამოყენების საწყის ეტაპზევე მოიტანა, რაზედაც დავითის მემატიანე ჯერ კიდევ ერწუხის ბრძოლამდე აღნიშნავდა, რომ „თურქნი ვერღარა დაიზამთრებდეს ქართლს."[7]

როგორც კი მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლამ მიიღო მასშტაბური ხასიათი და სტრატეგიული ამოცანების რიგში დადგა სამეფოს საზღვრებს გარეთ მათი სადგომების მოსპობის აუცილებლობა, რაც ისლამურ ტერიტორიებზე ღრმა რეიდების სწრაფად განხორციელებას საჭიროებდა, დავით აღმაშენებელმა მაშინვე შემოიტანა ამისთვის აუცილებელი ახალი ტაქტიკური ელემენტი, საბრძოლო ოპერაციების განხორციელება მსუბუქი ცხენოსანი მოისრეებით (ყივჩაღებით), რაც ასევე დავით აღმაშენებლის სამხედრო ხელოვნებაში სტრატეგიისა და ტაქტიკის ჰარმონიული შერწყმის ნათელი მაგალითია.

რასაკვირველია, დავით აღმაშენებლის ტაქტიკური ხელოვნების მწვერვალი თრიალეთის და, განსაკუთრებით, დიდგორის ბრძოლებია, რომელთა დროსაც სრულად გამოვლინდა საქართველოს მეფის მხედართმთავრული უნარი. თუ თრი-

ალეთის ბრძოლის დროს გამოყენებული ტაქტიკური ელემენტები, რაზედაც მეტნაკლები დამაჯერებლობით შეიძლება მსჯელობა (მოწინააღმდეგის „გადაჭერა" მისთვის არახელსაყრელ ადგილზე ფორსირებული მარშის მეშვეობით, მტრის არმიაზე თავდასხმა კოლონებად დაწყობისა და ბანაკის დატოვების მომენტში და ა.შ.) ისტორიულ მონაცემთა არარსებობის გამო საკმაოდ ცოტაა, ამას ვერ ვიტყვით დიდგორის ბრძოლაზე, რომელიც სამხედრო ტაქტიკის ერთ მთლიან შედეგრს წარმოადგენს.

დავით აღმაშენებლის გადაწყვეტილება დიდგორის მიდამოებში ბრძოლის გამართვის შესახებ აერთიანებდა მრავალ სხვადასხვა ფაქტორს: მოწინააღმდეგის ამ მონაკვეთში შეჩერების აუცილებლობას, რათა მას არ მიეღწია მისთვის სტრატეგიულად მომგებიან წერტილამდე; ბრძოლის ველის რელიეფის თავისებურებებს, რომელიც მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში არ მისცემდა მოწინააღმდეგეს ძალების სწრაფი გადაჯგუფებისა და კონცენტრირების საშუალებას; ჩასაფრების ორგანიზებას და სრული მოულოდნელობის ფაქტორის შექმნას; თავდასხმის დროს, როდესაც მოწინააღმდეგის გრძელ კოლონად გაშლილი და ალგეთის ხევის ნაპირებზე ორ ნაწილად გაყოფილი არმია ვერ შეძლებდა მთელი შემადგენლობით ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას; ავანგარდის ჩასაფრებაში შეტყუებით მოწინააღმდეგის რიგებში დაბნეულობისა და გაურკვევლობის შეტანას და ამის შემდეგ დაუცველ ფლანგებზე ძირითადი შეტევის განხორციელებას და ა.შ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამდენი ტაქტიკური ელემენტის ერთ ბრძოლაში დაგეგმვა და წარმატებით გამოყენება, მხოლოდ დიდ მხედართმთავრებს შეეძლოთ, რომელთა რიგებსაც საქართველოს მეფე უდავოდ მიეკუთვნება.

—დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქის ცნობილი მხედართმთავრები.

თუ ჩვენ გავავლებთ ერთგვარ პარალელებს დავით აღმაშენებლსა და მისი ეპოქის (XI-XII სს) სხვა ცნობილ მხედართმთავრებს შორის, ადვილად დავრწმუნდებით, რომ საქართველოს მეფე თითქმის ყველა მათგანს აღემატებოდა ღირსებათა იმ კომპლექსით, რაც დიდ მხედარმთავარს „კარგი" მხედარმთავრისგან გამოარჩევდა.

დავითის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სამხედრო მოღვაწე იყო, ჯვაროსნული ლაშქრობების ერთ-ერთი ლიდერი, ანტიოქიის მთავარი ბოემუნდი, რომელიც ძალიან მაღალი სამხედრო ავტორიტეტით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის. ბოემუნდი იყო უბადლო ტაქტიკოსი (რაც განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა დორილეუმისა და ანტიოქიის ბრძოლებში), უაღრესად მამაცი და გამბედავი მეომარი (რაც მან არაერთგზის დაამტკიცა მრავალრიცხოვანი ომებისას), კარგი ორგანიზატორი (რაც მან გამოამჟღავნა ანტიოქიის სამთავროს დაარსებისას), მაგრამ სუსტი სტრატეგი და ერთგვარი „ავანტურისტი" მხედართმთავარი იყო. ბოემუნდის სტრატეგიის სისუსტე კარგად გამოჩნდა მაშინ, როდესაც არახელსაყრელ ვითარებაში და აშკარად არასაკმარისი რესურსებით სცადა ბიზანტიის იმპერიაზე შეტევა, რაც მისი სრული დამარცხებითა და მისთვის დამამცირებელი ზავის დადებით დამთავრდა. ხოლო მისი ავანტურიზმი გამომჟღავნდა მაშინ, როდესაც (1101 წ) სცადა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქის, მელიტენას ხელში ჩაგდება, მაგრამ მოუმზადებელი და ნაჩქარევი ლაშქრობის შედეგადად თავად ჩაუვარდა ტყვედ დანიშმენდიდების ემირს და რამდენიმე წელი ტყვეობაში გაატარა, რაც ფაქტიურად, მისი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეობის კრახი იყო.[8]

დავითის ეპოქის ასევე ძალიან ცნობილი მხედართმთავარი იყო ბიზანტიის იმპერატორი ალექსეი კომნენოსი (1081-1118 წწ.), რომელმაც დავით აღმაშენებლის მსგავსად დაშლილი, ტერიტორიებ შემცირებული და მტრებით გარშემორტყმული ქვეყანა ჩაიბარა, რომელიც 37 წლიანი მმართველობის შემდეგ უძლიერეს იმპერიად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ თავისი იმპერატორობის მანძილზე მან უამრავი ბრძოლა გადაიხადა, ძირითად წარმატებებს მაინც დიპლომატიის მეშვეობით მიაღწია. ალექსეი კომნენოსი იყო სტრატეგიის, თუ შეიძლება ითქვას, პოლიტიკური სტრატეგიის დიდოსტატი, იგი ყველაზე უმძიმეს სიტუაციებშიც კი ახერხებდა მის მოწინააღმდეგეთა შორის არსებული წინააღმდეგობების თავის სასარგებლოდ გამოყენებასა და სასურველი შედეგის მიღწევას. მაგალითად, მან ძალზედ მოხერხებულად შესძლო პაჭანიკებსა და ყივჩაღებს შორის არსებული დაპირისპირების გაღრმავება და ყივჩაღების ხელით პაჭანიკებზე გამარჯვების მოპოვება. ასევე ეფექტურად გამოიყენა რუმის სასულთნოსა და სელჯუკთა დიდ იმპერიას შორის არსებული წინააღმდეგობები, რომლის მეშვეობითაც შესძლო სინოპისა და ტრაპიზონის შენარჩუნება უმძიმესი კრიზის პირობებში. ფაქტობრივად, მან მოახდინა (ყოველ შემთხვევაში მის საწყის ეტაპს ძალიან შეუწყო ხელი) ჯვაროსნული ლაშქრობების პროვოცირება, რომელთა შედეგადაც იმპერიის შემადგენლობაში დააბრუნა მნიშვნელოვანი ტერიტორიები მცირე აზიაში და ა. შ. ალექსი კომნენოსი როგორც დიპლომატი, აშკარად აღემატებოდა კომნენოს მხედართმთავარს, მართალია, მრავალრიცხოვან ომებში მან საკმაოდ ბევრი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ მარცხიც ბევრჯერ იგემა, რის გამოც ისიც და მისი იმპერიაც რამდენჯერმე დაღუპვის პირზე იდგნენ.[9]

ალექსი კომნენოსისგან სრულიად განსხვავებულ ფიგურას წარმოადგენდა ინგლისის ჯვაროსანი მეფე რიჩარდ ლომგული (1189-1199 წწ.), რომლის მეომრული თვისებები და რაინდული შემართება, დღესაც კი ლეგენდების საფუძველია. რიჩარდ ლომგული ითვლება შუასაუკუნეების ერთ-ერთ საუკეთესო მხედართმთავრად, სინამდვილეში კი, იგი უფრო არა მხედარმთავარი, არამედ პირველი რაინდი და საოცარი სიმამაცისა და გამბედაობის მქონე მეომარი იყო, ამასთან, მისი სტრატეგიული აზროვნება აშკარად ჩამორჩებოდა მის მართლაც და გამორჩეულ მეომრულ თვისებებს. რიჩარდ ლომგულმა როგორც საფრანგეთში (იმ დროს თანამედროვე საფრანგეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა), ასევე წმინდა მიწაზე ჯვაროსნული ლაშქრობისას, არაერთი ბრწყინვალე ბრძოლა მოიგო, შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ შეტაკებაში იგი არასოდეს არ დამარცხებულა, მაგრამ უმთავრესი სტრატეგიული ამოცანების შესრულება, მან ვერც საფრანგეთში შეძლო, სადაც ის ინგლისის მფლობელობის შენარჩუნებას ცდილობდა და ვერც პალესტინაში, სადაც მისი ბრძოლა იერუსალიმის დასაბრუნებლად, მიუხედავად სამხედრო გამარჯვებებისა, მაინც უშედეგოდ დამთავრდა.[10]

დავით აღმაშენებლის ეპოქის ცნობილ მხედარმთავრებს, ასევე მიეკუთვნებოდა (თამარ მეფის თანამედროვე) მუსლიმური სამყაროს ყველა დროის ერთ-ერთი გამორჩეული გმირი სალადინი, რომელმაც დიდ წარმატებებს მიაღწია ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ სალადინმა შეძლო იერუსალიმის პირველი სამეფოს განადგურება, მან მაინც საკმაოდ ბევრი სტრატეგიული ხასიათის შეცდომა დაუშვა (ყველაზე დიდი შეცდომა იყო საპორტო ქალაქ ტირის ჯვაროსნების ხელში დატოვება, რაც შემდეგ ჯვაროსნებმა ახალი ლაშქრობის ბა-

ზად გამოიყენეს), რითაც შესაძლებლობა მისცა ჯვაროსნებს უკან დაებრუნებინათ პალესტინის საგრძნობი ნაწილი. მიუხედავად მუსლიმურ სამყაროში დღემდე არსებული ლეგენდებისა სალადინის დაუმარცხებლობის შესახებ, რეალობაში ეს ასე არ იყო და სალადინმა რამდენიმე საკმაოდ სასტიკი დამარცხება იწვხია. პირველად იგი დაამარცხა იერუსალიმის 16 წლის მეფემ, ბალდუინ IV-მ მონგიესარდის ბრძოლაში, როდესაც სალადინმა პირდაპირი მნიშვნელობით ძლივს დააღწია სიკვდილს თავი და ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გაიქცა. ასევე სასტიკი დამარცხებები იგემა მან რიჩარდ ლომგულისგან იაფესა და არსუფის ბრძოლებში. შეიძლება ითქვას, რომ თავისი უმთავრესი სტრატეგიული ამოცანის, ჯვაროსნების სირია-პალესტინიდან განდევნის შესრულება, სალადინმა ვერ შეძლო, თუმცა ჯვაროსანთა სიძლიერეს უდიდესი დარტყმა მიაყენა.[11]

თუ ჩვენ მოვახდენთ ერთგვარ პირობით შედარებას დავით აღმაშენებელსა და და დასახელებულ მხედართმთავრებს შორის, აშკარად დავინახავთ, რომ დავით აღმაშენებელი არათუ რამეთი ჩამორჩებოდა მათ, არამედ მხედართმთავრისთვის აუცილებელი ამა თუ იმ ღირსებების კომპლექსით აჭარბებდა კიდეც მათ.

დავით აღმაშენებლისთვის აბსოლუტურად უცხო იყო ანტიოქიის მთავარის ბოემუნდის ავანტურიზმი და გაუფრთხილებლობა, ალექსეი კომნენოსისგან განსხვავებით ბრძოლებში დამარცხება, რიჩარდ ლომგულის არათანმიმდევრობა სტრატეგიული მიზნების მიღწევისას და სალადინის შეცდომები სამხედრო კამპანიების წარმოებისას. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დავით აღმაშენებელი შემკული იყო დიდი მხედართმთავრისთვის საჭირო ყველა ღირსებით, რაც პირდაპირ პროპორციულად აისახა მისი მოღვაწეობის შედეგებსა და საქართველოს წარმატებებში.

დავით აღმაშენებელს არ წაუგია არც ერთი ბრძოლა. არ შეუწყვეტია შუა გზაზე არც ერთი თავისი სამხედრო კამპანია. მიუღწეველი არ დარჩენია არც ერთი სტრატეგიული მიზანი. დავით აღმაშენებლის მემატიანე მიუთითებდა, რომ: „თუმცა დავითს სპარსთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი."[12] ჩვენთვის, ეს ალბათ ერთადერთი მონაკვეთია დავით აღმაშენებლის მემატიანის ქრონიკიდან, რომელსაც ყოველგვარი კრიტიკისა და შენიშვნის გარეშე უნდა დავეთანხმოთ. ასეთი გამორჩეული პირადი ღირსებების მქონე მეფე და მხედართმთავარი, ნამდვილად ჩაწერდა არაერთ სასახელო ფურცელს მსოფლიო ისტორიაში, მისი მეფობის ქვეშ უფრო დიდი სამეფო და უფრო მეტი რესურსი რომ ყოფილიყო, მაგრამ საბედნიეროდ, დავით აღმაშენებელი საქართველოს მეფე იყო და მან ამ რანგშიც დატოვა გამორჩეული კვალი როგორც საქართველოს, ასევე იმდროინდელი მსოფლიოს ისტორიაშიც.

შენიშვნები და მითითებული ლიტერატურა

წინასიტყვაობა

1. Ата-Мелик Джувейни. Чингисхан. История Завоевавателя Мира. Москва. "МАГИСТР-ПРЕСС." 2004. стр. 482-497; Маршалл Дж. С. Ходжсон. Орден Ассасинов. стр. 318.

თავი I

გეო-პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიასა და წინა აზიაში XI საუკუნის II ნახევარში

სელჯუკთა ექსპანსიის წინა პერიოდი

1. სელჯუკებისა და მათი ექსპანსიის შესახებ იხ. ნ. შენგელია. სელჯუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბილისი. "მეცნიერება." 1968. გვ. 62-121; С. Г. Агаджанов. К. И. Юзбашян. К истории тюркских набегов на Армению в XI в. ПС. №13 (76). Москва Ленингад. "НАУКА." 1965. стр. 144-158; Р. А. Гусейнов. Из истории отношений византии с сельджуками. ПС. №23 (86). Ленингад. "НАУКА." 1971. стр. 156-161; К. Н. Юзбашян. Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв. Москва. "НАУКА." 1988. стр. 235; История Востока. т. II. гл. редактор Р. Б. Рыбаков. Москва. "Восточная Литература." 2002. стр. 268-283; С. И. Лучицкая. Образ другого. Мусульмане в хрониках крестовых походов. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2001. стр. 166-167; Луи Альфан. Варвари от Великого переселения народов до тюркских завоеваний XI века. Санкт-Петербург. "Евразия." 2003. стр. 283-288; the Cambridge History of Iran. v. 5. the Saljuq and Mongol Periods. Edeted by J. A. Boyle. "Cambridge University Press." 1968. pp. 12-92; Claude Cahen. the Turkish Invation: the Selchukids. A History of the Crusades. v. I. the First Hundred Years. Edited by Marshall W. Baldwin (Editor in Chief Kenneth M. Setton). Madison. "University of Wisconsin Press." 1969. pp. 135-176; Erik Hildinger. Warriors of the Steppe. A Military History of Central Asia, 500 B.C. to 1700 A.D. "Da Capo Press." Cambridge. 2001. pp. 93-110; J. I. Saunders. mongol conquests. "University of Pennsylvania Press." 1971. p. 31-43;

2. Шарль Диль. Основные проблемы Византийской Истории. Москва. "Иностранная литература." 1947. стр. 48; Ф. И. Успенский, История Византийской Империи, т. 3, Москва, "Астрель." 2002, стр.656-670; Г. Л. Курбатов. История Византии. Москва. "Высшая школа." 1984. стр. 130;

3. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. თბილისი. "საბჭოთა საქართველო". 1979. გვ. 170-191; К. Н. Юзбашян. Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв. стр. 93-116.

სელჯუკთა ექსპანსია

1. ამ მდგომარეობას ბიზანტიელი მხედართმთავარი და ისტორიკოსი ნიკიფორე ვრიენისი შემდეგნაირად განმარტავდა: "Но может быть нужно еще сказать и о причинах, по которым они (სელჯუკები-ს.მ.) начали воевать с Ромеями, несмотря на то, что сначала

боялись войны с ними и трепстали от одной молвы о доблестях трех предшествовавших василевсов, разумею Никифора Фоку, Иоанна и Порфирородного Василия, ибо думали, что у ромеев сохраняется сще то же мужество и та же сила." Никифор Вриенний. Исторические записки (976-1087). Автор Коментариев А. А. Калинин. Москва. "Посев." 1997. стр. 37-38; Р. А. Гусейнов. Из истории отношений византии с сельджуками. стр. 157.

2. ნ. შენგელია. სელჯუკები და საქართველო XI საუკუნეში. გვ. 219-248; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 196-209;

3. საპორტო ქალაქების, ე.ი. საზღვაო კომუნიკაციებისა და მომარაგების გზების კონტროლი, მნიშვნელოვან სტრატეგიულ ფაქტორს წარმოადგენდა სელჯუკების წინააღმდეგ საბრძოლველად ბიზანტიელებისა და ჯვაროსნებისთვის, რომელთათვისაც სამხედრო წარმატებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სწორედ საპორტო ქალაქების მათ ხელში ყოფნა იყო.

4. სხვადასხვა აღმოსავლური ქრონიკები ბიზანტიის არმიას შემდეგ ციფრებში მიუთითებენ, ალ-ფარიკი 100 ათასი, იბნ ალ-ასირი 200 ათასი, ალ-ბუნდარი და სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინი 300 ათასი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზი და იბნ ალ-ვარდი 400 ათასი, იბნ ალ-კალანისი 700 ათასი, ხოლო დასახელებულ ავტორთაგან ერთ-ერთის (ალ-ჰუსაინის) მიხედვით, ალფ-არსლანს მხოლოდ 15 ათასი მეომარი ჰყოლია. ე.ი. აღმოსავლური წყაროების მიხედვით, 15 ათასმა მოუგო 300 ათასს, რასაკვირველია, ასეთი შეფარდება სრული აბსურდია. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. Сливки летописей, сообщающих о сельджукских эмирах и государях. Издание текста, перевод, введение и примечания, приложение З. М. Буниятова. Москва. "Восточная Литература." 1980. глава 18. стр. 57. зам. 16.

მაგალითად, აღმოსავლური ქრონიკები იმის მტკიცებაში, რომ ალფ-არსლანმა უმნიშვნელო ძალებით დაამარცხა ბიზანტიელები, იმასაც უთითებენ, რომ ბიზანტიური არმიის შემადგენლობაში, სხვებთან ერთად 100 ათასი ქართველი მეომარიც იმყოფებოდა (იბნ ალ-ვარდი), Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. глава 18. стр. 57. зам. 16. რაც ასევე არ შეიძლება რეალობას შეეფერებოდეს.

მოწინააღმდეგის ძალების ფანტასტიკურ ციფრებში წარმოდგენის ტენდენცია თანაბრადაა დამახასიათებელი, როგორც აღმოსავლური, ასევე სხვა დანარჩენი წყაროებისთვის. მაგალითად, ვილჰელმ ტირელი იგივე მანციკერტის ბრძოლის მონაწილე მუსლიმური არმიის შესახებ აღნიშნავდა, ალფ-არსლანის თანმხლები მეომრები და მათი ოჯახები იმდენი იყვნენ, რომ რაოდენობით დედამიწას დაფარავდნენო (История Средних Веков. Крестовие Походи. Составитель М. М. Стасюлевич. Сантк-Петербург-Москва. "Полигон-Аст." 2001. стр.38-39).

სამხედრო ხელოვნების ისტორიის ცნობილი მკვლევარი ჰანს დელბრიუკი, მანციკერტის ბრძოლაში ბიზანტიური არმიის რაოდენობას 10 000 მეომრის ფარგლებშიც კი, გადაჭარბებულად მიიჩნევდა. Г. Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории. том III. Средневековье. Сантк-Петербург. "НАУКА-ЮВЕНТА." 1996. стр. 128; სხვა გამოკვლევებში კი, ეს ციფრი 40-60 ათასის ფარგლებშია მითითებული. John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. "Cambridge University Press." 1999. p. 152;

ასეთი ტენდენცია სხვებთან ერთად, ჩვეულებრივია ქართული წყაროებისთვისაც, მაგალითად, "მატიანე ქართლისა" იმავე ალფ-არსლანის არმიის რაოდენობას ერთ შემთხვევაში 500, ხოლო მეორე შემთხვევაში 700 ათასით მიუთითებს ქართლის ცხოვრება. სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. "სახელგამი". ტ. I. 1955. გვ. 310, 314, დავით აღმაშენებლის მემატიანეს მიხედვით, `აღმაშენებელს 1500 მეომრით დაუმარცხებია

სელჯუკთა 100 ათასიანი არმია (ქართლის ცხოვრება. ტ. I. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. "სახელგამი." 1955. გვ. 332), თამარის პირველი ისტორიკოსი ბასიანის არმიის დროს რუმის სულტანის რუქნ ად-დინის არმიას 400 ათასით, ხოლო ბასილი ეზოსმოძღვარი 800 ათასი მეომრით საზღვრავდა. ქართლის ცხოვრება. ტ. II. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. "საბჭოთა საქართველო." 1959. გვ. 93; 132; ეს ციფრები ისეთივე არარეალურია, როგორც 15 ათასი მეომრით 300 ათასზე გამარჯვება. იმდროინდელ არმიათა რაოდენობების შესახებ, იხ. წინამდებარე ნაშრომის IV-V თავები.

5. Р. Эрнест Дюпюи. Тревор Н. Дюпюи. Всемирная История Войн. т. I. Санкт Петербург-Москва. "Полигон-Аст." 2000. стр. 634-635; 641-648; Р. А. Гусейнов. Из истории отношений Византии с сельджуками. стр. 160-162.

6. ნ. შენგელია. სელჯუკები და საქართველო XI საუკუნეში. გვ. 291-297; Шарль Диль. История Византийской Империи. стр. 96-97; Ф. И. Успенский, История Византийской Империи, том. 4. Москва, "Астрель," 2002, стр. 71-90; Г. Г. Микаелян. История Киликийского армянского государство. Ереван. 1952. стр. 70-89; А. Г. Сукиасян. История Киликийского армянского государства и права. Ереван. "МИТК." 1969. стр. 15-24; Anne E. Redgate. the Armenians. "Blackwell publishing." 2000. pp. 255-258.

7. Ф. И. Успенский, История Византийской Империи, том. 4. стр. 88-90; В. А. Горделевский. Государство Сельджукидов Малой Азии. Избранные Сочинения. том I. Москва. "Восточная Литература." 1960. стр. 49-50.

8. Анна Комнина. Алексиада. 9. Вступительная статья, перевод, комментарий Я. Н. Любарского. Москва. Издательство "Наука". 1965. Книга. VI. Глава. стр. 191; Шарль Диль. История Византийсой Империи. стр. 103-104.

9. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 202; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. თბილისი. "მეცნიერება." 1995. გვ. 9.

პოლიტიკურ ძალთა ბალანსი სელჯუკთა ექსპანსიის შემდგომ

1. სომხური სახელმწიფოები, გარდა ტაშირ-ძორაკერტისა, X ს. II ნახევარსა და XI ს. I ნახევარში (966 წ. ტარონის სამეფო, 1021 წ. ვასპურაკანი, 1045 წ. ანისი, 1064 წ. ვანანდი) შეიერთა ბიზანტიის იმპერიამ, В. П. Степаненко. О причинах и датировке передачи Васпуракана Византии. ВВ. №38. "НАУКА." 1977. стр. 79; К. Н. Юзбашян. Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв. стр. 117-215; თუმცა მცირე ხნით, X საუკუნის დასასრულისთვის, ყველა ეს სახელმწიფო სელჯუკების ხელში აღმოჩნდა. К. Н. Юзбашян. Армянские государства эпохи Багратидов и Византия в IX-XI вв. стр. 216-235; Anne E. Redgate. the Armenians. pp. 224-229.

სომხეთის სამეფოების დაპყრობის შემდეგ, სომხური არისტოკრატიისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებული აღმოჩნდა კაბადოკიისა და მის მიმდებარე რეგიონებში, სადაც ცალკეულმა არისტოკრატულმა საგვარეულოებმა (ბიზანტიის იმპერიის ყოფილმა მაღალი რანგის მოხელეებმა), ისარგებლეს რა ბიზანტია-სელჯუკებს შორის ომით, ხელში ჩაიგდეს ცალკეული ქალაქები, ანტიოქია, მარაში, მელიტენა, ედე-

სა და სხვა. პირველი სომხური სახელმწიფოს შექმნის მცდელობა X ს. 70-80-იან წლებში ჰქონდა სომეხ დიდგვაროვანს ფილარეტ ვარაჯუნის, რომლის ხელშიც აღმოჩნდა ამ ქალაქების უმრავლესობა, მაგრამ მისი მცდელობა მარცხით დამთავრდა მას შემდეგ, რაც ვარაჯუნის მთავარი ქალაქი ანტიოქია, 1084 წელს დაიკავეს სელჯუკებმა, რის შემდეგაც ფილარეტის სამფლობელო რამდენიმე ნაწილად დაიშალა. ანტიოქია დარჩა სელჯუკების ხელში, სხვა მსხვილი ქალაქების სათავეში კი, სხვადასხვა სომეხი მმართველები აღმოჩნდნენ. ედესაში ტოროსი, მელიტენაში გაბრიელი, რაბანში კოხ ვასილი, სისში კონსტანტინე რუბენიდი.

ამ მმართველებიდან სამფლობელოების შენარჩუნება მხოლოდ რუბენიდებმა შესძლეს, რომელთაც ისარგებლეს რა ჯვაროსნული ლაშქრობებით და ჯვაროსნებსა და ბიზანტიას შორის არსებული სირთულეებით, გააფართოვეს ტერიტორიები, რომლებზედაც საბოლოოდ, მოხდა კილიკიის სოხეთის სამეფოდ ფორმირება 1198 წელს. А. Г. Сукиасян. История Киликийского армянского государства и права. стр. 29, 49-50; John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. pp. 167-168; Anne E. Redgate. the Armenians. pp. 256-261.

საქართველოს სამეფო სელჯუკთა ექსპანსიის პერიოდში

1. ამ ლაშქრობებს და საქართველოს ომებს სელჯუკებთან, საკმაოდ ვრცლად აღწერს ალ-ჰუსაინი, Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве, глава 13. стр. 50, глава 17. стр. 54-55; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 198-201; ნ. შენგელია. სელჯუკები და საქართველო XI საუკუნეში. გვ. 301-302;

2. ალ-ჰუსაინის ცნობით, ბაგრატის არმიას ბარდავიც დაურბევია, Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве, глава 17. стр. 54; რაც იმას ნიშნავს, რომ ბაგრატ IV-მ სელჯუკების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე ძალიან ღრმა შეტევითი ოპერაცია განახორციელა, რაც სელჯუკებზე პირდაპირ თავდასხმას ნიშნავდა. ამის საპასუხოდ, ალფ-არსლანმა ილაშქრა საქართველოში და სასტიკად ააოხრა ქართლი და იმერეთის ნაწილი. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Соощения о сельджукском государстве, глава 17. стр. 54-57.

3. ფარცხისის ბრძოლა გაიმართა 1074 წელს, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 202, რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. თბილისი. "თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა." 2002. გვ. 66; როდესაც საქართველოში შემოვიდა სელჯუკთა არმია, ქართული წყაროების სარანგის მეთაურობით (ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 317). ეს "სარანგი" (ნიშნავს სარდალს) უნდა ყოფილიყო სელჯუკი სულთნების, თოღრულის, ალფ-არსლანისა და მალიქ-შახის ცნობილი ემირი საუ-ტეგინი, რომელიც სელჯუკთა დაპყრობების ერთგვარ "ბებერ მგელს" წარმოადგენდა. მან ჯერ კიდევ 1068 წელს ილაშქრა საქართველოში, როდესაც მეთაურობდა ალფ-არსლანის არმიის ავანგარდს. მალიქ-შახმა იგი დანიშნა არანის გამგებლად, საიდანაც 70-იან წლებში იგი ცდილობდა მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას, თუმც უშედეგოდ. В. Ф. Минорский. Историа Ширвана и Дербенда. Москва. "Издательство восточной литературы." 1963. стр. 94, 103.

4. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 321; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 205-206; ნ. შენგელია. სელჯუკები და საქართველო XI საუკუნეში. გვ. 313-315; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 11-12.

5. ანა კომნენოსის ცნობით, სინოპის ბიზანტიისთვის დაბრუნება მომხდარა ბიზანტიიის საიმპერატორო კარზე გაგზავნილ, მალიქ-შახის ელჩის, ჩაუშის მეშვეობით, რომელიც მამით თურქი და დედით ქართველი ყოფილა. ამ გარემოების შეტყობის შემდეგ, ალექსი კომნენოსს ელჩი თითქოსდა ქრისტიანობის მიღებაზე დაუთანხმებია. Анна Комнина. Алексиада. Книга. VI. Глава. 9. стр. 191;

6. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 90. стр. 108; მითითებულია Л. А. Семенова-ს მონოგრაფიაში, Из истории средневековой Сирии. Сельджукский период. Москва. "Наука." 1990. стр. 105-217, გამოქვეყნებული ტექსტის მიხედვით.

7. ანა კომნენოსი პირდაპირ მიუთითებს მალიქ-შაჰის მხრიდან ბიზანტიის იმპერატორთან საზავო მოლაპარაკებების დაწყების მიზეზს. მისი მიხედვით სელჯუკთა დიდ სულთანს, ტუტუშის სულეიმანზე გამარჯვების შემდეგ, მისი გაძლიერების ეშინოდა და ბიზანტიასთან ურთიერთობის დარეგულირებით ცდილობდა გაძლერების გზაზე დამდგარი ძმის შესაძლო სეპარატისტული ტენდენციების დაბალანსებას. იხ. Анна Комнина. Алексиада. Книга VI. Глава 9. стр. 191; История Востока. т. II. стр. 272-273.

8. სელჯუკებისთვის ყოველწლიურად გადასახდელი თანხის სიდიდე უცნობია, თუ ვიმსჯელებთ შირვანის მაგალითით, რომელის ხარკის სიდიდეც 70 ათასს შეადგენდა, Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве, глава 26. стр. 76; შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გადასახდელი თანხა საქართველოსთვისაც რამდენიმე ათეული ათასი დინარის ფარგლებში უნდა ყოფილიყო. საქართველოს სამეფოს თანხის გადახდასთან ერთად, სელჯუკთა არმიაში მეომართა გაგზავნის ვალდებულებაც, რომ გააჩნდა, ეს კარგად ჩანს სელჯუკთა იმპერიის დიდი ვეზირის, ნიზამ ალ-მულკის "სიასეტ-ნამე-"დან, სადაც სელჯუკთა დიდი ვეზირი არმიაში ქართველი მეომრების (გურჯების) ყოფნის აუცილებლობას მითითებდა: "Когда все войско одного рода, возникает от этого опасность, не бывает большого старания, происходят беспорядки. Надо, чтобы войско было составлено из разных племен; так, при дворе должны пребывать две тысячи человек дейлемцев и хорасанцев; пусть сохранят тех, кто в наличии, а остальных добавят. Если будет некоторое число гурджи или шабанкарэ из Парса — неплохо, ибо это — все люди добрые." Низам ал-мульк. Сиасет-наме. глава 24. Перевод Б. Н. Заходера. Москва. АН СССР. 1949. стр. 109; მოყვნილი ცნობიდან ისიც კარგად ჩანს, რომ სელჯუკთა არმიაში გასაგზავნი მეომრების რაოდენობა დიდი არ უნდა ყოფილიყო, ალბათ რამდენიმე ასეული. ყოველ შემთხვევაში, ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა დეილემელების (სამხრეთ კასპიისპირეთის, მაზანდარისა და გილიამის მცხოვრებნი) დასახელებული რაოდენობა, 2 ათასი და ამასთან შედარებით ნიზამ ალ-მულკის შენიშვნა, ქართველთა მეომართა გარკვეულ (некоторое число) რაოდენობაზე.

9. მომთაბარე თურქმენების "ანარქიზმის" შესახებ საინტერესო ცნობა აქვს დაცული XIII საუკუნის ცნობილ არაბ ისტორიკოსს, "ხალების (ალეპოს) ისტორიის" ავტორს, ქამალ-ად-დინ იბნ ალ-ადიმს. მისი მიხედვით, თურქმენები, რომლებიც დაქირავებულნი იყვნენ მარდინის ემირის, ილ-ღაზის (ეთნიკურად ასევე თურქმენის) მიერ 1120 წელს, უკმაყოფილო დარჩნენ ლაშქრობის შედეგებით, რადგანაც: "Им не пришлось сражаться за крепости и брать добычу. Они продали пленных, которых взяли в первой схватке, и вернулись в свои области, вымещая свое зло на мусульманах, убивая и уводя в плен." Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 195. стр. 154;

10. მთელ რიგ ისტორიულ გამოკვლევევში მომთაბარე თურქმენები და სელჯუკები, "თურქ-სელჯუკების" კრებითი სახელის ქვეშ ერთმანეთთან არიან გაიგივებულნი, ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისთვის. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი. "მეცნიერება." 1971. გვ. 158; რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. გვ. 81-82; ნ. ასათიანი. საქართველოს ისტო-

რია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. თბილისი. "საქართველოს მაცნე." 2005. გვ. 157; რითაც მიიჩნეულია, რომ რომ დავით აღმაშენებლის მიერ გატარებული ნებისმიერი "ანტითურქული" ღონისძიება მიმართული იყო სელჯუკების წინააღმდეგ. სინამდვილეში, მიუხედავად საერთო წარმომავლობისა, მომთაბარე თურქმენები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდნენ სელჯუკებისგან ცხოვრებისა და მეურნეობის წესით. სელჯუკებმა (და მათთან ერთად ოღუზთა თურქულ-თურქმენული ტომების უმრავლესობამ) ჯერ კიდევ ირანის დაპყრობის (თოღრულისა და ალფ-არსლანის) პერიოდში დინამიურად მიატოვეს მომთაბარეობა და ცხოვრების სახელმწიფოებრივ ფორმაზე გადავიდნენ, მაშინ, როდესაც თურქმენულ ტომთა გარკვეული ნაწილი მომთაბარეებად რჩებოდა არათუ სელჯუკთა ექსპანსიის ადრეულ, არამედ შემდგომ ეტაპებზეც. რასაკვირველია, მომთაბარე თურქმენები სელჯუკთა ბუნებრივი მოკავშირეები იყვნენ და სელჯუკთა ხელისუფლება მათ სამხედრო ძალას სისტემატურად იყენებდა, მაგრამ წინა აზიისა და სამხრეთ ამიერკავკასიის ერთობლივად დაპყრობის შემდგომ, თურქმენ ტომთა ის ნაწილი, რომელმაც არ მიატოვა მომთაბარეობა და სელჯუკთა სახელმწიფოს ორგანული ნაწილი არ გახდა, სელჯუკთა სახელმწიფოებრიობასთან დიდ წინააღმდეგობაში მოვიდა, რითაც ფაქტიურად, კანონგარეშე მდგომარეობაშიც აღმოჩნდა. История Востока. т. II. стр. 270; С. И. Лучицкая. Образ другого. Мусульмане в хрониках крестовых походов. стр. 167;

მომთაბარე თურქმენთა ცხოვრების წესისა და მოქმედების დამოუკიდებელი, არასახელმწიფოებრივი ხასიათი ჯერ კიდევ სელჯუკთა დაპყრობების ადრეულ ეტაპებზე, როდესაც ისინი სელჯუკი სულთნების მითითებების გარეშე გეგმავდნენ და ახორციელებდნენ თავის მძარცველურ რეიდებს, კარგად ჩანს სხვადასხვა წერილობითი წყაროების ცნობებიდან. მაგალითად, ალ-ჰუსაინი აღწერს ეპიზოდს, როდესაც (1063 წ.) სულთანი ალფ-არსლანი თავისი არმიით დაბანაკებული იყო ქალაქ მარდინთან და ემზადებოდა ბიზანტიელების წინააღმდეგ სალაშქროდ, მის სამსახურში (აშკარად როგორც მოქირავნე) შევიდა თურქმენი ემირი ტუგ-ტეგინი და საქართველოში, როგორც ბიზანტიელთა მოკავშირე ქვეყანაში ლაშქრობა და გამყოლობა (გზების ჩვენება) შესთავაზა: "На пути к ар-Руму (ბიზანტია-ს.მ.) был некий эмир-проводник, его звали эмир Туг-Тегин. При нем собралось группа воинов из числа туркмен, они наносили ущерб румам, и от их набегов и походов ар-Рум постигло унижение. Этот эмир вступил на службу к султану, и тот поручил ему сопровождать войска через труднопроходимые места этой страны. Он сообщил султану что страна грузин (ал-Курдж) стала для страны византийцев (ар-Рум) поприщем для обольщения и пастбищем для безбожия и тиранства. И султан отправился в страну грузин." Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. глава 18. стр. 49;

მსგავსი შინაარსისაა დავით აღმაშენებლის მემატიანის ცნობაც ამირა აჰმადის შესახებ, რომელმაც აიღო ყარსი, დაამარცხა გიორგი II და ააოხრა სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. უკან გაბრუნებულ, ნადავლით დატვირთულ აჰმადს, შეხვდნენ სხვა ემირები (იასი და ბუჟღუშ, მათი სახელები აშკარად არასწორი ფორმითაა გადმოცემული), რომლებიც ბიზანტიის ტერიტორიებზე სათარეშოდ მიდიოდნენ. აჰმადმა მათ შესთავაზა საქართველოში, როგორც მდიდარ ქვეყანაში წასვლა, რის შემდეგაც „მათ მყის მოაქცივნეს გზანი მათნი და მოეფინნეს პირსა ყოვლისა ქუეყანისასა, ვითარცა მკალნი." ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 319;

ორივე ცნობიდან ძალიან კარგად ჩანს, რომ როგორც ემირი ტუგ-ტეგინი, ასევე აჰმადთან შეხვედრილი ემირები თურქმენი მომთაბარეები არიან. ტუგ-ტეგინი ალფ-არსლანისგან დამოუკიდებლად თარეშობდა ბიზანტიასა თუ საქართველოში და სულთანთან მხოლოდ მაშინ მივიდა, როდესაც ის თავისი არმიით წინა აზიაში გამოჩნდა. ხოლო იასი და ბუჟღუში თავის ნებაზე ცვლიან ლაშქრობის თავდაპირველ მიმართულებას, რითაც ჩანს, რომ ისინი არავის წინაშე არ არიან პასუხისმგებელნი, ანუ არ ასრულებენ არავის დავალებას, განსხვავებით ამირა აჰმადისგან, რომელიც გეგმაზომიერად მოქმედებს (იღებს ყარსს, ებრძვის ქართულ არმიას და ბრუნდება უკან) და აშკარად სელჯუკთა ხელისუ-

ფლების დავალებებს სრულებს.

განსხვავებას ზოგადად თურქებსა და მომთაბარე თურქმენებს შორის XII საუკუნისთვის, ხაზგასმით აღნიშნავდა სელჯუკების თანამედროვე, იერუსალიმის სამეფოს მემატიანე ვილჰელმ ტირელი: „Чтобы сделать различие в имени людей того племени, которое, избрав короля, снискало себе великую славу, и тех, которые, не изменяя прежнего образа жизни, оставались в своей первобытной дикости, первые назывались турками, а последние сохранили древнее название туркоманов." История Средних Веков. Крестовие Походы. Составитель М. М. Стасюлевич. стр. 37; ვილჰელმ ტირელის ქრონიკა დაიწერა 1170-1184 წლებს შორის,. რაც იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგობები სელჯუკთა სახელმწიფოებსა და მომთაბარე თურქმენებს შორის უკვე იმ დროისთვის მკაფიოდ იყო ჩამოყალიბებული. აღნიშნული საკითხის შესახებ დეტალურად იხ. III თავის ქვეთავი, „ბრძოლა თურქმენ მომთაბარეთა წინააღმდეგ." აგრეთვე, იმავე ქვეთავის № 2 შენიშვნა.

11. Лорд Кирносс. Расцвет и упадок Османской империи. Москва."КронПресс". 1999. стр. 25; Л. А. Семенова. Из истории средневековой Сирии. стр. 77-81; В. А. Горделевский. Государство Сельджукидов Малой Азии. стр. 52-53, 92-93; Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток (1204-1461). Сантк-Петербург. "АЛЕТЕЯ." 2001. стр. 192-194.

12. Г. Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории. том III. стр. 179-180; David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia. Greenhill Books. London. Stackpole Books. Pennsylvania. pp. 21-22; Ian Heath. Byzantine Armies. AD 1118-1461. "Osprey publishing." 2005. pp. 34-35; David Nicolle. Saladin and Saracens Armies of the Middle East 1100-1300. "Osprey publishing." 1999. pp. 6-7.

13. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 320; ნ. შენგელია. სელჯუკები და საქართველო XI საუკუნეში. გვ. 310-321;

ცნობილი ინგლისელი ბიზანტოლოგი ენტონი ბრაიერი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მომთაბარეებმა მოახდინეს მცირე აზიისა და ამიერკავკასიის დიდი ნაწილის "ნომადიზაცია," ცალკეულმა სახელმწიფოებმა (საქართველომ, კილიკიის სომხეთმა) და ანატოლიის ზოგიერთმა რეგიონმა (ბერძნული პონტო, ფილადელფია) აჩვენეს, რომ მომთაბარეები სრულიადაც არ იყვნენ გადაულახავი ძალა. ე. ბრაიერის აზრით, იქ სადაც არსებობდა ძალაუფლების ლოკალურ ავტონომიზმზე დაყრდნობილი წინააღმდეგობის სურვილი, რომელიც შეერთებული იყო ცენტრალიზებული სახელმწიფოს შემაკავებელ ფაქტორთან, არავითარ თურქმენებს არ შეეძლოთ წარმატების მიღწევა. A. Bryer. Greeks and Turkmens: the Pontic Exception. DOP. 1975. v. 29. pp. 115-116.

თავი II

ცვლილებები პოლიტიკურ ვითარებაში. ამიერკავკასია და წინა აზიის რეგიონები XI-XII საუკუნეების მიჯნაზე

ჯვაროსანთა შეტევა სელჯუკებზე

1. Steven Runciman. A History of the Crusades. v. I. „penguin books.' 1991. pp. 175-183; Robert Payne. the Crusades. wordsworth editions.1998. pp. 67-70; „Osprey publishing." 2003. pp. 32-35;

2. Steven Runciman. A History of the Crusades. v. I. p. 182; John France. Victory in the East. A

Military history of the First Crusade. pp. 159-165.

3. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ჯვაროსანთა გამარჯვება დორილეუმის (თან. ესკიშეხირი) ბრძოლაში. იხ. Steven Runciman. A History of the Crusades. v. I. pp. 184-186; Robert Payne. the Crusades. pp. 70-71; David Nicolle. the First Crusade. pp. 35-41; John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. pp. 169-172.

4. Л. А. Семенова. Из истории средневековой Сирии. стр. 9-10; Steven Runciman. A History of the Crusades. v. I. pp. 213-235; Robert Payne. the Crusades. pp. 77-82; David Nicolle. the First Crusade. p. 49-60; John France. Victory in the East. A Military History of the First Crusade. pp. 269-296;

5. Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. "penguin books." 1990. pp. 18-31;

ბიზანტიელთა კონტრშეტევა სელჯუკებზე

1. Шарль Диль. История Византийской Империи. Москва. "Иностранная литература." 1948. стр. 104; David Nicolle. the First Crusade. pp. 47-48;

2. Анна Комнина. Алексиада. Книга XI. Глава 5. стр. 303-304; Шарль Диль. История Византийсой Империи. стр. 104; David Nicolle the First Crusade. pp. 47-48.

3. Шарль Диль. История Византийской Империи. стр. 105; David Nicolle the First Crusade. pp.47-48;

4. Шарль Диль. История Византийской Империи. стр 105; Ф. И. Успенский, История Византийской Империи, том. 4. стр. 227-228;

ფატიმიდთა კონტრშეტევა სელჯუკებზე

1. Steven Runciman. A History of the Crusades. v. I. pp. 265-314; David Nicolle the First Crusade. pp. 61-72;

2. ფატიმიდებისა და სელჯუკების ანტიჯვაროსნული ინტერესების დამთხვევამ შექმნა საფუძველი მათი გაერთიანებისთვის, რასაც სალადინის მიერ ეგვიპტურ-სირიული იმპერიის შექმნა მოჰყვა შედეგად, რომელმაც საბოლოო ჯამში, 1187 წელს, გაანადგურა იერუსალიმის სამეფო. Жан Ришар. Латино-Иерусалимское Королевство. Сантк- Петербург. "Евразия." 2002. стр.162-178;

ისმაილიტების აჯანყება

1. Маршалл Дж. С. Ходжсон. Орден Ассасинов. Сантк-Петербург. "Евразия." 2004. стр.13-44;

2. Маршалл Дж. С. Ходжсон. Орден Ассасинов. стр. 71-78;

3. ისმაილიტების სექტის ჩამოყალიბების, მათი სულიერი ლიდერის ჰასან ას-საბახის მოძღვრებისა და მათ წინააღმდეგ სელჯუკების (მოგვიანებით მონღოლების) ბრძოლის შესახებ დანვრილებით ცნობებს იძლევა ჯუვეინი. Ата-Мелик Джувейни. Чингисхан. История Завоевавателя Мира. стр. 88-106;

4. Маршалл Дж. С. Ходжсон. Орден Ассасинов. стр. 91-93;

5. Маршалл Дж. С. Ходжсон. Орден Ассасинов. стр. 84;

6. Маршалл Дж. С. Ходжсон. Орден Ассасинов. стр. 85;

7. Маршалл Дж. С. Ходжсон. Орден Ассасинов. стр. 104;

სელჯუკთა იმპერიის შიდა დაპირისპირების პროცესი

1. Л. А. Семенова. Из истории средневековой Сирии. стр. 64-72;

2 В. А. Горделевский. Государство Сельджукидов Малой Азии. стр. 101, 105; Л. А. Семенова. Из истории средневековой Сирии. стр. 25-32;

3. Л. А. Семенова. Из истории средневековой Сирии. стр. 8-9; Константин Рыжов. Мусульманский Восток. VII-XV вв. Москва. "Вече." 2004. стр. 374.

4. Константин Рыжов. Мусульманский Восток. стр. 382.

5. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 16-17; Константин Рыжов. Мусульманский Восток. стр. 382-383;

6. В. А. Горделевский. Государство Сельджукидов Малой Азии. стр. 54-55.

პოლიტიკურ ძალთა ბალანსი XI-XII საუკუნეების მიჯნაზე

1. სანჯარი, რომელიც თავისი ძმის მუჰამედ ტაპარის სულთნობის პერიოდში (1105-1118 წწ.), თავს იკავებდა დიდი სულთნის ტიტულზე პრეტენზიისგან, მის გარდაცვალებისთანავე ბრძოლაში ჩაება მუჰამედის მემკვიდრე მაჰმუდთან, რომელიც დაამარცხა და თავი სელჯუკთა დიდ სულთნად გამოაცხადა. მაჰმუდმა მიიღო ირან-ერაყის სულთნის ტიტული, იგი ფორმალურად ემორჩილებოდა დიდი სულთნის ძალაუფლებას და ხუტბაში მის შემდეგ იხსენიებოდა. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. глава. 30. стр. 89; Константин Рыжов. Мусульманский Восток. стр. 382-384.

2. ზ. ანჩაბაძე. მ. ცინცაძე. საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბილისი. 1966. გვ. 144-159.

3. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ძლიერ სელჯუკურ ერთეულებთან, რუმის სასულთნოსთან, დანიშმენდიდებისა და ხლათის საემიროებთან, დავით აღმაშენებლის მეფობის მანძილზე სამხედრო კონფლიქტი არ ფიქსირდება.

4. დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში განძა სამი სელჯუკი პრინცის, მუჰამედის, მასუდისა და თოღრულის ხელშია. მუჰამედი განძის გამგებელია 1099-1104 წლებში, ხოლო მასუდისა და თოღრულის მფლობელობა XII საუკუნის 20-იანი წლებისთვის ჩანს.

5. განძის მმართველი სამივე სელჯუკი პრინცი თითქმის გამუდმებით ებრძოდა ცენტრალურ ხელისუფლებას. მუჰამედი განძა-არანის საგამგებლოდ მიღებისთანავე აუჯანყდა სულთან ბერკ-იარუკს 1099 წელს და 1104 წლამდე, მათ შორის გამუდმებული ომი მიმდინარეობდა. იგივე ტრადიცია გააგრძელეს (1118 წელს) სულთანის ტახტზე ასულმა მუჰამედის წინააღმდეგ მისმა ძმებმაც, მასუდმა და თოღრულმა. მასუდი 1120 წელს აუჯანყდა სულთანს. ცოტა ხნის შემდეგ აჯანყებულის როლში უკვე თოღრული გამოვიდა. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 15-17, 37.

რასაკვირველია „განძელი პრინცების" ასეთი პერმანენტული ბრძოლა სელჯუკთა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, რაც ასუსტებდა სელჯუკთა სამხედრო პოტენციალს და შეუძლებელს ხდიდა მათ კონსოლიდირებას საქართველოს წინააღმდეგ, ხელს უწყობდა დავით აღმაშენებლის პოლიტიკას, დაებრუნებინა საქართველოს დაკარგული ტერიტორიები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც, სწორედ განძის საემიროში შედიოდა.

6. ოფიციალურად სუკმენიდებმა შაჰ-არმენის ტიტული მხოლოდ დინასტიის მესამე წარმომადგენლის, სუკმენ II-ს დროს (1128-1185 წწ.) მიიღეს, Константин Рыжов. Мусульманский Восток. стр. 502; მაგრამ თანამედროვეებისთვის ისინი თავიდანვე შაჰ-არმენებად აღიქმებოდნენ.

7. სანამ დავით აღმაშენებელი სამხრეთის (განძა-არანის) მიმართულებით მოქმედებდა, ხლათის ემირი იბრაჰიმ ზახირ ად-დინი მიმდინარე პროცესებში აშკარად არ იღებდა მონაწილეობას (ყოველ შემთხვევაში, ამ პროცესებთან მიმართებით წერილობით წყაროებში იგი არ ჩანს). მაგრამ როგორც კი, დავით აღმაშენებლის ყურადღების ქვეშ მოექცა სამხრეთ-დასავლეთის მიმართულება და მან აიღო ანისი, ხლათის საემირო მაშინვე გააქტიურდა და 1125 წელს (დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ) გაილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ. გ. ჯაფარიძე. მუსლიმთა კოალიციები და საქართველო. „მხედარი" №2. 1992. თბილისი. 1992. გვ. 23

8. ქამალ ად-დინის მიხედვით თუღან-არსლანი ილ-ღაზის ერთგული მოკავშირე, ერთ-ერთი წამყვანი და მამაცი მხედართმთავარია ჯვაროსნების წინააღმდეგ ომში. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 189. стр. 150; 1136-1138 წლებისთვის, თუღან-არსლანი იხსენიება ცნობილი შირვანელი პოეტის ფალაკის ერთ-ერთ ოდაში, სადაც ასევე ხოტბა აქვს შესხმული მის სიმამაცეს. З. М. Буниятов. Государство Атабеков Азербайджана, Баку. "ЭЛМ." 1978. стр. 152.

9. სელჯუკთა არმიები არასოდეს გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებით. მაგალითად, სულთან თოღრულის არმია 1055 წელს (ე.ი. სელჯუკთა იმ დროინდელი მთელი საბრძოლო პოტენციალი), რომლითაც მან ერაყი დაიპყრო, 20-30 ათასი მეომრის ფარგლებში ივარაუდება. Claude Cahen. the Turkish Invation: the Selchukids. A

History of the Crusades. v. I. the First Hundred Years. p. 139; მიხეილ სირიელის მიხედვით, იმავე პერიოდში ბიზანტიური ქალაქი მელიტენა სელჯუკებმა 3000 კაციანი რაზმით აიღეს. Р. А. Гусейнов. Из хроники Михаила Сирийца. ППВ. ИФИ. 1973. Москва. "НАУКА." 1979. книга 15. глава. 1. стр. 28; სულთან ალფ-არსლანს 1071 წელს მანციკერტთან 15 ათასი მეომარი ჰყავდა. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. глава 18. стр. 57; სელჯუკთა ერთ-ერთმა უძლიერესმა ერთეულმა, რუმის სასულთნომ, 1097 წელს დორილეუმის ბრძოლაში მოკავშირეებთან ერთად, დაახლოებით 10 ათასიანი არმიის, ხოლო 1101 წლის ჯვაროსნული ლაშქრობის წინააღმდეგ, 4000 მეომრის გამოყვანა შეძლო. John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. p. 157, 174; 1133 წელს ირანერაყის იმპერიის სულთანი თოღრული 3 000 მეომრით დაუპირისპირდა მის წინააღმდეგ აჯანყებულ მასუდს, რომელსაც თავის მხრივ 6 000 მეომარი ჰყავდა, მოგვიანებით, თოღრულს 2 000 მეომრით დაეხმარა ფარსის გამგებელი მენგუ-ბარსი. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. глава. 32. стр. 100; და ა.შ.

მალიქ-შაჰის დროინდელი სელჯუკთა იმპერიის სამობილიზაციო შესაძლებლობებს ისტორიული წყაროები 400 ათასში მიუთითებენ, Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 102. стр. 113). თუმცა ასეთი სიდიდის არმია სელჯუკებს არასოდეს გამოუყვანიათ ბრძოლის ველზე. მალიქ-შაჰის სამხედრო დივანის (თანამედროვე ტერმინოლოგიით, სამხედრო სამინისტროს) რეესტრებში, აღრიცხული იყო 45 ათასი მეომარი, Р. А. Гусейнов. Сельджукская военная организация. ПС. №17(80). "НАУКА." стр. 133; the Damascus Chronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. H. A. R. Gibb. "Dover Publication." 2002. pp. 36; რაც თვით იმ მასშტაბის სახელმწიფოსთვისაც კი, როგორიც იყო მალიქ-შაჰის დროინდელი სელჯუკების იმპერია, რეალური მაჩვენებელია.

რაც შეეხება ცალკეულ საემიროთა ძალებს, აქ რასაკვირველია, რაიმე ერთიანი, ფიქსირებული ციფრის დადგენა, შეუძლებელია. საემიროთა სამხედრო პოტენციალი განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ტერიტორიების სიდიდის, იქტების რაოდენობის, მოსახლეობის სიმჭიდროვის, მის ტერიტორიებზე მყოფ მომთაბარეთა რიცხვის და სხვა მაჩვენებლების მიხედვით, მაგრამ ზოგადი მაშტაბების გარკვევა, მაინც შესაძლებელია.

მაგალითად, ცნობილია რომ ალეპოს საემიროს სამხედრო პოტენციალი, 5 000 მეომარი იყო. Л. А. Семенова. Из истории средневековой Сирии. стр. 29; ხოლო მოსულის, რომელიც ერთ-ერთ უდიდეს სელჯუკურ ერთეულს წარმოადგენდა, — 15 ათასამდე. Terence Wise. Armies of the Crusades. "Osprey publishing." 2002. p. 20; თუმცა როგორც ლ. სემიონოვა მიუთითებდა, მოსულის ერთ-ერთი უძლიერესი ათაბაგის ზენგის არმია, არასოდეს აჭარბებდა 6000 მეომარს და მხოლოდ ერთხელ შეადგინა 10 ათასი. Л. А. Семенова. Из истории средневсковой Сирии. стр. 74;

I ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გრაფი სტეფან ბლუა ანტიოქიიდან (ქალაქის ალყის დროს, 1098 წელს) წერდა თავის მეუღლე ადელას, რომ ანტიოქიას 5 ათასი მეომარი (ე.ი. ანტიოქიის საემიროს ძალები) იცავდა, ხოლო სხვა ხუთი საემიროს (იერუსალიმის, ალეპოს, დამასკოს, ჰამას. მეხუთე საემიროს სახელი არ იდენტიფიცირდება) 12 000-იანმა არმიამ სცადა ქალაქის გადარჩენა და თავს დაესხა ჯვაროსნებს. სტეფან ბლუას სიტყვით, ეს არმია ჯვაროსნებმა 7 ათასი მეომრით დაამარცხეს. Dana C. Munro. Letters of the Crusaders. Original Sources of European History. v. I. Philadelhia. "University of Pennsylvania." 1894. pp. 6-7;

მეტ-ნაკლებად მსგავსია სხვა საემიროთა მაჩვენებლებიც. მაგალითად, 1119 წელს, მარდინის, დამასკოს, ბითლისის საემიროებმა და ჯაზირას მომთაბარეთა ტომებმა ილღაზის მეთაურობით, 40 ათასიანი არმიის შეგროვება შეძლეს, Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 187. стр. 149; თუმცა 1115 წელს მარდინისა და დამასკოს კოალიციური არმია 10 ათას მეომარს შეადგენდა. Walter the Chancellors. the Antiochene Wars. A Translation and Commentary by Thomas S. Asbridge. Susan B. Edgington. London. "Ashgate." 1999. p. 87; მოგვიანებით, ერთ-ერთმა უძლიერესმა მუსლიმმა მმართველმა სალადინმა, რომლის გან-

კარგულებაშიც იყო ეგვიპტის, დამასკოს, ალეპოს, მოსულისა და რიგი სხვა ერთეულების სამხედრო პოტენციალი, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ჰატინის ბრძოლაში, მხოლოდ 20 ათასამდე მეომრის გამოყვანა მოახერხა. David Nicolle. Hattin 1187. Saladins greatest victory. "Osprey publishing." 2002. pp. 39-40; რიჩარდ ლომგულის წინააღმდეგ ომისთვის, იმავე სალადინმა ცალკეული საემიროებიდან შემდეგი რაოდენობის მეომრების გამოიყვანა: ჯაზირას ოლქიდან 4000 მომთაბარე, მოსულის საემიროდან 2000 მებრძოლი, ალეპოდან და დამასკოდან 1000-1000. David Nicolle. the Third Crusade 1191. Richard the Lionheart, Saladin and the struggle for Jerusalem. "Ospray Publishing." 2006. p. 33.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით გარკვევით უნდა ჩანდეს, რომ დიდ საემიროთა სამხედრო პოტენციალი (რომელთა შორისაც განძისა და ხლათის საემიროებიც შეგვიძლია ვივარაუდოთ) მაქსიმუმ 5-15 ათასი მეომრის ფარგლებში მერყეობდა, საიდანაც უმაღლესი ციფრის (10-15 ათასის) რეალიზება, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში იყო შესაძლებელი. ჩვეულებრივ პირობებში კი, საემიროთა რეალური პოტენციალი, 5-10 ათასი და კიდევ უფრო ნაკლები მეომარი იყო. David Nicolle. the First Crusade. 1096-99 Conquest of the Holy Land. pp. 23-24; ხოლო პატარა საემიროს სამხედრო პოტენციალი, ისეთის როგორებიც იყო ყარსისა და ანისის საემიროები, მაქსიმუმ 2-3 ათასის ფარგლებში შეგვიძლია განვსაზღვროთ.

ეს მონაცემები აჩვენებს, რომ ცალკე აღებულ ნებისმიერ საემიროსთან სამხედრო დაპირისპირება, საქართველოს სამეფოსთვის რთული არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაერთიანების შემთხვევაში, ისინი ძალიან სერიოზული სამხედრო ძალა ხდებოდნენ. შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ საქართველოს მახლობელი ისლამური სამყარო დიდგორის ბრძოლიდან მოყოლებული, XII საუკუნის განმავლობაში და XIII ს. პირველ მეოთხედში, სწორედ კოალიციური ძალებით ცდილობდა საქართველოსთან დაპირისპირებას, გ. ჯაფარიძე. მუსლიმთა კოალიციები და საქართველო. გვ. 21-29; რადგან სხვა შემთხვევებში, მათ წარმატების ნაკლები შანსი ჰქონდათ.

ჯიჰადი. მუსლიმთა პასუხი ქრისტიანების შეტევაზე

1. Пьер Виймар. Крестовые Походы, Миф и реальность священной войны. Санкт-Петервбург. "Евразия." 2003. стр. 202-203;

2. შეიძლება ითქვას, რომ მიმართულების ცვალებადობა ჯიჰადის დამახასიათებელი თვისებაა. მაგალითად, მცირე აზიასა და სირია-პალესტინაში მონღოლების გამოჩენის შემდეგ, ჯიჰადმა მიმართულება იცვალა და ანტიჯვაროსნულიდან მონღოლთა საწინააღმდეგო იდეოლოგიად იქცა. Joshua Prawer. the Crusaders Kingdom. Europian Colonialism in the Middle Ages. London. "Phoenix Press." 2001. p. 32-33; the Crusades from the Perspective of Byzantium and the Muslim World. Edited by Angeliki E. Laiou and Roy Parviz Mottahedeh. "Dumbarton Oaks Reserch Library and Collection." Washington. 2001. pp.23-29.

3. Robert Irvin. Muslim Responses to the Crusadees. HT. v. 47; 1997. pp. 43-44.

4. Л. А. Семенова. Из истории средневековой Сирии. стр. 9-10; Steven Runciman. A History of the Crusades. v. I. pp. 213-235; Robert Payne. the Crusades. pp. 77-82; David Nicolle. the First Crusade. p. 49-60; John France. Victory in the East. A Military History of the First Crusade. pp. 269-296;

5. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 15-17.

6. John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. pp. 167-168.

7. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. "penguin books." 1990. p. 9.

8. Роберт Ирвин. Ислам и Крестовые Походы. История Крестовых Походов. Под редакцией Джонатана Райли-Смита. Москва. "Кронпресс." 1998. стр. 260-265; А. Доманин. Крестовые походы под сенью креста. Москва. "Центрполиграф." 2003. стр. 250-253; Hadia Dajani-Shakeel. A Reassessment of Some Medieval and Modern Perceptions of the Counter-Crusade. the Jihad and its Times. University of Michigan. 1991. pp. 41-55; David Cook. Understanding Jihad. "University of Calipornia Press." 2005. p. 56; David Nicolle. Hattin 1187. Saladins greatest victory. "Osprey Publishing." 2002. p. 8; Angus konstam. Historical Atlas of the Crusades. London. "Mercury Books." 2004. pp. 92-93.

9. Пьер Виймар. Крестовые Походи, Миф и реальность священной войны. стр. 204-208; Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. pp. 132-133; 204;

10. "Иль-Гази принял новую присягу у эмиров и предводителей в том, что они будут осмотрительны и упорны в битвах с врагом, проявят непреклонность и [готовность] пожертвовать своей жизнью в священной войне; они давали клятву в этом от чистого сердца." Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 188. стр. 150;

11. Пьер Виймар. Крестовые Походи. Миф и реальность священной войны. стр. 211-212; Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. pp.148-150; Robert Payne. the Crusades. pp. 129-130;

თავი III

საქართველოს სამეფო. აქტიური პოლიტიკის დასაწყისი

ხარკის შეწყვეტა

1. ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში" ხარკის შეწყვეტისა და ჯვაროსნების მიერ ანტიოქია-იერუსალიმის აღებას, ერთმანეთთან კავშირში განიხილავდა, თუმცა ამ ორი, ერთმანეთთან დაკავშირებული მოვლენის თარიღად შეცდომით 1097 წელს მიუთითებდა. ეს თარიღი მოგვიანებით გასწორებულ იქნა 1099 წლით, ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II. თბილისი. „მეცნიერება". 1983. გვ. 195, 447; რაც იმას ნიშნავდა, რომ ხარკის შეწყვეტა და იერუსალიმის აღება, 1099 წლის მოვლენებს წარმოადგენდნენ. მიუხედავად თარიღის შესწორებისა, დიდი მეცნიერის ეს უნებლიე შეცდომა მაინც შემდგომი „გაუგებრობების" საფუძველი გახდა. მაგალითად, საქართველოს ისტორიის ნარკვევებში იერუსალიმის აღება სავსებით სწორი თარიღით, 1099 წლითაა

მითითებული, მაგრამ ხარკის შეწყვეტა მაინც 1097 წელსაა „დატოვილი," თუმც არ არის ახსნილი რატომ. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 232.

არის მცდელობა ხარკის შეწყვეტის „უფრო შორს გადატანისა," როდესაც ასევე ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე დასახელებულია 1095 წელი. დ. გოგოლაძე. მეფე დავით IV და მისი ზეწოდება—აღმაშენებელი. „მიაეხს." №3. 1989. გვ. 41;

დავით აღმაშენებლის მემატიანე „დოკუმენტური" სიზუსტით მიუთითებს ხარკის შეწყვეტის დროს და ყოველგვარი ალეგორიებისა და ირიბი აზრების გარეშე უკავშირებს მას ჯვაროსანთა მიერ იერუსალიმისა და სირია-პალესტინის სხვა ქალაქების დაპყრობას (ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 325-326), რისი მიხედვითაც ხარკის შეწყვეტა მხოლოდ 1099 წელის ივლისის (ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს 15 ივლისს) შემდგომ (1099 წლის მეორე ნახევარში) შეიძლებოდა მომხდარიყო. რითაც ამ ორი მოვლენის კავშირი აშკარაა. რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. თბილისი. „საბჭოთა საქართველო." 1986; გვ. 82.

დავით აღმაშენებლის მემატიანის აღნიშნული ცნობის საწინააღმდეგოდ, რიგი მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობებს არ მოუხდენია მნიშვნელოვანი ზეგავლენა საქართველოს გარშემო არსებულ ვითარებაზე და რომ სელჯუკთა შიდა დაპირისპირების პროცესმა უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს გაძლიერებასა და ხარკის შეწყვეტის პროცესში, ვიდრე სხვა გარემოებებმა. ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან. თსუშ. ტ. 125. თბილისი. 1968. გვ. 92, შენ. 1; შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბილისი. „მეცნიერება." 1986. გვ .64; ვ. აბაშმაძე. ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. თბილისი. 1969. გვ .98-100; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო გვ. 21-34; და ა.შ. ვფიქრობთ, რომ ამ პროცესის ასეთი ინტერპრეტაცია უსაფუძვლოა.

მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთში ჯვაროსნების გამოჩენა იყო ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც კოლოსალური ზეგავლენა მოახდინა წინა აზიასა და ამიერკავკასიაზე, სრულიად შეცვალა ამ რეგიონებში არსებული გეო-პოლიტიკური ვითარება და ძალთა გადანაწილების ბალანსი. როგორც ბიზანტიის იმპერიის წარმატებები (ერთგვარი მცირე აზიული რეკონკისტა) სელჯუკთა წინააღმდეგ, ასევე სომხური ერთეულების გააქტიურება და შემდგომ კილიკიის სომხეთის სამეფოდ ფორმირება, პირველ რიგში, დაკავშირებული იყო ჯვაროსნების გამოჩენით გამოწვეულ ცვლილებებთან.

რასაკვირველია ფაქტია, რომ დავით აღმაშენებელი მომზადებული შეხვდა ამ ცვლილებებს. მის მიერ ჩატარებული შიდა რეფორმები და სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაცია მას საშუალებას აძლევდა გაეტარებინა აქტიური და აგრესიული საგარეო პოლიტიკა, მაგრამ რომ არა ის გლობალური ცვლილებები, რამაც სელჯუკთა გიგანტური პოტენციალის დაქსაქსვა და სხვადასხვა მიმართულებით დანაწილება გამოიწვია, საქართველოს მასშტაბის მქონე ქვეყანას, თუნდაც ისეთი გამორჩეული მეფის ხელმძღვანელობით, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო, ფართო წარმატებების მიღწევა გაუჭირდებოდა.

აბსოლუტურად სწორად მიგვაჩნია, თავის დროზე პროფ. ი. ცინცაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, რომ: „დავით აღმაშენებლის და მისი მრჩევლების პოლიტიკური გამჭრიახობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი თვალყურს ადევნებდნენ საქართველოს გარეთ მიმდინარე პროცესებს, მათ შესანიშნავად შეაფასეს ჯერ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ჯვაროსნული ომების შედეგად წარმოშობილი მოვლენები, შემდეგ ჩრდილოეთით მიმდინარე ამბები და თავიანთი გეგმები ამ პროცესების სწორად შეფასების საფუძველზე ააგეს." ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.). I. თბილისი. 1956. გვ. 200;

ასევე სავსებით ლოგიკურია აკად. რ. მეტრეველის დასკვნა, რომ „საქართველოს სამეფო კარმა .... ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებით ლახვარჩაცემული თურქ-სელჯუკების მდგომარეობის აწონ-დაწონისა და პოლიტიკური შეფასების შემდეგ (ბუნებრივია, შეს-

აბამისად საკუთარი ძლიერების გათვალისწინებითაც) შესაძლებლად ჩათვალა ხარკის გადახდის შეწყვეტა." რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 83-84; მისივე. დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. გვ. 94;

გ. ჯაფარიძის მიხედვით, ჯვაროსნულ ფაქტორს მხოლოდ მორალური მხარდაჭერის მნიშვნელობა ჰქონია საქართველოსთვის. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 22-23; როგორ შეიძლება „მორალურ მხარდაჭერას" მიეკუთვნოს ის გარემოება, რომ ჯვაროსანთა გამოჩენით, დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში (განსაკუთრებით მეფობის პირველ პერიოდში, ხარკის შეწყვეტის მომენტში), ამიერკავკასიის პოლიტიკური ასპარეზიდან სავსებით გამოთიშული აღმოჩნდნენ ისეთი აგრესიული და ამბიციური ერთეულები, როგორებიც იყვნენ რუმის სასულთნო და დანიშმენდიდების საემირო, რითაც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ მიმართულება სრულიად უსაფრთხო მდგომარეობაში აღმოჩნდა, რის შედეგადაც საქართველოს მეფეს ნაკლებად უხდებოდა აქეთ ყურადღების კონცენტრირება და სამხედრო ძალების დაკავება. „მორალურ მხარდაჭერაზე" მეტი იყო 1099 წელს ჯვაროსანთა მიერ სელჯუკთა იმპერიის უზარმაზარი არმიის განადგურება ანტიოქიასთან მოსულის ათაბაგ კერბოგას მეთაურობით, რამაც სელჯუკები სრულ შოკში ჩააგდო. А. Доманин. Крестовые Походы под сенью креста. стр. 159; Steven Runciman. A History of the Crusades. v. I. pp. 248-249; John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. p. 293; როგორ უნდა მივაკუთვნოთ "მორალური დახმარების" ფაქტორს ის გარემოება, რომ ისეთი ძლიერი სელჯუკური ერთეულების, როგორებიც იყო მარდინის, ხლათის, ბითლისის, მოსულის და სხვა უფრო ნვრილი საემიროების და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ამიერკავკასიის სამხრეთ რეგიონებში გაფანტული მომთაბარე თურქმენების სამხედრო პოტენციალი თითქმის მთლიანად ჯვაროსანთა სახელმწიფოებზე აღმოჩნდა მიჯაჭვული, რის გამოც დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში, საქართველოს წინააღმდეგ მობილიზება და კონსოლიდირება, მათ მხოლოდ ერთხელ მოახერხეს. ადვილი წარმოსადგენია საით შეიძლებოდა მიმართულიყო ეს გიგანტური ძალა და რამდენი "დიდგორის" გამართვა დასჭირდებოდა საქართველოს, ჯვაროსნების სახით ამ ძალისთვის მუდმივი მიზიდულობის ვექტორი რომ არ შექმნილიყო.

რასაკვირველია, სელჯუკთა იმპერიაში მიმდინარე შიდა წინააღმდეგობრივი პროცესები ასევე მნიშვნელოვანი ხელისშემწყობი ფაქტორი იყო საქართველოსთვის, მაგრამ იმის "აწონვა" თუ რომელი იყო უფრო მნიშვნელოვანი, შეუძლებელია და არც არის საჭირო. საქართველოს იმდროინდელი წარმატებები მრავალი სხვადასხვა პროცესის (პირველ რიგში, სწორი. მმართველობის შედეგად საქართველოს გაძლიერების, ჯვაროსნების გამოჩენისა და სელჯუკთა იმპერიის რღვევის) კომპლექსურად მიმდინარეობის შედეგი იყო და დავით აღმაშენებლის გენიალობა სწორედ იმაში გამოიხატება, რომ მან შესძლო უაღრესად რთული, მრავალწახნაგოვანი ვითარების სწორად შეფასება და მასთან მიმართებაში საკუთარი ისტორიული შანსის ოპტიმალურად გამოყენება.

2. კერბოგას არმიის ზუსტი სიდიდე უცნობია, მაგრამ როგორც ქრისტიანული, ასევე მუსლიმური წყაროები, მას ახასიათებენ როგორც გამორჩეულად დიდ არმიას. მათე ურჰაელი კერბოგას მეომრებს მილიონ ასი ათასის ფარგლებში მიუთითებდა, რაც რასაკვირველია, ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნება. გადაჭარბებულია აგრეთვე მიხეილ სირიელის ციფრიც, 100 ათასი (მითითება იხ. ქვემოთ), მაგრამ აშკარაა, რომ სელჯუკთა ეს არმია გამორჩეული რაოდენობის (ალბათ რამდენიმე ათეული ათასის) იყო. John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. p. 261; სხვადასხვა წყაროების მიხედვით კარგად ჩანს, რომ სელჯუკებს მეომრები, ფაქტიურად, იმპერიის მთელ ტერიტორიაზე ჰყავდათ მოგროვილი. მიხეილ სირიელი მიუთითებდა, რომ "Когда правивший в Хорасане султан (ბერკიარუკი—ს.მ.) получил известие что Франки направились к Антиохии он послал сто тысяч всадников во главе с Керр-Богой." Р. А. Гусейнов. Из хроники Михаила Сирийца.

книга 15. глава. 7. стр. 34; ხორასანის (ამ შემთხვევაში ზოგადად ირანის, ანუ სელჯუკთა მაშინდელი იმპერიის) მონაწილეობას ანტიოქიის ბრძოლაში, ხაზგასმით მიუთითებდნენ ჯვაროსნული ლაშქრობის ლიდერებიც რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში, სადაც ისინი აღნიშნავდნენ, რომ ანტიოქიის აღების შემდეგ ჯვაროსნები თავად აღმოჩნდნენ ალყაშემორტყმულები ხორასნიდან, იერუსალიმიდან, დამასკოდან და მრავალი სხვა რეგიონიდან მოსული თურქების მიერ, რომლებიც საბოლოოდ მაინც დაამარცხეს. М. А. Заборов. История крестовых походов в документах и материалахю. Москва. «Высшая школа.» 1975. стр. 99; კერბოგას არმიის შესახებ უფრო დეტალურ მონაცემებს იძლევა ანონიმური ლათინური ქრონიკა "Cesta Francorum," რომელიც კერბოგას უწოდებს ხორასნის სულთნის მთავარსარდალს, ხოლო მისი არმიის შემადგენლობაში მიუთითებს თურქების, არაბების, ქურთების, სპარსელებისა და სელჯუკთა იმპერიაში შემავალი სხვა ეთნიკური ჯგუფების მეომართა მონაწილეობას. August C. Krey. the First Crusade: the Accounts of Eyewitnesses and Participants. Princeton. 1921. p. 182;

3. ჯვაროსნული ეპოქის ზოგი მკვლევარის მოსაზრებით, კერბოგას არმია იყო სელჯუკთა იმპერიის მიერ იმპერიის მთელ ტერიტორიაზე შეკრებილი ბოლო არმია, რომლის განადგურების შემდეგაც სელჯუკებმა ვერც ერთხელ ვეღარ შესძლეს ასეთი მასობრივი სამხედრო ძალის მოგროვება. А. Доманин. Крестовые Походи под сенью креста. стр. 159.

4. მუჰამედ ტაპარის აჯანყება უნდა ყოფილიყო ის ბოლო ხელისშემწყობი ფაქტორი, რამაც ხარკის შეწყვეტის პროცესის წარმატება განაპირობა. ვითარება შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ. 1098 წლის გაზაფხულისთვის ჯვაროსნებმა დაიპყრეს საკმაოდ ძლიერი ანტიოქიის სელჯუკური საემირო, რომლის უკან დაბრუნებისთვის ბრძოლაში სელჯუკთა იმპერიის არმია განადგურებული აღმოჩნდა. კერბოგას არმიის განადგურება იმდენად ძლიერი დარტყმა აღმოჩნდა იმპერიისთვის, რომ მათ მომდევნო წელს საპასუხო მოქმედებების ორგანიზება ვეღარ შესძლეს და ჯვაროსნებმა დაუბრკოლებლივ განავითარეს შეტევა სამხრეთით, ახლა უკვე ფატიმიდური ეგვიპტის წინააღმდეგ და აიღეს იერუსალიმი. სელჯუკთა იმპერია მოცემული მომენტისთვის უაღრესად დასუსტებული აღმოჩნდა, რის ფონზეც განძა-არანში სელჯუკი პრინცის, მუჰამედ ტაპარის მეთაურობით დაიწყო აჯანყება ბერკიარუკის წინააღმდეგ. ანტიოქია-იერუსალიმის აღებასთან ერთად, რამაც გამოავლინა სელჯუკების (შედარებითი) სამხედრო სისუსტე, მუჰამედ ტაპარის აჯანყება იქნებოდა ის ბოლო არგუმენტი, რაც დავით აღმაშენებელს დაარწმუნებდა საკუთარი გადაწყვეტილების (ე.ი. ხარკის შეწყვეტის) განხორციელებისთვის შერჩეული დროის სისწორეში. შესაბამისად, ხარკის შეწყვეტის დრო მაქსიმალურად შეიძლება დაკონკრეტდეს, მას ვერ გადავწევთ იერუსალიმის აღებაზე, ე.ი. 1099 წლის 15 ივლისზე ადრე და ვერც მუჰამედ ტაპარის აჯანყების დროს დავაცილებთ ძალიან შორს. ზაჰირ ალ-დინ ნიშაპურის მიხედვით, მუჰამედ ტაპარმა აჯანყება დაიწყო 1099 წლის აგვისტო-სექტემბერში (492 წლის შაველის თვეში), the History of the Seljuq Turks: From the Jami al-Tawarikh. Translate by Kenneth Allin Luther. Edited by Clifford Edmund Bosworth. Richmond. "Curzon Press." 2001. p. 69; რაც იერუსალიმის აღების თარიღთან საკმაოდ ახლოსაა და მისი მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ხარკის შეწყვეტა 1099 წლის აგვისტო-სექტემბრის შემდეგ, ანუ 1099 წლის შემოდგომაზე მომხდარა.

5. ბერკიარუკსა და მუჰამედს შორის ბრძოლების ძირითადი არეალი ირანთან ერთად, საქართველოს სამხრეთით მდებარე რეგიონებიც იყო. მაგალითად, 1103 წელს, ერთ-ერთი გენერალური ბრძოლა მოხდა დვინთან, სადაც მუჰამედი დამარცხდა. დვინიდან მან ანისში დაიხია და იქ გამაგრდა. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. глава 28. стр. 80; ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც დავით აღმაშენებელმა ხარკი შეუწყვიტა სელჯუკებს და შემდგომ (1103 წელს) ზედაზნის ციხის აღებით კახეთის შემო-

ერთება დაიწყო, სელჯუკები საქართველოს სამხრეთით, სულ 200-300 კილომეტრის რადიუსში, ურთიერთშორისი ომით იყვნენ დაკავებულნი.

6. მაგალითად, ზაჰირ ალ-დინ ნიშაპური ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მუჰამედ ტაპარის არმია, რითაც ის აუჯანყდა ბერკიარუკს, იყო ძალიან მცირე. the History of the Seljuq Turks: From the Jami al-Tawarikh. p. 69; მუჰამედის მცირე არმიაზე მიუთითებს ალ-ჰუსაინიც. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. глава 28. стр. 80.

7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 212-224; ი. ანთელავა. საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს. თბილისი. "მეცნიერება." 1983. გვ. 100-151.

8. ეს ზუსტად ის პერიოდია, როდესაც ევროპიდან წამოსული ჯვაროსანთა ახალი არმიები იწყებდნენ მცირე აზიის ტერიტორიებზე შემოსვლას და როგორც რუმელი სელჯუკები, ასევე დანიშმენდიდები, მათთან გადამწყვეტი ბრძოლებისთვის მზადებით იყვნენ დაკავებულნი. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. pp. 18-31;

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დასაწყისი

1. თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს). თბილისი. "მეცნიერება." 1982. გვ. 254.

2. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 328; ივ. ჯავახიშვილი. ტ. II. გვ. 196;

3. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 279.

4. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 321;

ბრძოლა თურქმენ მომთაბარეთა წინააღმდეგ

1. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 333;

2. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული (იხ. I თავის ქვეთავი, „ საქართველოს სამეფო სელჯუკთა ექსპანსიის პერიოდშია," შენ. 10), საქართველოს ისტორიის რიგი მკვლევარები მომთაბარე თურქმენებს სელჯუკთა იმპერიასთან ერთ მთლიანობაში განიხილავენ, რითაც ფაქტიურად მიიჩნევენ, რომ მომთაბარეები სელჯუკთა სახელმწიფოს ორგანულ (ინსტიტუციონალურ) ნაწილს წარმოადგენდნენ და სელჯუკთა ხელისუფლების მითითებით მოქმედებდნენ. მაგალითად, ნ. ასათიანის „საქართველოს ისტორიაში" აღნიშნულია, რომ: „1080 წლიდან დაიწყო თურქთა დიდი შემოსევები, რომლებსაც ქართულ წყაროებში „დიდი თურქობა" ეწოდება. სულტანმა მალიქ-შაჰმა საქართველოში დიდძალი თურქული ტომები შემოიყვანა. მეფე გიორგიმ თავი დამარცხებულად სცნო, მორჩილების გამოცხადებით სულტანს ისპაჰანში ეახლა და ყოველწლიური ხარკიც იკისრა. ამის მიუხედავად, გრძელდებოდა საქართველოში თურქ-მომთაბარეთა სულ ახალი და ახალი ურდოების ჩასოსახლება." ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. გვ. 157.

როგორც უკვე იყო აღნიშნული (თავი I, ქვეთავი „საქართველოს სამეფო სელჯუკთა ექსპანსიის პერიოდში," აგრეთვე, შენ. 10), მომთაბარეები არ ემორჩილებოდნენ სახელმწიფო ინსტიტუტებს და უმეტეს შემთხვევებში დამოუკიდებლად, საკუთარი გადაწყვე-

ტილებებით მოქმედებდნენ და არა სულთნებისა და ემირების მითითებით. მალიქ-შაჰს (ისევე როგორც სხვა სელჯუკ ხელისუფლებს), რასაკვირველია, შეეძლო გამოეყენებინა მომთაბარეები სამხედრო მიზნებისთვის ქირის მეშვეობით, მაგრამ მათი ადმინისტრირება მისთვისაც შეუძლებელი იყო, რის გამოც მალიქ-შაჰის ვეზირი, ნიზამ ალ-მულკი, მომთაბარეთა პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზას, მათ პროფესიონალ მეომრებად გადაქცევაში ხედავდა: „ Хотя от туркмен и получилась докука и велика их численность, но за ними при этой державе (იგულისხმება სელჯუკთა იმპერია-ს.მ.) установилось право, так как в начале державы они оказали много услуг, претерпели невзгоды; они — из родственников. Следует занести в списки поименно с тысячу лиц из их сыновей и иметь их в качестве гулямов дворца. Когда достаточно они будут находиться в услужения, то научатся искусству оружия и службе, обживутся среди людей, станут подданными и будут служить как гулямы, а та дикость, которая создалась в их природе, устранится." Низам ал-Мульк. Сиасет-наме. глава 26. стр. 110;

მომთაბარეთა სელჯუკი სულთნებისადმი დაუმორჩილებლობის უფრო აშკარა მაგალითს იძლევა ბიზანტიელი ქრონისტი გიორგი აკროპოლიტი, როდესაც ის აღწერს ნიკეის იმპერიიდან რუმის სელჯუკებთან გაქცეული (მომავალი იმპერატორის) მიხეილ პალეოლოგის ისტორიას. პალეოლოგი შეიპყრეს ნიკეის იმპერიისა და რუმის სასულთნოს სასაზღვრო რეგიონებში განთავსებულმა თურქმენმა მომთაბარეებმა, რომლებმაც გაძარცვეს იგი და მონებად აქციეს მისი მხლებლები. თავად პალეოლოგმა მოახერხა თავის დაღწევა და მომხდარის შესახებ საჩივრით მიმართა სელჯუკთა სულთანს, რომელმაც დაუყოვნებლივ გასცა ბრძანება (მომთაბარეებთან გააგზავნა ბრძანების სიგელი) პალეოლოგის მხლებლების განთავისუფლებისა და ნაძარცვის უკან დაბრუნების შესახებ, რასაც მომთაბარეებმა ყურადღებაც კი არ მიაქციეს და სულთანი სრულიად უძლური აღმოჩნდა რაიმე ეღონა ამის საწინააღმდეგოდ. Георгий Акрополит. Летопись Великого Логофета Георгия Акрополита. Рязань. "АЛЕКСАНДРИЯ." 2003. стр. 369.

სელჯუკთა ადმინისტრაციას მომთაბარეთა კონტროლი რომ არ ძალუძდა, ამას დავით აღმაშენებლის მემატიანეც აღნიშნავს. მისი მიხედვით: "დიდი იყო ძალი მათი (მომთაბარეების—ს.მ.) და სიმრავლე, რომელ სთქუამცა თუ ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იქი არსო. და არავისგან მოსაგონებელ იყო ოდესცა მათი გასხმა ანუ ვნება, არცა თუ თვით სულტანისაგან." ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 332;

სულთანს თუ არ შეეძლო მომთაბარეთა "გასხმა," ეს იმას ნიშნავს, რომ მას არც მათი სადმე დასახლება შეეძლებოდა. ეს არამარტო მომთაბარეებზე ადმინისტრირების შეუძლებლობით, არამედ მათი მეურნეობის ხასიათიდანაც გამომდინარეობდა. მომთაბარეები არსად სახლდებოდნენ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით), ისინი ირჩევდნენ გარკვეულ ფართო რეგიონებს და წლის სეზონების მიხედვით მიგრირებდნენ მასში. ე. ი. მომთაბარეთა ტომი, რომელიც ზამთარს საქართველოს რომელიმე რეგიონში გაატარებდა, ზაფხულში მის საზღვრებს შეიძლებოდა ასეული კილომეტრებით დაცილებოდა, ასე რომ მომთაბარეთათვის არავის შეეძლო ებრძანებინა დაეტოვებინათ დაკავებული ტერიტორია თუნდაც მხოლოდ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათ ასეთი ტერიტორიები არ გააჩნდათ.

რაც შეეხება საძოვრებსა და საზაფხულო თუ საზამთრო სადგომებს, მომთაბარეები მას თავად ირჩევდნენ და ამის ნებართვას სელჯუკთა ადმინისტრაციისგან ნაკლებად იღებდნენ. ისინი მიგრირებდნენ იმ ტერიტორიებზე, საიდანაც მათი გაძევება ამ ტერიტორიებზე არსებულ ხელისუფლებას არ შეეძლო. ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესო მაგალითები აქვს მოტანილი აკად. ვ. გორდელევსკის სახელმწიფოსა და მომთაბარეთა ურთიერთობის შესახებ XVI-XVIII საუკუნეების ოსმალეთის იმპერიის ისტორიიდან, როდესაც იმპერიის ხელისუფლება ცდილობდა მომთაბარეთა სახელმწიფო სისტემაში მოქცევას, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში ანადგურებდა მათ. В. А. Горделевский. Государство Сельджукидов Малой Азии. стр. 90-95; ეს პარალელი გვიანდელია, მაგრამ რამდენადაც მომთაბარეობის ბუნება XVI-XVIII საუკუნეებშიც იგივე იყო რაც XII-ში, ამდენად,

მათი მიხედვით ვითარების წარმოდგენა სავსებით შესაძლებელია.

სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი დაუმორჩილებლობის გამო, სელჯუკთა ხელისუფლება (როგორც იმპერიის, ასევე ცალკეული რეგიონების მმართველები) ცდილობდა, რომ მომთაბარეთა კონცენტრაცია საზღვრისპირა რეგიონებში მოეხდინა, რითაც ისინი (როგორც ამას აკად. ვ. ბარტოლდი მიუთითებდა) ორ მიზანს აღწევდნენ, ათავისუფლებდნენ თავისი სამფლობელოების ცენტრალურ რეგიონებს მომთაბარეებისგან და ამავე დროს ქმნიდნენ სასაზღვრო ბარიერებს მეზობელ სახელმწიფოებთან. В. В. Бартольд. Работы по истории ислама и Арабского Халифата. Москва. "ВОСТОЧНАЯ ЛИТЕРАТУРА." 2002. стр. 244; სელჯუკები ხელს კი უწყობდნენ მომთაბარეთა სასაზღვრო რეგიონებში კონცენტრაციას, მაგრამ იმის წარმოდგენა, რომ მათ შეჰყავდათ მომთაბარეები სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე და იქ ასახლებდნენ, არასწორი უნდა იყოს, რადგან მომთაბარეებს დასახლების (ე.ი. სისტემატიური მიგრირების) ღია შესაძლებლობა ექნებოდათ საქართველოს იმ ტერიტორიებზე, რომლებიც სელჯუკებს ჰქონდათ დაპყრობილი (ე.ი. ქვემო ქართლსა და სომხითში) და რომელსაც ისინი უკვე საკუთარ ტერიტორიებად განიხილავდნენ.

ის ფაქტი, რომ მომთაბარეები შემოდიოდნენ და აოხრებდნენ საქართველოს შიდა ტერიტორიებს, ეს უკვე მათი დამოუკიდებელი ქმედება იყო და მათი არსებობის ბუნებიდან გამომდინარეობდა და არა სელჯუკთა სულთნების ბრძანებებიდან. მომთაბარეთა პრობლემის სირთულე ზუსტად იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი არანაირ, მათ შორის სელჯუკი სულტნების ხელისუფლებასაც არ ექვემდებარებოდნენ და შესაბამისად, ურთიერთობების რეგულაციის ყოველგვარი ფორმების გარეთ იდგნენ. სელჯუკ სულთნებს (სურვილის შემთხვევაშიც კი) რომ ებრძანებინათ მომთაბარეებისთვის, არ შესულიყვნენ საქართველოს ტერიტორიებზე, ისინი ამ ბრძანებას არ დაემორჩილებოდნენ, თუ ამის აუცილებლობას თავად არ ჩათვლიდნენ საჭიროდ. იმ ქვეყნებს, სადაც მომთაბარეები მიგრირებას იწყებდნენ, მათი პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზად, სამხედრო ძალის გამოყენება და მათი განადგურება რჩებოდათ საკუთარ ტერიტორიებზე, რაზედაც სელჯუკთა ხელისუფლება პროტესტს ვერ განაცხადებდა, რაც იმას ნიშნავს, რომ დავით აღმაშენებელს სელჯუკებთან ომის დაწყების საშიშროების გარეშე შეეძლო სამხედრო აქციების განხორციელება მომთაბარეთა წინააღმდეგ თავისი სამეფოს (სელჯუკთა ხელისუფლებისგან აღიარებული) საზღვრებს შიგნით.

მსგავსი ვითარება, ქრისტიანობისა და ისლამის გავრცელების სასაზღვრო ზონებში, ბევრგან შეიმჩნევა, მაგალითად, ტრაპიზონის იმპერიაში, რომლის სასაზღვრო რეგიონებშიც, XIII საუკუნის II ნახევარში დასახლება დაიწყეს მომთაბარეთა ტომებმა, ტრაპიზონის მხრიდან განხორციელებულ არაერთ სამხედრო კამპანიას, რუმის სელჯუკთა სასულთნოსთან ომი არ მოჰყოლია. Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток. стр. 335;

ალბათ არც იმის აღნიშვნა იქნება ზედმეტი, რომ სელჯუკთა სახელმწიფოები საკმაოდ ხშირად თავადაც ხდებოდნენ მომთაბარე თურქმენთა სხვადასხვა ტომების აგრესიის ობიექტი. მაგალითად, სულთანმა თოღრულ III-მ ფართო მაშტაბიანი სამხედრო კამპანია მოაწყო თურქმენი მომთაბარეების წინააღმდეგ 1185 წელს, რომლებიც აოხრებდნენ ერაყის რეგიონებს, ხოლო 1148 წელს მომთაბარეებმა დაამარცხეს და ტყვედ აიყვანეს სელჯუკთა უკანასკნელი დიდი სულთანი სანჯარი და გაანადგურეს "ხორასნის" (შუა აზიის) სელჯუკთა სახელმწიფო. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сооощения о сельджукском государстве. глава 34, 39. стр. 114, 154;

სელჯუკების მსგავსად მომთაბარე თურქმენებს აქტიურად ებრძოდნენ ხორეზმშაჰებიც, როგორც საკუთრივ ხორეზმის, ასევე ჯალალ ად-დინის დროს დაპყრობილ აზერბაიჯანის ტერიტორიებზეც, სადაც ჯალალ ად-დინმა, მაგალითად, გაანადგურა თურქმენი მომთაბარეების, იოვაიტების ძლიერი ტომები, რომლებიც არანის ოლქში ეწეოდნენ მომთაბარეობას. Шихаб ад-дин ан-Насави. Сират ас-султан Джалал ад-Дин Манкбурны. Издание текста, перевод, введение и примечания З. М. Буниятова. Москва. "Восточная Литература." 1996. гл. 5, 55. стр. 51, 167;

3. Тамара Т. Райс. Сельджуки, Кочевники-завоеватели Малой Азии. Москва, "Центрполиграф," 2004, стр. 54-55. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი დარჩა თ. რაისის მიერ მოყვანილი ამ ცნობის წყარო, მაგრამ ის ფაქტი, რომ მასში საუბარია დავით აღმაშენებლის ბრძოლაზე თურქმენ მომთაბარეთა წინააღმდეგ, რაც სავსებით ასახავს იმდროინდელ რეალობას, იგი აბსოლუტურად დამაჯერებლად გამოიყურება.

4. ქართლის ცხოვრება ტ. I. გვ. 333.

5. დავით აღმაშენებლის მემატიანე მკაფიოდ აღწერს მომთაბარეებთან ბრძოლის მთელ სირთულეს და მიუთითებს ამ ბრძოლის მუდმივ, ინტენსიურ ხასიათზე: "წარიღო გიორგი ჭყონდიდელმან რუსთავიცა, მეფისა მუხნარს ყოფასა. რომლისათვისცა დიდად წყენა შეექმნა თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა. რამეთუ მოიმსტვარნის მეფემან რომელთა მოსვრა ეგებოდის, და უგრძნეულად დაესხის და მოსწყვიდნის. და ესე არა ერთგზის ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის, ვითარცა აწ ერთი ითქუას." ქართლის ცხოვრება ტ. I. გვ. 333;
მომთაბარეებზე მრავალჯერადი (მრავალგზისი) თავდასხმები, სამხედრო ძალისა და რესურსების მუდმივ მობილიზებას თხოულობდა, რაც ორგანიზაციული სირთულეების გარდა, უდიდეს დანახარჯებთან იყო დაკავშირებული და სახელმწიფოსთვის სამხედრო წარმატებების შემთხვევაშიც დიდი ზარალის მომტანი იყო.

6. А. Дж. Тойнби. Постижение Истории. Москва. "ПРОГРЕС." 1991. стр. 564.

7. Франко Кардини Истоки Средневекового Рыцарства. Москва. "Прогрес." 1987. стр. 148-159; Дж.-М. Уоллес-Хедрилл. Варварский Запад. Раннее Средневековье. Сантк-Петербург. "Евразия." 2002. стр. 32-33; Э. А. Томпсон. Римляне и Варвари. Падение Западной империи. Сантк-Петербург. "ЮВЕНТА." 2003. стр. 25-36; John L. Teall. the Barbarians in Justianians Armies. Speculum. v. 40. № 2. 1965. 294-322.

8. Ф. И. Успенский, История Византийской Империи, том 3, стр.331; Филипп Контамин. Война в средние века. Санкт Петербург. "Ювента" 2001. стр. 43;

9. Советы и Рассказы Кекавмена. Сочинение Византийского Полководца. Перевод и коментарий Г. Г. Литаврина. Москва. "Наука." 1972. стр. 368; Лев Гумилев. Черная Легенда. Друзья и недруги Великой Степи. Москва. "Аирис-Пресс." 2005. стр. 101; И. О. Князький. Византия и Кочевники Южнорусских Степей. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2003. стр. 12, 38, 43-45, 58, 72, 74, 82-83;

10. Культура Византии. Вторая половина VII-XIIв. Москва. "Наука." 1989. стр. 247; И. О. Князький. Византия и Кочевники Южнорусских Степей. стр. 12, 38, 43-45, 58, 72, 74, 82-83;

11. ქართლის ცხოვრება ტ. I. გვ. 333-334.

12. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, დავით აღმაშენებელს ყივჩაღები ქართლში უნდა დაესახლებინა. ივ. ჯავახიშვილი. ტ. II. გვ. 209; იმის გათვალისწინებით, რომ იმ დროისთვის (თბილისის აღებამდის) ქართლი სასაზღვრო რეგიონს წარმოადგენდა, ეს მოსაზრება შეიძლება სწორი იყოს. თუმც ისტორიოგრაფიაში გამოთქმული იყო ის აზრიც, რომ ყივჩაღები დაასახლეს მოსახლეობისგან დაცლილ რეგიონებში. რ. მეტრეველი. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან. თბილისი. "საბჭოთა საქართველო" 1972. გვ. 107; ე.ი. ამ მოსაზრებით გამოდის, რომ ყივჩაღები სასოფლო რეგიონებშიც დასახლებუ-

ლან, რაც მათი მეურნეობის ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელი უნდა ყოფილიყო.

რეალურად გამოიყურება ქ. ჩხატარაიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ყივჩაღთა განსახლება უნდა მომხდარიყო სხვადასხვა საზღვრისპირა რეგიონში. ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში. გვ. 174-175.

თავი IV

საქართველოს სამეფო სელჯუკთა იმპერიის წინააღმდეგ

სამშვილდე — ომის დასაწყისი სელჯუკთა იმპერიასთან

1. ლ. ჭილაშვილი. ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. II. თბილისი. „მეცნიერება." 1970. გვ. 117-124; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. თბილისი. „მეცნიერება." 1980. გვ. 49, 211.

2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 232-235;; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 12-15.

3. გ, ჯაფარიძე (ისევე როგორც რიგი სხვა მკვლევარები) მიიჩნევს, რომ ერწუხის ბრძოლა იყო იმპერიის პასუხი კახეთის შემოერთებაზე და სელჯუკთა პირველი ორგანიზებული ლაშქრობა საქართველოში მალიქ-შაჰის შემდეგ. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 25-26; როგორც უკვე გვქონდა განხილული ზემოთ (III თავში), ერწუხის ბრძოლაში მონაწილეობდა არა სელჯუკთა ირანერაყის იმპერია, არამედ განძის საემირო როგორც ლოკალური ერთეული, რომელიც იმ დროისთვის იმპერიის დაქვემდებარებიდან გამოსული იყო და მისი ქმედებები არ ასახავდა სელჯუკთა ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებებს.

4. ამის შესახებ იხ. III თავის ქვეთავი, „ბრძოლა თურქომან მომთაბარეთა წინააღმდეგ," შენ. 2.

5. პ. ზაქარაია. ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია. თბილისი. 2002. გვ. 61-62;

1065 წლისთვის სამშვილდე აიღო ბაგრატ IV-მ. როგორც ჩანს, ციხე-სიმაგრე იმდენად ძლიერი იყო, რომ ბაგრატს მისი ძალით დაპყრობა არც უცდია, მან ტაშირ-ზორაკერტის მეფის კვირიკეს სიცოცხლის სანაცვლოდ აიძულა სამშვილდის გარნიზონი დანებებულიყო. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 306; ციხე-სიმაგრის ძლიერებაზე მიუთითებს X საუკუნის 90-იან წლების მაგალითიც, როდესაც ანისის მეფე გაგიკმა ალყა შემოარტყა სამშვილდეს და სამი თვის განმავლობაში ცდილობდა მის აღებას. თ. პაპუაშვილი. რანთა და კახთა სამეფო. გვ. 238;

6. ციხე-სიმაგრეთა შტურმი ყოველთვის დიდ მსხვერპლთან, ხოლო ალყა დროსთან და დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ, სადაც ეს შესაძლებელი იყო, მათ აღებას სხვადასხვა ხერხებით ცდილობდნენ, მათ შორის მოულოდნელობის ფაქტორის შექმნით, მოსყიდვით, დანებების შეთავაზებით და ა.შ. ციხე-სიმაგრის აღების «არასაბრძოლო» ხერხებს შორის საკმაოდ გავრცელებული იყო მეომართა ვაჭრებად, ხელოსანებად თუ სხვა მშვიდობიან პროფესიათა იმიტაციით, ციხე-სიმაგრის შიგნით შეღწევა. მაგალი-

თად, 1123 წელს, 50-მდე სომეხმა მეომარმა ხელოსნების სახით შეაღწია სელჯუკი ემირის ბალაკის ციხე-სიმაგრე ხარფურთში და გაათავისუფლა იქ ტყვედ მყოფი იერუსალიმის მეფე, ბალდუინ II. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. pp. 163-164; ანალოგიურად დაიპყრო სელჯუკმა ემირმა რუქნ ად-დინ რახატმა სამსუნი 1299 წელს, როდესაც ციხეში ვაჭრებად გადაცმული მისი მეომრები შევიდნენ. Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток. стр. 188;

ციხეთა მოულოდნელი აღების საინტერესო შემთხვევები აქვს აღწერილი თამარის პირველ ისტორიკოსს, რომლის მიხედვითაც, არდაველის სულტანის არმია ღამე ჩუმად მიახლოვდა ანისს და გამთენიისას, როდესაც ქალაქის კარი გააღეს, მეომრები ელვისებურად შევარდნენ შიგ. ანალოგიურად აიღო ქართულმა (თამარ მეფის) არმიამ თავად არდაველიც, როდესაც ღამე მიუახლოვდნენ ქალაქს და გამთენიისას შევარდნენ შიგნით. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 100, 102.

აშკარაა, რომ სამშვილდის აღებისას დავით აღმაშენებელმა, რომელიღაც ზემოთ აღწერილის მსგავსი ხერხი გამოიყენა.

7. ხლათის ემირი სუკმენი პირველი ჯიჰადის დროს (1110-1115 წწ.) წარმოქმნილი კოალიციის აქტიური წევრი იყო. იგი თავის გარდაცვალებამდე (1111 წ.) მონაწილეობდა ჯიჰადის ყველა საბრძოლო კამპანიაში, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ პერიოდში ხლათის საემიროს სამხედრო ძალები, მთლიანად ედესის საგრაფოსა და სხვა ჯვაროსნების წინააღმდეგ იყო მიმართული და სელჯუკები, ამ ძლიერი საემიროს სამხედრო ძალებს, იმ პერიოდში საქართველოს წინააღმდეგ ვერ გამოიყენებდნენ. ქამალ ად-დინის მიხედვით, ჯიჰადის პირველ კოალიციაში მოსულის ათაბაგ მაუდუდთან და სუკმენთან ერთად, შევიდა ილ-ღაზიც: „А в году 503-м (1109-10 г.) султан переписывался с эмиром Сукманом ал-Кутби, правителем Армении, и Маудудом, правителем Мосула, предлагая им отправиться на священную войну с франками; они собрались и вышли. И присоединился к ним Наджм ад-дин Иль-Гази ибн Артук со множеством туркмен, и направились они ар-руху." Камал ад-дин. Сливки Истории Халеба. 154. стр. 135.

ილ-ღაზიმ კოალიცია ხლათის ემირ სუკმენთან კონფლიქტის გამო მალე დატოვა the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. p. 105; და 1115 წლისთვის ჯვაროსნებთანაც კი გაერთიანდა ჯიჰადის წინააღმდეგ, Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 87; Пьер Виймар. Крестовые Походи, Миф и реальность священной войны. стр. 202-203, Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 131; სუკმენი კი 1111 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა ერთ-ერთი ლაშქრობისას.

8. ერთადერთი ჯვაროსნული სახელმწიფო, რომლის ტერიტორიებიც ევფრატის მარცხენა სანაპიროსაც იკავებდა, იყო ედესის საგრაფო. იგი ყველაზე დიდ სტრატეგიულ საშიშროებას წარმოადგენდა სელჯუკებისთვის (რუქა. № 3). ეს სახელმწიფო სოლივით იყო შეჭრილი სელჯუკთა სამფლობელოებში და თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ერთდროულად ემუქრებოდა სელჯუკთა მფლობელობის ისეთ საკვანძო ცენტრებს, როგორიც იყო მოსული, მარდინი, დიარბეკირი, ბითლისი და სხვა. თავისი ადგილმდებარეობით ედესის საგრაფო ქმნიდა შესანიშნავ პლაცდარმს ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზებისთვის სელჯუკთა სამფლობელოების სიღრმეში, რის გამოც სელჯუკთა აქტიურობა ჯვაროსნების წინააღმდეგ, ძირითადათ ამ ჯვაროსნული ერთეულის წინააღმდეგ იყო მიმართული.

ედესა 1144 წელს აიღო მოსულის ათაბაგმა ზენგიმ, Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. 235-236; რის შემდეგაც (ე.ი. უშუალო საფრთხის ლიკვიდაციის შემდეგ) სელჯუკთა სამხედრო აქტივობა ჯვაროსნების მიმართ საგრძნობლად შესუსტდა და ბრძოლის ინიციატივა სხვა ჯვაროსნული სახელმწიფოების წინააღმდეგ გაერთიანებული ეგვიპტე-სირიის მმართველების (ჯერ სალადინის, შემდეგ კი მამლუქების) ხელში გადა-

ვიდა.

9. Пьер Виймар. Крестовые Походи. Миф и реальность священной войны. стр. 207-208; Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. 132-135;

თრიალეთის ბრძოლა

1. ქართლის ცხოვრება ტ. I. გვ. 332; ეს ცნობა ქართულ ისტორიოგრაფიაში, თავისი დაუჯერებელი ციფრებითა და აღწერილობით, ისტორიულ რეალობადაა მიჩნეული. შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 72-73; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 161-162; მისივე. დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. გვ. 182.

2. მონაცემთა ხასიათით დავითის მემატიანის ეს ცნობა, ნააგავს აღმოსავლელი ავტორების ცნობებს მანციკერტთან ალფ-არსლანის გამარჯვების შესახებ, როდესაც სელჯუკი სულთნის მიერ მოპოვებულ ნამდვილად გრანდიოზულ გამარჯვებას, მუსლიმი ავტორები «ალამაზებდნენ» სრულიად ფანტასტიკური ციფრებით (იხ. I თავის ქვეთავი, «სელჯუკთა ექსპანსია.» შენ. 3).

დავითის მემატიანესთან დაუჯერებელი არა მარტო ციფრები, არამედ ის მითითებაცაა, რომლის მიხედვითაც დავითის 1500 კაციან რაზმს, ბრძოლის წინა ღამეს ნაჭარმაგევიდან თრიალეთის მთებამდე, გაუვლია სადღაც 90-100 კილომეტრი და პირდაპირ ამ მარშიდან დასხმია თავს მოწინააღმდეგეს.

ერთი ღამის განმავლობაში 100 კილომეტრის გავლა აღმავალ მთებში, პრაქტიკულად შეუძლებელია. ეს იქნებოდა წარმოუდგენელი ფიზიკური დატვირთვა როგორც ცხენებისთვის, ასევე მეომრებისთვის. აღალისა და ქვეითთა ნაწილების გარეშე, ცხენოსანთა რაზმებს საშუალო ჩორთით შეეძლოთ საათში 15 კილომეტრის დაფარვა, მაგრამ ასეთი რიტმის შენარჩუნება ცხენების შეცვლის გარეშე, რომელიც ვაკე ადგილებში 4-5 საათითაა შესაძლებელი (ე. ი სადღაც 60-75 კმ მანძილზე), მთების პირობებში სრულიად წარმოუდგენელია.

ერთი ღამის განმავლობაში 100 და მეტ კილომეტრიანი მარშის გავლის შეუძლებლობის შესახებ კარგი ანალოგია ფლამანდრიელი ქრონისტის, ჟან ლე-ბელის ცნობა, ინგლისის არმიის მიერ განხორციელებული ფორსირებული მარშის შესახებ 1328 წელს. ამ მარშის დროს ინგლისის მეფე ედუარდ III-მ, რომელიც ცდილობდა დასწეოდა შოტლანდიელთა არმიას, ერთად ადგილზე მიატოვა როგორც ქვეითი რაზმები, ასევე არმიის თანმხლები აღალიც და ადრე დილიდან დაღამებამდე, მხოლოდ ცხენოსანი რაზმებით განახორციელა დევნა. მიუხედავად ინგლისელი ცხენოსნების მიერ განვითარებული მაქსიმალური სისწრაფისა (რაზედაც ამ მარშის მონაწილე ჟან ლე-ბელი აღნიშნავდა, რომ: «Начали скакать в ужасной спешке), არმიამ მხოლოდ 28 მილის (45 კმ.) გავლა მოახერხა, ამასთან განიცადა საგრძნობი დანაკარგები, ხოლო ადგილზე მისული მეომრები ისე ძალა გამოცლილები იყვნენ, რომ ღამის გასათევი ბანაკიც კი ვერ მოანყვეს. Жан Ле-Бель. Правдивые Хроники. Хроники и Документы Времен Столетней Войны. "Издателство С-Петербургского Университета." 2005. стр. 56-57.

ცხადია, რომ დავით აღმაშენებელს «რაღაცნაირადაც» რომ მოეხერხებინა ერთი ღამის განმავლობაში 1500 კაციანი რაზმის ნაჭარმაგევიდან თრიალეთში მიყვანა, ისინი 100 ათასიანი არმიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, რომელიც მთლიანად კუნთის ძალაზე იყო დამოკიდებული, ფიზიკური დაღლილობისგან სრულიად უვარგისნი იქნებოდნენ.

ცნობის მიხედვით, ბრძოლა დილიდან დაღამებამდე გაგრძელებულა: «ცისკარს მოვიდეს თურქნი და იქმნა ბრძოლა ფიცხელი მას დღესა, და შეწევნითა ღმრთისა იძლია ბანაკი მათი და მიდრეკასა დღისასა მიდრკეს სივლტოლად.» ამ აღწერილობიდან გამოდის,

რომ 1500 მეომარს მთელი დღის განმავლობაში უბრძოლია შეცვლის გარეშე, რაც ასევე შეუძლებელია. როგორი ფიზიკური მომზადებაც არ უნდა ჰქონოდათ დავითის მეომრებს, 10-12 საათის უმძიმეს ფიზიკურ დატვირთვას («ფიცხელ» ბრძოლას) ვერ გაუძლებდნენ და ეს იმ დროს, როდესაც სელჯუკებს შეეძლოთ მუდმივად ეცვალათ დაღლილი მეომრები დასვენებულებით.

დაუჯერებელია მემატიანის მითითება იმის შესახებაც, რომ სელჯუკთა არმია «უგრძნეულად» შემოსულა საქართველოში. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 332; ასი ათასიანის კი არა (როგორც ამას დავითის მემატიანე მიუთითებს), 10 ათასიან არმიასაც არ შეეძლო ფარული გადაადგილება დიდ დისტანციებზე. დიდი არმიის მოძრაობას, რომლის გადაადგილების სისწრაფეც საათში 4-5 კილომეტრი იქნებოდა (იხ. ქვემოთ. შენ. 11) და დიდ სიგრძეზეც გაიშლებოდა, აუცილებლად დააფიქსირებდა სასაზღვრო რეგიონებში თუ შიდა ტერიტორიებზე არსებული ციხე-სიმაგრეთა და საგუშაგო კოშკების სისტემა, რის შედეგადაც საქართველოს მეფისთვის სელჯუკების არმიის შემოსვლა მაშინ უნდა გამხდარიყო ცნობილი, როდესაც ის ჯერ კიდევ საზღვრების სიახლოვეს იქნებოდა (იხ. ქვემოთ. შენ. 10). სხვა შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ XI-XII საუკუნეების ის მრავალრიცხოვანი ციხე-სიმაგრეები, რომლითაც მოფენილი იყო ქვემო ქართლი (სამშვილდე, ფარცხისი, ბირთვისი და ა.შ. პ. ზაქარაია. ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია. გვ. 60-62, 174-175), გარნიზონებისა და მოდარაჯე რაზმების გარეშე ყოფილა მიტოვებული, რაც კიდევ უფრო დაუჯერებელია, ვიდრე მეფის «სანადიროდ ნასვლა» ომის დაწყების შემდეგ. რასაკვირველია, სამშვილდის აღებისა და ქვემო ქართლ-სომხითის ამ ნაწილის დაკავების შემდგომ, როგორც სტრატეგიული, ასევე ოპერატიული საფრთხის შემცველი ეს მიმართულება, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცეოდა. აქ გარნიზონებიც გაძლიერებული იქნებოდა და გზების ვიზუალური კონტროლიც, რის შედეგადაც არათუ დიდი არმიის, არამედ მტრის მცირე რაზმების მოძრაობაც აცილებლად დროულად დაფიქსირდებოდა.

3. იბნ ალ-კალანისის ცნობა შემდეგი შინაარსისაა: «მოვიდა ამბავი განჯის ქვეყანაზე და მის მეზობელ მხარეებზე უღელტეხილებიდან ქართველთა გამოსვლისა. მათ ჩაიდინეს მრავალი სისასტიკე და უკეთურება მის სანახებში. ამბავმა ამის შესახებ მიაღწია მალიქ-შაჰის ძესთან, «ქვეყნისა და სარწმუნოების ხსნასთან,» სულთან მუჰამედთან. მან გაგზავნა ქართველთა წინააღმდეგ მრავალრიცხოვანი ლაშქარი, დაეცა მათ, აიძულა გაქცეულიყვნენ, აიცილა მათი უხამსობა და ბინიერება, განდევნა ხოცვა-ჟლეტით, მისდია, მოაოხრა მათი ქვეყანა, გააპარტახა მათი მხარეები, უშიშარყო განჯის ქვეყნის მოსახლეობა მათი ბოროტებისგან და აღდგა მათი მოკრძალება სულთნისადმი მათი მოსპობით. უკან მოიქცა სულტნის ლაშქარი გამარჯვებული და ნაალაფარი.» ციტირებულია გ. ჯაფარიძის მიხედვით. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 29;

ალ-კალანისისთან შედარებით უფრო მოკლეა ალ-ჰუსაინის ცნობა: «В 503 году грузины вторглись в округ Ганджи. Султан направил против них войско, которое воспрепятствовало их злу.» Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. глава. 29. стр. 83;

4. ნ. ასათიანი. საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. თსუშ. ტ. 125. თბილისი. 1968. გვ. 25; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 27-30.

5. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 115-118;

6. თრიალეთის ბრძოლის მოვლენების აღწერისას, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

აშკარად არარეალურ ვითარებას ხატავს. მისი მიხედვით ისე გამოდის, რომ სამშვილდის აღებისა და სელჯუკების იმპერიასთან ომის დაწყების შემდეგ, დავითი "უდარდელად" ნასულა ნაჭარმაგევში სანადიროდ და არმიაც სახლებში გაუშვია. ხოლო ნადირობის დროს, სელჯუკთა უზარმაზარი არმიის "მისთვის მოულოდნელად" შემოსვლის შემდეგ, ამ არმიას მხოლოდ 1500 მეომრით დასხმია თავს, რითაც თავისი თავიც, თანმხლები მეომრებიც და რაც მთავარია, მთელი სამეფოს ბედიც, თითქმის გარდაუვალი დაღუპვის საფრთხის წინაშე დაუყენებია, რაც, რასაკვირველია, არ შეიძლება სინამდვილეს შეეფერებოდეს. დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა სრულიად საწინააღმდეგოს დამადასტურებელია.

სინამდვილეში, როდესაც დავითმა სამშვილდე აიღო, მთელი მისი ყურადღება სელჯუკთა ქმედებებისკენ უნდა ყოფილიყო მიპყრობილი, რადგან ცალსახა იყო, რომ ისინი ამ აქტს (ანუ ღია შეტევას სელჯუკთა იმპერიაზე) უპასუხოდ არ დატოვებდნენ და ეს ყველაზე კარგად თავად დავით აღმაშენებლისთვის იქნებოდა ცნობილი (იხ. ზემოთ. შენ. 2).

7. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 27-30;

8. სელჯუკებს აშკარად არ ჰქონდათ იმის შესაძლებლობა, რომ ერთმანეთისგან დაშორებულ ორ ფრონტზე მსხვილი ძალები დიდი ხნით დაეკავებინათ. არმიის სიდიდეს, რითაც სელჯუკი სულთნები 1110-1115 წლებში აწარმოებდნენ წმინდა ომს ჯვაროსნების წინააღმდეგ, მაგალითად 1114 წლისთვის, 50 ათასის ფარგლებში მიუთითებენ. Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. p. 128; როგორი გადაჭარბებულიც არ უნდა იყოს ეს ციფრი, ერთი რამ მაინც ფაქტია, სელჯუკებს ისეთი მნიშვნელოვანი ძალები ჰყავდათ დაკავებული სირიაში, რომ გიგანტური არმიის გამოყვანა საქართველოს წინააღმდეგ გაუჭირდებოდათ.

9. წარმოდგენილი მოსაზრების მიხედვით, შესაძლებელი ხდება სელჯუკთა საქართველოში შემოსვლის სავარაუდო მარშრუტის განსაზღვრაც. სელჯუკები უნდა შემოსულიყვნენ დებედის ხეობით ლორე-ტაშირის რეგიონიდან, სადაც იმ პერიოდებისთვის გადიოდა მაგისტრალური მნიშვნელობის გზა, რომელსაც იცავდა გაგის ცნობილი ციხე, რომელიც დავით აღმაშენებელმა რამდენიმე წლის შემდეგ აიღო. დ. მუსხელიშვილი. აღჯაყალა-გაგის ციხე. სიგკ. I. თბილისი. 1960. გვ. 113-140; ხოლო შემდეგ ხრამის ხეობით უნდა გასულიყვნენ ნალკა-თრიალეთის მიდამოებში. აქედან, სელჯუკების მიზანი, ალბათ იქნებოდა შიდა ქართლში გასვლა ატენის ხეობის გავლით. შესაძლო მარშრუტიდან, ალბათ, უნდა გამორიცხოს მტკვრის ხეობის გზა, რადგან ასეთ შემთხვევაში, ყველაზე ბუნებრივი იქნებოდა სელჯუკთა არმია თბილისი-მცხეთის (ან თბილისი-მუხრანის) გავლით მოხვედრილიყო შიდა ქართლის ვაკეზე და საერთოდ გვერდი აევლოთ თრიალეთისთვის.

შესაძლოა, არც ის იყოს გამორიცხული, რომ ინფორმაცია საქართველოს მეფის ნაჭარმაგევში მცირე ძალებით ყოფნის შესახებ, საგანგებოდ ყოფილიყო გავრცელებული სელჯუკთა დეზორიენტაციისა და მათი თრიალეთის მთებში შესატყუებლად და შემდეგ ეს ასახულიყო მემატიანის ცნობაში.

10. საქართველოს ტერიტორიებზე შემოსული სელჯუკთა არმიის მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გადაცემა მრავალი სხვადასხვა საშუალებით (მაცნეებით, საგუშაგო კოშკების ცეცხლისა და კვამლის სასიგნალო სისტემით, გაწვრთნილი მტრედებით და ა.შ.) იქნებოდა შესაძლებელი, რომელთაგანაც ყველაზე სწრაფი და საიმედო მტრედების მეშვეობით ინფორმაციის გადაცემა უნდა ყოფილიყო. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ წერილობით წყაროებში კომუნიკაციის ამ საშუალებაზე ცნობები არ გვხვდება, არავითარი

ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ კავშირის ამ სახეობას საქართველოში იყენებდნენ.

მტრედების მეშვეობით კომუნიკაცია ფართოდ იყო გავრცელებული იმ დროინდელ მსოფლიოში. მაგალითად, ჯუვეინი აღწერს შემთხვევას, თუ როგორ გაუგზავნა საფოსტო მტრედების მეშვეობით ბაღდადის ხალიფამ ბრძანება ქალაქ არბილის ემირს, რათა მას გამოეყვანა არმია და ზურგში დაერტყა ბაღდადისკენ მიმავალი ჯალალ ად-დინისთვის. Ата-Мелик Джувейни. Чингисхан. История Завоевавателя Мира. стр. 298; ჯვაროსანთა მემატიანე რაიმუნდ აგილიერი აღწერს შემთხვევას, როდესაც ჯვაროსნებს ხელში ჩაუვარდათ საფოსტო მტრედი, რომელსაც მიჰქონდა წერილი, რომლითაც ქალაქ აკრის ემირი ატყობინებდა, იერუსალიმისკენ მიმავალი ჯვაროსანთა არმიის მოძრაობის შესახებ, კესარიის ემირს და ურჩევდა ყველაფერი ეღონა მათ წინააღმდეგ. История Средних Веков. Крестовие Походи. Составитель М. М. Стасюлевич. стр. 166; Режин Перну. Крестоносцы. Сантк-Петербург. "ЕВРАЗИЯ." 2001. стр. 137.

11. არმიის მოძრაობის სისწრაფეს განსაზღვრავდა ის სატრანსპორტო საშუალებები (საზიდრები და სასაპალნე ცხოველები), რითაც მეომრებისთვის სურსათ-სანოვაგე და სხვა აუცილებელი ინვენტარი გადაჰქონდათ. საზიდრების სისწრაფე იზომებოდა გამწევი პირუტყვის (ძირითადათ ხარების) გადაადგილების უნარით და ნორმალურ გზებზე, საათში საშუალოდ 4-5 კილომეტრს უდრიდა. John Haldon. Byzantium at War. "Osprey publishing." 2002. p. 67; მთების პირობებში სისწრაფე კიდევ უფრო ეცემოდა და სადღაც 4 კილომეტრის ქვემოთ ჩამოდიოდა. ამ მაჩვენებლების მიხედვით, არმიას, რომელიც მარშირებას იწყებდა მზის ამოსვლის შემდეგ და მოძრაობდა დაახლოებით 6-8 საათი (სამარშო კოლონები ჩერდებოდნენ მზის ჩასვლამდე რამდენიმე საათით ადრე, რათა დაბნელებამდე ბანაკის გამართვა მოესწროთ), ნორმალურ პირობებში, ერთი დღის განმავლობაში შეეძლო დაეფარა მაქსიმუმ 30-40 კილომეტრი, მაგრამ ძალიან ხშირად (ცუდი გზების, უამინდობის, გაუთვალისწინებელი შემთხვევების და ა.შ.) ეს მანძილი კიდევ უფრო ნაკლები იყო. მაგალითად, I ჯვაროსნული არმია მცირე აზიაში მარშირებისას, დღეში საშუალოდ 17-20 კილომეტრს და ხანდახან 10-12 კილომეტრზე მეტსაც კი ვერ გადიოდა. John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. pp. 188-189;

მტრულ ტერიტორიებზე შესული არმია იძულებული იყო როგორც სურსათ-სანოვაგე, ასევე სხვა აუცილებელი ინვენტარიც თან ეტარებინა, ანუ ემოძრავა ხარებისა და სხვა სასაპალნე ცხოველების გადაადგილების სისწრაფით, რის გამოც ასეთი არმიის მარშის სისწრაფე იყო ბევრად ნაკლები, ვიდრე დამხვედრი არმიისა, რომელსაც (საკუთარ ტერიტორიებზე ყოფნის გამო) არ ჰქონდა დიდი აღალის თან ტარების აუცილებლობა, რადგან სურსათ-სანოვაგის მარაგი მას გზადაგზა შეიძლებოდა გამზადებული დახვედროდა. ამ თვალსაზრისით, როგორც თრიალეთის, ასევე შემდეგ დიდგორის ბრძოლის დროს, დავით აღმაშენებლის არმია იქნებოდა უფრო მობილური და სწრაფი, ვიდრე სელჯუკებისა, რომელსაც დიდი მოცულობის აღალი უნდა ხლებოდა თან. მაგალითად, დიდგორის ბრძოლის შემდეგ, დავით აღმაშენებლის მემატიანე აღნიშნავს დიდი რაოდენობით კარვებს, საალყო მანქანებს, იარაღ-საჭურველს და სხვა ინვენტარს, რომელიც ილ-ღაზის არმიას დარჩა ბრძოლის შემდეგ და რომლის თან ტარებაც დიდი და ნელმავალი აღალის (საზიდრებისა და სასაპალნე ცხოველების) გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 341.

თუ ასეთი ამოცანა იარსებებდა, მაღალი სისწრაფისთვის შეიძლებოდა მიეღწიათ არმიის შემადგენლობაში შემავალ ცალკეულ სამხედრო ნაწილებს (ცხენოსნებს შეეძლოთ გაევლოთ 50-70, ხოლო ქვეითებს 40-50 კილომეტრი. John Haldon. Byzantium at War. p. 67), მაგრამ ასეთ სისწრაფეს მთელი არმია ერთდროულად ვერ განავითარებდა, რადგან ასეთ შემთხვევაში მას მოუწევდა აღალის დაუცველად დატოვება, რის უფლებასაც, ბუნებრივია, არც ერთი მხედართმთავარი არ მისცემდა თავს.

თრიალეთის ბრძოლის (ისევე როგორც დიდგორის ბრძოლის) დროს, დავით აღმაშენებელმა სისწრაფის უპირატესობა, როგორც ჩანს, სრულად გამოიყენა და ამის მეშვეობით აიძულა მონინააღმდეგე, მისთვის არახელსაყრელ გარემოში მიეღო ბრძოლა.

12. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 332.

13. არმია ბანაკის დატოვების მომენტში, როდესაც რაზმები სამარშო კოლონებად ეწყობოდნენ, გარკვეულ წილად კარგავდა ბრძოლისუნარიანობას და თავდასხმის შემთხვევაში ნაკლებად დაცული ხდებოდა. ბანაკის დატოვების მომენტი საგანგებო ორგანიზებულობასა და მეთაურთა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვდა. მაგალითად, ბიზანტიურ სამხედრო ხელოვნებაში, ბანაკის დასატოვებლად, მთელი რიგი სტანდარტული ღონისძიებები იყო შემუშავებული, რასაც უნდა უზრუნველყო არმიის უსაფრთხოება ბანაკის დატოვებისას. Два Византийских Военных Трактата конца X века. издание подготовил. В. В. Кучма. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2002. стр. 303-304, 346-348.

1115-1120 წლების კამპანია

1. Константин Рыжов. Мусульманский Восток. стр. 382-383; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 36-38;

2. აქ იგულისხმება სამხედრო აქტიურობის შეჩერება საქართველოს სამეფოსა და სელჯუკთა იმპერიას შორის. რაც შეეხება მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლას, იგი ისევე როგორც 1110 წლამდე, შემდეგაც ინტენსიურად უნდა გაგრძელებულიყო.

3. Пьер Виймар.Крестовые Походи, Миф и реальность священной войны. стр. 204; Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. pp. 132-133;

4. აგარანის ნ. ბერძენიშვილი კოჯრის ციხესთან აიგივებდა. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. I. თბილისი. "მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა." 1964. გვ. 326; ივ. შაიშმელაშვილი კი მის ადგილმდებარეობას სამშვილდის სიახლოვეს მიუთითებდა. ივ, შაიშმელაშვილი. აზეულა, კოჯრის ციხე, აგარანი. მიაეხს. №4. 1986. გვ. 137-140.

5. ქართლის ცხოვრება ტ. I. გვ 339-340;

6. ჯ. სტეფნაძე. საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში. თბილისი. „მეცნიერება." 1974. გვ. 38-44.

7. თეორიული შესაძლებლობა ასეთი გაერთიანებისა, რასაკვირველია, არსებობდა და მის რეალიზაციას, იმ ვითარებაში, როდესაც წინა აზიის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქრისტიანული იყო, Joshua Prawer. the Crusaders Kingdom. Europian Colonialism in the Middle Ages. pp. 46-59, 214-232, და როდესაც სამ ქრისტიანულ სახელმწიფოებრივ ძალას, აშკარად ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული პოზიციები ეკავა სელჯუკთა წინააღმდეგ (ისინი ერთგვარ სტრატეგიულ „სამკუთხედს" კრავდნენ სელჯუკთა სამფლობელოების გარშემო. იხ. რუქა №3), კატასტროფული შედეგები შეიძლებოდა მოეტანა სელჯუკებისთვის.

კოორდინირებული მოქმედებების მცდელობებს ჯვაროსნებსა და ბიზანტიას შორის XII საუკუნის 80-იან წლებამდე, არაერთგზის ჰქონდა ადგილი, თუმც მათ შორის არსებუ-

ლი ღრმა პოლიტიკური და განსაკუთრებით, რელიგიური წინააღმდეგობები, ერთობლივ მოქმედებებს შეუძლებელს ხდიდა.

რაც შეეხება საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნდა მჭიდრო რელიგიური კავშირი იერუსალიმთან და ჯვაროსანთა ხელში მყოფი ქრისტიანობის სხვა ცენტრებთან, Joshua Prawer. the Crusaders Kingdom. pp. 229-230, დავით აღმაშენებლის ეპოქაში, ჯვაროსნებთან ასეთი გაერთიანების მცდელობა არ ფიქსირდება. ამ საკითხის შესახებ იხ. VI თავის ქვეთავი, "ჯვაროსანი მეომრები და ქართული არმია," აგრეთვე ამავე ქვეთავის შენ. 43; თუმცა არ არის გამორიცხული დავით აღმაშენებლის ქალიშვილის კატაის გათხოვება ბიზანტიელ უფლისწულზე 1118 წელს, ბიზანტიის იმპერიასთან სწორედ ასეთი კოორდინაციის დამყარების მცდელობა ყოფილიყო.

8. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 340;

თავი V

მუსლიმური კოალიცია დიდგორის ბრძოლის წინ

ჯიჰადი საქართველოს წინააღმდეგ

1. XII საუკუნის I მეოთხედისთვის (ანუ ზუსტად დავით აღმაშენებლის მეფობის დროს), მუსლიმური ჯიჰადის კონცეფციას, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული II თავში (იხ. ქვეთავი „ჯიჰადი, მუსლიმთა პასუხი ქრისტიანების შეტევაზე) სავსებით ჩამოყალიბებული და სპეციფიკური სახე ჰქონდა მიღებული, რაც გამომდინარეობდა იმ ვითარებიდან, რომ მუსლიმური სამყარო იმყოფებოდა თავდაცვის და არა შეტევის მდგომარეობაში, რის გამოც ამ პერიოდის ჯიჰადიც აქტიური თავდაცვითი ბრძოლის ხასიათს ატარებდა. მუსლიმთა ის რეაქცია, რითაც მათ უპასუხეს დავით აღმაშენებლის გააქტიურებას, თითქმის ქრესტომათიულად ემთხვევა მუსლიმი თეოლოგების (ალ-სულამის, ალ-გაზალის და ა.შ. იხ. Hadia Dajani-Shakeel. A Reassessment of Some Medieval and Modern Perceptions of the Counter-Crusade. pp. 41-55) მიერ შემუშავებულ ჯიჰადის წარმოების კონცეფციას, რომლის მიხედვითაც, იმ მუსლიმურ რეგიონს, რომელიც განიცდიდა ქრისტიანთა შეტევას, ჯერ საკუთარი ძალებით უნდა ეცადა მტრის მოგერიება, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში მოეხმო დასახმარებლად სხვა რეგიონების მცხოვრები მუსლიმებისთვის. ეს კონცეფცია, რომელიც ყოველდღიურობაში, რასაკვირველია, ვერ ხორციელდებოდა კლასიკური სახით, საქართველოს შემთხვევაში (როგორც აღვნიშნეთ) თითქმის ქრესტომატიულად განხორციელდა.

საქართველოს სამეფოს წინსვლის შეკავებას, ჯერ მხოლოდ განძის საემირო, როგორც მისი მეზობელი მუსლიმური რეგიონი ცდილობდა, რაც ერწუხის ბრძოლაში მისი მონაწილეობით გამოიხატა. როდესაც დავით აღმაშენებელმა დაიწყო საქართველოს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება, რომელიც მიმდინარე მომენტისთვის მუსლიმთა კუთვნილებას წარმოადგენდა, ამას მუსლიმთა გაერთიანებული ძალების (სავარაუდოდ, განძის, სამხრეთ აზერბაიჯანისა და დასავლეთ ირანის) შეტევა და თრიალეთის ბრძოლა მოჰყვა შედეგად. როდესაც ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი საქართველოს შესაჩერებლად და დავით აღმაშენებელმა ალყა შემოარტყა თბილისს და დაიწყო არა მარტო ყოფილი სომხური, არამედ ისლამის გავრცელების ტრადიციული ტერიტორიების დაკავება ან დარბევა, მაშინ

მუსლიმურმა სამყარომ უკვე ფართო მაშტაბიანი ჯიჰადი გამოაცხადა მის წინააღმდეგ და მასში მონაწილეობის მისაღებად მიიწვია საქართველოდან ისეთი შორეული რეგიონები, როგორიც იყო მარდინი და ალეპო, რომელთა უსაფრთხოებასაც დავით აღმაშენებელი არაფრით არ ემუქრებოდა, მაგრამ რომლებსაც სწორედ მაშინდელი ჯიჰადის კონცეფცია ავალდებულებდა საქართველოს მიერ განხორციელებული შეტევის წინააღმდეგ გამოსვლას.

ილ-ღაზის კოალიცია რომ ჯიჰადის გაერთიანებას წარმოადგენდა, ამას რიგი სხვა გარემოებებიც მიუთითებენ. დავითის მემატიანის პირდაპირი მითითება (რასაც მათე ურჰაელი და ალ-ასირიც ადასტურებენ), რომ საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობა, რასაც დიდგორის ბრძოლა მოჰყვა შედეგად, განხორციელდა თბილისელ, განძელ და დმანელ მუსლიმთა „დაჟინებული" თხოვნის შედეგად, აბსოლუტურ რეალობას უნდა წარმოადგენდეს, რადგან ამ რეგიონებში მცხოვრებ მუსლიმებს, როგორც უძლურებს საქართველოს სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლაში, ჯიჰადის კონცეფციის თანახმად სრული იურიდიული უფლება ჰქონდათ, მოეთხოვათ სამხედრო დახმარება ისეთ შორეულ რეგიონებშიც კი, რომლებსაც საქართველოს სამეფოსთან არანაირი პოლიტიკური შეხება არ ჰქონდათ და რომლებზეც საქართველოს გაძლიერება არავითარ ნეგატიურ ზეგავლენას არ ახდენდა.

უფრო მეტიც, საქართველოს წინააღმდეგ ჯიჰადის იდეის ჩამოყალიბების პროცესი, თითქმის ისტორიული დინამიკით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: ჯიჰადის იდეა თავდაპირველად გაჩნდა თბილისის საემიროში, რომელიც დავით აღმაშენებლის მიერ კახეთის დაკავების შემდეგ კარგად ხედავდა მის გარშემო წარმოქმნილ საფრთხეს. თბილისელი მუსლიმების თხოვნა დახმარების თაობაზე თავდაპირველად განძის ემირებისადმი იყო მიმართული, რომლებიც თავადაც შეშფოთებულები იყვნენ დავით აღმაშენებლის გაძლიერებით. როდესაც განძის საემიროც უძლური აღმოჩნდა საქართველოს სამეფოს წინაშე, მაშინ დახმარების თხოვნა სხვა მახლობელი საემიროებისადმი (სამხრეთ აზერბაიჯანის, დასავლეთ ირანის) იქნა მიმართული და როდესაც საქართველოს გარემომცველი მუსლიმური რეგიონების ძალაც არ აღმოჩნდა საკმარისი დავით აღმაშენებლის შესაჩერებლად, სწორედ მაშინ განხორციელდა საყოველთაო ჯიჰადის მოწოდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით, უაღრესად საინტერესო და ღირებულია მათე ურჰაელის ცნობა ამირ ჰაზის შესახებ, რომელმაც ილაშქრა საქართველოში, ხოლო შემდეგ თავად გახდა დავით აღმაშენებლის თავდასხმის ობიექტი და დამარცხების შემდეგ ილ-ღაზისთან წავიდა დახმარების სათხოვნელად. ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 243-244; Matthew of Edessa. the chronicle of Matthew of Edessa. III. 83. p. 226; ურჰაელისეული „ამირ ჰაზი" (მის შესახებ იხ. აგრეთვე VIII თავის ქვეთავი, „ ბრძოლა კოალიციის ერთიანობის წინააღმდეგ"), როგორც ეს ურჰაელის ცნობიდან აშკარად ჩანს, მომთაბარეთა წინამძღოლია. როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული წინა თავებში, თურქმენი მომთაბარეები ძირითადათ ქრისტიანული სახელმწიფოების (საქართველოს, ბიზანტიის, ჯვაროსნებისა და კოლიკიის სომხეთის) სასაზღვრო რეგიონებში იყვნენ განსახლებულნი და შესაძლებლობის შემთხვევაში აქტიურად მიგრირებდნენ ამ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე. ამ მომთაბარე ტომთა ნაწილი, სელჯუკთა ადმინისტრაციასთან ურთიერთობის დარეგულირებისა და რელიგიური მოვალეობების შესრულების მიზნით, ვალდებულებას იღებდა ქრისტიანების წინააღმდეგ ეწარმოებინა პერმანენტული წმინდა ომი, „ჰაზავათი," (არაბული ჯიჰადის თურქული შესატყვისი) საიდანაც ჩნდებოდა ჰაზავათის მაწარმოებელ მომთაბარეთა წინამძღოლების სახელი „ჰაზი," (იგივეა რაც „ილ-ღაზი," რომელიც ნიშნავს ალაჰის ვარსკვლავს და რელიგიის დამცველს, რომელსაც წმინდა ომების, ჰაზავათისა და ჯიჰადის მაწარმოებელ ემირებს აკუთვნენდნენ ისლამის რელიგიური მამები). ასეთი „ამირ ჰაზებით" ავსებული იყო სელჯუკთა სამფლობელოების სასაზღვრო რეგიონები. მაგალითად, XIII-XIV საუკუუნეების მიჯნაზე, სელჯუკთა

რუმის სასულთნოს საზღვარზე ბიზანტიის იმპერიასთან, არანაკლებ ათი „ამირ ჰაზი" მოქმედებდა, რომელთაგანაც ყველაზე ენერგიული და „იღბლიანი," განსხვავებით მათე ურჰაელისეული „ამირ ჰაზისგან," რომელიც დავით აღმაშენებელმა გაანადგურა, ოსმალეთის იმპერიის დამაარსებელი ოსმან-ჰაზი აღმოჩნდა, რომლის ჰაზავათიც ბიზანტიის წინააღმდეგ, ოსმალეთის იმპერიის შექმნით დასრულდა. Halil Inalcik. the Ottoman Empire. the Classical Age. 1300-1600. „Phoenix." 1988. pp. 6-8.

ის ფაქტი, რომ საქართველოს წინააღმდეგ ჰაზავათის წარმოების ვალდებულება აღებული ჰქონდათ თურქმენ მომთაბარეებს (რაც გარკვევით ჩანს მათე ურჰაელის ცნობიდან), უკვე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ისლამური სამყარო საქართველოს იმ მასშტაბის საშიშროებად თვლიდა, რომელსაც „წმინდა ომების" მეშვეობით უნდა დაპირისპირებოდა, რომელიც მუსლიმთა ნებისმიერი სიდიდის ძალას (მეომართა ცალკეულ ჯგუფს, მომთაბარეთა ტომს ან ტომთა გაერთიანებას, ცალკეულ მხედართმთავარს და ა. შ.) შეეძლო ეწარმოებინა, ამიტომ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ მათე ურჰაელის მიხედვით, დავით აღმაშენებლის არმიას გადარჩენილი ამირ ჰაზის მეომრები, სწორედ ილ-ღაზისთან, როგორც საქართველოს წინააღმდეგ მუსლიმური ჯიჰადის ლიდერთან, როგორც ამ ჯიჰადის მონაწილეები შესაერთებლად წავიდნენ.

2. Пьер Виймар. Крестовые Походы. Миф и реальность священной войны. стр. 212; Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 151;

3. ილ-ღაზის საქართველოში ლაშქრობის მოტივაციაზე ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულია შემდეგი შეხედულებები:

-"საქართველოზე ლაშქრობით ილ-ღაზის უნდოდა ჯვაროსნების მოკავშირის (ე.ი. საქართველოს) განადგურება."

-"საქართველოდან მომავალი მუქარის ლიკვიდაციის შემდგომ, ილ-ღაზის ხელს აღარაფერი შეუშლიდა შესდგომოდა იერუსალიმისა და ანტიოქიის დამორჩილებას."'

-"ილ-ღაზის ლაშქრობას განაპირობებდა თურქმენთა ფაქტორი (მათი დახმარების სურვილი), რომელთაც ებრძოდა საქართველოს მეფე."

გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 44-45, იქვე მითითებულია სხვა ლიტერატურაც.

არც ერთი ეს შეხედულება რეალური არ უნდა იყოს. საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის არავითარი მოკავშირეობა არ არსებობდა (ამის შესახებ დეტალურად იხ. VI თავის ქვეთავი, "ჯვაროსანი მეომრები და ქართული არმია") და რომც ყოფილიყო, ამ შემთხვევაში, ილ-ღაზის საქართველოში ლაშქრობა უფრო გაუგებარი იქნებოდა, რადგან იგი უკვე ეომებოდა ჯვაროსნებს, რაშიც დავით აღმაშენებელი არც არავითარ მონაწილეობას ღებულობდა და ამ ომზე არც რაიმე ზეგავლენას ახდენდა. ილ-ღაზის 1119-1120 წლების ომი ჯვაროსნებთან, აშკარად მისი უპირატესობით მიმდინარეობდა (ამის შესახებ იხ. VI თავის ქვეთავი, "ჯვაროსანი მეომრები და ქართული არმია," აგრეთვე, შენ. 43). ე.ი. აღნიშნული მოსაზრების მიხედვით გამოდის, რომ ილ-ღაზიმ შეწყვიტა წარმატებით მიმდინარე ომი ჯვაროსნებთან, დადო მათთან მისთვის წამგებიანი ზავი (იხ. VI თავის ქვეთავი, "ჯვაროსანი მეომრები და ქართული არმია," შენ. 43) და წავიდა ჯვაროსნების იმ შორეული მოკავშირის დასამარცხებლად, რომელიც არავითარ დახმარებას არ უწევდა ჯვაროსნებს ილ-ღაზის წინააღმდეგ. ასეთი ვერსია არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება და ბუნებრივია, იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ილ-ღაზის საქართველოში ლაშქრობის ნამდვილი მიზეზი.

მეორე მოსაზრება, რომლის მიხედვითაც საქართველოს დამარცხების შემდეგ, ილ-ღაზი უნდა შესდგომოდა იერუსალიმისა და ანტიოქიის დამორჩილებას (ვალტერ გოტიეს ვერსია. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი. თბილისი. "საბჭოთა საქართველო." 1989. გვ. 45), ასევე ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას. დავით

აღმაშენებელი ისედაც არ უშლიდა ხელს ილ-ღაზის ანტიოქია-იერუსალიმის დაპყრობაში. ეს თავად ილ-ღაზის არ შეეძლო მათი დაპყრობა (ანუ ყველა ჯვაროსნული სახელმწიფოს დამარცხება, რაც იგულისხმება გოტიეს ამ ფიგურალურ ცნობაში), მას ამის სამხედრო რესურსი არ გააჩნდა, რაც კარგად გამოჩნდა ანტიოქიის სამთავროსთან მისი ომის დროს, როდესაც "სისხლიან ველზე" მოპოვებული სრული გამარჯვების მიუხედავად, მას არ უცდია არათუ იერუსალიმისა და სხვა ჯვაროსნული სახელმწიფოების, დაპყრობა (რომელთაც ილ-ღაზი, ფაქტიურად, არც ეომებოდა მათ ტერიტორიებზე), არამედ იმ მომენტისთვის სრულიად დაუცველი ანტიოქიის აღებაც კი. ილ-ღაზის (რომც შესძლებოდა) არც ჰქონდა დასახული მიზნად ჯვაროსანთა სრული განადგურება, მის მთავარ ამოცანას მის ხელში საკმაოდ მოულოდნელად ჩავარდნილი ალეპოს საემიროს შენარჩუნება წარმოადგენდა და მისი სამხედრო მიზნებიც ჯვაროსნების წინააღმდეგ ომში, ამ ამოცანიდან გამომდინარეობდა, რაც თავისი ხასიათით საკმაოდ ლოკალური ამოცანა იყო (ანტიოქიის სამთავროს, როგორც ალეპოს მფლობელობის ძირითადი კონკურენტის დასუსტება და ანტიოქიის მფლობელ მეომარ ნორმან რაინდთა გზიდან ჩამოცილება. Tomas S. Asbridge. the significance and causes of the battle of the Field of Blood. JMH. v. 23,4. 1997. pp. 315-316). შეიძლება ითქვას, რომ ილ-ღაზი მისთვისაც საკმაოდ მოულოდნელად გახდა ჯიჰადის ლიდერი, რის შემდეგაც მას აღარ შეეძლო იმ აღიარების უკუგდება, რაც «სისხლიან ველზე» გამარჯვების გამო გამოუცხადეს მას ისლამის სამყარომ და მუსლიმთა ლიდერებმა.

-რაც შეეხება მესამე მოსაზრებას, რომ ილ-ღაზიმ საქართველოში ილაშქრა თურქმენების (ე.ი. მომთაბარეების) დასახმარებლად, რომელთაც ეომებოდა დავით აღმაშენებელი, არც ეს უნდა იყოს რეალური. როგორც ვნახეთ, დავით აღმაშენებელი მომთაბარეებს უკვე 20 წლის განმავლობაში (სელჯუკებისთვის ხარკის შეწყვეტის შემდეგ) ეომებოდა და ამ დროის მანძილზე სელჯუკთა ხელისუფლები მათ არ დახმარებიან. საეჭვოა, რომ ილ-ღაზის ისეთი ძლიერი სურვილი გასჩენოდა მათი დახმარებისა მომთაბარეებთან დავითის ბრძოლის 21-ე წლისთავზე, რომ შეეწყვიტა ჯვაროსნებთან წარმატებით მიმდინარე ომი და წასულიყო საქართველოში მათ გადასარჩენად.

-არსებობს მეოთხე მოსაზრებაც, რომ: «ილ-ღაზის მიზანი თბილისის ხელში ჩაგდება და თბილისიდან ჰალებამდე, ვრცელი სახელმწიფოს შექმნა იყო.»

გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 44-46.

ილ-ღაზი, მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ ძლიერი საემიროს მფლობელს წარმოადგენდა, არ იყო არც ალფ-არსლანი და არც მალიქ-შაჰი, ასეთ გრანდიოზულ გეგმებზე ოცნება რომ შესძლებოდა. მას ამის არანაირი რესურსი არ ჰქონდა. თბილისიდან ალეპომდე ვრცელი სახელმწიფოს შექმნა, ნიშნავდა სამხედრო კონტროლისა და მმართველობის დამყარებას ამ არეალში განფენილ სელჯუკთა საემიროებზე, რომელთაგანაც ზოგიერთი, მაგალითად, ხლათის საემირო, არც სამხედრო ძალით და არც ეკონომიკური რესურსებით არ ჩამოუვარდებოდა მარდინის საემიროს და მათზე ილ-ღაზის გაბატონება, სრულიად წარმოუდგენელი იყო.

ილ-ღაზის არც თბილისის დაუფლებაზე უნდა ჰქონოდა რაიმე ილუზიები. მას არ გააჩნდა ისეთი ადმინისტრაციული რესურსი, რომლის მეშვეობითაც შესძლებდა ათასი კილომეტრით დაშორებული ქალაქის მართვას (ეს მან ალეპოშიც კი ვერ მოახერხა ბოლომდის. აქ მას ხან მოქალაქეები აუჯანყდნენ და ხან ქალაქის გამგებლად დანიშნული საკუთარი შვილი). თბილისის დაპყრობა ილ-ღაზის იმდენ ორგანიზაციულ პრობლემას გაუჩენდა, რომ ქალაქის ფლობას მისთვის არავითარი რეალური აზრი არ ექნებოდა.

ერთადერთი მოტივაცია, რის გამოც ილ-ღაზი საქართველოში უნდა წასულიყო, რჩება მხოლოდ მისი «რელიგიის დამცველის ტიტული,» რომელსაც ილ-ღაზი, როგორც ჩანს, ძალიან უფრთხილდებოდა.

4. ამ ზავის შესახებ ცნობები დაცული აქვთ ქამალ ად-დინსა და იბნ ალ-კალანისის.

Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 196. стр. 154, 156; the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. p. 162; Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 159; დეტალურად ამ ზავის შესახებ იხ. VI თავის ქვეთავი, "ჯვაროსნები და ქართული არმია," შენ. 37.

5. სხვა არგუმენტები რომ არ დავასახელოთ, ირან-ერაყის სულთნის მაჰმუდის მოტივაცია იქნებოდა მისი იმპერიის ტრადიციული ინტერესი საქართველოს მიმართ, ხოლო სანჯარს ამის გაკეთებას თუნდაც მხოლოდ სელჯუკთა დიდი სულთნის (ე.ი. ყველა ჭეშმარიტი მუსლიმის დამცველის) ტიტული დაავალდებულებდა. ამასთან, რომელიმე სულთნის მხრიდან ასეთი ბრძანების გაცემა უფრო რელიგიურ აქტივისტებზე (ე. წ. «Mutawwiun"-ების მიმართ) გაკეთებული მოწოდება იქნებოდა ვიდრე ადმინისტრაციული სისტემისადმი მიმართული ბრძანება, რაც როგორც სანჯარის, ასევე მაჰმუდის მხრიდან ადვილი შესასრულებელი იყო.

6. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. გვ. 45; Р. А. Гусейнов. Из хроники Михаила Сирийца. книга 15. глава. 12. стр. 41; Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 169;

7. გოტიეს მიერ მითითებულ «ხორასნის სულთანში» არ იგულისხმება არც სელჯუკთა დიდი სულთანი სანჯარი და არც ირან-ერაყის სულთანი მაჰმუდი. იგი აშკარად რანგით უფრო დაბალ პირს (მალიქს, ემირს) მიუთითებს, რადგან აღნიშნავს, რომ ილ-ღაზიმ საქართველოში ლაშქრობა გადაწყვიტა «ერთ-ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად» («With one of the sultans of Khorasan»), რისი მიხედვითაც ეს «სულთანი» ერთ-ერთი მრავალთაგანია სხვა «სულთნებს» შორის. გოტიე ამ «ერთ-ერთ სულთანში» აშკარად იმ დროისთვის არანის გამგებელს, მალიქ (პრინც) თოღრულს უნდა გულისხმობდეს.

რაც შეეხება მიხეილ სირიელის «ხორასნელ სულთანს,» იგი ნამდვილად სელჯუკთა დიდი სულთანი სანჯარია, რომელსაც სირიელი სხვა ადგილზე პირდაპირ სახელით იხსენიებს. გარდა ამისა, სელჯუკთა დიდი სულთნები (ალფ-არსლანი, ბერკიარუკი, მუჰამედ ტაპარი, სანჯარი) სირიელთან ყოველთვის «ხორასნის სულთნები» არიან. Р. А. Гусейнов. Из хроники Михаила Сирийца. книга 15. глава. 12. стр.31-33, 39;

8. ალ-ფარიკისა და ალ-ჯაუზის მიხედვით, თბილისელებმა დახმარება სთხოვეს თოღრულსა და ილ-ღაზის, Из истории Майяфарикана Ибн ал-Азрака ал-Фарики. Перевод с арабского А. Дж. Мамедова. ТИИА. т. XII. 1957. стр. 222; ო. ცქიტიშვილი. სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. თსუშ. ტ. 118. თბილისი. 1967. გვ. 203; ალ-ასირი აღნიშნავს, რომ საქართველოს მეზობელი მხარეების მმართველები მიმონერით შეთანხმდნენ საქართველოში ლაშქრობაზე. Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль (полного свода истории) Ибн ал-Асира. Перевод П. Жузе. Баку. 1940. стр. 123; ხოლო ქამალ ად-დინი და ალ-კალანისი მიუთითებენ, რომ ილ-ღაზის დახმარება თოღრულმა სთხოვა. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 199. стр. 156; the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. p. 164;

9. Роберт Ирвин. Ислам и Крестовые Походы. стр. 273;

10. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 340;

11. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 339-340;

კოალიცია და მისი მხედართმთავრები

1. Константин Рыжов. Мусульманский Восток. VII-XV вв. стр. 87-89;

2. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 124. стр. 121; the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the Chronicle of Ibn Al-Qalanisi. p. 45.

3. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 42-43; Константин Рыжов. Мусульманский Восток. VII-XV вв. стр. 87;

4. მარდინის საემირო ალეპოს მიერთების შემდეგ მჭიდროდ დაუახლოვდა ანტიოქიის სამთავროსაც, რომელთანაც ჩრდილო-დასავლეთით მათ ჰქონდათ საკმაოდ დიდი სიგრძის საერთო საზღვარი.

5. the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. p. 105; Пьер Виймар. Крестовые Походи. Миф и реальность священной войны. стр. 201-203; Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. p. 131;

6. მაგალითად, 1114 წელს, მოსულის ათაბაგმა ილ-ბურსუკიმ, მძევლად აიყვანა ილ-ღაზის შვილი აიაზი, რის შემდეგაც ილ-ღაზი თავს დაესხა ათაბაგს და დაამარცხა იგი. Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. p. 129; მიხეილ სირიელი იძლევა მის ქრონიკაში ჩართულ, არაბი ანონიმი ავტორის ცნობას, ილ-ღაზის სელჯუკ სულთნებთან და სირიაში მათ წარმომადგენელ, მოსულის ათაბაგებთან დაპირისპირების ამ ეპიზოდის შესახებ: "Наджм ад-Дин Иль-Гази I ибн Артук пришел на службу сыну султана и отправил с ним своего сына Айаза во главе трехсот всадников. Когда они подошли к Шабахтану, Наджм ад-Дин послал найти франков и приободрить их. Это стало известно сыну султана, он схватил Айаза, сына Наджм ад-Дина, и заковал. Затем они разорили его владения и осадили Наджм ад-Дин ушел к Шахразуру, где собрал многочисленное войско. Его братья владетель Хисн-Кайфы Рукн ад-Дин и Балак ибн Бахрам ибн Артук отправились на его поиски. Они собрали многочисленную пехоту и пошли с сильным войском навстречу сыну султана, с тем чтобы освободить сына Наджм ад-Дина. Когда они подошли к Курдису, поблизости от Дары, то увидели воинов сына султана, которые расположились лагерем, но без охраны. Увидев это, всадники Наджм ад-Дина напали и захватили их. Среди них оказались владетель Шигара Тамирек-Арслан, а также владетели Нисибина и Макисина Когда сын султана узнал, что его воины разбиты, то покинул Дару и ушел к Нисибину. А Наджм ад-Дин Иль-Гази I ибн Артук подошел и захватил шатры и все то, что в них имелось. Сын Наджм ад—Дина, видя, что они поспешно отходят, что наступила ночь и никто ни на кого не обращает внимания, как был в оковах, соскочил со своего мула и спрятался в синагоге. Некий курд сообщил его отцу, тот послал десять человек, которые нашли и доставили его. Это было большой радостью для рода Артука. А сын султана возвратился к своему отцу и пожаловался на Наджм ад-Дина. Султан стал угрожать Наджм ад-Дину, ибо тот не почтил тюркское государство. Наджм ад-Дин же вступил в союз с франками и атабеком Дамаска Туг-Тегином. И они поклялись оказывать друг другу помощь." Р. А. Гусейнов. Из хроники Михаила Сирийца. книга 15. глава. 14. стр. 44.

ილ-ღაზისა და სელჯუკი სულთნების დაპირისპირებაზე ცნობებს იძლევა უსამა იბნ მუნკიზიც: "Однажды я был свидетелем того, как войско франков пришло к нам, чтобы сразиться. Часть из нас вместе с атабеком Туттегином направилась к крепости аль-Джиср, чтобы осадить ее. Атабек и Ильгази ибн Ортук соединились с франками из Апамеи, чтобы воевать с войсками султана." Усама ибн Мункыз. Книга Назидання. Перевод Ю. И. Крачковского. Москва. "Восточная Литература." 1958. стр. 159;

7. ილ-ღაზის ფინანსურ შესაძლებლობებს ახასიათებს იბნ ალ-ასირი: "Ильгази Ибн Артук никогда не вел долгих кампаний против франков, туркменов под его знамена влекла лишь алчность. Они приходили один за другим с мешками, в которых была мука и нарезанная полосками вяленая баранина. Все время пока шла кампания, Ильгази был вынужден буквально считать часы до ее окончания и как можно скорее возвращался обратно. Действительно, если кампания затягивалась, туркмены разбегались, ибо у него не было денег, чтобы платить им." ციტირებულია პიერ ვიიმარის მიხედვით. Пьер Виймар.Крестовые Походи. Походи, Миф и реальность священной войны. стр. 207;

ილ-ღაზის ფინანსური პრობლემები ჩანს უსამა იბნ მუნკიზის მიერ აღწერილი იმ ეპიზოდიდანაც, როდესაც მან ტყვედ აიყვანა ერთი ანტიოქიელი დიდებული, რომელმაც გამოსასყიდათ 10 ათასი დინარი შესთავაზა. ილ-ღაზის თანხა ეცოტავა და ტყვე დამასკოს ათაბაგ ტუგტეგინთან გააგზავნა, რათა მას გამოსასყიდის რაოდენობა გაეზარდა. ამის ნაცვლად ტუგტეგინმა ტყვე მოკლა, რითაც ილ-ღაზის დიდი აღშფოთება გამოიწვია: "Мы нуждаемся в каждом динаре для уплати туркменам, а этот назначил за себя выкуп в десять тысяч динаров. Я послал его к тебе, думая, что ты испугаешь его и он увеличит свой выкуп, а ты убил его. Я не умею лучше пугать, чем так, отвечал атабаг." Усама ибн Мункыз. Книга Назидання. стр. 197;

8. Тамара Т. Райс. Сельджуки, Кочевники-завоеватели Малой Азии. стр. 54-55.

9. იხ. III თავის ქვეთავი, „ბრძოლა თურქომან მომთაბარეთა წინააღმდეგ," შენ. 3.

10. ყილიჩ-არსლანი ერთ-ერთი უძლიერესი სელჯუკური სახელმწიფოს სულთანი და თავისი დროის ცნობილი მხედართმთავარი იყო, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმამაცითა და გამბედაობით. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1100-1103 წლებში სწორედ ყილიჩ-არსლანი მეთაურობდა ჯვაროსნული არმიების განადგურებას მცირე აზიაში (Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. pp. 18-31). ყილიჩ-არსლანის ლაშქრობა საქართველოში და რუმის სასულთნოსთან ომი, ძალიან დიდი საშიშროება იქნებოდა ქვეყნისთვის.

11. Тамара Т. Райс. Сельджуки, Кочевники-завоеватели Малой Азии, стр. 55; Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 110;

12. სხვადასხვა აღმოსავლური წყაროები აღნიშნავენ ილ-ღაზის ღვინისადმი დიდ სიყვარულს, რომლის სმის დროსაც იგი აზროვნების უნარს კარგავდა. Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 168;

უსამა იბნ მუნკიზის მიხედვით, ილ-ღაზი წვეულებებისა და დროსტარების მოყვარული ყოფილა, რაშიც იგი როგორც ჩანს, დიდ ფინანსებსაც ხარჯავდა. მაგალითად, ანტიოქიის მთავარ როჯერის დამარცხების შემდეგ, იგი დროსტარებას მიეცა და საშუალება მისცა იერუსალიმის მეფე ბალდუინს, გადაერჩინა უკვე თითქმის ილ-ღაზის ხელში ჩავარდნილი ანტიოქია. უსამა ასე აღწერს ამ ეპიზოდს: "Через сорок дней он (ბალდუინი) дал бой Наджм ад-дину, а когда этот последний пил вино, похмелье длилось у него двадцат дней. Он принялся пить после того, как разбил франков и перебил их, и им овладело похмелье, от которого он оправился не ранше, чем король Балдуин подошел к Антиохии с войском." Усама ибн Мункыз. Книга Назидання. стр. 197;

ილ-ღაზის ღვინის სიყვარულის თემას ეხება მიხეილ სირიელიც: "Наджм ад-Дин остался один. Владетель Эмеса напал на него ночью, нашел его пьяным от вина и не ведаюшим, где он находится. Его схватили, увезли в Эмес и известили султана. Пришел ответ, что Наджм ад-

Дина следует освободить." Р. А. Гуссейнов. Из хроники Михаила Сирийца. книга 15. глава. 14. стр. 45;

იგივე შინაარსის ცნობას იძლევა ალ-კალანისიც, იმ განსხვავებით, რომ ილ-ღაზის გათავისუფლება არა სულთნის, არამედ დამასკოს ათაბაგის თხოვნით მომხდარა. the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. p.149-150.

როგორც ჩანს, ამ ცნობებზე დაყრდნობით, ჯვაროსნული ეპოქის ისეთი ცნობილი მკვლევარი, როგორიც იყო რობერტ ირვინი, ილ-ღაზის უბრალო ლოთად თვლიდა. Роберт Ирвин. Ислам и Крестовые Походы. стр. 265, თუმც ილ-ღაზის მოღვაწეობა და მის მიერ მოპოვებული გამარჯვებები, ასეთი კატეგორიული შეფასების საფუძველს არ უნდა იძლეოდეს.

13. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 151-152;

14. არაბეთის მეფეს (Малик ал-араб) დუბაისის მამასაც უწოდებდნენ. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. глава 29. стр. 82; Л. А. Семенова. Из истории средневековой Сирии. стр. 85; Константин Рыжов. Мусульманский Восток. стр. 255-256;

15. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. глава 29. стр. 82; Маршалл Дж. С. Ходжсон. Орден Ассасинов. стр. 104; Константин Рыжов. Мусульманский Восток. стр. 255;

16. ქამალ ად-დინი აღწერს დუბაისთან დაკავშირებულ საკმაოდ ლირიულ ეპიზოდს. როდესაც ერთ-ერთ მუსლიმ ემირთან ტყვედ ჩავარდნილი დუბაისი ბორკილებით მიჰყავდათ, გზაზე შემოხვდათ პოეტი, რომელმაც ლექსი უძღვნა მას. დუბაისმა პოეტს ხის ფიცარზე დაუწერა: "Я щедр, но нет у меня богатства, И как мне выплатить этот долг? Вот тебе записка до дней моего богатства, Ибо я надеюсь на будущее в этом мире." გარკვეული ხნის შემდეგ, როდესაც დუბაისი განთავისუფლდა და მაღალი მდგომარეობა დაიბრუნა, პოეტი მივიდა მასთან და მოსთხოვა ვალის დაბრუნება. დუბაისმა იგი ვერ იცნო, მაგრამ მას შემდეგ, როცა პოეტმა მას უჩვენა ფიცარზე დაწერილი ტექსტი, იგი ძალიან უხვად დააჯილდოვა. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба.249.стр.179;

17. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 250. стр. 180; აბასიდ ხალიფასთან მტრობამ სიკვდილამდეც გაუწია ცუდი სამსახური დუბაისს. 1115 წელს, სულთანს მისი დანიშვნა უნდოდა მოსულის ათაბაგად, მაგრამ ხალიფას პროტესტის შემდეგ გადაიფიქრა. Л. А. Семенова. Из истории средневековой Сирии. стр. 86;

18. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 200. стр. 157;

19. Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. pp. 171-172;

20. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 200. стр. 156;

21. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 330; ქართლის ცხოვრება. ტ. II. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. "საბჭოთა საქართველო." 1959. გვ. 74;

22. Angus konstam. Historical Atlas of the Crusades. pp. 100-101.

23. დუბაისმა სამჯერ სცადა ბაღდადის აღება და სამჯერვე უშედეგოდ, Константин Рыжов. Мусульманский Восток. стр. 255-256; რამდენჯერმე მონაწილეობდა სელჯუკი

სულთნების საწინააღმდეგო შეთქმულებებში, მაგრამ ყოველთვის წარუმატებლად. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 46.

24. ო. ცქიტიშვილი. სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 208.

25. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 37, 48.

26. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 41-42; იქვე დასახელებულია ამ საკითხის შესახებ არსებული სრული ლიტერატურა.

27. З. М. Бунятов. Государство Атабеков Азербайджана. Баку. стр. 152;

28. აჰდაბიანების დინასტიის შესახებ იხ. გ. ჯაფარიძე. მუსლიმთა კოალიციები და საქართველო. გვ. 23; V. Minorsky. Studies in Caucasian History. London. "Taylors Foreign Press." 1953. p. 123.

29. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 47; V. Minorsky. Studies in Caucasian History. p. 123;

30. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 188. стр. 150;

31. З. М. Бунятов. Государство Атабеков Азербайджана. стр. 152-153.

32. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 340.

33. გ. ჯაფარიძე. მუსლიმთა კოალიციები და საქართველო. გვ. 23;

34. როდესაც დიდგორის ბრძოლიდან ორი წლის შემდეგ დავით აღმაშენებელმა ანისი აიღო და მისი ემირი დაატყვევა, დავითის მემატიანეს ეს მოვლენა არ დაუკავშირებია დიდგორის ბრძოლაში ანისის საემიროს მონაწილეობასთან, რაც ასეთ შემთხვევაში ბუნებრივი და ლოგიკური იქნებოდა.

კოალიციის სამხედრო ძალის რაოდენობა

1. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. გვ. 45; Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 170; ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 245; Matthew of Edessa. the chronicle of Matthew of Edessa. III. 83-84. p. 226; E. Dulaurier. Documents armeniens. v. I. Recueil des historiens des croisades. Paris. 1869. p. 651; Р. А. Гусаинов. Из хроники Михаила Сирийца. книга 15. глава. 12. стр. 41;

2. Культура Византии. Вторая половина VII-XIIв. стр. 281; В. В. Кучма. Военная организация Византийской Империи. Сантк-Петербург. „АЛЕТЕЙЯ." 2001. стр. 272.

იმდროინდელ არმიათა რაოდენობების შესახებ იხ. აგრეთვე. Г. Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории. т. III. стр. 140-141; Л. А. Семенова. Из

истории средневековой Сирии. стр. 73-74; Режин Перну. Крестоносцы. стр. 123-130; А. А. Свечин. Эволюция Военного Искуства. Москва. "АКАДЕМИЧЕСКИЙ ПРОЕКТ." 2002. стр. 96-100; Terence Wise. Armies of the Crusades. pp. 3-25; Joshua Prawer. the Crusaders Kingdom. Europian Colonialism in the Middle Ages. pp. 326-333; John France. Victory in the East. A Military History of the First Crusade. pp.122-142; J. F. Verbruggen. the Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages. "Boydell Press." 2002. pp. 2-8; the Cambridge Illustrated History of Warfare. "Cambridge University Press." 1995. pp. 80-84; Warren Treadgold. Standardized Numbers in the Byzantine Army. "WH." Volume 12. number 1. January 2005. pp. 1-14;

შუასაუკუნეების არმიათა ორგანიზაციის, შეიარაღების, ტაქტიკის, რაოდენობისა და ა.შ. დამატებით ვუთითებთ აგრეთვე, Филипп Контамин. Война в средние века; Madival Warfare: A History. Ed. by Maurise Keen. "Oxsford University Press." 1999; David Nicolle. Medival Warfare: Soursebook. In 2 vols. London. 1995-1996; David Nicolle. Saladin and Saracens Armies of the Middle East 1100-1300; Andrea Hopkins. Knights. London. "Quantum Books." 1998; M. Prestwich. Armies and warfare in the Middle Ages: the English experience. New Haven. London. 1996; Erik Hildinger. Warriors of the Steppe. A Military History of Central Asia, 500 B.C. to 1700 A.D; Antonio Santosuosso. Barbarians, Marauders, and Infidels, the Ways of Medieval Warfare. 2004.; Charles W.C. Oman. Art of War in the Midlle Ages, A.D. 378-1515; "Cornuell University Press." london. 2004; David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia; John Haldon. Byzantium at War; Ian Heath. Byzantine Armies. AD 1118-1461.

3. მაგალითად, ბიზანტიის საიმპერატორო არმიის სტანდარტული სიდიდე, X საუკუნის მინურულისთვის, 24 200 მეომრისგან შედგებოდა. Два Византийских Военных Трактата конца X века. стр. 237; X-XI საუკუნეებში ბიზანტიამ მხოლოდ ერთხელ, მანციკერტის ბრძოლის დროს შეძლო უფრო დიდი არმიის ორგანიზება, რომლის რაოდენობაც, მაქსიმუმ 40-60 ათასი მეომრის ფარგლებში ივარაუდება. John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. p. 152;

4. Steven Runciman. A History of the Crusades. v.I. pp. 336-341; David Nicolle. the First Crusade. p. 32; Andrea Hopkins. Knights. p. 84; John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. pp. 122-142;

5. Г. Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории. том III. стр.140-141; Steven Runciman. A History of the Crusades. v.I. pp. 295-297; David Nicolle. the First Crusade. pp. 82-87; J. F. Verbruggen. the Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages. p. 6.

6. Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. pp. 148-151;

7. David Nicolle. Hattin 1187. Saladins Greatest Victory. pp. 39-40, 52;

8. Terence Wise. Armies of the Crusades. p. 5; John Matthews. Bob Stewart. Warriors of Christendom. Brockhampton-Press. London.1998. p. 128;

9. Режин Перну. Крестоносцы. стр. 127;

10. Г. Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории. т. III. стр. 132-133, 140-141; А. А. Свечин. Эволюция Военного Искуства. стр. 136-137.

11. ბრძოლის მონაწილეთა (თვითმხილველების) ტენდენციურობისა და ციფრების ხელოვნურად დამახინჯების ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ჯვაროსანთა ლიდერების (გოტ-

ფრიდ ბულონელის, რაიმუნდ სენ-ჟილისა და არქიეპისკოპოს დაიმბერტის) მიერ გაგზავნილი წერილი რომის პაპთან ასკალონის ბრძოლის (1099 წ.) შედეგების შესახებ, სადაც ისინი ატყობინებდნენ პაპს, რომ მათი მოწინააღმდეგის არმია შედგებოდა 100 ათასი მხედარისა და 400 ათასი ქვეითი მეომრისგან, საიდანაც მათ, თითქოსდა, 100 ათასზე მეტი გაანადგურეს. Dana C. Munro. Letters of the Crusaders. Original Sources of European History. v. I. p. 10; სინამდვილეში, როგორც ეს უკვე აღნიშული იყო (იხ. ზემოთ, შენ. 5), ასკალონის ბრძოლის მონაწილე ეგვიპტის არმიის სიდიდე არ აჭარბებდა 20-25 ათასს. Г. Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории. т. III. стр. 140-141; Steven Runciman. A History of the Crusades. v. I. pp. 295-297; David Nicolle. the First Crusade. pp. 82-87; J. F. Verbruggen. the Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages. p. 6;

12. J. F. Verbruggen. the Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages. pp. 2-5.

13. J. F. Verbruggen. the Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages. p. 10.

14. მაგალითად, ანტიოქიასთან კერბოგას წინააღმდეგ გამართული ბრძოლის მონაწილე (ე.ი. თვითმხილველი), პეტრე ტუდებოდი თავის ქრონიკაში "ირწმუნებოდა," რომ ბრძოლის ყველაზე მძიმე მომენტში "С горы показалось бесчисленное войско на белых лошадях, и знамена их были также белые. Наши, видя это войско, недоумевали, что это такое и кто приближается, но вскоре поняли, что им явилась на помощь сила Христова; предводители были св. Георгий, Меркурий и Димитрий. Нельзя не верить этому расказу, потому что многие видели то. Турки же, стоявшие со стороны моря, заметив, что им невозмзжно устоять... бежали." История Средних Веков. Крестовие Походи. Составитель М. М. Стасюлевич. стр. 171.

მეორე ლათინი მემატიანის, ფულხერი შარტრელის მიხედვით, რამლას ბრძოლაში, სადაც ჯვაროსანთა მცირერიცხოვანი რაზმი თითქოსდა 360 ათასიან არმიას ებრძოდა, მათ ღმერთის დახმარებით გაიმარჯვეს. "Все мы воздали хвалу Богу за могущественную помощь, которую он нам оказал в минуту крайней опасности... Мы были побеждены, и побежденные победили. Победили не мы, и как же мы могли победить? Тот кто победил, тот один всемогущ." История Средних Веков. Крестовые Походы. Составитель М. М. Стасюлевич. стр. 221.

დავით აღმაშენებლის მემატიანე კი ასე წერდა დიდგორის ბრძოლაში გამარჯვების შესახებ: "რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და იელტოდა, რამეთუ ხელი მაღალი შეეწეოდა, და ძალი ზეგარდმო ფარვიდა მას, და წმინდა მოწამე გიორგი განცხადებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თვისითა მოსრვიდა ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თვით იგი უსჯულონი და უმეცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგვითხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა გიორგისსა, და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთისანი." ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ, 341.

დიდგორის ბრძოლაში ღვთიური ძალების "მონაწილეობის" შესახებ წერდა ვალტერ გოტიეც, რომლის მიხედვითაც ქართველთა წინააღმდეგ შეტევაზე გადასული მუსლიმი მეომრები ღმერთის მიერ დაბრმავებულები იქნენ. Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 170.

15. Г. Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории. том III. стр. 140; J. F. Verbruggen. the Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages. p. 6.

არმიათა სიდიდეების წარმოსადგენად ზედმეტი არ უნდა იყოს, თუ აქ მოვიტანთ მონაცემებს XV-XVII საუკუნეების ევროპის ცნობილ ბრძოლებში მონაწილე არმიათა რაოდენობის შესახებ, რომელიც შეჯამებული ტაბულის სახით წარმოდგენილია იან დრარის რედაქციით გამოსულ კრებულში "The Times History of War" (ვსარგებლობთ ამ კრებულის რუსული გამოცემით История Войн. Илустрированный атлас военной истории с древнейших

времен до XXI века. Москва. "АСТ-АСТРЕЛЬ." 2003. стр. 79). წარმოდგენილი 27 ცნობილი ბრძოლიდან, არმიის სიდიდემ მხოლოდ ერთხელ მიაღწია 50 ათასს, სხვა შემთხვევებში კი სტაბილურად მერყეობს 10-20 ათასის ფარგლებში და ეს იმ დროს, როდესაც ევროპული სახელმწიფოები აბსოლუტური მონარქიისა და მუდმივი არმიების ხანაში იმყოფებიან.

16. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 91. стр. 108.

17. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 111. стр. 117.

18. John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. p. 174.

19. როგორც იყო აღნიშნული, ქამალ ად-დინი გიგანტურ (ანუ დაუჯერებელ) ციფრებს სულ სამ შემთხვევაში ასახელებს. პირველად, როდესაც აღნიშნავს სულთან მალიქ-შაჰის არმიის სიდიდეს, რომელსაც იგი 400 ათასში მიუთითებს (Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 102. стр. 113), მეორედ, როდესაც პირველად ეხება სირიაში ჯვაროსნების გამოჩენას, იგი მათ რაოდენობად 320 ათას მეომარს ასახელებს (იქვე. 131. გვ. 124) და მესამედ, როდესაც აღწერს ბიზანტიის იმპერატორის იოანე კომნენოსის ლაშქრობას სირიაში 1138 წლისთვის. იგი ბიზანტიური არმიის სიდიდეს 200 ათასით განსაზღვრავს (იქვე. 267. გვ. 187). ყველა სხვა შემთხვევაში, მის ზერ აღწერილი მრავალრიცხოვანი ომების პერიპეტიების გადმოცემისას, ქამალ ად-დინის ციფრები ბევრად ნაკლები და შესაბამისად, უფრო რეალურებია. აქაც, ქამალ ად-დინი, რამდენიმე ათეულ ათასიან არმიებს, სულ რამდენჯერმე მიუთითებს (ილ-ღაზის 40 ათასიანი არმიის გარდა, იგი მხოლოდ ერთხელ, 1138 წლისთვის აღნიშნავს 50 ათასიან არმიას, რომელიც სულთნის ბრძანებით ბიზანტიელთა წინააღმდეგ გამოვიდა. იქვე. 268. გვ. 188), სხვა შემთხვევებში კი, მისი ციფრები მხოლოდ რამდენიმე ათასის ფარგლებში მერყეობს, რაც სინამდვილესთან უფრო ახლოს უნდა იყოს. მაგალითად, ქამალ ად-დინის მიხედვით, 1085 წელს, რუმის სულთანი სულეიმანი 4 000-იანი არმიით ებრძოდა ალეპოს ემირის 6 000-იან არმიას (იქვე. 91. გვ. 108), 1090 წელს, ალეპოსა და შეიზარის საემიროების ომში დაიღუპა 130 მეომარი (იქვე. 105. გვ. 114), 1090 წელს, ალეპოს ემირის, ალ-სუნკურის არმია, მოკავშირე ემირების 2500 მებრძოლთან ერთად, ტუტუშის წინააღმდეგ ომში შეადგენდა 6000-ს (იქვე. 111. გვ. 117), 1115 წელს, მოსულის ათაბაგმა ანტიოქიის მთავარ როჯერთან დამარცხებისას დაკარგა 500 მეომარი მოკლულთა და ამდენივე ტყვედ ჩავარდნილთა სახით (იქვე. 176. გვ. 145), 1122 წელს, ალეპოს არმიამ 1000 ცხენოსნის შემადგენლობით, რეიდი მოაწყო ედესის საგრაფოში (იქვე. 205. გვ. 160), იმავე წელს, ჯვაროსნებთან შეტაკებაში დაიღუპა 90 მუსლიმი მეომარი (იქვე. 206. გვ. 160), 1124 წელს ბალდუინ II-ს არმიასა და მუსლიმებს შორის ბრძოლაში დაიღუპა 40 მეომარი (იქვე. 217. გვ. 165), იმავე წელს, ედესის გრაფმა რეიდი მოაწყო მარდინის საემიროში, სადაც იგი 300 მეომრით დაამარცხეს (იქვე. 221. გვ. 166), 1136 წელს, 3000 თურქმენმა მეომარმა დაარბია ანტიოქიის სამთავრო (იქვე. 261. გვ. 184), 1139 წელს, მუსლიმებმა ჯვაროსნებთან ომში დაკარგეს 2200 მეომარი (იქვე. 271. გვ. 189) და ა.შ.

20. the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. p. 160;

21. Г. Дельбрюк. История Военного Искуство в рамках политической истории. том I. Антични мир. Сантк-Петербург. " НАУКА." 2001. стр. 98.

22. J. F. Verbruggen. the Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages. p. 8.

23. ეს ციფრი ივარაუდა ივ. ჯავახიშვილმა, ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. II.

გვ. 203; რის შემდეგაც მკვლევართა დიდმა ნაწილმა ის გაიზიარა. აბ. კიკვიძე. დავით აღმაშენებელი. თბილისი. 1942. გვ. 40-41; შ.მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 90; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 239; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 195; ქ.ჩხატარაიშვილი. ი.შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა. გვ. 85; ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია. გვ. 164; ს. კაკაბაძე ვარაუდობდა 220 ათასს (რაც დიდად არ განსხვავდება 300 ათასისგან), ს. კაკაბაძე. დიდგორის ბრძოლა. მხედარი. №3. თბილისი. 1991. გვ. 27;

თუმც უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამეცნიერო კვლევებში ეჭვი ამ ციფრების სიდიდის მიმართ რამდენჯერმე გამოითქვა, იხ. მაგალითად, გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 49, შენ. 26; მაგრამ როგორც ჩანს, ამ ციფრების კრიტიკა "იმდენად არაპოპულარული" თემა იყო, რომ უარყოფამდე საქმე არ მიდიოდა. ჩემთვის ცნობილი ერთადერთი მკვლევარი, რომელმაც მათე ურჰაელისა და გოტიეს მონაცემები და საერთოდ არმიათა სიდიდედ ექვსნიშნა ციფრების რეალობად მიღება, ფანტაზიად გამოაცხადა, იყო ზ. ავალიშვილი, მაგრამ ასეთი (სავსებით სწორი) მიდგომა, სამეცნიერო ლიტერატურაში არ დამკვიდრებულა. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი. გვ. 38;

უნდა ისიც აღინიშნოს, რომ მრავალი თანამედროვე ისტორიკოსის დამოკიდებულება წყაროებში დასახელებული ციფრებისადმი, თითქმის იდენტურია ძველ ქრონიკათა ტენდენციისა, გაეზარდათ მოწინააღმდეგის რაოდენობა და შეემცირებინათ საკუთარი. ბევრ შემთხვევაში, ისტორიკოსთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებდა ქართულ წყაროებში დასახელებულ, აშკარად გაზვიადებულ ციფრებს და უნდობლობით უდგებოდა უცხო ავტორთა მონაცემებს, და თუ ეს მონაცემები იმ თეორიების სასარგებლოდ არ ლაპარაკობდნენ, რისი მტკიცებაც ხდებოდა ამა თუ იმ ნაშრომში, მათ არასწორად და ტენდენციურად აცხადებდნენ. უამრავი მაგალითიდან, ასეთი არაობიექტურობის კულმინაციას, ალბათ საქართველოს ისტორიის ფუნდამენტური გამოცემის, საქართველოს ისტორიის ნარკვევების დამოკიდებულება წარმოადგენს ბასიანის ბრძოლის გარშემო არსებული ციფრების მიმართ. როგორც ცნობილია, თამარის პირველი ისტორიკოსი რუქნ ად-დინის არმიას 400 000 მეომრით მიუთითებდა. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 93; ბასილი ეზოსმოძღვარი კი ორჯერ მეტს, 800 000-ს ასახელებდა. ქართლის ცხოვრება. ტ. II. 132. ამის საპირისპიროდ, მუსლიმი ავტორის, მაჰმუდ ქერი მუდ-დინის მიხედვით, რუქნ ად-დინს 20 000 მეომარი ყოლია, რაზედაც საქართველოს ისტორიის ნარკვევებში გაკეთებულია შენიშვნა რომ: "ტენდენციური ჩანს მაჰმუდ ქერი მუდ-დინის ცნობა იმის შესახებ, თითქოს რუქნ ად-დინმა საქართველოში ილაშქრა 20000-იანი ჯარით. ამით მას სურს ქართველებთან რუქნ ად-დინის ლაშქრის დამარცხება მისი ლაშქრის სიმცირით ახსნას." საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 327. შენ. 4; (თუმცა სხვა მკვლევარები, 20 ათასს სავსებით რეალურ მაჩვენებლად მიიჩნევენ. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 149).

20 ათასიანი არმია იმ დროისთვის არათუ მცირე, არამედ უზარმაზარ სამხედრო ძალას წარმოადგენდა და მუსლიმი ავტორი აშკარად რეალურ (შეიძლება არითმეტიკულად არა ზუსტ, მაგრამ ეპოქის მასშტაბების შესაფერის) ციფრს ასახელებს, მაგრამ რომც დავუშვათ ამ ციფრების ტენდენციურობა და მეომართა რიცხვის ხელოვნურად შემცირება, მაშინ რა უნდა ეწოდოს თამარის მემატიანეების ციფრებს 400 და 800 ათასიანი არმიების შესახებ, რომლებსაც უბრალოდ არ შეიძლებოდა ეარსებათ არც რუმის სასულთნოში და არც სადმე სხვაგან.

24. 200 ათასი ქვეითი მეომარი მარშირებისას რომ დაეწყოს ცალკეულ დანაყოფებად თითო დანაყოფში ასი კაცის ოდენობით, მაშინ ასეთი სამარშო ერთეულების რაოდენობა 2000-ს მიაღწევს. იქიდან გამომდინარე, რომ თითოეული დანაყოფი მწკრივში ექვს ადამიანს დააყენებდა, გამოდის რომ თითო რიგი სიღრმეში თექვსმეტს შეადგენდა (6×16=96),

დარჩენილი ოთხი კი განთავსდებოდა კოლონის თავში და შეადგენდა მეჩვიდმეტე მწკრივს. იმის მიხედვით, რომ ერთ ადამიანს თავისუფალი გადაადგილებისთვის ერთი კვადრატული მეტრი დასჭირდებოდა, გამოდის, რომ ქვეითი მეომრების ასკაციან დანაყოფს დასჭირდებოდა, მინიმუმ, ექვსი მეტრი სიგანეში და ჩვიდმეტი მეტრი სიგრძეში. ამრიგად, 200000-იანი არმია დაიყოფოდა 2000 ასკაციან სამარშო დანაყოფად, ხოლო კოლონის საერთო სიგრძე 34 კილომეტრს შეადგენდა. თუ თითოეულ დანაყოფს შორის ორი-სამი მეტრის დისტანციას გავითვალისწინებთ, რაც გადაადგილებისთვის ასევე აუცილებელი იქნებოდა, მაშინ კოლონის საერთო სიგრძე 40 კილომეტრს მიაღწევდა.

25. მავრიკიოსის "სტრატეგიკონის" მიხედვით, ათ ქვეით მეომარს ერთი საზიდარი უნდა ჰქონოდა. Стратегикон Маврикия. Издание подготовил. В. В. Кучма. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2004. стр. 205; თუ 200 ათასიანი არმიის კოლონის სიდიდეს ამ ბიზანტიური სტანდარტით დავითვლით, მაშინ გამოვა, რომ ასეთ არმიას არა 2000, არამედ 20 000 საზიდარი დასჭირდებოდა, რაც საერთო სიგრძეს კიდევ გაზრდიდა დაახლოებით 100 კილომეტრით.

26. თუ 200 ათასიანი არმიის შემადგენლობაში, ნახევარს ცხენოსნებად და ნახევარს ქვეითებად ვივარაუდებთ, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ. 100 ათასი ქვეითის კოლონა გაიჭიმებოდა 17-20 კოლომეტრზე ასი ათას ცხენოსანს კი (პირობითად, ასი ცხენოსანი ერთ დანაყოფში), ოთხჯ-ხუთჯერ მეტი ფართობი დასჭირდებოდა სიგრძეში. მწკრივში კი, ოთხი-ხუთი მეტრის სიგანის გზაზე, ოთხ ცხენოსანზე მეტი ვერ დადგებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ცხენოსანთა ერთი დანაყოფი ოთხი რიგისა და 25 მწკრივისგან უნდა შემდგარიყო და სიგრძეში 100 მეტრი დაეკავებინა (ერთი ცხენისთვის ოთხი მეტრის გათვალისწინებით). ე.ი. ასი ათასი ცხენოსნის პირობებში, სულ უნდა შემდგარიყო 1000 დანაყოფი, რომლის კოლონაში გაშლასაც ასი კილომეტრი დასჭირდებოდა, ხოლო სამარშო დანაყოფებს შორის ორ-სამ მეტრიანი დისტანციის გათვალისწინებით, 120-130 კილომეტრი იქნებოდა.

გამოდის, რომ ასი ათასი ცხენოსნისა და ასი ათასი ქვეითისგან შემდგარი არმია აღალის გარეშე, 137-150 კილომეტრზე უნდა გაჭიმულიყო.

თუ ამ მაჩვენებლებლებს დავუმატებთ საზიდრებსაც, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ. როგორც იყო აღნიშნული, 200 ათასიან არმიას მინიმუმ 2000 საზიდარი დასჭირდებოდა (იხ. ზემოთ. შენ. 25). თითო საზიდარი მინიმუმ 5-6 მეტრს დაიკავებდა და რიგში მარტო ერთი იმოძრავებდა. ე.ი. 2000 საზიდარს ინტერვალების გარეშე 100-120 კილომეტრი დასჭირდებოდა, ინტერვალებით კი, 130-150 კილომეტრი. ასე რომ, 200 ათასიანი არმიის სამარშო კოლონის სიგრძე 267-300 კმ იქნებოდა.

27. მარტივი ბრძანებების (შეჩერების, მოძრაობის დაწყების და ა.შ.) გადაცემა ხმოვანი სიგნალების (ბუკების, ნაღარების და ა.შ.) მეშვეობით ხდებოდა, მაგრამ ამ სიგნალებით იმის მითითება, თუ სად უნდა გამართულიყო ბანაკი, საით უნდა ემოძრავათ კოლონებს და ა.შ. შეუძლებელი იყო. მარშირების დროს კიდევ შესაძლებელი იყო ამ ტიპის ბრძანებათა გადაცემის სისწრაფის დაჩქარება მტრედების მეშვეობით, მაგრამ ბრძოლის დროს ეს სისტემა სრულიად გამოუყენებელი გახდებოდა და ბრძანების დროულად გადაცემის პრობლემა, არმიის მართვას შეუძლებელს გახდიდა.

28. თუ როგორ "იწელებოდნენ" მარშის დროს არათუ გიგანტური (თეორიული), არამედ ჩვეულებრივი (ანუ რეალური) სიდიდის არმიები და როგორ რთულდებოდა მათი ოპერატიული მართვა, კარგად ჩანს ქართული წერილობითი წყაროებიდანაც. მაგალითად, "მატიანე ქართლისას" მიხედვით, გიორგი I-ისა და ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის ომის დროს, როდესაც საქართველოს არმია ოლთისიდან უკან იხევდა (ე.ი. მოძრაობდა

სამარშო კოლონით), ბიზანტიელთა ავანგარდი დაეწია ქართველთა არიერგარდს და მათ შორის დაიწყო ბრძოლა, რომლის შესახებაც გიორგი I-მა გვიან გაიგო, რის შემდეგაც იგი დაბრუნდა არიერგარდის დასახმარებლად. როგორც ჩანს, გიორგის უკან დაბრუნებისას ბრძოლა უკვე კარგა ხნის დაწყებული იყო (ე.ი. გიორგი დიდი მანძილით იყო დაცილებული ბრძოლის ადგილს) და არიერგარდის მეთაურებიც (ერისთავები რატი და ხურსი) დაღუპულები იყვნენ (ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 284-285), რაც იმას ნიშნავს, რომ ქართული არმიის სამარშო კოლონა ისეთ სიგრძეზე იყო გაშლილი, რომ კოლონის ბოლოში შეტაკების დაწყება, (ალბათ) კოლონის შუაში მყოფ მეფეს ძალიან გვიან აცნობეს. გიორგი I და ბასილის ბრძოლის ამ ეპიზოდს ანალოგიურად აღწერს სუმბატ დავითისძეც. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 383;

კოლონების გაშლის თვალსაზრისით, კარგ მაგალითს იძლევა აგრეთვე თამარის პირველი ისტორიკოსი, როდესაც შამქორის ბრძოლის წინ გადმოსცემს მტრის ძალების დაზვერვის შედეგებს. "ჩუენ თუალითა ჩუენითა გვიხილვან ათასნი ათასთანი და ბევრი ბევრთანი, უმრავლესი რიცხვისანი, ვითარცა მკალნი და ვითარცა ქვიშა ზღვისა შანქორითგან ვიდრე მთად შოთისა და ვარდანაშტისა, განძის კარამდი ვერ მისაწთომელ არიან თუალნი განცდად და გარდაწთომად." ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 68; თუ ამ ცნობაში ყურადღებას არ მივაქცევთ ქვიშასთან გაკეთებულ შედარებას, მათი ინფორმაცია შემდეგი სახის გამოვა, მუსლიმთა სამარშო კოლონა მოძრაობაში გაჭიმული ყოფილა სადღაც შამქორსა და განძას შორის, ე.ი. დაახლოებით 30 კმ-ზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგის არმია სადღაც 20-30 ათასი მეომრის ფარგლებში უნდა ყოფილიყო, რაც იმ დროინდელი სტანდარტებით ნამდვილად "ბევრი ბევრთანი" და "ათასნი ათასთანი" იყო.

29. ამ ცნობის მიხედვით, მუსლიმთა არმიამ გიორგის III-ს ლაშქართან ბრძოლის არიდების მიზნით, უკან დაიხია გაგის ციხიდან მდ. ეკლეციის მიმართულებით, მაგრამ მდინარის სწრაფად გადალახვის მცდელობაში (ე.ი. უსისტემო უკანდახევის, ან გაქცევის დროს) წარმოექმნათ ჭყლეტა, რამაც მათი გადაადგილება შეაჩერა. ამით ისარგებლა ქართულმა არმიამ, რომელიც ადვილად დაეწია ერთ ადგილზე "გაჭედილ," არეულობაში მყოფ მტერს და გაანადგურა. "ვითარ ცნა ესე სულტანმან (გიორგი III-ს გამოჩენა ს.მ.)... თქუეს ვითარმედ: არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისი და მისთა ლაშქართა ქუეყანასა ზედა. მოვრიდოთ თავი და ვეფაროთ. დამყრელსა ყოვლისა სანოაგისათა და უფროსღა გაგის შინა მყოფთა განვლეს წყალი ეკლეციისა, რომელსა შინა მსწრაფლ-მსრბოლობამან და ჯრამან (სულხან-საბას მიხედვით ჯრა, "მრავალთა კაცთა ვიწროდ ყოფნა." სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. ილ. აბულაძის რედაქციით. თბილისი. "მერანი." 1993. გვ. 463) შეაყენა ისინი და ეწივნეს მწყუერვალნი ლაშქართანი, დაუწყეს ჩამოყრა." ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 11; ეს ჭყლეტვა აშკარად ხიდის გადალახვისას არის მომხდარი, თანაც იმ დროს როდესაც მუსლიმებს აღალი დატოვილი ჰქონდათ ("დამყრელსა ყოვლისა სანოაგისათა"), მაგრამ ხიდის გამტარუნარიანობა მუსლიმური არმიისთვის მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი მის სწრაფად გასავლელად, ხოლო ხიდის გარეშე მდინარის გადალახვა მისი "მსწრაფლ-მსრბოლობის" გამო, ვერ შესძლეს.

ძალიან საინტერესოა ასევე იაჰია ანტიოქელის ცნობა გიორგი I-სა და ბასილი II-ს ომის შესახებ, რომლის მიხედვითაც გიორგი I-მა უკან დახევისას მოწინააღმდეგის შესაკავებლად წინაღობად მდინარე გამოიყენა: "И преследовал его царь (ბასილი II-ს.მ.), пока он (გიორგი I-ს.მ.) не нашоел защиты за рекой, через которую не могли переправиться греческие войска." В. Р. Розен. Император Василий Болгаробойца: Извлечения из летописи Яхья Антиохийского. Сантк-Петербург. 1883. стр. 63; აქ აშკარაა, რომ უკანდახევისას გიორგი I-მა, თავისი არმიის მდინარეზე გადაყვანის შემდეგ არსებული ხიდები გაანადგურა, რის გამოც ბიზანტიური არმია იძულებული გახდა გარკვეული ხანი მდინარესთან შეჩერებულიყო.

ასევე ნათელი მაგალითი აქვს მოცემული იბნ-ჯუბაირს (1184 წლისთვის), როდესაც ის აღწერს ქალაქ ჰილიდან ბაღდადში მიმავალი მლოცველთა დიდი ჯგუფის მოგზაურო-

ბას: "Начиная с города ал-Хилла паломники разделились на отряды и группы: одни впереди, другие посреди, третьи сзади.... Одной из причин, вызвавших их разделение, было большое число наплавных мостов, встречавшихся на их пути до Багдада. Едва можно было пройти милю, чтобы не найти моста на потоке, исходящем от Евфрата. Этот путь более всякого другого изобиловал каналами и мостами. На многих из них были палатки, а в них находились люди, следящие за порядком на дороге, ибо халиф заботился о том, чтобы паломники были защищены от попыток нажиться за их счет попрошайничеством и другими путями. Кроме того, если бы эти люди разом устремились на эти мосты, то они не перешли бы их, но свалились бы в кучу друг на друга." Ибн Джубайр. Путешествие. перевод и коментарий Л. А. Семеновой. Москва. "НАУКА." 1984. стр. 152; თავისთავად ცხადია, რომ როდესაც რამდენიმე ასეული ადამიანის გადაადგილებას შეეძლო წარმოექმნა ჭყლეტა და საცობი ხიდზე, ადვილი წარმოსადგენია, რა შეიძლება მომხდარიყო დიდი არმიის (ათასობით ადამიანის) გადაადგილებისას, თუ არ იქნებოდა დაცული განსაკუთრებული წყობა და წესრიგი, რომლის ორგანიზებასაც, ბუნებრივია, დიდი დრო და სამარშო დისციპლინის მაღალი დონე სჭირდებოდა, რაც გიგანტური (მათე ურჰაელისა და გოტიეს მაშტაბების) არმიების პირობებში, მათი არსებობის შესაძლებლობა თეორიულადაც, რომ დავუშვათ, აბსოლუტურად შეუძლებელი იქნებოდა, ისევე როგორც შეუძლებელი აღმოჩნდა პატარა მდინარის ფორსირება საფრანგეთის არმიისთვის 1328 წელს.

როგორც ჟან ლე-ბელი იუწყება, ასწლიანი ომის დროს პატარა მდინარე, ზედ გადებული მცირე ზომის ხიდით, გახდა ის გადაულახავი წინააღმდეგობა ფრანგული არმიისთვის, რომელიც ალყაშემორტყმულ ქალაქ ტრუას დასახმარებლად მიემართებოდა: "Войско двигалось, пока не подошло к небольшой речке, протекавшей в двух малых лье от Турне. Эта речка была очень глубока, и все подступы к ней были перекрыты трясинами и топями. Поэтому через нее нельзя было перейти, кроме как по одному мостику, который был столь узок, что один-единственный всадник и тот с трудом по нему проезжал. Тогда, не имея возможности перейти через реку, все войско раскинуло полевой лагерь." Жан Ле-Бель. Правдивые Хроники. стр. 108;

30. Н. П. Северов. Памятники грузинского зодчества. Москва. 1947. стр. 209. фото № 163-165; ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი. "ხელოვნება." 1974. ფოტო № 195-196; ქართული ხიდებიდან ყველაზე განიერი ბესლეთის ხიდია, რომლის სავალი ნაწილის სიგანე 4,70 მეტრს შეადგენს (ლ. რჩეულიშვილი. ნ. ჩუბინაშვილი. XI-XII სს. ხიდი მდ. ბესლეთზე. შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. თბილისი. "ტექნიკა და შრომა." 1938. გვ. 269), ყველაზე ვიწრო კი მდ. თეძამზე (ზუსტად დიდგორის მიდამოების სიახლოვეს) რკონის ხიდი, რომლის სავალი ნაწილის სიგანე 2,20 მეტრია (საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. ტ. 5. თბილისი. 1990. გვ. 188-189).

ხიდების სავალი ნაწილის მიხედვით, შეიძლება იმის თეორიული წარმოდგენაც, როდესაც ზემოთ აღწერილი 200 ათასიანი ქვეითთა კოლონა (იხ. შენ. 24), მდინარეზე გადასასვლელად მიადგებოდა ბესლეთისა (სიგანე 4,70 მ) და რკონის (სიგანე 2,20 მ) მსგავს ხიდებს. ბესლეთის ხიდის შემთხვევაში, გამტარუნარიანობა ოთხი კაცი იქნებოდა, რის გამოც ას კაციანი დანაყოფი უნდა გადაწყობილიყო და მწკრივში ოთხი ადამიანი დაეყენებინა, რის შემდეგაც, დანაყოფის რიგების რაოდენობა 25-მდე (შესაბამისად დანაყოფის სიგრძე 25 მეტრამდე) გაიზრდებოდა, რაც მხოლოდ ქვეითებისგან შედგენილი 200 ათასიანი კოლონის საერთო სიგრძეს 50-56 კილომეტრამდე გაზრდიდა. ხოლო თუ ორიენტირად რკონის ხიდს ავიღებთ, მაშინ კოლონას ორ რიგში დაწყობილს უნდა გაევლო, რაც კოლონის საერთო სიგრძეს ორჯერ (100-112 კმ.) გაზრდიდა.

ასეთი სიდიდის არმიას (მხოლოდ ქვეით მეომრებს, ცხენოსნებისა და აღალის გარეშე) ბესლეთის მსგავს ხიდზე გადასასვლელად (კოლონის აბსოლუტური დისციპლინის, სწო-

რი მართვისა და გადაადგილების იდეალური წესრიგის პირობებში) მინიმუმ 10-12 საათი დასჭირდებოდა (საათში 5 კილომეტრის გავლის სისწრაფით), რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში, როდესაც პირველი დანაყოფი (ვთქვათ) დილის 9 საათზე გადავიდოდა ხიდზე, ბოლო დანაყოფი ამას სადღაც საღამოს 7-9 საათზე მოახერხებდა. რკონის ხიდის შემთხვევაში კი გადასვლის დრო, ბუნებრივია, ორჯერ გაიზრდებოდა და ხიდზე გადასვლას 20-24 საათი დასჭირდებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს, თუ რა სირთულის ამოცანა იქნებოდა ასეთი ხიდის გადალახვა 200 ათასიანი შერეული (ცხენოსნები, ქვეითები, არამებრძოლები, საზიდრები, აქლემები, ჯორები) არმიისთვის, როდესაც ხიდზე თითო საზიდარი და ორ-ორი ცხენოსანი შეძლებდა გადასვლას. ასეთ შემთხვევაში არმიას რამდენიმე (დაახლოებით 8) დღე უნდა დაეკარგა მდინარის გადალახვაზე ჭყლეტვისა და ქაოსის წარმოქმნის დიდი რისკით.

31. დავითის მემატიანის ცნობით, დავით აღმაშენებელმა "რაოდენნი ხიდნი (აღაშენა-ს.მ.) მდინარეთა სასტიკთა ზედა" (ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 353). რასაკვირველია, ყველა ამ ხიდს, დაახლოებით, იგივე გამტარუნარიანობა ექნებოდა, რაც დონდალოს, რკონისა და ბესლეთის ხიდებს.

32. შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 90; იმ პერიოდებისთვის თუ რა გრანდიოზული სიდიდის არმიას წარმოადგენდა ერთად თავმოყრილი 30 ათასი მეომარი, კარგად ჩანს მაგალითად, ან-ნასავის იმ ცნობიდან, სადაც ის ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ გამოსული მონღოლური არმიის სიდიდეზე საუბრობს: "Когда он (посол) стоял под знаменами, султан приказал мне побеседовать с ним и спросить у него о количестве людей, опытных в схватках и стойких в бою, прибывших на этот раз под командованием проклятого Чормагуна (მონღოლი მხედართმთავარი-ს.მ.). Султан сказал ему: Если ты скажешь мне правду, я подарю тебе жизнь. Я распросил его об этом, а он сказал: Когда Чормагун хотел подготовиться к походу, чтобы встретиться в бою с султаном, он провел в бухаре смотр своим воинам и записал в реестр двадцать тысяч, а кроме того, было большое ополчение. Когда я повторил султану сказанное им, султан сказал: Поспешите его убить, пока наши не услышали о количестве татар, чтобы они не струсили и не разбежались." Шихаб ад-дин ан-Насави Сират ас-султан Джалал ад-Дин Манкбурны. Издан..е текста, перевод, введение и примечания З. М. Буниятова. Москва. "Восточная Литература." 1996. гл. 101, стр. 273; ადვილი წარმოსადგენია რა სიდიდის უნდა ყოფილიყო ჯალალ ად-დინის არმია, თუ მის მეომრებს მოწინააღმდეგის აღნიშნული რაოდენობა (20 ათასი) ისე დააფრთხობდა, რომ ისინი შეიძლება ჯერ კიდევ ბრძოლამდე გაქცეულიყვნენ.

33. the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. pp. 160-161; Пьер Виймар. Крестовые Походы. Миф и реальность священной войны. стр. 211-212; Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. p. 151.

34. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 187. стр. 149; Р. А. Гусаинов. Из хроники Михаила Сирийца, книга 15, глава, 12, стр. 40.

35. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 187. стр. 149; Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. p. 173.

36. Matthew of Edessa. the Chronicle of Matthew of Edessa. Translated by A. E. Dostourian, "University Press of America", 1993, III, 102, p. 234.

37. Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. p. 173.

38. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 195. стр. 154; იხ. აგრეთვე. I თავის ქვეთავი " საქართველოს სამეფო სელჯუკთა ექსპანსიის პერიოდში." შენ. №8

39. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 200. стр. 150.

40. ეს სიდიდე სავსებით შესატყვისია მსხვილი სელჯუკური საემიროს სამხედრო პოტენციალისთვის. ამის შესახებ იხ. II თავის ქვეთავი "პოლიტიკურ ძალთა ბალანსი XI-XII საუკუნეების მიჯნაზე," შენ. 8.

41. Walter the Chancellors the Antiochene Wars. A Translation and Commentary by Thomas S. Asbridge. Susan B. Edgington. London. "Ashgate." 1999. p. 87.

42. სელჯუკი ემირების გვარდიების სიდიდე რამდენიმე ასეულიდან, მაქსიმუმ, 2000 მეომრამდე მერყეობდა. Terence Wise. Armies of the Crusades. p. 20; ილ-ღაზის, როგორც თავისი დროის ერთ-ერთ მხვილ ემირს, საკმაოდ დიდი პირადი გვარდია (ალბათ, 1000-2000 მეომრის ფარგლებში) უნდა ჰყოლოდა.

43. Л. А. Семенова. Из истории средневековой Сирии. стр. 54-56; John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. p. 198.

44. ლაშქრობა ვერ დაიგეგმებოდა 7-8 თვეზე ნაკლები ხნით. არმიის საქართველოში ჩასვლას და უკან დაბრუნებას დაახლოებით, ორ-ორი თვე დასჭირდებოდა. საბრძოლო მოქმედებებისთვისაც, წარმატების შემთხვევაში, ალბათ სამი-ოთხი თვე იქნებოდა გათვალისწინებული.

12 აგვისტოს დიდგორში დამარცხებული ილ-ღაზი, 13 ნოემბერს უკვე სირიაში იმყოფებოდა და ომობდა აჯანყებული შვილის წინააღმდეგ ალეპოსთან (Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 202. გვ. 158). რადგან მან 12 აგვისტოსა და 13 ნოემბერს შორის მარდინში ჩასვლაც მოასწრო, ახალი არმიის შეკრებაც და ალეპოსთვის ალყის შემორტყმაც, ე.ი. გამოდის, რომ მან უკან დაბრუნებას სადღაც ორი თვე მოანდომა. რამდენადაც უკან დაბრუნებისას ილ-ღაზი არმიის გარეშე იმოძრავებდა, შესაძლოა, იგი მარდინამდე ორ თვეზე ადრეც ჩასულიყო. შედარებისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მოგვიანო ხანების ქართველი მოგზაურის რაფიელ დანიბეგაშვილის მაგალითი, რომელმაც ახალციხიდან მარდინში ჩასვლას 56 დღე მოანდომა. რ. დანიბეგაშვილი. თვრამეტი წელი აზიის ქვეყნებში. თბილისი. "საბჭოთა საქართველო." 1963. გვ. 9-10.

45. ამ სტრატეგიის არსი მდგომარეობდა გენერალური ბრძოლისგან თავის არიდებაში და ჯვაროსანთა ტერიტორიებზე შემოსული მუსლიმური არმიების ხელსაყრელი პოზიციების დაკავების მეშვეობით ერთ ადგილზე შეკავებაში იმ მიზნით, რომ სხვადასხვა მხარეებიდან შეკრებილი მათი სამხედრო რაზმები მალე დაიშლებოდნენ და სახლებში ნავიდოდნენ. ასეთ სტრატეგიას წარმატება საკმაოდ ხშირად მოჰქონდა. იხ. აგრეთვე ამავე თავის ქვეთავი, "სელჯუკური არმიის ორგანიზაცია და საბრძოლო ტაქტიკა." შენ. 6.

46. როგორც უკვე იყო აღნიშნული, სელჯუკური საემიროს საშუალო სამხედრო პოტენციალი, სადღაც, 5-10 ათას მეომარს შორის ივარაუდება, იხ. II თავის ქვეთავი "პოლიტიკურ ძალთა ბალანსი XI-XII საუკუნეების მიჯნაზე," შენ. 8. აქედან გამომდინარე, ილ-ღაზისა და დუბაისის არმიის სიდიდე 10-15 ათასი მეომრის ფარგლებში, რომელიც ძირითადად მოქირავნეებით, რელიგიური აქტივისტებითა და პირადი გვარდიით უნდა

ყოფილიყო დაკომპლექტებული, საკმაოდ მაღალი ციფრია.

47. არმიის გადაადგილების სისწრაფის შესახებ იხ. IV თავის ქვეთავი «თრიალეთის ბრძოლა,» შენ. 11.

48. საქართველომდე მისასვლელად ილ-ღაზის შეეძლო დიდი აღალით არ დაეტვირთა თავი და სურსათ-სანოვაგე იმ საემიროებში შეეძინა, რომლის ტერიტორიებსაც ის გაივლიდა. საქართველოში შემოსვლისას კი მას თან უნდა წამოეღო აუცილებელი რაოდენობის მარაგი, რაც მისი არმიის გადაადგილების სისწრაფეს გარკვეულწილად შეანელებდა.

49. დიდი საარმიო კოლონების გადაადგილების შესახებ ჰ. დელბრიუკი წერდა, რომ "Передвижения, легко совершаемые отрядом в 1000 человек, являются уже весьма затруднительными для 10 000 человек, чудом искуства для 50 000 и невозможными для 100 000." Г. Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории, том I. стр. 37.

50. იმ არგუმენტიდან გამომდინარე, რომ 15 ათასი მეომარი მოსულის საემიროს მაქსიმუმ შესაძლებლობად ითვლება (Terence Wise. Armies of the Crusades, p. 20), 10 ათასი მეომარი განძის საემიროსთვის სავსებით რეალურ მაჩვენებლად უნდა გამოიყურებოდეს.

51. ამ ციფრს სავსებით შეეფერება ალ-ასირის ცნობა იმის შესახებ, რომ მუსლიმურმა არმიამ დიდგორის ბრძოლაში დაღუპულთა და ტყვედ ჩავარდნილთა სახით 4 ათასი მეომარი დაკარგა. Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль (полного свода истории) Ибн ал-Асира. стр. 123.

აღნიშნული ციფრი შუასაუკუნეების მასშტაბური ბრძოლისთვის სავსებით რეალურია და, ჩვენის აზრით, იგი სინამდვილესთან ახლოს უნდა იყოს. დანაკარგების საშუალო მაჩენებელი იმ დროინდელი ბრძოლებისთვის სადღაც არმიის საერთო რაოდენობის 10-20%-ში შეგვიძლია ვივარაუდოთ (ამის შესახებ იხ. VII თავის ქვეთავი „დიდგორის ბრძოლა ისტორიოგრაფიაში," აგრეთვე, ამავე ქვეთავის შენ. 8), რის მიხედვითაც დანაკარგების ასეთი მაჩვენებელი 30-40 ათასიანი დამარცხებული არმიისთვის სავსებით რეალურია.

სელჯუკური არმიის ორგანიზაცია და საბრძოლო ტაქტიკა

1. სელჯუკთა სამხედრო ხელოვნებაზე იხ. Р. А. Гусейнов. Сельджукская военная организация. стр. 138-139; С. И. Лучицкая. Образ другого. Мусульмане в хрониках крестовых походов. стр. 201-218; Joshua Prawer. the Crusaders Kingdom. Europian Colonialism in the Middle Ages. pp. 339-340; Erik Hildinger. Warriors of the Steppe. A Military History of Central Asia, 500 B.C. to 1700 A.D. pp. 93-110; David Nicolle. Saladin and Saracens Armies of the Middle East 1100-1300. pp. 3-57; Rene Grousset. the Empire of the Steppes: A History of Central Asia. "State university of New Jersey." 2002. pp. 148-158; Antonio Santosuo. Barbarians, Marauders, and Infidels, the Ways of Medieval Warfare. pp. 225-228; J. I. Saunders. mongol conquests. pp. 17-30; John France. Victory in the East. A Military History of the First Crusade. pp. 145-149; the Damascus Chronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. pp. 39-40.

2. გულიამი არაბულად ნიშნავს "ბიჭს," ნაყიდ მონას. გულიამები ადრეული მამლუქები იყვნენ და ისინი პირველად არაბი ხალიფების სამსახურში გამოჩნდნენ IX საუკუნის დასაწყისიდან. თავდაპირველად, ისინი მთლიანად თურქი მეომრებისგან დაკომპლექტე-

ბულ ხალიფთა პირად გვარდის წარმოადგენდნენ და მაღალი ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდნენ, რის გამოც მოგვიანებით, "გულიამების" ინსტიტუტმა ფართო განვითარება ჰპოვა ისლამურ სამყაროში. James Waterson. the Mamluks. HT. v. 56. 2006. pp. 21-22;

3. ნაფატინების ყოფნას სელჯუკთა არმიის შემადგენლობაში, ალ-ჰუსაინი ალფ-არსლანის საქართველოში ლაშქრობისასაც მიუთითებს. მისი მიხედვით, "Округ Шаки богат лесами и чащами, в которых и скрывались разбойники ар-Рума и Абхаза. Султан приказал нефтеметателям поджечь эти чащи, и они сделали это." Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. глава 17. стр. 54.

4. David Nicolle. the First Crusade. 1096-99 Conquest of the Holy Land. pp. 25-30.

5. გულიამების მომზადების ეს სისტემა დეტალურად აქვს აღწერილი აქვს ნიზამ ალ-მულკს: "Гулямам увеличивали чин постепенно, по размеру службы, заслуг, достоинств; вот покупали гуляма, приказывали ему один год службу пехотинца и он ходил в свите, одетый в каба из зинданиджи. Этим гулямам не было разрешения втайне или въяве садиться на лошадь в течение этого года. Если узнавали, наказывали. Когда они прослужили так один год, висак-баши говорил с хаджибом; хаджиб предписывал, чтобы дали тюркскую лошадь с уздой и простой ремень. Когда он прослужил один год с лошадью и арапником, на другой год ему давали караджур, дабы он им подпоясывался. На пятый год ему давали лучшее седло, узду со звездами, каба из дараи и булаву, которую он вешал на кольцо. На шестой год он получал одежду анван, на седьмой палатку с одной верхушкой и шестнадцатью клиньями, в свой отряд он получал трех гулямов, его именовали висак-баши он надевал черный войлочный головной убор, расшитый серебром, и гянджийскую каба. С каждым годом увеличивали почтение, украшение, отряд, чины, пока он не становился хейль-баши, затем — хаджибом; хотя становились всюду известны его достоинства и заслуги, хотя он совершил большие дела, был обходителен с людьми и любил господина, все же пока он не достиг тридцати семи лет — эмирства ему не давали и владения не назначали." Низам ал-мульк. Сиасет-наме. глава 27. стр. 111-112.

6. Анна Комнина. Алексиада. Книга X, Глава10, стр. 289; John France. Victory in the East. A Military History of the First Crusade. p. 165; Antony Karasulas. Mounted Archers of the Steppe 600 BC-AD 1300. "Osprey Publishing." 2004. pp. 48-55.

ბიზანტიელებს სელჯუკებთან სამხედრო დაპირისპირების დიდი და "მწარე" გამოცდილება გააჩნდათ. როგორც აღწერს ნიკიფორ ვრიენოსი, სელჯუკებმა სწორედ ამ ტაქტიკის გამოყენებით დაამარცხეს სასტიკად ბიზანტიური არმია მანციკერტთან. Никифор Вриенний. Исторические записки (976-1087), стр. 49-50; David Nicolle. Saladin and Saracens Armies of the Middle East 1100-1300. pp. 6-7.

7. ეს ვითარება ძალიან კარგად ჩანს, მაგალითად, ილ-ღაზისა და ჯვაროსნების ომებიდან. 1122 წელს ილ-ღაზის ალყა ჰქონდა შემორტყმული ჯვაროსნების ერთ-ერთ ციხესიმაგრეზე, როდესაც მას მიუახლოვდა ჯვაროსნების დამხმარე არმია და დადგა ციხესიმაგრის სიახლოვეს მისთვის ხელსაყრელ პოზიციაზე. "Узнав об этом, Иль-Гази покинул Зардану и направился им навстречу. Он расположился в Навазе и добивался, чтобы франки вышли из более выгодного для них положения в теснине на простор, но они не вышли. Тогда Иль-Гази направился с атабеком Тугтекином к Телль ас-Султан" (Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 205. стр. 159.

ანალოგიურად იქცევიან ჯვაროსნები და ილ-ღაზის მემკვიდრე (დისშვილი) ბალაკი მომდევნო წელს, როდესაც ერთმანეთის წინ ბანაკად მდგომებმა არ დატოვეს ხელსაყრელი პოზიცია და ოთხ თვიანი დაპირისპირების შემდეგ, უომრად დასცილდნენ ერთმანეთს.

Р. А. Гусейнов. Из хроники Михаила Сирийца. книга 15. глава. 13. стр. 41;

ასეთი სტრატეგიის შესანიშნავი მაგალითია აგრეთვე, დიდგორთან დამარცხების შემდეგ სელჯუკთა სულთნის ლაშქრობა შირვანში, როდესაც მან, ვერ გაბედა რა მთა-გორიან საქართველოში ჯარით შემოსვლა, შემოუთვალა დავით აღმაშენებელს: "შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა; ხოლო მე ესე-რა შირვანშა შევიპყარ ხელითა და ხარაჯასა ვითხოვ; შენ თუ გენებოს, ძღუენი ჯეროვანი გამომიგზავნე, და თუ გინდა სამალავთათ გამოვედ და მნახე" (ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 343). სულთნის ეს გზავნილი სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა, ქართულ არმიასთან სელჯუკებისთვის ხელსაყრელ მიდამოებში, გაშლილ ველზე შესახვედრად.

8. David Nicolle. the First Crusade. 1096-99 Conquest of the Holy Land. p. 39.

9. 1097 წელს, ნიკეის დაკარგვის შემდეგ, რუმის სასულთნოსა და დანიშმენდიდების გაერთიანებულმა არმიამ ჩასაფრებითი თავდასხმა მოაწყო ჯვაროსანთა ერთ კოლონაზე (იმ მომენტისთვის, ჯვაროსნები ორ კოლონად მოძრაობდნენ), რომელიც მარშის პროცესში იმყოფებოდა დორილეუმის გზაზე. კოლონის მეთაურმა, ნორმანდიელმა ჰერცოგმა ბოემუნდმა ქვეით ნაწილებს უბრძანა მოეწყოთ სამხედრო ბანაკი, ე.ი. წრიულად დაეყენებინათ კოლონის თანხლები საზიდრები, რითაც გულიამებს პირდაპირი შეტევის შესაძლებლობა, ხოლო ცხენოსან მოისრეებს მანევრის სივრცე ეზღუდებოდათ. ამავე დროს, ცხენოსან რაინდებს უბრძანა გაეფანტათ სელჯუკი მოისრეები ბანაკიდან ახლო დისტანციაზე და არ მიეცათ მათთვის ბანაკის დაცხრილვის შესაძლებლობა. ეს ბრძანება სავსებით სწორი გადაწყვეტილება აღმოჩნდა შექმნილ სიტუაციაში. ასეთი ტაქტიკით, ჯვაროსნებმა შეინარჩუნეს შეკრული რიგები და წინააღმდეგობის უნარი მეორე კოლონის მოსვლამდე. მათ ამის მეშვეობით გაუძლეს სელჯუკთა მასირებულ შეტევას და დამხმარე ძალის მოსვლის შემდეგ, თავად გადავიდნენ შეტევაზე.

ყილიჩ-არსლანი, რომელიც ჯვაროსანთა ცალ-ცალკე განადგურებას ცდილობდა (და რასაც მიაღწევდა კიდეც, რომ არა ბოემუნდის სწორი მეთაურობა), მეორე კოლონის ბრძოლაში ჩართვის შემდეგ თავად მოექცა ორმხრივი დარტყმის ქვეშ, რომლის დროსაც მისმა მსუბუქმა ცხენოსნებმა სრულიად დაკარგეს მანევრის შესაძლებლობა და ხელჩართული ბრძოლის თავიდან ასაცილებლად ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. სელჯუკთა დანარჩენმა ნაწილმა კი ვერ გაუძლო მძიმედ აღჭურვილი რაინდების ცხენოსანი წყობის შეტევას და განადგურებული აღმოჩნდა. Steven Runciman. A History of the Crusades. v. I. p. 184-186; Robert Payne. the Crusades. p. 70-71; David Nicolle. the First Crusade. p.35-41; John France. Victory in the East. A Military History of the First Crusade. pp. 169-172.

საწინააღმდეგოდ განვითარდა ბრძოლა 1119 წელს ანტიოქიის არმიასა და ილ-ღაზის საღვთო ომის კოალიციას შორის "სისხლიან ველზე", სადაც ჯვაროსნები (გარდა სიმცირისა) დაღუპა ზუსტად იმან, რამაც ისინი გადაარჩინა დორილეუმთან. როჯერის არმია, რომელიც არ დაელოდა მოკავშირეებს (ისინი მისგან ერთი კვირის სავალზე იმყოფებოდნენ), მიუახლოვდა ილ-ღაზის და დადგა ბანაკად (ე. ი. ბოემუნდის მსგავსად, მოაწყო საველე გამაგრება). იმ პირობებში, როდესაც არ იყო მოსალოდნელი ჯვაროსნების დამხმარე ძალის გამოჩენა, ილ-ღაზის მსუბუქმა ცხენოსანმა მოისრეებმა (რომელთაც დიდგორის ომის მონაწილე თუღან-არსლანი მეთაურობდა) უპრობლემოდ შემოარტყეს ალყა ბანაკს და თითქმის მხოლოდ დისტანციური ბრძოლით, ისე რომ როჯერმა ვერც მოასწრო ჯვაროსანთა ძირითადი იარაღის, მძიმე რაინდების მჭიდრო წყობით შეტევის განხორციელება, გაანადგურეს მოწინააღმდეგე, რაც, განსხვავებით დორილეუმის ბრძოლისგან, არასწორი მეთაურობის შედეგი იყო Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 125-129; Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 149-150.

10. აქ, რასაკვირველია, არ იგულისხმება დამთრგუნველი რაოდენობრივი უპირატესო-

ბა, როდესაც ყოველგვარი ტაქტიკა აზრს კარგავდა და კუნთის ძალაზე დამოკიდებული ბრძოლის ბედის გადაწყვეტა ფიზიკურად ხდებოდა შეუძლებელი, თუმც ასეთი შემთხვევები საკმაოდ იშვიათი იყო.

11. მათე ურჰაელი შემდეგნაირად აღწერს სელჯუკების პირველ გამოჩენას: "Проснулся страшный гнев божий и пал на весь христианский народ и на поклоняющихся святому кресту, ибо пробудился губительный вишап со своим смертоносным огнем и поразил верующих в Святую Троицу. В этот год зазколебались основы здания, воздвигнутого апостолами и пророками, ибо налетели крылатые змеи и засверкали над всем миром верующих во Христа. Это - первый выход кровожадных зверей. В эти дни составилась рать из племени неверных, которые зовутся турками, и они вступили в Армянскую страну и, безжалостно предав острию меча, перебили верующих во Христа... До этого ни разу не видели турецкого конного войска и, встретившись с ним, увидели, что отличны они обликом- вооружены луками, с распущенными, как у женщин, волосами. И тогда армянское войско не сумело приготовиться к отражнию стрел." В. П. Степаненко. О причинах и датировке передачи Васпуракана Византии, стр. 76.

12. Р. А. Гусейнов. Из истории отношений Византии с сельджуками. стр. 157; С. Г. Агаджанов. К. И. Юзбашян. К истории тюркских набегов на Армению в XI в., стр. 145; К. Н. Юзбашян. Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв., стр. 219.

13. სელჯუკთა გამოჩენის ადრეულ ეტაპზე, მათი ლაშქრობები გამონაკლისის გარეშე მარბიელი (და დაზვერვითი) ხასიათის იყო და ისინი თავად არ ცდილობდნენ აქტიურად ადგილობრივ არმიებთან შეხვედრას. მასშტაბური შეტაკებები სელჯუკებსა და ბიზანტიურ-ქართულ-სომხურ არმიებთან დაიწყო XI ს. 40-იან წლებში. С. Г. Агаджанов. К. И. Юзбашян. К истории тюркских набегов на Армению в XI в., стр. 145; К. Н. Юзбашян. Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв., стр. 218-219.

პირველი გრანდიოზული ბრძოლა სელჯუკებსა და ქართულ-ბიზანტიურ კოალიციურ არმიას შორის შედგა 1049 წელს ბასიანში. კოალიციურ არმიას მეთაურობდა ლიპარიტ ბაღვაში, რომლის განსაკუთრებული სიმამაცის მიუხედავად (რასაც ისტორიული წყაროები ერთხმად აღნიშნავენ), ქართველები და ბიზანტიელები ამ ბრძოლაში დამარცხდნენ, ხოლო თავად ლიპარიტი ტყვედ ჩავარდა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 302; ბ. სილაგაძე. იბნ ალ-ასირის თხზულების "თარიხ-ალ-ქამილი"-ს ერთი ადგილის დადგენისთვის. ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბილისი, "მეცნიერება", 1971, გვ. 63-69; გ. ჯაფარიძე. იბნ ალ-ასირის ერთი ცნობის შესახებ. საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, ნიგნი I, თბილისი, "მეცნიერება", 1976, გვ. 40-44; ს. მარქარიანი. მოკავშირეების წინააღმდეგ თურქ-სელჯუკთა ბრძოლის მნიშვნელობისა და თარიღის შესახებ (1049 ნ), მიაეხს, №4, 1983, გვ. 119-129; К. Н. Юзбашян. Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв., стр. 222. ბასიანის ბრძოლას საკმაოდ დეტალურად აღწერენ ალ-ასირი, D. S. Richards. the Annals of the Saljuq Turks: Selections from al-Kamil Fil Fafikh of Ibn al-Athor, Bodmin, "MPG Books", 2002, pp. 67-68; და სტეფანოზ ორბელიანი, სტეფანოზ ორბელიანის "ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქრთული თარგმანები, სინ. 4, ვ. ცაგარეიშვილის რედაქციით, თბილისი, "მეცნიერება", 1978, გვ. 32-36.

ამ ბრძოლის შემდეგ სელჯუკები სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე ახორციელებდნენ სამხედრო ექსპედიციებს სამხრეთ ამიერკავკასიასა თუ აღმოსავლეთ ანატოლიაში. ცნობილია მხოლოდ ორი ბრძოლა, სადაც ბიზანტიელებმა მოიპოვეს გამარჯვება (ორივე შემთხვევაში ბიზანტიური არმია მოქირავნეებით იყო წარმოდგენილი: 1054 წელს ბაიბურთთან — ვარანგებით, ხოლო 1062 წელს ამიდასთან — ნორმანებით) К. Н. Юзбашян. Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв. стр. 225, 230. ასეთი სამხედრო უპირატესობა მანციკერტის ცნობილი ბრძოლითა და სელჯუკების სამხრეთ

ამიერკავკასიასა და ანატოლიაში დამკვიდრებით დამთავრდა. Р. А. Гусейнов. Последствия сражения при Манцикерте (1071г) для Закавказья ВВ, т. XXIX, Москва, "НАУКА", 1969, стр. 148-152.

მანციკერტთან სელჯუკთა ტრიუმფალური გამარჯვების შემდეგ მათ პირველი სერიოზული სამხედრო მარცხი, გიორგი II-მ მიაყენა ფარცხისის ბრძოლაში, მაგრამ სელჯუკთა საერთო სამხედრო უპირატესობის პირობებში ეს გამარჯვება (ისევე როგორც ვარანგებისა და ნორმანების გამარჯვებებები) მხოლოდ ეპიზოდად დარჩა.

დავით აღმაშენებლამდე სელჯუკებზე მთელი რიგი გამარჯვებები ჯვაროსნებმა მოიპოვეს (1097 წელს ნიკეასთან, დორილეუმთან, ჰერაკლეასთან. 1098 წელს ანტიოქიასთან და ა.შ.). ამავე პერიოდიდან, სამხედრო გამარჯვებების მოპოვება დაიწყეს ბიზანტიელებმაც, რაც იმას ნიშნავს, რომ სელჯუკებისა და მათი მოწინააღმდეგე არმიების ტაქტიკური შესაძლებლობები მეტ-ნაკლებად გათანაბრდა და სელჯუკები აღარ წარმოადგენდნენ ისეთ დაუძლეველ სამხედრო ძალას, როგორიც იყვნენ ორი-სამი ათეული წლის წინ.

თავი VI

საქართველოს სამეფოს არმია დიდგორის ბრძოლის წინ

ყივჩაღ მეომართა რაოდენობა

1. ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. II. გვ. 203; ს. ჯანაშია. შრომები. ტ. V. თბილისი. „მეცნიერება." 1987. გვ. 141-142; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 239; შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 89-90; ქ. ჩხატარაიშვილი. ი. შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა. გვ. 6, 72-75; საქართველოს ისტორია. ლექსიკონი. შემდგენელი რ. მეტრეველი. თბილისი. „განათლება." 1979. გვ. 283; რ. მეტრეველი. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან. გვ. 112; მისივე. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 195; მისივე. დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. გვ. 221;

დიდგორის ბრძოლაში მონაწილე ქართული არმიის რაოდენობა ძირითადათ დაყრდნობილია მათე ურჰაელის ციფრებზე, 40 ათასი ქართველი, 15 ათასი ყივჩაღი, 500 ალანი და 100 ფრანკი. ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 245; Matthew of Edessa. the chronicle of Matthew of Edessa. III. 83-84. p. 226; გოტიეს ციფრი, 80 ათასი მეომარი, ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. გვ. 45; Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 170; გაზვიადებულადაა მიჩნეული (თუმცა ჩვენის აზრით, ის დიდად არ განსხვავდება ურჰაელის ციფრებისგან). საერთოდ არ განიხილება სმბატ სპარაპეტის მონაცემები, რომელიც ქართული არმიის შემადგენლობაში 40 ათას ყივჩაღს, 18 ათას ალანს, 500 ფრანკსა და 10 ათას სომეხ მეომარს ასახელებდა. E. Dulaurier. Documents armeniens. v. I. Recueil des historiens des croisades. p. 651; ე.ი. გამოდის, რომ დიდგორის ბრძოლაში მონაწილე ქართული არმიის სიდიდეს მათე ურჰაელი 55 600, გოტიე 80 000., ხოლო სმბატ სპარაპეტი 68 500 მეომრის ოდენობით განსაზღვრავდა. ყველა ეს ციფრი არარეალურია, შედარებისთვის შეიძლება აღინიშნოს, რომ ამ სიდიდის საველე არმიები თვით საქართველოს გიგანტ მეზობლებს, ბიზანტიისა და სელჯუკების იმპერიებსაც კი არასოდეს არ გამოუყვანიათ ბრძოლის ველზე.

2. ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. II. გვ. 203;

3. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ.337; უკანასკნელ ხანებში, ყივჩაღ მეომართა რაოდე-

ნობაზე, განსხვავებული აზრი გამოთქვა გ. ანჩაბაძემ, რომლის მიხედვითაც, ყივჩაღთა რაოდენობა 15-20 ათასი მეომრის ფარგლებში უნდა ყოფილიყო. გ. ანჩაბაძე. სამხედრო ისტორია. თბილისი. "სომა პრეს." 2002. გვ. 47.

4. ყივჩაღთა საქართველოში გადმოსახლების ფაქტი იცის იპატიევის ქრონიკამ, ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. გვ. 189-190; მათ ყოფნას ქართულ არმიაში მიუთითებენ მთელი რიგი ავტორები (მათე ურჰაელი, ალ-ასირი და ა.შ.).

5. ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. II. გვ. 200; ს. ჯანაშია. შრომები. ტ. V. თბილისი. "მეცნიერება." 1987. გვ. 141-142; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 226; რ. მეტრეველი. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან. გვ. 108; მისივე. დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. გვ. 195; ვ. აბაშმაძე. ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. გვ. 142; ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში. გვ.173; ზ. ანჩაბაძე. მ. ცინცაძე. საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში. გვ. 153-154;

რუსი მეცნიერი პ. ტოლოჩკო მიიჩნევს, რომ 40 ათასი იყო საქართველოში გადმოსულ ყივჩაღთა საერთო რიცხვი, ხოლო მეომართა რაოდენობა 5 ათასს შეადგენდა. П. П. Толочко. Кочевые народы степей и Киевская Русь. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2003. стр. 92-93; მიუხედავად იმისა, რომ ავტორს არ მოჰყავს ამ მოსაზრების პირდაპირი არგუმენტაცია (თუმცა მიუთითებს ყივჩაღთა სხვადასხვა ტომების საშუალო სიდიდეებს), მის მიერ დასახელებული ციფრები სავსებით რეალურად გამოიყურებიან.

6. ეს ციფრი მინიმალურია იმ შემთხვევისაც, თუ ვივარაუდებთ, რომ კიევის რუსეთთან განცდილი მარცხის შემდგომ, დონის ყივჩაღთა საქონლის რაოდენობა მკვეთრად იქნებოდა შემცირებული.

სინამდვილეში ეს ციფრი კიდევ ბევრად მაღალი უნდა ყოფილიყო. მაგალითად, ერთ მილიონ მონღოლ-თათართა მოსახლეობაზე, 15-20 მილიონი სული საქონელი ივარაუდება, Джек Уезерфорд. Чингисхан и рождение современного мира. Москва. "АСТ." 2005. стр. 153; ე.ი, ერთ ადამიანზე 15-20 სული საქონელი. ჩვენი გათვლებით ერთ ყივჩაღზე 2,5 სული საქონელი გამოდის, რაც რეალურად არსებულთან შედარებით, თუნდაც ვლადიმერ მონომახთან განცდილი მარცხის შემდგომ, ბევრად ნაკლები უნდა იყოს.

მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილე რობერ დე კლარის მიხედვით, ყოველ ყივჩაღ მეომარს ათი ან თორმეტი ცხენი ჰყოლია, И. О. Князький. Византия и кочевники южнорусских степей. стр. 121.

ცხენების რაოდენობის უფრო მაღალ მაჩვენებელს ვარაუდობენ რიგი მკვლევრები (რ. ლინდრენი, ჯ. ფრანცი), რომელთა მიხედვითაც ერთ მომთაბარე მეომარზე თხუთმეტი ცხენი უნდა მოდიოდეს. ამ შეფარდების მიხედვით ისინი თვლიდნენ, რომ უნგრეთის დაბლობი, რომელსაც საძოვრებით შეეძლო 150 ათასი ცხენის უზრუნველყოფა, 15 ათას უნგრელ (ჰუნებს, ავარებსა და მადიარებს) მომთაბარე მეომარს უნდა დაეკავებინა. John France. Victory in the East. A Military History of the First Crusade. p. 157.

7. მაგალითად, ჩინეთის დაპყრობამდე გობის უდაბნოდან ტუნდრებამდე გაშლილ უზარმაზარ ტერიტორიებზე, რომელიც თავისი ფართობით დასავლეთ ევროპის ტოლია, განსახლებული იყო მონღოლ-თათართა ტომობრივი გაერთიანება, დაახლოებით, ერთი მილიონი მოსახლეობით. Джек Уезерфорд. Чингисхан и рождение современного мира. стр. 152-153; რუსეთის ევროპული ნაწილის სამხრეთ სტეპებში XI-XII საუკუნეებისთვის მომთაბარეობდა ასევე ერთ მილიონამდე ყივჩაღის, პაჭანიკის და სხვა მომთაბარე. А. И. Попов. Кыпчаки и Русь. "Ученые записки ЛГУ" Серия исторических наук. Выпуск. 14. 1949. стр. 98; Л. Н. Гумилев. Черная Легенда: Друяья и недруги Великой степи. стр. 111; მისივე.

Древняя Русь и Великая Степь. Москва. "Аирис-пресс." 2004. стр. 306;

იგივე ტერიტორიებზე ადრეულ მომთაბარეთა (უგრები, სარმატები, სკვითები) რაოდენობა III-IV საუკუნეებისთვისაც, დაახლოებით იგივე სიდიდით, ერთ მილიონამდე ივარაუდება. Ранние тюрки в великом переселении народов (демографический аспект этногенеза). Этническая история тюркоязычных народов Сибири и сопредельных территорий. Тезисы докладов научной конференции. Омск. 1984. стр. 18-23; რაც იმას ნიშნავს, რომ ტომობრივი მეურნეობის არსებობის პირობებში ამ რეგიონების საძოვრებს მეტი რაოდენობის დაკმაყოფილება არ შეეძლო. როდესაც მომთაბარეთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა ხდებოდა, მას აუცილებლად მოსდევდა ახალი საძოვრების ძიებისა და ახალ ტერიტორიებზე გადასახლების პროცესი.

მომთაბარული ტომის სიდიდის კარგი მაგალითია XIII საუკუნის ავტორის, 1253 წელს მონღოლთა დიდ ყაენთან ელჩად გაგზავნილი ვილჰელმ რუბრუკის პირადი შთაბეჭდილება ერთ-ერთ მომთაბარულმ ტომის სიდიდეზე. იგი ასე აღწერს მას: "Утром мы встретили повозки Скатая, нагруженные домами, и мне казалось, что навстречу мне двигается болшой город. Я также изумился количеству стад быков и лошадей и отар овец. Я видел, однако, немногих людей, которые ими управляли. В силу этого я спросил, сколько человек имеет Скатай в своей власти, и мне было сказано, что не более 500, мимо половины которых мы проехали ранее при другой остановке." Путешествия в восточные страны Плано Карпини и Рубрука. под редакцией Н. П. Шастина. Москва. 1957. стр. 104.

ვლადიმირ მონომახი თავის ანდერძში აღნიშნავდა, რომ ყივჩაღებთან ბრძოლებში მან ტყვედ აიყვანა 300-ზე მეტი ყივჩაღთა ხანი, რომელთაგანაც 100 გაანთავისუფლა, ხოლო 200 სიკვდილით დასაჯა. Н. М. Карамзин. Предания Веков, Москва, "Правда", 1988, стр. 175; ხოლო სვიატოპოლკს მარტო ერთ ბრძოლაში გაუნადგურებია ყივჩაღთა 20 ხანი, ოცდამეერთე კი ტყვედ ჩავარდნილა. Н. М. Карамзин Предания Веков. стр. 167; ყივჩაღთა ხანების ასეთი სიმრავლე ცხადად მიუთითებს ცალკეული ტომების რაოდენობაზე, მათ მცირერიცხოვნებასა და დაქსაქსულობაზე.

8. Л. Н. Гумилев. Черная Легенда: Друья и недруги Великой степи. 114; Peter Golden. the Qipchaq Tribes. "Cumanica IV." AEMA. v. IX. 1997. p. 108; Peter Golden. An Introduction to the History of the Turkic Peoples. Wiesbaden. "Otto Harrassowitz." 1992. p. 279;

9. В. В. Бартольд. История турецко-монгольских народов. Сочинения. т. V. Москва. 1968. стр. 209; П. П. Толочко. Кочевые народы степей и Киевская Русь. стр. 95; Peter Golden. An Introduction to the History of the Turkic Peoples. p. 279;

10. А. И. Попов. Кыпчаки и Русь. стр. 98; Л. Н. Гумилев. Черная Легенда: Друья и недруги Великой степи. стр. 111 ; მისივე. Древняя Русь и Великая Степь. стр. 306; ს. პლეტნევა ყივჩაღთა საერთო რაოდენობად 500-600 ათასს ვარაუდობს. С. А. Плетнева. Половцы. Москва. "НАУКА." 1990. стр. 115.

11. П. П. Толочко. Кочевые народы степей и Киевская Русь. стр. 93.

12. С. М. Соловьев. Чтения и рассказы по Истории России. Москва. "Правда". 1989. стр.56; Л. Н. Гумилев. От Руси до России. Москва. "Айрис-Пресс." 2000. стр. 69; Древняя Русь и Великая Степь. стр. 281;

13. С. М. Соловьев. Чтения и рассказы по Истории России. стр. 60; Н. М. Карамзин Предания Веков. стр.158.

14. Поучение Владимира Мономаха. Русская литература XI-XVIII вв. Составители,

вступительная статья и примечаний Л А Дмитриева и Н Д Кочетковой. Москва. "Художественная Литература." 1988. стр. 56.

15. არითმეტიკული სიზუსტით შუასაუკუნეების ციფრების დადგენა, პრაქტიკულად, შეუძლებელია, ამიტომ თითქმის ნებისმიერ ციფრს აქვს არა ზუსტი, არამედ დაახლოებითი, ეპოქის მასშტაბების შესაფერისი მნიშვნელობა.

16. Филипп Контамин. Война в средние века. стр.44.

17. Ласло Контлер. История Венгрии. Тысячелетие в центре Европи. Москва. "Весь Мир." 2002. стр. 64; Филипп Контамин. Война в средние века. стр.44; შდრ. რ. ლინდნერისა და ჯ. ფრანცის ზემოთ მოყვანილ მონაცემებს. შენ. 6.

18. С. Тарнбул. А. МакБрайд. Армия Монгольской Империи. Москва. "Астрель-Аст." 2003. стр.36;

19. С. Тарнбул. А. МакБрайд. Армия Монгольской Империи. стр.34-43; Джек Уезерфорд Чингисхан и рождение современного мира. стр. 132-133, 156-157;

20. Г. Дельбрюк. История Военного Искуство в рамках политической истории. том II. Германци. Сантк-Петербург. " НАУКА." 2001. стр. 216.

21. Филипп Контамин. Война в средние века. стр. 20; J. F. Verbruggen. the Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages. pp. 2-18.

22. С. Тарнбул. А. МакБрайд. Армия Монгольской Империи. стр.34 ; Л. Н. Гумилев. От Руси до России. стр.116-117; Ian Westwell. Nick Grant. Warriors. London. Grange Books 1999. p. 46.

მონღოლების ევროპაში ლაშქრობის თანამედროვე უნგრელი ბერი იულიანე აღნიშნავდა, რომ "Говорят, что в войске у них с собою 240 тысяч рабов не их закона и 135 тысяч отборнейших воинов их закона в строю". История Золотой Орды. Сборник материалов. Сантк-Петербург. "ЭЕВРОПЕЙСКИЙ ДОМ." 2003. стр. 25.

ჯუვეინის მიხედვით, ჩინგის-ხანის გარდაცვალების შემდეგ (1227 წ), მისმა მემკვიდრემ უგედეიმ მონღოლთა სამხედრო ძალები შემდეგნაირად გაანაწილა: 30 ათასიანი არმია გააგზავნა ხორასანისა და ირანის საბოლოოდ დასამორჩილებლად და ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ საბრძოლველად 30 ათასი მეომარი წავიდა ყივჩაღებისა და ვოლგის ბულგარების წინააღმდეგ საომრად (შემდეგ ეს არმია მოქმედებდა რუსული სამთავროების წინააღმდეგაც), ასეთივე რაოდენობის არმია გაიგზავნა ტიბეტში, ხოლო თავად უგედაი დარჩენილი მეომრებით (სადღაც 30-40 ათასით) ჩინეთის წინააღმდეგ გაემართა. Ата-Мелик Джувейни. Чингисхан. История Завоевавателя Мира. стр. 127;

ჯუვეინის ციფრებს, ფაქტიურად, ადასტურებს ან-ნასავიც, რომელიც როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული (იხ. V თავის ქვეთავი, „კოალიციის სამხედრო ძალის რაოდენობა". შენ. 32), ხორეზმის წინააღმდეგ გაგზავნილ ერთ-ერთი მონღოლური არმიის სიდიდეს 20 ათასი მეომრის ფარგლებში მიუთითებდა. Шихаб ад-дин ан-Насави Сират ас-султан Джалал ад-Дин Манкбурны. гл. 101, стр. 273;

23. Джек Уезерфорд. Чингисхан и рождение современного мира. стр. 268-271; Steven Runciman. A History of the Crusades. v. III. pp. 246-247.

24. Л. Н. Гумилев. Черная Легенда: Друья и недруги Великой степи. стр. 145, 359; მისივე.

Древняя Русь и Великая Степь. стр. 483; Джек Уезерфорд Чингисхан и рождение современного мира. стр. 290;

საინტერესოა რომ ირანის დასაპყრობად მოსული მინღოლური არმიის რაოდენობას (ჯუვეინის მსგავსად, იხ. ზემოთ, შენ. 21), ზუსტად ამ ციფრებში უთითებს ჟამთააღმნერელიც. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 184;

25. Анна Комнина. Алексиада. Книга VIII. Глава 4. стр. 233.

26. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ.337;

27. История Золотой Орды. Сборник материалов. Сантк-Петербург. "ЭЕВРОПЕЙСКИЙ ДОМ." 2003. стр.12-16;

28. ანა კომნენოსი თვითონვე აზუსტებს, რომ ყივჩაღები თითქმის 40 ათასი, ე.ი. ამაზე ნაკლები, იყვნენ. Анна Комнина. Алексиада. Книга VIII. Глава 4. стр. 233; История Золотой Орды. Сборник материалов. стр. 15; И. О. Князькин. Византия и Кочевники Юнорусских Степей. стр. 97; Джек Уезерфорд Чингисхан и рождение современного мира. стр. 271;

40 ათასზე ნაკლები 38, 37 და ა.შ. ათასია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ბრძოლაში ბონიაკსა და ტუგორხანს ცალკ-ცალკე (ე.ი. ყივჩაღთა თითო მსხვილ გაერთიანებას), სადღაც, 20 ათასზე ნაკლები მეომარი ჰყოლიათ.

29. ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. გვ. 189-190, 199-200; П. П. Толочко. Кочевые народы степей и Киевская Русь. стр. 92-93;

აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყივჩაღთა საქართველოში გადმოსახლება მათი დიდი რაოდენობის შემთხვევაში, ფიზიკურადაც საკმაოდ რთულად განსახორციელელი ოპერაცია იქნებოდა. რომ აღარ შევეხოთ იმ საკითხს, თუ რა სიგრძეზე უნდა გაშლილიყო 200 ათასი ყივჩაღი თავისი საზიდრებითა და მრავალრიცხოვანი შინაური ცხოველებით და რა სისწრაფით შეეძლოთ მათ გადაადგილება კავკასიის მთების პირობებში, მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ისტორიულ პარალელს. დავით აღმაშენებლის პერიოდიდან საუკუნის შემდგომ, როდესაც ანალოგიური აქციის განხორციელება სცადა ჯალალ ად-დინმა, რომელიც (დავით აღმაშენებლის მსგავსად) ცდილობდა მოკავშირეთა გადმოყვანას მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლისთვის, თუმცა ჯალალ ად-დინის მცდელობა (განსხვავებით დავით აღმაშენებლისგან) წარუმატებლად დამთავრდა. ან-ნასავის მიხედვით ჯალალ ად-დინი შეუთანხმდა ყივჩაღებს, რომლებიც დათანხმდნენ გადმოსახლებაზე და მათი რამდენიმე ტომი 50 ათასი კარვის ოდენობით (რაც თითო ოჯახს უნდა აღნიშნავდეს და ამ შემთხვევაში ან-ნასავი ისევე უნდა ზრდიდეს ყივჩაღთა რაოდენობას, როგორც დავითის მემატიანე) დაიძრნენ დერბენდისკენ, თუმცა მისი გადმოლახვა მხოლოდ ერთმა ხანმა შესძლო 300 მხედრის თანხლებით, რაც ჯალალ ად-დინისთვის არაფერს არ ნიშნავდა. Шихаб ад-дин ан-Насави Сират ас-султан Джалал ад-Дин Манкбурны. гл. 77, стр. 214-215;

1. ივანე ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. II. გვ. 214-216; ს. ჯანაშია. შრომები. ტ. V. გვ. 141-142; აბ. კიკვიძე. დავით აღმაშენებელი. გვ. 11; ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან. გვ. 100-101; შ.მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 34-43; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 224-226; საქართველოს ისტორია. ლექსიკონი. გვ. 255; რ. მეტრეველი. ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან. გვ. 89-100; მისივე. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 182; მისივე. დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. გვ. 206-207; ვ. აბაშმაძე. ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან. გვ. 142-143; ზ. ანჩაბაძე. მ. ცინცაძე. საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში. გვ. 153-154;

ამ საკითხზე გამოთქმული, განსხვავებული მოსაზრებები ქ. ჩხატარაიშვილსა და გ. ანჩაბაძეს ეკუთვნის, რომელთა მიხედვითაც, ყივჩაღები ჩვეულებრივ, მილიციური ტიპის მოლაშქრეებს წარმოადგენდნენ და ფეოდალური არმიის შემადგენლობაში ჩვეულებრივ განვევას ექვემდებარებოდნენ. ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში. გვ. 175-177; გ. ანჩაბაძე. სამხედრო ისტორია. გვ. 47.

2. Филипп Контамин. Война в средние века. стр. 184-192; Т. Уайз. Армии Средневековой Европы. Москва. "Астрель-Аст". 2004. стр.12-15;

3. 1297 წლის, დავით VIII-ს დროინდელ ერთ საბუთში იხსენიება ტერმინი "მესაყივჩაღე," რაზე დაყრდნობითაც გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს უნდა ყოფილიყო ყივჩაღთა არმიის შესანახი გადასახადის ამკრეფი მოხელის თანამდებობა, რომელიც დავით აღმაშენებლის დროს უნდა დაწესებულიყო. თ. ენუქიძე. XIII საუკუნის ქართული სამოხელეო ტერმინი "მესაყივჩაღე." ქართული წყაროთმცოდნეობა. VI. თბილისი. "მეცნიერება." 1973. გვ. 33-34; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 177-178.

ეს მოსაზრება არადამაჯერებელია. თუ ეს თანამდებობა დაწესდა აღმაშენებლის დროს, ე.ი. მაშინ, როდესაც თითქოსდა შეიქმნა ყივჩაღთა მუდმივი არმია, იგი აღარ უნდა გვხვდებოდეს ორი საუკუნის შემდგომ ეპოქაში, როდესაც ასეთი არმიის არსებობაზე საუბარიც კი აღარ შეიძლება. ხოლო რამდენადაც იგი გვხვდება XIII საუკუნის მიწურულს და არა XII საუკუნის დასაწყისში, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ იგი რაღაც სხვა თანამდებობის აღმნიშვნელი ტერმინია და ამ შემთხვევაში, საქმე შეიძლება სახელთა უბრალო მსგავსებასთან გვქონდეს. ან იქნებ ამ თანამდებობის მფლობელ მოხელეს, ყივჩაღთა დაქირავება ევალებოდა, ან საერთოდ ყველა მოქირავნეთათვის ქირის გადახდა.

4. Рафаэль Альтамира-и-кревеа. История Средневековой Испании. Санкт- Петербург. "Евразия." 2003. стр.177-179; John Matthews. Bob Stewart. Warriors of Christendom. pp. 86-94;

5. Г Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории. т. III. стр. 193-198; Филипп Контамин. Война в средние века. стр. 177-181; M. Prestwich. Armies and warfare in the Middle Ages: the English experience. pp. 147-158; Charles W.C. Oman. Art of War in the Midlle Ages, A.D. 378-1515. pp. 73-115; Antonio Santosuo. Barbarians, Marauders, and Infidels, the Ways of Medieval Warfare. pp. 278-288.

6. მომთაბარე მეომართა შეიარაღებისა და საბრძოლო ტაქტიკის შესახებ იხ. Режин Перну. Крестоносцы. стр. 134; Р. А. Гусейнов. Сельджукская военная организация. стр. 138-139; Antony Karasulas. Mounted Archers of the Steppe 600 Bc-ad 1300. pp. 18-30; the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. pp. 39-40;

Joshua Prawer. the Crusaders Kingdom. Europian Colonialism in the Middle Ages. pp. 339-340; John France. Victory in the East. A Military History of the First Crusade. pp. 147-153; Antonio Santosuosso. Barbarians, Marauders, and Infidels, p. 226; Antony Karasulas. Mounted Archers of the Steppe 600 Bc-ad 1300. pp. 18-55.

7. Ф. И. Успенский, История Византийской Империи, т. 3, 331-334; Филипп Контамин. Война в средние века. стр. 43; Советы и Рассказы Кекавмена. Сочинение Византийского Полководца. стр. 368; Л. Н. Гумилев. Черная Легенда: Друья и недруги Великой степи. стр. 116; И. О. Князький. Византия и Кочевники Юнорусских Степей. стр. 82-83; Andras Paloczi-Horvath. Pechenegs, Cumans, Iasians: Steppe People in Medieval Hungary. Budapest: "Corvina-Kultura." 1989. pp. 14-18; David Nicolle. Attila and the Nomad Hordes. "Osprey publishing." 1990. p. 52; Christopher Gravett. German Medieval Armies: 1300-1500. "Osprey publishing." 1985. p .27, 42;

განსაკუთრებით მაღალი იყო ყივჩაღ მეომართა რიცხვი ეგვიპტეში, სადაც ისინი მამლუქთა გვარდიის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. David Nicolle. Saladin and Saracens Armies of the Middle East 1100-1300. pp. 36-39; James Waterson. the Mamluks. pp. 21-22; ასევე ყივჩაღები იყვნენ პირველი მამლუქი სულთნები. მაგალითად, კუტუზი და ბეიბარსი, რომელთაც შეაჩერეს მონღოლების წინსვლა პალესტინა-ეგვიპტეში და რამდენჯერმე დაამარცხეს ისინი. А. Доманин. Крестовые Походи под сенью креста. стр. 353; Steven Runciman. A History of the Crusades. v. III. p. 315; ყივჩაღები იყვნენ შემდგომი სულთნებიც, კალაუნი და ხალილი, რომელთაც საბოლოოდ გაანადგურეს ჯვაროსნული სახელმწიფოები. David Nicolle. Acre 1291. Bloody sunset of the Crusader states. Ospray Publishing." 2005. p. 22; James Waterson. the Mamluks. pp. 21-22.

ყივჩაღი იყო აზერბაიჯანის ილდენიზიდების საათაბაგოს (იარსება 1136-1240 წლებში) დამაარსებელი, სელჯუკი სულთნების ყოფილი მონა-მეომარი (გულიამი) ილ-დენიზიც, З. М. Бунятов. Государство Атабеков Азербайджана Баку. стр. 44-45; Л. Н. Гумилев. Черная Легенда: Друья и недруги Великой степи. стр. 116; რომელიც საქართველოს სამეფოს ძირითად მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა გიორგი III-ს მეფობის პერიოდში.

8. მაგალითად, ბიზანტიის იმპერატორმა კონსტანტინე მონომახმა ჯერ კიდევ 1048 წელს, ბიზანტიის ჩრდილოეთ სასაზღვრო რეგიონში (პარისტრიონში), დუნაისა და ბალკანეთის მთებს შორის, დაასახლა პაჭანიკების ერთ-ერთი ტომი კეგენის მეთაურობით, რის სანაცვლოდაც, კეგენმა ივალდებულა სამხედრო სამსახურის გაწევა. იმავე პერიოდში, პაჭანიკების სხვა ტომები დასახლებულნი იქნენ იმპერიის სხვა რეგიონებშიც, კერძოდ, თრაკიასა და მაკედონიაში. Советы и Рассказы Кекавмена. Сочинение Византийского Полководца. стр. 368-369; .Л. Н. Гумилев. Черная Легенда, Друья и недруги Великой степи. стр. 101; И. О. Князький. Византия и Кочевники Юнорусских Степей. стр. 38, 44-45;

გარდა პაჭანიკებისა, იგივე პოლიტიკა ტარდებოდა სხვა მომთაბარეებისა და პირველ რიგში, ყივჩაღებისა და ალანების მიმართ, როგორც ბიზანტიის იმპერიაში, ასევე ბულგარეთისა და უნგრეთის სამეფოებში, კიევის რუსეთში და ა.შ. И. О. Князький. Византия и Кочевники Юнорусских Степей. стр. 44-45, 58, 72, 74, 83, 122; С. А. Плетнева. Половцы. стр. 70-71; Andras Paloczi-Horvath. Pechenegs, Cumans, Iasians: Steppe People in Medieval Hungary. pp. 14-18; David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia. p. 21; Ian Heath. Byzantine Armies. AD 1118-1461. p. 21-23;

9. ხვარაზმშაჰმა ყივჩაღების ქვეით მეომრებად გამოყენება სცადა საგარნიზონო სამსახურისთვის და მათგან დააკომპლექტა სამარყანდის გარნიზონი, რომელიც 1220 წელს, მონღოლებმა უპრობლემოდ აიღეს, რისი ძირითადი მიზეზიც ყივჩაღების, როგორც ქვეითი მეომრების დაბალი ბრძოლისუნარიანობა იყო. James Chambers. the Devils Horsemen. Niw-York. "Atheneum." 1979. p. 14.

10. ყივჩაღური არმიების ძირითადი დანიშნულება და საბრძოლო უნარი, დისტანციური ბრძოლების წარმოება, ჩასაფრებების მოწყობა და ეფექტური დევნის განხორციელება იყო. მართალია, ყივჩაღთა რიგებში მუბუქი ცხენოსნების გარდა იყვნენ მძიმედ შეიარაღებულ ცხენოსანთა რაზმებიც, რომელიც ყივჩაღთა ტომის წარჩინებულ მეომართა ფენიდან კომპლექტდებოდა, მაგრამ მათი რაოდენობა იყო მცირე და ისინი ძირითადად ყივჩაღთა "ევროპული" არმიებისთვის იყო დამახასიათებელი, სადაც მათ ბრძოლა მძიმედ შეიარაღებულ რაინდებთან უწევდათ. David Nicolle. Attila and the Nomad Hordes. 44; David Nicholle, Hungary and the Fall of Eastern Europe. "Osprey Publishing". 1988. p. 27; XII-XIII საუკუნეებში ყივჩაღებმა დაიწყეს საალყო მანქანების გამოყენებაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ ძირითად საბრძოლო ძალად (განსაკუთრებით აღმოსავლეთის ქვეყნებში) მსუბუქი ცხენოსანი მოისრეები რჩებოდნენ, რაც განაპირობებდა ყივჩაღური არმიის მაღალ ბრძოლისუნარიანობას. Andras Paloczi-Horvath. Pechenegs, Cumans, Iasians: Steppe People in Medieval Hungary. pp14-18; David Nicolle. Saladin and Saracens Armies of the Middle East 1100-1300. pp. 42-43.

11. ყივჩაღთა ერთ-ერთ ძირითად ფუნქციაზე, ეწარმოებინათ მარბიელი რეიდები სელჯუკთა ტერიტორიებზე, მოკლედ და ჩვენი აზრით, სავსებით სწორად მიუთითებდა ქ. ჩხატარაიშვილი. ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში. გვ. 175-177;

12. ი. ცინცაძე. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. გვ. 189-190; П. П. Толочко. Кочевые народы степей и Киевская Русь. стр. 109-110.

13. წერილობით წყაროებში გარკვევით ჩანს, რომ დავით აღმაშენებლის მომდევნო პერიოდში, ყივჩაღთა ყოფნა საქართველოში აშკარად მცირდება, თუმცა არ კარგავს სისტემატიურ ხასიათს. მაგალითად, გიორგი III-ს დროს ისინი მხოლოდ ისეთ მოქირავნეებად განიხილებიან, რომელთა სამსახურითაც საქართველოს მეფე პერიოდულად, მაგრამ არა მუდმივად სარგებლობდა ("ოვსთა და ყივჩაღთა რაოდენი ათასი კაცი უბრძანის, მოვიდიან"). ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 367; იგივე ვითარებაა თამარის დროსაც, როდესაც ყივჩაღებს აშკარად მოქირავნეებად იყენებენ. მაგალითად, თამარის პირველ ისტორიკოსთან მითითებულია ყივჩაღთა მეფის ძმა, რომელიც თამარის არმიაში მსახურობდა. იხსენიებიან ოსნი და ყივჩაღნი ახალნი (ე.ი. ახლად ჩამოსულები) და ა.შ. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 64-65.

14. ყივჩაღთა საქართველოში დასახლების "სასაზღვრო" ხასიათზე, ისტორიოგრაფიაში უკვე მიუთითეს ქ. ჩხატარაიშვილმა და გ. ანჩაბაძემ. ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში. გვ. 175-177; გ. ანჩაბაძე. სამხედრო ისტორია. გვ. 47;

15. ყივჩაღთა ამ ფუნქციას დავით აღმაშენებლის მემატიანე, ფაქტიურად, პირდაპირ აღნიშნავს, როდესაც ის "აჯამებს" დავითის მოღვაწეობას: "ამისთვისცა ზედას-ზედა წარმოავლენდის (იგულისხმება სელჯუკი სულთანი) მოციქულთა ძღუენითა დამშვიდებად პირსა მისსა, რამეთუ წარმოსცნის საჭურჭლენი მძიმენი, ტურფანი, მრავალფერნი, მფრინველნი და ნადირნი უცხონი და ძვირად საპოვნელნი, და ეძიებნ მშვიდობასა და სიყუარულსა და ყივჩაყთაგან არა რბევასა." ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 346.

16. დავით აღმაშენებლის ქორწინება ყივჩაღთა ხანის ასულთან, შეიძლება არც განვიხილოთ ყივჩაღების საქართველოში გადმოსახლებასთან უშუალოდ დაკავშირებულ აქტად, თუმცა ეს ფაქტორი, რასაკვირველია, ხელს შეუწყობდა მოლაპარაკებების პროცესს.

ყოვჩაღთა საქართველოში გადმოსვლაზე.

6. ასათიანის მიხედვით, დავითის უფროსი ქალიშვილი თამარი უნდა დაბადებულიყო 1090 წლის ახლო ხანებში. 6. ასათიანი. საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. გვ. 29. შენ. 2;

დავით აღმაშენებლის მემატიანე, ყივჩაღი გურანდუხტის გარდა, დავითის სხვა მეუღლის არსებობას არ მიუთითებს, რის მიხედვითაც გამოდის, რომ დავით აღმაშენებელს ოტრაკის ასული შეურთავს სადღაც 1089 წლისთვის, ე.ი. გამეფებისთანავე, რაც ყივჩაღთა საქართველოში საქართველოში გადმოსახლების პერიოდს, 1118 წელს, თითქმის სამი ათეული წლითაა დაცილებული და ბუნებრივია, საქართველოს მეფეს 28-30 წლით ადრე არ ეცოდინებოდა, რომ ყივჩაღებს გადმოიყვანდა. ე.ი. ამის მიხედვით გამოდის, რომ დავითის ქორწინება ნაკლებად იყო დაკავშირებული პოლიტიკურ გათვლასთან, რაც არალოგიკურად გამოიყურება.

აღნიშნულთან წინააღმდეგობაში მოდის მათე ურჰაელის ცნობა, რომლის მიხედვითაც, დავითის მეუღლე (დემეტრე უფლისწულის დედა) სომეხი ყოფილა. ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბილისი. 1966. გვ. 248-249;

დემეტრე თამარზე უმცროსი იყო (დაიბადა 1095-96 წლებში), რის მიხედვითაც, გურანდუხტი მის დაბადებამდე დავით აღმაშენებლის მეუღლე ვერაფრით იქნებოდა. იმ შემთხვევაში თუ ჩავთვლით, რომ დავითის პირველი მეუღლე იყო სომეხი ქალი, რომელთანაც მეფეს შეეძინა თამარი, კატაი და დემეტრე (და რაზედაც მისი მემატიანე არაფერს არ იუწყება), ხოლო მის მერე ცოლად შეირთო ყივჩაღთა ხანის ასული, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დგება და დავით აღმაშენებლის ეს ქორწინებაც, სავსებით პოლიტიკურ ელფერს იღებს. ზ. ავალიშვილი ვარაუდობდა, რომ დავით აღმაშენებლის პირველი (სომეხი) მეუღლე არაუგვიანეს 1107-1108 წლებამდის, მონაზვნად უნდა აღკვეცილიყო იერუსალიმში, რის შემდეგაც დავითს მეორე მეუღლე (ყივჩაღი გურანდუხტი) პოლიტიკური მოსაზრებებით უნდა შეერთო. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. გვ. 15;

იმ ხანაში პოლიტიკური ქორწინება ყივჩაღთა ხანების ოჯახებთან ფართოდ იყო გავრცელებული როგორც რუსულ სამთავროებში ასევე სხვა სახელმწიფოებშიც. П. П. Толочко. Кочевые народы степей и Киевская Русь. стр. 117- 119; მაგალითად, ყივჩაღი იყო ნოვგოროდის დიდი მთავრის, ალექსანდრე ნეველის დედა, Л. Н. Гумилев. Черная Легенда: Друзья и недруги Великой степи. стр. 107; ყივჩაღთა სიძეები იყვნენ კიევის დიდი მთავრები, სვიატოპოლკი და მსტისლავი, აგრეთვე უნგრეთის ტახტის მემკვიდრე სტეფანი. С. М. Соловьев. Чтения и рассказы по Истории России. стр. 61, 148; П. П. Толочко. Кочевые народы степей и Киевская Русь. стр. 117; ყივჩაღი იყო თვით ვლადიმერ მონომახის რძალი Л. Н. Гумилев. Черная Легенда: Друяья и недруги Великой степи. стр. 344; და ა.შ. ხშირი იყო დინასტიური ქორწინებები ყივჩაღებთან ბიზანტიაში, ბულგარეთში და რიგ სხვა ქვეყნებში, David Nicolle. Attila and the Nomad Hordes. p. 52; რაც ბუნებრივია გამოწვეული იყო ყივჩაღთა მობილური სამხედრო ძალის გამოყენების სურვილითა და საჭიროებით. რასაკვირველია, დავით აღმაშენებლის ნაბიჯიც იგივე მოტივაციით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რის მიხედვითაც გამოდის, რომ ზ. ავალიშვილის ვერსია სწორი უნდა იყოს და საქართველოს მეფეს მეორე მეუღლე, სადღაც 1108-1118 წლებს შორის უნდა შეერთო, პირველი მეუღლის გამონაზვნებისა და ყივჩაღთა საქართველოში გადმოსვლის შორის.

1. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. გვ. 46. ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 246; Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 169; Matthew of Edessa. the chronicle of Matthew of Edessa. p. 227.

თავად ზ. ავალიშვილი ჯვაროსანი რაინდების დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობას საეჭვოდ მიიჩნევდა, თუმცა თვლიდა რომ დავით აღმაშენებელი ჯვაროსნებთან შეთანხმებით მოქმედებდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. გვ. 49; სხვა მკვლევარები კი ჯვაროსანი რაინდების დიდგორის ბრძოლაში მონაწილეობას საეჭვოდ არ მიიჩნევენ. შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 63-71; ი. ბერაძე. ჯვაროსნულ ლაშქრობასა და ანტიოსმალურ კოალიციებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ. მაცნე. №4. 1965. გვ. 59; ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან. გვ. 93-99; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 249; შ. ბადრიძე. ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე. თსუშ. ტ. 125. 1968. გვ. 386; მისივე. საქართველო და ჯვაროსნები. თბილისი. "მეცნიერება." 1973. გვ. 14; რ. მეტრეველი. დ. IV აღმაშენებელი. გვ. 196; თ. ნატროშვილი. დიდგორი. მარაბდა. ბაზალეთი. თბილისი. "დამანი." გვ. 9-10; ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია. გვ. 160; და ა.შ.

ჩვენთვის ცნობილ ერთადერთ გამონაკლისს ამ დამკვიდრებული შეხედულებიდან წარმოადგენს ქ. ჩხატარაიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, დავით აღმაშენებლის დროს ჯვაროსნები საქართველოში არ უნდა ყოფილიყვნენ. ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში. გვ. 179; სამწუხაროდ, ჩვენის აზრით, ამ საკითხით სწორმა ვარაუდმა, შემდგომი განვითარება ვერ ჰპოვა.

2. ე. მეტრეველი. იერუსალიმის ერთი ხელნაწერი. სსმმ. XV-B. თბილისი. 1948. გვ. 45-48; ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის. თბილისი. 1962. გვ. 56;

ტამპლიერი რაინდების ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიება, აბსოლუტურად არ მიუთითებს ჯვაროსანთა პოლიტიკურ კავშირზე საქართველოსთან. ტამპლიერთა ორდენი, სხვა კათოლიკე ჯვაროსნებისგან განსხვავებით, რელიგიურ ურთიერთობათა თავისუფლებით გამოირჩეოდა და არათუ ქართულ ეკლესიასთან, მუსლიმებთანაც კი (როგორც სუნიტებთან, ასევე შიიტ ასასინებთან) ჰქონდა მჭიდრო კონტაქტები. მაგალითად, ტამპლიერთა ორდენის ისტორიის თითქმის ყველა მკვლევარი მიუთითებს უსამა იბნ მუნკიზის აღწერილ იმ ეპიზოდზე, თუ როგორ ილოცა თავად უსამამ ტამპლიერთა იერუსალიმის რეზიდენციაში. Марион Мельвиль. История Ордена Тамплиеров. Сантк-Петербург. "ЕВРАЗИЯ." 2000. стр. 77-78; Пирс Пол Рид. Тамплиеры. Москва. "АСТ." 2005. стр. 164; Helen Nicholson. the Knights Templar. A New History. "Sutton Publishing." 2004. p. 79; რელიგიურ ურთიერთობათა თავისუფლება, მოგვიანებით, ტამპლიერთა მიმართ ერთ-ერთ მთავარ ბრალდებად იქცა. Дж. Легман. Г. Ч. Ли. История Тамплиеров. Москва. "ОЛМА-ПРЕСС." 2002. стр. 117-135;

ქართულ ეკლესიასთან სიახლოვისთვის ტამპლიერებს უნდა ჰქონოდათ სხვა სერიოზული საფუძველიც. ისინი თავის უმთავრეს წმინდანად ღვთისმშობელს მიიჩნევდნენ და ეკლესიების უმრავლესობაც მის სახელზე ჰქონდათ აგებული, Марион Мельвиль. История Ордена Тамплиеров. стр. 74; Пирс Пол Рид. Тамплиеры. стр. 171-172; Helen Nicholson. the Knights Templar. A New History. pp. 142-144; რასაც საქართველოს, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მიმართ, შეიძლებოდა, ტამპლიერთა სიმპატიები გამოეწვია.

ამ აღაპებთან დაკავშირებით აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ აღაპებში ტამპლიერების გარდა, აშკარად სხვა ჯვაროსნებიც იხსენიებიან. ჯვრის მონასტრის ტექსტში, რომელიც გამოაქვეყნა ე. მეტრეველმა, ე. მეტრეველი. იერუსალიმის ერთი ხელნაწერი. გვ. 45; სულ ჩაწერილია 19 აღაპი, რომელთაგანაც მინიმუმ სამი (№№ 6, 7, 18), ნამდვილად ტამპლი-

ერებს ეკუთვნით, აქ ისინი პირდაპირ ამ რაინდული ორდენის წარმომადგენლებად (ტაძრელებად) არიან დასახელებულნი, მაგრამ ექვსი აღაპი (№№ 5, 8, 9, 10, 13, 19) შეიძლება ტამპლიერებს (ან სხვა რაინდული ორდენის წევრებს) არ ეკუთვნოდეთ, რადგან ამ აღაპებში ქალებიც არიან მოხსენიებულნი, რომლებიც რაინდული ორდენების წევრებთან ერთად არაფრით იქნებოდნენ მოხსენიებულნი. Марион Мельвиль. История Ордена Тамплиеров. стр. 58;

დასახელებული ექვსი აღაპიდან ოთხში (№№ 8, 9, 10, 19), ქალები იქ მოხსენიებულ რაინდთა დედები არიან, რაც ამ რაინდების ტამპლიერობას კიდევ დასაშვებს ხდის, მაგრამ ორ აღაპში (№№ 5, 13) აშკარად ოჯახებია წარმოდგენილი, რადგან აქ ერთბაშად რამდენიმე ქალის სახელია ჩაწერილი, რაც ამ რაინდთა ტამპლიერობას (ისევე როგორც რომელიმე სხვა ორდენის წევრობას) კატეგორიულად გამორიცხავს. რაინდული ორდენების წევრებს წესდებით აკრძალული ჰქონდათ არა მარტო ცოლის შერთვა, არამედ ქალებთან რაიმე სახის ურთიერთობა და პირად სურვილებზე ფიქრიც კი. Марион Мельвиль. История Ордена Тамплиеров. стр. 49 Helen Nicholson. the Knights Templar. A New History. pp. 137-141;

აღაპებიდან თითქოსდა შესაძლებელია ერთ-ერთი ტამპლიერის იდენტიფიცირება. №2 ჩანაწერში მოხსენიებულია "ძმაი ჩვენი ჯოფრე ფაუსათ," ე. მეტრეველი. იერუსალიმის ერთი ხელნაწერი. გვ. 45; ეს ჯოფრე შესაძლოა იყოს ტამპლიერთა ორდენის ცნობილი წარმომადგენელი ჟოფრუა ფუშე, რომლის სახელის მსგავსებაც აღაპში მოხსენიებულთან თითქოს აშკარაა. აღაპები თარიღდება 1155 წლით, ჟოფრუა ფუშე კი, როგორც ტამპლიერთა ორდენის წევრი, სხვადასხვა წყაროებში ფიგურირებს 1144-1164 წლებში. კარიერის ბოლოს მას ეკავა ტამპლიერთა ორდენის კომანდორისა და ხაზინადარის მაღალი თანამდებობები იერუსალიმის სამეფოში. Марион Мельвиль. История Ордена Тамплиеров. стр. 85.

ყოველივე აღნიშნული აჩვენებს, რომ იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერთან ურთიერთობა, არა მარტო ტამპლიერებს, არამედ "ჩვეულებრივ" საერო ჯვაროსან რაინდებსაც, ანუ ჯვაროსნული საზოგადოების ფართო ფენას ჰქონია, რაც სრულიად ჩვეულებრივი და მოსალოდნელი მოვლენა უნდა ყოფილიყო. იერუსალიმის სამეფოში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრები, იქ არსებული რელიგიური ინფრასტრუქტურის ნაწილი, ხოლო იქ მოღვაწე ქართველი სასულიერო პირები, არსებული საზოგადოების წევრები იყვნენ და ურთიერთობა როგორც სხვადასხვა კონფესიებთან, ასევე იქ მცხოვრებ ხალხთან, პირველ რიგში კი ლათინებთან, რასაკვირველია, ექნებოდათ.

როგორც იერუსალიმის სამეფოს ცნობილი მკვლევარი, ჟან რიშარი მიუთითებდა, იერუსალიმის ბერძნული და ქართული მონასტრები ერთგვარი მოწიწებითა და თაყვანისცემით სარგებლობდნენ როგორც მართლმადიდებელი, ასევე კათოლიკე მორწმუნეების მხრიდან. Жан Ришар. Латино-Иерусалимское Королевство. стр. 154; რაც ასევე ბუნებრივია, რადგან ქართულ და ბერძნულ ეკლესიებს, განსხვავებით მონოფიზიტურის ან ნესტორიანულისა, ლათინები ერეტიკულად არ მიიჩნევდნენ, მაგრამ ეს არ ნიშნავდა ჯვაროსანთა პოლიტიკურ მოკავშირეობას საქართველოს სამეფოსთან, რადგან ჯვაროსნები მათთვის ერეტიკულ კონფესიებთანაც ისეთივე ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნებას ცდილობდნენ, როგორც ქართულ-ბერძნულთან.

წმინდა მიწაზე არსებული რელიგიური ურთიერთობების შესახებ, იხ. აგრეთვე ქვემოთ, შენ. 5-6;

3. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. გვ. 17-19; შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 66-67; შ. ბადრიძე. ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე. გვ. 387; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 294-295; ეს ცნობა გამოყენებული აქვთ დასავლეთ ევროპელ მკვლევრებსაც (ოღონდ არა როგორც საქართველოსა და ჯვაროსნების პოლიტიკური მოკავშირეობის არგუმენტი). Режин Перну. Крестоносцы. стр. 86-87;

ჯვრის გაყიდვა, თუ მას (საქართველოს მეფის ქვრივისგან) ნამდვილად ჰქონდა ადგილი, რასაკვირველია, უაღრესად საინტერესო ისტორიული ფაქტია, მაგრამ არა საქართველოსა

და ჯვაროსნული სახელმწიფოების პოლიტიკური (მით უფრო სამხედრო-პოლიტიკური) კავშირის დასადასტურებლად. ეს ჯვარი იგივე წარმატებით შეიძლებოდა ეყიდა ნებისმიერ სხვა ქრისტიანს, როგორც იყიდა პატრიარქმა და ეს მხოლოდ ჯვრის ყიდვა-გაყიდვისა და იერუსალიმის ქართველთა მონასტრის ეკონომიკური პრობლემების დამადასტურებელი იქნებოდა და არა პოლიტიკური კავშირისა. მაგალითად, XVIII საუკუნეში, როდესაც სახელმწიფოს აღარ შეეძლო ეკლესია-მონასტრების შენახვა საზღვარგარეთ, სამეფო ოჯახის წევრები პირადი ნივთების გაყიდვით ცდილობდნენ დახმარებოდნენ საეკლესიო ცენტრებს. თ. ტივაძე. იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ. ქნ. III. თბილისი. "მეცნიერება". 1976. გვ. 254.

ალბათ საინტერესო იქნება იმის მითითებაც, რომ საფრანგეთში (როგორც "წამყვან ჯვაროსნულ" სახელმწიფოში) სხვა ჯვრებიც ხვდებოდნენ. მაგალითად, 1137 წელს, სირიის მუსლიმური ქალაქის სესერას მცხოვრებლებმა ბიზანტიის იმპერატორ იოანე კომნენოსს, რომელიც ჯვაროსნებთან ერთად ამ ქალაქის აღებას ცდილობდა, ალყის მოხსნის სანაცვლოდ გადასცეს იშვიათი ხელოვნებით დამზადებული ჯვარი (იოანე კინამოსის სიტყვით: "მეფეთა ღირსი საჩუქარი"), რომელიც შემდეგ ჯვაროსნების ხელში მოხვდა და საბოლოოდ საფრანგეთის ქალაქ ბურბონის კაპელაში აღმოჩნდა დასვენებული. Иоанн Киннам. Краткое обозрение царствования Иоанна и Мануила Комнинов. Рязан. "Алуксандрия." 2003. стр. 25.

4. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. გვ. 48; შ. ბადრიძე. ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე. გვ. 386; ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან. გვ. 99. ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია. გვ. 165.

ჩვენთვის უცნობია რა საჩუქრები გააგზავნა იერუსალიმში დავით აღმაშენებელმა, მაგრამ ამ ფაქტში არაფერი უცნაური არ იქნებოდა და ის მხოლოდ დავითის დიპლომატიურ ურთიერთობას დაადასტურებდა ჯვაროსნებთან (რაც ისეც შეგვიძლია ვივარაუდოთ) და არა სამხედრო-პოლიტიკურ მოკავშირეობას.

საქართველოს სამეფოს მჭიდრო ურთიერთობები ჰქონდა პალესტინასთან იმის მიუხედავად, ჯვაროსნები ბატონობდნენ მასზე, თუ მუსლიმები. წმინდა მიწაზე არსებული მრავალრიცხოვანი ქართული ეკლესია-მონასტრების ფუნქციონირებისა და სავაჭრო კონტაქტების საჭიროება, რეგულარული დიპლომატიური ურთიერთობების შენარჩუნების აუცილებლობას თავისთავად განაპირობებდა. არავითარი ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს იმის შესახებ, რომ საქართველოს ნებისმიერი მეფის ელჩი, რომელიც პალესტინაში რელიგიური თუ სავაჭრო საკითხების მოსაგვარებლად ჩავიდოდა, იერუსალიმის მმართველს (მიუხედავად იმისა, ჯვაროსანი იქნებოდა იგი თუ მუსლიმი) მეფის სახელით ძვირფას საჩუქრებსაც გადასცემდა, რაც, რასაკვირველია, არ იქნებოდა მათი მოკავშირეობის მაჩვენებელი.

იმ დროისთვის დიპლომატიური ეტიკეტი საკმაოდ მკაცრად განსაზღვრავდა ურთიერთობების ფორმებს სხვადასხვა ქვეყნებს შორის იმის მიუხედავად, მოკავშირეები იყვნენ ისინი თუ მტრები. ამასთან, მტრობაში მყოფი ხელისუფლები, ისევე ხშირად უგზავნიდნენ ერთმანეთს საჩუქრებს, როგორც ჩვეულებრივი ურთიერთობებისას. მაგალითად, სალადინის მემატიანე ბაჰა ალ-დინ შადადი აღწერს შემთხვევას, როდესაც რიჩარდ ლომგულსა და სალადინს შორის მიმდინარე ომის დროს, რიჩარდის ელჩებმა საჩუქრები მიართვეს მუსლიმ ხელისუფალს და ასე მიმართეს მას: "У наших королей есть обычай делать взаимно подарки даже и во время войны; мой государь в состоянии предложить султану дары; позволите ли вы мне представить их и будут ли они вам приятны, если их передаст посланцы? Малик Адель (სალადინის ძმა. ს.ბ.) отвечал: Подарки будут хорошо приняты, если дозволят и нам отдать тем же." История Средних Веков. Крестовые Походы. Составитель М. М. Стасюлевич. стр. 393; ცნობილია აგრეთვე, რომ როდესაც იაფეს ბრძოლის დროს რიჩარდს ცხენი მოუკ-

ლეს, სალადინმა მას ორი საბრძოლო ცხენი გაუგზავნა საჩუქრად. История Средних Веков. Крестовые Походы. Составитель М. М. Стасюлевич. стр. 398-399; შესაძლოა, რიჩარდისა და სალადინის დამოკიდებულება გარკვეულწილად სცილდებოდა ჩვეულებრივი დიპლომატიის მოთხოვნებს და რაინდულ ფორმებში გადადიოდა, მაგრამ ეპოქის სულს მაინც გამოხატავდა.

ასეთი რაინდული დამოკიდებულება მარტო სალადინისა და რიჩარდ ლომგულისთვის რომ არ იყო დამახასიათებელი, ამას თამარის პირველი ისტორიკოსის მიერ აღწერილი შემთხვევაც რუქნადინის ელჩის ეპიზოდის შესახებ, უნდა ადასტურებდეს. როგორც ცნობილია, რუქნადინის ელჩს მეფის წინაშე წარმოთქმული თავხედური და შეურაცხმყოფელი სიტყვის გამო ზაქარია მხარგრძელმა ხელი გაარტყა. ამ შემთხვევის შემდეგ სელჯუკთა ელჩი, რომლის პირითაც რუმის სასულთნომ ომი გამოუცხადა საქართველოს და მეფის წინაშე შეურაცხმყოფელი საქციელიც ჩაიდინა დასაჩუქრდა და პატივით იქნა გასტუმრებული, რადგან დიპლომატიური ეტიკეტი ამას მოითხოვდა, თუმცა ზაქარია მხარგრძელის სიტყვით, ეს სელჯუკი ელჩი რომ არ ყოფილიყო, ჯერ ენის, ხოლო შემდეგ თავის მოკვეთას იმსახურებდა: „თუ მოციქული არა იყავ, პირველად ენისა აღმოკუეთა იყო შენი სამართალი და მერმეღა თავისა, კადნიერად კადრებისათვის.... მისცა ესევითარი ნიგნი. და მერმე შემოსეს და ნიჭი უბოძეს, ნარგზავნეს პასუხითა მწვავითა." ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 94;

იმდროინდელი დიპლომატიური ეტიკეტი აყალიბებდა პატივისცემის ხარისხს ამა თუ იმ სახელმწიფოს მმართველთა მიმართ. მაგალითად, ცნობილი ისტორიული დოკუმენტი, ე.წ. „კაიროს კანცელარიის რეესტრი," ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრავდა თუ რომელ მონარქს როგორი წერილი უნდა გაგზავნოდა მამლუქი სულთნების მხრიდან, რა ეპითეტები უნდა ყოფილიყო გამოყენებული და ა.შ. საინტერესოა, რომ ამ დოკუმენტში, ქრისტიან მონარქთა შორის, საქართველოს მეფეები ბიზანტიის იმპერატორების შემდეგ არიან დასახელებულნი. Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток. стр. 175.

XI-XIII საუკუნეებში საქართველოს სამეფოს აქტიური დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდა მის გარემომცველ ქრისტიანულ და მუსლიმურ ქვეყნებთან. რომ არაფერი ვთქვათ ურთიერთობებზე ბიზანტიასთან და ამიერკავკასიის ქვეყნებთან, რომელიც უაღრესად მჭიდრო და ინტენსიური ხასიათის იყო ცნობილია არაერთი დიპლომატიური მისიაც უფრო შორეულ მუსლიმურ სახელმწიფოებთან. მაგალითად, გიორგი I-ის დავალებით, სპარსეთში დიპლომატიური მისია შეასრულა გიორგი მთაწმინდელის მამამ იაკობმა (რომელიც ამავ დროს სასულიერო პირი იყო). გიორგი მცირე. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. ქართული მწერლობა. ტ. 2. თბილისი. "ნაკადული." 1987. გვ. 66-67; ქართველი უფლისწულები მიწვეულნი იყვნენ ეგვიპტეში ნილოსის დღესასწაულზე, გ ჟორჟოლიანი. ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს "საფარ-ნამედან." სიამ. II. თბილისი. გვ. 52-65; თამარის დროს შესრულდა წარმატებული მისია ჯვრის მონასტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით იერუსალიმში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 397; ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის. გვ. 57; გიორგი III-სა და თამარის დროს არსებობდა სისტემატიური დიპლომატიური კონტაქტები ტაბარისტანთან, ხორეზმთან და ახლო აღმოსავლეთთან, გ. ბერაძე. მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ ისფანდიიარის თხზულებაში. ხიამ. წიგნი I. გვ. 67-70; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 135-140; და ა.შ.

ბუნებრივია, რომ ასეთი ინტენსიური დიპლომატიის პირობებში, საქართველოს სამეფოს ახლო კონტაქტები ექნებოდა ჯვაროსნულ სახელმწიფოებთანაც, რომლის ლიდერებთანაც ელჩებისა და საჩუქრების გაცვლა ჩვეულებრივი მოვლენა იქნებოდა და ეს გარემოება, დამატებითი მონაცემების გარეშე, არაფრით შეიძლება იქნას აღქმული, როგორც სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეობის არგუმენტაცია.

5. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ სალადინის ურთიერთობა ქრისტიანულ (მათ

შორის ქართულ) სამყაროსთან. როგორც ცნობილია, იერუსალიმის სალადინის ხელში მოხვედრის შემდეგ თამარ მეფემ გაგზავნა ელჩობა მასთან, რომელიც ქართულ ეკლესია-მონასტრებზე ხელშეუხებლობის გარანტიის მიღებით დამთავრდა. ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის. გვ. 57; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 397;

რასაკვირველია, ეს წარმატებული ელჩობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო თამარისა და სალადინის რაიმე სახის "მოკავშირეობის" შედეგი, იგი მუსლიმი მმართველის "საერთო-ქრისტიანული" პოლიტიკის ნაწილი იყო. იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, განსხვავებით ჯვაროსნებისგან, რომელთაც ამოწყვიტეს იერუსალიმის მუსლიმი მოსახლეობა, სალადინი ძალიან ჰუმანურად მოექცა ქრისტიანებს, რომელთაც გამოსასყიდის გადახდის შემდეგ (რომლის ნაწილიც თავად გადაიხადა), ნება დართო დარჩენილიყვნენ ქალაქში თავისუფალ მცხოვრებლებად (რასაკვირველია, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა). მან დააკმაყოფილა ბიზანტიის იმპერატორის თხოვნა, იერუსალიმში ბერძენი პატრიარქის დაბრუნებისა და მისთვის უფლება-მოსილების აღდგენის შესახებ, რითაც მან კვლავ უბოძა მართლმადიდებლებს რელიგიური პირველობა პალესტინელ ქრისტიანებს შორის, თუმცა დევნის ქვეშ არც არამართლმადიდებლები მოქცეულან. მაგალითად, იერუსალიმის სომხური (მონოფიზიტური) თემი უპრობლემოდ დარჩა იერუსალიმში, ისევე როგორც ადვილად დაბრუნდნენ უკან ჯვაროსნების გამოჩენის დროს ქალაქიდან წასული ეგვიპტელი კოპტები. რაც შეეხება კათოლიკე ბერებს, მათ იერუსალიმის დაცემისას დატოვეს ქალაქი, მაგრამ სულ რამოდენიმე წლის შემდეგ ისევ მიეცათ ღვთისმსახურების უფლება წმინდა ქალაქში.

იერუსალიმის აღების შემდეგ სალადინის ბრძანებით მაცხოვრის ტაძარი ღვთისმსახურებისთვის თავდაპირველად მცირე ხნით დაიკეტა. სალადინის ბევრი მრჩეველი მომხრე იყო ტაძრის დანგრევისა იმ მოტივით, რომ მისი დანგრევით აღმოსავლეთში აღარ იარსებებდა მიზიდულობის ობიექტი ქრისტიანებისთვის და ამ გზით წმინდა საფლავზე მლოცველთა (და მათთან ერთად მეომართა) ნაკადი შეწყდებოდა, სალადინი ამ არგუმენტაციას არ დაეთანხმა და მოიყვანა ხალიფა ომარის მაგალითი, რომელსაც იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ ქრისტიანთა უფლებები არ შეულახავს და არც მათი ეკლესია-მონასტრები დაუნგრევია. Альбер Шамдор. Саладин. Благородный Герой Ислама. Сантк-Петербург. "Евразия." 2004. стр. 190; Hadia Dajani-Shakeel. Some Madieval Account of Salah al-dins Recovery of Ierusalem (Al-Quds). HNSP: Studies in honor of Constantine K. Zurayk. Institute for Palestine Studies. Beirut. 1988. pp.67-69.

6. ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ჯვაროსნებმა დაისაკუთრეს აღმოსავლეთის ქრისტიანთა ეკლესია-მონასტრები, გარდა ქართულისა. ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის. გვ. 56-57; ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან. გვ. 108; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 396-397; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 298; თუმცა მათე ურჰაელი საწინააღმდეგოს უთითებს. მისი მიხედვით, ჯვაროსნებმა მოახდინეს სომხური, ბერძნული, სირიული და მათთან ერთად ქართული ეკლესიების კონფისკაცია, მაგრამ მას შემდეგ რაც 1101 წლის წმინდა შაბათს, მაცხოვრის ტაძრში არ აინთო წმინდა ცეცხლი, ისინი მიხვდნენ თავის შეცდომას და ეკლესია-მონასტრები უკან დააბრუნეს. Жан Ришар. Латино-Иерусалимское Королевство. стр. 154; Joshua Prawer. the Crusaders Kingdom. Europian Colonialism in the Middle Ages. p. 219.

ჟან რიშარის მიხედვით ეს ცნობა ლეგენდარულია, რადგან იერუსალიმში მჯდომ ბერძენ პატრიარქსა და მონოფიზიტების სირიელ მიტროპოლიტს ქალაქი ჯერ კიდევ ჯვაროსნების გამოჩენამდე ჰქონდათ დატოვებული და ჯვაროსნებმა მხოლოდ მათ მიერ დატოვებული ქონება დაისაკუთრეს (რაც მოგვიანებით უკან დააბრუნეს), მაგრამ ეკლესია-მონასტრებისთვის ხელი არ უხლიათ. აღნიშნულის არგუმენტად, მითითებულია პალესტინაში არსებული ბერძნული (წმ. იოანეს მონასტერი ქ. ტირში, წმ. მარ-

გარიტას კარმილში, წმ. ილია ფავორის გორაზე, წმ. ეკატერინე სინაის მთაზე და ა.შ.) და განსაკუთრებით, იერუსალიმში მდებარე ბერძნული და ქართული მონასტრები, რომელთაც ფუნქციონირება არ შეუწყვეტიათ. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ჟან რიშარის მიხედვით, იერუსალიმის ბერძნული და ქართული მონასტრები ერთგვარი მოწიწებითა და თაყვანისცემით სარგებლობდნენ, როგორც მართმადიდებელი, ასევე კათოლიკე მორწმუნეების მხრიდან. Жан Ришар. Латино-Иерусалимское Королевства. стр. 154;

მართალია, ეკლესია-მონასტრები პალესტინაში აგრძელებდნენ ფუნქციონირებას და ჯვაროსნებს მათთვის ხელი, როგორც ჩანს, ნამდვილად არ უხლიათ, მაგრამ ასეთ მცდელობას, პირველი ლათინი პატრიარქების, არნულფისა და დაიმბერტის დროს (1099-1101 წწ.) მაინც ჰქონდა ადგილი. არნულფმა აღმოსავლეთის ქრისტიანები მაცხოვრის ტაძრიდან გამოაძევა, ხოლო დაიმბერტმა სცადა ეკლესია-მონასტრების კონფისკაცია. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 86.

რელიგიური პოლიტიკა აღმოსავლეთის საქრისტიანოს მიმართ შეიცვალა ბალდუინ I-ს გამეფების შემდეგ, 1101 წელს, როდესაც შეწყდა რელიგიური დევნა და მაცხოვრის ტაძარშიც აღდგა მართმადიდებელთა უფლებები. თუმც აღმოსავლეთის ქრისტიანები მაინც განციდიდნენ გარკვეულ შევიწროვებას იმით, რომ ისინი იერუსალიმის ლათინური საპატრიარქოს იერარქიული დაქვემდებარების ქვეშ მოექცნენ. Режин Перну. Крестоносцы. стр. 145-146; Жан Ришар. Латино-Иерусалимское Королевства. стр. 155; Joshua Prawer. the Crusaders Kingdom. Europian Colonialism in the Middle Ages. pp. 220-221;

7. კილიკიის სომხეთის სამეფოს ოფიციალური ფორმირება მოხდა 1198 წელს. ამავე წელს, სომხური ეკლესია შეუერთდა კათოლიკურს და აღიარა რომის პაპის უზენაესობა. ჯვაროსნული სახელმწიფოების განადგურების შემდეგ, კილიკიის სამეფომ პოლიტიკური ორიენტაცია მონღოლებზე აიღო და ამ მოკავშირეობის მეშვეობით 1375 წლამდე აგრძელებდა არსებობას, თუმცა მცირე აზიაში მონღოლთა მფლობელობის დასუსტების შემდეგ ვეღარ გაუძლო მამლუქების შეტევებს და არსებობა შეწყვიტა. А. Г. Сукиасян. История Киликийского армянского государства и права. Ереван. стр. 29, 49-50; Anne E. Redgate. the Armenians. pp. 256-261.

აღმოსავლეთის ქრისტიანებს შორის, სომხების გამორჩეულ დამოკიდებულებას ჯვაროსნების მიმართ, განაპირობებდა ორი ძირითადი ფაქტორი, ისინი მონოფიზიტები იყვნენ და ის რელიგიური განხეთქილება რაც არსებობდა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის XI ს. შუახანებიდან, მათ ნაკლებად "აღელვებდათ." გარდა ამისა, სომხებს ჰქონდათ მკაფიოდ ჩამოყალიბებული (და არც თუ უსაფუძვლო) ნეგატიური დამოკიდებულება ბიზანტიის იმპერიის მიმართ, რომელმაც გაანადგურა მათი სახელმწიფოები, "რის სანაცვლოდაც," სელჯუკთა დაპყრობებისა და ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდში, სომხები სწორედ ბიზანტიის იმპერიის ყოფილ ტერიტორიებზე ახდენდნენ ახალი სახელმწიფოების ფორმირებას, რაც კილიკიის სამეფოს შემთხვევაში წარმატებით დამთავრდა. Anne E. Redgate. the Armenians. pp. 256-261;

ჯვაროსნების გამოჩენამდე, მცირე აზიის ტერიტორიებზე წარმოქმნილი სომხური ერთეულები ცდილობდნენ ურთიერთობის დარეგულირებას სელჯუკებთან (მაგალითად, უკვე მოხსენიებულმა ფილარეტ ვარაჯუნმა ანტიოქიის შესანარჩუნებლად მაჰმადიანობაც მიიღო), მაგრამ ჯვაროსნების გამოჩენის შემდეგ ისინი მათი ბუნებრივი მოკავშირეები გახდნენ და პოლიტიკური ორიენტაცია მათკენ აიღეს. სომეხთა სიძულვილი ბიზანტიელების მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ მათი უმრავლესობა ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღებას სიხარულით შეხვდა, რაც სომხურ წყაროებში საკმაოდ გარკვევით აისახა. მაგალითად, იერუსალიმის წმ. იაკობის მონასტერის 1204 წლის ლუკას სახარების მინაწერი ამცნობდა მკითხველს, რომ რომაელთა (ასე უწოდებს ავტორი ჯვაროს-

ნებს) მამაცმა მხედრობამ ღმერთის შეწევნით აიღო კონსტანტინოპოლი, რის შედეგადაც "აღიგავა ბერძენთა ტომის სამეფო." ა. აბდალაძე. სომხური ანდერძ-მინანერები საქართველოს შესახებ. X-XIII სს. არტანუჯის წყაროები. 3. თბილისი. "არტანუჯი." 2005. გვ. 46; ასევე ხაზგასმით აღნიშნავს სომხების აშკარა სიმპატიებს (განსხვავებით ბიზანტიელებისგან) ჯვაროსნების მიმართ ნიკიტა ხონიატიც, როდესაც ის აღწერს ბიზანტიის ტერიტორიებზე მიმავალი ფრიდრიხ ბარბაროსას არმიის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებას: "В самом деле только одни армяне считали прибытие аллеманов не нашествием народов, а приходом друзей, так как они ведут с аллеманами торговые дела и взаимно согласны с ними в весьма многих еретических учениях. Так, армянами и аллеманами равно отвергается почитание святых икон; те и другие употребляют при священнослужении опресноки и, уклонившись от правого пути, соблюдают, как закон, и кое-что другое, что православными христианами отвергается." Никита Хонят. История со Времени царствования Иоанна Комнина. т 2. Рязан. "Александрия." 2003. стр. 53;

8. Э. Гиббон. Упадок и разрушение Римской Империи. Москва. "ЦЕНТРПОЛИГРАФ." 2005. стр. 788-794.

9. Ибн Джубайр. Путешествие. стр. 208, 217; Роберт Ирвин. Ислам и Крестовые Походы. стр. 272; Жан Ришар. Латино-Иерусалимское Королевства. стр. 160; Joshua Prawer. the Crusaders Kingdom. p. 392;

ქრისტიანულ და მუსლიმურ სამყაროებს შორის მრავალრიცხოვანი ომების მიუხედავად, ვაჭრობა, ისევე როგორც რელიგია, თითქმის ხელშეუხებელ სფეროდ ითვლებოდა და სახელმწიფოთა შორის წარმოქმნილი პოლიტიკური კონფლიქტები მასზე ნაკლებად ვრცელდებოდა.

იბნ-ჯუბაირის მიხედვით, იმ დროს, როდესაც სალადინსა და იერუსალიმის სამეფოს შორის ომი მიმდინარეობდა (ჯუბაირი აღწერს 1184 წლის მოვლენას) "Движение караванов из Египта в Дамаск по земле Франков не прекратилось, как и движение мусульман из Дамаска в Акку. Никого из христианских купцов здесь не задерживают и не стоят у них на пути. И христиане на своей земле взимают с мусульман пошлину при совершенной для них безопасности. И христианские купцы на мусульманской территории также вносят пошлины за свои товары; меж ними царит согласие, и умеренность соблюдается при всех обстоятельствах. Люди войны заняты своей войной; население же пребывает в благополучии, и мир сей принадлежит тому, кто победит." Ибн Джубайр. Путешествие. стр. 208.

როგორც აღნიშნული, ასევე მთელი რიგი სხვა ცნობები მიუთითებენ, რომ იმ დროისთვის სავაჭრო საქმიანობასთან მიმართებაში ჩამოყალიბებული იყო ერთგვარი საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებსაც ყველა (როგორც ქრისტიანები, ასევე მუსლიმები) იცავდა. ომების დროს იქმნებოდა ერთგვარი თავისუფალი ზონები, სადაც ვაჭართა ქარავნებს სრულიად უხიფათოდ შეეძლოთ გადაადგილება. Ибн Джубайр. Путешествие. стр. 208; Жан Ришар. Латино-Иерусалимское Королевства. стр. 193; და ეს აბსოლუტურად მიღებულ ნორმას წარმოადგენდა. სწორედ ამ საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევა (როდესაც იერუსალემელმა ბარონმა, რეინალდ შატილიონმა ორჯერ გაძარცვა სირიიდან ეგვიპტეში მიმავალი მუსლიმთა ქარავნები), გახდა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იერუსალიმის სამეფოს წინააღმდეგ ჯიჰადის გამოცხადებისა სალადინის მხრიდან, რაც სამეფოს განადგურებით დამთავრდა. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. pp. 431, 436-439;

საინტერესო ცნობა აქვს დაცული ამ თვალსაზრისით დავით აღმაშენებლის მემატიანესაც, რომლის მიხედვითაც თბილისში (ჯერ კიდევ მუსლიმური საემიროს დედაქალაქში) შემოსულა ქარავანი "დიდი განძით," რომელსაც თან "შემოჰყვნენ თურქნი დიდნი" (აშკარად ქარავნის დამცველი სამხედრო რაზმი). მეფემ ამ რაზმის თბილისიდან გამო-

ტყუების მიზნით, ქალაქის მახლობლად მდებარე ლოჭინის საძოვრებიდან თავის მეომრებს მოატაცინა თბილისის მოქალაქეების საქონელი ("ნახირი ქალაქისა") და მდევრად გამოსული მუსლიმ მეომართა ას კაციანი რაზმი გაანადგურა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 349-350; საინტერესო ამ ცნობაში ის არის, რომ საქართველოს მეფეს სავაჭრო ქარავანზე თავდასხმა არც უფიქრია, მან მხოლოდ პროვოცირება გაუკეთა მის დამცველ რაზმს ქარავნისგან განსაცალკევებლად. აშკარად ჩანს, რომ მიუხედავად სელჯუკებთან მიმდინარე ომისა, თბილისის საემიროსა და დანარჩენ ისლამურ სამყაროსთან დამაკავშირებელი გზები, რომელსაც სრულად აკონტროლებდა დავით აღმაშენებელი, სავაჭრო ქარავნებისა და მშვიდობიანი მგზავრობისთვის გახსნილი იყო, რითაც საქართველოს მეფე ისევე იცავდა ვაჭრობის ხელშეუხებლობის საერთაშორისო ნორმებს, როგორც ამას აკეთებდნენ სალადინი და იერუსალიმის მეფეები.

10. მუსლიმთა მხრიდან რელიგიური შემწყნარებლობის (შეიძლება უფრო სწორი იყოს ტერმინი "არააგრესიულობა") კონკრეტული ფაქტები უამრავია. მაგალითად, რომ აღარ გავიმეოროთ სალადინის დროინდელი მაგალითები (იხ. ზემოთ, შენ. 5) აღვნიშნავთ შემდეგს. ალექსანდრიის საპატრიარქო მუდმივად ისლამურ სამყაროში არსებობდა და მის ფუნქციონირებას საფრთხე მაშინაც კი არ დამუქრებია, როდესაც ჯვაროსნები ეგვიპტეს უტევდნენ და კაიროსა და ალექსანდრიის დაპყრობას ცდილობდნენ. იაკობიტელებმა მხოლოდ მას შემდეგ შესძლეს თავისი მონასტრის ანტიოქიაში დაარსება, როცა ეს ქალაქი სელჯუკებმა დაიპყრეს. იგივე მოხდა იერუსალიმშიც, სადაც სელჯუკების მიერ ქალაქის დაპყრობისთანავე, ეგვიპტელმა კოპტებმა დააარსეს მარიამ მაგდალინელის სახელობის ეკლესია. ნესტორიანელთა პატრიარქი იჯდა ბაღდადში ხალიფას "გვერდით" და მის იქ ყოფნასა და ნესტორიანული ეკლესიის მისიონურ მოღვაწეობას (რომელიც ძირითადათ აზიის ქვეყნებისკენ იყო მიმართული), პრობლემები არც ჯვაროსნულ ლაშქრობებამდე და არც მის შემდეგ არ შეჰქმნია. ხოლო იაკობიტელების პატრიარქმა, ქრისტიანულ ანტიოქიას მუსლიმურ ქალაქში ამჯობინა ყოფნა და თავისი რეზიდენცია ამიდაში გადაიტანა. Joshua Prawer. the Crusaders Kingdom. Europian Colonialism in the Middle Ages. pp. 53-56, 227;

უფრო აშკარა მაგალითია ფრანცისკანელთა კათოლიკური ორდენის ისტორია, რომელთა მონასტერიც იერუსალიმში, ჯვაროსნული ლაშქრობების შემდეგ, XIV ს. დასაწყისში იქნა დაარსებული. ფრანცისკანელებმა მონასტრის დაარსებისა და რელიგიური მოღვაწეობის უფლება პირადად ბაღდადის ხალიფასგან მიიღეს. А. Андреев. Монашеские Ордена. Москва. "ТРАДИЦИЯ-ЕВРОЛИНЦ." 2001. стр. 249; Joshua Prawer. the Crusaders Kingdom. Europian Colonialism in the Middle Ages. p. 175;

სელჯუკთა (ისევე როგორც სხვა მუსლიმთა) რელიგიური შემწყნარებლობის ფაქტორი, ლათინ მემატიანეთა ჩვენებების საწინააღმდეგოდ, არაერთგზის იქნა ხაზგასმით აღნიშნული სხვადასხვა მკვლევრების მიერ. А. Гусейнов. Из истории отношений византии с сельджуками. стр. 159; A Hisrory of the Crusades. v. 1. the first hundred years. "Pensilvania University Press." Philadelphia. 1955. pp. 159-160; P. Antonio Santosuosso. Barbarians, Marauders, and Infidels, the Ways of Medieval Warfare. p. 214;

არცთუ იშვიათად, პრობლემები ქრისტიანებს უფრო ისევ ქრისტიანებისგან ექმნებოდათ. მაგალითად, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ლიდერებმა ანტიოქიის აღების შემდეგ, რომის პაპს გაუგზავნეს წერილი, სადაც ატყობინებდნენ, რომ მათ დაამარცხეს მუსლიმები, მაგრამ ვერ შესძლეს ერეტიკოსების (იგულისხმებოდა აღმოსავლეთის ყველა ქრისტიანული ეკლესია) დამარცხება, რისთვისაც ისინი სთხოვდნენ პაპს ჩამოსულიყო წმინდა მიწაზე და ჩასდგომოდა სათავეში ამ ბრძოლას: " Не кажется ли, что нет ничего справедливее па земле, чтобы ты, являющийся отцом и главой христианской религии, пришел в главный город и столицу христианского имени и завершил бы войну, которая есть твоя собственная [война], от своего имени? Мы одолели турок и язычников, но не можем справиться с еретиками, с греками и армянами, сирийцами и яковитами. Итак, снова и снова взываем к

тебе, дражайшему отцу нашему: приди как отец и глава в свое отечество, воссядь на кафедре блаженного Петра, чьим викарием ты состоишь; и да будешь иметь нас, сыновей своих, в полном повиновении... Искореняй же своей властью и нашей силой уничтожай всяческие ереси, каковы бы они ни были." М. А. Заборов. История крестовых походов в документах и материалах, Москва, 1975, стр. 102; А. Доманин. Крестовые Походы под сенью креста. 390.

11. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი ქართული ეკლესიისთვის იყო ჯვრის მონასტრის კონფისკაცია მამლუქების მიერ XIII საუკუნის მიწურულს, ე. მეტრეველი. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის. გვ. 41-45; რომლის დარეგულირებაც, მოგვიანებით მოხერხდა.

12. სხვადასხვა კონფესიების თანაარსებობა არ ხდებოდა პოლიტიკური კავშირის საფუძველი იმ სახელმწიფოთა შორის, სადაც ეს კონფესიები ოფიციალურ რელიგიას წარმოადგენდნენ. წმინდა მიწაზე, რომელიც როგორც ქრისტიანობის, ასევე ისლამისა და იუდაიზმის სამშობლოს წარმოადგენდა, სხვადასხვა რელიგიების თანაარსებობა ბუნებრივ მოვლენად განიხილებოდა და არა პოლიტიკური კავშირის საფუძვლად.

13. იერუსალიმის მოსახლეობის განადგურებაზე თავად ჯვაროსანთა მემატიანეები იძლევიან დეტალურ მონაცემებს. მაგალითად, ვილჰელმ ტირელის მიხედვით, "Страшно было смотреть, как валялись повсюду тела убитых и разбросанные члены, и как вся земля была облита кровью. И не только обезображенные трупы и отрубленные головы представляли ужасное зрелище, но еще более приводит в трепет то, что сами победители были в крови с головы до ног." История Средних Веков. Крестовие Походи. стр. 181; John France. the Capture of Ierusalem. HT. v. 47. 1997. pp. 37-42.

14. Режин Перну. Крестоносцы. стр. 147-148; Жан Ришар. Латино-Иерусалимское Королевства. стр. 154-155; იბნ-ჯუბაირი აღნიშნავს მოქმედი მეჩეთების არსებობას ჯვაროსანთა ისეთ მსხვილ ცენტრებში, როგორიც იყო აკრა და ტირი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ჯვაროსნები მშვიდობიან თანაარსებობას არა მარტო აღმოსავლელ ქრისტიანებთან, არამედ მუსლიმებთანაც ცდილობდნენ. Ибн Джубайр. Путешествие. стр. 220, 223.

15. ეკლესია-მონასტრების შენახვა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, უფრო ეკონომიკურ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული, ვიდრე პოლიტიკურზე. ამის პირდაპირი არგუმენტაცია იმ ქართული ეკლესია-მონასტრების ისტორიაა, რომლებიც საზღვარგარეთ ფუნქციონირებდნენ.

ქართულ საეკლესიო ცენტრებს, როგორც სირია-პალესტინაში, ასევე ბიზანტიის იმპერიაში (გარდა ზოგიერთი ხანმოკლე ეპიზოდისა), მანამ არ შეუწყვეტიათ არსებობა, სანამ საქართველოს სამეფოს, ან კერძო მეცენატებს, მათი შენახვის ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდათ. საეკლესიო ცენტრები ფუნქციონირებდნენ მანამ, სანამ ამის ეკონომიური შესაძლებლობა არსებობდა, იმის მიუხედავად, თუ რა პოლიტიკური რეჟიმები მართავდნენ ქვეყანას და როგორი იყო მათი დამოკიდებულება საქართველოსთან. აღნიშნულის ყველაზე კარგი ილუსტრაცია, ალბათ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მაგალითია, რომელიც დაარსდა XI ს. შუახანებში ფატიმიდების დროს და თითქმის შვიდი საუკუნის მანძილზე ფუნქციონირებას აგრძელებდა სელჯუკების, ჯვაროსნების, მამლუქებისა და ოსმალების მმართველობის პერიოდებშიც.

საეკლესიო ცენტრების არსებობის გადამწყვეტი, ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობა კარგად ჩანს, მაგალითად, იმ ფაქტში, რომ XV-XVI საუკუნეებში, საქართველოს ჯერ კიდევ შეეძლო პალესტინაში ეკლესია-მონასტრების არათუ შენახვა, არამედ ახალი კერების დაარსებაც, გ. მიქაძე. იერუსალიმის უცნობი ქართული სამშენებლო წარწერა.

ქართული წყაროთმცოდნეობა. III. თბილისი. "მეცნიერება." 1976. გვ. 236-241; მაგრამ XVIII საუკუნეში, ველარ ახერხებდა მონასტერთა არსებობისთვის აუცილებელი მინიმალური თანხების დაფარვასაც კი, რაც გარკვევით ჩანს, იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის მიერ, 1681 წელს, არჩილ მეფისადმი მიწერილ წერილში, სადაც საუბარია ჯვრის მონასტრის ვალებზე და ამ ვალების დასაფარი თანხების შეგროვების აუცილებლობაზე, რომელიც მთლიანად კერძო შემოწირულობებზე იყო დამოკიდებული. თ. ტივაძე. იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ. გვ. 252-254.

16. შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 63-71; ი. ბერაძე. ჯვაროსნულ ლაშქრობასა და ანტიოსმალურ კოალიციებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ. მაცნე. №4. 1965. გვ. 59; ვ.კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან. გვ. 93-99; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 249; შ. ბადრიძე. ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე. თსუშ. ტ. 125. 1968. გვ. 386; მისივე. საქართველო და ჯვაროსნები. თბილისი. "მეცნიერება." 1973. გვ. 14; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 294-298; თ. ნატროშვილი. დიდგორი .მარაბდა ბაზალეთი. თბილისი. "დამანი." გვ. 9-10; ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია. გვ. 160;

17. შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 71; ძირითადი არგუმენტი, რასაც გიორგი III-სა და ჯვაროსნებს შორის კავშირ-ურთიერთობის არსებობის საბუთად მიუთითებენ, არის თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს მეფესთან „სძღუნობდეს და სძმობდეს მეფენი ბერძენთანი, იერუსალიმს ალამანთანი, და ჰრომთანი, და ჰინდოთანი, და ხონელნი; და ეგრევე სულტანნი ხორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი ჰმონებდეს..." ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 28;

ამ ცნობაში მოცემულია სპექტრი ქვეყნებისა, რომლებთანაც ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს სამეფოს. იერუსალიმი ამ ჩამონათვალში არაფრით არის გამორჩეული და არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ის საქართველოს განსაკუთრებული მოკავშირე იყო. აქ არის ჩამონათვალი ქვეყნებისა, რომელთანაც საქართველოს ჰქონდა დიპლომატიური და სავაჭრო (და რიგ შემთხვევებში რელიგიური) ურთიერთობები გიორგი III-ის დროს. თუ ჩვენ ამ ცნობაზე დაყრდნობით მივიჩნევთ, რომ იერუსალიმის მეფეებთან "სძღუნობა და ძმობა" სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეობის მაჩვენებელია, მაშინ მისი მიხედვით, იმ დროის მსხვილი მუსლიმური ერთეულებიც (სელჯუკთა ირან-ერაყის, სალადინის დროინდელი ეგვიპტე-სირიის და რუმის სელჯუკთა სასულთნოებიც საქართველოს მოხარკეებად უნდა მივიჩნიოთ, როგორც ამას მიუთითებს თამარის მემატიანე ("ეგრევე სულტანნი ხორასნისა, ბაბილოვნისა, შამისა, ეგვიპტისა და იკონიისანი ჰმონებდეს..."), რაც, რასაკვირველია, არ შეეფერება ისტორიულ რეალობას.

18. პოლიტიკური კონტაქტების დამყარების აქტიური მცდელობები საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის, რისი ინიციატივაც რომის პაპს ეკუთვნოდა, ლაშა-გიორგისა და რუსუდანის ხანაში უდავო ფაქტია.

1210 წლისთვის, ეგვიპტე-სირიის სულთანმა ალ-ადილმა, ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მან დაიკავა ჯვაროსანთა ბოლო დედაქალაქის, აკრას სიახლოვეს მდებარე მონ-ფავორის სტრატეგიული სიმაღლე, სადაც ააგო ციხე-სიმაგრე და უშუალოდ დაემუქრა ქალაქს, რითაც ჯვაროსანთა მდგომარეობა პალესტინაში კრიტიკულ ზღვარს მიუახლოვდა.

რომის პაპმა ინოკენტი III-მ, რომელიც კარგად აცნობიერებდა შექმნილი საფრთხის მასშტაბებს, სცადა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზება, მაგრამ უშედეგოდ (პალესტინაში მხოლოდ ერთი გრაფი ჩავიდა მცირერიცხოვანი რაზმით), რის შემდეგაც

პაპმა საქართველოს მეფეს (ლაშა-გიორგის) მიმართა თხოვნით, დახმარებოდა ჯვაროსნებს. Жан Ришар. Латино-Иерусалимское Королевства. стр. 206-207;

საქართველოს მეფეს ჯვაროსნების დასახმარებლად არმია არ გაუგზავნია არც 1210 და არც 1221 წელს, როდესაც V ჯვაროსნული ლაშქრობის ლიდერი, კარდინალი პელაგიუსი მათ დიდი იმედით ელოდებოდა. Steven Runciman. A History of the Crusades. v. III. p. 163. აღნიშნულის გამო 1224 წელს, რუსუდან დედოფალი "ბოდიშს" უხდიდა რომის მომდევნო პაპს და პირდებოდა გერმანიის იმპერატორ, ფრიდრიხ II ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღებას, იმავე, 1224 წლისთვის. Жан Ришар. Латино-Иерусалимское Королевства. стр. 220;

არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს სამეფო კარი ნამდვილად აპირებდა არმიის გაგზავნას ჯვაროსნების დასახმარებლად, რაზედაც ჯუვეინის ის ცნობაც შეიძლება მიუთითებდეს, სადაც ის აღწერს გარნისის ბრძოლას. ამ ცნობის მიხედვით: "Грузин, этих нечестивых безбожников, охватило желание завладеть этой страной, вознамерившись в первую очередь изгнать султана и захватить королевство Тебриза, а затем прийти в Багдад и посадить католикоса на место халифа и превратить мечети в церкви, а истинную веру в ложную. Исполнившись этих пустых мечтаний, а также глупой самонадеянности, рассчитывая на доблесть своих воинов и остроту своих копий и сабель, они собрали свои войска, и когда набралось более тридцати тысяч человек, выступили вперед." Ата-Мелик Джувейни. Чингисхан. История Завоевавателя Мира. стр. 301.

ჯუვეინის მიერ დასახელებული ქართული არმიის მიზნები (ბაღდადის აღება, ხალიფას ნაცვლად კათოლიკოსის დასმა, მეჩეთების ეკლესიად გადაქცევა) "კლასიკური ჯვაროსნული" ამოცანებია და ამ ცნობიდან თითქოს ისე სჩანს, რომ საქართველო ნამდვილად ემზადებოდა იერუსალიმისკენ სალაშქროდ, რომელიც ჯუვეინთან ბაღდადად გადაიქცა. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ ასეთი "ჯვაროსნული" ამოცანების ქრისტიანულ არმიებზე მიწერა ერთგვარი იდეოლოგიური ტრაფარეტიც ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ალ-ჰუსაინი ზუსტად ანალოგიურ მიზნებს მიაწერდა ბიზანტიის იმპერატორ რომან დიოგენს მანციკერტის ბრძოლის წინ: "Они (ბიზანტიელები-ს.მ.) поклялись, что прогонят халифа и посадят на его место католикоса, разрушат мечети и построят церкви." Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. глава. 18. стр. 57; სინამდვილეში კი, რომან დიოგენს არა ხალიფას ჩამოგდება, არამედ სელჯუკების განდევნა უნდოდა ბიზანტიის ტერიტორიებიდან.

19. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III. ტექსტი გამოსცა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. თოდუამ. თბილისი. 1979. გვ. 26-27; გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 134.

"თამარის ფიცთან" დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იგი დაიწერა 1185 წელს, თამარის ტახტზე ასვლისთანავე. ქართულ-სპარსული ეტიუდები. III. გვ. 81; ამ მომენტში თამარ მეფეს არანაირი ფაქტორი არ ავალდებულებდა უსაფრთხოების რაიმე გარანტიები მიეცა სალადინისთვის, რომელიც საქართველოს ვერაფრით დაემუქრებოდა და რეალურ საფრთხეს ვერ შეუქმნიდა. როგორც აღნიშნავდა "თამარის ფიცის" გამომცემელი მ. თოდუა, უსაფრთხოების გარანტიებით უფრო სალადინი იყო დაინტერესებული ვიდრე თამარი, ქართულ-სპარსული ეტიუდები. III. გვ. 75; რაც სავსებით სწორი შეფასებაა. თამარის მხრიდან სალადინისადმი ამ ერთგვარი "თავდაუსხმელობის პაქტის" გაფორმება, უფრო არსებული პოლიტიკური ტრადიციის გაგრძელებას წააგავს, ვიდრე ახლად ჩამოყალიბებულ ვითარებით გამოწვეულ ნაბიჯს, რაც გამორიცხავს როგორც თამარის, ასევე მამამისის, გიორგი III მოკავშირეობასაც ჯვაროსნებთან.

20. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 332-333; Ф. И. Успенский. История Византийской Империи. т. 5. Москва. "Астрель." 2002. стр. 204; მისივე. Очерки истории

трапезундской империи. Сантк-Петербург. "ЕВРАЗИЯ." 2003. стр. 63-74; Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток. стр. 77-79.

21. აკად. ფ. უსპენსკის აზრით, კომნენოსებს არ ჰქონიათ პრეტენზია კონსტანტინოპოლის ტახტის დაკავებისა და მათ მიზანს თავიდანვე შედარებით პატარა ბერძნული სახელმწიფოს შექმნა წარმოადგენდა.. Ф. И. Успенский. История Византийской Империи. т. 5. стр. 204; თუმცა მათი მოღვაწეობის ხასიათი ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საწყის პერიოდში, სრულიად საწინააღმდეგოს აჩვენებს. ჯერ ერთი, 1214 წლამდე კომნენოსები ენერგიულად ცდილობდნენ ბოსფორის სანაპიროებზე გასვლას და ნიკეის იმპერიის დაპყრობას, რასაც თავად ფ. უსპენსკიც ხაზგასმით მიუთითებდა. Ф. И. Успенский. История Византийской Империи. т. 5. стр. 213; მეორე ის, რომ ორივე კომნენოსმა (ალექსიმ და დავითმა) თავისი ამბიცია და შესაბამისად მიზნებიც, ლაშქრობის დაწყებისთანავე საიმპერატორო ტიტულატურის ფიქსირებით გამოავლინა, რაც უკვე თავისთავად მიუთითებდა მათ მიზანზე, ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე.

ტრაპიზონის დაკავებისთანავე ალექსიმ თავი გამოაცხადა რომეების (ე.ი. მთლიანად ბერძნებისა და ბიზანტიის სხვა ეთნიკური მოსახლეობის და არა მარტო ტრაპიზონის) იმპერატორად (ვასილევსად) და ამ ტიტულს "დიდი კომნენენოსის" ზეწოდებაც დაურთო, რითაც ხაზგასმულ იქნა პრეტენზიების კანონიერება და იურიდიული ძალა საიმპერატორო ტახტზე (იმპერატორობის სხვა პრეტენდენტის, თეოდორე ლასკარისისგან განსხვავებით, რომელიც არ მიეკუთვნებოდა სამეფო გვარს და მხოლოდ ალექსი III ანგელოსის სიძეს წარმოადგენდა). С. П. Карпов. Трапезундская империя в византийской исторической литературе XIII-XIV вв. ВВ. № 35. "НАУКА." стр. 158; Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток. стр. 178-179;

ასევე პომპეზური იყო ალექსის უმცროსი ძმის, დავითის ტიტულატურაც. მის ბეჭედზე, გამოყვანილი იყო წარწერა "სამეფო შთამომავალი". Ф. И. Успенский. История Византийской Империи. т. 5. стр. 213; ამ და დავითის სხვა ცნობილ წარწერებზე დაყრდნობით, სადაც მისი ტიტულები იხსენიება, ენტონი ბრაიერი აღნიშნავდა, რომ დავითი აშკარად დელიკატურად იკავებდა თავს, რათა საკუთარი თავისთვის იმპერატორი არ ენოდებინა. A. Bryer. David Komnenus and Saint Eleutherios. AP. 1988-89. v. 42. pp. 166-167; რასაკვირველია, ტიტულატურისა და საიმპერატორო წარმოშობის ასეთი ხაზგასმა მხოლოდ ერთს უნდა ნიშნავდეს, კომნენოსების პრეტენზიებს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე, რომლის ხელში ჩაგდებაც მათ შექმნილი ვითარების გამო ვერ მოახერხეს, თუმცა თამარ მეფის დახმარებით, ძალიან ახლოს იყვნენ მიზანთან.

ძმები კომნენოსების მიზანზე, გამხდარიყვნენ ბიზანტიის და არა მხოლოდ ტრაპიზონის იმპერატორები, პირდაპირ მიუთითებდა მათი თანამედროვე ბიზანტიელი ისტორიკოსი ნიკიტა ხონიატი. მისი მიხედვით: "Выставлял свое право (იმპერატორობაზე-ს.მ.)) Федор Ласкарис, опираясь на знатность рода и свойство с царским домом. Отразив Маврозома (სხვა პრედენდენტი, რუმის სულთნის სიძე-ს.მ.) Ласкарис надел красные сандалии (იმპერატორის რეგალიების ნაწილი-ს.მ.) и был провозглашен римским императором всеми городами восточных провинций. В то же самое время Давид Комнин, собрав войско в Пафлагонии, равно как в Ираклии Понтийской, и наняв отряд иверийцев, населяющих берега реки Фазиса, старался подчинить своей власти разные города и селения, провозглашая государем своего родного брата, по имени Алексей, и называя себя его предтечей и провозвестником." Никита Хонят. История со Времени царствования Иоанна Комнина. т 2. стр. 310.

აკად. ფ. უსპენსკი ასევე ვარაუდობდა, რომ ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღება იყო ის გარემოება, რითაც ისარგებლეს კომნენოსებმა და ქართველების დახმარებით დააარსეს ტრაპიზონის იმპერია. Ф. И. Успенский. Очерки истории трапезундской империи. стр. 70; ეს მოსაზრება გაზიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაშიც, რისი მიხედვითაც, ტრაპიზონის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფის მომენტი "1204

წელს დადგა, როდესაც ჯვაროსანთა მიერ კონსტანტინოპოლის აღებით ბოლო მოეღო ბიზანტიის იმპერიის ერთიანობას. საქართველოს სამეფო კარმა ისარგებლა ბიზანტიაში შექმნილი მძიმე მდგომარეობით, ქართველთა ლაშქარი შავი ზღვის სამხრეთ ტერიტორიებს შეუსია და ადვილად დაიპყრო. დაპყრობილ ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლებამ შექმნა ცალკე სახელმწიფო, ტრაპიზონის სამეფო." საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 333.

იგივე მოსაზრებაა გატარებული საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ბოლო გამოცემაშიც, რომლის მიხედვითაც: "ქართული სამეფო კარის უდავოდ დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური წარმატება იყო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ საზღვართან ბუფერული სახელმწიფოს, ტრაპიზონის სამეფოს შექმნაც.... დასავლეთ ევროპელმა ჯვაროსნებმა ისარგებლეს ბიზანტიის საიმპერატორო ტახტისთვის ატეხილი შინადინასტიური ომებით და აქტიურად ჩაერივნენ მის საშინაო საქმეებში. 1204 წლის 12 აპრილს ჯვაროსნებმა იერიშით აიღეს და სასტიკად გაძარცვეს იმპერიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი. იმპერიის ტერიტორიაზე რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო შეიქმნა. ქართველ პოლიტიკოსებს არ დაუყოვნებიათ სათანადო ღონისძიების გატარება. თამარ მეფის ბრძანებით ქართველთა ლაშქარმა დაიკავა ბიზანტიის ყოფილი შავიზვისპირა პროვინციები.... დაპყრობილ ტერიტორიაზე თამარმა ცალკე სახელმწიფო შექმნა, რომელსაც ტრაპიზონის იმპერია უწოდა." ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია. გვ. 184.

სინამდვილეში, რეალური ვითარება სრულიად განსხვავებული უნდა ყოფილიყო. ვერც საქართველოს სამეფო კარი და ვერც ძმები კომნენოსები ვერ ისარგებლებდნენ ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობით იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიებზე ლაშქრობის დაწყებისას მათ ეს ფაქტი არ ეცოდინებოდათ. ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლი აიღეს 1204 წლის 12-13 აპრილს (გიუნტერ პერიელის მიხედვით 18 აპრილს. М. А. Заборов. История крестовых походов в документах и материалахю. стр.268), ხოლო ქართულ-ბერძნულმა არმიამ ტრაპიზონი დაიკავა იმავე წლის 23-25 აპრილს, რაც იმას ნიშნავს, რომ როდესაც ჯვაროსნები იწყებდნენ კონსტანტინოპოლის შტურმს, ქართულ-ბერძნული არმია ალექსისა და დავითის მეთაურობით, უკვე მოძრაობდა ბიზანტიის ტერიტორიებზე.

ინფორმაციის მოღწევას კონსტანტინოპოლიდან საქართველომდე ქალაქის აღების შესახებ, მინიმუმ, ორი-სამი კვირა მაინც დასჭირდებოდა. ე.ი. როდესაც თამარი არმიას აგზავნიდა ბიზანტიაში, მას არ შეიძლებოდა სცოდნოდა არათუ კონსტანტინოპოლის აღების ფაქტი, არამედ ჯვაროსნების მხრიდან ასეთი განზრახვაც კი. გადაწყვეტილება კონსტსნტინოპოლის შტურმის შესახებ, საკმაოდ სწრაფად და, შეიძლება ითქვას, მოულოდნელადაც იქნა მიღებული მას შემდეგ, რაც 1204 წლის იანვრის ბოლოს ტახტზე უზურპარტორი, მურზულფი ავიდა და დაიწყო ბრძოლა ჯვაროსანთა წინააღმდეგ (Jonathan Phillips. the Fourth Crusade and the Sack of Constantinople. "Viking Penguin." 2004. pp. 221-234), რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ თამარის გადაწყვეტილება არმიის ბიზანტიაში გაგზავნის შესახებ, დაკავშირებული იყო არა ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღებასთან, არამედ რაღაც სხვა ფაქტორთან, რომელიც არაფრით შეიძლება გამომდინარეობდეს მომხდარი ფაქტიდან (კონსტანტინოპოლის აღებიდან). ეს ფაქტორი საქართველოს მეფის გეგმა უნდა ყოფილიყო კონსტანტინოპოლში კომნენოსების გამეფების შესახებ, რის შესაბამისადაც ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და ბიზანტიის ტერიტორიების ამ ნაწილის ანექსია არ უნდა ყოფილიყო ამ გეგმის თავდაპირველი მიზანი, როგორც შედეგი კონსტანტინოპოლის ჯვაროსანთაგან აღებისა. ტრაპიზონის იმპერიის წარმოქმნა, აშკარად, სპონტანურად, შეცვლილი ვითარების შედეგ მოხდა და იგი არ იყო საქართველოს მეფის თავდაპირველი გეგმის საბოლოო ამოცანა.

ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღებამ ხელი კი არ შეუწყო თამარ მეფის გეგმების განხორციელებას, არამედ პირიქით, ხელი შეუშალა მათ. კონსტანტინოპოლის დაცემამ ბიზანტიაში ელვისებურად ჩამოაყალიბა სრულიად განსხვავებული გეო-პოლი-

ტიკური ვითარება, რისთვისაც საქართველოს სამეფო მზად არ აღმოჩნდა და არც შეიძლებოდა რომ აღმოჩენილიყო, რადგან მოვლენათა იმ სახით პროგნოზირება, როგორც ის სინამდვილეში განვითარდა, არავის შეეძლო.

თამარისა და კომნენოსების ბიზანტიაში შეჭრის მიზანი არა ტრაპიზონის დაპყრობა (იგი მხოლოდ დიდი გეგმის ერთ პატარა ნაწილს წარმოადგენდა), არამედ ბიზანტიის ტახტზე კომნენოსთა რესტავრაცია იყო, ამაზე მიუთითებს მათი ლაშქრობის დრო 1204 წლის აპრილი, კომნენოსთა მიერ მიღებული ტიტულატურა რომეების ბასილევსისა და მათი არმიის მცდელობა ბოსფორის სრუტეზე გასასვლელად, Никита Хонят. История со Времени царствования Иоанна Комнина. т 2. стр. 310; მაგრამ, არც თამარს და არც კომნენოსებს არ შეეძლოთ ევარაუდათ, რომ ჯვაროსნები ზუსტად აპრილში (ანუ მათი ლაშქრობის დაწყების დროს) აიღებდნენ კონსტანტინოპოლს, რომ ეს ფაქტი გამოიწვევდა ძლიერ ანტილათინურ მოძრაობას და ნიკეის იმპერიის ელვისებურ ფორმირებას, რომ ნიკეის იმპერიის სათავეში აღმოჩნდებოდა ნიჭიერი და ენერგიული მოღვაწე თეოდორე ლასკარისი, რომლის გარშემოც გაერთიანდებოდა ბერძნული არისტოკრატიის ის მებრძოლი ნაწილი, რომელიც მოვლენათა სხვაგვარი განვითარების შემთხვევაში კომნენოსების გარშემო უნდა გაერთიანებულიყო. მათ არ შეეძლოთ აპრილამდე ევარაუდათ, რომ არისტოკრატიის სწორედ ის ნაწილი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო კომნენოსთა ძველი საიმპერატორო დინასტიის რესტავრაცია, განვითარებული მოვლენების დინამიკით ნიკეის მანამდე არარსებულ იმპერიას დაუჭერდა მხარს და სწორედ კომნენოსებს გადაუღობავდა გზას დასახული მიზნისკენ.

თამარი და კომნენოსები, რომელთაც დაიწყეს თავისი გრანდიოზული გეგმის რეალიზაცია ბიზანტიაში კონსტანტინოპოლის დაცემამდე არსებული ვითარების გათვალისწინებით, ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ აღმოჩნდნენ სრულიად მოულოდნელ, განსხვავებულ სიტუაციაში, რომლის დროსაც იმპერიის შიდაპოლიტიკური ძალები სავსებით სხვაგვარად აღმოჩნდნენ დანაწილებულნი ვიდრე ეს მანამდის იყო. ამ ცვლილებებისა და მის შედეგად ძალთა ახალი დანაწილების ელვისებურად განვითარებული პროცესისთვის კი არც თამარი და არც კომნენოსები მზად არ აღმოჩნდნენ.

თამარის თავდაპირველი გეგმა, აშკარად ეყრდნობოდა იმ მძლავრ ანტიჯვაროსნულ განწყობას, რაც იმ დროისთვის სუფევდა ბიზანტიის იმპერიაში და რომელსაც კონსტანტინოპოლის დაცემამდე არ ჰყავდა ღირსეული ლიდერი. ანგელოსთა დინასტია ჯვაროსნების მარიონეტი აღმოჩნდა და უაღრესად არაპოპულარული იყო ბიზანტიის მოსახლეობაში, ხოლო ალექსი დუკა (მურზულფი), რომელმაც ჩამოაგდო ანგელოსები და ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო (2004 წლის თებერვალ-მარტში), იმპერატორის როლისთვის აშკარად შეუფერებელ ფიგურას წარმოადგენდა.

უკეთესი მომენტი ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე სასურველი კანდიდატის აყვანისა საქართველოს მეფეს, უბრალოდ, არ შეეძლო ენატრა, ამისთვის ყველა წინაპირობა არსებობდა. საქართველოში გაზრდილ კომნენოსთა სამეფო წარმოშობა და ტახტზე ასვლის ლეგიტიმური უფლება, ბიზანტიის მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საიმპერატორო დინასტიის მიმართ, რომელთა მმართველობაც იმპერიის ოქროს ხანად ითვლებოდა და რომლის მიმართაც მოსახლეობას აშკარა ნოსტალგია ჰქონდა, А. П. Каждан. Загадка Комнинов. ВВ. т. XXV. Москва. "НАУКА." 1964. стр. 53-98; ამიერკავკასიის უძლიერესი ქვეყნის, საქართველოს მხარდაჭერა და ა.შ. ყველაფერი მიმართული იყო იმისკენ, რომ კომნენოსთა კონსტანტინოპოლთან მიახლოებისა და ძლევამოსილი ლაშქრობის პარალელურად, ბიზანტიური არისტოკრატია და მოსახლეობა მასიურად დაუჭერდა მათ მხარს და ხელს შეუწყობდა იმპერიის დედაქალაქის დაკავებაში. მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარების შემთხვევაში, ქართულ-ბერძნული არმიის მოწინააღმდეგე მხოლოდ ჯვაროსანთა ლაშქარი უნდა ყოფილიყო, რომლის დამარცხებაც და საიმპერატორო ტახტზე ასვლა, საქართველოს სამეფოს სამხედრო მხარდაჭერისა და ბიზანტიის მოსახლეობის კომნენოსთა გარშემო კონსოლიდირების პირობებში, არ უნდა ყოფილიყო

გადაულახავი ამოცანა. პრობლემები არ უნდა შეექმნათ სელჯუკებსაც, რომელთა სამფლობელოებიც ბიზანტიური ტერიტორიების სამხრეთით იყო გაშლილი. მართალია, კომნენოსთა წარმატებით სელჯუკები კარგავდნენ შავ ზღვაზე გასასვლელს სამსუნ-სინოპის რაიონში, მაგრამ თამარს სელჯუკთა საშიშროება უკვე ნეიტრალიზებული ჰქონდა ორი ნლით ადრე, ბასიანის ბრძოლაში მათი არმიის სასტიკი დამარცხებით, რის გამოც ისინი განვითარებულ მოვლენებში ჯერ-ჯერობით ვერ ჩაერეოდნენ.

როგორც ჩანს, თავდაპირველად ყველაფერი ასეც განვითარდა და ქართულ-ბერძნულმა არმიამ სულ რამოდენიმე თვეში დაიკავა შავი ზღვის თითქმის მთელი სამხრეთ სანაპირო ზოლი, რაც იმას ნიშნავს, რომ კომნენოსები სერიოზულ წინააღმდეგობას არ წაწყდომიან. ე. ი. მოსახლეობა და ადგილობრივი არისტოკრატია გადადიოდა მათ მხარეზე, ანუ ყველაფერი ისე ვითარდებოდა როგორც ეს იყო დაგეგმილი, მაგრამ კონსტანტინოპოლის (მოელოდნელმა) აღებამ, ვიდრე თამარისა და კომნენოსების არმია ბოსფორს მიაღნევდა, ვითარება რადიკალურად შეცვალა.

ჯვაროსანთა იერიშმა ბიზანტიის დედაქალაქზე ხელი შეუწყო ანტი-ჯვაროსნული მოძრაობის სათავეში ენერგიული ლიდერის, თეოდორე ლასკარისის გამოჩენას და ნიკეის იმპერიის ელვისებურ ფორმირებას, რომელიც გადაულახავ წინააღმდეგობად აღიმართა თამარის არმიისა და კომნენოსთა გზაზე. ამ მოვლენის შედეგად, თამარის გეგმამ ოდნავ „დააგვიანა" და ბიზანტიელთა ის ნაწილი, რომელიც მათ გარშემო უნდა გაერთიანებულიყო ჯვაროსნების წინააღმდეგ, ლასკარისის გარშემო აღმოჩნდა დარაზმული, რითაც თეოდორე ლასკარისმა "მოასწრო იმ ადგილის დაკავება," რაც თამარის გეგმით კომნენოსებს უნდა დაეკავებინათ. მოვლენათა ასეთი განვითარების შემდეგ საქართველოს მეფის ამ ამბიციური და გრანდიოზული პროექტის განხორციელება ობიექტურად შეუძლებელი გახდა, რაც, როგორც ჩანს, თამარ მეფემ საკმაოდ სწორად და სწრაფად გააცნობიერა, რის შემდეგაც იგი, როგორც რეალისტი პოლიტიკოსი, მიღწეულის შენარჩუნებას, ე. ი. ტრაპიზონის იმპერიის ფორმირებას დასჯერდა. აშკარად იგივე პოზიცია დაიკავა ალექსი კომნენოსმაც განსხვავებით უმცროსი ძმა დავითისგან, რომელიც მომდევნო წლებში უკვე საკუთარი ძალებით ცდილობდა ლასკარისის დამარცხებას. Никита Хонят. История со Времени царствования Иоанна Комнина. т. 2. стр. 310;

უკანასკნელ ხანებში ისტორიოგრაფიაში გამოჩნდა საკმაოდ "ორიგინალური" მოსაზრება ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ, რომლის მიხედვითაც თამარსა და ჯვაროსნებს შორის შემდგარა შეთანხმება ბიზაანტიის იმპერიის გაყოფის თაობაზე. ა. თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბილისი. "სეზანი." 2004. გვ. 125-127; მოვლენათა ასეთ რეკონსტრუქციას საკმაოდ ბევრი წინააღმდეგობა ახლავს თან, მოვიყვანთ ორ მათგანს:

-პირველი ფიზიკური, ჯვაროსნებმა კონსტანტინოპოლის აღების გადაწყვეტილება მიიღეს (თავისთვისაც) საკმაოდ მოულოდნელად, 1204 წლის თებერვალ-მარტში, ორი თვე კი (აპრილამდის) ისეთი მასშტაბური შეთანხმებისთვის, როგორიც იქნებოდა იმპერიის გაყოფის დაგეგმვა და ამისთვის აუცილებელი კოორდინირებული სამხედრო ოპერაციის მომზადება ისეთ დაშორებულ რეგიონებში, როგორიც იყო კონსტანტინოპოლი და საქართველო, სრულიად შეუძლებელი იქნებოდა.

-მეორე იდეოლოგიური. ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღება იყო აღმოსავლეთის ქრისტიანობაზე და კერძოდ მართლმადიდებლობაზე განხორციელებული შეტევა, რაშიც მართლმადიდებლური საქართველო კათოლიკებთან ერთად მონაწილეობას არ მიიღებდა. ერთი საქმე იყო კონსტნტინოპოლის ტახტიდან პროდასავლური (პროკათოლიკური) ანგელოსების დინასტიის ჩამოგდება, კათოლიკე ჯვაროსნების განდევნა, იმპერიაში ძველი (ბიზანტიელთათვის მისაღები) დინასტიის გამეფება და მეორე იმპერიის ტერიტორიაზე დამპყრობლების სახით შესვლა და მართლმადიდებლური ქვეყნის განადგურებაში მონაწილეობის მიღება. ის ფაქტი, რომ თამარს ბიზანტიური ტერიტორიების არც ერთი მეტრი არ მიუერთებია თავისი სამეფოსთვის, უნდა უთითებდეს იმაზე, რომ მას

ასეთი მიზანი არასოდეს არ ჰქონია.

როგორც აღნიშნული გვქონდა, საქართველოს მონაწილეობა კომნენოსთა გაიმპერატორების მცდელობაში 1204 წელსვე, ნიკეის იმპერიის ფორმირების შემდეგ უნდა დამთავრებულიყო, რადგან უკვე ცხადი იყო, რომ ბიზანტიური არისტოკრატიის ძირითადი ნაწილი ლასკარისის და არა კომნენოსთა გარშემო გაერთიანდა, რითაც კომნენოსთა გაიმპერატორების იდეას მთავარი საფუძველი გამოეცალა. ის ფაქტი, რომ დავით კომნენოსი 1205 წლიდან ჯვაროსნების მოკავშირე გახდა (რაზედაც ამ მოსაზრების ავტორი მიუთითებს), უკვე მის პირად, როგორც პაფლაგონიის მფლობელის ინიციატივას და იმპერიის სხვადასხვა ერთეულებად დაშლის შედეგად წარმოქმნილ ინტერესს წარმოადგენდა და არა საქართველოს მეფისა და კომნენოსთა თავდაპირველი გეგმის ნაწილს, რასაც ისიც ადასტურებს, რომ ალექსეი კომნენოსს ამ კოალიციაში მონაწილეობა არ მიუღია

სამწუხაროდ, ამ მასშტაბური თემის სრულად განხილვა მოცემულ ნაშრომში შეუძლებელია. იგი სცილდება განსახილველ საკითხს (დავით აღმაშენებლის პერიოდს) და ცალკე მონოგრაფიულ შესწავლას მოითხოვს. შეიძლება მხოლოდ მოკლედ აღინიშნოს, რომ საქართველოს ისტორიაში ეს იყო, ალბათ, ყველაზე გრანდიოზული (მსოფლიო მნიშვნელობის) პროექტი, რაც კი ქართველ მეფეებს დაუსახავთ შესასრულებლად.

22. მოსაზრება თამარ მეფის მხრიდან ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე კომნენოსთა დინასტიის რესტავრაციის მცდელობის შესახებ, ისტორიოგრაფიაში პირველად (XIX ს. შუახანებში) გამოთქვა შოტლანდიელმა ფინლეიმ, რაც ზ. ავალიშვილმა კატეგორიულად უარყო. ზ ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი. გვ. 64-65; მოგვიანებით ეს ვერსია განავითარა რუსმა ბიზანტოლოგმა რ. შუკუროვმა და, ჩვენის აზრით, სავსებით დამაჯერებლადაც დაასაბუთა. Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток. стр. 74-77.

ანგელოსთა საიმპერატორო დინასტიასთან თამარ მეფეს (და ზოგადად ბაგრატიონებს) ღია მტრობა ჰქონდა, რომლის საფუძვლებიც ბიზანტიის საიმპერატორო ტახტიდან კომნენოსთა დინასტიის ჩამოგდებაში უნდა მდგომარეობდეს.

კომნენოსებისა და ბაგრატიონების ახლონათესაური და როგორც ჩანს, იდეოლოგიური სიახლოვე, ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის ხანაში დაიწყო, როდესაც დავითის ასული კატაი (1118 წელს) ცოლად გაჰყვა იმპერატორ ალექსი I-ის შვილიშვილს (ცნობილი მწერლის, ანა კომნენოსის უფროს ვაჟიშვილს, ალექსის). მეუღლის გარდაცვალების შემდგომ, XII ს. 30-იანი წლებისთვის, კატაის (რომელსაც ამ დროისთვის ბიზანტიური სახელი ევდოკია ჰქონდა მიღებული) მეორე ქმარი, , ასევე კომნენოსი, იოანე II-ს მემკვიდრე, ალექსი გახდა. Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток. стр. 73;

ახლონათესაობაში იმყოფებოდნენ ბაგრატიონები კომნენოსთა შემდეგ თაობასთანაც, კერძოდ, 1183-1185 წლებში ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე I-თან, რომლის ერთ-ერთი მეუღლეც (მას სამი ცოლი ჰყავდა), როგორც ვარაუდობენ, ქართველი პრინცესა უნდა ყოფილიყო. О. Юревич. Андроник I Комнин. Сантк-Петербург. "ЕВРАЗИЯ." 2004. стр. 102-103. ფართოდ ცნობილი ფაქტია, მაგალითად, ანდრონიკეს სტუმრობა საქართველოში გიორგი III-თან 1170-1173 წლებში, მისი განდევნილობის დროს. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 16-17; ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან. გვ. 113-121; О. Юревич. Андроник I Комнин. стр. 100-101; Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток. стр. 73.

არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში ანდრონიკე კომნენოსს შეეძინა (უკანონო) ვაჟი ალექსი, რომელიც საცხოვრებლად აქვე დარჩა, შეირთო ქართველი მეუღლე და სათავე დაუდო ანდრონიკაშვილების არისტოკრატულ საგვარეულოს. Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток. стр. 72.

როგორც ცნობილია, 1185 წელს ანდრონიკე I ტახტიდან ჩამოაგდეს შეთქმულებმა ისააკ ანგელოსის მეთაურობით და სასტიკი წამებით მოკლეს, ხოლო მისი შვილები, იოანე

და ბაგრატიონ დაბრმავებულ ანდრონიკეს (ანდრონიკეს ბრძანებით, ჩამოხვეულ-ულეთდან) [illegible] ანდრონიკეს შვილიშვილები (შვილიშვილის ვაჟები) ალექსი და დავითი. [illegible] 1182 წელს, [illegible] ფარულად წაიყვანეს საქართველოში [illegible] О. Курнович. Андроник I Комнин. стр. 161; (თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ალექსი და დავითი საქართველოში ბევრად გვიან, 1203 წელს აღმოჩნდნენ, Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток. стр. 73). სწორედ ანდრონიკეს ტახტიდან ჩამოგდება და ბაგრატიონების მოკავშირე კომნენოსთა დინასტიის განადგურება უნდა გამხდარიყო ბაგრატიონებსა და ანგელოსებს შორის შტრობის მიზეზი.

კომნენოსებს ტახტისათვის ბრძოლა ანდრონიკეს ოჯახის დაღუპვის შემდეგაც არ შეუწყვეტიათ. ნიკიტა ხონიატი აღწერს, რომ ისააკ ანგელოსის იმპერატორობის პერიოდში სისტემატიურად ჩნდებოდნენ "თვითმარქვია კომნენოსები," რომლებიც სამხედრო ძალით ცდილობდნენ ისააკის ტახტიდან ჩამოგდებას, თუმცა იქვე მიუთითებს სხვა შემთხვევებსაც, როდესაც ანგელოსების წინააღმდეგ "ნამდვილი" კომნენოსებიც გამოდიოდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო ნიკიფორე ვრიენოსისა და ანა კომნენოსის ვაჟის, ალექსის შვილი ანდრონიკე, რომელზედაც ანგელოსებმა ეჭვი მიიტანეს, რომ იგი შეთქმულებას აწყობდა მათ წინააღმდეგ. ისააკის ბრძანებით ანდრონიკე დააპატიმრეს და დააბრმავეს. ანდრონიკეს დასჯის შემდეგ აჯანყების მოწყობა სცადა მისმა ვაჟმა, რომელმაც აია სოფიის ტაძარში შეკრებილ ხალხს მოუწოდა ჩამოეგდოთ იმპერატორი და იგი აეყვანათ ტახტზე, თუმცა ეს მცდელობაც პრეტენდენტის დაბრმავებით დამთავრდა. Никита Хонят. История со Времени царствования Иоанна Комнина. т. 2. стр. 76-77, 80; სადინასტიო გადატრიალების ამ მცდელობებში ჩვენთვის საინტერესო ის ფაქტია, რომ ისააკ ანგელოსის მიერ დაბრმავებული ანდრონიკე (ანა კომნენოსის შვილიშვილი), დავით აღმაშენებლის ასულის კატაის (რომელიც როგორც აღნიშნული გვქონდა, ანა კომნენოსის ვაჟის ალექსის მეუღლე იყო) შვილი უნდა ყოფილიყო და შეიძლება არ იყოს გამორიცხული, რომ ანდრონიკესა და მის ვაჟს, როგორც ბაგრატიონთა დინასტიის ახლო ნათესავებს გარკვეული მხადაჭერა (ან მხარდაჭერის იმედი) ჰქონოდათ საქართველოს სამეფო კარისგან. ეს ასე იყო თუ არა, ერთი რამ უდავო ფაქტია, ანგელოსთა დინასტიის გაიმპერატორების შემდეგ, პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსა და ბიზანტიას შორის არამარტო გაცივდა და მმართველ დინასტიათა პირად მტრობაშიც, არამედ ფაქტიურად, საომარ მდგომარეობაში გადაიზარდა, რაც მხოლოდ პირადი სიმპატია-ანტიპატიით ნაკლებად იქნებოდა განპირობებული.

საქართველოსა და ანგელოსთა პერიოდის ბიზანტიის იმპერიის მტრულ (ომის მდგომარეობაში გადასულ ურთიერთობებზე) წერილობითი წყაროები რამდენიმე მნიშვნელოვან ცნობას იძლევიან. მაგალითად, ფართოდაა ცნობილი შემთხვევა, როდესაც ალექსი III ანგელოსმა მიითვისა თამარ მეფის მიერ ათონისა და სხვა ქართულ მონასტრებში გაგზავნილი შეწირულობანი, რაც უპრეცედენტო ფაქტს წარმოადგენდა ქრისტიანული სამყაროსთვის (ასეთ აქტებს მუსლიმი მმართველებიც არ კადრულობდნენ), ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 142; Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток. стр. 74; მაგრამ ბევრად საყურადღებოა ის ცნობა, რომლის მიხედვითაც ბიზანტიის იმპერია ოფიციალურად ეწოდა მეკობრეობას შავ ზღვაზე. ნიკიტა ხონიატი მიუთითებს, რომ ალექსეი III-ს ბრძანებით, სამხედრო ფლოტი გაიგზავნა ფაზისიდან გამოსული და კერასუნტთან ჩაძირული სავაჭრო გემის ტვირთის მისათვისებლად. ამ გემის ტვირთის დასაკუთრების გარდა, ბიზანტიური სამხედრო გემები დიდხანს დრეიფობდნენ შავი ზღვის ამ მონაკვეთში (ფაზისსა და კერასუნტს შორის) და ძარცვავდნენ სავაჭრო გემებს, რითაც ფაქტიურად, ახდენდნენ საქართველოსთან დამაკავშირებელი საზღვაო-სავაჭრო მაგისტრალების ბლოკირებას. Никита Хонят. История со Времени царствования Иоанна Комнина. т. 2. стр. 200-201; საზღვაო ბლოკადას სხვა არაფერი არ შეიძლება ეწოდოს გარდა ომისა, ასე რომ საქართველოს სამეფო კარს საკმარისზე მეტი მიზეზი ჰქონდა ეფიქრა ბიზანტიის საიმპერატორო ტახტიდან ანგელოსთა ჩამოგდებაზე და მოკავშირე კომნენოსთა დინასტიის

რესტავრაციაზე, რაც ჯვაროსნებთან დაპირისპირების გარეშე ვერ მოხერხდებოდა.

1203-1204 წლებში ანგელოსების წინააღმდეგ გამოსვლა, ჯვაროსნებთან დაპირისპირებასაც ნიშნავდა და ბიზანტიაში ლაშქრობას თამარი, ჯვაროსნების ფაქტორის გათვალისწინებისა და მათთან მოსალოდნელი ომის გარეშე ვერაფრით ვერ დაგეგმავდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სამეფო კარის ნეგატიური დამოკიდებულება ჯვაროსნების, ისევე როგორც ანგელოსების მიმართ, დიდი ხნის ფორმირებული იყო. არ არის გამორიცხული ეს ნეგატიური დამოკიდებულება არაპირდაპირ ასახული იყოს ბაგრატიონების ნათესავისა და იდეოლოგიური მოკავშირის, ანდრონიკე I-ს მიერ წარმოებულ პოლიტიკაშიც, რომელიც ჯვაროსნების დაუძინებელ მტერს წარმოადგენდა და რომლის მმართველობის პერიოდიც, ბიზანტიაში "ფრანკების" დევნით და ხოცვა-ულეტით ხასიათდებოდა. Э. Гиббон. Упадок и разрушение Римской Империи. стр. 793;

23. Steven Runciman. A History of the Crusades. v. III. "penguin books." 1990. pp. 118-119; Donald E. Queller. Thomas F. Madden. the Fourth Crusade: the Conquest of Constantinople. "University Pennsylvania Press." Philadelphia. 1997. pp. 135-139; Jonathan Phillips. the Fourth Crusade and the Sack of Constantinople. pp. 201-204;

24. Steven Runciman. A History of the Crusades. v. III. pp. 121-128; Donald E. Queller. Thomas F. Madden. the Fourth Crusade: the Conquest of Constantinople. pp. 172-192; Jonathan Phillips. the Fourth Crusade and the Sack of Constantinople. pp. 235-257.

25. Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток (1204-1461). стр. 77-78; ე. ბრაიერი მიიჩნევს, რომ ქართულ-ბერძნული არმიის ის ნაწილი, რომელსაც დავით კომნენოსი მეთაურობდა, საზღვაო გზით გადაჯდა პაფლაგონიაში. ბრაიერი იძლევა მარშრუტსაც, ფლოტი გასულა იმერეთიდან და კერასუნტის, კოტირასა და ამისტრის პორტების გავლით მისულა პაფლაგონიამდე. A. Bryer. David Komnenos and Saint Eleutherios. pp. 179-180; რასაკვირველია ასეთ შემთხვევაში, თავისთავად დგება საკითხი, თუ საიდან უნდა გაჩენილიყო სამხედრო-სატრანსპორტო ფლოტი, რომელიც საქართველოს სამეფოს აშკარად არ ჰყავდა. დესანტირების ერთადერთი შესაძლებლობა იყო ფლოტის დაქირავება გენუელებისგან, რომელთა კომერციული აქტიურობისა და ინტენსიური კონტაქტების შესახებ საქართველოსთან ცოტა მოგვიანებით ხაზგასმით მიუთითებდა მარკო პოლო. the Travels of Marco Polo. With an Introduction by Benjamin Colbert. Wordsworth. 1997. p. 18;

გენუელთა მონაწილეობა თამარისა და კომნენოსების ლაშქრობაში ანგელოსთა დინასტიისა და ჯვაროსნების წინააღმდეგ იქნებოდა სრულიად ლოგიკური. გარდა კომერციული ინტერესისა, რაც გენუელებს უნდა ჰქონოდათ ფლოტის გაქირავებისას, მათი მოტივაცია განპირობებული უნდა ყოფილიყო აგრეთვე ვენეციასთან კონკურენციით შავ ზღვაზე ჰეგემონობისთვის. მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობა ვენეციისა და დასავლეთ ევროპელი რაინდების ერთობლივ ღონისძიებას წარმოადგენდა და ანგელოსთა დინასტიასთან მათი მოკავშირეობა, ვენეციელთა პოზიციების განმტკიცებასაც ნიშნავდა ბიზანტიის იმპერიაში (ბუნებრივია, შავ ზღვაზეც). რასაკვირველია, გენუელები უდიდესი სიამოვნებით დაუჭერდნენ მხარს ნებისმიერ ძალას, რომელიც ვენეციის წინააღმდეგ გამოვიდოდა, ასეთი ძალა კი მოცემულ მომენტში თამარ მეფე და კომნენოსები იყვნენ.

კომნენოსთა საიმპერატორო ტახტზე ასვლა გენუელთა დახმარებით, გენუის უდიდესი წარმატება იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში, ისინი აუცილებლად მიიღებდნენ ვაჭრობისა და ნაოსნობის ექსკლუზიურ უფლებებს შავი ზღვის სრუტეებზე, რითაც მათი ჰეგემონობა შავი ზღვის აუზში უზრუნველყოფილი იქნებოდა. ყოველივე ეს, საკმარისი მოტივაცია უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ გენუას უზრუნველეყო ქართული არმიის გადაყვანა პაფლაგონიაში.

გარდა აღნიშნულისა, ბიზანტიაში ლაშქრობისთვის საზღვაო დესანტირების გამოყ-

ენება, ბევრი სხვა ნიუანსის მაჩვენებელია. ჯერ ერთი, დესანტირებისთვის გემების დაქირავება დიდ დროს თხოულობდა. უნდა გამართულიყო მოლაპარაკება გემთმფლობელებთან, რასაც გარკვეული დრო დასჭირდებოდა. ე.ი. ლაშქრობა უნდა დაგეგმილიყო დაწყებამდე მინიმუმ რამდენიმე თვით ადრე, რაც (დამატებით) აჩვენებს, რომ იგი არ შეიძლებოდა დაკავშირებული ყოფილიყო ჯვაროსნების მიერ კონსტანტინოპოლის აღებასთან 1204 წლის 12-13 აპრილს, ანუ ის დაიგეგმა მაშინ, როდესაც კონსტანტინოპოლის ჯვაროსნების მიერ აღებას ვერავინ (მათ შორის თვით ჯვაროსნებიც) ვერ ივარაუდებდა. მეორე მნიშვნელოვანი გარემოება არის ლაშქრობის დაწყების დრო, აპრილი. ამ თვეში შავ ზღვაზე სანავიგაციო სეზონი იხსნებოდა, თ. ბერიძე. საზღვაო ვაჭრობის ორგანიზაცია შუა სუკუნეების საქართველოში. მიაეხს. №2. 1985. გვ. 74; რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ამ ოპერაციის დაგეგმვისას თავიდანვე იყო გადაწყვეტილი, რომ სამხედრო და საზღვაო სეზონის გახსნისთანავე ლაშქრობა დაუყოვნებლივ დაიწყებოდა, რაც თავის მხრივ, დასახული გეგმის კატეგორიულობასა და სამხედრო ოპერაციის ელვისებურ ხასიათზე უნდა მიუთითებდეს. ე.ი. თამარ მეფე და კომნენოსები გეგმავდნენ უსწრაფეს ოპერაციას კონსტანტინოპოლის ტახტის ხელში ჩასაგდებად, რაც ნარმატების მიღწევის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უნდა ყოფილიყო, მაგრამ კონსტანტინოპოლის დაცემამ და პოლიტიკურ ასპარეზზე ნიკეის იმპერიის გამოჩენამ, ყველაფერი აღნიშნული გეგმის საწინააღმდეგოდ შეცვალა.

26. Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток (1204-1461). стр. 78-79;

27. Ф. И. Успенский. История Византийской Империи. т. 5. стр. 213; Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток (1204-1461). стр. 79-80; Steven Runciman. A History of the Crusades. v. III. p. 126.

28. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ლაშქრობის მზადების ვადების ზოგადად განსაზღვრა შესაძლებელია. იმ დროს ზამთარში სამხედრო კამპანიებს ნაკლებად აწარმოებდნენ, ომისთვის საუკეთესო პერიოდად, ზაფხულ-შემოდგომა ითვლებოდა, რის გამოც აპრილი საომარი სეზონის ადრეულ ეტაპს წარმოადგენდა. აპრილში ლაშქრობის დაწყება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გადაწყვეტილება ლაშქრობის დაწყების შესახებ რამდენიმე თვით ადრე უნდა ყოფილიყო მიღებული, ე.ი. წინა წლის შემოდგომაზე, ან უკიდურეს შემთხვევაში ზამთარში, რაც, თავის მხრივ, ლაშქრობის მიზნების დადგენას აადვილებს.

რამდენადაც გადაწყვეტილების მიღების დროს (ე.ი. 1203 წლის შემოდგომაზე, ან 1203-04 წლების ზამთარში) ნიკეის იმპერია არ არსებობდა, ბუნებრივია, ეს ლაშქრობა მის წინააღმდეგ ვერ დაიგეგმებოდა. კონსტანტინოპოლზე ლაშქრობისა და საიმპერატორო ტახტზე კომნენოსების აღდგენის გადაწყვეტილების მიღების მომენტში ქართულ-ბერძნული არმიის მოწინააღმდეგე მხოლოდ ანგელოსთა დინასტია, მათი შემცვლელი მურზულფი და ჯვაროსნები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ და ლაშქრობის დაგეგმვისას თამარ მეფესა და კომნენოსებს რეალურ მოწინააღმდეგეებად სწორედ ისინი უნდა განეხილათ და არა თედორე ლასკარისი, რომელიც მოგვიანებით გამოჩნდა ასპარეზზე. თუმცა მოვლენათა განვითარებამ თამარისა და კომნენოსების მთავარ მოწინააღმდეგედ სწორედ ეს უკანასკნელი აქცია.

29. Ф. И. Успенский. История Византийской Империи. т. 5. стр. 201-223; Н. И. Жавороков. У истоков образования никейской империи. ВВ. №38. "НАУКА." 1977. стр. 30-37.

30. Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток (1204-1461). стр. 80-82.

31. ერთადერთ წერილობით მითითებას დავით აღმაშენებლის პოლიტიკური კონტაქტების შესახებ ჯვაროსნებთან, წარმოადგენს XVIII საუკუნის დროინდელი იოანე ბატონიშვილის "კალმასობა," რომლის ცნობების განხილვაც დავით აღმაშენებლის ეპოქასთან მიმართებაში, მათი არარეალურობის გამო, სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია.

32. პირველ ასეთ (ჩვენი აზრით) მცდარ დასკვნას წარმოადგენს მოსაზრება იმის შესახებ, რომ დავით აღმაშენებელის არმია მონაწილეობდა იერუსალიმის აღებაში 1099 წელს. ამ დასკვნის საფუძველი გახდა თამარის ისტორიკოსის ფიგურალური ცნობა, რომლის შინაარსიც ასეთია: "ვითარ ძუელ ოდესმე წინაშე დავითისა ოცდაათშვიდმეტნი გმირნი მბრძოლობდეს და მძლეობდეს უცხო-თესლთა და ვითარ სპანი ვახტანგისნი წინაშე ვახტანგისა, და ვითარ სპანი ახლისა დავითისნი წყობათა დავითისთა იერუსალემს ერთობოდეს, აწ შვილისა მის თამარისნი, რომელი დავით წინასწარმეტყუელითგან ოთხმეოცსა-ერთობს შვილად ცხებულად." ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 69.

აკად. კ. კეკელიძის განმარტებაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც დავით წინასწარმეტყველის რაზმებში, ალეგორიულად ჯვაროსნები უნდა იგულისხმებოდნენ (როცა თამარის ისტორიკოსის მატიანე იწერებოდა, ჯვაროსნებს იერუსალიმი დიდი ხნის აღებული და დაკარგულიც ჰქონდათ. ს.მ.), პროფ. შ. მესხია მიიჩნევდა, რომ აქ ასახული იყო დავით აღმაშენებლის იერუსალიმის აღებაში მონაწილეობა, სადაც ახალი დავითის (ე.ი. დავით აღმაშენებლის) ჯარები იერუსალიმში დავით წინასწარმეტყველის რაზმებთან იყვნენ გაერთიანებულნი. შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 70-71; დავით აღმაშენებლის იერუსალიმში ყოფნას დასაშვებად მიიჩნევდნენ სხვა მკვლევარებიც. ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან. გვ. 96-99; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 293.

ბოლო ხანებში, დავით აღმაშენებლის დროს ქართული არმიის იერუსალიმის აღებაში მონაწილეობის "ფაქტი," არა მოსაზრების დონეზე, არამედ უკვე აქსიომად შევიდა სხვადასხვა გამოცემებში. ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია. გვ. 160; რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. გვ. 332.

პროფ. შ. მესხია ვარაუდობდა, რომ თამარის ისტორიკოსისთვის "ასეთი ცნობა შეეძლოთ თვით ჯვაროსნებს მიეწოდებინათ." შ.მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 71; მაგრამ ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯვაროსნებს ასეთი ცნობა მარტო თამარის ისტორიკოსისთვის მიეწოდებინათ და სხვა არავისთვის.

რასკვირველია, ძალიან ძნელი გასარკვევია თუ რა წყაროებით ისარგებლა ქართველმა მემატიანემ ამ ცნობის დაწერისას, რომლითაც მას (ჩვენი აზრით) თამარ მეფის ბიბლიური წარმოშობის ჩვენება უფრო უნდოდა, ვიდრე იერუსალიმის აღებაში ქართული არმიის მონაწილეობის "ფაქტის" გადმოცემისა, მაგრამ ეს ასეა თუ სხვაგვარად, ამას იერუსალიმის აღებასთან არ შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იერუსალიმის აღებაში ქართულ არმიას არაფრით შეეძლო მონაწილეობის მიღება.

იერუსალიმის აღება ისეთი ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენა იყო, რომელმაც მთელი იმდროინდელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო და მრავალი ქვეყნის მოსახლეობის ცნობიერებაზე მოახდინა გარკვეული ზეგავლენა. ეს ბრძოლა აღწერილი აქვს მრავალ ქრისტიან თუ მუსლიმ მემატიანეს და შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო ისტორიოგრაფიაში ის (იერუსალიმის აღება) ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესწავლილი ეპიზოდია. გამოკვლეულია ამ მოვლენის თითოეული ეტაპი, ცნობილია მისი მონაწილე თითოეული მნიშვნელოვანი ისტორიული პერსონა, აღდგენილია ბრძოლის კონკრეტული პერიპეტიები და დავით აღმაშენებელი ან ქართველი მეომრები არსად ფიგურირებენ (იერუსალიმის აღების სამხედრო ოპერაციის დეტალური და, ალბათ, საუკეთესო რეკონსტუქციები მოცემული აქვთ ჯვაროსანთა პერიოდის ისეთ ავტორიტეტულ მკვლევრებს, როგორიც არიან დევიდ ნიკოლე და ჯონ ფრანსი. David Nicolle. the First Crusade. 1096-99 Conquest of the Holy Land. pp. 72-77 John France. the Capture of Ierusalem. pp. 37-42; მისივე. Victory in the East.

A Military History of the First Crusade. pp. 325-356; ორივე ავტორს თავისი ნაშრომებისთვის დართული აქვს ქალაქის აღების დეტალური სქემები).

იერუსალიმის აღებაში ქართველთა მონაწილეობის მოუხსენიებლობა სავსებით ბუნებრივი და ლოგიკურია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი იქ არ ყოფილან და არც შეიძლებოდა რომ ყოფილიყვნენ. სხვა გარემოებებს რომ არ ჩავუღრმავდეთ, ქართული არმია იერუსალიმს ფიზიკურადაც ვერ მიაღწევდა. ამისთვის მას უნდა გაევლო საქართველოსა და იერუსალიმს შორის სელჯუკთა საემირობის მიერ დაკავებული უზარმაზარი ტერიტორია, არანაკლებ 1500 კილომეტრი, რომლის გადალახვის უფლებას მას არავინ მისცემდა, ბრძოლებით კი ამ დისტანციის დაფარვა 1099 წლის საქართველოს არმიას რომ შესძლებოდა, საქართველოს იმ დროისთვის არათუ ხარკის შეწყვეტის, არამედ მთლიანად სელჯუკთა პრობლემაც უკვე არ ექნებოდა.

მეორე დასკვნა, საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობის შესახებ, რომელიც ასევე არარეალურია, ეხება იერუსალიმის აღებაზე არა ნაკლებად ცნობილ ეპიზოდს, კათოლიკურ წრეებში გავრცელებულ ლეგენდას იოანე პრესვიტერზე, რომელიც თითქოსდა საქრისტიანოდან შორს მდებარე ძლიერი ქრისტიანული (ნესტორიანული) ქვეყნის მეფეს წარმოადგენდა და ერთ მშვენიერ დღეს მოვიდოდა ჯვაროსანთა დასახმარებლად ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ეს ლეგენდარული იოანე პრესვიტერი, შეიძლება დავით აღმაშენებელი და მისი მემკვიდრეები ყოფილიყვნენ. პირველად ეს ვარაუდი გამოთქვა ზ. ავალიშვილმა, ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. გვ. 96; შემდეგ კი, ამ მოსაზრების დამტკიცებას საკმაოდ საფუძვლიანი გამოკვლევით შეეცადა პროფ. შ. ბადრიძე. შ. ბადრიძე. ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე. გვ. 365-400; ეს მოსაზრება, რომლის ბოლომდე არგუმენტირებაც ავტორმა აშკარად ვერ მოახერხა (განსაკუთრებით, იოანე პრესვიტერის ნესტორიანელობისა და დავით აღმაშენებლის მართლმადიდებლობის შეუთავსებადობის საკითხში), რიგ სამეცნიერო შრომებში, მაინც მყარი დასკვნის სახით შევიდა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 342; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 315-316; ა. თვარაძე. საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. გვ. 148, 215-219.

ნებისმიერი ლეგენდის არსი მის ლეგენდარულობასა და მითიურობაში, ანუ ინფორმაციის არ არსებობაში მდგომარეობს, ყველა ლეგენდა მთავრდება იქ, სადაც იწყება რეალობა. საქართველოს მეფეებს (ისევე როგორც მთლიანად საქართველოს) და განსაკუთრებით დავით აღმაშენებელს, არაფერი ჰქონდათ მითიური. საქართველოსა და მის მეფეებს ძალიან კარგად იცნობდა როგორც ჯვაროსნული, ასევე მთლიანად ევროპული სამყარო, რომელიც ინფორმაციის ნაკლებობას საქართველოზე, მასთან ინტენსიური დიპლომატიური, სავაჭრო თუ რელიგიური ურთიერთობების პირობებში, ნამდვილად არ განიცდიდა. შესაბამისად, ვერ იარსებებდა რაიმე ობიექტური გარემოება საქართველოსა და ქართველ მეფეებზე ლეგენდების გაჩენისა, რადგან ჯვაროსანთა წარმოდგენებში დავით აღმაშენებელი რეალურად არსებული მოღვაწე იყო, რომელსაც ისინი ძალიან კარგად იცნობდნენ და ამის გამო საქართველოს მეფე იოანე პრესვიტერად ვერ გადაიქცეოდა. ჯვაროსნებს რომ სდომებოდათ დახმარების თხოვნა დავით აღმაშენებელზე (რასაც თეორიულად შეიძლება კიდეც ჰქონოდა ადგილი), ამისთვის ისინი ლეგენდებს კი არ შექმნიდნენ, არამედ ისეთივე ჩვეულებრივი დიპლომატიური გზით მიმართავდნენ მას, როგორც რუსუდანსა და ლაშა-გიორგის მიმართეს. იხ. ზემოთ. შენ. 18;

იოანე პრესვიტერის ლეგენდის საწყისი საფუძვლები, ქრისტიანობის გავრცელების ადრეული ხანებიდან (III საუკუნიდან) გაჩენილ, ინდოეთში მოღვაწე თომა მოციქულის შესახებ არსებულ გადმოცემებთანაა დაკავშირებული. საკუთრივ პრესვიტერის ლეგენდა კი (როგორც დამოუკიდებელი ვერსია), დასავლეთ ევროპაში გავრცელებული იყო XII-XVII საუკუნეებში და ჰქონდა ერთგვარი ციკლური ხასიათი, რომლის მიხედვითაც იოანე პრესვიტერის სახე და მისი მითიური სამეფოს ადგილმდებარეობაც, ამ ციკლების შეს-

აბამისად იცვლებოდა. სულ ცნობილია ლეგენდის გავრცელების ხუთი ძირითადი ეტაპი.

პირველად ლეგენდამ გავრცელება დაიწყო XII საუკუნის შუახანებში (როდესაც ის გამოჩნდა 1145 წელს გერმანელი ქრონისტის ოტო ფრეიზინგელის ქრონიკაში), მისი მიხედვით ჯვაროსანთა დასახმარებლად ლაშქრობას, სადღაც შორეულ აღმოსავლეთში, სპარსეთსა და სომხეთს იქით მდებარე ქრისტიანული (ნესტორიანული) სამეფოს ძლევამოსილი მმართველი იოანე პრესვიტერი აპირებდა, რომელსაც უკვე დამარცხებული ჰყავდა მიდიისა და სპარსეთის მეფეები. ეს ეტაპი გაჩნდა მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის მზადების დაწყებისა და შუა აზიაში სელჯუკთა დამარცხების შემდეგ, როდესაც ხორეზმისა და ცენტრალური აზიის ტომების გაერთიანებულმა ძალებმა 1141 წელს, სამარყანდის ბრძოლაში გაანადგურეს სელჯუკთა დიდი სულთანის სანჯარის არმია და საბოლოოდ დაასამარეს სელჯუკთა იმპერიის ძლიერება. ლეგენდის გამოჩენას ამ ორი მასშტაბური მოვლენის (ჯვაროსნული ლაშქრობის მზადებისა და სანჯარის დამარცხების) შემდეგ, აშკარად არ უნდა ჰქონოდა შემთხვევითი ხასიათი და იგი ალბათ ჯვაროსანთა პირველი დიდი მარცხის, ედესის საგრაფოს განადგურების (1144 წ.) საპასუხოდ, ჯვაროსნული ლაშქრობის იდეის რეანიმაციას ემსახურებოდა, რითაც ხდებოდა შემდგომი ჯვაროსნული ლაშქრობების "გარანტირებული" წარმატების პროპაგანდა ყველაზე ძლიერი ისლამური ერთეულის (სელჯუკთა იმპერიის) განადგურებისა და აღმოსავლეთიდან სხვა ჯვაროსნული ლაშქრობის (იოანე პრესვიტერის ლაშქრობის) დაწყების პერსპექტივის ფონზე.

მეორე ჯვაროსნული ლაშქრობის დამარცხების შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ 1165 წელს გამოჩნდა თითქოსდა იოანე პრესვიტერის მიერ გამოგზავნილი წერილი ბიზანტიის იმპერატორისადმი (ეს წერილი, რომელის ასამდე ვარიანტიც არსებობს სამეცნიერო ლიტერატურაში ნესტორიანელ ქრისტიანთა ნაყალბევადაა მიჩნეული), რის შემდეგაც (1177 წ.) რომის პაპმა ალექსანდრე III-მ ემისარიც კი გააგზავნა იოანე პრესვიტერთან სპეციალური წერილით, რომელმაც ბუნებრივია, ადრესატამდე ვერ მიაღწია და იოანე პრესვიტერის იერუსალიმში შესაძლო დახმარებაზე კათოლიკურ წრეებში საუბარი, XIII საუკუნის 20-იან წლებამდე საერთოდ შეწყდა. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. pp. 422-423; J. R. S. Phillips. the Medieval Expansion of Europe. "Oxford University Press." 1998. pp. 56-57, Donald F. Lach. Asia in the Making of Eurofe. v. I: the Century of Discovery. Book 1. "university of Chicago." 1994. pp. 24-26; Jean Delumeau. History of Paradise: the Garden of Eden in Myth and Tradition. "Continuum Publishing Company." 1995. pp. 71-95.

ლეგენდის მეორე ციკლი, აშკარად იგივე მიზნითა და მოტივაციით, განვითარდა XIII საუკუნეში, მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის პერიოდში (1221 წლიდან), როდესაც ჯვაროსანთა არმიას ალყა ჰქონდა შემორტყმული ეგვიპტის ქალაქ დამიენტაზე და მისი აღების შემდეგ მთელი ეგვიპტის დაპყრობას გეგმავდა. დამიენტას ალყა გაჭიანურდა და ჯვაროსანთა რიგებში საბრძოლო სულისკვეთებამ დაცემა დაიწყო, სწორედ ამ დროს, ლაშქრობის ლიდერმა კარდინალმა პელაგიუსმა მიიღო წერილი, სადაც საუბარი იყო იმის შესახებ, რომ იოანე პრესვიტერის შვილი (თუ ძმიშვილი) დავით მეფე სამი არმიით მოემართებოდა ჯვაროსნების დასახმარებლად. ამ ეტაპზე ლეგენდა მყარად დაუკავშირდა მონღოლთა სახელს, რომლებიც XIII საუკუნის განმავლობაში ჯვაროსანთა პოტენციურ მოკავშირეებად განიხილებოდნენ. ამ შესაძლო მოკავშირეობის რეალიზაციის მიზნით, მონღოლთა კარზე გაგზავნილი დასავლეთ ევროპელი ელჩები თუ ქრისტიანი მისიონერები იღებდნენ დავალებას იოანე პრესვიტერის პოვნისა და მასთან დაკავშირებისა. Атлас географических откритий. предисловие Джона Хеминга. Москва. "БММ АО." 1998. стр. 28-29; მაგრამ მას შემდეგ რაც ევროპელი მისიონერებისა და ვაჭრების (პლინო კარპინი, რუბრუკი, მარკო პოლო) მოგზაურობების შედეგებმა დაარწმუნა კათოლიკური სამყარო, რომ მონღოლებს ქრისტიანობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ (გარდა რამდენიმე მონღოლური ტომის ნესტორიანობისა) და ისინი მოკავშირეებაად არ გამოდგებოდნენ, იოანე პრესვიტერის ლეგენდარული სამეფოს სამყოფელმა აღმოსავლეთ ინდოეთში გადაინაცვლა, რითაც დაიწყო ლეგენდის გავრცელების მესამე ციკლი. J. R. S. Phillips. the Medieval

Expansion of Europe. pp. 72-74; 143-144.

ლეგენდის მესამე, ინდური ციკლის ეტაპზე, რომელიც პოპულარული იყო XIV საუკუნეში, იოანე პრესვიტერის სახემ დაკარგა ჯვაროსნული შინაარსი (ამ დროისთვის ჯვაროსნული სახელმწიფოები განადგურებულნი იყვნენ, ხოლო ჯვაროსნული ლაშქრობების იდეის რეანიმაცია უკვე შეუძლებელ საქმეს წარმოადგენდა) და უფრო ღვთიური ელემენტები შეიძინა, რის მიხედვითაც იოანე პრესვიტერის სამეფო შორეულ ინდოეთში, მინიერი სამოთხის სიახლოვეს "აღმოჩნდა," ამასთან დაიწყეს იმის მითითებები, რომ აქ მდებარეოდა მარადიული ახალგაზრდობის შადრევანი და სხვა სასწაულები. ამავე პერიოდში მსოფლიოს რუკებზე გაჩნდა ლეგენდარული სამეფოს კონტურებიც, რომელიც სხვადასხვა რუქაზე, ბუნებრივია, სულ სხადასხვა ადგილზე აღინიშნებოდა. J. R. S. Phillips. the Medieval Expansion of Europe. 145; Jean Delumeau. History of Paradise: the Garden of Eden in Myth and Tradition. pp. 46. 94-95.

XIV საუკუნიდან დასავლეთ ევროპაში გავრცელება დაიწყო ბუნდოვანმა ცნობებმა აფრიკის ქრისტიანული სამეფოების შესახებ, რის შემდეგაც XV-XVI საუკუნეებში, ლეგენდარულმა სამეფომ აბისინია-ეთიოპიაში გადაინაცვლა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების პერიოდში მოგზაურთა ერთ-ერთ ამოცანას ამ მითიური სამეფოს პოვნაც წარმოადგენდა, რასაც განსაკუთრებული მონდომებით პორტუგალიელი მეზღვაურები ცდილობდნენ (მაგალითად, ვასკო დე გამას მიჰქონდა პორტუგალიის მეფის წერილი იოანე პრესვიტერთან). Elaine Sanceau. the Land of Prester Jonh. A Chronicle of Portuguese Exploration. New-York. "Alfred A. Knopf." 1944. pp. 104-112.

XVII-XVIII საუკუნეებში, მას შემდეგ რაც საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ ეთიოპიას არაფერი საერთო არ ჰქონდა იოანე პრესვიტერთან (ეთიოპიის იმპერატორები ძალიან გაკვირვებულები რჩებოდნენ, როდესაც ევროპელი მისიონრები ცდილობდნენ მათ იდენტიფიცირებას მათთვის სრულიად უცნობ იოანე პრესვიტერთან), ლეგენდას საბოლოოდ დაესვა წერტილი და რამდენადაც იმ დროისთვის, დედამიწის გეოგრაფიის ღრმა ცოდნის შედეგად აღარ რჩებოდა ევროპელთათვის უცნობი ისეთი რეგიონები სადაც იოანე პრესვიტერის სამეფო შეიძლებოდა "მოთავსებულიყო," ამდენად ლეგენდის რეანიმაცია აღარ მომხდარა.

როგორც იოანე პრესვიტერზე არსებული ლეგენდების ამ მოკლე ანოტაციიდან უნდა ჩანდეს, ლეგენდის ყოველი ციკლი მთავრდებოდა იქ, სადაც იწყებოდა რეალური ინფორმაციის მოპოვება და როდესაც ლეგენდარული სამეფოს სავარაუდო ადგილსამყოფელი ცნობილი და შესწავლილი ხდებოდა დასავლეთ ევროპელების მიერ. აღნიშნულის მიხედვით დავით აღმაშენებლისა (და განსაკუთრებით დემეტრეს) იგივეობას იოანე პრესვიტერის სახესთან, თუნდაც ლეგენდის არსებობის ადრეულ ეტაპებზე, არავითარი საფუძველი არ უნდა ჰქონოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო XII საუკუნეში ევროპელთათვის არა ლეგენდარულ, არამედ სავსებით რეალურ და კარგად ცნობილ ქვეყანას წარმოადგენდა.

იოანე პრესვიტერის ლეგენდა კლასიკური სახის მითს წარმოადგენს და მისი საფუძვლიანი განხილვა უზარმაზარი მონოგრაფიული გამოკვლევის თემაა, რაც ბუნებრივია, ჩვენი კვლევის საგანს სცილდება, თუმც მასთან დაკავშირებით მივუთითებთ, ჩვენი აზრით, მითის გენეზისისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომს, გერმანელი მეცნიერის კურტ ჰიუბნერის მონოგრაფიას, Курт Хюбнер. Истина мифа. Москва. "Республика." 1996. стр. 1-448; სადაც დეტალურად და მრავალმხრივაა შესწავლილი მითებისა და ლეგენდების ბუნება.

33. the Crusades from the Perspective of Byzantium and the Muslim World. pp. 90-91.

34. the Crusades from the Perspective of Byzantium and the Muslim World. p. 86.

35. Советы и рассказы Кекавмена. Сочинение Византийского Полководца. стр. 281, 585; Никифор Вриенний. Исторические записки. стр. 59, 67;

36. the Crusades from the Perspective of Byzantium and the Muslim World. p. 98.

37. the Crusades from the Perspective of Byzantium and the Muslim World. pp. 91-94.

38. მაგალითად, უსამა იბნ მუნკიზის მიხედვით, XII ს. დასაწყისში, ასეთი "ფრანკი" მოქირავნე, სახელად იარუკი, მსახურობდა ილ-ღაზის ძმის, სუკმენის არმიაში ქალაქ ამიდას ალყის დროს (1102 წ), როდესაც თავად უსამაც იქ იმყოფებოდა. უსამა აღნიშნავს, რომ ამ "ფრანკმა" მიიღო დავალება ემეთაურა მეომართა რაზმისთვის, რომელიც ფარულად უნდა გადასულიყო ქალაქის გალავანზე. აქედან შეიძლება ვიფიქროთ, რომ სუკმენის სამსახურში მოქირავნე "ფრანკების" მთელი რაზმი ყოფილა, რომელსაც უსამას მიერ მოხსენიებული მეომარი მეთაურობდა: "Эмир Фахр ад-Дин Кара-Арслан ибн Сукман ибн Ортук, да помилует его Аллах, несколько раз начинал действия против города Амида, когда я был у него на службе, но не достигал своей цели. Последнее предприятие его было таково: с ним завязал сношения один эмир из курдов, вербовавший войска в Амиде, с которым заодно было много его приближенных. Было решено, что войско Фахр ад-Дина подступит к городу в назначенную ночь и что эмир подымет солдат на веревках и Фахр ад-Дин овладеет Амидом. Фахр ад-Дин поручил это дело служившему у него франку, которого звали Ярук; все войско ненавидело этого слугу и питало к нему отвращение за его скверный характер." Усама ибн Мункыз. Книга Назидання. стр. 149:

ფრანკი მოქირავნეები ხშირად იყვნენ სხვა მუსლიმური არმიების, განსაკუთრებით კი, რუმელი სელჯუკების სამსახურშიც. მაგალითად, 1299 წელს, სელჯუკი ემირის რუქნ ად-დინ რახატის არმიაში 1000 ფრანკი მოქირავნე იმყოფებოდა. Р. М. Шукуров. Великие Комнины и Восток. стр. 188; David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia. p. 208;

39. Ф. И. Успенский. История Византийской Империи. т. 5. стр. 218-219; ნიკეის იმპერიაში "ფრანკ" მოქირავნეთა რიცხვი იმდენად მაღალი იყო, რომ იქ კონსტებელის (აღმოსავლური ამირსპასალარის დასავლეთ ევროპული შესატყვისი) სპეციალური თანამდებობაც არსებობდა. Ian Heath. Byzantine Armies. AD 1118-1461. p. 24; David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia. p. 21.

40. ალ-ჰუსაინის მიხედვით, "Самыми храбрыми из воинов ар-Рума (იგულისხმება საქართველო ს.მ.) были Франки (ал-Фарандж) и пешие воины из Шаки." Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Соощения о сельджукском государстве. глава 17. стр. 55; V. Minorsky. Studies in Caucasian History. p. 65;

41. როგორც ქ. ჩხატარაიშვილი ვარაუდობდა, ქართულ არმიაში პერიოდულად მუსლიმი მოქირავნეებიც უნდა ყოფილიყვნენ. ეს მოსაზრება, ალ-ფარიკის მაგალითზე, რომელიც დემეტრე მეფის სამსახურში იმყოფებოდა, სავსებით დამაჯერებლად გამოიყურება. ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში. გვ. 177-178; იმის გათვალისწინებით, რომ მუსლიმი (მათ შორის სელჯუკი) მეომრები მასიურად იმყოფებოდნენ ქრისტიანული (განსაკუთრებით ბიზანტიური) და მათ შორის თვით ჯვაროსნული არმიების რიგებში, ამაში მოულოდნელი არაფერი უნდა იყოს. Ian Heath. Byzantine Armies. AD 1118-1461. p. 34; David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia. p. 20-21;

ქართულ არმიაში მუსლიმი მოქირავნეების ყოფნას ჩვეულებრივ მოვლენად თვლიდა ვ. მინორსკიც. В. Ф. Минорский. Историа Ширвана и Дербенда. стр. 161.

42. ს. კაკაბაძე მიიჩნევდა, რომ ჯვაროსანი რაინდები მონაწილეობდნენ ერწუხის ბრძოლაში, ხოლო დიდგორთან მათი რაოდენობა 2000-ს აღწევდა. ს. კაკაბაძე. დიდგორის ბრძოლა. გვ. 27; ორი ათასი ჯვაროსანი რაინდი, ეს ჯვაროსნული სახელმწიფოს თითქმის სტანდარტული საველე არმიაა და საქართველოში ამ რაოდენობით ჯვაროსნების ყოფნა (ასეთი შესაძლებლობა რომც დავუშვათ), ისევე როგორც ერწუხის ბრძოლაში მათი მონაწილეობა, იმდენად გამორიცხულია, რომ რაიმე არგუმენტაციის მოყვანა ზედმეტად გვეჩვენება.

43. იმისთვის, რომ დავაკონკრეტოთ ბალდუინისა და ილ-ღაზის "მოკავშირეობის" ხასიათი საქართველოს წინააღმდეგ, საჭიროა მიმოვიხილოთ ის ვითარება რაც ჩამოყალიბებული იყო ილ-ღაზისა და ჯვაროსნებს შორის დიდგორის ბრძოლის წინ.

1119 წლის ივნისში, ილ-ღაზიმ სასტიკად დაამარცხა ანტიოქიის სამთავროს არმია როჯერის მეთაურობით, ეს უკანასკნელი ამ ბრძოლაში დაიღუპა. ამ გამარჯვების შედეგად ილ-ღაზიმ დაიპყრო მისი სამფლობელოების საზღვრებთან მდებარე, ანტიოქიის სამთავროს ძალზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ციხე-სიმაგრეები, ალ-ასარიბი და ზარდანი. აგრეთვე რიგი მნიშვნელოვანი სასოფლო რეგიონები. Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 144-149; Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 153; რითაც მიიღო უზარმაზარი სტრატეგიული უპირატესობა ჯვაროსნებთან ომში.

როჯერის დაღუპვის შემდეგ, ილ-ღაზის წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურობა საკუთარ თავზე აიღო იერუსალიმის მეფე ბალდუინ II-მ, რომელიც იმავდროულად გახდა ანტიოქიის სამთავროს რეგენტიც. Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 140-156; Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 152; მთელი 1119 წლის მანძილზე, (ივნისიდან) ბალდუინსა და ილ-ღაზის შორის მიმდინარეობდა განუწყვეტელი ომი გარდამავალი უპირატესობით. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. pp. 153-155; სამხედრო მოქმედებები გაგრძელდა 1120 წელსაც, თუმცა უპირატესობას კვლავ ვერც ერთმა მხარემ მიაღწია, რის შედეგადაც, 1119 წელს დაპყრობილი ანტიოქიის სამთავროს ტერიტორიები კვლავ ილ-ღაზის ხელში რჩებოდა. ამ ვითარებაში სრულიად მოულოდნელად, 1121 წლის დასაწყისისთვის, ილ-ღაზიმ დადო ზავი ბალდუინთან, რომლის მიხედვითაც მან მას დაუბრუნა დაპყრობილი ტერიტორიების დიდი ნაწილი. ქამალ ად-დინი თავის ქრონიკაში ამ ზავის პირობებს ორჯერ გადმოსცემს: "А в конце (5)14 года (начало 1121 г.) Иль-Гази заключил с франками соглашение, по которому к ним отходили: ал-Маарра, Кафартаб, ал-Джабал и ал-Бара, а также селения Джабал Суммак как зависимые от Хаба, и селения Лайлуна как подчиненные Телль Агди, и селения в области Азаза как подчиненные Азазу. Затем Наджм ад-дин Иль-Гази вернулся в Мардин, чтобы собрать новые войска (საქართველოში სალაშქროდ-ს.მ.)." Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 196. стр. 154;

მეორედ კი ასე აღწერს ზავის პირობებს: " А наместником в Халебе был Шамс ад-Даула Сулайман, сын Наджм ад-дина Иль-Гази. И назначил Иль-Гази раисом Халеба в раджабе 514 года (26 сентября — 25 октября 1120 г.) Макки ибн Карнаса ал-Хамави, поручив его заботам своего сына (?). И написал своему сыну и [другим] наместникам, побуждая их заключить мир на тех условиях, какие будут франками предложены. И они заключили мир, по которому к франкам отходили Сармин, ал-Джазр и Лайлун и вся северная область. Франки получили половину окрестностей Халеба и даже половину мельницы, принадлежавшей одной бедуинке. И договорились о разрушении Телль Харака, чтобы он не достался ни одной стороне.

И потребовали франки ал-Асариб, и согласился на это Иль-Гази, но те, кто в нем находился, воспротивились сдаче, и он (ал-Асариб) остался в руках мусульман; а теми, с кем заключили мир, были Жослен и Готфрид. Балдуин находился в Иерусалиме, а когда прибыл, присоединился к ним и начал восстанавливать древний разрушенный монастырь вблизи Сармада и укрепил его, а затем отдал [бывшему] наместнику ал-Асариба Сиру Алану де Мешину.

А Иль-Гази приказал своему сыну разрушить восстановленную крепость шарифа в Халебе и вывести тех, кто там находился из войска (джунд) Ридвана. И вывели их Шамс ад-Даула и Ибн Карнас под предлогом похода в области франков. Но когда они вышли из Халеба, ворота города были заперты, и раис Макки ибн Карнас приказал разрушить крепость в джумада II (515 г. х.=17 августа — 14 сентября 1121 г.).

А Малик Тогрул просил помощи у Иль-Гази ибн Артука против грузин и их государя Давида, и направился он (Иль-Гази) к нему со множеством людей и Дубайсом ибн Садака. И разбили их (грузин) мусульмане и вошли за ними в ущелье. А грузины в ущелье напали на мусульман, и разбили их, и преследовали, убивая и уводя в плен. А у Дубайса было разграблено [имущество] стоимостью 300 тысяч динаров, а сам он невредимым прибыл в Мардин с Наджм ад-дином Иль-Гази." Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 199. стр. 156;

როგორც ვხედავთ, გადმოცემულ მოვლენებში (რომელთაც ქამალ ად-დინი ერთგვარი არათანმიმდევრობით წარმოადგენს) ჩანს შემდეგი. სადღაც 1121 წლის დასაწყისში, ილ-ღაზი და ჯვაროსნები დებენ ზავს, Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 159; რომლის მიხედვითაც, მთელ რიგ ტერიტორიებთან ერთად, ჯვაროსნებს უნდა დაუბრუნდეს ილ-ღაზის მიერ 1119 წელს დაპყრობილი მნიშვნელოვანი ციხე ალ-ასარიბი, რომლის გარნიზონიც უარს აცხადებს ციხის გადაცემაზე (ე.ი. არ არსებობს ამის არავითარი სამხედრო აუცილებლობა). გარდა ამისა, ილ-ღაზი ბრძანებას აძლევს თავის შვილს, რომელიც იმ დროს ალეპოს გამგებელია, დაანგრიოს შარიფის ციხე, რომლის გარნიზონიც მოტყუებით გამოჰყავთ ციხიდან (ე.ი. არც ამ ციხის დანგრევის სამხედრო აუცილებლობა არსებობს). ამასთან, ეს ბრძანება სრულდება უკვე ილ-ღაზის საქართველოში ყოფნის დროს, 1121 წლის აგვისტო-სექტემბერში.

აღნიშნულ მოვლენებს, ქამალ ად-დინი პირდაპირ აყოლებს ილ-ღაზისა და დუბაისის საქართველოში ლაშქრობის ამბავს, საიდანაც უნდა ჩანდეს, რომ ამ ზავის დადებაც და ჯვაროსნების მიმართ არასამხედრო აუცილებლობით გამოწვეული დათმობებიც, საქართველოში ილ-ღაზის ლაშქრობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ილ-ღაზის საქართველოში ყოფნის დროს, ედესის გრაფი ჟოსლინი არბევს ალეპოს ტერიტორიებს, რაზედაც ალეპოს გამგებელმა სულეიმანმა (ილ-ღაზის შვილმა) ბალდუინს პროტესტი განუცხადა ზავის პირობების დარღვევის გამო: "И направил наместник Халеба [послание] Балдуину по поводу этого, где говорилось: Поистине Наджм ад-дин не оставил бы эту область без войск, если бы не был уверен в [соблюдении условий] соглашения». И ответил [Балдуин]: «Это дело не мое, а Жослена. И [за этим] последовали многочисленные набеги Жослена." Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 197. стр. 155;

მიუხედავად ილ-ღაზის ასეთი "ნდობისა" ბალდუინის მიმართ, ჟოსლინის რეიდების შემდეგ, დაიწყო თავად ბალდუინისა და სულეიმანის სამხედრო კონფლიქტიც, რომლის დროსაც იერუსალიმის მეფე ალ-ასარიბის (რომელიც ილ-ღაზის იურიდიულად უკვე მიცემული ჰქონდა ჯვაროსნებზე და რომლის ჩაბარებაზეც უარი გარნიზონმა განაცხადა) დაბრუნებას ცდილობდა: " Затем франки направились к воротам Халеба, захватив по пути Хадир Тай и другие местности. И вышли к ним хаджиб Насир и войско и разбили их, а некоторое число их убили. А Балдуин вышел в джумада II (515 г. х. = 17 августа — 14 сентября 1121 г.) и бился за Ханасиру, взял ее, и разрушил, и перенес ворота ее крепости в Антиохию. И расположился он в Бурдж Сина, и сделал с ней то же самое, и то же сделал с крепостями ан-Нукры и ал-Ахса, и брал в плен, жег и грабил.И вернулся [Балдуин], и расположился в Силда, на реке Кувайк. К нему прибыл Атсыз ибн Турк и побуждал его заключить мир с Сулайманом. И сказал [Балдуин]: Соглашусь при условии, что Сулайман отдаст мне ал-Асариб, чтобы я укрепился в нем и был настолько уверен в его безопасности, что мог сражаться [на землях] вне его." Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 201. стр. 157.

როდესაც ილ-ღაზი საქართველოდან დაბრუნდა, მას დახვდა შეცვლილი ვითარება. ტერიტორიების ნაწილი, გარდა იმისა რაც ზავის პირობებით იყო გადაცემული, ჯვაროს-

ნების ხელში იყო გადასული, ხოლო ილ-ღაზის შვილი სულეიმანი, რომელმაც დაკარგა ეს ტერიტორიები, აჯანყებული იყო მამის წინააღმდეგ ალეპოს მიტაცების მიზნით. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 160.

საქართველოში დამარცხებულმა ილ-ღაზიმ, სიტუაციის მონესრიგება შემდეგნაირად დაიწყო. 1121 წლის 13 ნოემბერს (აგვისტოში საქართველოში დამარცხებული ამ დროისთვის უკვე ალეპოში იყო) აიღო ალეპო და დასაჯა აჯანყებულები, ხოლო ამის შემდეგ დაიწყო სამხედრო მოქმედებები ჯვაროსნების წინააღმდეგ. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. pp. 160-161.

როდესაც ბალდუინს მის წინააღმდეგ ილ-ღაზის გალაშქრების ამბავი აცნობეს, იგი ამას დიდხანს არ იჯერებდა, რადგან, როგორც ჩანს, სულეიმანთან წარმოებულ სამხედრო კამპანიას (ალბათ, როგორც ილ-ღაზის წინააღმდეგ აჯანყებულისას) და ალ-ასარიბის დაპყრობის მცდელობას, რომელიც ილ-ღაზის მისთვის ზავის პირობით ადრევე ჰქონდა დათმობილი, იგი ზავის პირობების დარღვევად არ თვლიდა: "И сообщил ему о переходе Иль-Гази через Евфрат и о том, что стало ему известно о намерениях Иль-Гази, и Балдуин ему ответил: Мы ни в чем не нарушили последнее соглашение заключенное с Иль-Гази, и в его отсутствие (ე.ი. საქართველოში ყოფნის დროს. ს.მ.) считались со всеми его приобретениями. Я уже стар, имею некоторый опыт и не думаю, что он совершит вероломство." Камал ад-дин. Сливки Истории Халеба. 203. стр. 159.

როგორც ვხედავთ, ილ-ღაზის საქართველოში ყოფნის დროს ბალდუინი მკაცრად იცავდა ილ-ღაზთან დადებული ზავის პირობას (მისთვის, აჯანყებულ სულეიმანთან ბრძოლა და ალ-ასარიბზე შეტევა, როგორც აღვნიშნეთ, არ განიხილებოდა ზავის დარღვევად) და ძალიან გაკვირვებული დარჩა, როდესაც მან მის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები დაიწყო. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 161.

მთლიანობაში ეს ვრცელი მიმოხილვა ნიშნავს შემდეგს: 1121 წლის დასაწყისისთვის ილ-ღაზი ცხადდება საქართველოს წინააღმდეგ დანიშნული ჯიჰადის ხელმძღვანელად, რომლის შესრულებისთვისაც მას ესაჭიროებოდა ზავი ჯვაროსნებთან და დრო საქართველოში ლაშქრობის მოსამზადებლად. იგი ისეთ მაღალ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ მისიას, რომ წავიდა ტერიტორიულ დათმობებზე ჯვაროსნებთან და დაუბრუნა მათ ბრძოლაში მოპოვებული ტერიტორიების ნაწილი და დადო ზავი. ილ-ღაზის არ ყოფნაში ჯვაროსანთა პოლიტიკური ლიდერი, იერუსალიმის მეფე ბალდუინ II ცდილობს დაიცვას ზავის პირობები და მუსლიმებთან სამხედრო კონფლიქტში შედის მხოლოდ მას შემდეგ, რაც ილ-ღაზის ვაჟი სულეიმანი გამოდის მამის დაქვემდებარებიდან და, შესაბამისად, ზავის მოქმედების პირობებიდან. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ბალდუინი იცავს ილ-ღაზთან დადებული ზავის პირობებს, რაც მის საქართველოსთან მოკავშირეობას გამორიცხავს. საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის არავითარი სამოკავშირეო ურთიერთობები არ არსებობს და შესაბამისად, ქართველი მეფის დასახმარებლად რაიმე სამხედრო ძალის გაგზავნაზე საუბარიც კი ზედმეტია. იერუსალიმის მეფისთვის ილ-ღაზის ლაშქრობა საქართველოში მხოლოდ ხელსაყრელი შემთხვევაა საკუთარი პოლიტიკური მიზნების სარეალიზაციოდ სირიაში და აშკარად ჩანს, რომ საქართველოს საკითხი მას არც აღელვებს და არც აინტერესებს, რაც ასე არ იქნებოდა დავით აღმაშენებელთან მისი მოკავშირეობის შემთხვევაში.

ბევრად მოკლედ და ლაკონიურად გადმოსცემს ილ-ღაზისა და ბალდუინს შორის დადებული ზავის პირობებს იბნ ალ-კალანისი, რომლის მიხედვითაც, ორივე მხარე შეთანხმებულა, რომ დაამყარებდნენ მეგობრულ ურთიერთობებს ერთმანეთისთვის ზიანის მიყენების გარეშე. the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. p. 162; როგორც დავინახეთ, გარკვეული პერიოდი, სანამ მიმდინარეობდა ილ-ღაზის საქართველოში ლაშქრობა, "მეგობრული ურთიერთობა" ილ-ღაზისა და ჯვაროსნებს შორის ნამდვილად შენარჩუნებული იყო.

რასაკვირველია, ამ მიმოხილვის შემდეგ დავით აღმაშენებელსა და ბალდუინ II-ს შო-

რის რაიმე კავშირზე და კოორდინაციაზე საუბარი, რის ვარაუდსაც იოანე ბატონიშვილის "კალმასობის" ნახევრად ზღაპრულ ცნობაზე დაყრდნობით საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი ქართულ ისტორიოგრაფიაში (საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 239; შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 63-71; ქ.ჩხატარაიშვილი. ი.შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა. გვ. 9; შ. ბადრიძე. საქართველო და ჯვაროსნები. გვ. 14, შენ. 1; რ. მეტრეველი. დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. გვ. 359) და ა.შ. სრულიად გამორიცხულია. ისევე როგორც გამორიცხული იყო ჯვაროსანი რაინდების მონაწილეობა დიდგორის ბრძოლაში, რაც ბალდუინის და ილ-ღაზის შეთანხმების პირდაპირი დარღვევა იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში ილ-ღაზის ვერაგობა, რასაც ბალდუინი არ იჯერებდა, მისთვის სავსებით მოსალოდნელი იქნებოდა.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ დავით აღმაშენებლის მეფობისას, ჯვაროსნებსა და საქართველოს სამეფოს შორის რაიმე პოლიტიკური ან სამხედრო ურთიერთკავშირი რელიგიური განსხვავებების გამო გამორიცხულად მიაჩნდა ჯვაროსნული ეპოქისა და აღმოსავლეთის ისტორიის ისეთ ცნობილ მკვლევარს, როგორიც იყო სტივენ რანსიმენი. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p.160.

44. ის დახმარება, რაც ჯვაროსნებს შეიძლებოდა მიეღოთ საქართველოს ფაქტორიდან, მათ ილ-ღაზის სირიიდან წასვლით მიიღეს და მათი შემდგომი ამოცანა ნამდვილად არ იქნებოდა ილ-ღაზის უკან სწრაფად დაბრუნება (იმის მიუხედავად გამარჯვებული იქნებოდა იგი, თუ დამარცხებული). ასე რომ ჯვაროსნებს არ ექნებოდათ იმის მოტივაცია, ხელი შეეწყოთ სელჯუკთა სწრაფი დამარცხებისთვის სამხედრო ძალის საქართველოში გაგზავნით (ეს რომ შესძლებოდათ კიდეც). თავისი სამხედრო ძალები მათ სირია-პალესტინაში სჭირდებოდათ, სადაც ილ-ღაზის გარდა, კიდევ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდათ.

45. შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 93. შენ. 6. გოტიეს ქრონიკის გამომცემლები (ტ. ესბრიჯი, ს. ედგინდტონი), ისევე როგორც დევიდ ნიკოლე, დავით აღმაშენებლის არმიაში შემავალ, გოტიეს მიერ მოხსენიებულ ფრანკებს ჩვეულებრივ მოქირავნეებად მიიჩნევენ და არა ჯვაროსან რაინდებად. Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 169; David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia. p. 79.

46. გარდა ყოველივე აღნიშნულისა, საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის რაიმე კოორდინაციისა და მოკავშირეობის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს მრავალი სხვა გარემოებაც. მაგალითად ის, რომ საქართველოს სამეფო ოჯახთან, ან სხვა ქართულ არისტოკრატულ საგვარეულოსთან, არ შემდგარა ჯვაროსნების არც ერთი დინასტიური ქორწინება, რაც მოკავშირეობის პირობებში არათუ ბუნებრივი, არამედ აუცილებელიც იქნებოდა. შედარებისთვის შეიძლება აღინიშნოს, რომ ჯვაროსნები ასეთი ქორწინებებით ხშირად ცდილობდნენ მოკავშირეთა შეძენას მუსლიმების წინააღმდეგ. ხშირი იყო მათი ქორწინებები ბიზანტიის საიმპერატორო კართან, კილიკიელი სომხების სამეფო ოჯახთან, დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. იყო მცდელობები თვით მუსლიმებთან დანათესავებისა, მაგალითად, როდესაც რიჩარდ ლომგული სთავაზობდა სალადინს რიჩარდის დისა და სალადინის ძმის ქორწინებას. Ги Фо. Дело Тамплиеров. Сантк-Петербург. "ЄВРАЗИЯ." 2004. стр. 147; Альбер Шамдор. Саладин. Благородный Герой Ислама. стр. 301-303; John Matthews. Bob Stewart. Warriors of Christendom. pp. 165.

1. ქ. ჩხატარაიშვილი. ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. თბილისი. "მეცნიერება". 1979. გვ.34-119; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 135-144; თ. პაპუაშვილი. დავით აღმაშენებლის ეპოქაში საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების საკითხები. მიაეხს. № 3. 1989. გვ. 27; გ. ანჩაბაძე. სამხედრო ისტორია. გვ. 33.

2. დავით აღმაშენებლის მემატიანეს ცნობით, 1123 წელს, როდესაც დავით აღმაშენებელი ბასიანში ლაშქრობის შემდეგ იდგა თრიალეთში, მასთან "მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოახსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბოჟანას წყაროთა ზედა მდგომსა. და მსწრაფლ წიგნები წვევისა წარსცა ყოველთა, და მესამესა დღესა სამოცი ათასი მხედარი წინაშე უდგა" (ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 344-355).

ამ ცნობის მიხედვით გამოდის, რომ სამი დღის განმავლობაში მეფეს 60 ათასი ცხენოსანი მეომრის მობილიზება მოუხდენია, რაც უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. რა სიდიდისაც უნდა ყოფილიყო ფეოდალური ლაშქარი (რასაკვირველია, არა 60 ათასი), მისი სამ დღეში შეგროვება წარმოუდგენელი იყო. ე.ი. გამოდის, რომ სამ დღეში სამეფოს მთელ ტერიტორიაზე "წვევის წიგნების" დაგზავნაც მოასწრეს, ჯარის შეკრებაც და თრიალეთში მეფესთან საბრძოლო მზადყოფნით გამოცხადებაც. როგორ შეიძლებოდა სამ დღეში ცხენის სისწრაფეზე დამოკიდებული მეფის ბრძანება ჩასულიყო, მაგალითად, დასავლეთ საქართველოში, აქ დათვლილ დროში მომხდარიყო მეომართა შეგროვება, სამარშო კოლონების ორგანიზება, მისი მომარაგება პროდუქტებით, ფურაჟით და სხვა აუცილებელით, ამის შემდეგ თრიალეთამდე არსებული დისტანციის გავლა და მესამე დღეს მეფესთან გამოცხადება. ასეთი რამ, არათუ XI-ე საუკუნეში, თანამედროვე ტრანსპორტირებისა და კომუნიკაციების პირობებშიც კი საკმაოდ რთული განსახორციელებელია. "წვევის წიგნების"-ა და გაწვევის სისტემის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. თბილისი. "მეცნიერება." 1982. გვ. 287-288.

ივ. შაიშმელაშვილი ვარაუდობდა, რომ ასეთ შემთხვევებში არმიის მობილიზება სასიგნალო კოშკების გამოყენებით ხდებოდა (ქ. ჩხატარაიშვილი. ივ. შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა. გვ. 59), რაც ასევე არადამაჯერებელია. სასიგნალო კოშკების (ან რაიმე სხვა სახის შუალედური წერტილების) მეშვეობით საკმაოდ შეზღუდული ხასიათის ინფორმაციის გაგზავნა იყო შესაძლებელი. მათი საშუალებით სამეფოს ყველა კუთხეში იმის გადაცემა, თუ რამდენ ხანში, რა რაოდენობით, სად და ა.შ. უნდა მოგროვილიყო არმია, ძალიან ძნელ (ალბათ შეუძლებელ) საქმეს წარმოადგენდა. ხოლო იმ ინფორმაციის გადაცემა, თუ რამდენი ხნით და რომელი მიმართულებით ხდებოდა ლაშქრობის ორგანიზება, რაც იმასაც ნიშნავდა, თუ რა რაოდენობის პროდუქტი და სხვა აუცილებელი მარაგებით უნდა მომხდარიყო არმიის უზრუნველყოფა, საერთოდ წარმოუდგენელი იქნებოდა. სამ დღეში დიდი ლაშქრის თავმოყრა შეუძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაშიც, "წვევის წიგნების" დასაგზავნად მტრედებიც რომ გამოეყენებინათ. ლაშქრის ორგანიზება გარკვეული ადმინისტრაციული სისტემის მოქმედებაში მოყვანას ნიშნავდა და მისი ამუშავება, ერთი ბრძანებით სამი დღის განმავლობაში იმ პერიოდში ვერაფრით მოხდებოდა.

ბასილი ეზოსმოძღვარი ქართული არმიის შეკრების ვადად 10 დღეს მიუთითებს. „ესე უბრძანა (თამარ მეფემ — ს.მ.) და ბრძანება საქმე იყო. და ათსა შინა დღესა, ვითარცა გროი შავარდენთა, მოფრინდა ყოველი მხედარი, ყოვლით-კერძო, სავსენი სიხარულითა, რომელნი ძალით იპყრობოდეს თავთა შინა თვისთა. შეკრბეს სომხითს შინა, და მივიდა თამარ და იხილნა, დაყვნეს მცირედნი დღენი მათცა ლოცვისათვის." ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 125-126.

როგორც ვხედავთ, თამარის არმია სომხითში, ხოლო დავითის არმია თრიალეთში შეი-

კრიბა, ორივე ერთმანეთის მეზობელი რეგიონებია და დისტანციის თვალსაზრისით მათ შორის დიდი განსხვავება არ არის. დავითის მემატიანის მიხედვით, არმია სამ დღეში შეიკრიბა, რაც არა რეალურია, ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით კი, ათ დღეში, რაც სინამდვილესთან შედარებით ახლოს უნდა იყოს.

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო ცნობა აქვს დაცული თამარის პირველ ისტორიკოსსაც, რომლის მიხედვითაც, ნაჭარმაგევში მდგომმა გიორგი III-მ სასწრაფოდ ბრძანა ლაშქრის შეკრება ანისის დასახმარებლად, რომელსაც მტერი ემუქრებოდა („იხმნა დასნი და დასნი"). გიორგისთან მოკლე დროში მხოლოდ შიდა ქართლის (ზენა სოფლის) ლაშქარი გამოცხადდა და რადგანაც იგი ანისის დახმარებას ძალიან ჩქარობდა, აღარ დაელოდა ლიხთ-იმერეთის მოლაშქრეებს, რომელთაც, ბუნებრივია, მოსასვლელად გარკვეული დრო სჭირდებოდათ და მცირე ლაშქრით წავიდა მტრის წინააღმდეგ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 7). აშკარაა, რომ დასავლეთ საქართველოს ლაშქარს შესაგროვებლად და ნაჭარმაგევამდე მისასვლელად სამ დღეზე მეტი დასჭირდა. ბუნებრივია, უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა მას თრიალეთამდე მისასვლელადაც.

არმიის თავმოყრის ვადას, უზრუნველყოფისთვის აუცილებელ დროსთან ერთად, ქვეყნის სიდიდეც განაპირობებდა. დიდი ტერიტორიების მქონე ქვეყნებს, შეკრების ადგილამდე გასავლელი მანძილის გათვალისწინებით, მეომართა შესაგროვებლად, ბუნებრივია, მეტი დრო სჭირდებოდათ, ვიდრე მცირე სახელმწიფოებს. მაგალითად, დავით აღმაშენებლის თანადროულ იერუსალიმის სამეფოში, რომელიც საქართველოსთან შედარებით უფრო პატარა ქვეყანა იყო, არმიის შეკრების ვადას ორი კვირა წარმოადგენდა (Режин Перну. Крестоносцы. стр. 129), მალიქ-შაჰის დროს სელჯუკური არმიის შეკრების ვადას კი 10-20 დღეში ვარაუდობენ (Р. А. Гусейнов. Сельджукская военная организация. стр. 135). ეს მონაცემები ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობის შედარებით სისწორეს უნდა ადასტურებდნენ, რის მიხედვითაც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ არმიის შეკრების ვადა საქართველოში სამი კვირის ფარგლებში იქნებოდა.

3. XI საუკუნის I მეოთხედის (ბასილი II-ს მეფობის) ჩათვლით, ბიზანტიის შეიარაღებული ძალების საერთო სიდიდე (ყველა სახეობის მეომართა ჩათვლით) 120-140 ათასის ფარგლებში ივარაუდება (Шарль Диль. Основные проблемы Византийской Истории, стр. 85; Андре Гийу. Византийская Цивилизация, Екатеринебург, "У-Фактория", 2005, стр. 175-177), საიდანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საიმპერატორო საველე არმიის სიდიდე 24 200 მეომარი იყო. XI საუკუნის მიწურულისთვის შეიარაღებული ძალების საერთო რიცხვი არ აჭარბებდა 50-70 ათასს, საიდანაც ბიზანტიის იმპერატორებს (კომნენოსებს) 20 ათასზე უფრო რიცხვმრავალი საველე არმია ბრძოლის ველზე არასოდეს ჰყოლიათ (Steven Runciman. A History of the Crusades. v, I, pp. 340-341; John Haldon. Byzantium at War, pp. 56-57), კომნენოსების დინასტიის შემდეგ კი ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაეცა. XII-XIII საუკუნეებში 10-12 ათასიანი არმია ბიზანტიის იმპერიისთვის უკვე გიგანტურ სამხედრო ძალას წარმოადგენდა (Ian Heath. Byzantine Armies, AD 1118-1461, pp. 10-11).

კომნენოსებამდე, ერთადერთი გამონაკლისი მანციკერტის ბრძოლა იყო, სადაც თითქმის ტოტალური მობილიზაციისა და მოქირავნეთა მასიური დაქირავების შედეგად უფრო დიდი არმიის თავმოყრა გახდა შესაძლებელი.

4. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 102. стр. 113. სელჯუკთა იმპერიის სამხედრო ძალის რაოდენობას 400 ათასში მიუთითებდა ნიზამ ალ-მულკიც. Низам ал-мульк. Сиасет-наме. глава 42. стр. 167;

5. John France. Victory in the East. A Military History of the First Crusade, p. 157, 174.

6. Л. А. Семенова. Из истории средневековой Сирии, стр. 29.

7. Dana Carleton Munro. Letters of the Crusaders. Original Sources of European History, pp. 6-7.

8. David Nicolle. Hattin 1187. Saladins Greatest Victory, pp. 39-40;

9. 1066 წელს ჰასტინგის ბრძოლაში, რასაც ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობა მოჰყვა შედეგად, ვილჰელმ დამპყრობელის არმია 7-8 ათასს, ხოლო ინგლისის არმიაც, დაახლოებით, ამდენსვე ითვლიდა. Филипп Контамин. Война в средние века. стр. 64-65; В. В. Штокмар. История Англии в средние века. Сантк-Петербург. "Алетейя." 2000. стр. 45; Девид Ч. Дуглас. Норманы от завоеваний к достижениям. Санкт-Петербург. "Евразия." 2003. стр. 121; John France. Victory in the East. A Military History of the First Crusade. pp. 2-5; J. F. Verbruggen. the Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages. p. 7; Antonio Santosuosso. Barbarians, Marauders, and Infidels, the Ways of Medieval Warfare. pp. 158-160.

ი. ვერბრუგენს მოჰყავს მაგალითი, როდესაც 1119 წელს ბრემიულთან საფრანგეთის არმია მეფე ლუი VI-ის მეთაურობით 400 რაინდით ებრძოდა ინგლისის მეფე ჰენრი I-ის არმიას, რომლის შემადგენლობაშიც 500 რაინდი იყო. ე. ი. რამდენადაც ერთი რაინდის გვერდით ყოველთვის ივარაუდება დამატებით სამი-ოთხი ქვეითი მეომარი, ამ ბრძოლაში არცერთი სამეფოს არმია მთლიანობაში არ აჭარბებდა 2000 მეომარს. J. F. Verbruggen. the Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages. p. 9.

10. Девид Ч. Дуглас. Норманы от завоеваний к достижениям. 121; Джон Норвич. Нормандцы в Сицилии, Второе нормандское завоевание 1016-1130. Москва. "Центрополиграф." 2005. стр. 179; 700 რაინდი, ე.ი. სულ 2100-2800 მეომარი.

11. Г. Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории. т. I. стр. 143.

12. Г. Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории. т. III. стр. 106-107; В. В. Штокмар. История Англии в средние века. стр. 47-49; 6 ათასი რაინდი და დაახლოებით 18 ათასი ქვეითი მეომარი.

13. the Economic History of Bizantium from the Seven trough the Fifteenth Century. Editor in Chief Angeliki E. Laiou. "Dumbarton Oaks Reserch Library and Collection." 2002. p. 51.

14. ფეოდალურ ლაშქარში სამხედრო ვალდებულთა გაწვევის სირთულე ძალიან კარგად ჩანს გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადებიდან", რომლის მიხედვითაც იმ რეგიონს, თემსა თუ ინდივიდუალურ პიროვნებას, რომლებიც თავს არიდებდნენ ლაშქარში გაწვევას, ედებოდათ საკმაოდ მკაცრი ეკონომიკური სასჯელი: "რომელიც ქვეყანა და თემი აწვიეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელმან და ჟამიერად არ გამოვიდნენ, ქვეყანამან თუ სოფელმან და ანუ ერთმან კაცმან და რაზომცაღა კაცმან დააკლოს ლაშქრობა, ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაიჭიროს სასეფოდ, და თვითო ხარი წაეგვაროს სასეფოდ. და მეორეს წელიწადს მამული ისევ ებოძოს ერისთვისა და განმგებლისგან საურავითა.". გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ი დოლიძის რედაქციით. თბილისი. 1963. გვ. 410-411.

კანონის ამ მუხლის მიღების აუცილებლობა, ბუნებრივია, სამხედრო სამსახურიდან თავის არიდების ტენდენციის არსებობას უნდა განეპირობებინა. განსაკუთრებით საყურადღებო უნდა იყოს ის ფაქტორი, რომ ლაშქრობიდან თავის არიდება (დეზერტირობა) არა მარტო ცალკეული პირების, არამედ მთელი რეგიონების შემთხვევებშიც ხდებოდა, რაც ფეოდალური სისტემის ტიპიურ მოვლენას წარმოადგენდა.

15. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი ტ. III. თბილისი. «მეც-

ნიერება.» 1982. გვ. 55; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 566.

მონღოლთა სამხედრო ორგანიზაცია არ წარმოადგენდა ფეოდალური გაწვევის სისტემას და სამხედრო სამსახურისთვის არ ითვალისწინებდა მოსახლეობის სოციალურ ფენებად დაყოფას, რის გამოც საქართველოში გამოვიდა სამხედრო ვალდებულთა ასეთი მაღალი რიცხვი. ამასთან, XIII საუკუნისთვის საქართველოს სამეფოს ტერიტორიები ბევრად ვრცელი, ხოლო მოსახლეობის რაოდენობა, შესაბამისად, ბევრად მეტი იქნებოდა, ვიდრე დავით აღმაშენებლის დროს. ამის შესახებ იხ. მ. ბერძნიშვილი. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს. საქართველო რუსთაველის ხანაში. თბილისი, 1966, გვ. 52-65; მ. სანაძე. თ. ბერაძე. კ. თოფურია. საქართველოს ისტორიული ატლასი, თბილისი, „საქართველოს მაცნე", 2003, რუქა № 17-18.

16. Ian Westwell. Nick Grant. Warriors. p. 24-25.

17. Н. Секунда. Армия Александра Великого. Москва. "Астрель-Аст." 2004. стр. 26-28; Джон Фуллер. Военное искусство Александра Великого. Москва. "Центрполиграф." 2003. стр 50-54;

18. Питер Коннолли. Греция и Рим, Энциклопедия военной истории. Москва. "ЭКСМО-Пресс." 2000. стр. 225-227.

19. Д. Николле. Янычары. Москва. "Аст-Астрель." 2004. стр. 3-71; Daniel Pipes. Slave Soldiers and Islam: the Genesis of a Military System. New Haven. "Yale University Press." 1981. pp.24-37; Terence Wise. Armies of the Crusades. pp. 20-25.

20. Terence Wise. Armies of the Crusades. p. 18; Ф. М. Асадов. Тюркская гвардия Аббасидов. Арабские источники о тюрках в раннее средневековье Баку. 1993. стр. 21.

21. Terence Wise. Armies of the Crusades. pp. 20-25.

22. Ian Heath. Byzantine Armies. AD 1118-1461. pp. 12-13.

23. Т. Уайз. Армии Средневековой Европы. стр. 4-5;

24. ივ. ჯავახიშვილი აპრიორულად თვლიდა რომ მეფის მონასპა ყივჩაღებისგან უნდა ყოფილიყო დაკომპლექტებული. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი. ტ. II. გვ. 215; რაც სავსებით სწორად გამოიყურება იმის გათვალისწინებით, რომ მონასპის ხსენება ქართულ წყაროებში ყივჩაღების სახელის გამოჩენამდე, არსად არ ჩანს.

ისტორიოგრაფიაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ დავით აღმაშენებლის გვარდიის ფუნქციები შიდა ქართლის ფეოდალურ ლაშქარს უნდა შეესრულებინა. კ. გრიგოლია. "დავითის ცხოვრებაში" დამონმებული ერთი ტერმინის განმარტებისთვის. ქნ. III. გვ. 117-122; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 163-165; ამ მოსაზრების საფუძველს წარმოადგენდა დავითის ისტორიკოსთან მოხსენიებული ტერმინი "შიდა სპა."

ფეოდალური გაწვევის პრინციპით დაკომპლექტებულ სამხედრო რაზმს არაფრით შეეძლო გვარდიული ფუნქციების (ე.ი. მუდმივად მეფის გვერდით იარაღით ხელში ყოფნა) შესრულება. აღმოსავლური გვარდიების მონებით დაკომპლექტება იმას ნიშნავდა, რომ ამ კატეგორიის მეომრებზე არ ვრცელდებოდა სახელმწიფოებრივი სამართლის ის ნორმები, რომელიც სოციალურ ურთიერთობებს აწესრიგებდნენ. დავითის ისტორიკოსთან ტერმინ "მონასპის" გამოჩენა, აშკარად აღმოსავლური გვარდიების გავლენით უნდა იყოს განპირობებული. სადაც თავისთავად იგულისხმებოდა, რომ გვარდიელი,

"მონა" (ე.ი. სოციალური უფლებებისა და ვალდებულებებისგან თავისუფალი პირი და არა პირდაპირი მნიშვნელობის "მონა") უნდა ყოფილიყო. საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, ეს ინსტიტუტი მისი თავდაპირველი, "აღმოსავლური" სახით არ განვითარებულა და არც შეიძლებოდა განვითარებულიყო, თუმცა მოხდა ამ ტიპის სამხედრო ნანილის სახელის ერთგვარი „კოპირება", რაც სწორედ იმის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რომ ამ კატეგორიის მეომრები თავისუფლები იყვნენ ფეოდალური ვალდებულებებისგან და მათი სამსახური რეგულირდებოდა არა საქართველოს სამეფოში მოქმედი სამხედრო-ფეოდალურ ვალდებულებათა კანონმდებლობით, არამედ მეფესა და ამ მეომრებს შორის დადებული შეთანხმებებით.

რაც შეეხება თავად ტერმინ "შიდა სპას," თავის დროზე, გ. ანჩაბაძემ, ჩვენი აზრით, სავსებით დამაჯერებლად დაასაბუთა, რომ ამ სახელის ქვეშ იგულისხმებოდა არა მეფის გვარდია, არამედ დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ლაშქარი. გ. ანჩაბაძე. "შიდა ლაშქრის" ("შიდა სპის") მნიშვნელობის გარკვევისთვის. მიაეხს. №1. 1987. გვ. 83-89.

25. Ф. М. Асадов. Тюркская гвардия Аббасидов. стр. 21; ლ. გუმილიოვის მიხედვით, 70 ათას თურქ მოქირავნეს წელწადში 2 მილიონ ოქროს დინარს უხდიდნენ. Л. Н. Гумилев. Открытие Хазарии. Санкт-Петербург. "КРИСТАЛЛ." Москва. "ОНИКС." 2003. стр. 204-205.

26. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Соощения о сельджукском государстве. глава. 26. стр. 75; 300 ათასი დინარის ასტრონომიული სიდიდე კარგად ჩანს ალ-ჰუსაინის სხვა ცნობიდანაც, რომლის მიხედვითაც სელჯუკთა დიდი ვეზირი, ნიზამ ალ-მულკი დაასმინეს მალიქ-შაჰთან, რომ იგი ყოველწლიურად 300 ათას დინარს ხარჯავდა რელიგიურ საქმეებზე, მაშინ როდესაც ეს თანხა არმიაზე რომ დახარჯულიყო, სელჯუკები კონსტანტინოპოლის აღებას შესძლებდნენ: "Низам ал-мулк расходует ежегодно на факихов, суфиев и чтецов Корана 300 тысяч динаров. Если этой суммой снабдить войско, то оно разбило бы ворота Константинополя." Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Соощения о сельджукском государстве. глава. 26. стр. 73;

27. John Haldon. Byzantium at War. pp. 45-46, 51.

28. მაგალითად, მანციკერტის ბრძოლის დროს, ყივჩაღ მოქირავნეთა რაზმმა მიატოვა რომან დიოგენი და გადავიდა სელჯუკების მხარეზე, ხოლო ფრანკმა მოქირავნეებმა ასევე იდეზერტირეს, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა ბიზანტიელთა კატასტროფული მარცხი. Steven Runciman. A History of the Crusades. v. I. p. 63; მოგვიანებით ალანმა მოქირავნეებმა უარი განუცხადეს ბიზანტიელებს ებრძოლათ აჯანყებული რუსელის ნინააღმდეგ, სანამ ქირას არ მიიღებდნენ, ბიზანტიელებმა ამ თანხის გადახდა ვერ შესძლეს და ალანებმაც მიატოვეს ისინი. Никифор Вриенний. Исторические записки. стр. 92-93; Ю. А. Кулаковский. Избранные труды по истории Аланов и Сарматии. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2000. стр. 138-139.

29. მატიანე ქართლისას მიხედვით, ბაგრატ IV-ს 1069 წელს 40 ათასი ალანი გადმოუყვანია და მათი დახმარებით დაულაშქრავს განძა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 313; 40 ათასი მეომარი ალან მოქირავნეთათვის (თუ მოკავშირეთათვის), ძალიან გაზვიადებულ ციფრად გამოიყურება. შედარებისთვის შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დაახლოებით იმავე ხანებისთვის, ნიკიფორე ვრიენოსის მიხედვით, ბიზანტიელებს 6000 ალანი ცხენოსანი ჰყავდათ დაქირავებული, როდესაც მათთვის ქირის გადახდა ვერ შეძლეს. Никифор Вриенний. Исторические записки. стр. 92-93.

30. ქ. ჩხატარაიშვილი. უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში. გვ. 182; ზ.

ანჩაბაძე. მ. ცინცაძე. საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XIII საუკუნის I ნახევარში. გვ. 147-148.

31. აქ ერთგვარ შესადარებელ მაჩვენებლად შეიძლება გამოდგეს გიორგი მთაწმინდელის ცნობა დავით კურაპალატის 12 ათასიანი არმიის შესახებ. გიორგი მთაწმინდელი. იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება. ქართული მწერლობა. ტ. 2. თბილისი. "ნაკადული." 1987; გვ. 14.

როგორც ცნობილია, ტაოს სამეფო X საუკუნის მიწურულისთვის, უდიდეს და უძლიერეს ქართულ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელსაც ბიზანტიის საიმპერატორო კარმა სთხოვა დახმარება აჯანყებული დიდებულის, ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ. დავით კურაპალატმა გააგზავნა 12 ათასიანი არმია თორნიკე ერისთავის მეთაურობით. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. თბილისი. "საბჭოთა საქართველო." 1973. გვ. 477-478.

დავით კურაპალატს ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ თავისი ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გაეგზავნა (ბუნებრივია, გარდა იმისა, რაც სამეფოს აუცილებელი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად იქნებოდა საჭირო). ამ ლაშქრობაში სამხედრო ძალების მაქსიმალური მობილიზაციისთვის დავით კურაპალატს ორი ძირითადი მიზეზი უნდა ჰქონოდა. პირველი ის მოტივაცია, რომ გამარჯვებისთვის მას ბიზანტიისგან ვრცელი ტერიტორიები უნდა მიეღო მფლობელობაში, ხოლო მეორე, დამარცხების შემთხვევაში (რაც სკლიაროსის გაიმპერატორებას ნიშნავდა, რომელიც ქართველ მეფეს მის წინააღმდეგ გამოსვლას არ აპატიებდა), შეიძლებოდა მთელი სამეფო დაეკარგა. ამ მიზეზების გამო, დავით კურაპალატს აჯანყებული ბიზანტიელი დიდებულის წინააღმდეგ მთელი თავისი სამხედრო პოტენციალი უნდა გამოეყენებინა. დავით კურაპალატის მიერ სკლიაროსის წინააღმდეგ ტაოს სამეფოს მთელი სამხედრო ძალების გამოყენების ფაქტს უნდა მიუთითებდეს ზარზმის მონასტრის წარწერაც, რომელიც ეკუთვნის დავით კურაპალატის თანამედროვე მესხ დიდებულს, ივანე სულას ძეს, რომელიც იუწყება, რომ დავით კურაპალატმა "ჩვენ ყოველნი ლაშქარს წარგვავლინა, სკლიაროსი გავაქციეთ." თ. ჟორდანია. ქრონიკები. I. თბილისი. "არტანუჯი." 2004. გვ. 123; ლაპიდარული წარწერები. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-XII სს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. "მეცნიერება." 1980. გვ. 280-281; ივანე სულას ძის მიერ აღნიშნული "ჩვენ ყოველნი," უნდა იყოს სკლიაროსის წინააღმდეგ გამოსული ტაოს არმიის მთლიანი სიდიდე, რომელიც როგორც უკვე ვიცით გიორგი მთაწმინდელისგან (ე. ი. თორნიკე ერისთავისგან) 12 ათას მეომარს უდრიდა. თუ ამ ციფრს დავამატებთ ტაოში დარჩენილი საგარნიზონო და დაცვითი რაზმების სავარაუდო რაოდენობას 2-3 ათასი მეომრის ფარგლებში, მივიღებთ დავით კურაპალატისეული ტაოს სამეფოს სამხედრო პოტენციალის სიდიდეს, დაახლოებით, 15 ათას მეომარს.

ეს ციფრი რეალური და სხვა წყაროების მონაცემებისგან განსხვავებით, უფრო დამაჯერებელი რომ უნდა იყოს, ამაზე შემდეგი გარემოებები მიუთითებენ:

-გიორგი მთაწმინდელი არ იყო "ჩვეულებრივი" საერო მემატიანე და ის "სტანდარტული" მოტივაცია ცალკეული ისტორიული პირების ან მომხდარი მოვლენების განდიდებაგაზვიადებისა, მას ნაკლებად ჰქონდა.

-მონაცემები სკლიაროსის წინააღმდეგ გამოსული ქართული არმიის სიდიდის შესახებ უნდა მომდინარეობდეს უშუალოდ ამ არმიის სარდლის, თორნიკე ერისთავისგან, რომელსაც გიორგი მთაწმინდელის სიტყვით, სამონასტრო ცხოვრებისას უყვარდა თავისი საერო ცხოვრების ამბებზე საუბარი ("დიდი თორნიკ წყობათა შინა აღზრდილ იყო და სალაშქროთა საქმეთა, ამათ ესევითართა პირთათვის უბნობაი და ჰამბავი უყვარდა"). თორნიკე ერისთავის ძირითადი თანამოსაუბრე, ვინმე ბერი გაბრიელი ყოფილა, ვისგანაც, ალბათ, გიორგი მთაწმინდელმა მოისმინა თორნიკეს მონათხრობი სკლიაროსთან ბრძოლაზე, თორნიკე ერისთავს კი მისი სარდლობის ქვეშ მყოფი არმიის რაოდენობა სხვებზე უკეთ ეცოდინებოდა (იმ დროინდელი ქართული არმიების არცთუ დიდ მაშტაბე-

ბზე წარმოდგენის შესაქმნელად იაჰია ანტიოქიელის ის ცნობაც ღირებული უნდა იყოს, რომლის მიხედვითაც ბარდა ფოკას აჯანყების დროს, დავით კურაპალატმა ახლა უკვე ბიზანტიის იმპერატორის საწინააღმდეგოდ და ბარდა ფოკას დასახმარებლად 2 ათასი მეომარი გააგზავნა. В. Р. Розен. Император Василий Болгаробойца: Извлечения из летописи Яхья Антиохийского. стр. 25).

დავით კურაპალატის არმიის სიდიდეს ეხება "მატიანე ქართლისა," რომლის მიხედვითაც ბაგრატ III-ს წინააღმდეგ გალაშქრებული ტაო-კლარჯეთის მეფე, რომელიც "მოვიდეს და დადგეს ღლივს სპითა დიდითა, რომელთა არა იყო რიცხვ" (თუმცა ამ სიდიდეში უნდა იგულისხმებოდნენ სომხეთის მეფეებიც, რომლებიც დავითის მოკავშირეები იყვნენ).

ბაგრატ III-მ, კურაპალატის არმიის მრავალრიცხოვნობის გამო, გადაწყვიტა, რომ "ძალითა არ ეგებოდა წინააღდგომა დავით კურაპალატისა." ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 277; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 155-157.

ამ ცნობიდან აშკარაზე აშკარაა, რომ ბაგრატ III-ს არმია ბევრად მცირერიცხოვანია, ვიდრე მისი მოწინააღმდეგისა. თუ დავით კურაპალატის არმიას, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, 15 ათასის ფარგლებში განვსაზღვრავთ (რასაკვირველია, არა არითმეტიკული სიზუსტით. ამასთან ისიც საკითხავია რამდენს წაიყვანდა ბაგრატის წინააღმდეგ ტაოს მეფე), მაშინ ბაგრატის (აფხაზეთისა და ქართლის) არმია საგრძნობლად მცირე უნდა ყოფილიყო, ალბათ, მაქსიმუმ 10 ათასი, თუმცა იმისთვის, რომ ბრძოლა უაზრობად ჩათვლილიყო, ესეც დიდი მაჩვენებელია, რისი მიხედვითაც ბაგრატის არმიის სიდიდე 5-10 ათასი მეომრის ფარგლებში შეგვიძლია ვივარაუდოთ.

გარკვეული ხნის შემდეგ ბაგრატ III-მ, იგივე აფხაზთა და ქართველთა (ე.ი. დასავლეთ საქართველოსა და ქართლის) არმიით ილაშქრა კახეთში, სადაც კახეთის მთავარი დავითი "ვერ წინააღუდგა... რამეთუ იყო ძალი მისი ურიცხვი." ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 279; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 159.

როგორც ვხედავთ, ტაოს არმიის შემდეგ "ურიცხვი" უკვე აფხაზეთ-ქართლის 5-10 ათასიანი არმიაა კახეთის ძალებთან შედარებით, რომელთა სიდიდეც თავის მხრივ, 5 ათასზე ნაკლები შეგვიძლია ვივარაუდოთ.

მსგავსი ციფრებია 998 წლისათვის, როდესაც დავით კურაპალატმა შეაგროვა კოალიცია ადარბადაგანის, ხორასნისა და სხვა მაჰმადიანური საემიროების წინააღმდეგ. სომხური წყაროების მიხედვით, ქართველთა (აფხაზთა) მეფეს და ანისის მეფე გაგიკს კოალიციურ არმიაში, თითოეულს, 6000 მეომარი გაუგზავნია. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. II. გვ. 483.

ყოველივე აღნიშნულიდან, თითქოს, აშკარად გამოდის, რომ საქართველოს გაერთიანებამდე, ქართული სამეფოების სამხედრო პოტენციალი მთლიანობაში (ტაოს სამეფო 15 ათასი, ქართლი და აფხაზეთი 5-10 ათასი, კახეთი 5 ათასი), დაახლოებით, იგივე მასშტაბშია (20-30 ათასი), რაც დავით აღმაშენებლის მეფობის, ე.ი. გაერთიანებული სამეფოს დროს. წარმოდგენილი ციფრების რეალობასა და ლოგიკურობას (მხედველობაში გვაქვს ზოგადი მასშტაბი და არა რიცხობრივი სიზუსტე), კიდევ ერთხელ დამაჯერებლად უნდა უსმევდეს ხაზს.

საინტერესოა თამარის პირველი ისტორიკოსის ცნობაც გიორგი III-ს ლაშქრობის შესახებ ანისის დასახმარებლად, როდესაც იგი ვერ დაელოდა არმიის სრულ თავმოყრას და სამი ათასი მეომრის თანხლებით (რომლებსაც ამილახორი ლიპარიტ სუმბატისძე, ბექა სურამელი და ქირქიშ აბულეთის-ძე მეთაურობდნენ) წავიდა ანისისკენ. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 7, 9; ეს მეომრები შიდა ქართლიდან (ზენა სოფლიდან) იყვნენ, რადგან ნაჭარმაგევში მდგომმა მეფემ მხოლოდ მათი შეკრება მოასწრო, რაც შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ამ საკმაოდ დიდი რეგიონის სამხედრო შესაძლებლობა დასახელებულ ციფრზე ბევრად მეტი არ იქნებოდა. აქედან შესაძლებელია ზოგადი გათვლა სხვა რეგიონების შესაძლებლობებისაც, რომელთა მიხედვითაც საერთო პოტენციალი, დაახლოებით, ზემოთ ნავარაუდევის მსგავსი გამოვა.

თავი VII

დიდგორის ბრძოლა ისტორიოგრაფიასა და წერილობით წყაროებში

დიდგორის ბრძოლა ისტორიოგრაფიაში

1. შ. მესხია. ძლევა საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 94-105; ქ. ჩხატარაიშვილი. ი. შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა. გვ. 83-91; უფრო ადრე დიდგორის ბრძოლა სამხედრო კუთხით შესწავლილი აქვთ თ. დადეშქელიანს, ი. გედევანიშვილს, ს. კაკაბაძეს, რომლებიც თვლიდნენ, რომ დიდგორის ბრძოლა დიღომთან მდებარე დიდგორის მთასთან და არა „მანგლისის დიდგორთან" უნდა მომხდარიყო, რასაც სხვა მკვლევრები (ასევე ჩვენც) არ ეთანხმებიან.

2. შ. მესხია. ძლევა საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 94-105; ქ. ჩხატარაიშვილი. ი. შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა. გვ. 83-91.

3. იხ. V თავის ქვეთავი, „კოალიციის სამხედრო ძალის რაოდენობა." შენ. 26.

4. მანგლისიდან დიდგორისკენ გზა მიემართებოდა მოხის-ნაოხარის მიდამოებიდან, მის გარდა იქ ასვლა შესაძლებელი იყო მდ. ვერეს მარცხენა შენაკადებით სოფლებიდან შამთადან და დრედან. ივ. შაიშმელაშვილს ბრძოლის რეკონსტრუქციის მისეულ სქემაზე ეს გზები აღნიშნული აქვს. ქ. ჩხატარაიშვილი. ი. შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა. გვ. 41, სქემა 1.

5. ქ. ჩხატარაიშვილი. ი. შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა. გვ. 85.

6. ბერძნული ფალანგებიდან ყველაზე ღრმა წყობა ჰქონდა მაკედონურს, რომელიც მეომართა 16 მწკრივისგან შესდგებოდა. Питер Коннолли. Греция и Рим, Энциклопедия военной истории, стр. 76-78; Саймон Энглим. Филлис Дж Джестис. Роб С Райс. Скотт М Раш. Джон Серрати. Войны и Сражения Древнего Мира. Москва. "ЭКСМО." 2004 стр. 36.

7. შუასაუკუნეების ბრძოლებში, როგორც წესი, მეომრების ძალიან მაღალი რაოდენობით დაღუპვა ნაკლებად ხდებოდა. ძალიან ხშირად იყო შემთხვევები, როდესაც ორივე მხრიდან ათასობით მეომრის მონაწილეობის პირობებში, ბრძოლაში მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი იღუპებოდა. Г. Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории, том III, стр. 183; J. F. Verbruggen. the Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages, p. 9. თუმცა, რასაკვირველია, ადგილი ჰქონდა ისეთ ბრძოლებსაც, როდესაც მოწინააღმდეგეები ცდილობდნენ ერთმანეთის სრულ განადგურებას, მაგრამ დიდი არმიების მოქმედების პირობებში, არათუ 90-100%, არამედ 60-80% შედეგის მიღწევაც კი, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო. მაგალითად, ჰატინის ბრძოლაში, სადაც ჯვაროსანთა 14-15 ათასიანი არმია სრულ ალყაში მოექცა და განადგურდა, 3000 მეომარმა მაინც შესძლო ალყიდან უვნებლად გასვლა. David Nicolle. Hattin 1187. Saladins Greatest Victory, p. 79.

დიდგორის ბრძოლაში მოწინააღმდეგეს არაფრით არ შეიძლებოდა მეომართა 90% დაეკარგა. მასშტაბური ალყის არარსებობის პირობებში ძალიან ბევრი მუსლიმი მეომარი შეძლებდა ბრძოლის ველიდან თავის დაღწევას.

დანაკარგების მასშტაბებზე (საშუალოდ 10-20%) შესანიშნავად მეტყველებს, მაგალითად, ნაპოლეონის ომების სტატისტიკა, რომელიც წარმოდგენილია იან დრარის რედაქციით გამოსული კრებულის რუსულ გამოცემაში



История Войн. Иллустрированный атлас военной истории с древнейших времен до XXI века, Москва, "АСТ-АСТРЕЛЬ", 2003, стр. 121. რასაკვირელია, ნაპოლეონის დროს, როდესაც საფრანგეთის იმპერატორი მასშტაბურ ბრძოლებს აწარმოებდა, სადაც მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ცეცხლსასროლი იარაღითა და არტილერიით ანადგურებდნენ, დანაკარგები ბევრად მეტი უნდა ყოფილიყო ვიდრე შუასაუკუნეებში, როდესაც მოწინააღმდეგის განადგურება ციცი იარაღითა და კუნთის ძალით ხდებოდა.

სურათი სრული რომ იყოს, მოვიყვანთ აგრეთვე XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და სისხლიანი, სტალინგრადის ბრძოლის მაგალითსაც, სადაც მოწინააღმდეგის განადგურება თანამედროვე საბრძოლო საშუალებებით ხდებოდა. სტალინგრადის ალყაში მოექცა 230 000 გერმანელი ჯარისკაცი, რომელთაგანაც 42 000 ალყიდან გამოიყვანეს, 80 500 დაიღუპა, ხოლო 107 500 ტყვედ ჩავარდა. Пауль Карель. Восточный Фронт, книга I, Москва, "ИЗОГРАФУС", 2003, стр. 547.

8. რიცხობრივი უპირატესობის სრული ეფექტით გამოყენების კარგი მაგალითია "სისხლიანი ველის" ბრძოლა, სადაც ილ-ღაზიმ (40 ათასი მეომრით) ალყა შემოარტყა ანტიოქიის მთავრის როჯერის მცირერიცხოვან (3700 მეომარი) არმიას და თითქმის სრულად გაანადგურა. Пьер Виймар. Крестовые Походы. Миф и реальность священной войны, стр. 212; Steven Runciman. A History of the Crusades, v. II, p. 151.

პირიქით კი, ანუ მცირერიცხოვანი ძალებით მრავალრიცხოვანი არმიის ალყაში მოქცევა და განადგურება, ძალიან იშვიათად ხდებოდა და ამას როგორც წესი, მხოლოდ გენიალური მხედართმთავრები ახერხებდნენ, რისი კლასიკური მაგალითიც კანას ბრძოლაა, სადაც ძველი მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა მხედართმთავარმა ჰანიბალმა ნაკლები ძალებით (50 ათასი მეომარი), ალყაში მოაქცია და გაანადგურა რომაელთა უფრო მრავალრიცხოვანი (70 ათასამდე მეომარი) არმია. Г. Дельбрюк. История Военного Искусства в рамках политической истории, т. I, стр. 233-239; Питер Коннолли. Греция и Рим, Энциклопедия военной истории, стр. 182-188; Я. Сикорский. Канны, Москва, "АСТ", 2002, стр. 63-71.

9. ამის საუკეთესო მაგალითად ისევ კანას ბრძოლა შეიძლება იქნეს მითითებული, სა-

დაც მიუხედავად რომაული არმიის სრულ ალყაში მოქცევისა, 25 ათასი მეომარი მაინც ცოცხალი გადარჩა, რომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ალყიდან გასვლაც შეძლო. Г. Дельбрюк. История военного искусства в рамках политической истории, т. I, стр. 240-241; Питер Коннолли. Греция и Рим, Энциклопедия военной истории, стр. 188; Я. Сикорский. Канны, Москва, "АСТ", 2002, стр. 71.

10. აქ ერთგვარი შედარება შეიძლება გაკეთდეს 1187 წლის კრესონის ბრძოლასთან, სადაც 150 რაინდი ტამპლიერი თავს დაესხა მუსლიმთა (სალადინის) 7 000-იან არმიას, რომელიც გაშლილი იყო მდინარის პირას არა საბრძოლო მდგომარეობაში და ცხენებს არწყულებდა. ტამპლიერების თავდასხმა იყო ძალიან მოულოდნელი მუსლიმებისთვის და შესაბამისად ეფექტურიც, მაგრამ რაოდენობრივი განსხვავება იმდენად დიდი იყო, რომ პირველი დაბნეულობის გავლის შემდეგ, მუსლიმებმა ისინი უბრალოდ "გასრისეს." Robert Payne. the Crusades, pp. 200-201.

11. შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი, ტ. III, გვ. 96; ქ. ჩხატარაიშვილი. ივ. შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა, გვ. 84-85 (ივ. შაიშმელაშვილი აღნიშნავდა, რომ გზების ჩახერგვას მტრის ზურგში გასვლაც უნდა შეეფერხებინა); რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, გვ. 198.

"გოტიესეული" ხერგილების შესახებ სრულიად განსხვავებული შეხედულებები ჰქონდა გამოთქმული ზ. ავალიშვილს, რომელიც ხერგილებს არა ქართული არმიის შესაძლო უკანდახევის შესაჩერებელ, არამედ დავით აღმაშენებლის მიერ მოწყობილ, მოწინააღმდეგის მანევრების შემაფერხებელ საბრძოლო პოზიციის ელემენტებად განიხილავდა. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 39; რაც სამხედრო მოქმედებების დროს ნამდვილად საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა. მაგალითად, ალ-ჰუსაინი აღნიშნავდა, რომ ანისისკენ მიმავალ ალფ-არსლანის არმიას ბიზანტიელები მორების მეშვეობით უხერგავდნენ გზის ვიწრო და რთულად სავალ მონაკვეთებს. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве, глава 14, стр. 52.

12. ნ. კანდელაკი. ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება. ნარკვევები ქართული ორატორული ხელოვნების ისტორიიდან. თბილისი, 1961, გვ. 157-158; შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი, ტ. III, გვ. 95; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, გვ. 197; ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია, გვ. 165.

დავით აღმაშენებლის (გოტიესეული) სიტყვის შეფასებისას უფრო შორს წავიდა პროფ. შ. ბადრიძე, რომელმაც მოიყვანა ამ სიტყვის შემდეგი ფრაგმენტი: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისათვის და სარგებლობისთვის კარგი იქნება, ესაა რომ ჩვენ ყველამ, ხელთა ცისადმი აღპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით." მკვლევარმა, რომელიც იოანე პრესვიტერის ლეგენდარული სახისა და დავით აღმაშენებლის იგივეობის დამტკიცებას ცდილობდა (იხ. VI თავის „ექვთავი, „ ჯვაროსანი მეომრები და ქართული არმია", შენ. 32), დავითის სიტყვის ეს ფრაგმენტი სნორედ იოანე პრესვიტერისა და დავით აღმაშენებლის იგივეობის ერთ არგუმენტად მიიჩნია და აღნიშნა შემდეგი: „რა საოცრად გვაგონებს ეს სიტყვა ოტონ ფრეიზინგენელის განცხადებას: „იოვანე ხუცესი და მისი მხედრობა (რაც ჩვენი თვალსაზრისით დავით აღმაშენებელსა და მის ლაშქარს გავუტოლეთ — შ. ბ.) ბრძოლის დროს სიკვდილს უფრო ამჯობინებდნენ, ვიდრე-გაქცევასო", შ. ბადრიძე. ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე, გვ. 389, შენ. 2.

ბრძოლის დროს გაქცევას სიკვდილს ბევრი მხედართმთავარი და მეომარი ამჯობინებ-

და, რაც არ ხდებოდა მათი იოანე პრესვიტერთან გაიგივების საფუძველი. რაც შეეხება დავითის (გოტიესეულ) სიტყვას, იოანე პრესვიტერის სახეს არა, მაგრამ ჯუვეინის მიერ გადმოცემულ, ხორეზმის სულთანის ჯალალ ად-დინის მონღოლებთან ერთ-ერთი ბრძოლის წინ წარმოთქმულ სიტყვას კი, ნამდვილად ძალიან ჰგავს როგორც შინაარსით, ასევე კომპოზიციურადაც. ჯუვეინის მიხედვით ჯალალ ად-დინმა თავის მეომრებს ბრძოლის დაწყებამდე ასე მიმართა: „Великая беда приключилась с нами и огромное несчастье обрушилось на нас. Если мы позволим бессилию и трусости овладеть нами, мы не сумеем спастись. Как бы то ни было, наилучшим для нас будет оказать сопротивление и выдержать испытание. Если милость Божья будет на нашей стороне, тогда и мы, и вы будем спасены. А если дело примит другой оборот, мы не лишимся звания мучеников и счастья вечного блаженства. Как сказал Господь Всемогущий: О вы которые уверовали! Когда встречаете отряд, то будьте стойки и поминайте Аллаха много, Может быть, вы получите успех!" Ата-Мелик Джувейни. Чингисхан. История Завоевавателя Мира. стр. 308.

როგორც ვხედავთ, გოტიესა და ჯუვეინის ქრონიკებში გადმოცემული, როგორც დავით აღმაშენებლის, ასევე ჯალალ ად-დინის „სიტყვები" აბსოლუტურად ერთი და იგივე ელემენტებს შეიცავენ: ღმერთის ერთგულებით ბრძოლის აუცილებლობას, სიმხნევისა და უკან არ დახევის მოწოდებას და ასეთ შემთხვევაში იმის გარანტიას, რომ ღმერთი აუცილებლად დაეხმარებოდათ გამარჯვების მოპოვებაში და ა.შ. რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან რელიგიური ფაქტორი (როგორც ქრისტიანული ასევე მაჰმადიანური) მძლავრ იდეოლოგიურ საშუალებას წარმოადგენდა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლებისთვის და ძალიან ხშირად გადამწყვეტ როლსაც თამაშობდა სამხედრო გამარჯვების მიღწევაში. ასე, რომ რელიგიური ფაქტორის გამოყენება ბრძოლების წარმოებისას საკმაოდ ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო (ოღონდ არა ათეულ ათასობით მეომრისადმი მიმართული სიტყვის ფორმით ბრძოლის ველზე) და იოანე პრესვიტერის „მაგალითთან" მას საერთო არაფერი არ ჰქონდა.

13. შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი, ტ. III, გვ. 102; ვ. კოპალიანი. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან, გვ. 104; შ. ბადრიძე. ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე, გვ. 382, 388; ქ.ჩაატარაიშვილი. ი.შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა, გვ. 100; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი, გვ. 199; ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია, გვ. 166.

14. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба, 202, стр. 159; Steven Runciman. A History of the Crusades, v. II, pp. 160-161.

15. "И случилось так, что Иль-Гази съел много сушеного мяса, зеленых орехов, арбуз и фрукты. И вздулся его живот, и стало ему плохо. И ухудшилось его положение, и он отправился в Халеб, а его болезнь усилилась... Иль-Гази, то после нескольких дней болезнь его ослабла, и он отправился в Мардин. Затем вышел оттуда, направляясь в Мийафарикин, а по дороге болезнь усилилась, и он умер вблизи Мийафарикина, в селении, называемом Аджулин, в начале месяца рамадана 516 года (3 ноября — 2 декабря 1122 г.). Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба, 205, 206, стр. 161, თავად გოტიე ლაპარაკობს პარალიზების გამომწვევ რაღაც ავადმყოფობაზე. Walter the Chancellors the Antiochene Wars, p. 171.

16. 1122 წლის ამ კამპანიას (ზარდანის ციხე-სიმაგრის ალყას და ბალდუინ II-თან დაპირისპირებას) გოტიეც აღნიშნავს. Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 170-171; იხ აგრეთვე. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. pp. 160-161;

1. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 340-341.

2. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი. გვ. 45-47; Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 168-171.

3. ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 245-246; Matthew of Edessa. the chronicle of Matthew of Edessa. III. 83-84. pp. 226-227.

4. Из истории Майяфарикана Ибн ал-Азрака ал-Фарики. стр. 222-223;

5. Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль (полного свода истории) Ибн ал-Асира. стр. 123;

6. Р. А. Гусаинов. Из хроники Михаила Сирийца. книга 15. глава. 12. стр. 40;

7. ო. ცქიტიშვილი. სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 205-212;

8. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 199. стр. 156;

9. the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. p. 164;

10. ამ რიგის წყაროებს მიეკუთვნებიან სამუელ ანელი, ვარდანი, იაკუთი, აბულ-ფიდა და ა.შ. რომელთა ცნობებიც ძირითადათ მხოლოდ დავით აღმაშენებლის გამარჯვების კონსტატაციას ახდენენ და სხვა რაიმე ღირებულს (სამხედრო კუთხით) არ მიუთითებენ. ერთადერთი გამონაკლისია სმბატ სპარაპეტი, რომელიც ასევე არ იძლევა რაიმე ღირებულ ცნობას ბრძოლის მიმდინარეობაზე, მაგრამ გოტიესა და მათე ურჰაელის "სტილში" ასახელებს ბრძოლის მონაწილე მეომართა ფანტასტიკურ ციფრებს. E. Dulaurier. Documents armeniens. v. I. Recueil des historiens des croisades. p. 651;

11. ა. ბოგვერაძე. დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ. ქართული ისტორიოგრაფია. 2. თბილისი. "მეცნიერება." 1971. გვ. 80

12. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 340-341.

13. Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 1-4, 77-171.

14. Г. Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории. том III. стр. 170; Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 476;

15. Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 1-230.

16. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი. გვ. 45-47.

17. შედარებისთვის მოგვყავს ზ. ავალიშვილისა და 1999 წლის ლონდონის უნივერ-

სიტეტის გამოცემის ინგლისური ტექსტის თარგმანები.

—**ზ. ავალიშვილის თარგმანი:** "III. კერძოდ რას (გეტყვით) ? (ალაბით) წამოსულმა (ელღაზიმ) თურქმანთა და აგრეთვე არაბთა ურიცხვი ჯარი შეკრიბა, და ამ შეკრებულთა სიმრავლე რომ ნახა, უაღრეს ამპარტავნობით გათამამებულმა, დავით მეფის წინააღმდეგ ივერიაში ლაშქრობა გადაწყვიტა ერთ ხორასნელ სულთანთან ერთად; რათა მისი დაქცევის, ანუ განდევნის შემდეგ, თავისუფლად და სრულად შეუდგეს იერუსალიმის და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა ამოწყვეტას. ხოლო მას სიამაყით მოლაშქრეს ღვთის რისხვა წინ უდგა: იმავე დღეს, როდესაც სულთანი და თვით ელღაზი ექვსასი ათასი მეომრით მეფის ქვეყანაში საომრად შესულან, ესე მეფე დავით, წმინდა ჯვარის ნიშნით აღჭურვილი, ოთხმოცი ათასი მიდიელ და ქრისტიანი მეომრით, მოაწყო რა რაზმები, ერთ ხეობაში დადგა, ორ მთათა შუა დაბურულ ტყეში, საიდანაც ხმები იყო, რომ მტერნი შეტევას უპირებდნენ; დადგა და წარმოთქვა ესრეთ: "ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთს რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისათვის და სარგებლობისათვის კარგი იქნება, ესაა რომ ჩვენ ყველამ, ხელთა ცისადმი აღპყრობით ძლიერ ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე უფრო მოვკვდებით, ვიდრე გავიქცევით; და რომ არ შეგვეძლოს გაქცევა, რომც მოვინდომოთ, ამ ხეობის შესავალი, რომლით შევსულვართ, ხეთა ხშირ ხორგებით შევკრათ, და მტკიცე გულით მტრებს, როცა მოგვიახლოვდებიან ჩვენზე იერიშის მოსატანად, სასტიკად შევუტიოთ."

ასეთი მეფის, ამ ჭეშმარიტის და სრულის ქრისტიანის, აზრი მოწონებული, მიღებული და შესრულებულიც ყოფილა.

VI. არც დაუგვიანდა: მეფემ თითოეული რაზმი დაარიგა, ხოლო ორასი ფრანგის მეომარი რომ ჰყავდა, მოწინავეში დააყენა, პირველ დაკვრათა მისაცემად; მყისვე ხეობის მეორე ნაწილში, ანუ ფრონტზე, ჯარისკაცთა ძლიერი ყიჟინით, ცხენთა და აბჯართა უკიდურესი ხმაურობით, ურჯულოთა ზარდამცემი ბაირაღებით ჩნდებიან და იმავე დროს, სხვადასხვაგვარ საკრავთა ხმაურობათ მთა და ბარი ბანს აძლევენ. ხოლო მეფე დავით, ამდენ სიმხეცეს მოთმინებით განიცდის, და თავისიანებს მამაცი სულით ამხნევებს და ანუგეშებს; უმტკიცებს, რომ უსჯულოთა გაამაყებული სიმრავლე, ძალითა და შეწევნითა წმინდა ჯვარისა, ნაკლების ჯარით და სწრაფად დაითრგუნება. ამის შემდგომად, დაინახეს რა ურიცხვი ბრბო, ქრისტეს მსახურნი, ამაყის სულით გატაცებულნი, უაღრესი ყიჟინით თავს დაესხნენ მათ; ხოლო უფლის ძალით, პირველ შეტაკებისთანავე ბრმავდებიან და ფრანგთა მიერ გაქცეულნი იფანტებიან. ღვთის რისხვით, ბოროტნი ქრისტეს მსახურთა და მიდიელთა მახვილის მსხვერპლად იქცევიან; და გავიგეთ ამ ომის მნახველთაგან, რომ სამი დღის მანძილზე, გაქცეულთა ოთხასი ათასი მოისრნენ მეფის მახვილითა.

თვით ელღაზი, თავში დაჭრილი, დაჰკარგა რა თითქმის ყოველივე, ღვთის ნებართვით მცირეოდენ ლტოლვილით, უიარაღო და დამშეული, არაბთა მეფის წინამძღოლობით დაბრუნდა, ნახევრად მკვდარი....." ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი. გვ. 45-47;

—**ლონდონის უნივერსიტეტის გამოცემის ინგლისური ტექსტი:** "What happened in detail? He set out, he assembled an enormous horde of Turcomans as well as Arabs and when they were assembled and he saw so great a multitude, he was carried away by a feeling of immense arrogance, and he decided to ride against King David in Iberia with one of the sultans of Khorasan, so that once he had been killed or disinherited, Il-ghazi would be able to kill the Christians and subjugate Jerusalem and Antioch freely and absolutely to his authority. But as he rode out in arrogance he met the wrath of God: for on that day when the sultan and Il-ghazi himself entered the king's lands with six hundred thousand to wage war, that very same King David, forearmed with the sign of the Holy Cross, and having between Medes and Christians eighty thousand warriors, drew up his battle-lines between two mountains planted with very thick woodlands, holding fast in the valley where, as rumour had it, the

enemy was daring to advance against him. He stood firm and spoke thus: "Come, soldiers of Christ! If we fight lawfully to protect God's law we shall easily overcome not only the countless attendants of demons, we shall indeed overcome even the demons themselves. Moreover, this is the plan which, if you approve, I consider best for our honour and our advantage, that is to say, we raise our hands to heaven and promise to Almighty God that for His love we shall die on this field of battle before we flee, and so that we cannot flee even if we want to, we shall block heaps of wood, and we shall strike keenly with steadfast courage the enemy who are daring to fight against us at close quarters."

What happened in detail? the resolution of so great a king, a true and perfect Christian, was praised, approved and carried through to completion. There was no delay: individual battle-lines were deployed, the king positioned two hundred Frankish soldiers which he had in the front line to bear the first blows; and at once on the other side or front of the valley, blocked with a great shouting and din of horses and weapons, the fierce banners of the wicked came forth and, as they approached, the mountains and valleys on all sides resounded with the noise of different instruments. However, King David most humbly waited for the fierce attack of so many and urged on his men with manly courage and encouraged them, asserting that the insolent horde of infidels could soon be destroyed by a small band, with the help of the strength of the Holy Cross. Not long afterwards the countless multitude saw the Christians and their spirit of arrogance was stirred up, and they attacked them with a clamorous din; but by the power of the Lord they were blinded in the first assault and fell at the hands of the Franks, put to flight and scattered. What else happened? By God's grace the infidels became as one the stuff of slaughter for the Christians and the Medes together and, as we have learnt in all seriousness from those who took part in the battle, in a flight which lasted for three days four hundred thousand fell to the royal sword. And that same Il-ghazi, who had been wounded in the head, after almost all his men had been killed, was permitted by the Lord to escape with a few men, and escorted by the king of the Arabs, he reached his homeland half-dead, unarmed and famished." Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 168-170;

ინგლისური ტექსტის ქართული თარგმანი: "რა მოხდა დაწვრილებით? ის (ილ-ღაზი) წამოვიდა, შეკრიბა თურქმენებისა და არაბების ურიცხვი ურდო და, როდესაც ისინი შეკრებილი იყვნენ და მან დაინახა მათი უზარმაზარი სიმრავლე, აღივსო უდიდესი ქედმაღლობის გრძნობით და გადაწყვიტა ნასულიყო დავით მეფის წინააღმდეგ იბერიაში ხორასნის ერთ-ერთ სულთანთან ერთად, რადგან თუ ის (დავით მეფე) მოკლული იქნებოდა ან სამფლობელოების გარეშე დარჩებოდა, ილ-ღაზს შეეძლებოდა გაენადგურებინა ქრისტიანები და თავისუფლად დამორჩილებინა იერუსალიმი და ანტიოქია თავისი ხელისუფლებისათვის. მაგრამ, რადგან ის გაემართა (იბერიაში) ქედმაღლობით აღვსილი, წინ ღვთის რისხვა დახვდა: იმ დღეს, როდესაც სულთანი და თავად ილ—ღაზი შევიდნენ მეფის სამფლობელოებში ექვსასი ათასი მეომრის თანხლებით საომრად, ზუსტად იმ დავით მეფემ, რომელიც შეიარაღებული იყო წმინდა ჯვრის ნიშნით, და ჰყავდა მიდიელთა და ქრისტიანთა ოთხმოცათასიანი ლაშქარი, საბრძოლო პოზიციები განალაგა ხშირი ტყით დაფარულ ორ მთას შუა და სწრაფად გამაგრდა ველზე, სადაც, ხმების მიხედვით, მტერი ბედავდა მის წინააღმდეგ წამოსვლას. ის (დავით მეფე) დადგა მტკიცედ და წარმოთქვა შემდეგი: "მომისმინეთ, ქრისტეს მეომრებო! თუ ჩვენ ვიბრძოლებთ ღმერთის კანონების დასაცავად, ადვილად დავამარცხებთ არა მარტო დემონების ურიცხვ მიმდევრებს, არამედ თვით დემონებსაც. უფრო მეტიც, ეს არის გეგმა, რომელსაც თუ თქვენ მოიწონებთ, მე მივიჩნევ საუკეთესოდ ჩვენი ღირსებისა და უპირატესობისათვის, ანუ ხელი ავაპყროთ სამოთხისაკენ და შევფიცოთ ყოვლისშემძლე ღმერთს, რომ მისი სიყვარულით ჩვენ უწინ დავიღუპებით ამ ბრძოლის ველზე, ვიდრე გავიქცევით და იმისათვის, რომ ჩვენ ვერ შევძლოთ გაქცევა რომც მოგვინდეს, უნდა ჩავხერგოთ ხის მსხვილი მორებით ამ ველის ის ღია მოსასვლელები, საიდანაც ჩვენ მოვედით და უნდა ვიბრძოლოთ თავგანწირული სიმამაცით მტრის წინააღმდეგ, რომელიც ბედავს გვებრძოლოს ასეთ დახურულ ადგილზე.

რა მოხდა დაწვრილებით? ამ დიდი მეფის, ჭეშმარიტი და სრულყოფილი ქრისტია-

ნის ეს გადაწყვეტილება შექებული, მიღებული (მოწონებული) და შესრულებული იქნა. დაუყოვნებლად მოწყობილ იქნა ყველა საბრძოლო პოზიცია, მეფემ ის ორასი ფრანკი მეომარი, რომელიც მას ჰყავდა, განალაგა წინა ხაზზე, რათა მათ მიეღოთ პირველი დარტყმა. მაშინვე ველის მეორე, წინა მხარე ავსებულ იქნა ცხენებისა და იარაღის უდიდესი გამაყრუებელი ხმაურით, ცოდვილთა საშინელი დროშები წინ წამოიწიენ და როდესაც მოახლოვდნენ, მთებმა და ველებმა ყველა მხარეს ბანი მისცეს სხვადასხვა საკრავების ხმებით. მიუხედავად ამისა, დავით მეფე დიდი მოთმინებით ელოდა ასეთი დიდი რაოდენობის ჯარის საშინელ შეტევას და დიდი ვაჟკაცური მხნეობით არწმუნებდა და ამხნევებდა მის მეომრებს, რომ ურწმუნოთა ურიცხვი ურდო, წმინდა ჯვრის ძალითა და დახმარებით, განადგურებული იქნებოდა მცირერიცხოვანი არმიის მიერ. მცირე ხნის შემდეგ, (ურწმუნოთა) ურიცხვმა სიმრავლემ შეამჩნია ქრისტიანები და მათი შინაგანი ქედმაღლობა გაიზარდა, რის შემდგომაც, მათ შეუტიეს (ქრისტიანებს) გამაყრუებელი ყიჟინით; მაგრამ ისინი პირველივე შეტევისთანავე ღვთის ძალით დაბრმავებულ იქნენ და ჩავარდნენ ფრანკების ხელში, გაიქცნენ და გაიფანტნენ. კიდევ რა მოხდა? ღმერთის წყალობით, ურწმუნოები, როგორც ერთი, გაჟლეტილ იქნენ ქრისტიანებისა და მიდიელების მიერ და, როგორც ჩვენ მთელი სერიოზულობით დავადგინეთ მათგან, ვინც ამ ბრძოლაში მონაწილეობდა, გაქცევისას, რომელიც სამ დღეს გაგრძელდა, სამეფო მახვილით ოთხასი ათასი (ურწმუნო) დაიღუპა. ილ-ღაზის, რომელიც თავში დაიჭრა, თითქმის ყველა მისი მეომრის დაღუპვის შემდეგ, ღმერთმა გაქცევის ნება მისცა და მცირე რაოდენობით მეომრებისა და არაბეთის მეფის თანხლებით, მან მიაღწია თავის სამშობლოს ნახევრად მკვდარმა, განიარაღებულმა და დამშეულმა."

მიუხედავად გოტიეს ცნობის ამ ორი წაკითხვის საკმაოდ მცირე ტექსტობრივი განსხვავებისა, ის მაინც იძლევა შესაძლებლობას დიდგორის ბრძოლის შესახებ დავინახოთ მთელი რიგი ახალი მნიშვნელოვანი გარემოებები, რაც ზ. ავალიშვილისეულ თარგმანში ან არ ჩანდა, ან გამოკვეთილად არ იკითხებოდა და რაც დიდგორის ბრძოლის ახლებური რეკონსტრუქციის შესაძლებლობას იძლევა. ეს გარემოებები შემდეგია:

-გოტიეს ცნობის ინგლისური ტექსტი სრულიად განსხვავებულად წარმოადგენს ქართული არმიის პოზიციას დიდგორის ქედზე. ძველი წაკითხვით არმია განლაგებული იყო ორ მთას შორის დაბურულ ტყეში და მტერი მას აქ უპირებდა შეტევას (დავით მეფემ "მოაწყო რა რაზმები, ერთ ხეობაში დადგა, ორ მთათა შუა დაბურულ ტყეში, საიდანაც ხმები იყო, რომ მტერნი შეტევას უპირებდნენ"). ინგლისური ტექსტით ქართული არმიის პოზიცია განსხვავებულია, მან დაიკავა პოზიცია ხშირი ტყით დაფარულ (დაბურულ) ორ მთას შუა და მასთან ერთად დაიკავა ის ველი (ანუ გზა), სადაც მტრის არმიას უნდა გაევლო ("King David.... drew up his battle-lines between two mountains planted with very thick woodlands, holding fast in the valley where, as rumour had it, the enemy was daring to advance against him-დავით მეფემ.... საბრძოლო პოზიციები განალაგა ხშირი ტყით დაფარულ ორ მთას შუა და სწრაფად გამაგრდა ველზე, სადაც, ხმების მიხედვით, მტერი ბედავდა მის წინააღმდეგ წამოსვლას"). ე.ი. გამოდის, რომ ქართული არმია იკავებს მუსლიმთა კოლონის სავალ გზას (ველს) და ამ გზის სიახლოვეს მდებარე სიმაღლეებს, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, აწყობს ჩასაფრებას.

-ძველი ტექსტით ისე ჩანდა, რომ მტერი აპირებდა ორ მთას შუა გამაგრებულ ქართულ არმიაზე შეტევას ("ხმები იყო, რომ მტერნი შეტევას უპირებდნენ"). ინგლისური ტექსტის მიხედვით კი გოტიე უთითებს არა მუსლიმთა განზრახვაზე, შეუტიონ ორ მთას შორის მყოფ ქართულ არმიას, არამედ იმაზე, რომ ამ გზაზე მოძრაობა მუსლიმებისთვის გარკვეული რისკი იყო, მაგრამ ისინი მაინც ბედავდნენ წინსვლას ამ მიმართულებით ("the enemy was daring to advance against him-მტერი ბედავდა მის წინააღმდეგ წამოსვლას"), რაც რეალურად სინამდვილეს შეეფერება, რადგან მუსლიმთა ცხენოსანი რაზმები მთიან რელიეფში ეფექტურობას კარგავდნენ. ე.ი. გოტიე "გაბედვაში" (daring) გულისხმობს არა ქართველებზე შეტევას (ამ კონკრეტულ შემთხვევაში), არამედ იმას, რომ მუსლიმები მათთვის არახელ-

საყრელ გეოგრაფიულ გარემოში მოძრაობდნენ და ისინი ამას ბედავდნენ. ისიც კარგად ჩანს, შეტევას მუსლიმები კი არ ამზადებდნენ, არამედ დავით მეფე, რომელმაც იცოდა, რომ მტერს აქ უნდა გამოევლო. ეს ინფორმაცია კი, რამაც განაპირობა დიდგორის პოზიციის შერჩევა, მას სადაზვერვო მონაცემებით უნდა ჰქონოდა მიღებული. გოტიე ამბობს, რომ ხმების მიხედვით, მტერს იმ ველზე (გზაზე) უნდა გამოევლო, რომელიც დავით აღმაშენებელმა სასწრაფოდ დაიკავა ("holding fast in the valley where, as rumour had it, the enemy was daring to advance against him-სწრაფად გამაგრდა ველზე, სადაც ხმების მიხედვით, მტერი ბედავდა მის წინააღმდეგ წამოსვლას"). "ხმებში" ("rumour") გოტიე გულისხმობს არა ზოგადად გავრცელებულ, არამედ სპეციალურად (დაზვერვის შედეგად) მოპოვებულ ინფორმაციას, იგი ამ სიტყვას თავის ქრონიკაში, დიდგორის ეპიზოდის გარდა, ხშირად იყენებს ("so rumour reports," "a rumour reached," "as rumour travels," "rumour heard" და ა.შ. Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 90-94) და ყოველთვის სადაზვერვო ინფორმაციის მნიშვნელობით. ე.ი. ცნობის ამ მონაკვეთში საუბარია იმაზე, რომ მტერმა საქართველოში შესვლა გაბედა მისთვის არახელსაყრელი გზით, რითაც ისარგებლა დავით აღმაშენებელმა და მისთვის ხელსაყრელ პოზიციაზე მოაწყო ჩასაფრება.

-გოტიე ლაპარაკობს დავით მეფის საბრძოლო გეგმაზე, რომელსაც განხორციელების შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიეცა ქართული არმიისთვის („Moreover, this is the plan which, if you approve, I consider best for our honour and our advantage-უფრო მეტიც, ეს არის გეგმა, რომელსაც თუ თქვენ მოიწონებთ, მე მივიჩნევ საუკეთესოდ ჩვენი ღირსებისა და უპირატესობისათვის"). რასაკვირველია, დიდგორის მიდამოები შემთხვევით არ იყო შერჩეული და მანევრისთვის ვიწრო რელიეფსა და სწორ საბრძოლო პოზიციებს, უნდა გაენეიტრალებინათ მუსლიმთა რიცხობრივი უპირატესობა ("we shall strike keenly with steadfast courage the enemy who are daring to fight against us at close quarters-უნდა ვიბრძოლოთ თავგანწირული სიმამაცით მტრის წინააღმდეგ, რომელიც ბედავს გვებრძოლოს ასეთ დახურულ ადგილზე"). რაც იმას ნიშნავს, რომ არმიამ საბრძოლო პოზიციები მეფის გეგმის მიხედვით დაიკავა. მეომრების ძირითადი ნაწილი ("ქრისტიანები და მიდიელები"), როგორც უკვე იყო აღნიშნული განლაგდა "ორ მთას შუა," ხოლო 200 ფრანკი მეომარი წინა ხაზზე პირველი დარტყმის მისაღებად. როგორც შემდგომი კონტექსტიდან ჩანს, ფრანკები აშკარად ველზე (ე.ი. გზაზე), ღია პოზიციაზე დგანან ("The resolution of so great a king, a true and perfect Christian, was praised, approved and carried through to completion. There was no delay: individual battle-lines were deployed, the king positioned two hundred Frankish soldiers which he had in the front line to bear the first blows-ამ დიდი მეფის, ჭეშმარიტი და სრულყოფილი ქრისტიანის ეს გადაწყვეტილება შექებული, მიღებული (მონონებული) და შესრულებული იქნა. დაუყოვნებლად მოწყობილ იქნა ყველა საბრძოლო პოზიცია, მეფემ ის ორასი ფრანკი მეომარი, რომელიც მას ჰყავდა, განალაგა წინა ხაზზე, რათა მათ მიეღოთ პირველი დარტყმა"). ანუ აქ უკვე დეტალურადაა აღწერილი ჩასაფრების დისპოზიცია, რომლის დროსაც არმიის ძირითადი ნაწილი იმყოფება დახურულ (ფარულ) პოზიციებზე, ხოლო მცირე ნაწილი დგება ღიად მტრის ჩასაფრებაში შემოსატყუებლად.

-ინგლისური ტექსტი გარკვევით აჩვენებს, რომ მუსლიმები ქართულ არმიას წინასწარ განზრახულად კი არ უტევენ (ე.ი. მათ არ იციან მისი იქ ყოფნა და სპეციალურად არ მიემართებიან მისკენ), არამედ სპონტანურად, მას შემდეგ რაც ხედავენ ღია პოზიციებზე მდგომ მეომრებს ("Not long afterwards the countless multitude saw the Christians and their spirit of arrogance was stirred up, and they attacked them with a clamorous din-მცირე ხნის შემდეგ, (ურწმუნოთა) ურიცხვმა სიმრავლემ შეამჩნია ქრისტიანები და მათი შინაგანი ქედმაღლობა გაიზარდა, რის შემდგომაც, მათ შეუტიეს (ქრისტიანებს) გამაყრუებელი ყიჟინით"). ანუ აშკარაა, რომ მუსლიმები კოლონით მოძრაობენ და მათი ავანგარდი მაშინ ამჩნევს ღია პოზიციაზე მდგომ მეომრებს, როდესაც ისინი იმ ველზე (გზაზე) შედიან, რომელიც დავით აღმაშენებელმა 200 მეომრით გადაკეტა.

გოტიეს ცნობის ამ და სხვა ნიუანსებიდან გარკვევით და დამაჯერებლად ჩანს დიდ-

გორის ბრძოლის ჩასაფრებითი ხასიათი, რაც სავსებით ცვლის ბრძოლის აქამდე მიღებულ სურათს და სხვა წყაროებთან და მთელ რიგ სხვა გარემოებებთან ერთად, მომხდარი მოვლენების რადიკალურად განსხვავებული სახით რეკონსტრუქციის შესაძლებლობას იძლევა.

18. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 476; Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 7-9.

19. Пьер Виймар. Крестовые Походи. Миф и реальность священной войны. стр. 211-212; Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. pp. 148-151; Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 125-132.

20. Девид Ч. Дуглас. Норманы от завоеваний к достижениям. стр. 41-71; Джон Норвич. Нормандцы в Сицилии, стр. 15-16; David Nicolle. the Normans. "Osprey publishing." 2003. p. 4; J. F. Verbruggen. the Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages. p. 279; Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 17-20;

21. Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 132-136, 166-167.

22. Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 152-156.

23. Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 63-66.

24. Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 87.

25. „სისხლიან ველზე" ილ-ღაზის არმიას აღმოსავლური წყაროები სხვადასხვა ციფრებში მიუთითებენ. როგორც აღვნიშნეთ გოტიე ასახელებდა 100 ათასს, Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 87; მათე ურჰაელი უთითებდა 80 ათასს, Matthew of Edessa. the chronicle of Matthew of Edessa. III. 79. p. 225; ქამალ ად-დინი 40 ათასს, Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 187. стр. 149; ხოლო მიხეილ სირიელი 7 ათასს. Р. А. Гусаинов. Из хроники Михаила Сирийца. книга 15. глава. 12. стр. 40; როგორც უკვე გვქონდა მითითებული V თავში, თანამედროვე ისტორიოგრაფია „სისხლიან ველზე" ილ-ღაზის არმიის რეალურ სიდიდედ 40 ათასამდე მეომარს მიიჩნევს. Steven Runciman. A History of the Crusades. v.II. p. 173;

26. Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 55-57. 87. 169-170; დიდგორის ბრძოლის უჩვეულოდ მაღალი ციფრების (ილ-ღაზის არმიის სიდიდე 600 ათასი, დანაკარგი ბრძოლასა და ბრძოლის შემდეგ განხორციელებულ დევნისას — 400 ათასი) დასახელებისას, გოტიე აშკარად თავად გრძნობდა "უხერხულობას" და მის გაფანტვას ორი საშუალებით ცდილობდა. პირველი, როდესაც აღნიშნავდა, რომ ღმერთმა დააბრმავა მუსლიმები და მეორე, როდესაც ხაზგასმით უთითებდა, რომ მან მთელი "სერიოზულობით" გამოკითხა ბრძოლის მონაწილეები და ციფრები მათგან მიიღო ("as we have learnt in all seriousness from those who took part in the battle." ძველ თარგმანში არც ეს პასაჟი იკითხება).

27. ამ შემთხვევაში გოტიე აშკარად ეწინააღმდეგება საკუთარ თავს. მის მიხედვით, დავითს სიტყვა უშუალოდ ბრძოლის წინ წარმოუთქვამს, ხოლო თავად ეს მიმართვა შეიცავდა დავალებას ბრძოლის ველზე მისასვლელი გზების ჩახერგვის შესახებ, რაც, რასაკვირველია, უშუალოდ ბრძოლის დაწყების წინ ვერ განხორციელდებოდა, ეს კი ნიშნავს შემდეგს: საქართველოს მეფემ ან ბრძოლამდე საკმაოდ ადრე გასცა დიდგორთან მისასვ-

ლელი გზების ჩახერგვის განკარგულება, რაც შემდეგ გოტიესთან მეომრებისადმი მიმართულ სიტყვად გადაიქცა, ან არც ეს სიტყვა და არც ხერგილები რეალობაში არ ყოფილა და გოტიემ ის უბრალოდ მოიგონა მეტი დინამიზმისა და "მხატვრულობის" შესატანად ბრძოლის აღწერილობაში. სინამდვილესთან ახლოს ეს ბოლო მოსაზრება გამოიყურება, რადგან როგორც მომდევნო თავში გამოჩნდება, დიდგორში ბრძოლის გამართვის გადაწყვეტილება დავით აღმაშენებელს საკმაოდ სწრაფად უნდა მიეღო, რის გამოც მას, არც სიტყვის წარმოთქმის და, მით უმეტეს, არც ხერგილების გაკეთების დრო, უბრალოდ, არ დარჩებოდა.

28. გოტიე თავის თავს აქაც ეწინააღმდეგება. მიუხედავად იმისა, რომ მის მიხედვით ილ-ღაზი "თავში დაჭრილი და ნახევრად მკვდარი ყოფილა," მას მაინც ჩაუტარებია საბრძოლო კამპანია ჯვაროსნების წინააღმდეგ, რომელსაც გოტიე საკმაოდ მოკლედ წარმოადგენს. Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 170-171; თუმცა როგორც ეს სხვა წყაროებიდან ჩანს, ეს კამპანია მასშტაბური და მუსლიმებისთვის საკმაოდ წარმატებული ყოფილა. მაგალითად, ილ-ღაზის ძმისშვილმა ბალაკმა (რომელმაც შემდეგ ილ-ღაზი შეცვალა ალეპოს ემირის რანგში) ტყვედ ჩაიგდო ედესის გრაფი ჟოსლინი, ხოლო მოგვიანებით, უკვე ილ-ღაზის გარდაცვალების შემდეგ, იერუსალიმის მეფე, ბალდუინ II-ც. the chronicle of Matthew of Edessa. III. 87. p. 229.

29. მიუხედავად იმისა, რომ ანტიოქიის სამთავროში გოტიეს სამოქალაქო თანამდებობა ეკავა, იგი პირველხარისხოვანი "სამხედრო ისტორიკოსია." გოტიეს ქრონიკაში აღწერილია ოთხი ბრძოლა (1115 წელს როჯერის გამარჯვება სელჯუკებზე ტალ-დანიშთან. 1119 წელს მისი დამარცხება და სიკვდილი ილ-ღაზისთან „სისხლიან ველზე". იმავე წელს, ბალდუინ II-ის ბრძოლა ილ-ღაზისთან იგივე ტალ-დანიშთან და 1121 წელს ილ-ღაზის განადგურება დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ბრძოლაში). ოთხივე ბრძოლა გოტიეს მიერ აღწერილია პროფესიონალი სამხედროს პოზიციიდან. ყველა მათგანში მოცემულია ბრძოლის საერთო სტრატეგია, მოწინააღმდეგეთა განლაგება, ბრძოლის განვითარების ძირითადი, გადამწყვეტი ეპიზოდები, დახასიათებულია ბრძოლის ველი და ა.შ. გოტიეს ცნობები უფრო დეტალურია პირველი ორი ბრძოლის შესახებ, რომელთა უშუალო მონაწილეც იგი თავად იყო. აშკარად იგრძნობა შედარებით ნაკლები ინფორმირებულობა ტალ-დანიშის 1119 წლისა და, განსაკუთრებით, დიდგორის ბრძოლის შესახებ. Walter the Chancellors the Antiochene Wars, pp. 49-59.

30. საინტერესოა, რომ ალ-ფარიკი, როდესაც აღწერს 1163 წელს, გიორგი III-სა და ათაბაგ ელდიგუზის კოალიციას შორის ლორეს მიდამოებში გამართულ ბრძოლას, აღნიშნავს, რომ მას ბრძოლის ეს ადგილი 1154 წელს ჰქონდა ნანახი, როდესაც ის დემეტრე I-ს სამსახურში იმყოფებოდა. V. Minorsky. Studies in Caucasian History. p. 93.

31. Из истории Майяфарикана Ибн ал-Азрака ал-Фарики. стр. 222-223.

32. John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. p. 261.

33. მათე ურჰაელისეული დიდგორის ბრძოლის აღწერილობა უფრო მხატვრული ლიტერატურის ნიმუშია, ვიდრე ისტორიული ქრონიკისა. "აგვისტოს თვის 13-ს, ღვთისმშობლის მარხვის ხუთშაბათს მოხდა სასტიკი ბრძოლა ორ მთას შორის. ლაშქართა საშინელ ყიჟინს მთები ბანს აძლევდნენ." ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 246; ანალოგიურ "მხატვრულ სტილს" და ზოგად ფრაზეოლოგიას, მათე ურჰაელი ხშირად იყენებს სხვა ბრძოლების (როგორც ჩანს, ისეთის რომლებზედაც მას მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა ჰქონდა) აღწერისასაც. მაგალითად ნიკეის

ბრძოლას, რომლის დეტალებიც მათე ურჰაელისთვის, როგორც ჩანს, დიდგორის ბრძოლის მსგავსად, ნაკლებად იყო ცნობილი, იგი ასევე ზოგადი ფრაზებით გადმოსცემს: "Произошло ужасное сражение, обе стороны, кинувшись друг на друга, бились бесстрашно и безжалостно, как дикие звери. Сверкание шлемов, гром лат, скрип луков собрали воедино все множество иноплеменников, от грозных криков сотрясалась земля, от свиста стрел бросало в дрожь лошадей." М. А. Заборов. История крестовых походов в документах и материалах, Москва, стр. 85.

34. Р. А. Гусаинов. Из хроники Михаила Сирийца. книга 15. глава. 12. стр. 40;

35. რიგი მკვლევარები მიჩნევენ, რომ ალ-ასირის მიერ მითითებული 200 მეომარი, რომელთაც "ასეთი გადამწყვეტი" როლი შეასრულეს დიდგორის ბრძოლაში, არ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ყივჩაღები (ან ფრანგები, როგორც ამას გოტიე მიუთითებს) იმ არგუმენტაციით, რომ საქართველოს მეფე ასეთ მნიშვნელოვან დავალებას მხოლოდ ქართველ მეომრებს მიანდობდა. შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 98; ქ. ჩხატარაიშვილი. ი. შაიშმელაშვილი. დიდგორის ბრძოლა. გვ. 89. შენ. 166; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 200; და ა.შ.

აღნიშნული მტკიცებულების ლოგიკა ცოტა უცნაურია. დავით აღმაშენებელი ყივჩაღებს თავისი სამეფოს საზღვრების დაცვას "ანდობდა" და რატომ არ უნდა მიენდო კონკრეტული "სპეცოპერაციის" ჩატარება იგივე დიდგორის ბრძოლაში, გაუგებარია. მით უმეტეს, რომ რიგ სხვადასხვა მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციებს (ბარდავზე თავდასხმა, შირვანში ლაშქრობა, მეზობელი სელჯუკური საემიროების დარბევა და ა.შ.), მისივე მემატიანის მიხედვით, იგი აშკარად ძირითადად ყივჩაღთა ძალებით ახორციელებდა.

36. ალ-ასირის მიერ აღწერილი 200 ყივჩაღის ეპიზოდი "ტექნიკურად" აშკარად "ნაკლულია." ავტორის მიხედვით ყივჩაღები მიახლოვებიან მუსლიმთა რიგებს, შერეულან მათში და შემდეგ მოულოდნელად დაუწყიათ ისრების სროლა: "Выступили вперед двести человек кипчаков. Мусульмане подумали, что они хотят сдаться по аману и поэтому не приняли необходимых мер предосторожности, смешались с ними и были встречены стрелами." Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль (полного свода истории) Ибн ал-Асира. стр. 123; რიგებში შერევა იმას ნიშნავს, რომ ყივჩაღები მუსლიმებს ხელის მისაწვდენ მანძილზე დაუახლოვდებოდნენ, რომლის დროსაც ვერც მშვილდ-ისარს გამოიყენებდნენ და მოწინააღმდეგეებით გარშემორტყმულები ვერც იმოძრავებდნენ, რის შედეგადაც ისრების სროლის პირველივე მცდელობისთანავე, ისინი დათვლილ წუთებში აღმოჩნდებოდნენ განადგურებულნი. ასეთ შემთხვევაში, ყივჩაღებს ან შუბები და მახვილები უნდა გამოეყენებინათ (ე.ი. უნდა ყოფილიყვნენ მძიმედ შეიარაღებულნი), ან არ უნდა მიახლოვებოდნენ მუსლიმთა რიგებს და ისრების დაშენა შორიდან დაეწყოთ. თუმცა როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაშიც, მათთვის წარმატების შანსი მაინც ნულის ტოლი იქნებოდა. ერთადერთი ვითარება, რასაც ასეთ შემთხვევაში ექნებოდა აზრი და ეფექტი, უნდა ყოფილიყო მოულოდნელი (ალბათ დისტანციური) თავდასხმა მოწინააღმდეგეზე, შემდეგ სწრაფი უკან დახევა და მტრის გატყუება ძირითადი ძალებისკენ, რომლებიც ვითარების ლოგიკის მიხედვით ჩასაფრებაში უნდა ყოფილიყვნენ. ასეთი მანევრისთვის ყივჩაღები (როგორც ნამდვილი მომთაბარეები) იდეალურად შესაფერისი მეომრები იყვნენ და მტერზე მოულოდნელ თავდასხმასა და სწრაფ უკუქცევას, ისინი სხვებზე (როგორც ქართველებზე, ასევე ფრანკებზე) უკეთ შეასრულებდნენ.

37. "Ряды мусульман пришли в расстройство и поэтому те, которые стояли дальше, вообразив что началось бегство обратились также в бегство. Войска бежали друг за другом, и из-за сильной давки, сшибали друг друга." Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-

Камиль (полного свода истории) Ибн ал-Асира. стр. 123.

38. ო. ცქიტიშვილი. სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, გვ. 205.

39. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 200. стр. 156; the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi, p. 164.

თავი VIII

დიდგორი — ომის კულმინაცია

ბრძოლა კოალიციის ერთიანობის წინააღმდეგ

1. დიდგორის ბრძოლის დღე საკმაოდ დამაჯერებლადა აქვს დასაბუთებული პროფ. შ. მესხიას. შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 96-97.

2 სამარშო კოლონების გადაადგილების საშუალო სისწრაფის (იხ. IV თავის ქვეთავი "თრიალეთის ბრძოლა." შენ. 11) გათვალისწინებით, ილ-ღაზის საქართველომდე მოსასვლელად დაახლოებით ორი თვე დასჭირდებოდა.

3. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 340.

4. ელემენტარული ლოგიკით, ილ-ღაზის ჯერ გადაწყვეტილება უნდა მიეღო საქართველოში ლაშქრობაზე და შემდეგ დაედო ზავი ჯვაროსნებთან. რამდენადაც ეს ზავი სადღაც, 1121 წლის დასაწყისში დაიდო, ამდენად საქართველოში ლაშქრობაზე გადაწყვეტილება, თავისთავად, 1120 წლის შემოდგომაზე მიღებული გამოდის, ხოლო იმის მიხედვით, რომ მარდინს, განძასა და სხვა მუსლიმურ ქალაქებს შორის ინფორმაციის მიმოცვლას და სხვადასხვა საკითხებზე შეთანხმებას, ალბათ, ორი-სამი თვე მაინც დასჭირდებოდა, მოლაპარაკებების დაწყების დრო, სადღაც, 1120 შემოდგომის დასაწყისში უნდა ვივარაუდოთ.

5. Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль (полного свода истории) Ибн ал-Асира. Перевод П. Жузе, Баку, 1940, стр. 123.

6. დავით აღმაშენებლის მემატიანე საგანგებოდ მიუთითებს იმ გარემოებაზე, თუ რა მაღალ დონეზე იდგა დავითის დროს ინფორმაციის მოპოვების სისტემა. "არა-რა შორიელი არცა სამეფოთა შინა მისთა, არცა ლაშქართა შინა მისთა მყოფთა კაცთა, დიდთა და მცირედთა, საქმე ქმნილი, კეთილი გინა სიტყვა ბოროტი თქმული, არა-რა დაეფარვოდა ყოვლადვე, არამედ რაოდენცა ვის ფარულად ექმნის ანუ თუ ეთქვის, ყოველივე ცხად იყო წინაშე მისსა." ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 354-355.

7. დიდი ლაშქრობის მომზადება იწყებოდა მრავალი ისეთი წინასწარი ღონისძიების (საკვები მარაგის დამზადება, იარაღ-საჭურვლის შეძენა, აღალის მომზადება და ა. შ.)

განხორციელებით, რომელიც მრავალი ადამიანის მონაწილეობას საჭიროებდა, რის გამოც ლაშქრობის საიდუმლოდ მზადება თითქმის შეუძლებელი იყო და კარგი სადაზვერვო ქსელის არსებობის პირობებში, მისი აღმოჩენა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა ნიზამ ალ-მულკის მითითება ამგვარი ინფორმაციების მოპოვების აუცილებლობის შესახებ. " Надо отправлять лазутчиков постоянно во все места под видом купцов, странников, суфиев, продавцов целительных средств, нищих; пусть они сообщают обо всем, что услышат, чтобы ничто из дел никоим образом не оставалось скрытым, а если произойдет какое событие, будет что нового, чтобы своевременно принять соответствующие меры. Часто бывало, что наместники, мукта, чиновники и эмиры питали непокорство, враждебность, злоумышляли против государя, а прибыл лазутчик, вовремя сообщил государю, вот государь сел на коня, пошел в поход, врасплох обрушился на них, захватил, сделал все их намерения тщетными. Или если какой-нибудь государь с иноземным войском движется походом на страну, государь успеет подготовиться, отразит его." Низам ал-мульк. Сиасет-наме. глава 13. стр. 77;

8. ამ დროისთვის საქართველოს სამეფო ჩრდილოეთის მხრიდან საკმაოდ მჭიდროდ იყო შემორტყმული განძის საემიროს როგორც კახეთის, ასევე სომხითის მხრიდანაც და მის ტერიტორიებზე შესვლა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა.

9. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 339-340.

10. აკად. ნ. ბერძენიშვილი (სავსებით სამართლიანად) მიიჩნევდა, რომ დავით აღმაშენებელი ბარდავს კახეთის მხრიდან მიუახლოვდა. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი. "მეცნიერება". 1990. გვ. 625.

11. იხ. VI თავის ქვეთავი, "არმიის ორგანიზაცია, შემადგენლობა და რაოდენობა." შენ. 2.

12. ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 243-244; Matthew of Edessa. the chronicle of Matthew of Edessa. III. 83. p. 226.

13. ამაზე მიუთითებს ცნობის ის დეტალები, სადაც საუბარია თურქების ცოლ-შვილსა და უთვალავ ცხვრის ფარაზე, რომელიც ქართველებს ხელში ჩაუვარდათ. ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 244; Matthew of Edessa. the chronicle of Matthew of Edessa. III. 83. p. 226; ოჯახის თანხლება და ცხვრის ფარები ტიპიური "მომთაბარული სიმპტომებია."

14. ეს ციფრი არა რეალურია, მომთაბარეთა ერთი ტომის მეომართა რაოდენობა, როგორც წესი, რამდენიმე ასეულს აღწევდა და ამირ ჰაზის, თუ ის ერთი ტომის მეთაური იყო, 30 ათასი მეომარი არაფრით ეყოლებოდა. არც მომთაბარეთა რამდენიმე გაერთიანებულ ტომს შეიძლებოდა ყოლოდა ამ სიდიდის არმია. რის გამოც მათე ურჰაელის ეს ციფრი უფრო ზოგადი სიდიდის მაჩვენებლად შეიძლება განვიხილოთ და არა რაოდენობის ზუსტ აღმნიშვნელად. ზოგადად მომთაბარეთა სამხედრო პოტენციალის შესახებ იხ. VI თავის ქვეთავი, " ყივჩაღ მეომართა რაოდენობა."

15. ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 244; Matthew of Edessa. the chronicle of Matthew of Edessa. III. 84. p. 227.

16. ილ-ღაზის, სურვილის შემთხვევაშიც კი, ლაშქრობის შეჩერება გაუჭირდებოდა. ჯერ

ერთი ასეთი ნაბიჯი ძალიან შელახავდა მის, როგორც ჯიჰადის გმირისა და ალაჰის დამცველის რეპუტაციას. ლაშქრობის შეჩერება ძნელი იქნებოდა მომთაბარე მოქირავნეების გამოც, რომელთა ძირითადი ინტერესი საქართველოში ნადავლის მოპოვება იყო და არა განძელებთან ერთად წმინდა ომის მიზნების რეალიზება. ლაშქრობის შეჩერებით ილ-ღაზი მიიღებდა დიდ ფინანსურ ზარალს და ბოლოს, განძის არმია არ უნდა ყოფილიყო ისე მრავალრიცხოვანი, რომ მის განადგურებას კოალიციის ძირითადი ძალების საბრძოლო სულისკვეთების სრული დაცემა გამოეწვია. შეიძლება პირიქით, ამ აქტმა მათი განწყობა უფრო აამაღლა და შურისძიებისთვის განაწყო.

ილ-ღაზის არმიის მარშრუტი საქართველოსკენ

1. "ამავე წელს დაიძრა ხაზი მრავალი ჯარითურთ და მიაღწია განძაკის ქვეყანას (რათა იქიდან) წასულიყო ქართველთა ქვეყნის წინააღმდეგ. ამავე დროს გამოვიდა განძაკის სულთანი მელიქი 400 000 მამაცით ცხენოსნით, გაეშურა უდიდესი ლაშქრით და შევიდა ქართველთა ქვეყანაში თბილისის მხარეს მთის (მიმართულებით), რომელსაც დეკორი ეწოდება." ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 245; Matthew of Edessa. the chronicle of Matthew of Edessa. III. 84. p. 227;

2. შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 90.

3. "Так они прибыли в Арзан ар-Рум... А он с войсками направился в Карс и вступил туда через Триялисю. Сосредоточились большие войска, султан Тогрул пришел со стороны Джанзы, а Фахр ад-дин Туган Арслан Горбатый со стороны Дувина. И двигались войска до тех пор, пока между ними и Тифлисом не остались горы на полдня пути." Из истории Майяфарикана Ибн ал-Азрака ал-Фарики. стр. 222; აქ არ ჩანს თავმოყრის პუნქტი, მაგრამ მითითება იმაზე, რომ ისინი (შეერთებული მოკავშირეები) მოძრაობდნენ მანამ, სანამ თბილისამდე ნახევარი დღის გზა არ დარჩა, იმას უნდა მიუთითებდეს, რომ ავტორის მიხედვით, მოკავშირეები დიდგორამდე შეერთებულან, რადგან ნახევარი დღის გზა თბილისამდე სწორედ დიდგორიდან რჩებოდა. ე.ი. მანამდე ისინი ერთად მოძრაობდნენ.

4. "Собравшись, они направились к курджам и подошли к Тифлису." Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль (полного свода истории) Ибн ал-Асира. стр. 123; აქ თითქოს ისე ჩანს, რომ კოალიცია საქართველოს გარეთ შეგროვილა.

5. "შეხვედრის ადგილი დათქმული იყო თბილისის კართან. შეჩერდა იგი (ილ-ღაზი თბილისიდან) უფრო ნაკლებ, ვიდრე ნახევარი დღის (გზაზე). მხარეების ლაშქართაგან არც ერთი არ მოსულიყო.» ო. ცქიტიშვილი. სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. «თსუ შრომები» ტ. 118. თბილისი. 1967. გვ. 205.

6. „აგვისტოსა თურამეტსა მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვით ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა". ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 341.

7. სელჯუკთა სამხედრო ტაქტიკის შესახებ იხ. მე-5 თავის ქვეთავი, „სელჯუკური არმიის ორგანიზაცია და საბრძოლო ტაქტიკა."

8. განძის ემირი ფადლონი დიდი არმიით შემოვიდა თბილისის საემიროს ტერიტორი-

აზე და სამხედრო ბანაკით დადგა ისნის ველზე. ბაგრატი ამ დროს იდგა დიდგორში. არც ბაგრატ მეფეს და არც ფადლონს აზრადაც არ მოსვლიათ თავს დასხმოდნენ ერთმანეთს სრულიად გასაგები მიზეზის გამო, თუ ფადლონი შეუტევდა დიდგორში მდგომ ბაგრატს, ის აღმოჩნდებოდა წამგებიან მდგომარეობაში, ხოლო თუ ბაგრატი შეუტევდა ფადლონის სამხედრო ბანაკს ისნის ველზე, მაშინ ის დაკარგავდა უპირატესობას. ასეთ ვითარებაში ორივე არმია იდგა მათთვის ხელსაყრელ პოზიციებზე და ელოდა მოწინააღმდეგის ნაბიჯს, რომელიც პირველი ფადლონმა გადადგა, როდესაც გავიდა შიდა ქართლისკენ და დაიწყო მუხრანის მიდამოების დარბევა. მართალია, ბაგრატმა გაანადგურა ფადლონის არმია, მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით, განძელი ემირის ქმედება, როდესაც მან თავი აარიდა მთებში ასვლას და ბრძოლა გაშლილ ველზე მიიღო, იყო აბსოლუტურად სწორი. ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 310.

9. "А Малик Тогрул просил помощи у Иль-Гази ибн Артука против грузин и их государя Давида, и направился он (Иль-Гази) к нему со множеством людей и Дубайсом ибн Садака. И разбили их (грузин) и вошли за ними в ущелье. А грузины в ущелье напали на мусульман, и разбили их, и преследовали, убивая и уводя в плен. А у Дубайса было разграблено (имущество) стоимостью 300 тысяч динаров, а сам он невредимым прибыл в Мардин с Наджм ад-дином Иль-гази." Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 200. стр. 156;

ქამალ ად დინის ამ ცნობის ქართული თარგმანი სამეცნიერო ლიტერატურაში გამოქვეყნდა 1974 წელს, ბ. კუტალია. ქემალ ად-დინის ცნობა დიდგორის ბრძოლის შესახებ. სსმამ. 74. №2. 1974. გვ. 501-504; მაგრამ მიუხედავად ამისა, მას ფართო გამოყენება ისტორიოგრაფიაში არ ჰქონია.

თითქმის იგივე შინაარსისაა ალ-კალანისის ცნობაც. the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. p. 164.

რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, ამ ორივე ავტორის ცნობა დიდგორის ბრძოლის შესახებ, პირველად გამოიყენა გ. ჯაფარიძემ. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. თბილისი. გვ. 48.

10. ცრუ უკანდახევა თავად სელჯუკთა ტრადიციულ ტაქტიკურ ხერხს წარმოადგენდა (იხ. V თავის ქვეთავი, "სელჯუკური არმიის ორგანიზაცია და საბრძოლო ტაქტიკა") და ნაკლებად დასაჯერებელია, რომ იმ ვითარებაში, როდესაც სელჯუკთა არმია გაშლილ სივრცეში იმყოფებოდა (ვერეს ან დიღმის ხეობებთან, ე.ი. საბურთალოს ან დიღმის ველზე) თავად წამოეგებოდა ამ მანევრს და მოწინააღმდეგეს გაშლილი სივრციდან ვიწრო ხეობაში შეჰყოლოდა.

11. ვიწრო ხეობებში სელჯუკები როგორც ბრძოლის გამართვას, ასევე დამარცხებული მოწინააღმდეგის დევნას ნაკლებად ცდილობდნენ. მაგალითად, ნიკიფორ ვრიენოსი აღწერს ალექსი კომნენოსი ბრძოლის ერთ ძალიან საინტერესო ეპიზოდს სელჯუკებთან. მის მიხედვით, კომნინი მებრძოლთა მცირე ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა სელჯუკი მსუბუქი ცხენოსნების ალყაში, რომლებიც შორიდან ისრებით ცხრილავდნენ მათ. ამ სიტუაციაში ერთმა ალანმა მოქირავნემ მეორეს შესთავაზა ბრძოლის გაგრძელების შემდეგი გეგმა: "Здесь место открытое и ровное то вот уже недалеко до теснин, дойдем туда и, сойдя с лошадей, сразимся мужественно... Между тем другие вступали уже в теснины, тогда варвары, с величайшей стремительностью бросились на них... Обьятые великим страхом, турки оставили их и отступили. а ромеи немного отойдя, спешились и остоновились в безопасном месте." აქედან კარგად ჩანს, რომ სელჯუკი ცხენოსანი მოისრეები კარგავდნენ თავის უპირატესობას ვიწრობებში და ასეთ ადგილში ბრძოლას თავს არიდებდნენ. Никифор Вриенний. Исторические записки. стр. 79-81; გ. თოგოშვილი. ალან-ოსები და ბიზანტია. მიაეხს. №2. 1978. გვ. 68-69.

12. სამხედრო ბანაკი, სამხედრო ხელოვნების ძალიან მნიშვნელოვან და აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა. არც ერთი არმია არ დაიწყებდა საომარ კამპანიას და არ გადაადგილდებოდა მტრის ტერიტორიებზე, სამხედრო ბანაკის გამართვის უნარისა და მისი გამოყენების გარეშე. თვით მომთაბარული არმიებიც კი, რომლებსაც არ ჰყავდათ ინჟინრები და არ შეეძლოთ საინჟინრო სამუშაოების ჩატარება, მარშისას ღამეს ბანაკის გარეშე არ ათენებდნენ, რომელსაც ისინი საზიდრებისგან აწყობდნენ. მაგალითად, ყივჩაღთა ასეთი ბანაკი აღწერილი აქვს მიხეილ სირიელს: "А эти куманы - из тюрок. Язык их - тюркский, но они не признают ни Моисея, ни пророков, ни нашего господа, ни Мухаммеда. Куда бы они ни от правились, с ними всегда их женщины, дети и имущество. Они защищаются при помощи деревянных повозок, из которых сооружают стену вокруг своего лагеря." Р. А. Гусаинов. Из хроники Михаила Сирийца. книга 15. глава 12, стр. 40.

სამხედრო ბანაკის მოწყობის აუცილებლობა და მისი აგების ძირითადი პრინციპები ანტიკურ ხანაში ჩამოყალიბდა და განვითარების მაღალ საფეხურს რომაულ სამხედრო ხელოვნებაში მიაღწია Питер Коннолли. Греция и Рим, Энциклопедия военной истории. стр. 135-140; Ян Ле Боек. Римская Армия эпохи ранней империи. стр. 236-247; ბიზანტიელები, როგორც რომაული ტრადიციების გამგრძელებლები, საკმაოდ პედანტურად იცავდნენ ბანაკის გამართვის პრინციპებს. მათი ბანაკები საკმაოდ რთულ საინჟინრო ნაგებობებს წარმოადგენდნენ, რასაც ბიზანტიურ არმიებში სპეციალური ქვედანაყოფები ემსახურებოდნენ.

შედარებით ნაკლებია ცნობილი სელჯუკთა სამხედრო ბანაკების კონსტრუქციებზე, მაგრამ ბანაკს სელჯუკები სამხედრო ხელოვნების მნიშვნელოვან ელემენტად რომ თვლიდნენ და მისი გამართვის აუცილებლობას მკაცრადაც რომ იცავდნენ, ეს კარგად ჩანს ნერილობითი წყაროების იმ მრავალრიცხოვანი ჩვენებიდან, რომელთა მიხედვითაც, სელჯუკური არმია ლაშქრობის დროს ერთ ღამესაც არ ათენებდა ბანაკის გამართვის გარეშე. მაგალითად, ძალიან საინტერესო ცნობაა დაცული დავით აღმაშენებლის მემატიანესთან, რომელიც იუწყება, რომ როდესაც ქართული არმია შემახასთან მივიდა, აქ მდგომი სელჯუკური არმია "გარემოიზღუდა ერთ-კერძო სხრტითა და ხანდაკებითა." ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 343; ე.ი. სელჯუკებმა სამხედრო ბანაკს შემოავლეს თხრილი და წამახული სარების მესერი.

თხრილი და მესერი ბანაკის აუცილებელ ელემენტებს რომ წარმოადგენდა, ამაზე შესანიშნავად მიუთითებს ნიკიფორე ვრიენოსის ის ცნობა, რომლის მიხედვითაც ერთ-ერთ ბრძოლაში ალექსი კომნენოსი სწორედ ბანაკის გაუმართაობით ცდილობდა მოწინააღმდეგის პროვოცირებას მასზე თავდასასხმელად: "Алексей выступил и расположился лагером у реки... Расположившись лагерем, Комнин не стап ни копать рва, ни устраивать ограды, ибо хотел не выжидать нападения неприятеля, но, если можно, победить его." Никифор Вриенний. Исторические записки. стр. 145-146; სრულიად საწინააღმდეგოა ნიკიფორეს მეორე ცნობა, რომლის მიხედვითაც, მოქირავნეთა მეთაური რუსელი, კომნენოსის საწინააღმდეგოდ, სწორედ ბანაკის მეშვეობით ცდილობდა სელჯუკთა თავდასხმის თავიდან აცილებას: "Кесарь и Русель перешли через гребень горы... и отыскав у подошвы Софона ровную и продолговатую долину, расположились на ней лагерем. Эту узкую долину избрали они, боясь как бы небольшой отряд их не был окружен и истреблен многочисленным неприятелем, а вытекающая из Софона речка служила им вместо ограды." Никифор Вриенний. Исторические записки, стр. 91.

სამხედრო ბანაკების მნიშვნელობასა და მათი გამართვის ტექნოლოგიებზე, შუასაუკუნეებში მთელი სამხედრო მეცნიერება იყო შექმნილი, რაც ყველაზე კარგად ბიზანტიურ ისტორიულ წყაროებსა თუ სამხედრო ტრაქტატებშია წარმოდგენილი. Никифор II Фока. Стратегика. Перевод и коментарии. А. К. Нефедкина. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2005. стр. 35-38; Два Византийских Военных Трактата конца X века. стр. 319-390; Ю. А. Кулаковский. Византийский лагерь конца X в. Зб. Византийская цивилизация в освещении российских

ученых 1894-1927. Москва. 1999. стр. 189-216; Советы и Рассказы Кекавмена. Сочинение Византийского Полководца. стр. 139-141;

13. Никифор II Фока. Стратегика. стр. 35-38; Два Византийских Военных Трактата конца X века. стр. 319-387.

14. შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 91.

15. ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი მითითება იმის შესახებ, თუ სად შეიძლებოდა შეეგროვებინა თავისი არმია თუღან-არსლანს. თუ ის შეკრების ადგილად ბითლისს დანიშნავდა, მაშინ მისთვის ყველაზე ბუნებრივი მარშრუტი საქართველოში შემოსასვლელად უდავოდ ყარსის გზა იქნებოდა. თუ ის არმიას დვინში შეაგროვებდა, მაშინ მისთვის ბევრად მოკლე იქნებოდა დებედის ხეობის მარშრუტი (საინტერესოა, რომ ქალაქ დვინის კარიბჭეები თბილისისა და ანისის კარებად იწოდებოდა, რაც პირდაპირ მიუთითებს ამ მიმართულებებით გზების არსებობაზე. V. Minorsky. Studies in Caucasian History. p. 121), მაგრამ მისთვის ეს გზა ბევრად სახიფათო იქნებოდა ვიდრე ანისი-ყარსისა, რადგან მას მოუწევდა ლორესა და იმ სხვა ტერიტორიების გავლა, რომელიც უკვე დავით აღმაშენებლის ხელში იმყოფებოდა. შესაბამისად, იმის შესაძლებლობა, რომ თუღან-არსლანი მოკავშირეების გარეშე შეხვედროდა ქართულ არმიას (ისე როგორც ეს მოხდა განძის შემთხვევაში), იყო საკმაოდ დიდი. გარდა ამისა, ამ მარშრუტის გამოყენებისას მას მოუწევდა შეტაკებები იმ საგარნიზონო ძალებთან, რომლებიც ლორე-ტაშირის რეგიონში იდგებოდნენ და, ბუნებრივია, ყველანაირად შეეცდებოდნენ მტრის კოლონის მარშირებისთვის ხელის შეშლას.

ამ მიზეზების გათვალისწინებით, თუღან-არსლანისთვის ბევრად მიზანშეწონილი იქნებოდა საქართველოს საზღვრებამდე გაევლო უსაფრთხო მარშრუტი ანისის გავლით ყარსისკენ და აქ შეერთებოდა ილ-ღაზის არმიას, რის შემდეგაც ისინი ერთად შევიდოდნენ საქართველოს ტერიტორიებზე.

დვინიდან საქართველოში შესვლის ასეთი მარშრუტი ბუნებრივი რომ იყო, ეს კარგად ჩანს ჯუვეინის იმ ცნობიდან, სადაც დვინში მდგომი ჯალალ ად-დინი, საქართველოში ლაშქრობის წინ, სწორედ ამ ორ შესაძლებლობას იხილავდა. Ата-Мелик Джувейни. Чингисхан. История Завоевавателя Мира. стр. 302, 634;

16. ო. ცქიტიშვილი. სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ.. გვ. 210. შენ. 13;

17. აბსოლუტურად ყველა მუსლიმი ავტორი (ალ-ფარიკი, ალ-ასირი, ალ-ჯაუზი, ქამალ ად-დინი. ალ-კალანისი) რომელიც ეხება დიდგორის ბრძოლას, მკაფიოდ და ნათლად, ყოველგვარი კუპიურების გარეშე, აფიქსირებს კოალიციური არმიის სრულ მარცხს. ტენდენციურობა უფრო ქრისტიან ავტორებში (მათე ურჰაელი, ვალტერ გოტიე, მიხეილ სირიელი, სმბატ სპარაპეტი) შეიმჩნევა, რომლებიც ილ-ღაზის არმიის სიდიდეს სრულიად ფანტასტიკურ ციფრებში გადმოსცემენ (ისევე როგორც აღმოსავლელი ავტორები ბიზანტიური არმიის სიდიდეს მანციკერტის ბრძოლისას), რაც საკმაოდ ადვილი ასახსნელია და სელჯუკთა არმიაზე ქრისტიანული ძალის გამარჯვების აღტაცებითაა გამოწვეული.

სრულიად ანალოგიურია მუსლიმი ავტორების განწყობა მანციკერტთან სელჯუკების გამარჯვებისას, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს რაღაც გარკვეულ ზოგად კანონზომიერებასთან, რომლის დროსაც გამარჯვებული მხარის გულშემატკივარი ავტორები (რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად) ცდილობდნენ დამარცხებული არმიის სიდიდის ხელოვნურ გაზრდას და ამით, ამ გამარჯვების მნიშვნელობის კიდევ უფრო გამოკვეთას.

18. მხედართმთავრის ღირსებები დავით აღმაშენებელის ეპოქაში, ისევე როგორც ნებიმიერ სხვა პერიოდში, სტრატეგიული აზროვნებისა და ტაქტიკური ჩანაფიქრების შესრულების უნარით იზომებოდა და არა შიშველი სიმამაცით. ალ-ჯაუზის ცნობის მიხედვით, დავით აღმაშენებელი ამ ორივე უმთავრესი მხედართმთავრული ღირსების მატარებელია. ცნობის ის ნაწილი, რომლის მიხედვითაც იგი ცალკე ებრძვის ილ-ღაზის, მისი მაღალი სტრატეგიული აზროვნების გამომხატველია (ე.ი. არ უშვებს კოალიციის გაერთიანების შესაძლებლობას), ხოლო ის ნაწილი, რის მიხედვითაც, იგი ილ-ღაზის სასტიკად ამარცხებს, იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მეფეს ძალუძდა სტეტეგიულ გადაწყვეტილებათა ტაქტიკური შესრულება.

19. შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 94; რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 196.

20. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 279, 285.

21. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. II. გვ. 71; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. გვ. 323-324; დ. მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. გვ. 214-215.

22. ყარსიდან მომავალი გზა მანგლისთან რამდენიმე მიმართულებად რომ იყოფოდა, ეს კარგად ჩანს წერილობითი წყაროების სხვადასხვა ცნობებიდან. მაგალითად:

-დვინში მდგომმა ჯალალ ად-დინმა, რომელიც აპირებდა საქართველოში გალაშქრებასა და თბილისის დაპყრობას, ჰკითხა მასთან ტყვედ მყოფ შალვა ახალციხელს, თუ რომელი გზით სჯობდა საქართველოში შესვლა (და თბილისამდე მისვლა), ყარსით თუ მარკაბის ხეობით (ვ. მინორსკის მიხედვით, მარკაბის ხეობა დებედის ხეობა უნდა იყოს) Ата-Мелик Джувейни. Чингисхан. История Завоевавателя Мира. стр. 302, 634; ე.ი. ყარსი-მანგლისი-თბილისი ერთ-ერთი ძირითადი პირდაპირი მიმართულებაა.

-მონღოლმა სარდალმა ალა-თემურმა, რომელიც ილ-ღაზის მსგავსად საქართველოში სამხრეთ-დასავლეთიდან შემოვიდა, გაიარა "ჯავახეთი და თრიალეთი, და რუსთავს მტკვარს გავიდა." ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 252; როგორც ჩანს, ჩაუხვია ალგეთზე და აქედან გავიდა რუსთავთან.

-ყარსი-მანგლისის მარშრუტი გამოიყენა თემურ-ლენგმა საქართველოში 1403 წელს განხორციელებული ლაშქრობისას, როდესაც იგი მოვიდა მანგლისთან და (ალა-თემურის მსგავსად) აქედან ჩაუხვია სამხრეთით ალგეთის ხეობაზე ბირთვისის ციხის ასაღებად. კ. ტაბატაძე. "ახალი ქართლის ცხოვრების" ზოგი ცნობის წარმომავლობისა და სანდოობის შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა. III. თბილისი. "მეცნიერება." 1971. გვ. 208. შენ. 5;

ამ ცნობებიდან აშკარად ჩანს, რომ მანგლისის მიდამოებიდან მიმართულებით შესაძლებელი იყო წასვლა როგორც პირდაპირ, თბილისის მიმართულებით, ასევე სამხრეთით ალგეთის ხეობაზე და ბუნებრივია, ჩრდილოეთით დიდგორის გავლით, მცხეთა-შიდა ქართლის მიმართულებაზე. შესაბამისად, მანგლისამდე მოსული არმია შემდგომ მარშრუტს მისი მოძრაობის მიზანის მიხედვით აირჩევდა.

23. თუ როგორ მდგომარეობაში ვარდებოდა არმია ხანგრძლივი და დამქანცველი მარშის შემდეგ, კარგად ჩანს ჟან ლა-ბელის მონათხრობიდან, როდესაც ის აღწერს საკუთარ აღალს მოწყვეტილი და დასახლებული პუნქტებიდან შორს მყოფი ინგლისის საველე არმიის მდგომარეობას ასეთი მარშის შემდეგ: "Столь утомленные, мы сами и наши лошади были вынуждуны провести на берегу этой реки всю ночь в полном ратном облачении. Каждыц из нас держал при этом своего коня за узду, поскольку мы не знали к чему

их привязать из-за отсутствия освещения и наших повозок, которые не могли к нам добраться по такой гористой местности.... Мы не знали, где подковать коней потерявших подковы.... В таких мытарствах, скудности и неустроенности мы провели всю неделю.... В конце концов среди англичан поднялся великий ропот. Кое-кто даже обвинял сеньоров, что они сделали с предательскими намерениями. Тогда сеньоры решили покинуть это место.... В тот день мы ехали очень медленно, поскольку наши кони уже очен ослабли, отощали, продрогли, набили холки и растеряли подковы, а седла на них совсем сгнили и истрепались. Да сами мы страдали от голода..." Жан Ле-Бель. Правдивые Хроники. стр. 57-59.

24. მარდინიდან წამოსული ილ-ღაზისთვის, რომ ერზრუმ-ყარსის გზა იქნებოდა ყველაზე ბუნებრივი და მოხერხებული, ამაზე გიორგი მცირეს ის ცნობაც უნდა მიუთითებდეს, სადაც ის აღწერს მის მიერ განვლილ მარშრუტს ანტიოქიიდან საქართველომდე. გიორგი მცირე მივიდა მდ. ევფრატამდე და აქედან აპირებდა გზის გაგრძელებას საქართველოსკენ. როგორც ჩანს, გიორგი მცირეს პირველი დანიშნულების პუნქტი იყო. ევფრატის სათავეებთან მდებარე ქალაქი მელიტენა, რომელიც გზასაყარს წარმოადგენდა. აქედან შეიძლებოდა წასვლა ჩრდილო-აღმოსავლეთით ერზრუმისკენ, დასავლეთით სევასტიისკენ (ცენტრალური ანატოლია), სამხრეთ-აღმოსავლეთით დიარბაქირისკენ (ჩრდილოეთ სირია) და ბუნებრივია, სამხრეთ-დასავლეთით ანტიოქიისკენ, საიდანაც მოდიოდა გიორგი მცირე.

ევფრატთან (ე.ი. სავარაუდოდ მელიტენასთან) მისულმა გიორგიმ შეიტყო, რომ "ყოველი შუამდინარეთი" (ამ შემთხვევაში, ალბათ ანისი-მანციკერტის მიდამოები) თურქებს ჰქონდათ დაპყრობილი, რის გამოც მან დასავლეთით გაუხვია სევასტიისკენ, მაგრამ ვიდრე სევასტიას მიაღწევდა შეიტყო, რომ თურქებს ეს ქალაქიც ჰქონდათ აღებული, ამიტომ გიორგი მცირე სამხრეთით, კაბადოკიის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ კესარიისკენ დაეშვა, საიდანაც როგორც ჩანს, გააკეთა დიდი წრე სევასტიის გარშემო და ამასიის მიდამოებიდან ჩავიდა სამსუნში, რის შემდეგაც გემით გააგრძელა მგზავრობა ფოთისკენ. გიორგი მცირე. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. ქართული მწერლობა, ტ. 2, თბილისი, "ნაკადული", 1987, გვ. 108-109.

მარშრუტი ანტიოქიიდან საქართველომდე, რითაც გიორგი მცირეს უნდა ესარგებლა, სავსებით ნათელია. იგი ანტიოქიიდან მიდიოდა მელიტენაში, აქედან ერზრუმში, საიდანაც ყველაზე მოხერხებული გზა საქართველოსკენ ყარსის გავლით მიდიოდა. აქედან აშკარაა (და ეს ისედაც ცნობილია), რომ ერზრუმი-ყარსი ამიერკავკასია-მცირე აზიისა და ამიერკავკასია-ახლოაღმოსავლეთის ძირითად დამაკავშირებელ საქარავნო მაგისტრალს წარმოადგენდა და მარდინიდან საქართველოში მომავალი ილ-ღაზის არმიისთვის ყველაზე მოხერხებული და ბუნებრივი მიმართულება, ყველა თვალსაზრისით (გამტარუნარიანობით, სიმოკლით, პროდუქტებით უზრუნველყოფით და ა.შ.), სწორედ ეს გზა იქნებოდა.

მოწინააღმდეგეთა სტრატეგიული მიზნები

1. Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 170.

2. სელჯუკები (ისევე როგორც სხვა მუსლიმები) ასეთ სტრატეგიას ახორციელებდნენ ჯვაროსნებთან მათი ხანგრძლივი ომების მანძილზე. რამდენადაც ციხე-სიმაგრეების ან გამაგრებული ქალაქების ალყა დიდ დროსთან და მეტ მსხვერპლთან იყო დაკავშირებული, ამიტომ სელჯუკები ამჯობინებდნენ საველე ბრძოლებისა და მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის განადგურებას ღია სივრცეებში, რისთვისაც ისინი უმეტეს შემთხვევაში

ომს იწყებდნენ არა სიმაგრეთა და ქალაქების დაპყრობით, არამედ სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების აოხრებით და მარბიელი ლაშქრობებით, რითაც აიძულებდნენ მოწინააღმდეგეს გაშლილ ადგილებში ეძებნა ომი მათთან, სადაც სელჯუკებს აშკარა უპირატესობა გააჩნდათ. ზუსტად ასეთი მოქმედებებით შეძლო, მაგალითად, სალადინმა იერუსალიმის სამეფოს განადგურება, როდესაც აიძულა იერუსალიმის მეფე გი დე-ლუზინიანი სამეფოს მთელი ძალებით მიეღო გენერალური ბრძოლა მისთვის არახელსაყრელ პირობებში. ჯვაროსნული არმიის განადგურების შემდეგ კი, სალადინმა ერთმანეთის მიყოლებით დაიპყრო იერუსალიმის სამეფოს ქალაქები და ციხე-სიმაგრეები David Nicolle. Hattin 1187. Saladins greatest victory. pp. 65-87.

ასე მოქმედებდა თავად ილ-ღაზი ანტიოქიის სამთავროს წინააღმდეგ, რომლის ტერიტორიებისა და ციხე-სიმაგრეების დაკავებაც მან მხოლოდ ანტიოქიის არმიის განადგურების შემდეგ დაიწყო. Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. pp. 150-155.

ამის საწინააღმდეგოდ, ჯვაროსნებმაც შეიმუშავეს საპასუხო სტრატეგია, რისი არსიც მდგომარეობდა მნიშვნელოვანი გზების ერთმანეთთან დაკავშირებული ციხე-სიმაგრეთა ქსელით დაფარვასა და არახელსაყრელ პირობებში საველე ბრძოლების თავიდან აცილებაში. David Nicolle. Crusader Castles in the Holy Land 1097-1192. „Osprey publishing." 2004. pp. 50-51; მუსლიმური არმიის რეიდის შემთხვევაში, ჯვაროსნები თუ არ იყვნენ დარწმუნებულნი წარმატებაში, თავს არიდებდნენ გადამწყვეტი ბრძოლის გამართვას და ცდილობდნენ სტრატეგიული პოზიციების დაკავებით, ბრძოლაში ჩაუბმელად მოწინააღმდეგისთვის შეეზღუდათ ოპერატიული მოქმედების სივრცე. ასეთ შემთხვევაში, მუსლიმებს ერთმეოდათ მარბიელი რაზმების სხვადასხვა მიმართულებებით გაგზავნის შესაძლებლობა და იძულებულნი იყვნენ შეენარჩუნებინათ არმიის კომპაქტურობა. ძალიან ხშირად ისეც ხდებოდა, რომ მუსლიმთა სამხედრო კამპანია ჯვაროსნების წინააღმდეგ მხოლოდ სტრატეგიული დაპირისპირების სახეს იღებდა და, რამდენადაც ფეოდალური არმიის ბრძოლის ველზე გაჩერება სამ-ოთხ თვეზე მეტ ხანს შეუძლებელი იყო, უსისხლოდ და ბრძოლის გარეშე მთავრდებოდა. მაგალითად, იგივე ჰატინის ბრძოლის წინ იერუსალიმის მეფეს ურჩევდნენ, რომ არ გაემართათ გადამწყვეტი ბრძოლა სალადინთან, რადგან დიდხანს სალადინი არმიას საველე პირობებში ვერ შეინარჩუნებდა და დატოვებდა იერუსალიმის ტერიტორიას. ეს გონივრული რჩევა იგნორირებულ იქნა, რაც იერუსალიმის სამეფოსთვის სავალალო შედეგებით დამთავრდა. David Nicolle. Hattin 1187. Saladins greatest victory. pp. 61-62.

3. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 341.

ბრძოლის ველი და ბრძოლის ხასიათი

1. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 74.

2. ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 245; Matthew of Edessa. the chronicle of Matthew of Edessa. III. 84. p. 227.

3. ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 341.

4. ასეთ აღწერილობას, მანგლის-დიდგორის მონაკვეთში ძალიან ბევრი პუნქტი შეიძლება შეეფერებოდეს.

5. იხ. VII თავის ქვეთავი, "დიდგორის ბრძოლა ისტორიოგრაფიაში".

6. არმიის მარშირების და მთლიანად სამხედრო კამპანიის წარმოებისას, დაზვერვის მნიშვნელობასა და მისი განხორციელების მეთოდებზე რეკომენდაციათა მთელ პაკეტს იძლევიან შუასაუკუნეების ბიზანტიური სამხედრო ტრაქტაქები. Никифор II Фока. Стратегика. стр. 38-39; Два Византийских Военных Трактата конца X века. стр. 122-126, 142-148, 361-363.

7. 30 ათასიან არმიაში თუ 20 ათას ცხენოსანს და 10 ათას ქვეითს ვივარაუდებთ და კოლონის გაშლის სიგრძეს ზემოთ აღნიშნული ფორმულის მიხედვით (იხ. V თავის ქვეთავი „კოალიციის სამხედრო ძალის რაოდენობა." შენ. 24. 26) გავითვლით, გამოვა რომ ასეთ არმიაში უნდა ყოფილიყო ასი მეომრის შემადგენლობის 200 ცხენოსანთა რაზმი, რომლის კოლონებად გაშლის სიგრძე 22-24 კილომეტრი იქნებოდა. ასი მეომრის შემადგენლობის 100 ქვეითთა რაზმი, რომელიც დაახლოებით 2 კილომეტრს დაიკავებდა და არანაკლებ 300 საზიდარი, რომელსაც ასევე 2 კილომეტრი დასჭირდებოდა კოლონაში გასაშლელად.

ძალიან საინტერესოა, რომ ილ-ღაზის არმიის სავარაუდო სიდიდე, 30 ათასი, რომელიც დაახლოებით ემთხვევა XIX საუკუნის გერმანული საარმიო კორპუსის სიდიდეს, სამარშო კოლონის გაშლის სიგრძითაც ასევე მეტ-ნაკლებად მისი ტოლია, გერმანული კორპუსი მარშისას 22 კილომეტრზე იშლებოდა. Мольтке. О Глубине походних Колонн. Стратегия в Трудах Военных Класиков. Москва. "Финансовый контроль." 2003. стр. 460;

8. Мольтке. О Глубине походних Колонн. Стратегия в Трудах Военных Класиков. Москва. стр. 460-461.

9. ბანაკის მოწყობისა და აშლის საკმაოდ დეტალური ინსტრუქცია მოცემულია, მაგალითად, ბიზანტიურ სამხედრო ტრაქტატში DE CASTRAMETATIONE (Об устройстве лагеря). Два Византийских Военных Трактата конца X века. стр. 323-333, 346-348.

10. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 341; ტექსტში მოცემული გათვლები ილ-ღაზის არმიის სამარშო კოლონის გაშლის შესახებ, რასაკვირველია, გარკვეულწილად პირობითია და არ შეიძლება ჰქონდეს აბსოლუტური სიზუსტის პრეტენზია, მაგრამ ამავე დროს სიტუაციურ ვითარებას იგი საკმაოდ ზუსტად უნდა ასახავდეს.

11. პროფ. შ. მესხიას მიხედვით, კოალიციური არმიის ერთი ნაწილი განთავსებულა წალკის მხარეში, მანგლისში და დიდგორში. მეორე ნაწილს კი დაუკავებია დიღმის ხეობა (შ. მესხია. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 94).

ასეთი დისპოზიცია, რომლის მიხედვითაც, ილ-ღაზის არმია სადღაც 50-60 კილომეტრზე (წალკიდან დიღმის ხეობის ჩათვლით) გაფანტულა, სრულიად წარმოუდგენელია. ე.ი. გამოდის, რომ ილ-ღაზიმ ხელოვნურად დაშალა თავისი არმია რამდენიმე ნაწილად და განალაგა ისინი ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ ადგილებში, სადაც კოორდინაცია ძალიან ძნელი იქნებოდა. ამის მიხედვით, ილ-ღაზის თვითონ „მოუმზადებია" თავისი არმიის ცალკეული ნაწილები გასანადგურებლად, როდესაც ჩაუყენებია ისინი სელჯუკური კავალერიის სამოქმედოდ არახელსაყრელ ადგილებში.

რასაკვირველია, მუსლიმების დისპოზიციის ასეთი რეკონსტრუქცია არარეალურია და ილ-ღაზი დავით აღმაშენებელს ასეთ „სამსახურს" არ გაუწევდა. მუსლიმური არმიის დიდ ტერიტორიებზე გაშლის „აუცილებლობა" გამომდინარეობდა არმიის სიდიდის რამდენიმე ასეულ ათასის ფარგლებში მიჩნევის ტენდენციიდან, რადგან ასეთ შემთხვევაში ბუნებრივად დგებოდა 300 ათასიანი არმიის „სადმე" განთავსების საკითხი.

1. ჩასაფრების ტაქტიკა, რომელიც ძალზედ რთული განსახორციელებელი იყო, იმ დროისთვის ბანაკების მსგავსად, სამხედრო თეორიის დონეზე იყო აყვანილი. მაგალითად, ცნობილი ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატი, DE VELITATIONE BELLICA ("О боевом сопровождении"), თითქმის მთლიანად ჩასაფრების ტაქტიკის აღწერისადმია მიძღვნილი. Два Византийских Военных Трактата конца X века. стр. 109-230;

სელჯუკებს ამ ტიპის ტრაქტატი არ დაუწერიათ (ყოველ შემთხვევაში, ჩვენამდის არ მოღწეულა), მაგრამ ისინი ჩასაფრების დიდოსტატები იყვნენ და ამ ტაქტიკას ძალიან ხშირად იყენებდნენ. მაგალითად, ნიზამ ალ-მულკს დეტალურად აქვს აღწერილი ჩასაფრების ტაქტიკის გამოყენების კლასიკური შემთხვევა სელჯუკებისა და გაზნევანიდების სამეფოს ომების ისტორიიდან: "Алптегин сказал: Теперь, когда ты их потревожил, самое лучшее поступить так: скажи, чтобы убрали палатки, сложили грузы и во время намаза перед сном двинулись в поход. Тогда пусть заберут грузы и обоз выведут из теснины. Надо, чтобы Туган тайком отправился с тысячью людей в такую-то лощину по правую руку, ты отправляйся с тысячью гулямов в такую-то лощину по левую руку. Я же выйду из теснины с обозом в сопровождении тысячи всадников и остановлюсь в поле. Завтра они подойдут к началу теснины, никого не увидят и скажут "Алптегин убежал". Сразу сядут на коней, поскачут за нами, войдут в ущелье; когда больше половины из них выйдет из теснины и заметит меня, стоящим в поле, вы выходите из засады справа и слева и действуйте мечами. Поднимутся крики войска, что вышло из теснины на меня, многие поспешат назад, что, мол, случилось; те же, что остались в теснине, также побегут назад; многие будут убиты вашими мечами, а я пойду в лобовую атаку. Тогда и вы выбирайтесь из теснины. Тех, кто останется в теснине, мы запрем и будем избивать сопротивляющихся. Когда наступит ночь, откроем им дорогу к отступлению, пусть убегают, а сами пройдем через теснину, нападем на их лагерь и захватим добычу". Так и поступили, вышли из ущелья. На заре другого дня войско эмира Хорасана вооружилось, построилось для сражения и подошло к началу теснины. Никого не увидав, они предположили бегство. Войску сказали: "Быстро вперед! Двинемся вслед! Когда пройдем через теснину, мы их нагоним в поле, не пройдет часа, как схватим Алптегина". Они поспешно повели войско, отборные мужи находились впереди; вышли из теснины, увидали стоящим в поле Алптегина с тысячью всадников и немногими пехотинцами. Когда половина войска прошла через теснину, Туган вышел из ущелья с левой стороны, напал в теснине с тысячью всадников, пустил в ход мечи, оттеснил назад подходившее войско, произвел смятение, обратил в бегство, убил значительное число. Себуктегин, напав справа, действовал мечом. Туган также к нему присоединился. Оба вышли из теснины, преследуя войско. Алптегин напал спереди. В короткое время сокрушили множество народа, ударили копьем в живот эмира войска так, что наконечник вышел со спины; тот упал, а войско обратилось в бегство. Разом побежали по любой тропинке, которую могли найти; затем гулямы Алптегина вышли из теснины, напали на лагерь, захватили все, что нашли там: лошадей, мулов, верблюдов, серебряные и золотые вещи, динары; гулямов, палатки, ковры и тому подобное оставили, и возвратились. В течение одного месяца поселяне Балха таскали вещи из этого лагеря. Пересчитали тех, кого убили, оказалось четыре тысячи семьсот пятьдесят человек, кроме раненых." Низам ал-мульк. Сиасет-наме. глава 27. стр. 119-120;

2. ილ-ღაზის არმიას უნდა ესარგებლა ე.წ. «ფანჯების» გზით, რომელიც გადიოდა დრეღვევის მიდამოებზე და რომლის მოვლა-პატრონობა (გზის რემონტი, კეთილმოწყობა და ა.შ.), ვახტანგ VI-ს "დასტურლამალის" მიხედვით, თაკუელებს, ღვეველებს, დრელებს და ვანათელებს ჰქონდათ დავალებული. საინტერესო უნდა იყოს ისიც, რომ აქვე მითითებულია დიღმის "ვინროები," რომელთა მოვლაც დიღმელებსა და მუხათგვერდელებს ევალე-

ბოდათ. დასტურლამალი. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. თბილისი. 1965. გვ. 278.

3. იმ შემთხვევაში თუ ილ-ღაზის არმია დიდგორისკენ დაიძვრებოდა, ქართული არმიის ჩასაფრებას სელჯუკთა მზვერავები ისე სწრაფად აღმოაჩენდნენ, რომ ილ-ღაზის არმიის არათუ ძირითად ნაწილს, არამედ ავანგარდსაც კი შეიძლება ბანაკის მიმდებარე ტერიტორიები დატოვებული არ ჰქონოდა, რაც დიდგორის ბრძოლის იმ სახით გამართვას, როგორც ის სინამდვილეში მოხდა, ბუნებრივია, შეუძლებელს გახდიდა.

4. ილ-ღაზის არმიას თან მრავალრიცხოვანი აღალი რომ მოჰყვებოდა, ეს კარგად ჩანს დავითის მემატიანის იმ ცნობაში, სადაც ჩამოთვლილია დიდგორის ბრძოლაში მოპოვებული ნადავლი, აქლემები, ცხენები, ჯორები, კარვები, საალყო მანქანები და ა.შ. სხვა რომ არ აღვნიშნოთ, მარტო საალყო მანქანების გადატანას დასჭირდებოდა ათეულობით საზიდარი. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 341.

5. ზუსტად ეს ფართობი სჭირდებოდა ბიზანტიის საიმპერატორო არმიის დაბანაკებას, რომლის სიდიდეც 24 200 მეომარს შეადგენდა. Два Византийских Военных Трактата конца X века. стр. 237, 287.

6. ეს გადანყვეტილებები შეიძლებოდა სხვადასხვა ხასიათის ყოფილიყო, ვთქვათ, მუსლიმური არმია "ჩაჯდებოდა" კარგად გამაგრებულ ბანაკში და მცირე შეტაკებებით ეცდებოდა ქართული არმიის გამოწვევას მისთვის ხელსაყრელ გაშლილ ადგილზე, თუნდაც იმავე ზეგანზე სადაც ისინი იმყოფებოდნენ. ან შეიცვლიდა მარშის მიმართულებას და დაეშვებოდა ალგეთის ან ხრამის ხეობებით და შემოვლითი გზით ეცდებოდა თბილისთან გასვლას და ა.შ.

მაგალითად, 1191 წელს, თითქმის ზუსტად მსგავსი ვითარება იყო შექმნილი რუმის სასულთნოს ტერიტორიებზე მიმავალ ფრიდრიხ ბარბაროსას არმიასა და რუმელ სელჯუკებს შორის, რომლებიც მთის ვიწრო მონაკვეთში ჩაუსაფრდნენ ჯვაროსნების სამარშო კოლონას და სცადეს მოულოდნელი თავდასხმის განხორციელება. მაგრამ იმის შედეგად, რომ მათ ჩასაფრება დროზე ადრე მოაწყეს, რის გამოც ბარბაროსამ დროულად მიიღო სადაზვერვო ინფორმაცია ჩასაფრების შესახებ, სელჯუკთა მცდელობა ჩაიშალა და ისინი თავად აღმოჩნდნენ განადგურებულნი.: "Турки заняв теснины, поджидали вступления туда аллеманов; но король (ფრიდრიხ ბარბაროსა-ს.მ.), узнав о замисле противников, остановился лагероем на прилегающей равнине и, разделив ночью свое войско на две части, одной приказал остаться в палатках, а другой с рассветом дня притворно пуститься в бегство как бы с целью захватить другую дорогу. Приняв хитрость за правду, персы (იგულისმებიან სელჯუკები-ს.მ.) радостно выыпали из теснин, спустились на равнину и бросились на аллеманский лагерь без всякой предосторожности.... Между тем бежавшие возвратились, находившиеся в палатках бодро выступили навстречу, и окрюженным отовсюду персам осталось только умереть." Никита Хонят. История со Времени царствования Иоанна Комнина. т 2. стр. 64;

ამ ცნობიდან აშკარად და ძალიან გარკვევით ჩანს, რომ სელჯუკებმა ჩასაფრება მოაწყვეს ჯვაროსანთა სამარშო კოლონის გასავლელ გზაზე იმ დროს, როდესაც ისინი ამ მონაკვეთიდან (ჩასაფრების ადგილიდან) ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იმყოფებოდნენ, რითაც ბარბაროსას მზვერავებს მისცეს საშუალება დროულად აღმოეჩინათ მათი დისპოზიცია, რის შემდეგაც ჯვაროსნებს დარჩათ საკმარისი დრო საბრძოლო გეგმის შესადგენად და განსახორციელებლად, რაც სელჯუკთათვის კატასტროფით დამთავრდა.

რაღაც მსგავსი შეიძლებოდა მომხდარიყო დიდგორის ბრძოლის დროს იმ შემთხვევაში, დავით აღმაშენებელს დროზე ადრე რომ შეეყვანა თავისი არმია დიდგორის ქედზე, ან რომ განელაგებინა იგი პირდაპირ ილ-ღაზის სამარშო კოლონის სავალ გზაზე (ე.ი. ვერეს ხეობის მიმართულებით), რა დროსაც მუსლიმი მზვერავები ადვილად აღმოაჩენდნენ მას,

რის შედეგადაც დიდგორის ბრძოლა ან არ შედგებოდა, ან მიიღებდა სხვა ხასიათს, მაგრამ საქართველოს მეფეს არ დაუშვია ის შეცდომები. რომელიც რუმელმა სელჯუკებმა დაუშვეს ბარბაროსას წინააღმდეგ. ეს კი თავის მხრივ კიდევ ერთხელ აჩვენებს თუ რა სრულყოფილად იყო ორგანიზებული ქართული არმიის ჩასაფრება და თავისი დროის როგორ დიდ მხედართმთავარს წარმოადგენდა დავით აღმაშენებელი.

7. მიუხედავად იმისა, რომ სწორი დაზვერვის პირობებში მოწინააღმდეგის მოტყუება საკმაოდ ძნელი იყო, სამხედრო ხელოვნებაში კოცონების მეშვეობით მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა მაინც ხდებოდა. მაგალითად, ასეთი ხერხი გამოიყენეს მონღოლებმა ხვორეზმშაჰ მუჰამედის წინააღმდეგ ბრძოლაში, როდესაც პირველი შეტაკების შემდეგ, ღამით ფარულად მოიხსნენ ბანაკიდან და მოწინააღმდეგეს დიდი დისტანციით დასცილდნენ: "Безбожники ночью развели множество огней, показивая, будто они твердо стоят на своих позициях и проводят ночь с намерением сразиться, а тем временем они, подгоняя коней, под покровом ночи проделали за эту ночь расстояние двух дней пути." Шихаб ад-дин ан-Насави. Сират ас-султан Джалал ад-Дин Манкбурны. гл. 4, стр. 50; იგივე მეთოდი გამოიყენა 1204 წელს ადრიანოპოლის ბრძოლაში ბულგარელებთან დამარცხებულმა მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთმა ლიდერმა, ვენეციის დოჟმა ენრიკო დანდოლომ, რომელმაც ამ გზით შესძლო მოწინააღმდეგისგან დაცილება: "Как только наступила ночь, он приказал осветить палатки и развести как можно более огней, чтобы показать, что не все еще войско истреблено и что латиняне не боятся сражения, но в первую же перемену ночной стражи поднялся и ускакал в в приморский город Радест." Никита Хонят. История со Времени царствования Иоанна Комнина. т 2. стр. 298;

8. Из истории Майяфарикана Ибн ал-Азрака ал-Фарики. стр. 223..

9. Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 169; იხ. აგრეთვე VII თავის ქვეთავი, "დიდგორის ბრძოლა წერილობით წყაროებში." შენ. 17.

10. რამდენადაც ილ-ღაზის არმიას უნდა ემოძრავა ვერეს ხეობის მიმართულებით, კოლონის წინ მიმავალი მზვერავი რაზმებიც სწორედ ამ მიმართულებაზე გაიშლებოდნენ. რაც შეეხება დიდგორის ქედს, იგი მუსლიმ მზვერავებს წინა დღეებში უნდა ჰქონოდათ მოვლილი, ხოლო რამდენადაც 12 აგვისტოს დილისთვის მათ ქართული არმია კავთისხევ-ძეგვის მიდამოებში ეგულებოდათ დაბანაკებული, ამდენად 12 აგვისტოს დიდგორის მიმართულების დაზვერვის აუცილებლობა, მათ წინაშე არ უნდა დამდგარიყო.

11. კოლონის გაშლის სიგრძის მიხედვით, შესაძლებელია იმის დაახლოებითი გათვლა, თუ რა რაოდენობის მუსლიმი მეომრები იქნებოდნენ ალგეთის მარცხენა ნაპირზე (ე.ი. ბრძოლის ველზე). რამდენადაც ამ მონაკვეთში მყოფი რაზმები გაშლილი უნდა ყოფილიყვნენ სოფ. ღვევსა და ალგეთის მარცხენა ნაპირს შორის, ე.ი. 12-14 კილომეტრზე, მაშინ როცა კოლონის საერთო სიგრძე 26-28 კილომეტრი უნდა ყოფილიყო, გამოდის რომ ალგეთის მარცხენა ნაპირზე მუსლიმთა არმიის ნახევარი, დაახლოებით 15 ათასი მეომარი მოახერხებდა გადმოსვლას.

12. ზუსტად ანალოგიურ სიტუაციაში დაამარცხა იერუსალიმის მეფე ბალდუინ IV-მ სალადინი 1177 წლის მონტგისარდის ბრძოლაში, რომელსაც ჯვაროსნული ეპოქის რიგი მკვლევარები ჯვაროსნების მიერ მოპოვებულ უდიდეს სამხედრო გამარჯვებად მიიჩნევენ. ამ ბრძოლის წინ, სალადინს იმდენად დიდი რაოდენობრივი უპირატესობა ჰქონდა ბალდუინ IV-თან შედარებით, რომელიც ეგვიპტიდან შემოსულ სალადინის არმიას ასკალონთან ელოდებოდა, რომ მასთან შებრძოლება საჭიროდაც კი არ ჩათვალა, აუარა ჯვაროსნებს გვერდი და სხვა გზით გაემართა დაუცველი იერუსალიმისაკენ. იერუსალი-

მის გზაზე, რამლას სიახლოვეს, ერთ-ერთი პატარა ხევის გადალახვისას, როდესაც სალადინის არმიის ერთი ნაწილი ხევის მეორე მხარეს იმყოფებოდა და სამარშო კოლონებად ეწყობოდა, ხოლო მეორე ნაწილი ჯერ არ იყო გადმოსული, მოულოდნელად ბალდუინ IV-ს არმია დაესხა თავს. ეს თავდასხმა იმდენად მოულოდნელი და შოკის მომგვრელი იყო მუსლიმებისთვის, რომ მათ ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ჯვაროსნებს. სალადინი, ისევე როგორც ილ-ღაზი დიდგორის ბრძოლის დროს, მხოლოდ მისი ცხენის სისწრაფემ გადაარჩინა. Альбер Шамдор. Саладин Благородный Герой Ислама. стр. 101-105; Steven Runciman. A History of the Crusades. v. II. p. 417; Robert Payne. the Crusades. p. 187.

დიდგორის ბრძოლა

1. Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. 200. стр. 156; the Damascus Cronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. p. 164;

2. Walter the Chancellors the Antiochene Wars. pp. 169-170; იხ. აგრეთვე VII თავის ქვეთავი, "დიდგორის ბრძოლა წერილობით წყაროებში." შენ. 17;

3. Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль (полного свода истории) Ибн ал-Асира. стр. 123;

4. ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ მანევრის განმახორციელებელ მეომართა ეთნიკურ ვინაობას. ისინი ფრანკები იყვნენ, ყივჩაღები თუ ქართველები, ყველა შემთხვევაში ქართული არმიის ნაწილს წარმოადგენდნენ და დავით აღმაშენებლის ბრძანებებს ასრულებდნენ. თუ მაინც და მაინც შევეცდებით მათი ეთნიკურობის დადგენას, უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი ყივჩაღები იქნებოდნენ, რადგანაც თავისი მობილურობითა და სისწრაფით, სწორედ ისინი შეეფერებოდნენ ყველაზე მეტად ასეთი ოპერაციის ხასიათს.

5. მთებში ჩასაფრებისა და ბრძოლის არაერთი დეტალური ("ტექნიკური") აღწერილობა მოცემულია "ძეგლი ერისთავთა-"ში. ძეგლი ერისთავთა. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. თბილისი. 1965. გვ. 102-117;

6. გოტიეს მიხედვით მუსლიმთა დევნა სამ დღეს გაგრძელებულა, Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 170; მათე ურჰაელის მიხედვით კი რვა, ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 246; Matthew of Edessa. the chronicle of Matthew of Edessa. III. 84. p. 227; რაც გადაჭარბებულად გამოიყურება. რასაკვირველია, მუსლიმთა ცალკეული ჯგუფების განადგურება შეიძლება რვა დღის შემდეგაც მომხდარიყო, მაგრამ ორგანიზებული დევნისთვის უფრო გოტიეს ცნობაა რეალობასთან ახლოს.

თავი IX

ომის დასასრული სელჯუკებთან

თბილისის აღება. ტერიტორიალური მთლიანობის აღდგენის დასასრული

1. თბილისის საემიროს, ჯერ კიდევ ბაგრატ IV-ს მეფობის პერიოდში წაართვა ძალზე მნიშვნელოვანი ფარცხისის, ბირთვისისა და ორბეთის სასაზღვრო ციხეები ლიპარიტ ბაღვაშმა, რითაც საემიროს სამხრეთ-დასავლეთ ფლანგი, სრულიად დაუცველი აღმოჩნდა. მოგვიანებით ყველა ეს ციხე-სიმაგრე კლდეკარის საერისთაოსთან ერთად დავით აღმაშენებლის ხელში გადავიდა. ამის შემდგომ ზედაზნის, აგარანის (კოჯრის) და რუსთავის ციხეების დაპყრობით, თბილისის საემირო მისივე ყოფილი სასაზღვრო ციხე-სიმაგრეთა სრულ ალყაში მოექცა.

2. შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 107-110;. თბილისის ისტორია. ტ. I. თბილისი. „მეცნიერება." 1990. გვ. 93-99.

3. ბაგრატ IV-ს ერთდროულად რამდენიმე მოწინააღმდეგესთან (ლიპარიტ ბაღვაშთან, კახეთის სამთავროსთან, განძის საემიროსთან, სელჯუკებთან) უწევდა ბრძოლა, რაც, ბუნებრივია, მისი ძალების დაფანტვას და ბრძოლის ხასიათის არათანმიმდევრულობას იწვევდა.

4. თბილისის აღების დროის შესახებ ერთიანი აზრი არ არსებობს. ზოგი მონაცემით დავით აღმაშენებელს თბილისი დიდგორის ბრძოლის დამთავრებისთანავე აუღია, ზოგით კი, 1122 წლის დასაწყისში. შ. მესხია. ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. გვ. 112-113; ვფიქრობთ ამის დადგენას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, რადგან ერთი რამ ფაქტია: თბილისის აღება დიდგორის ბრძოლის შემდგომ სამხედრო ოპერაციას წარმოადგენდა, რაც ამ ორ მოვლენას შორის პირდაპირ კავშირზე უნდა მიუთითებდეს.

5. 500 ადამიანის სიკვდილით დასჯაზე ცნობები დაცული აქვთ ვარდანსა და მათე ურჰაელს Всемирная история Вардана Великого. Перевел Н Эмин. Москва. 1861. стр. 147; ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 246-247; ხოლო ალ-ფარიკი წერს ქალაქის სამდღიან ძარცვაზე. ვ. ფუთურიძე. არაბი ისტორიკოსი XII ს. თბილისის შესახებ. ენიმკის მოამბე. XIII. 1942. გვ. 141.

6. სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში და მათ შორის ქართულში, ამ „სამხედრო კანონის" დამადასტურებელი უამრავი ცნობაა დაცული. მაგალითად, როდესაც თამარის არმიის სპარსეთში ლაშქრობისას თავრიზმა და მიანამ, რომელთაც არ გაუწიეს წინააღმდეგობა ქართველებს, ხელშეუხებლობის გარანტია მიიღეს, ხოლო ზენჯანი, რომელმაც კარი ჩაუკეტა ქართულ არმიას და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია მას, სასტიკად აოხრდა. მოგვიანებით მიანას მფლობელმა დაარღვია შეთანხმება და გაანადგურა ქართული გარნიზონი, თავრიზმა კი შეთანხმებას არ უღალატა. უკან დაბრუნებულმა ქართულმა არმიამ სასტიკად ააოხრა მიანა, რომლის მმართველიც სიკვდილით დასაჯა, ხოლო თაბრიზისთვის ხელი არ უხლია. ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 107, 109.

იგივე სურათს ვხედავთ შამქორის ბრძოლის შემდეგაც, როდესაც განძის მოსახლეობამ არ გაუწია წინააღმდეგობა ქართულ არმიას და უვნებელი დარჩა. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 127.

7. Всемирная история Вардана Великого. стр. 147.

8. ე. სიხარულიძე. იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ. სიამ. I. გვ. 35; მ. ცინცაძე. საქართველო და ქართველები X-XI სს. სპარსულ წყაროებში. მიაეხს. №4. 1984. გვ. 87; თბილისის ისტორია. ტ. I. გვ. 145-146.

9. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 312.

10. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 305.

11. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 175.

12. შედარებისთვის შეიძლება აღინიშნოს ნიკეის, ანტიოქიისა და იერუსალიმის მაგალითები, რომლებიც თავისი დროის უძლიერეს ციხე-ქალაქებს წარმოადგენდნენ და XI-XII საუკუნეების საფორტიფიკაციო მოთხოვნათა სრული დაცვით იყვნენ გამაგრებულნი. ჯვაროსნებს (1097-99 წწ.) ნიკეის ასაღებად ერთი თვე, ანტიოქიისთვის შვიდი თვე, ხოლო იერუსალიმისთვის ორი კვირა დასჭირდათ. David Nicolle. the First Crusade. 1096-99 Conquest of the Holy Land. pp. 32-34, 49-58, 72-82;

13. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 300.

14. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 176.

15. О. Г. Большаков. Средневековый Город Ближнего Востока. Москва. "Восточная Литература." 2001. стр. 114, 119-120; Antonio Santosuosso. Barbarians, Marauders, and Infidels, the Ways of Medieval Warfare. p. 219;

16. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 342, Из истории Майяфарикана Ибн ал-Азрака ал-Фарики. стр. 222-223; Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль (полного свода истории) Ибн ал-Асира. стр. 123;

17. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 241.

ლაშქრობა შირვანში და ზავი სელჯუკებთან

1. ნ ასათიანი. საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. გვ. 30-32.

2. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 343;

3. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 343;

4. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 343;

5. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 343-344.

6. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 344.

7. ისეთი დიდი ქალაქის სრულ ალყაში მოქცევა, როგორიც შემახა უნდა ყოფილიყო, ისე რომ მის შიგნით მყოფებს ყოველგვარი კომუნიკაციის შესაძლებლობა დაეკარგათ გარე სამყაროსთან, ძალიან დიდი ძალებისა და საშუალებების კონცენტრირებას მოითხოვდა. მაგალითად ჯვაროსნებმა, როდესაც მათ ალყაში ჰყავდათ მოქცეული ანტიოქია და იერუსალიმი, მათი სრული გარემოცვა ვერ მოახერხეს. David Nicolle. the First Crusade. 1096-99 Conquest of the Holy Land. pp. 49-58, 72-82; შემახას აბსოლუტური ალყა, ისე რომ მასში მყოფი სულთანი შიმშილით და წყურვილით შეჭირვებულიყო, მით უფრო ძნელად დასაჯერებლად გამოიყურება, რომ დავითის მემატიანის მითითებითვე, მის სიახლოვეს სელჯუკთა არმიის გამაგრებული ბანაკი ყოფილა მოწყობილი, რომელიც ქალაქის ალყას და სულთნის "შიმშილობას" შორიდან არ დაუწყებდა ცქერას. ასეთ შემთხვევაში, დავით აღმაშენებელს ქალაქთან ერთად ბანაკიც უნდა მოექცია ალყაში, რაც უზარმაზარ ტერიტორიაზე, ასევე უზარმაზარი სამხედრო ძალების განლაგებას საჭიროებდა. გარდა ამისა, თავად მემატიანის მონათხრობით, მოვლენები ძალიან სწრაფად, მხოლოდ მაისის თვეში განვითარებულა, რაც საალყო სიტუაციას მაინც და მაინც არ შეეფერება.

8. აკად. რ. მეტრეველი ვარაუდობს, რომ დავით აღმაშენებელი შირვანიდან საქართველოში დაბრუნდა მისი არმიის ქართულ და ყივჩაღურ ნაწილებს შორის მომხდარი კონფლიქტის გამო, რაზედაც მუსლიმი ავტორები მიუთითებენ. მისი მოსაზრებით დავითს საქართველოში ეს კონფლიქტი მოუგვარებია და ისევ დაბრუნებულა შირვანში. რ. მეტრეველი. დავით IV აღმაშენებელი. გვ. 220;

თუ დავითი საქართველოში იმის გამო დაბრუნდა, რომ ყივჩაღებთან წარმოქმნილი კონფლიქტი მოეგვარებინა, მაშინ გამოდის, რომ მას ურთიერთობა ყივჩაღ მეომრებთან შირვანშივე მოუგვარებია, რადგან საქართველოში დაბრუნება არმიის მარშირებას (ე.ი. ბრძანების დამორჩილებას) ნიშნავდა. თუ ყივჩაღები შირვანშივე ემორჩილებოდნენ დავითის ბრძანებას და მისი მითითებით დაიწყებდნენ გადაადგილებას, მაშინ რაღა კონფლიქტზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი.

ამ სიტუაციის ყველაზე მარტივი ახსნა შეიძლება იყოს ის, რომ მუსლიმი ავტორები აჭარბებენ ქართველ მეომრებსა და ყივჩაღებს შორის მომხდარ კონფლიქტის მაშტაბსა და მნიშვნელობას (რომელიც მათი მიხედვით შეტაკებებში გადაზრდილა) და მას სინამდვილეში (როგორც მინიმუმი, გადმოცემული სახით) ადგილი არ ჰქონია, სხვა შემთხვევაში იქვე მდგომი სელჯუკთა არმია აუცილებლად ისარგებლებდა ამით, რაც აშკარად არ მომხდარა.

რაც შეეხება დავით აღმაშენებლის დაბრუნებასა და შემდეგ ისევ შირვანში წასვლას, ეს შეიძლება საქართველოს მეფესა და სულთანს შორის მომხდარი შეთანხმების ნაწილი ყოფილიყო (ამ მოსაზრების შესახებ იხ. ქვემოთ, ძირითად ტექსტში).

9. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 344.

10. ნ. ასათიანი. საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. გვ. 33-34;

11. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 343.

12. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 346.

13. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 346;

14. ალ-ასირის მიხედვით, სულთანმა მაჰმუდმა "შეჰყარა ჯარები და დაიძრა ქართველებზე, მას შემდეგ, რაც ისინი დაეუფლნენ (თბილისს), მაგრამ ვერა გააწყო რა

მათ წინააღმდეგ." ალ-ასირი აქვე იძლევა თარიღს, 1125 წელს, რაზე დაყრდნობითაც, გ. ჯაფარიძე ვარაუდობს, რომ ამ წელს მაჰმუდს განუხორციელებია უშედეგო ლაშქრობა საქართველოს წინააღმდეგ. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 86; ალ-ასირი ამ ცნობას იძლევა მაშინ, როდესაც საუბრობს ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის დაპყრობაზე და ერთგვარ პარალელს ავლებს მაჰმუდთან, რომელმაც ამის გაკეთება ვერ მოახერხა. აქ, ალ-ასირის მხრიდან უბრალო ქრონოლოგიურ შეცდომასთან უნდა გვქონდეს საქმე, უნდა ეწეროს 1123 და არა 1125 წელი. შინაარსობრივად ალ-ასირი პირდაპირ მიუთითებს მაჰმუდის ლაშქრობის მოტივაციაზე, თბილისის დაკარგვაზე, რის საპასუხოდაც მან შირვანში ილაშქრა და როგორც ვნახეთ, ეს ლაშქრობა ალ-ასირმა დეტალურადაც აღწერა. მაჰმუდის სხვა ლაშქრობის შესახებ საქართველოს წინააღდეგ იგი არაფერს იუწყება, ასე რომ ალ-ასირი, ამ შემთხვევაში, საკუთარ თავს უნდა ეწინააღმდეგებოდეს. როდესაც იგი პარალელს ავლებს ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის დაპყრობასთან, იგი აშკარად საუბრობს მაჰმუდის 1123 წლის შირვანის ლაშქრობაზე, რომელიც თბილისის დაკარგვის ერთგვარ პასუხს წარმოადგენდა, მაგრამ ნამდვილად ვერაფერი გააწყო, თუმცა თარიღად მიუთითებს 1125 წელს, რაც მისი შეცდომა უნდა იყოს.

1124 წლის კამპანია. ანისი — ახალი სტრატეგიული მიმართულება

1. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 344-345.

2. მაგალითად, ჯალალ ად-დინის შესახებ ან-ნასავი მიუთითებს, რომ მან 11 წლის განმავლობაში 14 სამხედრო კამპანია ჩაატარა, რაც აშკარად რეალობაა, როგორც ცნობილია, ჯალალ ად-დინი თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე მეომარ სულთანს წარმოადგენდა და მთელი ცხოვრება ნამდვილად ომებში ჰქონდა გატარებული. Шихаб ад-дин ан-Насави. Сират ас-султан Джалал ад-Дин Манкбурны. стр. 48;

3. იხ. VI თავის ქვეთავი "არმიის ორგანიზაცია, შემადგენლობა და რაოდენობა," შენ. 2.

4. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 344-345; ოლთისის გადაწვა ნიშნავს იმას, რომ იქ მოხდა ბრძოლა, რის შემდეგაც დავით აღმაშენებელმა ქალაქი დასაჯა. რაც შეეხება ანისს, აქ დავით აღმაშენებელმა ტყვედ აიყვანა ანისის ემირების, შადადიდების მთელი ოჯახი, რაც ასევე მათი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ანისის ბრძოლაზე მიუთითებს მათე ურჰაელიც, რომლის მიხედვითაც ქართულმა არმიამ 20 ათასი "სპარსი" გაწყვიტა. ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. გვ. 248.

5. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 344-345;

6. ამ ლაშქრობების საკვანძო ეპიზოდები სხვადასხვა წყაროებითაც დასტურდება. მაგალითად, შირვანის შესახებ მითითებული აქვს თავად დავით აღმაშენებელს შიო-მღვიმის ანდერძში. დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. გვ. 12; დერბენდს, როგორც საქართველოს სამეფოში შემავალ პროვინციას მიუთითებს ალ-ფარიკი, რომელიც თან ახლდა დემეტრე I-ს ერთგვარ "საინსპექციო" მოგზაურობაში სამეფოს ტერიტორიებზე. Из истории Майяфарикана Ибн ал-Азрака ал-Фарики. стр. 222; დავით აღმაშენებლის მიერ დაკავებული მთელი რიგი სომხური პროვინციები და ციხე-სიმაგრეები აღნიშნული აქვს ვარდანს. Всемирная история

Вардана Великого. стр. 148; და ა.შ.

7. ეს ქალაქები მნიშვნელოვან საკვანძო-საკომუნიკაციო ცენტრებს წარმოადგენდნენ შავის ზღვის პორტებს (ტრაპიზონი, სინოპი), აღმოსავლეთის საქარავნო მაგისტრალებსა (ბარდავი, დერბენდი, ისპაჰანი) და სირია-პალესტინის მსხვილ სავაჭრო ცენტრებს შორის. В. В. Бартольд. Работы по историчесуой географии и истории Ирана. Москва. "ВОСТОЧНАЯ ЛИТЕРАТУРА." 2003. стр. 212-214; რის გამოც ამ ტერიტორიების დაკავება საქართველოს სამეფოსთვის მუსლიმური გარემოცვის გარღვევისა და ბიზანტიის საზღვრებთან დაახლოების გარდა, უზარმაზარ შემოსავლებსაც ნიშნავდა აქ გამავალი საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო მაგისტრალების საბაჟო კონტროლის გზით.

8. რაც მოხდა კიდეც გიორგი III და თამარის დროს, როდესაც ამ მიმართულებაზე საქართველოს სამეფოს ძირითად მეტოქეებად ხლათის საემირო და რუმის სასულთნო გამოდიოდნენ. ხლათთან პირველი სამხედრო კონფლიქტი, უკვე 1125 წელს, დავით აღმაშენებელის გარდაცვალების შემდეგ შედგა, რისი მიზეზიც საქართველოს სამეფოს გააქტიურება იყო ანისი-ყარსის მიმართულებაზე, სადაც ჰეგემონობაზე პრეტენზიას ხლათის ემირებიც აცხადებდნენ. გ. ჯაფარიძე. მუსლიმური კოალიციები და საქართველო. გვ. 23;

9. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 344;

10. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 344.

11. ოლთისი გადაწვა გიორგი I-მაც ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-თან ომის დროს, თუმცა აშკარად იმ მიზნით, რომ იგი უენებელი არ დაეტოვებინა ბასილის ხელში, რომელმაც გიორგის უკან დახევის შემდეგ დაიკავა ქალაქი. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 284, 383.

12. იხ. VI თავის ქვეთავი "არმიის ორგანიზაცია, შემადგენლობა და რაოდენობა," შენ. 2.

13. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 88; V. Minorsky. Studies in Caucasian History. pp. 84-85;

14. გ. ჯაფარიძე. საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 116;

15. ბასიანის ბრძოლის თარიღი ისტორიოგრაფიაში რამდენჯერმე იქნა დაზუსტებული. თავდაპირველად, ადრე მიღებული 1206 წელი, „ჩამონეულ" იქნა 1203 წლამდე. ბ. სილაგაძე. XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. სრხ. თბილისი. 1966. გვ. 119; საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ, 331. შენ. 4; მოგვიანებით ეს თარიღი დაზუსტდა 1202 წლით. გ. ალასანია. ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის. მიაეხს №1. 1975. გვ. 89-92; რაც შემდგომი მოვლენების (კონსტანტინოპოლზე შეტევა, ტრაბიზონის იმპერიის დაარსება) კონტექსტშიც, სავსებით ლოგიკურად გამოიყურება. ბასიანის ბრძოლით, თამარ მეფემ, რომელსაც ამ დროისთვის აშკარად უკვე დაგეგმილი ჰქონდა ბიზანტიაზე ლაშქრობა (ამის შესახებ იხ. VI თავის ქვეთავი "ჯვაროსანი მეომრები და ქართული არმია," შენ. 21-22), ნეიტრალიზება გაუკეთა სელჯუკთა რუმის სასულთნოს, რომელიც ამ რეგიონის ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა და ადვილად შეეძლო თამარის ბიზანტიაში ლაშქრობისთვის ხელის შეშლა. ამ კონტექსტში ბასიანის ბრძოლის დათარიღება 1202 წლით ბევრად სწორი უნდა იყოს,

ვიდრე 1203-1204 წლებით, როდესაც თამარი უკვე ბიზანტიაში ლაშქრობის მზადებითა და მისი განხორციელებით უნდა ყოფილიყო დაკავებული.

16. ბასიანის ბრძოლაში მონაწილე არმიების სიდიდეებს ქართული წყაროები ისეთივე ფანტასტიკურ ციფრებში გადმოსცემენ, როგორც დიდგორის ბრძოლის არმიებს გოტიე და მათე ურჰაელი. განსაკუთრებით დაუჯერებელია რუმის სასულთნოს არმიის სიდიდე, რომელიც თამარის პირველ ისტორიკოსთან 400 ათასით, ხოლო ბასილი ეზოსმოძღვართან 800 ათასითაა მითითებული. ისტორიულ კვლევებში „რეალურ" ციფრად 400 ათასია მიჩნეული, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ. 327; ივ. შაიშმელაშვილი. შამქორი-ბასიანი. თბილისი. „საბჭოთა საქართველო." 1981. გვ. 47, 53; რაც, რასაკვირველია, არაფრით არ შეიძლება რეალობას შეეფერებოდეს.

17. მ ბერძნიშვილი. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს. სრხ. თბილისი. 1966. გვ. 60-62.

თავი X

ქართული სამხედრო ხელოვნება დავით აღმაშენებლის ხანაში

სამხედრო რეფორმა

1. სტეფანოზ ორბელიანის ცნობით ლიპარიტ ბაღვაშს ბასიანის ბრძოლაში 16 ათასი საკუთარი და 10 ათასი სამეფო მეომარი ჰყოლია. სტეფანოზ ორბელიანის "ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქრთული თარგმანები. გვ. 33; როგორი არასწორიც უნდა იყოს ეს ციფრები, ისინი მაინც აჩვენებენ იმ ვითარებას, თუ რა რაოდენობის სამხედრო ძალები რჩებოდნენ გამოუყენებელნი ქვეყნისთვის არაცენტრალიზებური სამეფო ხელისუფლების არსებობის პირობებში.

2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. გვ.

3. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 351.

4. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 353-354.

5. როდესაც ჯვაროსნული არმიები პირველად შეხვდნენ სელჯუკთა მსუბუქ ცხენოსან მოისრეებს, ისინი მათ წინააღმდეგ ბრძოლაში, ფაქტიურად, დაუცველები აღმოჩნდნენ, რადგან მძიმედ შეიარაღებული რაინდები, რომლებიც ჯვაროსნული არმიების ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ, სისწრაფითა და მობილურობით ჩამორჩებოდნენ სელჯუკების ცხენოსნებს და იშვიათად ახერხებდნენ მათთან ხელჩართულ ბრძოლაში ჩართვას. წარმოქმნილი პრობლემის გადაჭრას ევროპელი რაინდები ორი გზით შეეცადნენ. პირველ რიგში, ჯვაროსნულ არმიებში გაზარდეს ქვეითი მოისრეების, განსაკუთრებით კი, მეარბალეტეების რაოდენობა, რომელთა დანიშნულებაც სელჯუკთა (და სხვა მუსლიმურ) ცხენოსან მოისართა უსაფრთხო დისტანციაზე შეკავება და რაინდებისთვის მოქმედების თავისუფლების მიცემა წარმოადგენდა. გარდა ამისა, მათ გაქრისტიანებული მუსლიმებისგან (ე.წ. თურქოპოლებისგან), თავად შექმნეს მსუბუქი მოისრეების ცხენოსანთა რაზმები, რომლებიც იმდენად ეფექტურად დაუპირისპირდნენ ყოფილ თანამორწმუნეებს, რომ ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ სიკვდილით ისჯებოდნენ. Г Дельбрюк. История Военного Искуства в рамках политической истории. т. III. стр. 180, 186; Режин Перну. Крестоносцы. стр. 129, 149; Joshua Prawer. the Crusaders Kingdom. Europian Colonialism in the Middle Ages. pp. 340-342; J. F Verbruggen. the Art of Warfare in Western Europe During the Middle Ages. pp. 212-213.

6. დავით აღმაშენებლის მემატიანე ყოველგვარი "კუპიურების" გარეშე აღწერს სელჯუკების დიდ უპირატესობას სამხედრო საქმეში: "მცირე იყო, და ტყუეობათა და ზემოხსენებულთა ჭირთაგან მცირე გუნდი მხედრობისა და იგინიცა დაჯაბნებულნი, მრავალგზის მტერთაგან სივლტოლოთა უცხენო და უსაჭურველონი, და თურქთა მიმართ წყობისა ყოვლად უმეცარნი და ფრიად მოშიშნი." ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 358.

7. როგორც დავითის მემატიანე გვაუწყებს, რომ საქართველოს მეფე მცირე ლაშქრობებსა და ბრძოლებში წვრთნიდა თავის მეომრებს. გარდა ამისა მემატიანე აღნიშნავს დავითის მერ გამოყენებულ "ფსიქოლოგიური" მომზადების მეთოდებსაც: "მხნეთა, ქებითა და ნიჭთა მიცემითა, ხოლო ჯაბანთა სადედოთა შტაცუმითა და კიცხევით ძაგებითა."

1. ქაფას სულხან-საბა შემდეგნაირად განმარტავს: "ქაფი ჯავშანთ სამხარღლიე." ე.ი. მხარის დასაცავი ლითონის ფირფიტა. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. ილ. აბულაძის რედაქციით. თბილისი. "მერანი." 1993. გვ. 217.

2. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI. თბილისი. "მეცნიერება." 1982. გვ. 393.

3. წესი და განგება მეფეთ კურთხევისა. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ი. დოლიძის რედაქციით. თბილისი. "მეცნიერება." 1965. გვ. 50-51.

4. რასაკვირველია, მშვილდ-ისარი ნებისმიერი კატეგორიის მეომარს შეეძლო დაემატებინა შეიარაღების კომპლექტისთვის, მაგრამ მძიმედ აღჭურვილი მეომრები, რომელთა ძირითადი იარაღიც ფარი და შუბი იყო, მას პრაქტიკულად ვერ გამოიყენებდნენ. ფარი და შუბი ორივე ხელის გამოყენებას საჭიროებდა, ასე რომ მშვილდ-ისრისთვის ადგილი აღარ დარჩებოდა. მშვილდ-ისრის ხმარებას, რაც მკლავებისა და ტანის თავისუფალი მოძრაობის უნარს მოითხოვს, ხელს შეუშლიდა მძიმე ჯავშანიც და აგრეთვე ის გარემოება, რომ მძიმე ცხენოსნებს ნაკლებად სწრაფი გადაადგილების უნარი გააჩნდათ, ვიდრე მსუბუქებს, რომელთა ძირითადი იარაღიც, სწორედ მშვილდ-ისარი იყო.

5. ლახტი სახეთქებელი იარაღია და მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ საბრძოლო საშუალებას წარმოადგენდა. Эварт Окшотт. Археология оружия. Москва. "ЦЕНТРПОЛИГРАФ." 2004. стр. 299; მაინც მეორად საბრძოლო იარაღად ითვლებოდა.

6. Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Исследование по истории грузинского средневекового искусства. Твилиси. "Сабчота Сакартвело." 1959. Фото №№ 34-37, 40-42, 101, 152-153, 162, 181-184, 191-192.

7. "გრძელ" ჯავშნიანი წმინდა მეომრები წარმოდგენილნი არიან, მაგალითად, ნიკორწმინდის ტაძრის რელიეფულ გამოსახულებაზე (წმ. თევდორე). საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. III. ფოტო 416-417 გვერდებს შორის; ხირხონისის X საუკუნის ფირფიტაზე. თ. საყვარელიძე. გ. ალიბეგაშვილი. ქართული ჭედური და ფერწერული ხატები. თბილისი. "ხელოვნება." 1980. ტაბ. 4; მოკლე ჯავშნის ნიმუშები გვხვდება საკაოს წმ. გიორგისა და ლაბეჭინის ხატის გამოსახულებებზე. თ. საყვარელიძე. გ. ალიბეგაშვილი. ქართული ჭედური და ფერწერული ხატები. ტაბ. 5, 14; ვარძიის ფრესკებზე, გ. გაფრინდაშვილი. ვარძია. ლენინგრადი. "ავრორა." 1975. ტაბ. 84, 124; და ა.შ.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ როგორც ფირფიტოვანი (ქერცლისებური) ჯავშნები, ასევე ჯაჭვის პერანგები საქართველოში ინტენსიურად გამოიყენებოდა ანტიკური ხანის მთელ სიგრძეზე. ი. გაგოშიძე. პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი. ძიებანი. აკცუ. №13-14 გვ. 127-133; გ. გამყრელიძე. მ. ფირცხალავა. გ. ყიფიანი. ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. თბილისი. "არტანუჯი." 2005. გვ. 142-143.

8. ჩვენთვის ცნობილი მუზარადის ერთადერთი ეგზემპლარი (ტაბ.), რომელიც დაცულია ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმში, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მრავალძალის მონასტერში ინახებოდა. ისტორიული გადმოცემებით ითვლება, რომ ეს მუზარადი ეკუთ-

ვნოდა სულთან ჯალალ ად-დინს. ძნელი სათქმელია, მართლა ჯალალ ად-დინის პირადი საჭურველი იყო თუ არა იგი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია, მუზარადი განეკუთვნება კონუსისებური მუზარადების ტიპს, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში და ხშირად არის გამოსახული სხვადასხვა ფრესკებზე (სურ.).

9. Эварт Окшотт. Археология оружия. Москва. стр. 210-211; "ნორმანდიული ტიპის ფარები გამოსახულია მაგალითად, ნაკიფარის ნმ. გიორგის ხატზე, თ. საყვარელიძე. გ. ალიბეგაშვილი. ქართული ჭედური და ფერწერული ხატები. ტაბ. 4, ვარძიის ფრესკებზე, გ. გაფრინდაშვილი. ვარძია. ტაბ. 124; ბოჭორმის ხატზე David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia. figure 153 b; და ა.შ. სხვადასხვა ძეგლებზე ასევე ფართოდაა წარმოდგენილი სხვა ტიპის ფარებიც. David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia. figures 143 c,b. 144. 146. 154. 160 d.

10. David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia. figures 142. 143 a. 147 a-b. 149. 150. 152. 157. 158. 159 a. 161. 163.

11. Г. Алибегашвили. Светский портрет в грузинской средневековой монументалной Живописи. Тбилиси. "Мецниереба." 1979. рис 8. таб. 10. 21-22.

12. David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia. figures 546, 568a, 620q; David Nicolle. the Age of Tamerlane. "Osprey publishing." 1990. p. 40; შეიძლება არ იყოს გამორიცხული, რომ დმანისში (დ. მუსხელიშვილი. დმანისი (ქალაქის ისტორია და აღწერა), შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1998 (გვ. 319-448), გვ. 445, სურ. 90 (სპილენძის ქობანი) მოპოვებული ზოომორფული ტიპის ლახტის თავი საქართველოში სელჯუკებთან ომის დროს იყოს მოხვედრილი და სამხედრო ნადავლს წარმოადგენდეს.

13. შუასაუკუნეების ისტორიისა და სამხედრო ხელოვნების ცნობილი მკვლევარი დევიდ ნიკოლე, თავის ფუნდამეტურ ნაშრომში " Arms and Armour of the Crusading Era. 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia" ქართული სამხედრო ხელოვნების შესახებ აკეთებს, ჩვენი აზრით, სრულიად მცდარ დასკვნას, რომ XII-XIII საუკუნეების ქართულ არმიაში ჯერ ალანებისა და შემდეგ თურქების ზეგავლენით, წამყვანი გახდა მსუბუქ ცხენოსან მოისართა რაზმები, ხოლო ბრძოლის წარმოების მეთოდი, მჭიდრო წყობის ხელჩართული ბრძოლიდან, თანდათანობით გადაიზარდა ბრძოლის დისტანციურ მეთოდებში (ე.ი. მომთაბარულ სამხედრო ტაქტიკაში). დასავლეთ ევროპელ მეომართა დაქირავებას დავით აღმაშენებლის არმიაში, დევიდ ნიკოლე სწორედ მძიმედ შიარაღებულ მეომართა ნაკლებობით ხსნის. მისი აზრით, ქართულ არმიაში ამ გზით ხდებოდა მძიმე შეიარაღების ნაკლებობის კომპენსირება. ამ მოსაზრების არგუმენტირებისთვის, ავტორს მოჰყავს მარკო პოლოს მითითება ქართველების დახელოვნებულ მოისრეობაზე და მონღოლური პერიოდის ქართული მონეტა (ვინმე რეი გარდნერის კერძო კოლექციიდან) ცხენოსანი მოისრის გამოსახულებით. David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia. p. 79. figure 162.

დევიდ ნიკოლეს დასკვნა აშკარად მცდარია. იგი თავად უშვებს მხედველობის არედან მძიმედ შეიარაღებულ მეომართა იმ მრავალრიცხოვან გამოსახულებებს, რომლებიც თვითონვე აქვს თავის ნაშრომში წარმოდგენილი, David Nicolle. Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia. figures 142-163;

მშვილდ-ისრის დახელოვნებით ფლობა (რაზეც მიუთითებდა მარკო პოლო), არ ნიშნავს აუცილებლად მომთაბარულ სამხედრო ტაქტიკას. მშვილდ-ისარი, გარდა საბრძო-

ლო დანიშნულებისა, სამონადირო იარაღსაც წარმოადგენდა და საქართველოში საუკუნეების განმავლობაში სტაბილურად გამოიყენებოდა. ი. გაგოშიძე. პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი. გვ. 120-123.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპელი მეომრების დაქირავებას, როგორც მძიმე შეიარაღების არქონის კომპენსირების მეთოდს, აქ სიტუაცია პირიქითაა. კომპენსირება სწორედ მსუბუქი ცხენოსანი მოისრეებისა ხდებოდა ალანებითა და ყივჩაღებით, რომელთა დაქირავებასაც სისტემატიური და ინტენსიური სახე ჰქონდა საუკუნეების მანძილზე, განსხვავებით "ფრანკი" მეომრებისგან, რომელთა დაქირავების ინტენტენსივობაც, ალანებთან და ყივჩაღებთან შედარებით, ბევრად დაბალია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართული არმია სწორედ მსუბუქი ცხენოსნების ნაკლებობას განიცდიდა და არა მძიმედ შეიარაღებულებისას.

14. ძალიან საინტერესოა, რომ დავით აღმაშენებელი ყივჩაღების გადმოყვანამდე ბრძოლებს სელჯუკებისა თუ მომთაბარეების წინააღმდეგ საქართველოს ტერიტორიებზე, ე.ი. მთაგორიან რელიეფში აწარმოებდა, რისი მეშვეობითაც როგორც ჩანს, მსუბუქი ცხენოსნების ნაკლებობის კომპენსირება ხდებოდა. მაგრამ როდესაც დადგა ამოცანა საბრძოლო მოქმედებების საქართველოს გარეთ და, პირველ რიგში, შირვანში (ე.ი. გაშლილ სივრცეში) გადატანისა, ქართულ არმიაში მაშინვე გამოჩნდნენ ყივჩაღთა მსუბუქ მოისართა რაზმები, რითაც გაწონასწორებულ იქნა სელჯუკთა უპირატესობა მსუბუქ შეიარაღებაში.

15. ხელშუბების რამდენიმე ეგზემპლიარი დაცულია ს. ჯანაშიას მუზეუმში (ტაბ. III).

16. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Соощения о сельджукском государстве. глава 17. стр. 55; იხ. აგრეთვე VI თავის ქვეთავი, "ჯვაროსანი მეომრები და ქართული არმია." შენ. 38.

17. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია. გვ. 390.

18. ძეგლი ერისთავთა. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. თბილისი. 1965. გვ. 108.

19. სულხან-საბას მიხედვით წათი დიდი აფთი, ე.ი. ალებარდის მსგავსი იარაღია. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. გვ. 362; რაც გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ კლასიკური ფორმის ალებარდებმა ევროპის ქვეყნებში XIV ს. დასაწყისიდან დაიწყეს გავრცელება, Эварт Окшотт. Археология оружия. Москва. стр. 300-301; შეიძლება წათი ამ ტიპის იარაღის ადრეული სახეობა იყოს.

20. ქვეით შუბოსანთა ეფექტურობას ცხენოსანთა წინააღმდეგ, განსაკუთრებით მთების პირობებში, ხაზგასმით მიუთითებს ბიზანტიური სამხედრო ტრაქტატი „ DE VELITATIONE BELLICA." Два Византийских Военных Трактата конца X века. стр. 126-127.

21. მოისართა გამოყენების ინტენსიური ხასიათი განსაკუთრებით კარგად ჩანს „ძეგლი ერისთავთას" ცნობებიდან, სადაც განსაკუთრებით ხაზგასმულია სიმაღლიდან ქვემოთ ნასროლი ისრის ეფექტურობა. "ქვემოით ნასროლმან ისარმან ფარი და ჯაჭვიანი კაცი გაიარის და მინასა ნახევრად დაესვის." ძეგლი ერისთავთა. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. გვ. 108.

ქვეითი მოისრეები გამოსახულნი არიან მაგალითად ფავნისისა და იკვის ეკლესიების ფრესკებზე. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 5. გვ. 147, 167.

22. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 279-280, 299-300; ძალიან საინტერესოა თამარის

პირველი ისტორიკოსის ცნობა, სადაც იხსენიება (ციხიდან) გარეთ სასროლი მანქანები, რომლებიც საბრძოლველად გაამზადა გიორგი III-ის სარდალმა თორელმა ანისის ციხეში. ქართლის ცხოვრება. ტ. II. 13.

23. იმდროისთვის ევროპულ, ბიზანტიურ თუ ისლამურ სამყაროში გავრცელებული იყო საალყო მანქანების შემდეგი ძირითადი სახეობები: გიგანტური არბალეტები, როლითაც ასევე გიგანტური ზომის ისრებს ისროდნენ, ქვის სატყორცნი ონაგრები (კატაპულტები) და ტრებუჩეტები (Trebuchet). David Nicolle. Medieval Siege Weapons: Byzantium, the Islamic World&India AD 475-1526. "Osprey publishing." 2003. pp. 3-4, 15-19; Paul E. Chevedden. the Invention of the Counterweight Trebuchet: A Study in Cultural Diffusion. DOP №54. 2000. pp. 71-116; Madival Warfare: A History. Ed. by Maurise Keen. pp. 163-185;

ქართულ ფილაკავანს სულხან-საბა განმარტავს როგორც ლოდის მტყორცნელ მანქანას. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. გვ. 192; და წერილობითი წყაროებიც აშკარად იმას მიუთითებენ, რომ იარაღის ეს ტიპი მხოლოდ ქვების სასროლ საშუალებას წარმოადგენდა. თუმცა ერთ შემთხვევაში თითქოსდა გვაქვს საფუძველი, რომ ქართული არმიის შეიარაღებაში გიგანტური არბალეტის მსგავსი იარაღის არსებობაც ვივარაუდოთ. როდესაც ბაგრატ IV-ს ჩააბარეს თბილისი და მას ისანი არ დამორჩილდა, მაშინ დაიწყო ისნის ალყა. ისანს "დაუდგნეს ფილაკავანნი, და ბრძოდეს ისანსა, და ესროდეს ისარსა." ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 300; ამ ცნობის კონტექსტი თითქოს ისეთია, რომ აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ისარის ფილაკავანიდან გატყორცნილი ლოდების მსგავს სროლად (თუმცა რასაკვირველია, შეიძლება აქ საუბარი იყოს ჩვეულებრივი ისრის სროლაზე და არა გიგანტური არბალეტის გამოყენებაზე). შესაძლოა, ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმში დაცული "გიგანტური" ისრისპირი (ტაბ. III) სწორედ არბალეტის ამ ტიპს მიეკუთვნებოდეს.

სამწუხაროდ, ასევე შეუძლებელია ფილაკავანის ზოგადი ტიპის განსაზღვრაც. ჩვენთვის უცნობი რჩება თუ საალყო მანქანების რომელ ტიპს (ონაგრს, რომელიც მცირე ზომის ქვებს ისროდა თუ ტრებუჩეტს, რომელიც უფრო "მსხვილკალიბრიანი" იარაღი იყო) მიეკუთვნებოდა ქართული ფილაკავანი. თუმც ისეთი მითითები, რომელთა მიხედვითაც "მცირედთა დღეთა დალეწნეს ზღუდენი შამქორისანი." ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 280;უფრო მსხვილკალიბრიანი საალყო მანქანების (ტრებუჩეტის მსგავსის) არსებობას უნდა მიუთითებდეს, რაც რასაკვირველია, არც მცირე ზომის ფილაკავანების (ონაგრების) არსებობის შესაძლებლობას გამორიცხავს.

24. სპარსეთში ლაშქრობისას (თამარის დროს), ქალაქ ზენჯანის ალყის დროს, ქართველმა მეომრებმა "განყვნეს თემთა და თემთა ზღუდე ქალაქისა, რათა შესთხარონ. და იწყეს თხრად ზღუდეთა: უწინარეს მარჯუენასა მარჯუენასა მხარსა მესხთა შეხურიტეს ზღუდე—ალიზით იყო და უწინ შევიდეს ქალაქსა შინა და იწყეს ხოცად და სრვად ვინცა მეომარი იყო." ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 106; აქ აშკარად საუბარია ციხის კედლების ქვეშ გაყვანილ გვირაბზე, რამაც მათი ჩამოქცევა გამოიწვია.

25. სულხან-საბას მიხედვით სპერმური, სპილენძის ჭური, იგივე დიდი ნაღარაა. ქოსი (სხვათა ენაა) ასევე სპილენძ-ჭურია (ალბათ ნაღარის ნაირსახეობა), ხოლო წინწილს სულხან-საბა ერთგვარ ტკბილ საკრავს უწოდებს. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. გვ. 108, 232, 379;

26. მაგალითად, თამარის პირველი ისტორიკოსის მიხედვით, "ჰკრეს სპერმურთა, და სცეს ზარი, დააწყუეს რაზმი წესისაებრ... და წარემართნეს და წავიდეს სიახლესა შანქორისასა." ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 70.

იგივე ხასიათისაა ალ-ფარიკის ცნობაც, რომელიც ახლდა რა დემეტრე მეფეს ლაშქრობისას აღნიშნავს, რომ "С наступлением ночи царь получил сообщение о том что некоторые

области восстали против него. Тогда тотчас затрубили в рог похода и царь двинулся", ბუნებრივია, არმიასთან ერთად. Из истории Майяфарикана Ибн ал-Азрака ал-Фарики. стр. 222.

ხმოვანი სასიგნალო ინსტრუმენტების გამოყენების ფაქტს ქართულ არმიაში, მიუთითებს ჯუვეინიც. "Когда прибыли вражеские полчища (საუბარია ქართულ არმიაზე ს.მ.) со своими барабанами и трубами, со своими верблюдами и верблюдицами, и выстроились в шеренгу за шеренгой, приготовились к бою." Ата-Мелик Джувейни. Чингисхан. История Завоевателя Мира. стр. 310;

27. სეფე დროშას, წმინდა ძელი ცხოველთან და სამეფო აბჯართან ერთად, როგორც უმთავრეს სამეფო ატრიბუტებს, რომლებიც მისი მემკვიდრის ხელში გადადიოდნენ, თავის ანდერძში იხსენიებს დავით აღმაშენებელი. ანდერძი დავით აღმაშენებლისა. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ის. დოლიძის რედაქციით. თბილისი. 1965. გვ. 19.

ქართულ წყაროებში სეფე დროშა, ძელი ცხოველთან ერთად, არაერთგზის იხსენიება ქართველ მეფეთა ლაშქრობების აღწერისას. მაგალითად, ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 38; 68, 104, 115;

28. მაგალითად, სპარსეთში ლაშქრობის წინ, თამარ მეფემ სეფე დროშა ლაშქრობის მთავარსარდალს, ზაქარია მხარგრძელს გადასცა. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 104.

სამხედრო ლაშქრობებისას თუ კონკრეტული ბრძოლებისას სეფე დროშის მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო. შეიძლება ითქვას, რომ იგი ამაღლებდა მეომართა ბრძოლისუნარიანობასა და საბრძოლო სულისკვეთებას. სანამ მეომრები სეფე დროშას ხედავდნენ, მათ იცოდნენ, რომ მეფე (ან სხვა მთავარსარდალი) მათთან ერთად იყო და ბრძოლას აგრძელებდნენ. ხოლო თუ დროშა მათი მხედველობის არედან გაქრებოდა, ეს შეიძლება პანიკისა და ბრძოლის ველიდან გაქცევის საბაბი გამხდარიყო. მაგალითად, ჯუვეინს აღწერილი აქვს შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთი ბრძოლის დროს, რომელიც იოლი გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო, ავადმყოფმა ჯალალ ად-დინმა გადაწყვიტა ბრძოლის ველიდან გასულიყო და როდესაც მისმა მხლებლებმა მის წასვლისთანავე მისი შტანდარტიც თან წაიღეს, მეომრებმა ჩათვალეს, რომ სულთანი გარბოდა და თავადაც გაიქცნენ. Ата-Мелик Джувейни. Чингисхан. История Завоевателя Мира. стр. 319;

29. სტეფანოზ ორბელიანის "ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქრთული თარგმანები. გვ. 38.

30. თამარის პირველი ისტორიკოსი, როდესაც აღწერს გუზან ტაოელის გამოსვლას სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ხლათის საემიროს არმიასთან ერთად, მიუთითებს, რომ ზაქარია ფანასკერტელისა და სხვა ქართველი აზნაურების ძალები, რომლებიც დაუპირისპირდნენ გუზან ტაოელს, ბევრად მცირე იყო მოწინააღმდეგესთან შედარებით, რადგან მათი "ლაშქარნი დიდნი იყვნეს და პატრონნი თორმეტისა დროშისანი." ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 56;

მსგავსი ცნობაა დაცული სტეფანოზ ორბელიანთან, რომლის მიხედვითაც ორბელიანებს "აქუნდათ სამარადისოთ დროშა თორმეტი და თვითოს დროშასთან ჰყუანდათ კაცნი ათასნი." სტეფანოზ ორბელიანის "ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქრთული თარგმანები. გვ. 37-38.

ამ ცნობებიდან გამოდის, რომ თითოეული დროშის ქვეშ ათასი მეომარი იყო გაერთიანებული, რაც უკვე აშკარა ტაქტიკურ ერთეულს ნიშნავს.

31. ეს დანაყოფი ბედიელი აზნაურებისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი, ყოველ შემთხვევაში, გიორგი III-ს დროს, სწორედ ისინი იცავდნენ ძელიცხოველს. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 14;

არმიის წინამძღოლ წმინდა ჯვარს განსაკუთრებული მორალურ-ფსიქოლოგიური დანიშნულება ჰქონდა მეომრებისთვის. მისი თანხლება ამაღლებდა საბრძოლო სულისკვეთებას და გამარჯვების რწმენას, ამიტომ არც ერთი მნიშვნელოვანი ლაშქრობა მისი თანხლების გარეშე არ ტარდებოდა, რაც კარგად ჩანს წერილობითი წყაროებიდან. ქართლის ცხოვრება. ტ. II. გვ. 38, 68, 104, 115 და ა.შ.

ჯვრის მტრის ხელში ჩავარდნა უდიდეს უბედურებად ითელებოდა და მის თავიდან აცილებას ყველანაირად ვდილობდნენ. წმინდა ჯვრის ლაშქრობისას თანხლების ტრადიცია არსებობდა ჯვაროსნებთანაც, რომელთა ჯვარიც ჰატინის ბრძოლაში სალადინს ჩავარდა ხელში. წმინდა ჯვრის მნიშვნელობა იმდენად უზარმაზარი იყო, რომ სალადინმა ერაკლიანებს, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ ჯვრის უკან მიღებას, იგი არავრცელ დაუბრუნა. მაშინაც კი, როდესაც სალადინსა და რიჩარდ III-ს შორის [illegible] ბალა, რომლის მიხედვითაც ჯვაროსნებმა დაიბრუნეს იერუსალიმის საქალაქო და [illegible] ტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი და მიიღეს უფლება იერუსალიმში [illegible] აღსრულებისა, სალადინს მათთვის ჯვარი არ დაუბრუნებია. საინტერესოა, რომ ჯვარ[illegible]ნების წმინდა ჯვრის გამოხსნას სალადინისგან ცდილობდნენ ბიზანტიის [illegible] და თამარ მეფეც, რომელიც ჯვრის გამოსასყიდად 200 ათას დინარს [illegible] ლიმ მმართველს, მაგრამ ასევე უშედეგოდ. გ. ჯაფარიძე. საქართველოსა და [illegible] აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. გვ. 135-136; V Minorsky. Studies in Caucasian History. p. 133;

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია ქართული სანისამძღოლო ჯვრების (ძელიცხოველის) რამდენიმე შესანიშნავი ეგზემპლიარი, დავით კურაპალატისეული ჯვარი, ცაიშის, რომელიც ბაგრატ IV-ს ეკუთვნოდა, ბრეთის, დავით აღმაშენებელისეული გელათის ჯვარი და სხვა. Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Фото №№ 8-12, 101, 483;

32. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. VI. გვ. 290;

33. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 343.

34. ივ. ჯავახიშვილი. თხზულებანი. ტ. VI. გვ. 290.

დავით აღმაშენებელი, თავისი ეპოქის დიდი მხედართმთავარი

1. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 350; ტენდენცია, წარმოადგინონ "საკუთარი" მონარქები თუ მხედართმთავრები ისეთ ინდივიდუალური ღირსებების მეომრებად, რომელთაც ძალუძდათ ათეულობითა და ასეულობით მოწინააღმდეგის მარტო დამარცხება, დამახასიათებელია სხვადასხვა წყაროებისთვის. მაგალითად, ასეთ მეომრად ხატავს ბალდუინ II-ს გოტიე, რომელსაც მისი მიხედვით მარტოს "დაუმარცხებია" ილ-ღაზის არმიის დიდი რაზმი. Walter the Chancellors the Antiochene Wars. p. 155; იოანე კინამოსი აღნიშნავს, რომ ბიზანტიის იმპერატორი მარტო ებრძოდა „წარმატებით" სელჯუკთა 500 კაციან რაზმს. Иоанн Киннам. Краткое обозрение царствования Иоанна и Мануила Комнинов. Рязан. "Александрия." 2003. стр. 47; მიხეილ სირიელი მიუთითებს, რომ ედესის გრაფმა ჟოსლინმა მარტომ „გაანადგურა" ქალაქში შემოჭრილი 30 მუსლიმი მეომარი. Р. А. Гусейнов. Из хроники Михаила Сирийца. книга 15. глава. 10. стр. 38; ჯუვეინის მიხედვით ჯალალ ად-დინს მარტოს «დაუმარცხებია» ქართველ მეომართა 500 კაციანი რაზმი. Ата-Мелик Джувейни. Чингисхан. История Завоевавателя Мира. Москва. стр. 304-305; და ა.შ.

ასეთ პანეგირიკებს შორის "ერთ-ერთი ჩემპიონი", უდავოდ, ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე კინამოსია, რომელიც გარდა უკვე აღნიშნული "ფაქტისა," არაერთხელ მიუთითებს მანუელის მიერ ჩადენილ, არაერთ "ზეაადამიანურ-მეომრული გმირობის ფაქტებს." მისი მიხედვით, იმპერატორი მანუელი საჭურვლის გარეშე (ისევე როგორც მემატიანის სიტყვებით, დავითი თბილისთან) უტევს მრავალრიცხოვან მტერს. გვ. 54; შუბის ერთი დარტყმით კლავს თხუთმეტ მოწინააღმდეგეს. გვ. 91; მარტო ამარცხებს 300 სელჯუკ ცხენოსანს. გვ. 92. მარტოს ტყვედ აჰყავს 40 მეომარი. გვ. 93; მარტო იკავებს ჩასაძირავად გადახრილ გემს. გვ. 175 და ა.შ. როგორც ჩანს, კინამოსი ამ მაამებლობით გარკვეულ უხერხულობას თავადვე გრძნობდა და ამიტომ ვრცელ კომენტარსაც აკეთებს ამის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ როდესაც მას უყვებოდნენ გაზვიადებულ ამბებს, რომლებსაც იმპერატორს მიანერდნენ, იგი ამას არ იჯერებდა, რადგან იმის დაჯერება, რომ ერთ ადამიანს შეეძლო ათასების დამარცხება, ხოლო ერთ შუბს ათიათასობითის ძლევა, იგი შეუძლებლად თვლიდა და ამიტომ დაუყოვნებლივ წყვიტავდა საუბარს მასთან, ვისგანაც ასეთ ისტორიებს ისმენდა, რადგან მისი ბუნებისთვის "უცხო იყო მაამებლობა და რომ მას არ შეეძლო არც ერთი სიტყვის წარმოთქმა ჭეშმარიტების გარეშე." კინამოსი, მისივე სიტყვით, ასეთ ამბებს სამეფო ჩინოვნიკების გამონაგონად თვლიდა მანამ, სანამ საკუთარი თვალით არ ნახა თუ როგორ დაუპირისპირდა იმპერატორი მტრის მთელ ფალანგას (დიდ სამხედრო რაზმს) და მარტომ გააქცია იგი. გვ. 153-154.

2. მაგალითად, მრავალი ისტორიული წყარო ერთხმად აღნიშნავს, რომ მანციკერტის ბრძოლაში, სადაც ბიზანტიელებმა სასტიკი მარცხი განიცადეს, იმპერატორმა რომან დიოგენმა დიდი პირადი სიმამაცე გამოავლინა, თუმცა ამით ვერც ბრძოლა მოიგო და თავადაც ტყვედ ჩავარდა. ამის შესახებ მისი თანამედროვე მიქაელ ფსელოსი აღნიშნავდა, რომ: "Если расценивать Романа как бесстрашного человека и отважного бойца, то его поведение дает повод для похвал. Если же учесть, что по правилам военной науки лучше бы Роману, как первому военачальнику, стоять поодаль, отдавать воинам необходимые распоряжения и не рисковать безрассудно своей жизнью, этот царь достоин жестокого осмеяния." Михаил Пселл. Хронография. Перевод, статья и примечания Я. И. Любарского. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2003. стр. 187.

3. მცირერიცხოვანი სამხედრო ძალების ყოლის შემთხვევაში, მხედართმთავრები ხშირად ცდილობდნენ პირადი სიმამაცით მოეხდინათ მეომართა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება და ამ გზით მტრის რიცხობრივი უპირატესობის კომპენსირება, მაგრამ ამ გზას წარმატება ყოველთვის არ მოჰქონდა. მაგალითად, 1192 წელს სელჯუკთა უკანასკნელი სულთანი თოღრულ III, რომლის განკარგულებაშიც 3 ათასი მეომარი იყო, პირადად ჩაუდგა სათავეში შეტევას აჯანყებული ემირების 15 ათასიანი არმიის წინააღმდეგ და სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე. მაგრამ როდესაც ერთი წლის შემდეგ მან ანალოგიური (მცირე ძალებით შეტევა მრავალრიცხოვან მტერზე) გაიმეორა ქალაქ რეისთან გამართულ ბრძოლაში, მისმა სიმამაცემ უკვე შედეგი აღარ მოიტანა. მან ბრძოლაც წააგო და თავადაც დაიღუპა. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Соощения о сельджукском государстве. глава 39. стр. 157, 164;

4. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 329.

5. Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Соощения о сельджукском государстве. глава 17. стр. 55; V. Minorsky. Studies in Caucasian History. p. 65;

6. В. Ф. Минорский. Историа Ширвана и Дервенда. Москва. стр. 94, 103;

7. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 326.

8. John France. Victory in the East. A Military history of the First Crusade. pp. 246-255.

9. Ф. И. Успенский, История Византийской Империи, том. 4. стр. 36-196.

10. John Matthews. Bob Stewart. Warriors of Christendom. pp. 145-183; David Nicolle. the Third Crusade 1191. Richard the Lionheart, Saladin and the struggle for Jerusalem. p. 18.

11. Альбер Шамдор. Саладин. Благородный Герой Ислама. стр. 52-345; David Nicolle. the Third Crusade 1191. Richard the Lionheart, Saladin and the struggle for Jerusalem. p. 20.

12. ქართლის ცხოვრება. ტ. I. გვ. 359.

შემოკლებები

აკცუ—საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟურნალი.

ენიმკი — აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე.

თსუშ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები.

იჯსიიშ — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები.

მაცნე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე.

მიაეხს — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე.
ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.

სრხ — საქართველო რუსთაველის ხანაში.

სსმამ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე.

სსმმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე.

სიამ — საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები.

სიგკ — საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული.

სიწ — საქართველოს ისტორიის წყაროები.

ქნ — ქართული წყაროთმცოდნეობა.

ВВ — Византийский Временник.

ТИИА — Труды Института истории Академии Наук Азербайджанской ССР

ПС — Палесттинский сборник.

AEMA — Archivum Eurasiae Medii Aevi.

AP — Archeion Pontou.

DOP — Dumbarton Oaks Papers.

HNSP - Hisham Nashabe Studia Palaestina.

HT - History Today.

JMH - Journal of Medieval History.

WH - War in History.

ბიბლიოგრაფია

წყაროები:

1 - ანა კომნენოსი. Анна Комнина. Алексиада. Книга. VI. Глава. 9. Вступительная статья, перевод, комментарий Я.Н.Любарского. Москва. Издательство "Наука". 1965.

2 - ანდერძი დავით აღმაშენებლისა. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ის. დოლიძის რედაქციით. თბილისი. 1965. გვ. 18-20.

3 - ან-ნასავი. З. М. Бунятов. Сведения Шихаб ад-дина ан-Насави о Грузии. ქნ. III. თბილისი. "მეცნიერება." 1071. გვ. 159-171; Шихаб ад-дин ан-Насави. Сират ас-султан Джалал ад-Дин Манкбурны. Издание текста, перевод, введение и примечания З. М. Буниятова. Москва. "Восточная Литература." 1996.

4 - ანონიმი. მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. "სახელგამი." 1955. გვ. 249-317.

5 - ანონიმი. შირვანისა და დერბენდის ისტორია. В. Ф. Минорский. Историа Ширвана и Дервенда. Москва. "Издательство восточной литературы." 1963.

6 - ანონიმი. CESTA FRANCORUM. August C. Krey. the First Crusade: the Accounts of Eyewitnesses and Participants. Princeton. 1921. pp. 182-185;

7 - ანონიმი. DE CASTRAMETATIONE. Два Византийских Военных Трактата конца X века. издание подготовил. В. В. Кучма. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2002. стр. 231-390.

8 - ანონიმი. DE VELITATIONE BELLICA. Два Византийских Военных Трактата конца X века. издание подготовил. В. В. Кучма. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2002. стр. 109-230.

9 - ბაჰა ალ-დინ შადადი. История Средних Веков. Крестовие Походи. Составитель М. М. Стасюлевич. Сантк-Петербург-Москва. "Полигон-Аст." 2001. стр. 390-394.

10 - გალიჩ-ვოლინის მატიანე. История Золотой Орды. Сборник материалов. Сантк-Петербург. "ЭВРОПЕЙСКИЙ ДОМ." 2003. стр. 14-16.

11 - გიორგი აკროპოლიტი. Георгий Акрополит. Летопись Великого Логофета Георгия Акрополита. Рязань. "АЛЕКСАНДРИЯ." 2003.

12 - გიორგი ბრწყინვალის ძეგლის დადება. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. I. ი დოლიძის რედაქციით. თბილისი. 1963. გვ. 401-421.

13 - გიორგი მთაწმინდელი. იოანეს და ეექვთიმეს ცხოვრება. ქართული მწერლობა. ტ. 2. თბილისი. "ნაკადული." 1987. გვ. 5-60.

14 - გიორგი მცირე. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. ქართული მწერლობა. ტ. 2. თბილისი. "ნაკადული." 1987. გვ. 63-152.

15 - გიუნტერ პერიელი. М. А. Заборов. История крестовых походов в документах и материалахю. Москва. "Высшая школа." 1975. стр. 266-270.

16 - გოტფრიდ ბულონელის, რაიმუნდ სენ-ჟილისა და არქიეპისკოპოს დაიმბერტის წერილი რომის პაპს. Dana C. Munro. Letters of the Crusaders. Original Sources of European History. v. I. Philadelhia. "University of Pennsylvania." 1894. pp 8-10.

17 - დავით აღმაშენებლის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ი. დოლიძის რედაქციით. თბილისი. „მეცნიერება." 1965. გვ. 12-20.

18 - დავით აღმაშენებლის მემატიანე. ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. ტ. I. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. "სახელგამი." 1955. გვ. 318-364.

19 - დასტურლამალი. ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ი. დოლიძის რედაქციით. თბილისი. „მეცნიერება." 1965. გვ. 235-327.

20 - ვალტერ გოტიე. ზ. ავალიშვილი. ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი. თბილისი. "საბჭოთა საქართველო." 1989. გვ. 45-47; Walter the Chancellors the Antiochene Wars. A Translation and Commentary by Thomas S. Asbridge. Susan B. Edgington. London. "Ashgate."

1999. pp. 77-171;
21 - **ვარდანი.** Всемирная история Вардана Великого. Перевел Н. Эмин. Москва. 1861.
22 - **ვილჰელმ რუბრუკი.** Путешествия в восточные страны Плано Карпини и Рубрука. под редакции Н. П. Шастина. Москва. 1957.
23 - **ვილჰელმ ტირელი.** История Средних Веков. Крестовие Походи. Составитель М. М. Стасюлевич. Сантк-Петербург-Москва. "Полигон-Аст." 2001. стр. 32-43.
24 - **ვლადიმირ მონომახი.** Поучение Владимира Мономаха. Русская литература XI-XVIII вв. Составители, вступительная статья и примечаний Л А Дмитриева и Н Д Кочетковой. Москва. "Художественная Литература." 1988. стр. 48-63.
25 - **ზარზმის (ივანე სულას ძის) წარწერა.** თ. ჟორდანია. ქრონიკები. I. თბილისი. "არტანუჯი." 2004. გვ. 123; ლაპიდარული წარწერები. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-XII სს). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბილისი. "მეცნიერება." 1980. გვ. 280-281;
26 - **ზაჰირ ალ-დინ ნიშაპური.** the History of the Seljuq Turks: From the Jami al-Tawarikh. Translate by Kenneth Allin Luther. Edited by Clifford Edmund Bosworth. Richmond. "Curzon Press." 2001.
27 - **თოვმა მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა.** საქართველოს ისტორიის წყაროები. 47. თბილისი. "მეცნიერება." 1987.
28 - **იაჰია ანტიოქიელი.** В. Р. Розен. Император Василий Болгаробойца: Извлечения из летописи Яхья Антиохийского. Сантк-Петербург. 1883.
29 - **იბნ ალ-ასირი.** ი. მაჭავარიანი. არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ. მოამბე. XII. ტფილისი. 1897. გვ. 2-3; Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-Камиль (полного свода истории) Ибн ал-Асира. Перевод П. Жузе. Баку. 1940. стр. 123; D. S. Richards. the Ananals of the Saljuq Turks: Selections from al-Kamil Fil Farikh of Ibn al-Athir. Bodmin. "MPG Books." 2002.
30 - **იბნ ალ-კალანისი.** the Damascus Chronicle of the Crusades. Extracted and translated from the chronicle of Ibn Al-Qalanisi. H. A. R. Gibb. "Dover Publication." 2002.
31 - **იბნ ალ-ფარიკი.** Из истории Майяфарикана Ибн ал-Азрака ал-Фарики. Перевод с арабского А. Дж. Мамедова. ТИИА. т. XII. 1957. стр. 222-223; В. Ф. Минорский. Историа Ширвана и Дервенда. Москва. «Издательство восточной литературы.» 1963. стр. 223-224.
32 - **იბნ ჯუბაირი.** Ибн Джубайр. Путешествие. перевод и коментарий Л. А. Семеновой. Москва. "НАУКА." 1984.
33 - **იბნ ჰაუკალი.** ე. სიხარულიძე. იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ. სიამ. I. თბილისი. "მეცნიერება." 1975. გვ. 31-37.
34 - **იოანე კინამოსი.** Иоанн Киннам. Краткое обозрение царствования Иоанна и Мануила Комнинов. Рязан. "Алуксандрия." 2003.
35 - **იულიანე (უნგრელი ბერი)** История Золотой Орды. Сборник материалов. Сантк-Петербург. "ЭВРОПЕЙСКИЙ ДОМ." 2003. стр. 23-25;
36 - **ქამალ ად-დინი.** Камал ад-дин. Сливки, снятые с истории Халеба. Л. А. Семенова. Из истории средневековой Сирии Сельджукский период. Москва. "Наука." 1990. стр. კუტალია ბ. ქემალ ად-დინის ცნობა დიდგორის ბრძოლის შესახებ. სსმამ. 74. №2. 1974. გვ. 501-504.
37 - **კეკავმენი.** Советы и Рассказы Кекавмена. Сочинение Византийского Полководца. Перевод и коментарий Г. Г. Литаврина. Москва. "Наука." 1972.
38 - **მავრიკიოსი.** Стратегикон Маврикия. Издание подготовил. В. В. Кучма. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2004.
39 - **მათე ურჰაელი.** ლ. დავლიანიძე. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ. სრხ. თბილისი. 1966. გვ. 242-252; М. А. Заборов. История крестовых походов в документах и материалахю. Москва. "Высшая школа." 1975. стр. 84-120; Matthew of Edessa. the chronicle of Matthew of Edessa. Translated by A. E. Dostourian. "University Press of America."

1993.
40 - **მარკო პოლო.** the Travels of Marco Polo. With an Introduction by Benjamin Colbert. Wordsworth. 1997.
41 - **მიხეილ სირიელი.** Р. А. Гусаинов. Из хроники Михаила Сирийца. Письменные памятники Востока. Историко-Филологические исследованияюю 1973. Москва. "Наука." 1979.
42 - **მიქაელ ფსელოსი.** Михаил Пселл. Хронография. Перевод, статья и примечания Я. И. Любарского. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2003.
43 - **ნიზამ ალ-მულკი.** Низам ал-мульк. Сиасет-наме. Перевод Б. Н. Заходера. Москва. АН СССР. 1949.
44 - **ნიკიტა ხონიატი.** Никита Хонят. История со Времени царствования Иоанна Комнина. т 2. Рязан. "Александрия." 2003.
45 - **ნიკიფორე ვრიენოსი.** Никифор Вриенний. Исторические записки (976-1087). Автор Коментариев А. А. Калинин. Москва. "Посев." 1997.
46 - **ნიკიფორე ფოკა.** Никифор II Фока. Стратегика. Перевод и коментарии. А. К. Не едкина. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2005.
47 - **ნოვგოროდის პირველი მატიანე.** История Золотой Орды. Сборник материалов. Сантк-Петербург. "ЭЕВРОПЕЙСКИЙ ДОМ." 2003. стр. 12-14.
48 - **პეტრე ტუდებოდი.** История Средних Веков. Крестовие Походи. Составитель М. М. Стасюлевич. Сантк-Петербург-Москва. "Полигон-Аст." 2001. стр. 167-172.
49 - **ჟამთაღმწერელი.** ქართლის ცხოვრება. ტ. II. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. "საბჭოთა საქართველო." 1959. გვ. 151-325.
50 - **ჟან ლა-ბელი.** Жан Ле-Бель. Правдивые Хроники. Хроники и Документы Времен Столетней Войны. "Издателство С-Петербургского Университета." 2005. стр. 35-113.
51 - **რაიმუნდ აგილიერი.** История Средних Веков. Крестовие Походи. Составитель М. М. Стасюлевич. Сантк-Петербург-Москва. "Полигон-Аст." 2001. стр. 153-167; August C. Krey. the First Crusade. the Accounts of Eyewitnesses and Participants. Princeton. 1921. pp. 185-189.
52 - **რაფიელ დანიბეგაშვილი.** რ. დანიბეგაშვილი. თვრამეტი წელი აზიის ქვეყნ. თბილისი. "საბჭოთა საქართველო." 1963.
53 - **სადრ ად-დინ ალ-ჰუსაინი.** Садр ад-Дин Али ал-Хусайни. Сообщения о сельджукском государстве. Сливки летописей, сообщающих о сельджукских эмирах и государях. Издание текста, перевод, введение и примечания, приложение З. М. Буниятова. Москва. "Восточная Литература." 1980.
54 - **სიბტ იბნ ალ-ჯაუზი.** ი. მაჭავარიანი. არაბელ და სპარსელ მწერალთა გეოგრაფიული და ისტორიული ცნობანი საქართველოს შესახებ. მოამბე. XII. ტფილისი. 1897. გვ. 6-7; ო. ცქიტიშვილი. სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ. თსუ შრომები ტ. 118. თბილისი. 1967. გვ. 205-212.
55 - **სმბატ სპარაპეტი.** E. Dulaurier. Documents armeniens. v. I. Recueil des historiens des croisades. Paris. 1869. pp. 610-672.
56 - **სომხური ანდერძ-მინაწერები.** ა. აბდალაძე. სომხური ანდერძ-მინაწერები საქართველოს შესახებ. X-XIII სს. არტანუჯის წყაროები. 3. თბილისი. "არტანუჯი." 2005.
57 - **სტეფან ბლუა.** Dana C. Munro. Letters of the Crusaders. Original Sources of European History. v. I. Philadelhia. "University of Pennsylvania." 1894. pp. 5-7.
58 - **სტეფანოზ ორბელიანი.** სტეფანოზ ორბელიანის "ცხოვრება ორბელიანთა"-ს ძველი ქრთული თარგმანები. სინ. 4. ვ. ცაგარეიშვილის რედაქციით. თბილისი. "მეცნიერება." 1978.
59 - **სულხან-საბა ორბელიანი.** ლექსიკონი ქართული. I-II. ილ. აბულაძის რედაქციით. თბილისი. "მერანი." 1993.
60 - **სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა.** ქართლის ცხოვრება. ტ. I. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. "სახელგამი." 1955. გვ. 373-386.

61 - **უსამა იბნ მუნკიზი.** Усама ибн Мункыз. Книга Назидання. Перевод Ю. И. Крачковского Москва. "Восточная Литература." 1958.
62 - **ფულხერი შარტრელი.** История Средних Веков. Крестовие Походи. Составитель М. М Стасюлевич. Сантк-Петербург-Москва. "Полигон-Аст." 2001. стр. 219-227.
63 - **ძეგლი ერისთავთა.** ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ი. დოლიძის რედაქციით თბილისი. „მეცნიერება." 1965. გვ. 102-117.
64 - **წესი და განგება მეფეთ კურთხევისა.** ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. ი დოლიძის რედაქციით. თბილისი. „მეცნიერება." 1965. გვ. 50-54.
65 - **ხელმწიფის კარის გარიგება.** ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI. თბილისი. "მეცნიერება." 1982. გვ. 385-404.
66 - **ჯვაროსნების წერილი პომის პაპს.** М. А. Заборов. История крестовых походов і документах и материалахю. Москва. "Высшая школа." 1975. стр. 98-104; А. Доманин Крестовые Походи под сенью кр еста. Москва. "Центрполиграф." 2003. стр. 390;
67 - **ჯუვეინი.** Ата-Мелик Джувейни. Чингисхан. История Завоевавателя Мира. Москва "МАГИСТР-ПРЕСС." 2004.

ლიტერატურა:

1 - **აბაშმაძე ვ.** ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან თბილისი. 1969.
2 - **ავალიშვილი ზ.** ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი. თბილისი "საბჭოთა საქართველო." 1989.
3 - **ალასანია გ.** ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის. მიაეხს №1. 1975.
4 - **ანთელავა ი.** საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს თბილისი. «მეცნიერება.» 1983.
5 - **ანჩაბაძე გ.** სამხედრო ისტორია. თბილისი. „სომა პრეს." 2002.
6 - **ანჩაბაძე გ.** «შიდა ლაშქრის» («შიდა სპის») მნიშვნელობის გარკვევისთვის. მიაეხს №1. 1987.
7 - **ანჩაბაძე ზ. ცინცაძე. მ.** საქართველო და ჩრდილოეთ კავკასია XII საუკუნესა და XII საუკუნის I ნახევარში. სრხ. თბილისი. 1966.
8 - **ასათიანი ნ.** საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. თბილისი „საქართველოს მაცნე." 2005.
9 - **ასათიანი ნ.** საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში. თსუშ ტ. 125. 1968.
10 - **ბადრიძე შ.** საქართველო და ჯვაროსნები. თბილისი. "მეცნიერება." 1973.
11 - **ბადრიძე შ.** ჯვაროსნული თქმულება დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე თსუშ. ტ. 125. 1968.
12 - **ბერაძე გ.** მასალები XII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის იბნ ისფანდიარის თხზულებაში. სიამ. I. თბილისი. "მეცნიერება." 1975.
13 - **ბერაძე ი.** ჯვაროსნულ ლაშქრობასა და ანტიოსმალურ კოალიციებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ. მაცნე. №4. 1965.
14 - **ბერიძე ვ.** ძველი ქართული ხუროთმოძღვრება. თბილისი. "ხელოვნება." 1974.
15 - **ბერიძე თ.** საზღვაო ვაჭრობის ორგანიზაცია შუა სუკუნეების საქართველოში. მიაეხს. №2. 1985.
16 - **ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს ისტორიის საკითხები. თბილისი. "მეცნიერება". 1990.

17 - **ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. I. თბილისი. „მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა." 1964.
18 - **ბერძენიშვილი ნ.** საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისთვის. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. V. თბილისი. „მეცნიერება." 1971.
19 - **ბერძნიშვილი მ.** საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები XIII საუკუნის დამდეგს. სრხ. თბილისი. 1966.
20 - **ბოგვერაძე ა.** დავით აღმაშენებლის ისტორიის თარიღისა და ხასიათის შესახებ. ქართული ისტორიოგრაფია. 2. თბილისი. "მეცნიერება." 1971.
21 - **გაგოშიძე ი.** პირველი საუკუნის იბერიელი მხედარი. ძიებანი. აკცუ. №13-14 გვ. 118-142;
22 - **გამყრელიძე გ. ფირცხალავა მ. ყიფიანი გ.** ძველი საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხები. თბილისი. "არტანუჯი." 2005.
23 - **გაფრინდაშვილი გ.** ვარძია. ლენინგრადი. "ავრორა." 1975.
24 - **გოგოლაძე დ.** მეფე დავით IV და მისი ზენოდება—აღმაშენებელი. „მიაეხს." №3. 1989.
25 - **გრიგოლია კ.** „დავითის ცხოვრებაში" დამოწმებული ერთი ტერმინის განმარტებისთვის. ქნ. III. თბილისი. „მეცნიერება." 1971.
26 - **ენუქიძე თ.** XIII საუკუნის ქართული სამოხელეო ტერმინი „მესაყივჩაღე." ქნ. IV. თბილისი. „მეცნიერება." 1973.
27 - **ზაქარაია პ.** ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია. თბილისი. 2002.
28 - **თბილისის ისტორია.** ტ. I. თბილისი. „მეცნიერება." 1990.
29 - **თვარაძე ა.** საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში. თბილისი. "სეზანი." 2004.
30 - **თოგოშვილი გ.** ალან-ოსები და ბიზანტია. მიაეხს. №2. 1978.
31 - **კაკაბაძე ს.** დიდგორის ბრძოლა. მხედარი. №2-3. თბილისი. 1991.
32 - **კანდელაკი ნ.** ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება. ნარკვევები ქართული ორატორული ხელოვნების ისტორიიდან. თბილისი. 1961.
33 - **კიკვიძე აბ.** დავით აღმაშენებელი. თბილისი. 1942.
34 - **კიკნაძე რ.** XI-XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან. იჯსიიშ. ტ. V. ნაკვეთი 1. თბილისი. 1960.
35 - **კოპალიანი ვ.** საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან, თსუშ. ტ. 125. თბილისი. 1968.
36 - **მარქარიანი ს.** მოკავშირეების წინააღმდეგ თურქ-სელჯუკთა ბრძოლის მნიშვნელობისა და თარიღის შესახებ (1049 წ). მიაეხს, №4. 1983.
37 - **მესხია შ.** ძლევაი საკვირველი. საისტორიო ძიებანი. ტ. III. თბილისი. "მეცნიერება." 1986.
38 - **მეტრეველი ე.** იერუსალიმის ერთი ხელნაწერი. სსმმ. XV-B. თბილისი. 1948.
39 - **მეტრეველი ე.** მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის. თბილისი. 1962.
40 - **მეტრეველი რ.** დავით IV აღმაშენებელი. თბილისი. "საბჭოთა საქართველო." 1986.
41 - **მეტრეველი რ.** დავით აღმაშენებელი. მეფე თამარი. თბილისი. "თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა." 2002.
42 - **მეტრეველი რ.** ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან. თბილისი. "საბჭოთა საქართველო" 1972.
43 - **მიქაძე გ.** იერუსალიმის უცნობი ქართული სამშენებლო წარწერა. ქნ. III. თბილისი. "მეცნიერება." 1976.
44 - **მუსხელიშვილი დ.** აღჯაყალა-გაგის ციხე. სიგკ. I. თბილისი. 1960.
45 - **მუსხელიშვილი დ.** საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II.

თბილისი. «მეცნიერება.» 1980.
46 - **ნატროშვილი თ.** დიდგორი...მარაბდა...ბაზალეთი...თბილისი. "დამანი."
47 - **პაპუაშვილი თ.** დავით აღმაშენებლის ეპოქაში საქართველოს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების საკითხები. მიაეხს. № 3. 1989.
48 - **პაპუაშვილი თ.** რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს). თბილისი. „მეცნიერება." 1982.
49 - **ჟორჟოლიანი გ.** ერთი ცნობა ნასერ ხოსროუს „საფარ-ნამედან." სიამ. II. თბილისი. „მეცნიერება." 1979.
50 - **რჩეულიშვილი ლ. ჩუბინაშვილი ნ.** XI-XII სს. ხიდი მდ. ბესლეთზე. შ. რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურის ძეგლები. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით. თბილისი. „ტექნიკა და შრომა." 1938.
51 - **სანაძე მ. ბერაძე თ. თოფურია კ.** საქართველოს ისტორიული ატლასი. თბილისი. "საქართველოს მაცნე." 2003.
52 - **საქართველოს ისტორია.** ლექსიკონი. შემდგენელი რ. მეტრეველი. თბილისი. „განათლება." 1979.
53 - **საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა.** ტ. 5. თბილისი. 1990.
54 - **საქართველოს ისტორიის ნარკვევები.** ტ. II. თბილისი. „საბჭოთა საქართველო." 1973.
55 - **საქართველოს ისტორიის ნარკვევები.** ტ. III. თბილისი. „საბჭოთა საქართველო". 1979.
56 - **საყვარელიძე თ. ალიბეგაშვილი. გ.** ქართული ჭედური და ფერწერული ხატები. თბილისი. „ხელოვნება." 1980.
57 - **სილაგაძე ბ.** იბნ ალ-ასირის თხზულების „თარიხ-ალ-ქამილი"-ს ერთი ადგილის დადგენისთვის. ქწ. III. თბილისი. „მეცნიერება." 1971.
58 - **სილაგაძე ბ.** XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე. სრხ. თბილისი. 1966.
59 - **სტეფნაძე ჯ.** საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში. თბილისი. „მეცნიერება." 1974.
60 - **ტაბატაძე კ.** „ახალი ქართლის ცხოვრების" ზოგი ცნობის წარმომავლობისა და სანდოობის შესახებ. ქწ. III. თბილისი. „მეცნიერება." 1971.
61 - **ტივაძე თ.** იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ. ქწ. III. თბილისი. "მეცნიერება." 1976.
62 - **შაიშმელაშვილი ივ.** აზეულა, კოჯრის ციხე, აგარანი. მიაეხს. №4. 1986.
63 - **შაიშმელაშვილი ივ.** შამქორი-ბასიანი. თბილისი. „საბჭოთა საქართველო." 1981.
64 - **შენგელია ნ.** სელჯუკები და საქართველო XI საუკუნეში. თბილისი. „მეცნიერება." 1968.
65 - **ჩხატარაიშვილი ქ.** ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში. თბილისი. „მეცნიერება". 1979.
66 - **ჩხატარაიშვილი ქ.** უცხოელები XII საუკუნის საქართველოს ლაშქარში. სრხ. თბილისი. 1966.
67 - **ჩხატარაიშვილი ქ. შაიშმელაშვილი ივ.** დიდგორის ბრძოლა. თბილისი. „მეცნიერება." 1973.
68 - **ცინცაძე ი.** ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.). I. თბილისი. 1956.
69 - **ცინცაძე მ.** საქართველო და ქართველები X-XI სს. სპარსულ წყაროებში მიაეხს. №4. 1984.
70 - **ჭილაშვილი ლ.** ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. II. თბილისი. „მეცნიერება." 1970.
71 - **ჯავახიშვილი ივ.** ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. II.

თბილისი. „მეცნიერება". 1983.
72 - **ჯავახიშვილი ივ.** ქართველი ერის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. III. თბილისი. «მეცნიერება.» 1982.
73 - **ჯავახიშვილი ივ.** ქართული სამართლის ისტორია. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. VI. თბილისი. „მეცნიერება." 1982.
74 - **ჯანაშია ს.** შრომები. ტ. V. თბილისი. „მეცნიერება." 1987.
75 - **ჯაფარიძე. გ.** იბნ ალ-ასირის ერთი ცნობის შესახებ. სიამ. I. თბილისი. „მეცნიერება." 1976.
76 - **ჯაფარიძე. გ.** მუსლიმთა კოალიციები და საქართველო. „მხედარი" №2. 1992. თბილისი. 1992.
77 - **ჯაფარიძე. გ.** საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო. თბილისი. "მეცნიერება." 1995.
78 - **Агаджанов. С. Г. Юзбашян. К. И.** К истории тюркских набегов на Армению в XI в. ПС. №13 (76). Москва Ленингад. "НАУКА." 1965.
79 - **Алибегашвили. Г.** Светский портрет в грузинской средневековой монументалной Живописи. Тбилиси. "Мецниереба." 1979.
80 - **Альфан Луи.** Варвари. от Великого переселения народов до тюркских завоеваний XI века. Санкт-Петербург. "Евразия." 2003.
81 - **Альтамира-и-кревеа Рафаэль.** История Средневековой Испании. Санкт-Петербург. "Евразия." 2003.
82 - **Андреев А.** Монашеские Ордена. Москва. "ТРАДИЦИЯ-ЕВРОЛИНЦ." 2001.
83 - **Атлас географических открытий.** предисловие Джона Хеминга. Москва. "БММ АО." 1998.
84 - **Асадов Ф. М.** Тюркская гвардия Аббасидов. Арабские источники о тюрках в раннее средневековье. Баку. 1993. стр. 10-21.
85 - **Бартольд В. В.** История турецко-монгольских народов. Сочинения. т. V. Москва. 1968.
86 - **Бартольд В. В.** Работы по истории ислама и Арабского Халифата. Москва. "ВОСТОЧНАЯ ЛИТЕРАТУРА." 2002.
87 - **Бартольд В. В.** Работы по историчесуой географии и истории Ирана. Москва. "ВОСТОЧНАЯ ЛИТЕРАТУРА." 2003.
88 - **Боек Ян Ле.** Римская Армия эпохи ранней империи. Москва. "РОССПЕН." 2001.
89 - **Большаков О. Г.** Средневековый Город Ближнего Востока. Москва. "Восточная Литература." 2001.
90 - **Бунятов З. М.** Государство Атабеков Азербайджана Баку. "ЭЛМ." 1978.
91 - **Виймар Пьер.** Крестовые Походи, Миф и реальность священной войны. Санкт- Петервбург. "Евразия." 2003.
92 - **Гиббон Э.** Упадок и разрушение Римской Империи. Москва. "ЦЕНТРПОЛИГРАФ." 2005.
93 - **Гийу Андре.** Византийская. Цивилизация. Екатеринебург. "У-Факторня." 2005.
94 - **Горделевский В. А.** Государство Сельджукидов Малой Азии. Избранные Сочинения. том I. Москва. "Восточная Литература." 1960.
95 - **Гумилев Л. Н.** Древняя Русь и Великая Степь. Москва. "Аирис-пресс." 2004.
96 - **Гумилев Л. Н.** Открытие Хазарии. Санкт-Петербург. "КРИСТАЛЛ." Москва. "ОНИКС." 2003.
97 - **Гумилев Л. Н.** От Руси до России. Москва. "Айрис-Пресс." 2000.
98 - **Гумилев Л. Н.** Черная Легенда. Друзья и недруги Великой Степи. Москва. "Аирис-Пресс." 2005.
99 - **Гусейнов Р. А.** Из истории отношений византии с сельджуками. ПС. №23 (86). Ленингад. "НАУКА." 1971.
100 - **Гусейнов Р. А.** Последствия сражения при манцикерте (1071г) для закавказья. ВВ. т.

XXIX. Москва. "НАУКА." 1969.
101 - **Гусейнов Р. А.** Сельджукская военная организация. ПС. №17(80). "НАУКА."
102 - **Дельбрюк Г.** История Военного Искуства в рамках политической истории. том I-III. Сантк-Петербург. "НАУКА-ЮВЕНТА." . 1996. 2001.
103 - **Диль Шарль.** История Византийской Империи. Москва. "Иностранная литература." 1948.
104 - **Диль Шарль.** Основные проблемы Византийской Истории. Москва. "Иностранная литература." 1947.
105 - **Доманин А.** Крестовые Походи под сенью кр еста. Москва. "Центрполиграф." 2003.
106 - **Дуглас Девид Ч.** Норманы от завоеваний к достижениям. Санкт-Петербург. "Евразия." 2003.
107 - **Дюпюи Р. Эрнест. Дюпюи Тревор Н.** Всемирная История Войн. т. I. Санкт- Петербург-Москва. "Полигон-Аст." 2000.
108 - **Жавороков Н. И.** У истоков образования никейской империи. ВВ. №38. "НАУКА." 1977.
109 - **Ирвин Роберт.** Ислам и Крестовые Походы. История Крестовых Походов. Под редакцией Джонатана Райли-Смита. Москва. "Кронпресс." 1998.
110 - **История Войн.** Илустрированный атлас военной истории с древнейших времен до XXI века. Москва. "АСТ-АСТРЕЛЬ." 2003.
111 - **История Востока.** т. II. гл. редактор Р. Б. Рыбаков. Москва. "Восточная Литература." 2002.
112 - **Каждан А. П.** Загадка Комнинов. ВВ. т. XXV. Москва. "НАУКА." 1964.
113 - **Карамзин Н. М.** Предания Веков. Москва. "Правда." 1988.
114 - **Кардини Франко.** Истоки Средневекового Рыцарства. Москва. "Прогрес." 1987.
115 - **Карель Пауль.** Восточный Фронт. книга 1. Москва. "ИЗОГРАФУС." 2003.
116 - **Карпов С. П.** Трапезундская имрерия в византийской исторической литературе XIII-XIV вв. ВВ. № 35. "НАУКА." 1973.
117 - **Кирносс Лорд.** Расцвет и упадок Османской империи. Москва."КронПресс".1999.
118 - **Князький И. О.** Византия и Кочевники Юнорусских Степей. Сантк-Петербург. "АЕТЕЙЯ." 2003.
119 - **Коннолли Питер.** Греция и Рим, Энциклопедия военной истории. Москва. "ЭКСМО-Пресс." 2000.
120 - **Контамин Филипп.** Война в средние века. Санкт Петербург. "Ювента" 2001.
121 - **Контлер Ласло.** История Венгрии. Тысячелетие в центре Европи. Москва. "Весь Мир." 2002.
122 - **Кулаковский Ю. А.** Византийский лагерь конца X в. Зб. Византийская цивилизация в освещении российских ученых 1894-1927. Москва. 1999.
123 - **Кулаковский Ю. А.** Избранные труды по истории Аланов и Сарматии. Сантк- Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2000.
124 - **Культура Византии.** Вторая половина VII-XIIв. Москва. "Наука." 1989.
125 - **Курбатов Г. Л.** История Византии. Москва. "Высшая школа." 1984.
126 - **Кучма В. В.** Военная организация Византийской Империи. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2001.
127 - **Легман Дж. Ли Г. Ч.** История Тамплиеров. Москва. "ОЛМА-ПРЕСС." 2002.
128 - **Лучицкая С. И.** Образ другого. Мусульмане в хрониках крестовых походов. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2001.
129 - **Мельвиль Марион.** История Ордена Тамплиеров. Сантк-Петербург. "ЕВРАЗИЯ." 2000.
130 - **Микаелян Г. Г.** История Киликийского армянского государство. Ереван. 1952.
131 - **Мольтке.** О Глубине походних Колонн. Стратегия в Трудах Военных Класиков. Москва.

"Финансовый контроль." 2003.
132 - **Николле Д.** Янычары. Москва. "Аст-Астрель." 2004.
133 - **Норвич Джон.** Нормандцы в Сицилии, Второе нормандское завоевание 1016-1130. Москва. "Центрополиграф." 2005.
134 - **Окшотт Эварт.** Археология оружия. Москва. "ЦЕНТРПОЛИГРАФ." 2004.
135 - **Перну Режин.** Крестоносцы. Сантк-Петербург. Евразия. 2001.
136 - **Плетнева С. А.** Половцы. Москва. "НАУКА." 1990.
137 - **Попов А. И.** Кыпчаки и Русь. "Ученые записки ЛГУ." Серия исторических наук. Выпуск. 14. 1949.
138 - **Райс Тамара Т.** Сельджуки, Кочевники-завоеватели Малой Азии. Москва, "Центрполиграф," 2004.
139 - **Ранние тюрки** в великом переселении народов (демографический аспект этногенеза). Этническая история тюркоязычных народов Сибири и сопредельных територий. Тезисы докладов научной конференции. Омск. 1984.
140 - **Рид Пирс Пол.** Тамплиеры. Москва. "АСТ." 2005.
141 - **Ришар Жан.** Латино-Иерусалимское Королевства. Сантк- Петербург. "Евразия." 2002.
142 - **Рыжов К.** Мусульманский Восток. VII-XV вв. Москва. "Вече." 2004.
143 - **Свечин А. А.** Эволюция Военного Искуства. Москва. "АКАДЕМИЧЕСКИЙ ПРОЕКТ." 2002.
144 - **Северов Н. П.** Памятники грузинского зодчества. Москва. 1947.
145 - **Секунда Н.** Армия Александра Великого. Москва. "Астрель-Аст." 2004.
146 - **Сикорский Я.** Канны. Москва. "АСТ." 2002.
147 - **Соловьев С. М.** Чтения и рассказы по Истории России. Москва. "Правда". 1989.
148 - **Степаненко В. П.** О причинах и датировке передачи васпуракана византии. ВВ. №38. "НАУКА." 1977.
149 - **Тарнбул С. МакБрайд А.** Армия Монгольской Империи. Москва. "Астрель-Аст." 2003.
150 - **Тойнби. А. Дж.** Постижение Истории. Москва. "ПРОГРЕС." 1991.
151 - **Толочко П. П.** Кочевые народы степей и Киевская Русь. Сантк-Петербург. "АЛЕТЕЙЯ." 2003.
152 - **Томпсон Э. А.** Римляне и Варвари. Падение Западной империи. Сантк-Петербург. "ЮВЕНТА." 2003.
153 - **Уайз Т.** Армии Средневековой Европы. Москва. "Астрель-Аст". 2004.
154 - **Уезерфорд Джек.** Чингисхан и рождение современного мира. Москва. "АСТ." 2005.
155 - **Уоллес-Хедрилл Дж. М.** Варварский Запад. Раннее Средневековье. Сантк- Петербург. "Евразия." 2002.
156 - **Успенский Ф. И.** История Византийской Империи, том 3-5, Москва, "Астрель." 2002.
157 - **Успенский Ф. И.** Очерки истории трапезундской империи. Сантк-Петербург. "ЕВРАЗИЯ." 2003.
158 - **Фо Ги.** Дело Тамплиеров. Сантк-Петербург. "ЕВРАЗИЯ." 2004.
159 - **Фуллер Джон.** Военное искусство Александра Великого. Москва. "Центрполиграф." 2003.
160 - **Ходжсон Маршалл Дж. С.** Орден Ассасинов. Сантк-Петербург. "Евразия." 2004.
161 - **Хюбнер Курт.** Истина мифа. Москва. "Республика." 1996.
162 - **Чубинашвили Г. Н.** Грузинское чеканное искусство. Исследование по истории грузинского средневекового искусства. Твилиси. "Сабчота Сакартвело." 1959.
163 - **Шамдор Альбер.** Саладин Благородный Герой Ислама. Сантк-Петербург"Евразия." 2004.
164 - **Штокмар В. В.** История Англии в средние века. Сантк-Петербург. "Алетейя." 2000.

165 - **Шукуров Р. М.** Великие Комнины и Восток (1204-1461). Сантк-Петербург. "АЛЕТЕЯ." 2001.
166 - **Энглим Саймон. Джестис Филлис Дж. Райс Роб С. Раш Скотт М. Серрати Джон.** Войны и Сражения Древнего Мира. Москва. "ЭКСМО." 2004
167 - **Юзбашян К. Н.** Армянские государства эпохи Багратидов и Византия IX-XI вв. Москва. "НАУКА." 1988.
168 - **Юревич О.** Андроник I Комнин. Сантк-Петербург. "ЕВРАЗИЯ." 2004.
169 - **Asbridge Tomas S.** the significance and causes of the battle of the Field of Blood. JMH. v. 23,4. 1997.
170 - **Bryer Antony.** David Komnenus and Saint Eleutherios. AP. 1988-89. volume. 42.
171 - **Bryer Antony.** Greeks and Turkmens: the Pontic Exception. DOP. 1975. volume. 29.
172 - **Cahen Claude.** the Turkish Invation: the Selchukids. A History of the Crusades. v. I. the First Hundred Years. Edited by Marshall W. Baldwin (Editor in Chief Kenneth M. Setton). Madison. "University of Wisconsin Press." 1969;
173 - **Chambers James.** the Devils Horsemen. Niw-York. "Atheneum." 1979.
174 - **Chevedden Paul E.** the Invention of the Counterweight Trebuchet: A Study in Cultural Diffusion. DOP №54. 2000. pp. 71-116.
175 - **Cook David.** Understanding Jihad. "University of Calipornia Press." 2005.
176 - **Dajani-Shakeel Hadia.** Some Madieval Account of Salah al-dins Recovery of Ierusalem (Al-Quds). HNSP: Studies in honor of Constantine K. Zurayk. Institute for Palestine Studies. Beirut. 1988.
177. **Dajani-Shakeel Hadia. A Reassessment of Some Medieval and Modern Perceptions of the Counter-Crusade. the Jihad and its Times. University of Michigan. 1991.**
178 - **Delumeau Jean.** History of Paradise: the Garden of Eden in Myth and Tradition. "Continuum Publishing Company." 1995.
179 - **France John.** the Capture of Ierusalem. HT. v. 47. 1997. pp. 37-42.
180 - **France John.** Victory in the East. A Military History of the First Crusade. "Cambridge University Press." 1999.
181 - **Golden Peter**. An Introduction to the History of the Turkic Peoples. Wiesbaden. "Otto Harrassowitz. 1992.
182 - **Golden Peter**. the Qipchaq Tribes. "Cumanica IV." AEMA. v. IX. 1997.
183 - **Gravett Christopher**. German Medieval Armies: 1300-1500. "Osprey publishing." 1985.
184 - **Grousset Rene**. the Empire of the Steppes: A History of Central Asia. "State university of New Jersey." 2002.
185 - **Haldon John.** Byzantium at War. "Osprey publishing." 2002.
186 - **Heath Ian**. Byzantine Armies. AD 1118-1461. "Osprey publishing." 2005.
187 - **Hildinger Erik**. Warriors of the Steppe. A Military History of Central Asia, 500 B.C. to1700 A.D. "Da Capo Press." Cambridge. 2001.
188 - **A Hisrory of the Crusades**. v. 1. the first hundred years. "University of Pennsylvania Press." Philadelphia. 1955.
189 - **Hopkins Andrea**. Knights. London. "Quantum Books." 1998.
190 - **Inalcik Halil. the Ottoman Empire. the Classical Age. 1300-1600. "Phoenix." 1988.**
191 - **Irvin Robert**. Muslim Responses to the Crusadees. HT. v. 47; 1997.
192 - **Karasulas Antony.** Mounted Archers of the Steppe 600 Bc-ad 1300. "Osprey publishing."
193 - **konstam Angus**. Historical Atlas of the Crusades. London. "Mercury Books." 2004.
194 - **Lach Donald F.** Asia in the Making of Eurofe. v. I: the Century of Discovery. Book 1. "university of Chicago." 1994.
195 – **Matthews John. Stewart Bob**. Warriors of Christendom. "Brockhampton-Press." London.1998.

196 - **Medieval Warfare: A History.** Ed. by Maurise Keen. "Oxsford Yniversity Press.". 1999.
- **Minorsky V.** Studies in Caucasian History. London. "Taylors Foreign Press." 1953.
197 - **Nicholson Helen.** the Knights Templar. A New History. "Sutton Publishing." 2004.
198 - **Nicolle David.** Acre 1291. Bloody sunset of the Crusader states. "Ospray Publishing." 2005.
199 - **Nicolle David.** Arms and Armour of the Crusading Era, 1050-1350. Islam, Eastern Europe and Asia. Greenhill Books. London. Stackpole Books. Pennsylvania.
200 - **Nicolle David.** Attila and the Nomad Hordes. "Osprey publishing." 1990.
201 - **Nicolle David.** Crusader Castles in the Holy Land 1097-1192. "Osprey publishing." 2004;
202 - **Nicolle David.** Hattin 1187. Saladins greatest victory. "Osprey publishing." 2002.
203 - **Nicolle David,** Hungary and the Fall of Eastern Europe. "Osprey Publishing". 1988.
204 - **Nicolle David.** Medieval Siege Weapons: Byzantium, the Islamic World&India AD 475-1526. "Osprey publishing." 2003.
205 - **Nicolle David.** Medival Warfare: Soursebook. v. 1-2. London. 1995-1996;
206 - **Nicolle David.** the Age of Tamarlane. "Osprey publishing." 1990.
207 - **Nicolle David.** the First Crusade. 1096-99 Conquest of the Holy Land. "Osprey publishing." 2003.
208 - **Nicolle David.** the Normans. "Osprey publishing." 2003.
209 - **Nicolle David.** the Third Crusade 1191. Richard the Lionheart, Saladin and the struggle for Jerusalem. "Ospray Publishing." 2006.
210 - **Nicolle David.** Saladin and Saracens Armies of the Middle East 1100-1300. "Osprey publishing." 1999.
211 -**Oman Charles W.C.** Art of War in the Midlle Ages, A.D. 378-1515; "Cornuell University Press." london. 2004;
212 - **Paloczi-Horvath Andras.** Pechenegs, Cumans, Iasians: Steppe People in Medieval Hungary. Budapest: "Corvina-Kultura." 1989.
213 - **Payne Robert.** the Crusades. "wordsworth editions."1998.
214 - **Phillips Jonathan.** the Fourth Crusade and the Sack of Constantinople. "Viking Penguin." 2004.
215 - **Phillips J. R. S.** the Medieval Expansion of Europe. "Oxford University Press." 1998.
216 - **Pipes Daniel.** Slave Soldiers and Islam: the Genesis of a Military System. New Haven. "Yale University Press." 1981.
217 - **Prawer Joshua.** the Crusaders Kingdom. Europian Colonialism in the Middle Ages: London. "Phoenix Press." 2001.
218 - **Prestwich Michael.** Armies and warfare in the Middle Ages: the English experience. "New Haven." London. 1996.
219 - **Queller Donald E.. Madden Thomas F.** the Fourth Crusade: the Conquest of Constantinople. "University Pennsylvania Press." Philadelphia. 1997.
220 - **Redgate Anne E.** the Armenians. "Blackwell publishing." 2000.
221 - **Runciman Steven.** A History of the Crusades. v. I.- III. "penguin books." 1990-1991.
222 - **Sanceau Elaine.** the Land of Prester Jonh. A Chronicle of Portuguese Exploration. New-York. "Alfred A. Knopf." 1944.
223 - **Santosuosso Antonio.** Barbarians, Marauders, and Infidels, the Ways of Medieval Warfare. "Westviev Pess." 2004.
224 - **Saunders J. I..** mongol conquests. "University of Pennsylvania Press." Philadelphia. 1971.
225 - **Teall John L.** the Barbarians in Justianians Armies. Speculum. v. 40. № 2. 1965.
226 - **the Cambridge History of Iran.** v. 5. the Saljuq and Mongol Periods. Edeted by J. A. Boyle. "Cambridge University Press." 1968.
227 - **the Cambridge Illustrated History of Warfare.** "Cambridge University Press." 1995.
228 - **the Crusades from the Perspective of Byzantium and the Muslim World.** Edited by Laiou

Angeliki E. and Roy Parviz Mottahedeh. "Dumbarton eserch Library and Collection." Washington. 2001.
229 - the Economic History of Bizantium from the Seve the Fifteenth Century. Editor in Chief Angeliki E. Laiou. "Dumbarton Oaks Reserch Libra llection." 2002.
230 - Treadgold Warren. Standardized Numbers in the E Army. W H. Volume 12. number 1. January 2005.
231 - Waterson James. the Mamluks. HT. v. 56. 2006. pp
232 - Verbruggen J. F. the Art of Warfare in Western E ring the Middle Ages. "Boydell Press." 2002.
233 - Westwell Ian. Grant Nick. Warriors. London. "Gra s." 1999.
234 - Wise Terence. Armies of the Crusades. "Osprey pub 2002.

საძიებლები

(პირთა საძიებლები დაწყობილია საკუთარი სახელების მიხედვით)

ტექსტში მოხსენიებულ წყაროთა და ავტორთა საძიებელი

აბულ-ფიდა-301;
ალ-ასირი-43, 65, 127, 132, 134-135, 137, 142, 146-147, 151-152, 166, 205, 232, 235, 237, 249, 252, 254, 308, 315, 326;
ალ-ბუნდარი-205,
ალ-ვარდი-205;
ალ-ფარიკი-127, 132-133, 142, 146-147, 151-152, 157, 159, 163-164, 205, 235, 286, 307, 315, 324, 327, 334;
ალ-ჯაუზი-127, 134-135, 142, 147-148, 151-152, 157, 159, 235, 315;
ალ-ჰუსაინი-43, 54, 57, 112, 171, 205, 207, 209, 220, 227, 250, 272, 286, 294, 299;
ან-ნასავი-247, 256-257, 326;
ანა კომნენოსი-98, 208, 257, 277-278;
არნოლდ ტოინბი-47, 122,
ბასილი ეზოსმოძღვარი-206, 243, 291, 328;
ბაჰა ად-დინ შადადი-265,
გ. ანჩაბაძე-254, 258, 260, 294;
გ. ჯაფარიძე-218, 224, 312, 326;
გიორგი აკროპოლიტი-221;
გიორგი მცირე-316-317;
დავით აღმაშენებლის ანდერძი-334;
დავით აღმაშენებლის მემატიანე (ისტორიკოსი)-40-41, 44, 46-47, 51, 53-55, 57, 62-63, 72, 76, 94, 98-99, 114, 127-128, 138-139, 142, 147, 151-152, 156, 158-159, 169, 173-174, 176-181, 183, 194-195, 203, 205, 209, 217, 221, 223, 226-227, 229, 232, 239, 241, 247, 260-261, 269, 281, 290-291, 294, 310, 313, 320, 325, 329, 336;
დასტურლამალი-320;
დევიდ ნიკოლე-282, 289, 331;
ე. მეტრეველი-262;
ედვარდ გიბონი-11, 24, 28, 30;
ევრიპიდე-73;
ენტონი ბრაიერი-210, 273, 279, ვ. ბარტოლდი-222;
ვ. გორდელევსკი-221;
ვ. მინორსკი-286;
ვალტერ გოტიე-63, 73, 86, 104, 110, 114, 126-133, 135, 149, 151-152, 163, 166, 233, 235, 241, 243, 253; 289, 300-302, 304-308, 315, 323, 328, 335;
ვარდანი-171, 301, 324, 327;
ვეგეციუსი-182;
ვილჰელმ რუბრუკი-255, 284;
ვილჰელმ ტირელი-128, 205, 210, 270;
ზ. ავალიშვილი-128-129, 243, 261-262, 277, 282, 299, 302, 304;
ზაჰირ ალ-დინ ნიშაპური-219-220;
თ. დადეშქელიანი-297;
თ. რაისი-45, 67, 223, თამარის პირველი ისტორიკოსი (მემატიანე)-151, 155, 190, 206, 225, 243, 235, 260, 265, 271;
281, 291, 297, 328, 333-334;
თამარის ფიცი"-108, 273;
ი. გედევანიშვილი-297;
ი. ვერბრუგენი-75, 77, 292;
ი. ცინცაძე-217;
იაკუთი-301;
იან დრარი-241, 298;
იაჰია ანტიოქიელი-245, 296;
იბნ კალანისი-54, 57, 78, 84, 127, 132, 134-135, 144-145, 152, 166, 205, 227, 235, 238, 289, 312, 315;
იბნ ჯუბაირი-246, 268, 270;
ივ. შაიშმელაშვილი-122-123, 230, 290, 297, 299;
ივ. ჯავახიშვილი-216, 223, 243, 294;
იოანე ბატონიშვილი-281, 289;
იოანე კინამი-264, 335-336;
იპატიევის ქრონიკა-103, 254;
იულიანე-256;
კ. კეკელიძე-281;
კალმასობა-281, 289;
კაიროს კანცელარიის რეესტრი-265;
კამალ ად-დინი-70, 78, 84-85, 115, 127, 132, 134-135, 144-145, 152, 166, 208, 213, 225, 235, 238, 242, 286-287, 307, 312, 315;
კლაუზევიცი-58, 137, 159, 173;
კურტ ჰიუბნერი-285;
მ. თოდუა-273;
მავრიკიოსის სტრატეგიკონი-244;

მათე ურჰაელი-73, 104, 110, 113, 127, 133-134, 140, 142, 147, 149, 151-152, 156, 218, 232-233, 243, 252, 253-254, 261, 302, 306, 308, 311, 315, 324, 327-328;
მარკო პოლო-279, 284, 331;
მატიანე ქართლისა-205, 245, 295;
მაჰმუდ ქერი მუდ-დინი-243;
მიქაელ ფსელოსი-336;
მიხაილ სირიელი-63, 127, 132-134, 214, 218, 235-237, 307, 313, 315, 335;
ნ. ასათიანი-220;
ნ. ბერძენიშვილი-230, 310,
ნიკიტა ხონიატი-268, 274, 278-279;
ნიკიფორ ვრიენნი-204, 250, 278, 295, 313-314;
პ. ტოლოჩკო-254;
პეტრე ტუდებოდი-241;
პლინო კარპინი-284;
პიერ ვიიმარი-15;
პოლიბიოსი-50;
უაკ პოლ მინიე-129;
ჟამთაღმწერელი-257;
ჟან ლე ბელი-227, 246, 316;
ჟან რიშარი-263, 267;
რ. ლინდრენი-254;
რ. მეტრეველი-217, 325;
რ. შუკუროვი-277;
რობერ დე კლარი-93, 254;
რობერტ ირვინი-238;
რობერტ რიანტი-129;
ს. ედგინდტონი-289;
ს. კაკაბაძე-286, 297;
ს. პლეტნევა-255;
სამუელ ანელი-301;
სენეკა-65;
სიასეტ-ნამე-208;
სმბატ სპარაპეტი-73, 253, 302, 315;
სტივენ რანსიმენი-129;
სტეფანოზ ორბელიანი-191-192, 252, 329, 334;
სტივენ რანსიმენი-289;
სუმბატ დავითისძე-245, 332;
სულხან-საბა ორბელიანი-330, 332-333;
სუნ-ძი-54, 58, 87, 114, 155, 170, 177, 186, 194;
ტ. ესბრიჯი-289;
უნგრული ქრონიკა-97;
უსამა იბნ-მუნკიზი-236-237, 262, 285;
უ-ცზი-41, 44, 142, 151, 165, 194;
ფ. უსპენსკი-273-274;
ფალაკი-213;
ფინლეი-277;
ფულხერი შარტრელი-241;
ქ. ჩხატარაიშვილი-224, 258, 260-261, 286;
შ. ბადრიძე-282, 300;
შ. მესხია-122, 149, 281, 309, 319;
შიო-მღვიმის ანდერძი-327;
ძეგლის დადება-293;
ძეგლი ერისთავთა-190, 323, 332;
წესი და განგება მეფედ კურთხევისა-187;
ხელმწიფის კარის გარიგება-186;
ჯ. ფრანცი-254, 282;
ჯუვეინი-8, 212, 229, 256-257, 272, 300, 315, 334, 336;
ჰ. დელბრიუკი-77-78, 97, 99, 127-129, 205, 249;
ჰაინრიხ ჰეგენმაიერი-129;
ჰორაციუსი-37.

ადელა (სტეფან ბლუას მეუღლე)-214;
ათრაქა შარაღანის ძე (იგივე ოტრაკი, ყივჩაღთა ხანი)-98, 103, 119, 261;
აიაზი (ილ-ღაზის შვილი)-236.
ალ-ადილი (ეგვიპტე-სირიის სულთანი)-265, 272,
ალა-თემური (მონღოლი სარდალი)-316,
ალ-აფდალი (ეგვიპტის ვეზირი)-65;
ალ-გაზალი (მუსლიმი თეოლოგი)-62, 231,
ალექსანდრე III (რომის პაპი)-283,
ალექსანდრე ნეველი (ნოვგოროდის მთავარი)-261;
ალექსი III ანგელოსი (ბიზანტიის იმპერატორი)-108, 273, 279;
ალექსი IV ანგელოსი (ბიზანტიის იმპერატორი)-108-110;
ალექსი I კომნენოსი (ბიზანტიის იმპერატორი)-15, 25, 91, 111-112, 115, 202-203, 208, 277, 313-314;
ალექსი I კომნენოსი (ტრაპიზონის იმპერატორი)-109, 273, 276-278;
ალექსი კომნენოსი (კატაის მეუღლე)-277-278, ალექსი დუკა, მურზულფი (ბიზანტიის იმპერატორი)-109, 275, 281;
ალ-სულამი (მუსლიმი თეოლოგი)-36, 231;
ალ-სუნკური (ალეპოს ემირი)-78, 242;
ალფ-არსლანი (სელჯუკთა დიდი სულთანი)-12, 16, 18, 29, 112, 153, 197, 205, 207, 209, 226, 234-235, 250, 299;
ალ-ჰარავი (დამასკოს ყადი)-35;
ანდრონიკ I კომნენოსი (ბიზანტიის იმპერატორი)-278-279;
ანდრონიკე (ანა კომნენოსის შვილიშვილი)-278;
ართუკ იბნ აკსაბი (სელჯუკი ემირი, ილ-ღაზის მამა)-65;
არნულფი (იერუსალიმის პატრიარქი)-267;
არსლან-არგუნი (ხორასნის მმართველი)-29;
არჩილ მეფე (ქართლ-კახეთის მეფე)-271;
აფრიდონი (თამარ მეფის ვეზირი)-102;
აჰმადი (სელჯუკი ემირი)-209;
ბაგრატ III (საქართველოს მეფე)-149, 296, ბაგრატ IV (საქართველოს მეფე)-16, 44, 112, 143, 153-154, 170, 172, 190, 196-199, 207, 224, 312, 323, 333, 335;
ბალაკი (სელჯუკი ემირი, ართუკიდი)-225, 251, 307;
ბალდუინ I (იერუსალიმის მეფე)-76, 104;
ბალდუინ I (კონსტანტინოპოლის ლათინი იმპერატორი)-104, 267;
ბალდუინ II (იერუსალიმის მეფე)-62, 69, 71, 85, 113, 128, 131, 225, 237, 242, 286-289, 301, 307, 335;
ბალდუინ IV (იერუსალიმის მეფე)-203, 295, 322;
ბარდა სკლიაროსი (ბიზანტიელი მხედართმთავარი)-295-296;
ბარდა ფოკა (ბიზანტიელი მხედართმთავარი)-296;
ბასილი II (ბიზანტიის იმპერატორი)-10, 13, 111-112, 245, 291, 327, 332;
ბეიბარსი (ეგვიპტის მამლუქი სულთანი)-259;
ბერკიარუკი (სელჯუკთა დიდი სულთანი)-29-30, 35, 37-39, 42, 66, 213, 218-220, 235;
ბექა სურამელი (ქართველი ერისთავი)-297,
ბოემუნდი (ანტიოქიის მთავარი)-36, 129, 201, 203, 251,
ბონიაკი (დნეპრის ყივჩაღთა ხანი)-98, 257;
ბუჟღუში (თურქმენი ემირი)-209;
გაბრიელი (მელიტენას მმართველი)-207;
გაგიკი (ანისის მეფე)-224, 296;
გი დე-ლუზინიანი (იერუსალიმის მეფე)-317-318,
გიორგი I (საქართველოს მეფე)-10, 245, 265, 327, 332;
გიორგი II (საქართველოს მეფე)-16, 18, 20, 37, 43, 50-51, 55, 154, 196-198, 209, 220, 253;
გიორგი III (საქართველოს მეფე)-108, 181, 245, 259-260, 266, 271, 273, 278, 291, 297, 308, 327, 333, 335;
გიორგი ბრწყინვალე (საქართველოს მეფე)-186, 293,
გიორგი VII (საქართველოს მეფე)-153-154;
გიორგი მთაწმინდელი-265, 295-296;
გიორგი ჭყონდიდელი-(დავით აღმაშენებლის ვეზირი)-51, 223;
გიურ-ხანი (თურქი მხედართმთავარი)-165;
გოტფრიდ ბულონელი (იერუსალიმის პირველი მეფე)-241;
გუზან ტაოელი-334;
გურანდუხტი (საქართველოს დედოფალი)-103, 260-261;
დავით VIII (საქართველოს მეფე)-258;
დავით აღმაშენებელი (საქართველოს მეფე)-6-9, 16, 21, 31-34, 37, 39-61, 63-64, 67-72, 76-77, 87, 92-94, 99-104, 107-108, 110, 113-117, 119-120, 122, 124-127, 131-135, 137-144, 146-157, 159, 161-166, 168, 170-186, 189, 193-196, 198-203, 209, 213, 217-219, 222-223, 225-226, 228-229, 231-234, 239, 247, 251, 253, 257-258, 260-262, 264, 269, 277, 281-282, 285, 289-291, 297, 299-302, 307-308, 314-315, 319, 321, 325-327, 329, 332, 334-335;
დავით კომნენოსი (პაფლაგონიის მმართველი)-109-110, 273-274, 276-279;
დავით კურაპალატი (ტაოს მეფე)-149, 295-296, 335;
დავითი (კახეთის მთავარი)-296;
დავით მეფე (იოანე პრესვიტერის ძმიშვილი)-284;
დაიმბერტი (იერუსალიმის პატრიარქი)-241, 267;
დემეტრე I (საქართველოს მეფე)-133, 163, 181, 188, 261, 285, 308, 327, 334;
დოსითეოსი (იერუსალიმის პატრიარქი)-271,
დუბაის იბნ სადაკა (ჰილის შეიხი)-65, 68-69, 72, 85, 87, 141, 144, 150, 155, 238, 249, 287, 312;
დუკაკი (დამასკოს ემირი)-38, 86;
ედუარდ III (ინგლისის მეფე)-227,

ელ-სიდი (ესპანელი რაინდი)-100;
ენრიკო დანდოლო (ვენეციის დოჟი)-321;
ვასკო დე გამა (პორტუგალიელი მეზღვაური)-284;
ვახტანგ VI (ქართლ-კახეთის მეფე)-320;
ვილჰელმ დამპყრობელი (ინგლისის მეფე)-116, 292;
ვლადიმერ მონომახი (კიევის მთავარი)-97, 254-255, 261;
ზაქარია მხარგრძელი (საქართველოს სამეფოს მხედართმთავარი)-265, 334;
ზაქარია ფანასკერტელი (ქართველი დიდებული)-334;
ზენგი (მოსულის ათაბაგი)-69, 214, 225;
თამარ მეფე (საქართველოს მეფე)-108-110, 181, 202, 260, 266, 273-281, 291, 324, 327-328, 333-335;
თამარი- (დავით აღმაშენებლის ასული)-261;
თემურ ლენგი (მონღოლთა ყაენი)-153, 316;
თემურ-შაჰი (ილ-ღაზის ვაჟი)-69;
თორელი (ქართველი დიდებული)-333;
თორნიკეერისთავი(ქართველიმხედართმთავარი)-295-296,
თოღრულ I (სელჯუკთა დიდი სულთანი)-11, 15, 92, 207, 209, 213;
თოღრულ II (განძის მალიქი, შემდგომში ირან-ერაყის სულთანი)-63, 65, 70-71, 87, 135, 142, 144, 147, 213, 235, 287, 311-312;
თოღრულ III (ირან-ერაყის სულთანი)-214, 222, 336,
თუღან-არსლანი (არზან-ბითლისის ემირი)-33, 65, 71-72, 87, 141-142, 146-147, 150, 213, 251, 311, 314;
იაკობი (გიორგი მთაწმინდელის მამა)-265;
იარუკი (ფრანკი მოქირავნე)-285;
იასი (თურქმენი ემირი)-209;
იბრაჰიმ ზახირ ად-დინი (შაჰ-არმენი)-33, 213;
ივანე აბაზაძე (ქართველი ერისთავი)-172;
ივანე სულას ძე (ქართველი დიდებული)-295;
ილ-ბურსუკი (მოსულის ემირი)-53, 59, 84-85, 128-129, 236;
ილ-დენიზი (აზერბაიჯანის ათაბაგი)-269, 308;
ილ-ღაზი (მარდინის ემირი)-9, 34, 36, 53, 61-69, 71-72, 74, 78-79, 82-87, 94, 113, 123, 126-133, 135, 137-144, 146-147, 149-159, 161, 163-164, 167-168, 208, 213-214, 225, 232-234, 236-238, 248-251, 285-289, 299, 301-302, 304-307, 309-312, 315-317, 319, 321-322;
იოანე კომნენოსი (ბიზანტიის იმპერატორი)-242, 264, 277;
იოანე კომნენოსი (ანდრონიკ I ძე)-278;
ინოკენტი III (რომის პაპი)-272,
იოანე პრესვიტერი (მითიური ქრისტიანი მეფე)-126, 282-285, 300,
ისააკ ანგელოსი (ბიზანტიის იმპერატორი)-108-110, 266, 278,
კალაუნი (ეგვიპტის მამლუქი სულთანი)-259;
კატაი (დავით აღმაშენებლის ასული)-231, 261, 277;
კეგენი (პაჭანიკების ხანი)-259;
კერბოგა (მოსულის ემირი)-35, 38, 134, 218-219, 241;
კვირიკე (ტაშირის მეფე)-197, 224;
კონსტანტინე მონომახი (ბიზანტიის იმპერატორი)-259;
კონსტანტინე რუბენიდი (კილიკიის მთავარი)-207;
კოხ ვასილი (რაბანის მმართველი)-207;
კუტუზი (ეგვიპტის მამლუქი სულთანი)-259, ლაშა-გიორგი (საქართველოს მეფე)-108, 188, 272;
ლიპარიტ ბაღვაში (ქართველი ერისთავი)-172, 252, 323, 329;
ლიპარიტ სუმბატის-ძე (ქართველი ერისთავი)-297;
ლევ VI (ბიზანტიის იმპერატორი)-47, 73;
ლუი VI (საფრანგეთის მეფე)-292;
მალიქ-შაჰი (სელჯუკთა დიდი სულთანი)-12, 16-18, 26-27, 29, 37, 39, 43, 50-51, 78, 115, 151-152, 154, 207, 214, 220-221, 224, 234, 242, 291, 294;
მანუელ კომნენოსი (ბიზანტიის იმპერატორი)-283, 336;
მანუელ კომნენოსი (ანდრონიკ I ძე)-278,
მასუდი (განძის მალიქი, შემდეგში ირან-ერაყის სულთანი)-69, 213-214,
მაუდუდი (მოსულის ემირი)-36, 53, 225;
მაჰმუდი (ირან-ერაყის სულთანი)-63, 70, 173-179, 181, 186, 198, 212, 235, 325-326;
მენგუ-ბარსი (სელჯუკი ემირი)-214;
მიხაილ პალეოლოგი (ბიზანტიის იმპერატორი)-221,
მსტისლავი (კიევის მთავარი)-261;
მუჰამედი (წინასწარმეტყველი)-34;
მუჰამედ ტაპარი (განძის მალიქი, სელჯუკთა დიდი სულთანი)-29-30, 35-36, 38-39, 53-55, 58, 212-213, 219-220, 227, 235,
ნაპოლეონი-298;
ნიზამ ალ-მულკი (მალიქ-შაჰის ვეზირი)-18, 27-29, 208, 221, 250, 292, 294, 310, 319;
ოსმან-ჰაზი (ოსმალეთის იმპერიის დამაარსებელი)-232;
ოტონი (გერმანელი მოქირავნე)-112;
პელაგიუსი (კარდინალი)-272, 284;
პეტრე (გერმანელი მოქირავნე)-112;ჟოსლინი (ედესის გრაფი)-287-288, 307, 335;
ჟოფრუა ფუშე (ტამპლიერი)-263;
რაიმუნდ სენ-ჟილი (ტულუზის გრაფი)-241;
რატი (ქართველი ერისთავი, ბაღვაში)-245;
რაფიელ დანიბეგაშვილი (ქართველი მოგზაური)-248;
რეინალდ შატილიონი (ჯვაროსანი)-269;
რიდვანი (ალეპოს ემირი)-38, რიჩარდ ლომგული (ინგლისის მეფე)-74, 202-203, 215, 265, 290, 335;
რობერტ გვისკარი (ნორმანდიელი ჰერცოგი)-16, 116;
რობერტ კრისპინი (იტალიელი მოქირავნე)-112;
რომან დიოგენი (ბიზანტიის იმპერატორი)-13, 14, 112, 272, 294, 336,
როჯერი (ფრანგი მოქირავნე)-112;
როჯერ სალერნოელი (ანტიოქიის მთავარი)-36,

53, 62, 71, 78, 84-85, 128-130, 132, 251, 286, 299, 307;
როჯერ სიცილიელი (სიცილიის მე
რუსელი (ფრანკი მოქირაენე)-14, 314,
რუსუდანი (საქართველოს დედ, 108, 272;
რუქნ ად-დინი (რუმის სულთანი)-
რუქნ ად-დინ რახატი (რუმის სულ , 285;
სადაკა I (არაბი შეიხი)-69;
სალადინი (ეგვიპტე-სირიის სულ, 105, 108, 116, 202-203, 214-215, 263, 26
273, 290, 299, 317-318, 322, ნჯარი
(სელჯუკთა დიდი სულთანი)-29, 3 3, 212, 222, 235, 283,
საუ-ტეგინი (სარანგი, ჯუკი
მხედართმთავარი)-197, 207,
სვიატოპოლკი (კიევის მთავარი)-91;
სვიატოსლავი (ჩერნიგოვის მთავა
სირჩანი (დონის ყივჩაღთა ხანი)-9
სუბუდაი (მონღოლი მხედართმთა
სუკმენ I ალ-კუტბი (ხლათის ემ 3, 67, 225;
სუკმენ II (ხლათის ემირი)-213;
სუკმენი (ართუკიდი, ილ-ღაზის ძ 285;
სულეიმანი (რუმის სულთანი)-14- 67, 78, 208, 242;
სულეიმანი (ილ-ღაზის შვილი)-127;
სტეფან ბლუა (I ჯვაროსნულ რობის მონაწილე)-214;
სტეფანი (უნგრეთის ტახტის მემ 1,
ტანკრედი (ანტიოქიის მთავარი)-1
ტოროსი (ედესის მმართველი)-207
ტუგორხანი (დონის ყივჩაღთა ხან
ტუგ-ტეგინი (დამასკოს ათაბაგი)- 37;
ტუგ-ტეგინი (თურქმენი ემირი)-2
ტუტუში (მალიქ-შაჰის ძმა, პალ ირიის მმართველი)-18, 29, 37-38, 65, 67, 2;
უგედეი (მონღოლთა ყაენი)-256;
ფადლონი (შადადიდი, განძის ემირი)-143, 172, 312;
ფეოდორ ლასკარისი (ნიკეის იმპერატორი)-110, 273, 275-277, 281;
ფილარეტ ვარაჯუნი (ანტიოქიის სომეხი მმართველი)-14, 18, 207, 268;
ფილიპ-ავგუსტი (საფრანგეთის მეფე)-74, 118;
ფრიდრიხ II (გერმანიის იმპერატორი)-272;
ფრიდრიხ ბარბაროსა (გერმანიის იმპერატორი)-74, 268, 321;
ქენ-თოღდი (განძის ათაბაგი)-70;
ქირქიშ აბულეთის-ძე (ქართველი ერისთავი)-297,
ყილიჩ-არსლანი (რუმის სულთანი)-22, 45-46, 67-68, 116, 237, 251;
ყუბასარი (გიორგი III-ს მხედართმთავარი)-102;
შალვა ახალციხელი (ქართველი მხედართმთავარი)-315;
ჩაგრი-ბეგი (სელჯუკი მხედართმთავარი)-92;
ჩაკა (იზმირის ემირი)-14;
ჩაუში (მალიქ-შაჰის ელჩი)-208;
ჩინგიზ-ხანი (მონღოლი ყაენი)-97, 256;
ხალილი (ეგვიპტის მამლუქი სულთანი)-259;
აბასიდი, ხალიფა ომარი-266;
ხვარაზმშაჰი (მუჰამედი)-259, 321;
ხორასნის (ხორასნელი) სულთანი-152;
ხურსი (ქართველი ერისთავი)-245;
ჯალალ ად-დინი (ხვარაზმშაჰი)-8, 172, 222, 229, 247, 257, 300, 315, 326, 331, 334, 336;
ჯვებე (მონღოლი სარდალი)-98;
ჰაზი (თურქმენი ემირი)-140, 232, 311;
ჰანიბალი-299;
ჰასან ას-საბახი (ისმაილიტების იდეოლოგი)-26, 211;
ჰეროდოტე-78, 134, ჰენრი I (ინგლისის მეფე)-292, -
ჰუსამ ად-დაულა თუმთურ-ტეგინი (არზან-ბითლისის ემირი)-71;

აბიდოსი-24;
აბისინია-284;
აგარანი-59, 230;
ადანა-25;
ადარბადაგანი-296;
ადრიანოპოლი (ადრიანოპოლის ბრძოლა)-321;
ავსტრია-98, ავსტრიის საპერცოგო-101;
ავღანეთი-11;
ავჭალა-44-46;
აზაზი (აზაზის ბრძოლა)-85, 287;
აზერბაიჯანი-11, 15, 29, 38, 222, 259, სამხრეთ აზერბაიჯანი-11, 12, 55, 58, 70, 197, 231-232;
ათარები (ათარების, იგივე სისხლიანი ველის ბრძოლა)-77;
ათონი-279;
აკრა-13, 229, 268, 270, 272;
ალამუთი-26, 27;
ალეპო-18, 22, 23, 26, 36, 59, 63, 66-67, 69-70, 77, 83, 127, 130, 172, 214-215, 234, 236, 242, 248, 288, ალეპოს საემირო-23, 31, 83-85, 116, 129-131, 214,
ალექსანდრია-13, 269, ალექსანდრიის საპატრიარქო-269;
ალგეთი-168-169, 316, 322, ალგეთის ხეობა-143-144, 148, 164-165, 201, 316;
ამასრია-109, 279, 316;
ამიდა (ამიდას ბრძოლა)-253, 269, 285,
ამიერკავკასია-8, 11, 15, 16, 22, 28, 30, 37, 51, 60, 92, 147, 196, 207, 210, 217-218, 265, 276, 317, სამხრეთ ამიერკავკასია-8, 38, 60, 64, 72, 92, 106, 209, 252-253;
ანატოლია-11, 12, 14, 17, 24, 84, 210, 253, 316, აღმოსავლეთ ანატოლია-92, 112, 252;
ანისი-11, 60, 71-72, 134, 172, 177-181, 198, 206, 213, 219, 224-225, 239, 291, 297, 299, 314, 316, 327, 333, ანისის ბრძოლა-327, ანისის საემირო-32, 72, 180, 215, 239, ანისის სამეფო-10;
ანკარა-23;
ანტიოქია-12, 14, 18, 22, 23, 29, 35, 37-38, 61, 68-70, 73, 77-78, 129, 131-132, 206-207, 214, 216-219, 233-234, 237, 241, 268-270, 286, 304, 316-317, 324-325, ანტიოქიის არმია-74, 83, 85, 128-129, 131-132, 251, 286, 317, ანტიოქიის ბრძოლა-134, 201, 253, ანტიოქიის საემირო-219, ანტიოქიის სამთავრო-66, 74, 83-84, 128-130, 236, 242, 307, 317, ანტიოქიის ტბის ბრძოლა-77;
არაბთა ხალიფატი-10, 15;
არანი-32, 38, 72, 197, 207, 222,
არაქსი-47, არაქსის ხეობა-60;
არბილი-229;
არდაველი-225;
არზანი-33;
არზრუმი (იხ. ერზრუმი).
არსუფი (არსუფის ბრძოლა)-203;
არტანუჯი (არტანუჯის ხიდი)-82,
ასარიბი-286-288;
ასკალონი (ასკალონის ბრძოლა)-26, 74, 77, 241, 322;
ატალია (ანტალია)-25;
ატენის ხეობა-148, 228;
აფრიკა-284;
აფხაზეთი-296-297;
აშორნია (არშარუნიქი)-60, 64;
ახალი ზირბითი-160;
ახალსოფელი-161, 164;
ახალქალაქი-148, 154-155, 197;
ახალციხე-148, 154, 248;
ახლო აღმოსავლეთი-10, 11, 13, 16, 87, 130, 217, 266, 317;
ბაიბურთი (ბაიბურთის ბრძოლა)-253;
ბაკურიანი-148;
ბალკანეთი-116, ბალკანეთის მთები-259;
ბასიანი-178, 290, ბასიანის ბრძოლა (1049 წ.)-252, 329, ბასიანის ბრძოლა (1202 წ.)-181, 243, 276, 328;
ბარდავი-64, 137-141, 147, 186, 197, 207, 308, 310, 327;
ბარეთის ტბა-158;
ბაღდადი-11, 35, 37, 66, 69, 83, 229, 238, 246, 272;
ბეთანია-160;
ბეირუთი-13;
ბერლინი-78;
ბერძნული პონტო-210;
ბესლეთი (ბესლეთის ხიდი)-82, 246;
ბეშთაშენი-158;
ბივრიტი-178;
ბიზანტია-10, 15, 22, 47, 101, 106, 108-113, 146, 207-208, 230, 232, 239, 261, 268, 275, 280, 295, 327-328, ბიზანტიის იმპერია-10, 12-13, 15, 17, 24, 31-32, 40, 47, 73, 96, 101, 106, 110-111, 115-116, 118, 120, 130, 181, 200-201, 206, 217, 231, 254, 259, 265, 268, 271, 274, 276, 278-279, 292, ბიზანტიის არმია-13, 20, 24, 76, 78, 91-92, 111, 205, 240, 242, 245, 250, 252-253, 286, 291, 315, 320, ბიზანტიის ფლოტი-24, 279, ბიზანტიის ხელისუფლება-14, ბიზანტიური სამყარო-106, 333;
ბითვინია-14, 109;
ბითლისი-33, 141, 147, 225, 314, ბითლისის საემირო-59, 63, 66, 71-72, 83-84, 213, 218;
ბირთვისის ციხე-227, 316, 323;

ბორჯომი-148, 155, ბორჯომის ხეობა-154;
ბოსფორი-15, 17, 22, 109, 273, 276;
ბოტორნა-60;
ბრეთი-335;
ბრემიული (ბრემიულის ბრძოლა)-292;
ბულგარეთი-47, 101, 261, ბულგარეთის სამეფო-259;
ბურბონი-264;
გაგის ციხე-178, 228, 245;
განძა (განჯა)-54-55, 72, 134, 138, 141-146, 152-154, 196-198, 213, 231, 295, 310, 314, 324, განძა-არანი-213, 219, განძის არმია-138-139, 141, 146, 148, 150, 154, 157, 311, განძის ემირები-140, 232, განძის საემირო-11, 15-16, 19, 32, 39, 42-43, 46, 50-51, 54-55, 57-59, 63, 70-72, 87, 137-141, 147-148, 152, 170, 196-197, 199, 213, 215, 224, 231, 232, 249, 323;
გარნისი (გარნისის ბრძოლა)-272;
გელათი-335, გელათის მონასტერი-70,
გერმანია-74;
გილიამი-208;
გიში (გიშის ციხე)-101;
გობის უდაბნო-254;
გულისტანი-174, 177;
დამასკო-12, 23, 26, 35-36, 63, 65, 172, 214-215, 219, 238, 268, დამასკოს საემირო-31, 83, 85,
დამიენტა-284,
დანდანაკანი (დანდანაკანის ბრძოლა)-11;
დანიშმენდიდების საემირო-14, 22, 30-32, 35, 40, 66, 73, 180, 198, 213, 218,
დებედის ხეობა-228, 314-315;
დენიზლი (იხ. ლაოდიკია)
დერბენდი-96, 176, 178-179, 257, 327, დერბენდ-შირვანი-17, 18, 32, 43, 197,
დვინი-17, 33, 59, 71, 142, 146, 180-181, 219, 311, 314-315;
დიარბაქირი-65-66, 225, 316;
დიდგორი-7, 53, 69, 99, 122, 127, 129, 133, 135, 142-147, 149, 151, 155-162, 166, 194, 248, 286, 297, 307, 312, 316, 319-320, 322, დიდგორის ბრძოლა-43, 56, 58, 60-62, 65, 70-73, 76, 81, 93, 101, 104, 113-115, 121-122, 124-129, 131-135, 137-142, 147, 151, 156, 159-160, 164, 169, 172, 175, 193, 199, 201, 215, 229, 231-232, 239, 241, 249, 251, 253, 262, 286, 289, 297-298, 304, 307-308, 312, 315, 320-323, 328, დიდგორ-მანგლისი-143, 168, დიდგორის მთები-143, 297, დიდგორის მიდამოები-123, 136, 154, 157-163, 168, 201, 246, 305, დიდგორის ომი-6, 7, 69, დიდგორის ქედი (ველი)-70, 73, 121-123, 127, 155-156, 160, 162-163, 165, 304, 321-322,
დიდუბე (დიდუბის ველი)-150;
დიღომი-44-46, 297, დიღმის ველი-150, 154, 157, დიღმის ხეობა-143-144, 149-150, 154, 160, 313, 319,
დმანისი-60, 152, 173, 176, 178, 180, დმანისის საემირო-11, 41, 44, 59;
დონდალო (დონდალოს ხიდი)-82;
დონი-96, 98, 254, დონის სტეპები-103, 119;
დორილეუმი (დორილეუმის ბრძოლა)-76, 78, 201, 211, 214, 251-253;
დნეპრი-96, 98;
დრე-123, 160, 162-163, 165, 168-169, 297, 320;
დუნაი-259, ეგეოსის ზღვა-24;
ეგვიპტე-74, 215, 259, 265, 269, 284, 322, ეგვიპტე-სირიის იმპერია-211, 272, ფატიმიდური ეგვიპტე-17, 25-26, 73-74, 219, ფატიმიდური ეგვიპტის არმია-25, 74, 241;
ედესა (ურჰა)-14, 37-38, 134, 172, 206-207, 225, ედესის საგრაფო-23, 36, 53, 66, 74, 225, 242, 283;
ევროპა-74, 220, 256, 332, დასავლეთ ევროპა-111, 116, 118, 255, 284, ევროპული სამყარო-282, 333;
ევფრატი-225, 288, 316;
ეთიოპია-284;
ეკლეცი (მდ.)-245;
ერაყი-11, 12, 15, 27, 29, 31, 37, 98, 213;
ერზრუმი-11, 13, 17, 142, 146, 150, 180-181, 316-317, ერზრუმის საემირო-32, 72, 180;
ერწუხი (ერწუხის ბრძოლა)-42-43, 51, 195, 200, 224, 231, 286;
ესკიშეხირი-211;
ესპანეთი-112;
ეფესი-14, 24;
ვანანდი-206;
ვანი-331;
ვანის ტბა-11, 13, 33, 72;
ვასპურაკანის სამთავრო-10, 92, 206;
ვენეცია-280;
ვერე-297, ვერეს ხეობა-143-144, 149-150, 154, 160, 162-163, 166, 313, 321-322;
ვოლგა-96;
ვოლგისპირეთი-96, ზარდანა-286, 301;
ზარზმის მონასტერი-295;
ზედაზენი (ზედაზნის ციხე)-42, 45, 220;
ზენჯანი-324, 333;
ზირბითი-161, თაერიზი-17, 324, თბილისი-18, 59-60, 122, 135, 142-144, 147-152, 154-156, 159-162, 170-173, 175-176, 180, 194, 198-199;
223, 231, 234, 312, 315-316, 320, 323, 326, 333, 336, თბილისის მიდამოები-139, 149-150, 152-156, 159-160, თბილისი-მცხეთა-228, თბილისი-მუხრანი-228, თბილისის საემირო-11, 32, 41, 44, 59, 70, 120, 137, 149-150, 152, 170-171, 199, 232, 269, 312, 323,
თბილისის ციხე-სიმაგრე-171,
თეძამი-246, თეძამის ხეობა-148;
თიანეთი-149;

თრიალეთი-54, 56-57, 59, 128, 142, 145-151, 156-159, 178, 194, 228, 290-291, 312, 316, თრიალეთის ბრძოლა-53-55, 57-58, 76, 175, 193, 201, 227, 229, თრიალეთ-დიდგორი-159, თრიალეთ-მანგლისი-6, 122, 160, თრიალეთის მთები-226, 228, თრიალეთის ქედი-55-56, 161;
იაფე (იაფეს ბრძოლა)-77, 203, 265;
იბერია-152, 304;
იერუსალიმი-12, 17, 22, 25, 26, 37, 65-66, 74, 104-105, 107, 172, 202, 216-217, 219, 229, 231, 233-234, 261-262, 264-272, 281-282, 304, 318, 322, 324-325, 335, იერუსალიმის სამეფო-74, 129, 203, 210-211, 263, 268-269, 291, 317, 335, იერუსალიმის სამეფოს არმია-69, 74, 85,
იზმირის საემირო-14, 25;
იკონია (კონია)-17, 25;
იმერეთი-207, 279;
ინგლისი- 116, 130, 170, 202, 292, ინგლისის არმია-74, 227, 292, 316, ინგლისის სამეფო-116;
ინდოეთი-28, 115, 284;
იორი-44, 46;
ირაკლია-109, 274;
ირანი-11, 15, 87, 98, 209, 256-257, აღმოსავლეთ ირანი-26, 39, დასავლეთ ირანი-11, 38, 55, 58, 231-232, ჩრდილოეთ ირანი-197;
ირან-ერაყის სელჯუკთა იმპერია (სასულთნო)-8, 30-33, 39, 41, 43, 46, 50, 60, 63, 138, 173;
176-177, 180-181, 194, 198, 214, 219, 224, 272;
ისანი-172, 333, ისნის ველი-150, 312,
ისპაპანი-11, 17, 27, 220, 327;
იტალია (სამხრეთ იტალია)-96, 101, 129-130,
კაბადოკია-12, 14, 316,
კანა (კანას ბრძოლა)-299;
კავთისხევი-161, 322;
კავკასია-32, 94, სამხრეთ კავკასია-10, 12, 15, 16, 30, 59, 98, ჩრდილო კავკასია-120;
კაირო-13, 269;
კალკა (კალკას ბრძოლა)-98,
კარნიფორი-178;
კარსნის ხევი-149;
კარპატები-96;
კასპიისპირეთი (სამხრეთ კასპიისპირეთი)-12, 26, 38, 208,
კახეთი-18, 39, 41-46, 50-51, 53, 139, 143, 149-150, 153, 183-184, 192, 198-199, 224, 232, 296, 310,
კახეთის სამთავრო-17, 32, 41-44, 323,
კერასუნტი-279;
კესარია-15, 229, 316,
კიევის რუსეთი-96, 101, 254, 259;
კილიკია-15, 25, კილიკიის სომხეთის სამეფო-22, 105-106, 207, 210, 217, 232, 267-268,
კიტორა-109, 279;
კლარჯეთი-177, 296;
კლდეკარი (კლდეკარის საერისთაო)-42, 323;
კოლა-178;
კონსტანტინოპოლი-14, 15, 28, 73-74, 108-110, 115, 145, 181, 268, 273-277, 280-281, 294, 328,
კონსტანტინოპოლის ლათინური იმპერია-74, 109;
კოშკა ყელის ქედი-122;
კოჯორი (კოჯრის ციხე)-230;
კრესონი (კრესონის ბრძოლა)-299;
კრომნა-109;
კუხისტანი-26;
ლაოდიკია (დენიზლი) -17, 25;
ლებურნე (ლებურნეს ბრძოლა)-98, ლესბოსი-14, 24;
ლიახვის ხეობა-143;
ლიხის ქედი-138, ლიხთ-იმერეთი-291;
ლორე-48, 59, 101, 308, 314, ლორე-ტაშირი-228, 314;
ლოჭინი-269;
მაზანდარი-208;
მაიფარაკანი-66;
მაკედონია-259,
მანასგომი-178;
მანგლისი-122, 128, 142, 145-147, 149, 151, 154, 156-165, 168-169, 297, 312, 315-316, 319, მანგლის-დიდგორი-144, 146, 149-150, 157-158, 160, 297, 318, მანგლისის მიდამოები-149, 155, 160-161, 165, 316;
მანციკერტი-14, 214, 226, 250, 316, მანციკერტის ბრძოლა-12, 13, 17, 76, 91, 105, 113, 120, 205, 240, 253, 272, 292, 294, 315, 336;
მარაში-14, 35, 206;
მარდინი-63, 66, 87, 123, 127, 130, 137-139, 141, 147, 150, 209, 225, 248, 287, 310, 312, 316, მარდინის საემირო-31, 66, 68, 72, 83-86, 138, 214, 218, 234, 236;
მარკაბის (იგივე დებედის) ხეობა-315,
მედინა-23;
მელიტენა (მალათია)-11, 15, 35, 201, 206-207, 214, 316-317;
მესხეთი-16, 148;
მექა-23;
მიანა-324;
მიდია-283;
მირიოკეფალი (მირიოკეფალის ბრძოლა)-25;
მონტგისარდი (მონტგისარდის ბრძოლა)-322;
მონფავორი-272;
მონღოლეთი-170;
მოსული-22, 36-37, 68-69, 84, 214-215, 225, 238,
მოსულის საემირო (საათაბაგო)-31, 55, 66, 85-86, 215, 218, 249;
მოხისი-123, 160, 162-165, 168, 297;

მტკვარი-150, მტკვრის ხეობა-44-45, 47-48, 138, 142-144, 159, 228;
მუხრანი-223, 312;
მცირე აზია-10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 22, 24, 25, 31, 40, 73, 87, 98, 105, 113, 202, 210, 215, 217, 220, 229, 237, 267-268, 317;
მცხეთა-45, 122, 143, 149-150, 316, მცხეთა-ზედაზენი-150, 153, მცხეთის ხიდი-149, ნაზარეთი (ნაზარეთის ბრძოლა)-77;
ნაოხარი-123, 163, 168, 297;
ნაჭარმაგევი-54-55, 143, 226, 228, 291, 297;
ნახიჭევანი-11, 17;
ნიკეა-14, 22, 24, 110, 251, 324, ნიკეის ბრძოლა-253, 308, ნიკეის იმპერია-110, 112, 221, 273, 275-277; 280-281, 285,
ნიკომედია-109;
ნისიბინი-66;
ნიჩბისის სერი-122, ნიჩბისის წყალი-122, 163, 165, 168, ნიჩბისის ხევი (ხეობა)-122, 126;
ნორბედი-178;
ნორმანდია-116,
ოლთისი-178-179, 181, 245, 327;
ორბეთი-160, ორბეთის ციხე-323;
ოსმალეთის იმპერია-221, 232, პალესტინა- 12, 15, 22, 25, 73, 105, 202-203, 259, 264, 267, 271-272,
პარიზი-104;
პაფლაგონია-109, 274, 277, 279-280;
პოლიბოტუსი-25;
პოლონეთი-98, რაბანი-207;
რამლა-25, 322, რამლას ბრძოლა-76-77, 241;
რეი (რეის ბრძოლა)-336;
რკონი (რკონის ხიდი)-82, 246;
როდოსი-14, 24;
რომის იმპერია-47;
რუმის სასულთნო-13-14, 18, 22-23, 25, 31-32, 40, 67, 73, 86, 180, 202, 213-214, 218, 222, 237, 251, 265, 272, 320, 327-328;
რუსეთი-98, რუსული სამთავროები-100, 256, 261, რუსეთის სტეპები-96, 255,
რუსთავი-47-48, 59-60, 199, 223, 316,
საბურთალო (საბურთალოს ველი)-150, 157;
სამარყანდი-259, სამარყანდის ბრძოლა-283;
სამოსი-14, 24;
სამსუნი-225, 276, 316;
სამშვილდე-15, 41, 44, 47, 50-57, 59, 101, 143, 151, 153, 198-199, 224-225, 227-228, სამშვილდე-ლორე-152,
სამცხე-192;
სანამკუხი-26;
სარდი-14, 24;
საფრანგეთი-170, 202, 264, საფრანგეთის არმია-74, 118, 246, 292;
საქართველო-7-8, 10, 12, 15-17, 19, 30, 32-34, 36, 39-40, 43, 47, 50, 53, 55, 57-58, 62-64, 68-72, 79, 81-82;
85-88, 94, 98-99, 101-104, 106, 108-110, 113, 116-117, 120, 131, 134-139, 141-142, 144-148, 150-154, 156, 170, 173-176, 181-182, 185, 193, 197, 203, 207-210, 213, 215, 217-218, 220-222, 225, 228, 231-234, 237, 248, 250-251, 254, 260-266, 271-273, 276-277, 279, 282, 285, 287-291, 294, 297, 309-311, 315-316, 317, 331-332, საქართველოს (ქართული) არმია-52, 55-56, 59, 64, 73, 92-93, 98-99, 103-104, 108-109, 112-116, 120-126, 132-136, 140, 143-144, 149, 155-156, 159-163, 165-166, 172, 174-176, 178-179, 182-183, 185-186, 190, 193, 209, 225, 245, 252-253, 261, 272, 274, 276, 279-282, 286, 296, 305-306, 313-314, 320, 322, 324, 331, 333-334, საქართველოს სამეფო-16-17, 19, 31-33, 37, 39-40, 42-44, 47, 50-51, 53-54, 58-60, 64, 71-72, 82, 93, 105, 108, 110, 113, 116-117, 120, 137-138, 150, 152-155, 170, 173, 177, 180181, 185, 190, 198, 200, 207-208, 215216, 230, 232, 253, 259, 279, 264-266, 271, 274-276, 278, 293-294, 310, 327, აღმოსავლეთ საქართველო-152, დასავლეთ საქართველო-46, 51, 143, 148, 152, 291, სამხრეთ საქართველო-16, 40, 48, 60, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო-197, 209;
სეგელმეჯი-64;
სევასტია-316;
სელჯუკთა იმპერია-9, 15-20, 23, 26-28, 30-31, 34-38, 40-43, 46, 50-51, 53-55, 57-60, 67, 72-73, 116, 118, 173, 177, 196, 198, 202, 208, 214, 218-221, 228, 230, 254, 283, 292;
სესერა-264,
სიდონი-13;
სივასი-15, 23;
სინოპი-15, 17, 25, 109, 113, 202, 208, 276, 327;
სირია-12, 15, 18, 29, 31, 54, 59, 65-66, 68-69, 73-74, 78, 86, 98, 228, 236, 242, 248, 264, 269, 289, ჩრდილოეთ სირია-31, 62, 69, 86, 316,
სირია-პალესტინა-12, 13, 22, 23, 30, 31, 35, 38, 40, 59, 65, 77, 104, 106, 113, 203, 215, 217, 271, 289, 327;
სისი-207,
სისხლიანი ველი (სისხლიანი ველის ბრძოლა)-68, 71-72, 83, 113, 128-131, 251, 299, 306-307;
სიცილია-112, 116, 130,
სმირნა-14, 24;
სომხეთი-11, 22, 25, 38, 106, 222, 283, სომხური არმია-92, 252, სომხური სახელმწიფოები-15, 64, 72, 105, 206-207, 217, 268, სომხური ტერიტორიები-15, 33, 112, 231, 327, ჩრდილოეთ სომხეთი-176-180;
სომხითი-59, 153, 198-199, 227, 291, სომხითის საემიროები-63, 72,

სპარსეთი-265, 283, 324, 333-334;
სპერი-178, 181;
სტალინგრადი (სტალინგრადის ბრძოლა)-299,
ტაბარისტანი-266;
ტალინჯაქარი-178,
ტაო-16, 60, 177-179, 181, 296, ტაოს არმია-296,
ტაოს სამეფო-295-297;
ტარონის სამთავრო-10, 206;
ტარსი (ტარსუსი)-25;
ტაშირი-197, ტაშირ-ძორაკერტის სამეფო-206, 224;
ტაჯიკეთი-11;
ტელ-დანიში (ტელ-დანიშის ბრძოლა)-307-308;
ტერონაკალი-178;
ტიბეტი-256,
ტიკრიტი-27, 69;
ტირი-13, 26, 202, 270;
ტოკატი-15;
ტრაპიზონი-14, 15, 25, 32, 109, 113, 202, 273-275, 327, ტრაპიზონის იმპერია-108-110, 181, 222; 273-276, 328;
ტრიპოლი-13, ტრიპოლის საგრაფო-73;
ტრუა-246;
ტუნდრა-254, უნგრეთი-96-98, 101, 254, უნგრეთის სამეფო-259;
ფაზისი (ფოთი)-274, 279, 316;
ფარცხისი-143, 227, ფარცხისის ბრძოლა-16, 197, 207, 253, ფარცხისის ციხე-323;
ფანჯების გზა-320;
ფილადელფია-25, 210;
ფრაკია-259;
ფრიგია-25;
ქავაზინი-178;
ქართლი-18, 44-46, 178, 192, 200, 207, 223, 296-297, ქვემო ქართლი-41, 44, 51, 53, 59, 143, 149-150, 199, 222, 227, შიდა ქართლი-56-57, 143, 149-150, 153-154, 228, 291, 297, 312, 316,
ქსნის ხეობა-143;
ღასანი-178;
ღვეევი-160, 162-166, 168-169, 320, 322;
ყაბალა-64;
ყარსი-11, 17, 142, 146-148, 150-151, 153, 180, 209, 314-317, 327, ყარსის რეგიონი-147, ყარსის საემირო-32, 72, 180-181, 215;
შავი ზღვა-109, 113, 274, 276, 279-280, 327;
შავშეთი-16;
შამთა-123, 160, 162-163, 165, 168-169, 297;
შამქორი- (შამქორის ბრძოლა)-245, 324;
შარიფის ციხე-287;
შეიზარი (შეიზარის საემირო)-85, 242;
შემახა-64, 173-175, 178, 313, 325;
შეხვეტილა-161, 164,
შირვანი-64, 172-179, 186, 198, 208, 251, 308, 325-326-327, 332, შირვან-დერბენდი-177, 180,
შუა აზია-12, 38, 87-87, 283, ჩინეთი-98, 170, 254, 256;
ციში-335;
ცენტრალური აზია-96, 283;
ცენტრალური ევროპა-97;
ძამის ხეობა-148;
ძეგვი-161, 322, ძერნა-53;
წალკა-157-158, 319, წალკა-თრიალეთი-228;
ნინა აზია-15, 16, 22, 30, 37, 60, 92, 106, 147, 180, 196, 209, 217, 230;
ჭოროხის ხეობა-47;
ხარფურთი-225;
ხისნი-კაიფა-ხიოსი-14, 24;
ხლათი-327, ხლათის საემირო-33, 46, 53, 55, 59, 72, 180, 198, 213, 215, 218, 225, 234, 327, 334;
ხმელთაშუაზღვა-12, 14, 113;
ხოზაონდი-178, ხორასანი-30, 63, 219, 222, 256, 296;
ხორეზმი-101, 257, 266, 283;
ხრამის ხეობა-143, 148, 228;
ხუნანი-60, 64, 138;
ჯავახეთი-16, 149-150, 178, 316, ჯავახეთ-თრიალეთი-146, 148, 151, 155;
ჯაზირა-66-67, 214;
ჯვრის მონასტერი (იერუსალიმში)-104, 262-264, 266, 270-271;
ჰაბი (ჰაბის ბრძოლა)-77;
ჰამა-214;
ჰასტინგი (ჰასტინგის ბრძოლა)-292;
ჰატინი (ჰატინის ბრძოლა)-74, 298, 317, 335;
ჰერაკლეა (ჰერაკლეას ბრძოლა)-253;
ჰერეთი-139;
ჰილა-69, 246, ჰილას საემირო-69;
ჰომსი (ჰომსის საემირო)-85;

აბასიდები-10, 118, აბასიდი (ბაღდადის) ხალიფა (ხალიფები)-11, 35, 62, 69, 83, 117-118, 120, 229, 238, 269;
აიუბიდები-117;
ალანები-6, 32, 93, 103, 112, 120-121, 189, 253, 259, 295, 313, 331-332;
ავარები-254;
აზნაურები-114-115;
ანგელოსთა დინასტია-108, 110, 275, 277-281;
ანდრონიკაშვილები-278;
არაბები-219, 302-303, არაბი ხალიფები-250, არაბთა ხალიფატი-10, არაბული არმიები-78, არაბული ექსპანსია-10;
ართუკიდები-38, 65-70;
ასასინები-262;
აქემენიდები (აქემენიდების არმია)-78,
აქვიტანიელი ჯვაროსნები-78;
აჰდაბიანები-71, 239, ბაგრატიონები-277-279;
ბაღვაშები-182, 199,
ბავარიელი ჯვაროსნები-78;
ბედუინები-69;
ბიზანტიელები (ბერძნები, რომეები)-13, 24, 30, 32, 34, 60, 101, 112, 189, 196-197, 200, 205, 209; 250, 252-253, 266, 268, 273, 277, 294-295, 299, 313, 332, 336;
ბერძნული მონასტრები(ეკლესიები)-263, 267;
ბუიდები (ბუიდების სახელმწიფო)-11;
ბულგარელები-321, გავრები (ტრაპიზონის მმართველთა გვარი)-14;
გაზნევანიდები (გაზნევანიდების სახელმწიფო)-11, 319;
განძელი ვაჭრები-61, განძელი მუსლიმები-152, 232, 311;
გენუელები-279-280;
გერმანელი-110;
გერმანელი იმპერატორები-101;
გვარდია-103, 114, 117, 119-121, 248-250, გვარდიული ნაწილები-118-119, დავით აღმაშენებლის გვარდია-120-121, 294, ვარანგების გვარდია-118, თურქული გვარდია-118, 120, იანიჩარების გვარდია-117, მამლუქთა გვარდია-259, "მუსლიმური" გვარდია-118, პრეტორიანული გვარდია-117, "უკვდავები," აქემენიდი მეფეების გვარდია-117, "ქრისტიანული" გვარდია-118, "ჰეტეირები," ალექსანდრე მაკედონელის გვარდია-117, გულიამები-86, 88-90, 101, 117, 185, 189, 250;
გურჯები-208;
დანიშმენდიდები-23, 32, 78, 202, 220, 251,
დეილემელები-38, 208;
დმანელი ვაჭრები-61, დმანელი მუსლიმები-152, 232, ერისთავები-114-115;
ვარანგები-111-112, 253;
ვიკინგები-130;
ვენეციელები-280:
ვოლგის ბულგარეთი-256, თბილისელი ვაჭრები-60, თბილისელი მოქალაქეები-269, თბილისელი მუსლიმები-152, 232;
თურქები-13, 44, 210, 219-220, 223, 226, 269-270, 311, 316, 331, დიდი თურქობა-220;
თურქ-ოსმალები-30;
თურქ-სელჯუკები-6, 208, 210-211, 217;
თურქულ-თურქმენული ტომები-13;
თურქული ტომები-14, 209;
თურქმენები (თურქმენი მომთაბარეები)-8, 19-20, 38-41, 44-51, 59, 66-68, 83-84, 88, 102-103, 181, 208-210, 220-223, 232-233, 242, 302-303, იაკობიტელები-269, იაკობიტელების პატრიარქი-269,
ინგლისელი-110;
ოვაიტები (თურქმენ მომთაბარეთა ტომი)-222;
ისლამი-11, 106, 222;
ისლამური (მუსლიმური, მაჰმადიანური) სამყარო-26, 31, 34-36, 48, 53, 59, 61-62, 64, 68, 72, 83-85, 87, 106-107, 118, 170, 172, 198-199, 203, 215, 224, 231, 233, 250, 268-269;
ისმაილიტები (ასასინები)-26-28, 30-32, 69, 212, 333;
იტალიელი-110, იტალიელი კონდოტიერები-100;
იუდაიზმი-270, კათოლიკები-105, 107-108, 266, 277, 283-284;
კელტი, კელტები-111;
კოალიციური (მუსლიმების, ილ-ღაზის) არმია- 73-74, 84-85, 87, 121-123, 128, 131-135, 137; 139-140, 142-150, 152-160, 163-165, 167, 169, 231-232, 251, 307, 314-315, 317-320, 322, 335;
კომნენოსები-108-110, 181, 273-281, 291-292, 313;
კოპტები-266, 269, ლათინი, ლათინები-111, 128, 263, ლათინური საპატრიარქო-267, მადიარები-254;
მაზიადიდები-69;
მამლუქები-105, 117, 250, 259, 267, 270-271;
მაჰმადიანობა-15, 268;
მიდიელები-132-133, 302, 304-305;
მომთაბარე (მომთაბარეები)-9, 44-45-48, 51, 59-60, 78, 86, 88, 94-97, 99-100, 102, 115, 137-138, 140-141, 178, 181, 183-186, 196, 198, 200, 210, 220-223, 233-234, 255, 309, 311, 332, მომთაბარე მეომარი (მეომრები)-46, 84-85, 88, 100, 117, 138, 140, 200, 254, 258, მომთაბარე ტომები-139-140, 183, 185; 214, 222, 232, 255, მომთბარეობა-20, 47, 94-95, 97, 103, 190, მომთაბარული მეურნეობა-102,

მონა-მეომრები-117;
მონასპა-103, 119-120, 294, მონღოლები-91, 96-98, 101, 117, 212, 215, 256-257, 259, 267, 284, 321, მონღოლური არმია-257, 293, მონღოლ-თათრები-254-255;
მონოფიზიტები-266-267;
მოქირავნეები (მოქირავნეობა)-72, 86-88, 100-101, 111-114, 117, 120-121, 249, 253, 260, 286, 289; 292, 294-29ა, 311, 313;
მსახურნი-114;
მსტოვართა ინსტიტუტი-154,
მუსლიმები-23, 34, 36, 53, 61, 74, 84-85, 105-106, 112, 122, 124-125, 128-129, 132-134, 137, 143-145, 149-150, 152-154, 157-159, 161-163, 166, 168-169, 177, 215, 231, 242, 262, 264-265, 269-270, 288, 290, 299;
305-309, 317, 323;
მწიგნობართუხუცესი-40, ნაფატინები-89, 250;
ნესტორიანელები-283-284, ნესტორიანული ეკლესია-269, ნესტორიანელი პატრიარქი-269;
ნორმანები (ნორმანდიელები)-116, 129-131, 253, 292, ნორმანდიელი მოქირავნეები-14;
ოგუზები11, 209, ოსმალები-105, 271;
ოსნი-260;
პაჭანიკები-47, 101, 202, 255, 259;
პორტუგალიელები-284;
რომაელები-268, რომაული არმია-299;
რომის კურია-112;
რომის პაპი-219, 241, 270, 272;
როქის სპა-120;
რუბენიდები-207;
სარმატები-255;
სელჯუკები-6, 9, 10-11, 13-19, 22-27, 34, 37, 39-40, 42-43, 45, 47, 49-58, 60, 69, 76, 84, 87, 92, 94, 101, 106;
112-115, 117, 120, 124-125, 144-145, 149, 151-153, 156, 162, 170, 173-174, 176-177, 184-185, 196-198, 200, 204-209, 211, 213, 217-220, 222, 224-226, 228-229, 234, 250-253, 260, 268-270, 272, 276, 282-283, 285, 289, 294, 307, 312-314, 317, 319, 321, 323, 329, 331-332, 336, სელჯუკთა ადმინისტრაცია (ხელისუფლება)-20, 33, 38, 43, 46, 50, 59, 64, 86, 175, 209, 220-222, 224, 232-233, სელჯუკთა არმია-19-20, 22, 27, 51, 53-56, 59, 64, 77-78, 87-92, 115, 123, 136, 141, 143, 175, 184-186, 207208, 213, 218, 226-228, 250, 291, 313, 315, 326, სელჯუკთა ექსპანსია-12-13, 15-16, 18, 24, 26, 44, 67, 105, 113, 180, 206-207, 209, სელჯუკი ემირები-22, 28, 31, 34-35, 77, 135, 137, 248, სელჯუკური "მარაო"-17-18, 197, სელჯუკური საემიროები-32, 34, 49, 72, 86, 103, 106, 113, 118, 137, 180, 214, 234, 282, 308, სელჯუკური სამყარო-16, 40-41, 43-44, სელჯუკი პრინცები (მალიქები)-32-33, 138, რუმის სელჯუკები-13, 78, 220-221, 285, 321;
სირიული ეკლესიები-267;
სკანდინავიელი, სკანდინავიელები-111, 118;
სკვითები-255;
სლავები (სლავი მეომრები)-118;
სომხები-105, 267-268, 290, სომეხი მეომრები-225, 253;
სომხური ეკლესიები-267;
სპარსელები-219;
სუკმენიდები (შაჰ-არმენები)-33, 213;
სუნიზმი-26;
სუნიტები-12, 24, 26, 27, 262, ტამპლიერები (ტამპლიერთა ორდენი)-104, 262-263, 299;
ტაძრეულნი-114;
უგრები-255;
უნგრელები-101;
უნგრელი მომთაბარეები-47, 97;
ფატიმიდები-10, 13, 25, 30, 101, 117, 211, 271, ფატიმიდთა ხალიფატი-118;
ფრანკები (ფრანგები)-93, 110-113, 132-133, 135, 166, 253, 279, 287, 289, 302, 304-306, 308-309, 323, ფრანკი მოქირავნეები-111, 190, 286, 294, 332, ფრანკი მხედართმთავრები-111-112;
ფრანცისკანელები-269;
ქართველები (ქართველი, იერიელები)-6, 85, 152, 166, 168, 174, 227, 252, 274, 282, 309, 311;
323, 331-332, ქართველი მეომრები-208, 282, 326, ქართველი მეფეები-116, 198, ქართველი მხედართმთავრები-193, ქართველი უფლისწულები-265;
ქართული ეკლესია-104-105, 262, 270, ქართული ეკლესია-მონასტრები-105, 263-264, 266-267, 271, 279;
ქრისტიანობა (ქრისტიანები)-8, 15, 35, 62, 86, 104-107, 132-133, 207, 215, 222, 231-232, 266-267;
269-270, 277, 284, 304-305, 335, ქრისტიანული არმიები-184, 272, 286, ქრისტიანული სამყარო-106, 118, 266, 268, 279, ქრისტიანული ქვეყნები-118, 230, 232, 282, 284, 294, ქრისტიანული "ჯიჰადი"-35;
ქურთები-38, 66-67, 219;
ყივჩაღები (ყივჩაღური არმია, ყივჩაღი მეომრები, კუმანები)-6, 9, 47-49, 60, 64, 93-96, 98-103, 112, 114, 119, 121, 135, 166, 173-177, 184-186, 189, 200, 202, 223-224, 253-261, 294, 308-309, 313, 323, 325-326, 332;
შადადიდები-19, 43, 327,
შვეიცარიელები (შვეიცარიელი ქვეითები)-100შიიტები-26, 70, 262;
შირვანშაჰები-72;
შოტლანდიელთა არმია-227;
ჩერნიგოვი-96;

წმინდა გიორგი-128, 241;
ხვარაზმელები-172;
ხორეზმშაჰები-222;
ჯიჰადი (ჰაზავათი, მუსლიმთა წმინდა ომი)-24, 33-36, 53, 55, 58-64, 70-71, 86-87, 128, 137, 147, 152, 159, 198, 215, 225, 228, 231-233, 269, 288, 311;
ჯვაროსნები-9, 13, 22-23, 25, 28, 33-40, 53-55, 58-62, 64, 67-68, 71, 73-74, 77-78, 84-86, 92, 104-108; 110-111, 113-114, 127, 129-131, 137, 196, 198, 202-203, 205, 207, 210-211, 213, 215-220, 225, 228-230, 232-234, 241-242, 248, 250-251, 253, 261-262, 264-267, 269-272, 274-277, 279-283, 286, 288-290, 307, 317, 321;
322, 324-325, 335, ჯვაროსანთა არმია-20, 22-23, 74, 78, 84, 110, 145, 229, 237, 250, 284, 286, 317, 329, ჯვაროსნული ექსპანსია-31, ჯვაროსნული ლაშქრობები (ომები)-13, 22-25, 30, 35, 74, 84, 91, 105, 108, 111-112, 145, 201-202, 207, 214, 219, 225, 254, 268-272, 280, 283-284, 321, ჯვაროსანი რაინდები (მეომრები)-9, 104, 107, 113-114, 251, 262-263, 280, 286, 289, 329;
ჰუნები-254;